ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო შარაშენიძე

საჩინოური ქართული

ქვემოიმერული კილო ერთი სოფლის მეტყველების მიხედვით

თბილისი 2008

წიგნში წარმოდგენილია ქვემოიმერული დიალექტის მასალები ერთი სოფლის მეტყველების მიხედვით. მათ საფუძველზე წარმოებული კვლევა-ძიების შედეგები ასახულია ცალკეულ სტატიებსა და გამოკვლევებში, რომლებიც წინ უძღვის აღნიშნულ მასალას. წიგნი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის და ქართული ენის საკითხებით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

რედაქტორები: აკადემიკოსი **მზექალა შანიძე**
პროფესორი **გიორგი გოგოლაშვილი**

რეცენზენტები: პროფესორი **ზურაბ ჭუმბურიძე**
პროფესორი **რამაზ ქურდაძე**

გარეკანის მხატვარი: თამარ კახნიაშვილი

ISBN 978-9941-13-020-5

ბავშვობაში იმერეთში ჩასულს ერთი უზარმაზარი ფირნიში მხვდებოდა: „საჩინომ გადააარჩინოს!..“ ეს წარწერა რაღაც იდუმალ ფიქრს იწვევდა ჩემში: ნეტა რა და რატომ უნდა გადააარჩინოს საჩინომ? მერე ბებიას ვკითხე და ასე მიპასუხა: „თქმაი ვიცით ასე, ბებია: ქვეყანა რო დეიშეს, საჩინომ არჩინოსო“. მე ჩემი საჩინო მყავდა... ამ წიგნში XX საუკუნის 80-იანი წლების სოფელია წარმოჩენილი... სოფელი თავისი საფიქრალით, თავისი პრობლემებით, თავისი იმედითა თუ უიმედობით... აქ ამ სოფლის გმირები საუბრობენ... ისინი აღარ არიან... თითქმის ყველა წავიდა... წავიდნენ და თან წაიყოლეს თავიანთი წილი სითბო, სიხარული, ღიმილი, იმერული სიტყვაკაზმულობა... წავიდნენ, მაგრამ ამ წიგნში მაინც დარჩნენ, რათა თავიანთი იდილიური ცხოვრება ახლა ასე გააგრძელონ... ისინი ხშირად მხედავდნენ საწერ-კალმითა და ბლოკნოტით ხელში, ვერც კი ხვდებოდნენ, რა იყო ამდენი საწერი მათ ლაპარაკში... მე კი ვიწერდი თითქმის ყველაფერს... და ახლა ამ ფრაზებით ცოცხლდება ჩემში ის ძველი სამყარო... ასე შეიქმნა „ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები და უურმოკრული საუბრები“... ამ წიგნში ჩვეულებრივი ყოველდღიურობით სავსე ჩემი საჩინოა გადარჩენილი... ამ წიგნს მათ ნათელ ხსოვნას ვუძღვნი...

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი წლების განმავლობაში თანდათანობით იქმნებოდა. მასში თავმოყრილია ქვემოიმერული კილოს მასალები და ის სტატიები, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა სამეცნიერო გამოცემებში, ზოგი მათგანი გადაცემულია დასაბეჭდად, მაგრამ დღემდე არ გამოქვეყნებულა, ზოგი კი პირველად ქვეყნდება აქ. რაც შეეხება სალექსიკონო მასალას, იგი დაინტერესებული მკითხველის წინაშე პირველად გამოგვაქვს.

მასალები ვანის რაიონის ერთ სოფელში, გადიდში, არის ჩაწერილი. ეს სოფელი ქვემოიმერული კილოს გავრცელების ერთ-ერთი ცენტრალური ოლქის — საჩინოს დასახლებული პუნქტია. თავის მხრივ, საჩინო, ვახუშტის მიერ მოწოდებული ცნობების მიხედვით, გეოგრაფიულად მოიცავდა დღევანდელი ვანის რაიონის მნიშვნელოვან ტერიტორიას, კერძოდ, მდინარეების ყუმურისა და სულორის ხეობებს. აღმოსავლეთით მას ესაზღვრებოდა მდინარე კვინისწყალი (კვინწყალი), ხოლო დასავლეთით — საჯავახოს მთები. რამდენადაც მას გვიანფეოდალურ ეპოქაში ჩიჯავაძეთა ფეოდალური საგვარეულო ფლობდა, იგი შესაბამისად საჩიჯავაძეოდაც მოიხსენიებოდა. საჩინოს ცენტრალურ მხარეს, კერძოდ, ვანის სარაიონო ცენტრიდან სოფელ შუამთამდე არსებულ ტერიტორიას უკანასკნელ დრომდე საბეკას ეძახდნენ. სწორედ საბეკას სამხრეთ-დასავლეთით, 8 კილომეტრის მოშორებით, მდებარეობს სოფელი გადიდი, სადაც ჩაწერილია ჩემ მიერ მოპოვებული მასალა.

მასალის უმთავრეს ღირსებად ის მიგვაჩნია, რომ იგი დიდი ხნის განმავლობაში, ნელ-ნელა იწერებოდა, ჩვენს მუშაობას ექსპედიციური ხასიათი არ ჰქონია. ეს კი პირობა იყო იმისა, რომ მთქმელს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ესაუბრა — მისთვის მთავარი სიტუაციური გარემო იყო და არა წინასწარგანზრახული მიზანი რაიმე სათქმელის ჩამოყალიბებისა. მასალის დიდმა ნაწილმა შეინარჩუნა ის

ბუნებრიობა, ფორმათა თავისებურება, რაც დიალექტოლოგიური კვლევისას განსაკუთრებით ღირებულია. ამდენად, ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა რამდენიმე თავისებური სინტაქსური კონსტრუქციის შესახებაც გვემსჯელა; ამგვარი მასალის მოპოვება, ბუნებრივია, სპეციალური ჩაწერის შედეგად სრულიად შეუძლებელი ხდება. ჩვენი ნაშრომების ძირითადი საყრდენი სწორედ „ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები და ყურმოკრული საუბრები“ გახდა, რამაც დიალექტოლოგიური კვლევა ჩვენთვის განსაკუთრებულად საინტერესო გახადა.

„ქვემოიმერულის სალექსიკონო მასალაც“ წლების განმავლობაში იქმნებოდა. ლექსიკონში შეტანილი სიტყვები კონტექსტებითურთ არის წარმოდგენილი, ზოგჯერ კი მათ ახსნა-განმარტებას თავად მთქმელს ვთხოვდით და მისეული განმარტებაც თან ერთვის სიტყვის ჩვენეულ ახსნას. ამგვარმა მიდგომამ საერთო მასალიდან ისეთი სიტყვები გამოყო, რომელთა კონკრეტული მნიშვნელობა თავად მთქმელმაც არ იცოდა, მაგრამ იგი მისი ლექსიკის აქტიურ მარაგში მაინც იყო. ამგვარი ლექსიკური ერთეულები ძირითადად შედარებებში დადასტურდა და ეს ჩვენი კვლევის ერთი მიმართულება გახდა. ამ მასალის მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი შევიდა ამ წიგნში, ხოლო თავად მსგავსებითი შედარება, როგორც ხალხის აზროვნების სტილური თავისებურება და მხატვრული ხერხი, ჩვენთვის კვლავ საკვლევ ობიექტად რჩება.

სალექსიკონო მასალა შედარებულია თითქმის ყველა მნიშვნელოვან ლექსიკონთან. აქ თავმოყრილია მხოლოდ ის სიტყვები, რომელიც საკვლევი რეგიონის კუთვნილებაა ან კონკრეტულ რეგიონში განსხვავებული მნიშვნელობით დასტურდება; ზოგიერთი მათგანი იმერეთის სხვა კუთხეშიც გვხვდება, მაგრამ იგი მაინც დავტოვეთ ჩვენს ლექსიკონში. ეს განაპირობა იმან, რომ ამგვარი მასალა, უეჭველია, ლექსიკური ერთეულის გავრცელების არეალის დასადგენად იქნება მნიშვნელოვანი.

წინამდებარე წიგნი კვლევის ერთი ეტაპის შედეგია. ყოველ შენიშვნას თუ აზრს დიდი გულისყურით მივიღებთ.

დასასრულ, მინდა მადლიერების გრძნობით მოვიხსენიო ყველა ის პიროვნება, ვინც ამ წიგნის შექმნაში დახმარება და თანადგომა გამიწია. უპირველეს ყოვლისა, მადლობა გადაეუხადო ჩემს მშობლებს, რომლებიც ყოველთვის მხარში მედგნენ.

განსაკუთრებული გრძნობით მოვიგონო ამ წიგნში მოხსენიებული ის ადამიანები, რომელთა საუბრებსაც დაეფუძნა ჩვენი კვლევა; მათ შორის ბებიას, ნინა დვალი შვილ-შარაშენიძეს გამოვყოფდი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ამ წიგნის შექმნაში.

ასევე მადლიერების გრძნობით მინდა მოვიგონო ჩემი პირველი შემფასებელი და ლექტორი ბატონი ივანე ქავთარაძე, რომელმაც მეორეკურსელის მიერ ბარათებზე დაწერილი ას ორმოცდაათამდე სიტყვა უურადღებით წაიკითხა და საგულისხმო შენიშვნები მომცა... იმ პირველ ბარათებზე მის მიერ ფანქრით გაკეთებული წარწერები დღესაც ძვირფასი და ბევრი რამის მასწავლებელია ჩემთვის.

ხმოვანთკომპალექსების მორფონოლოგიური ანალიზი ქვემოიმერულის მიხედვით*

ფონეტიკური პროცესები, ბგერათა ცვლილებები, რაც უფრო მეტად დიალექტებში ვლინდება, არ არის მხოლოდ ფონეტიკის შესწავლის საგანი. ამ ცვლილებაში გარკვეულ როლს ასრულებს მორფოლოგიური კატეგორიები და საკითხისადმი ამ პოზიციიდან მიდგომა მეტ საინტერესოს გამოავლენს. მასალის ამ თვალსაზრისით განხილვა და შესწავლა მორფოფონოლოგიის ანუ მორფონოლოგიის სფეროს განეკუთვნება.

მცირე რამ ამ დარგის ჩამოყალიბების თაობაზე: XIX ს. საენათმეცნიერო აზროვნებაში ფონეტიკა ფიზიოლოგიური კვლევის საგანი იყო, გრამატიკა — ფსიქოლოგიურისა. ამ თეორიის მიხედვით ფონეტიკა ჰუმანიტარული მეცნიერებების რიგიდან გამოირიცხებოდა და ენა მხოლოდ „ფსიქოლოგიური" თვალსაზრისით განიხილებოდა. პირველი, ვინც დაარღვია 70-80-იანი წლების გაბატონებული წარმოდგენა, იყო ბოდუენ დე კურტენე. მან უარყო ფონეტიკურ კანონთა არსებობა და ენა განიხილა ფონეტიკისა და მორფოლოგიის საერთო თვალსაზრისიდან. ბოდუენ დე კურტენემ პირველმა დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ სიტყვა შედგება მორფემებისაგან, მორფემები კი — არა ბგერებისაგან, არამედ ფონემებისაგან. ეს იმ დროისათვის საკითხისადმი ახლებური მიდგომა იყო. ენის კვლევის ამ გზაზე მომდევნო ნაბიჯი ეკუთვნის პოლონელ ლინგვისტს ჰინრიკ ულაშინს, რომელმაც შემოიტანა ცნება მორფონემა. ულაშინის მიხედვით „Морфонема — это фонема в семасиолого-морфологической функции"[1] საკითხთა ამგვარმა განხილვამ საფუძველი შექმნა ლინგვისტიკის ახალი დარგის — მორფონოლოგიის ჩამოყალიბებისათვის. ამ დისციპლინის სახელწოდება შემოღებულია პრაღის ლინგვისტური წრის წარმომადგენლის, ენათმეცნიერის ნ. ტრუბეცკოის მიერ, როგორც შემოკლებული ფორმა ტერმინისა მორფო-ფონოლოგია; დარგი განიხილავდა მორფემათა ფონოლოგიურ სტრუქტურას[2].

---

* ეს სტატია იყო ჩვენი სადიპლომო ნაშრომი (ხელმძღვ. პროფ. თ. უთურგაიძე).

[1] ჩვენი მიმოხილვა ეყრდნობა შემდეგ ნაშრომს: Реформатский А.А., О соотношении фонетики и грамматики (морфологии), წიგნში: Вопросы грамматического строя. М., 1955, გვ. 92-96.

[2] Josef Vachek, The linguistic school of Prague, London, 1966, გვ. 79-80; აგრეთვე. Реформатский А.А., დასახ. ნაშრ., გვ. 100.

მორფონოლოგიას და მის პრობლემათა კვლევის საკითხს ნ. ტრუბეცკოიმ სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა: „Некоторые соображения относительно морфонологии“[3]. მეცნიერი მიუთითებდა იმის შესახებ, რომ ევროპაში იმჟამად მორფონოლოგია გრამატიკის ყველაზე უფრო ნაკლებ შესწავლილი დარგი იყო. მისი კვლევის სფერო მორფოლოგიასა და ფონეტიკას შორის ნაწილდებოდა და საკვლევი ობიექტის ერთი ნაწილი განიხილებოდა როგორც მორფოლოგიური გამოვლენა ფონეტიკაში, მეორე კი — მორფოლოგიაში.[4] ხოლო თუკი მეცნიერები მიმართავენ მორფონოლოგიას, მხოლოდ წინარეენათა გრამატიკული შესწავლისას. „Морфонология как связующее звено между морфологией и фонологией должна занять принадлежащее ей по праву достойное место в грамматике, ... в любой грамматике, а не только в грамматиках семитских или индоевропейских языков“[5], — მიუთითებს მეცნიერი.

მორფონოლოგიის დამოუკიდებელ დარგად გამოყოფის აუცილებლობასთან ერთად ამავე ნაშრომში ჩამოყალიბებულ იქნა თეორია ენის ამ თვალსაზრისით შესწავლისათვის. მეცნიერმა წარმოადგინა სრული მორფონოლოგიური თეორია, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება: 1) მორფემათა ფონოლოგიური სტრუქტურის თეორია; 2) თეორია კომბინატორული ბგერათცვალებადობებისა, რომლებსაც განიცდიან ცალკეული მორფემები მორფემათა შესაყარზე; 3) თეორია ბგერათცვალებადობებისა, რომლებიც მორფოლოგიურ ფუნქციას ასრულებენ.[6] ტრუბეცკოი მიუთითებს, რომ ამ სამი დებულებიდან მხოლოდ პირველს აქვს მნიშვნელობა ყველა ენისათვის.

მკვლევარი სემიტურ და ინდოევროპულ (რუსულ და სხვა სლავურ) ენათა მონაცემების განხილვისას არკვევს მორფონოლოგიური კვლევის მნიშვნელობას ენის მეცნიერული შესწავლისათვის. ნ. ტრუბეცკოი ნაშრომში ცალ-ცალკე განიხილავს სრული მორფონოლოგიის თეორიის სამივე წესს სხვადასხვა ენის მონაცემების მიხედვით. თითოეული მათგანი მეტ-ნაკლებად უდგება ცალკეულ ენას. მეცნიერი სპეციალურად აღნიშნავს, რომ კვლევისას გასათვალისწინებელია და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შესასწავლი ენის თავისებურე-

---

[3] აღნიშნული სტატია გამოქვეყნებულია კრებულში: Пражский лингвистический кружок. М., 1967. გვ. 115-118.

[4] Трубецкой Н. С., დასახ. ნაშრ., გვ. 116.

[5] იქვე.

[6] იქვე.

ქვემოიმერულის ვანური თქმის შედარებებში დაცული ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის შესახებ

ლექსიკა ენის ყველაზე უფრო ცვალებადი სფეროა. როგორც ცნობილია, სიტყვა დროთა განმავლობაში იცვლის ფორმას, შინაარსს, იკარგება ან დროისა და საჭიროების მიხედვით ჩნდება ახალი. ასეა დიალექტშიც. სალიტერატურო ენის დაწოლის შედეგად სიტყვათა ნიველირების პროცესი აქ უფრო აქტიურია. ამდენად, მათი ფიქსირებისა და შესწავლის დაჩქარება უაღრესად მნიშვნელოვანია.

ამჯერად ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ქვემოიმერულ დიალექტში ჯერ კიდევ შემორჩენილ ზოგიერთ საინტერესო ლექსიკურ ერთეულზე.

ქვემოიმერული დიალექტის ლექსიკა მონოგრაფიულად ჯერჯერობით შესწავლილი არაა. მხოლოდ სტატიების სახითაა იგი დამუშავებული სხვადასხვა ავტორის მიერ. ლექსიკის გარკვეული რაოდენობა ჩვენს მიერაცაა შეკრებილი ვანის რაიონის სოფ. გადიდში. ეს სიტყვები ფიქსირებული არაა დღემდე გამოცემულ ქვემოიმერულის ლექსიკონებში.[1] სწორედ ამ მასალაში გამოვლინდა სიტყვათა ერთი ჯგუფი (სულ 30 ერთეული), რომელთაც განმარტება არ მოეპოვებათ.

მიკვლეული ლექსიკური ერთეულის ფიქსირება და ახსნა, როგორც წესი, ჩამწერის მიერ კეთდება, მაგრამ სიტყვის სემანტიკის დადგენა უცილობლად ემყარება მთქმელის განმარტებას. ზემოხსენებულ ჯგუფში, ერთი შეხედვით, უცნაური რამ ხდება: მთქმელმა არ იცის სიტყვის მნიშვნელობა, არ იცის რას აღნიშნავს, რას გამოხატავს იგი, მაგრამ მიუხედავად ამისა, იყენებს მას საუბარში და არცთუ იშვიათად. უცილობლად უნდა მიეთითოს ერთ გარემოებაზე: ეს სიტყვები მხოლოდ გარკვეულ ვითარებაში გვხვდება. კერძოდ, გაქვავებულ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში — შედარებებში გამოიყენება. მათი მეშვეობით მთქმელი ახასიათებს შესადარებელ ობიექტს, მისით გამოკვეთს საგნის ან მოვლენის თვისებას. ასეთი სიტყვების კონკრეტული მნიშვნელობა ხალხის მეხსიერებას ველარ შემოუნახავს, მაგრამ, გადაურჩენია შედარების გაყინულ ფორმას და ყოველდღიურ სასაუბრო ენა-

[1] ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრ. პ. გაჩეჩილაძე, დასახ.ნაშრ. პ. ჯაჯანიძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის, აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950-1951, გვ. 59-74 და სხვ.

ბანი და ამ ენის მიმართ უნდა მოხდეს მორფონოლოგიის იმ წესის გამოყენება, რომელიც მეტ შესაძლებლობას იძლევა მისი სრული შესწავლისათვის.

მორფონოლოგიის თვალსაზრისით ქართული ენის კვლევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც ქართული აგლუტინაციური ტიპის ენაა. ამჟამად ეს დარგი, ენათმეცნიერების სხვა დარგებთან ერთად, ენის სრული დახასიათებისათვის მრავალ მნიშვნელოვან ლინგვისტურ ინფორმაციას იძლევა.

მორფონოლოგიურ შესწავლას წინ უნდა უძღოდეს ენის ფონემატური სტრუქტურის აღწერა; უნდა გამოიკვეთოს ის შესაძლებელი ბგერათკომპლექსები (თანხმოვანთკომპლექსები და ხმოვანთკომპლექსები), რომლებიც ბუნებრივია ენისათვის; მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი იმის გარკვევა, თუ რამდენად ესადაგება ფონეტიკურ კანონზომიერებებს მორფემათა განაწილების კანონზომიერებები, როგორ ახდენს ენა ამ წესთა შეგუებას, ანდა ბგერათკომპლექსთა ცვლილების შემთხვევაში რა არის განმაპირობებელი მოვლენისა. ყოველივე ეს წინაპირობაა მორფონოლოგიური კვლევისათვის და რამდენადმე მორფონოლოგიის შესწავლის საგანიცაა. თუ ამ პრინციპით მივუდგებით ქართულ ენას, მისი ფონემატური სტრუქტურის აღწერა მოცემულია რამდენიმე ფუნდამენტურ ნაშრომში.

1961 წელს ქართულად გამოვიდა ჰანს ფოგტის გამოკვლევა „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“ (ნარკვევი ფონემებისა და ფონემათა ჯგუფების კლასიფიკაციისა); ნაშრომის ძირითადი ნაწილი ქართულში რეალიზებულ თანხმოვანთა სისტემების სტრუქტურას ეძღვნება; აღწერილია თავკიდურა და ბოლოკიდურა კონსონანტურ ჯგუფთა შესაძლებელი ვარიანტები, დადგენილია მათი შეთანხმების მთელი რიგი კანონზომიერებანი; რაც შეეხება ხმოვანთა სისტემას, მის შესახებ შედარებით მცირეა ნათქვამი ნაშრომში იმ მოტივით, რომ ქართულში „ხმოვანთა სისტემის სტრუქტურა უაღრესად მარტივია“.[7]

თ. უთურგაიძის ვრცელ გამოკვლევაში „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“ (თბ., 1976) მეტი სისრულითაა დახასიათებული ქართული ენის ვოკალიზმი და კონსონანტიზმი; წარმოდგენილია ფონემათა პარადიგმატული და სინტაგმატური ანალიზი; მოცემულია ენის ბუნების გარკვევისათვის მნიშვნელოვანი დებულებები.

[7] ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1961, გვ. 12

ნაშრომში მეტია მსჯელობა ქართული ენის ვოკალიზმის შესახებ. ავტორს გამოაქვს საგულისხმო დასკვნა, რომ ქართულისათვის დამახასიათებელი არაა ორი ხმოვნის თავმოყრა ერთი მორფემის ფარგლებში, სიტყვის დასაწყისსა და ბოლოში. დაშვებულია ხმოვნის რეალიზაცია თანხმოვანთა წინ და მომდევნოდ (გარდა /ოუ/ ხმოვნებისა /ვ/-ს გვერდით); დებულების მნიშვნელობაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ იგი შესაძლებლობას იძლევა მეტი სისრულით აიხსნას მთელი რიგი ფონეტიკური ცვლილებები. „სწორედ ამ მოდელის კანონზომიერებათა მიხედვით უნდა წარიმართოს მორფოფონემატური ცვლილებები“[8], — აღნიშნავს ავტორი.

ქართული ენის ფონემატური სტრუქტურის აღწერასთან ერთად ზემოგანხილული გამოკვლევები ადასტურებენ მორფონოლოგიური კვლევის მნიშვნელობას ენის ბუნების გარკვევისა და ენათმეცნიერების სხვა პრინციპულ საკითხთა გადაწყვეტისათვის.

როგორც ითქვა, ენის ფონემატური სტრუქტურის აღწერისა და მისი კანონზომიერებების დადგენის შემდეგ მორფონოლოგიური კვლევისათვის მყარი საფუძველი იქმნება. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: ენის მორფონემატური თვალსაზრისით შესწავლა დიალექტთა მონაცემების გათვალისწინების გარეშე, რა თქმა უნდა, სრული არ იქნება. სალიტერატურო ენა, რამდენადაც იგი ნორმირებულია, ნაკლებ ემორჩილება, შესაძლოა, ზოგჯერ კანონზომიერ, მაგრამ ნებისმიერ ბგერათცვლილებას. ამ მხრივ დიალექტებში მეტი შესაძლებლობაა ენის თავისუფალი განვითარებისათვის, რამდენადაც დიალექტური თავისებურებანი გარკვეული თვალსაზრისით სწორედ ენის შინაგანი ბუნების თავისუფალი განვითარების შედეგს წარმოადგენს.

სალიტერატურო ქართულის მონაცემებთან ერთად დიალექტის მასალის მიხედვით საკითხის განხილვა ბევრ საინტერესოს გამოავლენს. იმ ხმოვანთკომპლექსებში, რომლის ფონეტიკური ცვლილება დიალექტისთვის ჩვეულებრივია, შემჩნეულია, რომ ფონეტიკური პროცესების ჩატარებისას ენა განასხვავებს პოზიციას; გარდა ამისა, გასათვალისწინებელია მორფოლოგიასა და სემანტიკასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

უპირველეს ყოვლისა, დგება საკითხი ხმოვანთკომპლექსთა შექმნის შესახებ საერთოდ ქართულში. როგორც ზემოთ აღინიშნა, ვოკალიზმის ბუნების კვლევიდან გამომდინარე, ხმოვანთკომპლექსთა ერთი

[8] თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976, გვ. 32-33.

მორფემის ფარგლებში არსებობა ნიშანდობლივი არაა ქართულისათვის და არა მარტო ქართულისათვის, არამედ საერთოდ ქართველურ ენათათვის. ამ დებულების წამოყენება ეკუთვნის გ. მაჭავარიანს, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად ქართველური ენების ეს კანონზომიერებაც შენიშნა: „Две гласные фонемы не могут находиться в непосредственном соседстве друг с другом, за исключением случаев, когда они относятся к разным морфемам“.[9]

ორი ხმოვნის თავმოყრის მოშლისაკენ მიდრეკილებას ადასტურებს ქართული ენის ზოგიერთი დიალექტის მონაცემები და ზანური ენის მაგალითიც. ხმოვანთა კომპლექსი დიალექტებში ცვლილებას განიცდის და გარკვეულ საფეხურთა გავლის შემდეგ საბოლოოდ ერთხმოვნობისაკენ ისწრაფვის; თუმცა მათი განვითარების გზა სხვადასხვაგვარია: დიალექტთა მონაცემები ამ ცვლილების სხვადასხვა ეტაპს გვიჩვენებენ. ხოლო რაც შეეხება ზანურს, მან ეს პროცესი დაასრულა და შედეგად ერთი ხმოვანი დასტურდება იქ, სადაც წარმოშობით ხმოვანთკომპლექსი უნდა არსებულიყო.[10]

მაგრამ ენისათვის ფაქტია ხმოვანთკომპლექსთა დადასტურება მრავალ ფორმაში; რით შეიძლება აიხსნას ეს? პირველი გარემოება, რომელიც ამ ფაქტის ასახსნელად გვეძლევა, ისაა, რომ ხმოვანთკომპლექსები ქართულში ძირითადად შექმნილია მორფემათა შესაყარზე, რაც სპეციალურად მითითებულია კიდეც ზემოგანხილული დებულების ჩამოყალიბებისას; ხმოვანთა კომპლექსები იქმნება ზმნისწინისა და ქცევის ან გვარის ნიშნისეული ხმოვნების შეხვედრისას, ანდა ამავე ხმოვნებისა და ძირეული ხმოვნის შეერთების შედეგად სიტყვის თავში; რაც შეეხება სიტყვის ძირში ხმოვანთა კომპლექსის არსებობას, ეს, როგორც ითქვა, ნაკლებ დამახასიათებელია ქართული ენის ბუნებისათვის; არც ერთი მორფემის ფარგლებში არ გვევლინება ორი ხმოვანი ერთად. გარკვეულწილ სიტყვებში დასტურდება ხმოვანთა თავმოყრა, მაგრამ ჩაღრმავებისა და სათანადო დაკვირვების შემდეგ დგინდება, რომ ის ნასესხები ლექსიკის კუთვნილებაა, ან მორფემათა

---

[9]Мачавариани Г. Н., К типологической характеристике общекартвельского языка-основы, Вопросы Языкознания, М., 1966, გვ. 4.

[10]შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკური პროცესები ქართულ დიალექტებში და ზანურში, წიგნში: ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970, გვ. 128.

ზღვარია წაშლილი და დღეს ერთად აღიქმება.[11]

დიალექტებში ხმოვანთკომპლექსთა ფონეტიკური ცვლილებები ძირითადად განიხილება სიტყვის თავში, მორფემათა შესაყარზე (იხ. შ. ძიძიგური, კლ. კუბლაშვილი, დიალექტთა თავისებურებების აღწერა და ა. შ.); მაგრამ ბუნებრივია დგება შემდეგი საკითხი: ერთი და იგივე ხმოვანთკომპლექსი (მაგალითად აე) შეიძლება შეგვხვდეს ყველა პოზიციაში: სიტყვის თავში (მორფემათა შესაყარზე), სიტყვის ძირში (ამჟამად ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, ქართული წარმოშობისაა განსახილველი სიტყვა თუ არა) და სიტყვის ბოლოში (აქაც მორფემათა შესაყარზე). საინტერესოა, როგორ ახდენს ენა ფონეტიკურ გარდაქმნათა წესის გავრცელებას ყველა პოზიციაზე: ყველგან ხდება თუ არა ცვლილება, სად ხდება და სად არა, თუა განსხვავება და რის გამო უნდა იყოს ეს გამოწვეული. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ახალი არაა. შ. ძიძიგური ნაშრომში „ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკური პროცესები ქართულ დიალექტებში და ზანურში", სპეციალურად მიუთითებს, რომ „... ფონეტიკური პროცესი თავს იჩენს უმთავრესად პრევერბისეული ხმოვნების ფუძისეულ ხმოვნებთან შეხვედრისას, იშვიათად სუფიქსებში და კიდევ უფრო იშვიათად ძირში".[12] ეს ფაქტი თავისთავად საინტერესოა, მაგრამ ნაშრომში ძირითადად პრევერბისეულ და ფუძისეულ ხმოვანთა კომპლექსები და მასში მოქმედი ფონეტიკური გარდაქმნებია განხილული; სპეციალური ყურადღება არაა მიქცეული იმაზე, თუ როგორ ხორციელდება ეს წესი ძირეულ ხმოვნებში.

ხმოვანთკომპლექსებში მომხდარ ფონეტიკურ ცვლილებათა განხილვას ეთმობა დიდი ნაწილი კლ. კუბლაშვილის ნაშრომში „ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში".[13] ავტორი შესავალშივე აღნიშნავს იმ განსხვავების თაობაზე, რაც არსებობს მორფემათა შესაყარზე შექმნილ ხმოვანთკომპლექსებსა და ძირეულ ხმოვანთკომპლექსებს შორის ფონეტიკურ გარდაქმნათა თვალსაზრისით. „ხმოვანთა კომპლექსის არსებობა სიტყვაში პი-

---

[11] იხ. თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, გვ. 32, 39-41; აგრეთვე მისივე: ქართული ენის ხმოვანთა განაწილება ხმოვნებთან სიტყვის თავსა და ბოლოში, იკე, XIX, თბ., 1974, გვ. 18-24.

[12] შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 112.

[13] კლ. კუბლაშვილი, ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში, ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ XIX, 1959.

რობაა მისი ცვლილებისათვის, მაგრამ არა ყოველთვის", — აღნიშნავს ავტორი და იქვე მიუთითებს, რომ უცვლელია ძირეული ხმოვანთკომპლექსი. გარდა ამისა, უცვლელი შეიძლება იყოს იმ პრეფიქსული ხმოვნით შექმნილი კომპლექსი, რომლის ცვლილება გამოიწვევს სიტყვის მნიშვნელობის ცვლილებას ან გაუგებრობას (მაგ.. წოუღო, მაგრამ საურმე და არა მოურმე).[14] ავტორისეული მსჯელობა კანონზომიერად მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ამა თუ იმ კომპლექსში მომხდარი ფონეტიკური ხასიათის ცვლილების განხილვისას აუცილებელი ხდება აღინიშნოს, თუ რა მორფოლოგიური ღირებულების მქონე ელემენტის დართვა იწვევს კომპლექსების წარმოქმნას და სიტყვის რომელ ნაწილში იქმნება იგი".[15] როგორც ითქვა, ყოველივე ეს ნაშრომის შესავალშია აღნიშნული. შემდგომ კი ავტორი ძირითადად იმ ხმოვანთკომპლექსებს განიხილავს, სადაც ფონეტიკური გარდაქმნა ხდება (ე. ი. პრევერბისეულ და პრეფიქსისეულ ხმოვანთკომპლექსებს), ამავე კომპლექსთა უცვლელ ვარიანტებთან შეუპირისპირებლად.[16]

მორფონოლოგიური თვალსაზრისით არის განხილული ფშაურის ხმოვანთა სისტემა გ. ცოცანიძის მონოგრაფიაში „ფშაური დიალექტი" (თბ., 1978). ავტორი მასალის მიხედვით ადგენს, რომ „ფონოლოგიურად ზუსტად ერთნაირ, ხოლო მორფოლოგიურად განსხვავებულ გარემოში ადგილი აქვს ხმოვანთა განსხვავებულ მონაცვლეო-

---

[14] იქვე, გვ. 222.

[15] იქვე, გვ. 223.

[16] უნდა აღინიშნოს ერთი რამ: თუკი რომელიმე დიალექტის მასალას იმ აზრით მივუდგებით, რომ ძირეული ხმოვანთკომპლექსი უცვლელია, სათანადო მასალის დაძებნის შემდეგ გამოირკვევა, რომ არც ეს წესია გამონაკლისის გარეშე: შესაძლოა, მისი დამრღვევი ფორმები გამონაკლისად მივიჩნიოთ, მაგრამ ყოველ გამონაკლისს აუცილებლად აქვს კანონზომიერებაც. ზოგჯერ ყველა ამგვარი ნიმუშის ახსნა ძნელიც კია, მაგრამ მისი აღნუსხვა მაინც არ უნდა იყოს მნიშვნელობას მოკლებული. დასახელებულ ნაშრომში კლ. კუბლაშვილი სპეციალურად შენიშნავს, რომ „თითქმის ყოველთვის ჯვედებით წეილოს, მაგრამ არასდროს — სეიდემლოს, სეინტერესოს ან კიდევ სეინ-ს (ნაცვლად საინისა)" (გვ. 222). აღსანიშნავია, რომ იმგვარი ფორმები, რომლებსაც მკვლევარი შეეჭლებლად თელის, მთლად მიუღებელი არ უნდა იყოს იმერეთის მეტყველებისათვის; იხმარება ძირეულ კომპლექსშეეცვლელი ფორმები, მაგრამ პარალელურად შეიძლება შეგვხვდეს ასიმილირებული ვარიანტი: საინი — სეინი („ხეთი სეინი წეიღო"). საინტერესო — სეინტერესო („დიდი სეინტერესო ამბავია"). ამდენად, ქვემოიმერულში გამონაკლისის გარეშე არ უნდა მოქმედებდეს ძირეული ხმოვანთკომპლექსის უცვლელობის წესი. მაგრამ ეს საკითხი განსაკუთრებით დიდ მასალასა და დიალექტში ამ თვალსაზრისით ჩატარებულ კვლევას მოითხოვს.

ბებს".[17] მკვლევარი გამოყოფს ხმოვანთა მიკროსტრუქტურებს (პრეფიქსულ და სუფიქსურ მორფემათა მიჯნები, პრეფიქსისა და ძირის, სუფიქსისა და ძირეული ხმოვნების შესაყარი ძირეული მორფემის შიგნით) და მსჯელობს ხმოვანთა დისტრიბუციულ მიმართებებზე თითოეულ მიკროსტრუქტურაში ცალ-ცალკე, რაც შედეგად იძლევა ამ დიალექტში ფონეტიკური ცვლილების თავისებურების სწორ ახსნას.

* * *

ამჟამად საკითხს განვიხილავთ ქვემოიმერულის მეტყველების მიხედვით, რომლის მასალა საკმაო საფუძველს იძლევა მსჯელობისათვის. ქვემოიმერული ბგერათცვლილების პროცესში განვითარების მეორე საფეხურზე ჩერდება და ადგილი აქვს ნაწილობრივ ასიმილაციას. სრული ასიმილაციის ნიმუშები ქვემოიმერულ'ში მცირეა და იგი უნდა აიხსნას ან გურულის გავლენით მომიჯნავე რეგიონებში, ან ფიზიოლოგიურად ახლო მყოფი ბგერების მიერ ფონეტიკური ცვლილების ერთი საფეხურის გავლით (ოუ → უუ).[18] მსჯელობისას გამოირიცხება ქვემოიმერულის სამტრედიული თქმა, რომელიც ცალკე დგას და სადაც ძირითადად სრული ასიმილაცია გვაქვს.[19]

ჩვენ მიერ განსახილველი მასალა ქვემოიმერულის ვანური თქმის კუთვნილებაა. აქ ძირითადად დასტურდება ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია; სრული ასიმილაციის შემთხვევები მცირეა.

განსახილველი მასალა ჩაწერილია ვანის რაიონში, სოფელ **გადიდში**. გაბმული თხრობის სახით ჩაწერილ ტექსტებში შედის როგორც მეურნეობისა და გლეხის ყოფის სხვადასხვა სფეროს ამსახველი, ისე დარგობრივი ლექსიკის შემცველი ნიმუშები; გარდა ამისა, ჩაწერილ იქნა ნაწყვეტები სასაუბრო მეტყველებიდან, რომელთა ცალკეული ფრაზები ძირითადად ასახავენ ქვემოიმერული დიალექტის ერთი სოფლის მეტყველების მთავარ თავისებურებებს; საკითხზე მსჯელობისას განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ზოგიერთი ლექსიკური ერთეულიც.

---

[17] გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბ., 1978, გვ. 21.
[18] კლ. კუბლაშვილი, იქვე, გვ. 238-239.
[19] შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 113; კლ. კუბლაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 223.

§1. აი კომპლექსი

1) სიტყვის თავში აი კომპლექსი იქმნება მორფემათა შესაყარზე, ზმნისწინისეული ა-სა და გვარის (ვნებითი და საშუალ-მოქმედებითი) ან ქცევის (სათავისო ან სასხვისო) ნიშნისეული ი-ს შეხვედრის შედეგად. ხმოვანთკომპლექსში ფართო ხმოვანს მოსდევს ვიწრო ხმოვანი: უკიდურესად ვიწრო ი რეგრესული ასიმილაციის მოქმედების შედეგად ავიწროებს ფართო ა ხმოვანს და აქცევს მას საშუალო ღიაობის ე-დ: აი → ეი. ეს პროცესი, სხვა დასავლურ დიალექტებთან ერთად, დამახასიათებელია ქვემოიმერულისთვისაც. რაიმე მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, თუ რომელი კატეგორიის ნიშანია ი; იგი ყველა შემთხვევაში ახდენს ზმნისწინისეული ა-ს ნაწილობრივ ასიმილაციას. ა) ვნებითი გვარის ნიშანი (ი): ეიწენწა, გეიწურება, ეიფსება, გეირჩევა, გეილურსა, გარეიქცა, გეიჩოლყა (ძალზე გაძღომა), დეიჯღონკება ხეი (ხის დეფორმირება გახმობისას), დეიტუზება, დეიდღლიზა, ჩეიკვეთება (რძეი), ეიშალა (სიმიდე), ეითოხნა (ცა — გამოდარებისას ცის აჭრა), გეილორდება (თხილი — მცენარის ფოთლებად წასვლა) და ა. შ.

ბ) ზმნისწინისეული ა და ქცევის ნიშანი ი: ეიანცა, ეიღეფ, დეიკავო, წეიღეფ, დეიწყეფს, გეიკეთეფს, გეიგებდენ, დეიბანონ, გეიჩენს, დეირცოფ (გულს — შიმშილს დაიკმაყოფილებ), გეიგონა, დეიწუნებდენ, დეიბარებდენ, ჩეიმეორე, ჩეიწერდა, ეიტანა... გეიხარა, დეიძინა, დეიწყევლო, გარეიარს, დეიფშტვინა: დეიარება (ი ძირისეულია).

2) სუფიქსურ მორფემათა შესაყარზე აი კომპლექსი მაშინ გვეძლევა, როცა ერთმარცვლიან ა ხმოვანფუძიან სახელებს დაერთვის სახელობითი ბრუნვის ნიშანი ი (იგი სრული ი-ს სახით გვეძლევა ქვემოიმერულში). განსხვავებით განხილული აი კომპლექსისაგან, იგი ყოველთვის უცვლელია, არ განიცდის არავითარ ფონეტიკურ გარდაქმნას: დაი, გზაი, სხვაი, რვაი, ხდაი (ოტკის ხდაი), თქმაი, ძმაი, ქვაი, თხაი, რაი, წყთაი („ცხრა წყთაი ენა აქ")...

სიტყვაში „რეიზა" (რატომ) ეი კომპლექსი აი-ს ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად მიღებული ფორმაა: რა-ის-თვის → რა-ის-ზა (თვის) → რა-ი-ზა → რეიზა. ეს იმგვარი შემთხვევაა, როცა ძირისეუ-

ლი ა ხმოვანია ასიმილირებული სუფიქსისეული ი-ს გავლენით. სხვა ნიმუშები: ყველა-ის → ყველეის; ყველა-ის-ზა → ყველე-ი-ზა, ვინცხა-ის → ვინცხეის[20].

ბგერათცვლილებას არ ემორჩილება კომპლექსი, რომელიც -ია6 სუფიქსის დართვით არის შექმნილი ა ფუძიან სახელებთან: ძმაიანი, დაიანი ("შენახვდომის ლოცვა: „შენახვდომო დაიანო, შენახვდომო ძმაიანო..."), გზაიანი, ქვაიანი... ამგვარი ფორმები ჩვეულებრივია ქვემოიმერულისათვის; სალიტერატურო ქარ[illegible]ელის გავლენით პარალელურად იხმარება შეკვეცილი ფორმაც: გზიანი, ქვიანი... მაგრამ სრულ, ურედუქციო ფორმაში ხმოვანთკომპლექსი საერთოდ უცვლელი სახითაა. კომპლექსის უცვლელობას უნდა განაპირობებდეს ა ხმოვნის ძირისეულობა.

3) ძირისეული ხმოვანთკომპლექსის შესახებ მსჯელობისას შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ვითარება:

ა) ძირისეული ხმოვანთკომპლექსი არ განიცდის ცვლილებას: ლაინი (ლაინივით შავია), გამოჩაირებული ("შესამჩნევ ადგილზე მყოფი, გამოსაჩენი), ყაილა („ყაილაზეა შემდგარი", აყაილებულია ("შარზეა, საბაბს ეძებს), საიდუმლო, ფაიტონი, მაიში (მაისი), ნაი (წყალი ბავშვის ენით), ლაინძიე (შეტსახელი), მაინც (ეს უკანასკნელი გვხვდება ამ ფორმითაც მანდამაინც < მაინცდამაინც); რაც შეეხება შემდგომ ჩამოთვლილ ფორმებს, უცვლელ ხმოვანთკომპლექსიან ფორმათა გვერდით შეიძლება შეგვხვდეს ასიმილირებული ვარიანტებიც: საგაისოთ || საგეისოთ („გეისიზა მინდა"), საინი || სეინი. საინტერესო || სეინტერესო (აქ გამოიყოფა ьа — ъ მაწარმოებლები და ბგერათცვლილებისათვის შესაძლოა საფუძველი ამან შექმნა).

ბ) ხმოვანთკომპლექსი შექმნილია ძირისეული თანხმოვნის ამოვარდნის შედეგად. ამგვარად მიღებული ხმოვანთკომპლექსიც უცვლელია, რადგან აღიქმება როგორც ძირეული: ქაიბორა (< ქარი + ბორა — მაღალი, გაშლილი ადგილი, სადაც მუდამ ქარი ქრის), მაითინ (< მაგითინ), მაიზა (< მაგიზა — გვხვდება ეს ფორმაც).

გ) ხმოვანთკომპლექსი, რომელიც სიტყვის შუაშია მოქცეული და აღიქმება როგორც ძირეული, მაგრამ არსებობს ამ სიტყვათა პარალე-

[20] ამ ფორმის მიღების შესახებ იხ. ს. ჟღენტი, გურული კილო, თბ., 1936, გვ. 66.

ლური ვარიანტები ასიმილირებული ბგერათკომპლექსით: ქუთაიში — იხმარება როგორც ასიმილირებული, ისე არაასიმილირებული ფორმა. ამ შემთხვევაში ეს პროცესი შეიძლება აიხსნას იმით, რომ თუმცა კომპლექსი სიტყვის შუაშია, მაგრამ წარმოშობით მორფემათა ზღვარზეა შექმნილი: ქუთათ-ის-ი → **ქუთაის-ი** → **ქუთაისი**; ამდენად, ცვლილებაც მოსალოდნელი იყო და დასტურდება კიდეც: ქუთეისი (ეს ფორმა იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ ასიმილაციას განიცდის ძირეული ხმოვანი, რაც საერთოდ იშვიათია[21]). ქუთაიში || ქუთეიში.

ამგვარ ნიმუშთა რიცხვშია შედგენილი სიტყვები, რომლის მეორე კომპონენტადაა **-ნაირი**. დასტურდება როგორც ასიმილირებული, ისე არაასიმილირებული ფორმები; ერთი მხრივ: ერთნაირია (იგენი), მორენაირი, რანაირი, რაცხანაირი, მესამენაირი... ამის პარალელურად: სხვანეირი, ოთხნეირი, სამნეირი, რანეირი, იმნეირი, სხვანეირი... იმერულში ეს ფორმა გარდა მაწარმოებელი ელემენტის ფუნქციისა, დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ლექსიკურ ერთეულადაც გვევლინება: უნაირი-უჩვეულო, უცნაური (ის რაც არანაირი არაა: „უნაირო სიცხეა დღეს"). მსგავსად საწარმოებელი ელემენტისა, ამ სიტყვის ასიმილირებული ვარიანტიც გვხვდება, თუმცა ძირეულ კომპლექსში ნაკლებ იყო მოსალოდნელი ხმოვანთკომპლექსის ცვლილება, მაგრამ სიტყვა ამგვარი ფორმითაც დასტურდება: უნეირო („დიდი უნეირო კაცია რაცხა"). რით უნდა იყოს ეს გამოწვეული? შეიძლება დავუშვათ ორი ვარაუდი: პირველი, რომ **-ნაირი** რთული შედგენილობის მაწარმოებელია და სხვადასხვა მორფემათა შესაყარზე არსებული ხმოვანთკომპლექსი განიცდის ასიმილაციას. მაგრამ ამ ვარაუდს ხელს უშლის ის, რომ **-ნაირი** ქართული წარმოშობისად არაა მიჩნეული. ამის შესახებ აკ. შანიძე წერს: „ეს სიტყვა მარტივად ცალკე არ გვხვდება, მაგრამ გაორკეცებით ცალკეც ითქმის („ნაირ-ნაირი") და მნიშვნელობით ამას უდრის „სხვადასხვა". წარმოშობით უნდა იყოს

[21] „უფრო ძლიერაა გავრცელებული პრევერბისეული ა ფონემის (ისე როგორც ყველა სხვა პრევერბისეული ხმოვნის) სახეცვლილება, ვიდრე ფუძისეულისა, მეტადრე დასავლურ კილოებში"(იხ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949, გვ. 284).

არაბული **ნაზირ** „შესახედავი“, „მსგავსი“.[22] ამ აზრის მიხედვით ქართული **-ნაირი** „ზ“ დაკარგული ფორმაა არაბული სიტყვისა; მნიშვნელობას მოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ აღნიშნული სიტყვა ქვემოიმერულში ცალკე ლექსიკური ერთეულიცაა (უნეირო) და საწარმოებელი ელემენტიც. მეორე ვარაუდით, რადგან **-ნაირი** მაწარმოებელია და თავად აღიქმება სუფიქსად, შესაძლოა მასში მომხდარი ბგერათცვლილება უჩვეულო არ უნდა ყოფილიყო; ხოლო ლექსიკური ერთეულის ფონეტიკური ცვლილება შესაძლოა ანალოგიით აიხსნას: რადგან ჩვეულებრივია ფორმა „სხვანეირი“, უჩვეულო არ უნდა ყოფილიყო ფორმა „უნეიროც“.

დ) ორი სიტყვის შეერთებით მიღებული ხმოვანთკომპლექსი, თუმცა შედეგის მიხედვით ძირეულად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ დასტურდება ამგვარი კომპლექსის ასიმილირებული ვარიანტი: რეიქნა (< რა-იქნა), რეიტო (რა-მიტომ→რა-იტომ→რაიტო), ეისე (აიისე→ა-ისე→ეის).

§2. **აუ კომპლექსი**

1) პრეფიქსულ მორფემათა შეხვედრისას წარმოქმნილ **აუ** კომპლექსს ქვემოიმერულში ძირითადად ნაწილობრივი ასიმილაცია ახასიათებს: **აუ → ოუ**; იშიათია სრული ასიმილაციის ფორმები.

ა) ხმოვანთკომპლექსი შექმნილია ზმნისწინისეული **ა** ხმოვნითა და უარყოფითი ნაწილაკით **უ**: დოუმწიფებელი, დოუკეთებელი, დოუღეჭავი, გაროუღებელი, წოუდგომელი (გამოუსადეგარი), გოუპუწკნელი, გაროუხურავი, ჩოუთავნავი...

ბ) ზმნისწინის **ა** + სასხვისო ქცევის **უ**: ოულიაშე (დაჟინებით რაიმეს თქმა), გოუსოფ (ხელს), მოუჭირეფ, წოუთლი (თავს), გოუშვი (ხელი), გოუბედავდა, გოუფენს (ენას), დოუფსე (ყური), დოურევთ, დოურიგებენ, ოურ-დოურევთ, გაროუსვა, გოუყრის, დოუბამს, დოუთქმოვია, დოუტოვია...

გ) პრევერბისეული **ა** და საშუალ-მოქმედებითი გვარის **უ**: წოურეკავ (თხილს), დოუძახეფ, გოუკაკილეფ (თხილს — ერთ რიგად გა-

[22] აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზ., ტ. III, თბ., 1980, გვ. 119.

შლა), დოუბერა ქარმა, დოუფშტვინა (იგენს)... წოუდა, გაროუდა (ვადა), დოურჩება, დოუკვირდი, ოუთავდები (საქმეს), გოუცივდება... იშვიათია სრული ასიმილაციის ფორმები: აუ → უუ: გუუშვა, გუუკეთეფთ, რაც გურულის გავლენას შეიძლება მივაწეროთ..

2) ძირეულ პოზიციაში ეს კომპლექსი ნაკლებ იშვიათად თუ დასტურდება, უმეტესად ის წარმოშობით მორფემისეული ხმოვნების შეხვედრის შედეგია და ამდენად მოსალოდნელია ასიმილაცია, რაც დასტურდება კიდეც: ცოლიკოური (< ცოლიკაური)... რაც შეეხება „ინდოური" ფორმას, სწორი დიალექტური ფორმა სალიტერატურო ენის „ინდაური" დისიმილაციითაა მიღებული. ამ სიტყვებში -ურ მაწარმოებელი შინაარსობრივად შეიძლება არც გამოიყოს, მაგრამ გრამატიკულად მისი აფიქსურობა უეჭველია.

ცალკე მორფემად არ აღიქმება არც „აუცილებელი"-ს **ა**, მაგრამ სხვა ფორმების არსებობა ადასტურებს **ა**-ს ზმნისწინისეულობას: **უ** — უარყოფითი ნაწილაკი: ა-უ-ცილებელი; შდრ.: მოუცილებელი, გოუცილებელი, წოუცილებელი... დასტურდება „აუცილებელი"-ს ასიმილირებული ვარიანტიც ოუცილებელი. იგივე შეიძლება ითქვას „ოუარებელ" ფორმაზე: ა-უ-არება — **ა** < აღ; **უ** — უარყოფითი ნაწილაკი.[23] თუმცა შეიძლება შეგვხვდეს სალიტერატურო ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმაც: აუარებელი ‖ ოუარებელი („ოუარებელი /აუარებელი საქმეა სოფელში"). **აუ** კომპლექსის შემცველია „აზნაური, აზნაურიშვილი". ცნობილია, რომ აღნიშნული სიტყვა არაქართული წარმოშობისაა, კერძოდ, სპარსულიდანაა ნასესხები. საინტერესოა, რომ იმერულში და სხვა დასავლურ დიალექტებშიც **აუ** კომპლექსი ცვლილია **ოუ**-დ. სწორედ ეს გარემოება სვამს საკითხს: არის თუ არა **აუ** კომპლექსი ძირეული, ანუ ქართულმა ლექსიკური ერთეული ისესხა თავისივე მაწარმოებლებით, თუ მხოლოდ ძირი შეითვისა და შემდგომ წარმოების საკუთარ წესზე გამართა იგი; აქ უნდა მოვიგონოთ ერთი ფრაზა უძველესი აგიოგრაფიული ძეგლიდან „შუშანიკის წამება": „აზნაური დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს".

ყურადღებამისაქცევია ფორმა „უაზნონი"; აშკარად გამოიყოფა ძირი **აზნ**, **უ** — **ო** უქონლობის მაწარმოებელია, -ნ-ნართანიანი მრავ-

[23] თ. უთურგაიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 27.

ლობითისა, **ი** — სახელობითი ბრუნვის ნიშანი. ძირმა, როგორც კი სხვა წარმოება გაიჩინა, მოიშორა **-ურ** სუფიქსი. ირანული ენის მკლევრის მზ. ანდრონიკაშვილის მოსაზრებით ფორმა „აზნაური“ უკავშირდება ძველ ირანულ ფუძეს. მეცნიერი წერს: „ამოსავალ ფორმად ჩვენ მივიჩნევთ ძველ ირანულ ფუძეს *Ë-znË-ს, სადაც თავკიდურა Ë პრევერბს წარმოადგენს“.[24]ის, თუ რატომ დასტურდება „უაზნო“-ში ძირი **აზნ** და არა **აზნა**, შეიძლება იმით ავხსნათ, რომ აქ ბოლოკიდური **ა** დაიკარგა სუფიქსისეული **ო**-ს დართვის შედეგად. მკვლევარი **-ურ** მაწარმოებელს მხოლოდ ქართულად მიიჩნევს „ირანული ფუძე Ë-znË ნასესხებია ქართულსა და სომხურში, გაფორმებულია ადგილობრივი ადიექტიური სუფიქსებით: ქართ.: აზნ-(ა)-ურ, სომხ.: axyru წარჩინებული, კეთილშობილი აზნაური“.[25] მოყვანილმა მსჯელობამ ახსნა როგორც „უაზნო“ ფორმის საკითხი, ასევე იგი შესაძლებლობას გვაძლევს, ავხსნათ დიალექტებში დადასტურებული ფორმის მიღების საფუძველიც. აქ **აუ** კომპლექსი მორფემათა შესაყარზე იქმნება და ამდენად მისი ცვლილებაც მოულოდნელი არ უნდა იყოს: **ა** — ძირისეულია, **უ** — კი წარმომავლობის სახელთა მაწარმოებელი **-ურ** სუფიქსისეული. ასიმილაციას განიცდის ძირისეული **ა**. ეს იშვიათია, მაგრამ არა დაუშვებელი.[26]„აზნაური“ ფორმა იმდენად ბუნებრივია იმერული მეტყველებისათვის, რომ დ. კლდიაშვილმა იგი სწორედ ასიმილირებული ფორმით იხმარა თავის ნაწარმოებებში,[27] რაც შეეხება ფორმას „აზნოურიშვილი“ (<აზნოურიშვილი), იგი რედუცირებული ფორმაა.

უცვლელია **აუ** კომპლექსი სიტყვებში: თაუშათ — ნელ-ნელა („საქმეს თაუშათ უნდ მიყვე“), თავშაუკა — ჩიტია ერთგვარი (შდრ.: თავშავა „თავშაუკეს ბეღრტყუებივითა ჩაწყობილი ბაღნები“). ამ უკანასკნელში **-უკა** კნინობითის მაწარმოებელია. **ა** ფუძისეულია და მისი ცვლილება ამ ფორმაში არ ხდება.

---

[24]შზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966, გვ. 220.

[25]იქვე. გვ. 221

[26]ამგვარი შემთხვევები, ჩვენს მასალაშიც დასტურდება, შდრ.: რეიზა.

[27]იხ. დ. კლდიაშვილი „ქამუშაძის გაჯირვება“; აგრეთვე: ქ. ძოწენიძე, დავით კლდიაშვილის პერსონაჟთა მეტყველება, წიგნში: ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973, გვ. 311-320.

§3. აე კომპლექსი

1) პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე **აე** კომპლექსი იქმნება ზმნისწინისეული **ა**-სა და ვნებითი გვარის ნიშნის **ე**-ს შეხვედრით; სრული ასიმილაციის შედეგად გვეძლევა **ეე**: აე→ ეე. **ე** იმსგავსებს **ა**-ს ღიაობის მიხედვით, ასევე წარმოების ადგილის მიხედვითაც, ნეიტრალური მდგომარეობის ხმოვანს აქცევს წინა არტიკულაციის ხმოვნად,[28] შედეგია სრული ასიმილაცია.

ა) ზმნისწინის **ა** + ვნებითი გვარის **ე**: დეებადოს (ბაღანე), გეებღოზა (ფეხი — გაეფხაჭნა), დეესევა, გარეებორგა, ეეშლება (კუჭი), დეემჯგალა, დეეტაკოს, გეექცეოდა, წეემწვათა (თავი ჯოხს — წაწვეტება)...

ბ) III სერიის ფორმაში (II თურმ.): დეეწერენ ჯვარი, გარეესახლა, დეეკაებიე...

2) ძირეულ მორფემაში ეს კომპლექსი იშვიათია. ჩვენს მასალაშიც მხოლოდ ორი სიტყვა დასტურდება. ერთია „გამოყვაებული — ძალიან გამხდარი, სიგამხდრისაგან დასუსტებული („იქინე რაი ქონდა საჭმელი, რო ჩამოით გამოყვაებული"). აქ **აე** კომპლექსი თანხმოვნის ამოვარდნის შედეგადაა მიღებული: მოხდა **ვ**-ს რედუქცია: გამოყვაებული > გამოყვაებული (ეს აზრობრივადაც ივარაუდება, სიტყვაში იგულისხმება ყვავის სიგამხდრე და სიშავე); ვაება („ერთი ვაება შეიქნა, ერთი უბედურობა").

§4. აო კომპლექსი

აო კომპლექსი, განსხვავებით ზემოჩამოთვლილი კომპლექსებისაგან, პრეფიქსულ მორფემათა შესაყარზე არ იქმნება. კომპლექსი წარმოქმნილია ზმნისწინისეული და ფუძისეული ხმოვნების შეხვედრით: დაობება; **ან** ნამყო დროის მიმღეობის მაწარმოებელი **ნა**- პრეფიქსისა და ფუძისეული ხმოვნით: ნაორკანები (აბრეშუმი მეორე კანის მოცვლის შემდეგ). კომპლექსი უცვლელია, ფუძისეული ხმოვანი გავლენას ვერ ახდენს წინამავალ **ა**-ზე.

ძირეულ პოზიციაში **აო** კომპლექსი დაცულია შემდეგ სიტყვებში: ჩაო ადგილი — დაბალი, ჩავარდნილი ქარისა და მზისგან მოფა-

[28] კლ. კუბლაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 224.

რებული ადგილი; გაჯაოხებული (გაჯაოხდა) — გახიდული; კანაო...

სუფიქსურ მორფემათა შესაყარზე ეს კომპლექსი რამდენიმე შემთხვევაში გვხვდება:

ა) როცა ხმოვანთკომპლექსის მეორე კომპონენტია სხვათასიტყვის **ო**: „დანე გვაქ მაღლაო, არიქაო, ვიშონოთო ხალხიო და შევიყვანოთ ძროხაო". „თუ წრეი არ ვარგაო, ქალი რათ მინდაო", „მაიო შენახვდომი იქნებაო", „ვასასიმ იცის საწერლის ლოცვაო" და ა.შ. უცვლელია კომპლექსი მაშინაც, როცა ორივე ხმოვანი მორფემისეულია, ე. ი. **ა** მეშველი ზმნის შეკვეცილ ფორმად გვევლინება სიტყვაში, **ო** — კი სხვათასიტყვის ნაწილაკია: „პირს ვერ მიაკარეფ, ისე წარეაო", „იმას ჩაყრიან ნაცრიძალიაო თუ რაცხაო".

ბ) ხმოვანთკომპლექსი შექმნილია ფუძისეული **ა**-სა და **-ობ** თემის ნიშნის ხმოვნით. გარკვეულ სიტყვებში ეს კომპლექსი უცვლელი სახით დასტურდება: „ნუ კიწაოფთ ბაღნებო, ნუ!..." ქიჩაობა (თავისკენ მიზიდვა, „არ დამიწყო ქიჩაობა?!") და ა. შ. ამ სიტყვათა ასიმილირებული ვარიანტები არ დასტურდება, მაგრამ სიტყვა „მუშაობა" გვხვდება უცვლელი ფორმითაც („კარ მუშაოფს ახლა იგი", „გაზაფხულზე დევიწყეფ მუშაობას") და სრული ასიმილაციის შედეგად მიღებულია **ოო** კომპლექსითაც: აო → ოო („ღვდლათ მუშოობდა ბიქტორ გერსამია", „ნეტე ახალგაზდა ვიყვე და მუშოობდე").

გ) **აო** კომპლექსი შექმნილია **-ობა** აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსით: „ამისანაობა იცოდენ"...

მსჯელობიდან გამომდინარე, **აო** კომპლექსი ძირითადად უცვლელია, მაგრამ ხდება მისი სრული ასიმილაციაც.

§5. **ოი კომპლექსი**

1) პრეფიქსულ მორფემათა მიჯნის **ოი** კომპლექსი ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგად იძლევა **ეი**-ს: ოი → ეი. ხმოვანთკომპლექსი იქმნება: ა) ზმნისწინისეული **ო**-სა და ვნებითი გვარის ნიშნის **ი**-ს თავშეყრით: მეიხარჩება, მეიკრიფება, გამეილევა, მეითხარა, გადმეიქანჯა (გადმოიხარა), გამეიფშვნება, გამეიჩეკებოდა, მეიხსნა, ჩამეილევა...

ბ) ზმნისწინის **ო**-სა და საშ.-მოქმედებითი გვარის ნიშნის **ი**-ს მეშველობით: გამეიდარებდა, მეიღუბლა...

გ) ზმნისწინისეული ხმოვნისა და სათავისო ქცევის **ი**-ს შესაყარზე: მეიმატეფს, მეიკლეფს, ამეიღო, მეიტანა, გამეიმბამს, მეიწოვენ (სტუმრებს), ამეიყარა, გამეიღეფს (ნიშანს ხეი), მეიგოჯიჯე, მეიბიცებდა (მიწა თავს — ოდნავ მოხმობა, მოწტობა), მეიგებდა ძროხა ხბოს...

დ) ზმნისწინისეულ **ო**-ს ნაწილობრივი ასიმილაციის შედეგად **ე**-დ აქცევს ფუძისეული **ი**-ც: მეიარ, გამეიარს, ჩამეიარს...

2) ძირეულ ხმოვნებად **ოი** კომპლექსი გვევლინება სიტყვებში: გამოინარებული (განებივრებული, ნებაზე მიშვებული), დოისი, დოი (ბატების გასარეკი და მოსახმობი შეძახილები), კოინდარი, ბოიკიე (გადატ. მნიშვნ. დიდი ტანისა), წოიო (წვრილი და მაღალი ტანის კაცი); ძირეული თანხმოვნის ამოვარდნის შედეგადაა მიღებული სიტყვაში „როიც“ (როდის → როის → როიც); რაც შეეხება სიტყვას „არალოიც“, იგი რთული ფონეტიკური პროცესის შედეგად მიღებული უნდა იყოს სიტყვისაგან „არაროდის“: არაროდის → არაროის → არალოის → არალოიც.

3) სუფიქსურ მორფემათა შესაყარზე ეს ხმოვანთკომპლექსი გვეძლევა: ა) ერთმარცვლიან **ო** ხმოვანფუძიან სახელებზე სახელობითი ბრუნვის ნიშნის **ი**-ს დართვის შედეგად. კომპლექსი აქაც უცვლელია, რასაც **აი** კომპლექსის მსგავსად ამავე პოზიციაში უნდა განაპირობებდეს **ო**-ს ძირისეულობა: ხბოი || ხპოი, შტოი, დროი...

ბ) **ო** ფუძიან სახელებზე **-ოან** სუფიქსის დართვით კომპლექსი უცვლელია: ერკილოიანი, ორკილოიანი, ნახევარკილოიანი... გემოიანი, პეჟოიანი...

გ) **ო**-ს ვერ ცვლის ნათ. და მოქ. ბრუნვის ნიშნისეული ხმოვანი: წვაღოით, კვეჟოით, ვედროით, სუროით, გოგოის... ბრუნვის თანდებულიანი ფორმის ხმარების შემთხვევაში: საღამოიზა, ოჩხუჟოიზა...

ოი კომპლექსი ასიმილირებულია მხოლოდ პრეფიქსულ მორფემათა მიჯნაზე, სხვა პოზიციაში **ო** ხმოვანი არავითარ ფონეტიკურ ცვლილებას არ ექვემდებარება.

§6. **ოუ** კომპლექსი

ოუ კომპლექსი მეორეულია, რამდენადაც **აუ** ასიმილაციით დასავლურ კილოებში, ჩვეულებრივ, **ოუ**-ს იძლევა (აუ → ოუ). **უ**-ს სრული ასიმილაციის შემთხვევის შესახებ კლ. კუბლაშვილი სპეციალურად შენიშნავდა, რომ **უუ** კომპლექსი იმერულში არა **აუ**-ს სრული ასიმილაციის შედეგია, არამედ **ოუ** კომპლექსის მიერ ფონეტიკური ცვლილების მხოლოდ ერთი საფეხურის გავლაა.[29] ამ ვარაუდს ამტკიცებს სრული ასიმილაციის ფორმები, რომლებიც **ოუ** კომპლექსისაგან მომდინარეობს — მუუშიებია... მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, თავად **ოუ** ხმოვანთკომპლექსი ჩვეულებრივია იმერულისათვის და ეს დიალექტი ძირითადად უცვლელად ტოვებს მას, ფონეტიკურ პროცესს აღარ აგრძელებს. იმ სოფლის მეტყველებაში, რომელსაც მსჯელობისას ვეყრდნობით (ვანური თქმა), სრული ასიმილაციის ფორმები, თუნდაც **ოუ** კომპლექსისაგან მომდინარე, ძალზე იშვიათია. თუკი მთქმელმა სრული ასიმილაციის ხმოვანთკომპლექსი გამოიყენა საუბრისას, მისთვის არაასიმილირებული ფორმა იმდენად ბუნებრივია, რომ თუნდაც ერთ ფრაზაში გარდაქმნის ამ პროცესს ბოლომდე არ ატარებს და იმავე ხმოვანთკომპლექსს იმავე პოზიციაში უკვე არაასიმილირებული ფორმით წარმოთქვამს: „მამაჩემს... არც მუუშიებია ჩვენთვის და არც მოუწყურებია“... იმავე ტექსტში: „არ მოუშიებივართ საწყალ მამაჩემს, მართლა არ მოუშიებივართ“... ე. ი. **ოუ** კომპლექსი ქვემოიმერულის ვანურ თქმაში ძირითადად უცვლელად დასტურდება. იგი იქმნება: ა) **მო-** ზმნისწინისა და **უ-** უარყოფითი ნაწილაკის ხმოვნებით: მოუბამი, მოუბრუნებელი...

ბ) ზმნისწინისა და სასხვისო ქცევის ხმოვნებით: მოუსოფ, მოუჟნობს...

გ) ზმნისწინისეული და საშ.-მოქმედებითი გვარის პრეფიქსები ხმოვნებით: შამოუკვერცხავთ (ხის მრგვლად შემოთლა), მოუდათ (ჩხუბი)...

დ) III სერიის ფორმებში: არ მოუბია, არ ამოუღია ენა, არ მოუტანია, მოუშიებია, მოუწყურებია...

ძირეულ პოზიციაში ეს კომპლექსი შედარებით ნაკლებ გხვდება: სოუ (ჯიში, ჯილაგი, წარმომავლობა „რა სოუს ხალხია აგენი?...“).

---

[29] კლ. კუბლაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 238.

§7. ეი კომპლექსი

ეი კომპლექსის შესახებ იგივე შეიძლება ითქვას, იგი ბუნებრივია დიალექტისათვის, მისი ფონეტიკური ცვლილება არ ხდება არც პრეფიქსულ მორფემათა შესაყარზე და არც სხვა პოზიციაში: შექმნილია ზმნისწინისა (შე-) და სათავისო ქცევის (ი) ხმოვნებით: შეინახავ, შეიხოვს.. ე- ვნებითის ნიშანია: შეიქმნა...

სიტყვის ძირში **ეი** კომპლექსი დასტურდება შემდეგ სიტყვებში: ქეიფი, ქეიფობდენ; შეილება (< შეიძლება), ზეითური ზეთი (< ზეითუნის ზეთი), ეიში (ხარის გასადენი შეძახილი: „ეიში, ხარო!“), ზეინდარი (სოფლის სახელი). დღეისტორი — თუმცა ერთ სიტყვად წარმოგვიდგება, მაგრამ აქ **ეი** კომპლექსი მორფემათა შესაყარზეა წარმოქმნილი: დღე-ის-სწორი > დღე-ი-სტორი; ხოლო სიტყვაში „ქვეითრელე“ — თანხმოვნის (ვ) რედუქციითაა შექმნილი, ისევე როგორც სიტყვაში ქვეით „ქვევით“.

სუფიქსურ მორფემათა შესაყარზე **ეი** კომპლექსი იქმნება:

ა) **ე**- ხმოვანფუძიან სახელებზე **ი** სახელობითი ბრუნვის ნიშნის დართვით: რძეი, ხეი, დღეი, ბზეი, ტყეი...

ბ) ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის დართვით **ე** ხმოვანფუძიან სახელებთან: შორეის, რამეის, ხეის... ასევე უნდა იყოს წარმოქმნილი. ოღონდ ნათ. ბრუნვის ნიშნის თანხმოვნითი ნაწილის დაკარგვით ტოპონიმი: ლიხეი ტპაზე (თანდებულიანი ფორმაა: „დავდენიდით საქონელს ლიხეი ტპაზე“).

გ) **ე** ხმოვანფუძიან სახელთა თანდებულიან ფორმებში: რძეისნაირი, ხეიზა, ტყეიზა, დღეიზა...

§8. ეუ კომპლექსი

ეუ კომპლექსი პრეფიქსულ მორფემათა შესაყარზე შედარებით იშვიათია: ნაწილობრივი ასიმილაციის მოქმედების შედეგად ვიღებთ **ოუ**-ს (ეუ → ოუ): შოუსტვენდი (შევუწვდი).

სუფიქსურ მორფემათა შესაყარზე აღნიშნული ხმოვანთკომპლექსი ასიმილირებული ფორმით გვხვდება (ოუ): ნამხროული. ცოლოური, წროულს (< წლეულს), შეაზნოულა (< შეაზნეულა), ანდღლოუ-

ლი (< ამღვრეული), საბზოური (< სამზე-ურ-ი → სა-ბზე-ურ-ი → სა-ბზო-ურ-ი); ასიმილირებულია ძირეული ხმოვანი, ბერწოული (< ბროწეული)... ერთ ფორმაში „მეურნეობა“ („მეურნეობებში თესავენ ნიგოზს“) **ეუ** კომპლექსი უცვლელი სახით დასტურდება.

*
* *

ხმოვანთკომპლექსს, რომელშიც ვიწრო ხმოვანს მოსდევს ფართო ხმოვანი, ახასიათებს წინამავალი ვიწრო ხმოვნის კიდევ უფრო დავიწროება და საბოლოოდ დიფთონგიზაცია.[30] ნიმუშთა განხილვის მეშვეობით ვნახოთ, როგორც ხორციელდება ეს პროცესი ქვემოიმერულში.

§9. **ოა** კომპლექსი

ოა კომპლექსში, როგორც შ. ძიძიგური აღნიშნავს, ცვლილების პირველი საფეხურია **უა** კომპლექსად ქცევა: „**ოა** კომპლექსის სახეცვლილების პირველი საფეხური **უა** საერთოა აღმოსავლური და დასავლური კილოებისათვის, იმ განსხვავებით, რომ აღმოსავლურში უმთავრესად სიტყვის ბოლოს ხდება ეს, დასავლურში — უმთავრესად პრევერბებში“.[31] უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მასალაში დადასტურებულ ფორმებში **ოა** კომპლექსი უცვლელია. ხმოვანთკომპლექსი იქმნება პრევერბისეული **ო** და საარვისო ქცევის გამომხატველი **ა** ხმოვნებით: მოაბძგოვ (შენ, მოფანტვა, მოყრა), მოათრია, მოამწრიახეფს (დაგრეხვა), ჩამოანცუმ (შენ), გარმოადუღებენ, ამოაშროფს, მოახლაფორთა, გამოახანდაკა (გამოაცარიელა), გამოაჟანჟღალე, გამოაჩთება... მოაქვენ, გამოაქ...

ა „**არის**“ ზმნის შეკვეცილი სახე: როა...

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ **ოა** კომპლექსი ვანურ თქმაში უცვლელია.

---

[30] შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 118-119.

[31] იქვე., გვ. 119.

§10. ეა კომპლექსი

უცვლელია **ეა** კომპლექსიც; **ე**-ს დავიწროებასა და **ი**-დ ქცევას ქვემოიმერულში ადგილი არა აქვს. — ხმოვანთკომპლექსი შექმნილია:

ა) ზმნიწინისა და საარვისო ქცევის ხმოვნებით: შეაბამდა, შეამჩნევ, შეაბრუნა...

ბ) ვნებითი გვარის ნიშნითა და ფუძისეული **ა** ხმოვნით: გეამება...

გ) **მე**- პრეფიქსითა და ფუძისეული ხმოვნით (მე-ე აფიქსები): მეამინე ანგელოზი, მეაბრეშუმეები...

სუფიქსურ მორფემათა მიჯნაზე კომპლექსი იქმნება **ე** ხმოვანფუძიან სახელებზე „არს" მეშველი ზმნის შეკვეცილი ფორმის დართვით; ამ პოზიციაში ამგვარად შექმნილი სხვა ხმოვანთკომპლექსების მსგავსად, ეს კომპლექსიც უცვლელია: სინამდვილეა, ბაჟეა (ლეღვი), ფჩუტალეა (თხილი, ცარიელი), წარეაო, ქეა...

§11. იე კომპლექსი

იე კომპლექსი უცვლელი სახითაა დამოწმებული პრეფიქსულ მორფემათა შესაყარზე: მიეტანა, მიეპარა, მიე (< მიეცი).

იე ხმოვანთკომპლექსი დასტურდება **-იერ** სუფიქსით ნაწარმოებ სახელებშიც (ქონების სახელთა მაწარმოებელი). განსხვავებით სალიტერატურო ქართულისაგან **-იერ** სუფიქსი ქვემოიმერულში მეტად პროდუქტიულია. სალიტერატურო ქართულში **-იან** სუფიქსით ნაწარმოებ სახელებს იმერულში ხშირად ენაცვლება -იერ სუფიქსით წარმოება.[32] **იე** კომპლექსი ფონეტიკურად უცვლელადაა შენარჩუნებული აღნიშნულ პოზიციაში, მიუხედავად იმისა, თუ როგორ ფუძეს ერთვის იგი. გამოიყოფა რამდენიმე შემთხვევა:

ა) **-იერ** სუფიქსი უშუალოდ ფუძეს ერთვის: შვენიერი (შვენიერათ), შიერი, გასანახვიერი, მეხსიერი, მოციხიერდა (იტყვიან გადადარებულზე).

ბ) -იერ სუფიქსის დართვის შედეგად შეკვეცილია ფუძისეული ხმოვანი: ა-სუმიერი (შეძლებული, ქონებიანი ოჯახი; შდრ. რუს. „сумма" — თანხა, ქართ. წარმოება ფულიანი); ნებიერათ (ნელ-ნელა,

[32] კლ. კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი. თბ., 1985. გვ. 120.

დაკვირვებით, აუჩქარებლად „ნებიერათ უნდა მიყვე საქმეს“ შდრ. ნება); ე- გზასვიერი (ჭკვიანი, გონიერი და საქმიანი ადამიანი; გზასვიერი < გზა-სვე-იერ-ი), გამოსახიერებული (ძალიან გამხდარი და დასუსტებული; გამოსახიერებული < გამო-სახე-იერ-ებული).

გ) **-ოერ** სუფიქსი სიტყვაში არსებული **რ**-ს გამო დისიმილაციას განიცდის და გვევლინება **-ოელ** ფორმით: სათრიელი, გემბრიელი, ცარიელი (გვხვდება ხმოვანდაკარგული ფორმაც „ცარელე“; ცარელე (< ცარიელა-ი → ცარიელე → ცარელე). საღამოდრიელე...

-ოე კომპლექსი დასტურდება სიტყვაში „გაწიება“; ამ ფორმაში იკარგება ფუძისეული **ვ**, რაც აღდგება სხვა ფორმაში, სადაც ხმოვანთკომპლექსს ადგილი აღარ აქვს ვნებითის **დ** სუფიქსის შედეგად. გაწიება-გაწივდება (ამოსავალი ფორმა უნდა იყოს გაწივება-გამაგრება). („გაწიება იცის უბედურათ ამ ხემ“; „ყრუალე ხეი რო გაწივდება, კინასავეთ გარეიქცევა, ნედლობაზე არ ვარგა თვარა“).

ოე ხმოვანკომპლექსი მიღებულია ორი სიტყვის შეერთების შედეგად, მაგრამ ხმოვანკომპლექსის ცვლილება აქაც გამორიცხულია: ზოგიერთი (<ზოგი-ერთი);

რაც შეეხება სიტყვებს ჩაყვიელე (მცირე მოცულობის ღრმა ჭურჭელი) და ფუყიელე (ჩუმი და გაბუსხული, არამოსაუბრე ადამიანი). ამ ფორმებში **-ელ** კნინობითობის მაწარმოებლად გამოიყოფა (ეს მაწარმოებელი გვხვდება სხვა ფორმებშიც: ბაღანჭელე, ბაყაჩელე...). ამ სუფიქსით ნაწარმოებ სიტყვებს იმთავითვე კნინობითობის, უფრო დამცრობითი ელფერი ადევს; ეს ლექსიკური ერთეულები მხოლოდ **-ელ** სუფიქსით იხმარება მეტყველებაში. ცალკე დგას ამგვარად ნაწარმოები ერთი სიტყვა, რომლის უსუფიქსო ფორმაც გვხვდება ქვემოიმერულში. ესაა ჩუჟი-ჩუჟიელე (ბურუსიანი და ოდნავ წვიმიანი ამინდი). ფუძე გამოყენებულია ზმნურ ფორმაშიც: იჩუჟეფს, იჩუჟოს (ამინდმა), იჩუჟება (ამინდი); „ჩუჟიელე წუმა“ (არც წუმაა, არც დარი). ამდენად, **ოე** კომპლექსი მორფემათა შესაყარზე მიღებულ ხმოვანთკომპლექსია და იგი უცვლელია ამ პოზიციაშიც.

ზ) **იე** კომპლექსი შესაძლოა ასიმილირებული სახითაც შეგვხვდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში ისეთი პროცესი არ ხდება, როგორიც მოსალოდნელია ამ ჯგუფის ხმოვანთკომპლექსებში — წინამავალი **ი**-ს კიდევ უფრო დაიწროება და **ჲ**-დ ქცევა (იე → ჲე).[33] აქ პი-

[33] შ. ძიძიგური. დასახ. ნაშრ., გვ. 118.

რიქით: ი თავისთავად ახდენს ე ხმოვნის ასიმილაციას და აქცევს მას უფრო ვიწრო ო ხმოვნად, ე. ი. ადგილი აქვს ჩვეულებრივ პროგრესულ ასიმილაციას და არა დიფთონგიზაციას. მაგრამ ამგვარ ნიმუშთა რიცხვი მცირეა. დასტურდება: „მაგიორათ“ (შდრ.: სამაგიეროდ).

§12. იო კომპლექსი

განვიხილოთ **იო** კომპლექსი ჯერ მორფემათა შესაყარზე. პრეფიქსულ მორფემათა ზღვარზე ეს ხმოვანთკომპლექსი არ დასტურდება. იგი დამოწმებულია სუფიქსურ მორფემათა შესაყარზე უცვლელი სახით.

ა) **ი-** ფუძისეულია, **ო** ხმოვანი — სავრცობისეული: შედიოდენ, გამოდიოდენ, დადიოდა, მიდიოდა, ქვიოდა (ეს უკანასკნელი ამ სახითაა გავრცელებული ქვემოიმერულში, სალიტ. ერქვა).

ბ) დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი აფიქსების (სა-ო) **ო** ხმოვნითა და ფუძისეული **ი** ხმოვნით: სასწორიოთ — გასწვრივ (< სა-სწორი-ო-თ)...

გ) **ო -ობ** აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელი ნიშნისეულია: ელიობა...

დ) **ო** მეორე კავშირებითის ნიშანია: გამემელიოს...

ე) სხვათასიტყვის **ო**: მიეციო...

ვ) **იო** კომპლექსი იცვლება და გვეძლევა იე კომპლექსი: ლობიო-ლობიე, მაგრამ ფორმა ბადებს იმის შესაძლებლობასაც, რომ აქ ამოსავლად განვიხილოთ **ლობია** ფორმა. ლობია-ი → ლობიე. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ისიც, რომ სხვა ბრუნვაში სწორედ ა- ფუძიანი ფორმა აღდგება: „დღეს **ლობიას** მოვხარჩავ“.

ეს შემთხვევა ადასტურებს იმას, რომ **იო** კომპლექსი უცვლელია ქვემოიმერულში და რომ სახეცვლილი ფორმის ანალიზისას ამოსავლად არ უნდა განვიხილოთ სალიტერატურო ენის ფორმა, არამედ ის კანონზომიერებები უნდა გავითვალისწინოთ, რაც დიალექტში ფონეტიკურ ცვლილებებს ედება საფუძვლად.[34]

სიტყვის ძირეულ პოზიციაში ეს კომპლექსი საკმაო რაოდენობის ნიმუშებში გვხვდება: ონიო (მხარე, ზნენ; „[ხერხმა] მალე იცვალა

[34] აქ ისეთი ვითარებაა, როგორიც გვხვდება **ა** ფუძიან სახელებთან. შდრ.: ოტ. კახაძე, ა-ზე დასრულებული ზოგიერთი სახელის ბრუნებისათვის ქვემოიმერულში, წიგნში: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

ონიო"); ბორიო (ზედმეტად ხელგაშლილი ადამიანი), აბიციო (თხის გასარეკი შეძახილი), ადიოსიო, ადიო (საქონლის გასადენი შეძახილი), აპლიონი (უდიდესი სიმაღლე, ზენიტი), გამოჭიოტება (გამეიჭიოტა — ავდრის შემდეგ მზის ღრუბლებიდან გამოსვლა), გაწრიოპებული (ძალიან გამხდარი, ტანსუსტი ქალი), მოხიოდება, ხიოდზე მოსვლა (ჯამის მადაზე მოსვლა), ღანიობელე (ზუსტი მნიშვნელობა უცნობია, ამბობენ შედარებაში „ღანიობელასავით გარაქცეულა, ე. ი. მეტისმეტად გამხდარია), ჭიოტი (მზის გამოხედვა ღრუბლებიდან), გენიოსე (ჯკვიან კაცზე იტყვიან), გიორგობისთვე; საკუთარ სახელებში: ბესარიონი, ილარიონი. გიორგი, სარაპიონი...

§13. უე კომპლექსი

უ და ე ხმოვნებით შექმნილი კომპლექსისათვის დიფთონგიზაციის მოვლენაა დამახასიათებელი: უე→ უ+ე (→ ვ+ე).[35] ჩვენს მასალაში ამ კომპლექსიან ნიმუშთა მცირე რაოდენობა უფლებას არ გვაძლევს ამ პროცესის დადასტურების ან უარყოფისათვის; მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იმ ნიმუშებში, სადაც ეს ხმოვნები გვხვდება, დიფთონგიზაციის მოვლენას ადგილი არა აქვს, ქვემოიმერულში უ-სათვის სრულხმოვნობაა დამახასიათებელი; მნიშვნელობა არა აქვს აღნიშნული კომპლექსი თუ რომელ პოზიციაშია ან რა მორფემათა საზღვარზეა შექმნილი. ა) უ- უარყოფითი ნაწილაკია: უებარი.[36]

ბ) უე კომპლექსი მიღებულია -ებ თემის ნიშნის დართვით საწყის ფორმებში: წანძუება (ჩუმად გაპარვა), გაჭრუება (გაყრუება, ყურთასმენის წაღება), გატრუება (ზედმეტად დათრობა; პირიან ფორმებში: გაგატრუებს, გამიჭრუებს, წეინძუება)...

გ) უე მიღებულია ფუძისეული ა ხმოვნის დაკარგვით, როცა სახელს ერთვის მრავლობითობის მაწარმოებელი ებ სუფიქსი: თოდუაებ-ი > თოდუ-ებ-ი („თოდუებში სხვა იყო მედიატორეთ").

დ) უ- ბოლოხმოვნიან სახელებზე -ელ კნინობითის მაწარმოებლის დართვით: ღაზუელე (ეშმაკი, ბოროტი, უნდო კაცი); არის მეტსახელიც. პარალელურად გვხვდება „ღაზუ" იმავე მნიშვნელობით.

---

[35]შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 118.
[36]თ. უთურგაიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 28.

§14. ია კომპლექსი

შედარებით უფრო ხშირია **ია** ხმოვანთკომპლექსი, რომელიც ყველა პოზიციაში დასტურდება, ხოლო მორფემათა შესაყარზე სხვადასხვა ფუნქციისა და სხვადასხვა დანიშნულების მორფემების შეერთების შედეგია. განვიხილოთ ცალ-ცალკე:

1) პრეფიქსულ მორფემათა შესაყარზე შექმნილი **ია** კომპლექსი ლიტერატურული ქართულისაგან განსხვავებულ ჩვენებას არ იძლევა. გვხვდება ზმნისწინისეული **ი** და საარვისო ქცევის ნიშნისეული **ა** ხმოვნების თავშეყრით: მიახმობს, მიაჭვარტლე (უმიზნოდ და უაზროდ ხარჯვა), მიათრევენ, მიადგები...

2) ძირეულ მორფემაში **ია** კომპლექსი გარკვეული რაოდენობის სიტყვებში დასტურდება. მიუხედავად სიმრავლისა, მოვიყვანთ ყველა ფორმას, რომელიც კი ჩვენს მასალაში მოიძია:

ა) „სიარულ" ფუძეში და ამ ძირით ნაწარმოებ ზმნებში: დევიარებოდი, დეიარებოდენ, გევიარდით...

ბ) მასალაში დადასტურდა ფორმა „ძალიანი", რაც შედარებით ნაკლებგავრცელებულია იმერულში; ხმარებაშია ძირითადად რედუცირებული ფორმა „ძაან".

გ) **ია** კომპლექსი ძირეულია, მელიცია, კამპანია, ეკლესია, მაგრამ დასტურდება პარალელური ფორმა: ეკლესიე, ეკლესიეს ეზოში (ეკლესიე < ეკლესიაი).

დ) ქვემოიმერულში გავრცელებულია სიტყვა „იაფი". **ია** კომპლექსი აქ ძირეულია და მასში ცვლილება ნაკლებ მოსალოდნელი იყო. გვხვდება ზმნისწინდართული ფორმაც, რომელშიც ძირისეული ხმოვანთკომპლექსი იცვლება: გაიეფებული. დასტურდება ასიმილირებული „იეფი", მაგრამ თუკი სახეცვლილ ფორმაზე გვექნება საუბარი, უფრო გავრცელებულია **ი** ხმოვანდაკარგული ფორმა „ეფი", ვიდრე „იეფი". ამ ფორმაში გამარტივდა ია კომპლექსი, რასაც წინ უძღოდა პროგრესული ასიმილაციის მოვლენა. მისგან იქნა ნაწარმოები ზმნისწინდართული — „გაეფებული"-ც.

ე) **ია** კომპლექსი ძირისეულია შემდეგ სიტყვებში: იალონი (გამთენიისხანი), იაგავი. იაგავათ (უცნაური, საოცარი), ჩია თხილი (ერთ-ერთი ჯიში), კიკია (თხის მოსახმობი), ბია, წია-წიად წაღება (დახევა, დაგლეჯა), ტყვია („ტყვიასავეთა ძიმე"), კრიახი, სიამტკბილობა, პალიასტომი, ადამიანი, ციაცელე (მკვეთრი, თვალში მოსახვედრი ფერი), საიანცაკო (უცნაური; აქ გამოიყოფა აფიქსები სა-ო;

ია ძირისეული კომპლექსია), აფრიალებდი, საზიარებლათ, ბოდიალე (მეტსახელი, საგონებელი), მოვაფოთიალე (მოვძებნე), სიკორწიანე (საქანელა), ბეღიალი, ბეღიალობდეს (ყორფელი; ანათებდეს სისუფთავისაგან); გამოკვალათიანება (საქმის დაგეგმვა, წინასწარ განჭვრეტა), გამოქიაქება, გამოაქიაქა (გამოლანძღა), აწრიალება, ამიწრიალდა გული (გულის შეწუხება შიმშილისაგან), გლიანი (სრიალი, სლიპინი), თვალპუიალე (თვალის აჭრელება, თავბრუსხვევა შიმშილისაგან), კორწიანი (ქანაობა), ალიახორი, მალიახორი (ლოცვაში გამოყენებული სიტყვები), მოთიანებული (მოყრილი, მოფენილი), ხასიათი („გლახა ხასიაძე < ხასიათზე ვარ"), მოხორიალება, მოხორიალდა (ხალხის ხმაურით მოგროვება), პწიალი, აპწიალებს (თვალებს — ტრიალი თვალებისა), სოსიალე (სრიალა), ფორიალი, ფორიალობს (გრძელ კაბაში ჩაცმული ქალის სიარული), ფორიაქე (გამნიავებელი, უმიზნოდ მხარჯველი), ფრიანტელე (მსუბუქი), ქორიანჩხელე (ავი, ჩხუბისას შემტევი, კაპასი), ყიათი („არ მომწონს ყიათში", თვალში); ხრიანწო (დაქანებული, ფეხმოუკიდებელი ადგილი), მედიატორი, ჰიაყელე, ზიარი, დიანოსი (საკ. სახელი), დიაკონი, ჯორიაქობა (ხმაური, არეულ-დარეულობა ხალხისა), ქლიავი, შანქლიავე, წანქლიავე (ქლიავის ჯიშები), ძიანკოლე (ძალიან მწარე), გვიანი, საგვიანო, აბეღიალება (ანთება, განათება), ადიაშება (დაჟინებით რჩევა), ამოცორიალება (ამოტივტივდა);

3) სუფიქსურ მორფემათა შესაყარზე **ია** კომპლექსი რამდენიმე კომბინაციით იქმნება და ისინი სხვადასხვანაირად მოქმედებენ ფონეტიკური გარდაქმნების თვალსაზრისით.

ა) **ია** კომპლექსი იქმნება **ი** თემისნიშნიან ზმნებზე აწმყოს მრავლობითის მესამე სუბიექტური პირის **-ან** სუფიქსის დართვით. **-ან** სუფიქსის ცვლილება **-ენ** სუფიქსად სისტემატურ ხასიათს ატარებს ზოგ დასავლურ კილოში (გურული, იმერული...) და იგი ანალოგიით მიღებულ ფორმად იქნა მიჩნეული;[37] კლ. კუბლაშვილი ამაზე განსხვავებული აზრისაა. მკვლევარმა დამოუკიდებლად განიხილა **ია** კომპლექსი, როგორც სუფიქსურ მორფემათა საზღვარზე შექმნილი ბგერათკომპლექსი და ია → იე ცვლილება პროგრესული ასიმილაციის მოქმედების შედეგად მიიჩნია.[38] ვფიქრობთ, მკვლევრის აზრი მართე-

[37] ქ. ძოწენიძე, უნიფორმაციის ტენდენციის მოქმედების ერთი ნიმუში ზემოიმერულ კილოკავში, წიგნში: ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973, გვ. 273-278;
[38] კლ. კუბლაშვილი, ძირითადი ფონეტიკური პროცესები..., გვ. 255.

ბულია; მხოლოდ მორფოლოგიური კატეგორიის ცვლილება, თუკი იგი შეპირობებული არაა ფონეტიკურადაც, ნაკლებდასაშვებია; თანაც უფრო ადვილად ჩატარდება ფონეტიკური გარდაქმნა მაშინ, როცა ბგერათკომპლექსი თავისთავად მიისწრაფვის ცვლილებისაკენ და ამას ემატება მორფოლოგიური ანალოგიაც. ია → იე ცვლილება უცხო არაა ქვემოიმერულისათვის, ისიც სუფიქსურ მორფემათა შესაყარზე; ეს წესი გატარებულია მთელ რიგ სიტყვებში, რომლებიც **ია**-თი ბოლოვდება. ასე რომ, ეს სუფიქსი (-ენ) ჯერ ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად იცვალა ი ფუძიან ზმნებთან (იან →იენ) და შემდგომ გავრცელდა ანალოგიით სხვა ზმნებზეც. ე. ი. ამ სუფიქსის ხმოვნის ცვლილებას, გარდა მორფოლოგიური ანალოგიისა, ფონეტიკური საფუძველიც აქვს: ია → იე გადაჰრიენ, გიძახიენ, დეიზდებიენ, იციენ, ტირიენ, ჟანარიენ, ამყნიენ, არიენ, შედიენ, მიიზდებიენ, ჩაყრიენ, იკრიფებიენ, იშონიენ...

ბ) **-ია**ნ სუფიქსით ნაწარმოები სახელები განიხილება როგორც **ია** კომპლექსის შემცველი ფორმები. თავად **-ია**ნ სუფიქსის წარმომავლობის შესახებ სხვადასხვა აზრია საენათმეცნიერო ლიტერატურაში. აკ. შანიძე მას **-ეა**ნ ფორმისაგან მიღებულად თვლის, რაც თავდაპირველად წარმომავლობას აღნიშნავდა. შემდეგ კი გაიფართოვა მნიშვნელობა და კუთვნილების ან მიმდევრობის შინაარსის გამომხატველი გახდა.[39] მეორე აზრით, რომელიც არნ. ჩიქობავას ეკუთვნის, **-ია**ნ სუფიქსი **-ევ-ა**ნ-ისაგან მომდინარეა: ევ-ან > ე-ან > იან.[40] **ია** კომპლექსი დღეს ერთი სუფიქსის კუთვნილებაა და ამ სუფიქსით ნაწარმოებ სიტყვებში აღნიშნული ხმოვანკომპლექსი ყოველთვის უცვლელია. ხმოვნით დაწყებული სუფიქსის დართვის შედეგად იკარგება ი ხმოვანი: სულიანი, ჰირიანი, ყვიპიანი (ღრუბლიანი, ჩამობურული ამინდი), ხეფსიანი (გემრიელი), კანიანათ, წაბლიანათ, ბურძგალიანს, გულღამიტიანი (გულღრძო, გულგამყოლი), ნიგოზიანი, ნიქიტიანი (შედარებაში „რავა ნიქიტიანივით შია სულ“), პამიდორიანი, მისიან (ხალხში), ბუნდღიანე / ბუნდღიანეშვილები (მეტსახელი, საგინებელი), შავტარიანი, ალორტყიანებული (წებოვანი, მოსქო სითხით დასვრილი); ზმნურ ფორმაში, რომლის ძირი **-ია**ნ სუფიქსიანი სახელია: გაწყალიანდებოდა (წყლად გადაიქცეოდა, წყალი მოერეოდა ხილს მე-

---

[39] აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. გვ. 122.

[40] არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942. გვ. 89.

ტი სიმწიფისაგან); -ია სუფიქსის დართვის გამო მოკვეცილია ა ხმოვანი: დედიანო, მამიანო (ლოცვაში: „შენახვდომო დედიანო, შენახვდომო მამიანო"...). ფუძისეული ა შენარჩუნებულია ფორმებში: დაიანი, ძმაიანი... (ლოცვა „შენახვდომო დაიანო, შენახვდომო ძმაიანო"...); არ იკვეცება ო ხმოვანფუძიანი სახელები: ერკილოიანი, ნახევარკილოიანი...

გ) ია კომპლექსი იქმნება ფუძისეული ან თანდებულისეული ი ხმოვნითა და ა „არის" მეშველი ზმნის შეკვეცილი ფორმით. ია კომპლექსის ცვლა, ისე როგორც ყველა ამგვარად შექმნილი კომპლექსისა, არ ხდება: ღელეშია, აბრეშუმია, უცილობელია, იგია, რაია, პირნაქნარია (წაბლი; ე. ი. უკვე მწიფეა)...

დ) ია კომპლექსი დასტურდება თურმეობითის ფორმებში: არ მიარია, არ უარიათ, გამომივლია, გამომიცთია, ვერ გვარონია, აგიღძოლებიათ (აგიყროლებიათ), შემებანია (შემეცილა, შემეზიარა)..

ე) დაბოლოს, ამ ჯგუფში განიხილება ია ხმოვანთკომპლექსით დასრულებული სახელები, რომლებშიც ფონეტიკური ცვლილების შედეგად იე კომპლექსია მიღებული: ია → იე ცვლილება ამ პოზიციაში საენათმეცნიერო ლიტერატურაში უკვე განხილულია ოტ. კახაძის მიერ. იგი სახელობითი ბრუნვის ნიშნის ი-ს დართვის შედეგია, რომელმაც მოახდინა წინამავალი ა-ს ე-დ ქცევა; შემდგომ ამას მოჰყვა დიფთონგიზაციის მოვლენა და ბოლოს დიფთონგის დაშლასთან დაკავშირებით თავად მასიმილირებელი ხმოვანიც დაიკარგა.[41] ქვემოიმერულისათვის დამახასიათებელი ფორმებია: ბუზუნიე (მსხვილი), რძიარძიე (ბალახი), საქფვილიე, ვოტიე (ეშმაკობა), ნათლიე, თუჯიე, ქალაღაიე (თხელი, სიფრიფანა ქსოვილი), დედალობიე (სინდიოფალა), გვასამანიე (მოხერხებული, ჭკვიანი), ჯიხვინიე (მსხვილი), ხვალდარიე (ჭიამაია), წყალწუნიე (ცუდი, წყლიანი, წყალგარეული), წიწვიე (მცენარე), ცუცქურიე (პატარა ტანის ქალი), ჩხუტიე (მჩხვლეტავი), ჩხიკინიე (გამხდარი, გაძვალტყავებული), ღორტუნჩიე (ძუნწი), ღაღანიე (თბილი მზე), ტუმპულიე (ძალიან თხელი, წყალწყალა წვენი), ტანტალიე (შიშველი კლდე), სარკეტობიე (დიდი ჩხუბი, აყალმაყალი), როკონიე (მარტოდმარტო), რიგვინიე (დიდი, მსხვილი),

[41] ოტ. კახაძე, ა-ზე დასრულებული ზოგიერთი სახელის ბრუნებისათვის ქვემოიმერულში, წიგნში: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

პწკენიე (მცხუნვარე, მწველი მზე), პუყურიე (მოშტერო ადამიანი), პუნწკურიე (დიდბეწვებიანი ცხოველი), ოტროკონიე (არეული, შეუწყობელი ხმები მრავალხმიანი სიმღერისას), ოკონკოლიე (შიში), მიტან-მოტანიე (ენაჭარტალა, ჭორიკანა), მარაკუნიე (ცრურწმენით კუდიანი), ლექვერიე (დიდტუჩებიანი, შეუხედავი კაცი), დორჩხრილიე (დიდი, სქელი, მსუქანი), ბუხუნიე (მსხვილი), ბუქურიე (მსუქანი, ფაფუკი ბეწვით დაფარული ცხოველი), ხელთოფიე (მცენარე), სილობიე (თამაშობა), ბლურწაიე (დიდი ტანისა და მოუხერხებელი), ბოიკიე (დიდი ტანისა), ბეუალიე (უგულო თხილის კაკალი). ბუნტურიე (შტერი, სულელი), ბოწოწვიე (ბალახი).

ია მაწარმოებლით ბოლოვდება მეტსახელები (აქ: საგინებლები). აქაც ხდება გარდაქმნა ია → იე: ქვიჭალიე, ჯღუნიე, კოჭორიე, მეწვენიე, თავწონიე, წელბერიე, კოჭორიეშვილები, ნიქელეშვილები...

ადამიანთა საკუთარი სახელები (**ია** კნინ. მაწარმოებელი): გიორგიე, ელვარიე, კარლოიე, კახაიე... ცხოველთა სახელები: ნოთიე, კორიე...

ოე ბოლოხმოვნიანი სახელები მრავლობითის **-ებ** სუფიქსის დართვისას ფუძეს სრულად ინარჩუნებენ და სუფიქსურ მორფემათა შესაყარზე ორი **ე** იყრის თავს: ნათლიეები, დომფალიეები, ძგეტიეები (მეტსახელი). მაგრამ გაბმული საუბრისას შეიძლება ხმოვნები მოკლედ იქნეს წარმოთქმული და მაშინ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ერთ-ერთი ე იკარგება. ამ შემთხვევაში კომპლექსის ე მრავლობითის სუფიქსისეული უნდა იყოს: მარაკუნიები...

მოთხრობით და მიცემით ბრუნვებში **ა** ხმოვანი შენარჩუნებულია: წიპიამ, ბოწოწვიამ... კარლოიას, ნათლიას, ნათლიასან, თუჯიაში. ნათ. ბრუნვა: ელვარიეს გოგო, ურიეს ჭონტოლებივით, მაკარიას ბაწარი... ამ უკანასკნელში მოსალოდნელი არ იყო **ა** ხმოვნის აღდგენა, ნაგრამ ფორმა „მაკარიას ბაწარი", ვფიქრობთ, გამონაკლისია. **ია** კომპლექსი უცვლელია კიდევ ერთ შემთხვევაში: ესაა თამაშის სახელწოდება „გატანია ბულთვი" („გატანია ბულთვის ვთამაშობდით"). ეს შესიტყვებებია და ამდენად გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს.

ია → იე-დ ცვლილი კომპლექსი გვხვდება კიდევ ერთ ფორმაში: დაჟდომიე, დადგომიე („დაჟდომიე რო ხიკავს თხილს, იმიზა ტკივა ზურგი, დადგომიე ჯობია რო კრიფო კიდო"). ფორმები თავისებური წარმოებით გამოირჩევა, მაწარმოებელია **ია**.

§15. **უო ხმოვანთკომპლექსი** ერთ ფორმაში გვხვდება: ესაა **უ** ხმოვანფუძიან სახელებზე **-ობა** აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებლის დართვა: ყრუობა („ყრუობა იყო მაშვინ").

§16. **უა ხმოვანთკომპლექსი** რამდენიმე შემთხვევაში გვხვდება:

ა) ძირისეულ პოზიციაში: ჰკუა.[42]

ბ) **ა** კნინობითის მაწარმოებელია; კომპლექსი გვაძლევს **უე**-ს: უა → უე. ამ შემთხვევაშიც ამოსავლად სახელობითის **ი** დართული და ასიმილირებული ფორმა უნდა მივიჩნიოთ: იჯიბაჭუე (პატარა-პატარა, წვრილმანი), ძერეყუე (დიდი ტანის, მაგრამ უჭკუო კაცი), წიპარუე / პიწარუე (მცენარე), ვარამბუე (მოქეიფე და უსაქმური კაცი);

გ) **ა** ფორმაში მესამე სუბიექტური პირის ფუნქციას უნდა ასრულებდეს: ჭუა („წითლათ ჭუა თხილი"), ჩაგითუა (ნიშნის მოგებითი შეძახილი).

დ) შემდეგ ფორმებში კი, ალბათ, სავარაუდოა **-ალ** მაწარმოებლის გამოყოფა: ყრუალე ხეი, ბზუალეშვილები (საგინებელია)...

ე. ი. **უა** კომპლექსის ცვლილება **უე**-დ ერთადერთ შემთხვევაში ხდება: მაშინ, როცა **ა** კნინობითის მაწარმოებელია და როცა ამოსავალ ფორმაში სახელობითის ნიშანი ივარაუდება.

თანაბარი ღიაობის ხმოვანთკომპლექსები, იმ ბგერათკომპლექსებში, რომლებშიც ერთმანეთს მოსდევს თანაბარი ღიაობის ხმოვნები, ფონეტიკური ცვლილების მხრივ სხვადასხვა მდგომარეობაა აღმოსავლურ და დასავლურ დიალექტებში. ამ უკანასკნელში გარდაქმნა A რიგის კომპლექსთა ბგერათცვლილების წესს მისდევს, ე. ი. ადგილი აქვს რეგრესულ ასიმილაციას.[43]

§17. **ოე კომპლექსი**

პრეფიქსულ მორფემათა შესაყარზე **ოე** კომპლექსი ზმნისწინისე-

---

[42]თუმცა ამ ფორმის შესახებ თ. უთურგაიძე მიუთითებს, რომ „ამ ხმოვნებს შორის ისტორიულად მორფოლოგიურ/ლექსიკური საზღვარი უნდა დებულიყო. ასეთ ვარაუდს განამტკიცებს ის ფონეტიკური ცვლილებები, რაც ამ სიტყვაში ხდება: ჰკუა > ჰკეა", ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, გვ. 30.

[43]შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

ული **ო** ხმოვნისა და ვნებითი გვარის ნიშნისეული **ე** ხმოვნების შეხვედრით იქმნება. აქ ადგილი აქვს **ოე** კომპლექსის **ეე**-დ ქცევას; მეეკიკე (ზურგზე შეჯდომა), მეეწონებოდენ, მეებზადა, წამეეღო, გამეელევა, მეერევა, მეემგვანებოდა...

ძირეულ პოზიციაში ეს ბგერათკომპლექსი იშვიათია, მაგრამ თუ გვხვდება, უცვლელი სახითაა: ნოემბერი („ნოემბერში ვრგავ მე ნერგს").

სუფიქსურ პოზიციაში ხმოვანთკომპლექსი იქმნება **ო** ბოლოხმოვნიან სახელებზე **-ებ** მრავლობითის ნიშნის დართვის შედეგად. ამგვარად შექმნილი ბგერათკომპლექსის შესახებ მსჯელობისას კლ. კუბლაშვილი აღნიშნავს, რომ „**ოე** კომპლექსი დისიმილაციასაც განიცდის სიტყვის ძირში, იგი **ო**-ს დავიწროებასა და მის **უ**-დ ქცევაში გამოიხატება: გოგუები, სთხუე, მუედი, კოღუები, ეზუები, ღვინუები, პუეტი და სხვა. ასეთი ფორმები მეტად გავრცელებულია ქართული ენის ყველა დასავლურ კილოში".[44] აღსანიშნავია, რომ ჩვენს მასალაში ამ ფონეტიკური მოვლენის შედეგად ცვლილი **უე** კომპლექსი არ დასტურდება. ჩვეულებრივია ფორმები: ნეშოები, ვედროები, უცოლოეფს, ეზოებს... რაც შეეხება ერთი სიტყვის მრავლობითის ფორმას — ბურდუები („ბურდუებია თლათ აქანე") აქ **უ** ფუძისეულია და არა ფონეტიკური პროცესის შედეგად მიღებული (შდრ.: „ბურდუ აქ თლა შემოყოლებულია ჩემ ეზოს", „ბურდუ იყო დიდი აქანე...").

§18. **ეო** კომპლექსი

ეო კომპლექსი შედარებით იშვიათია ყველა პოზიციაში. რამდენიმე სიტყვაში გვხვდება ძირის წინა პოზიციაში, სადაც იგი უცვლელი სახით დასტურდება. ესენია: შეოდოშებული (სიმინდი, რომელიც ხმობას დაიწყებს, არც ხმელი, არც ნედლი); და რიგობით რიცხვით სახელში: მეორე, მეოთხე... იგი ან უცვლელი სახითაა დაცული, ან ადგილი აქვს **ეო** კომპლექსის გამარტივებას: მორე. ეს ფორმა ჩვეულებრივია ქვემოიმერულისათვის. „მეოთხეში" კი იგი ძირითადად უცვლელია.

სუფიქსურ მორფემათა შესაყარზე **ეო** კომპლექსი რამდენიმე შემთხვევაში გვხვდება:

---

[44] კლ. კუბლაშვილი, ძირითადი ფონეტიკური პროცესები..., გვ. 259.

ა) სხვათა სიტყვის **ო** ნაწილაკის დართვისას; აქ იგი ყოველთვის უცვლელია: მომცეო, ქათმისქონეო, კატაპრასეო...

ბ) აბსტრაქტულ სახელთა **-ობა** მაწარმოებლის დართვისას: მეწლეობა (< მე-წლ-ე-ობა).

გ) ცვლილია **ეო** კომპლექსი **სა-ო** მაწარმოებლების დართვის შედეგად სიტყვის ბოლოს მიღებულ ხმოვანთკომპლექსში: საადრიო (< სა-ადრე-ო) (საადრიო ბალი, საადრიო ლობიე...). ფუძისეული **ე** იცვლება **ი**-დ. აქ ადგილი უნდა ჰქონდეს დისიმილაციას ღიაობის მიხედვით (**ო** და **ე** თანაბარი ღიაობის ხმოვნებია, მოხდა წინამავალი ხმოვნის დავიწროება და **ი**-დ ქცევა).

§19. **იუ კომპლექსი** დასტურდება პრეფიქსულ მორფემათა შესაყარზე: მიუყვანა, მიუტანა... თუკი ხდება ფონეტიკური ცვლილება ამ კომპლექსში, მისი ასიმილირებული ვარიანტია სრული ასიმილაცია **ი**-სა და **უ**-დ ქცევა (იუ → უუ): მუუკიდებიათ („მუუკიდებიათ კედელზე იქინე...).

§20. **უი კომპლექსიც** ასევე იშვიათია და ძირითადად გვხვდება **უ** ხმოვანფუძიან სახელებზე **ი** სახელობითი ბრუნვის ნიშნის დართვის შედეგად: ბრუი, ბუი, ცრუი... აგრეთვე **უ** ფუძიანი სახელების ნათესაობით ბრუნვაში: ბუის, ცრუის... **უი** კომპლექსი შექმნილია „ჰკუა" სიტყვის ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებში; აქ ფუძისეული **ა** რედუცირდება: ხელის ჰკუით (ხელის შეგრძნებით: „ხელის ჰკუით ვხიკავ თხილს, ისე კ'ვერ უყურეფ), აგრეთვე ფორმაში „ჰკუით იყაი" (ჭკვიანად იყავი).

თავი II. იდენტური ხმოვანთკომპლექსები

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის მითითებულია, რომ ქართულში ხმოვნის სიგრძე რელევანტური არაა.[45] ხმოვანი, რომელიც აკუსტიკურად გრძელი ხმოვნის სახით ისმის, მიღებულია ან ორი იდენტური ხმოვნის შეხვედრით მორფემათა შესაყარზე, ან მახვილიანი ხმოვნის გაგრძელებით წარმოთქმის შედეგად, რომლის ფიქსირება მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში ხდება ორი ხმოვნით.

[45] გარდა თუშური დიალექტისა, იხ. თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, გვ. 13.

ქვემოიმერულშიც ამგვარი ვითარებაა. იდენტური ხმოვანთკომპლექსი რამდენიმე შემთხვევაში იქმნება:

§21. ყველაზე უფრო ხშირად ეს ხდება ორი მორფემისეული ხმოვნის შეხვედრის შედეგად. ესაა ძირითადად ზმნისწინისეული და საარვისო ქცევისეული ა: გააცლი, გააშრო, დააჟდება, დაამყნი, დააფარეფ, წააუერი, გაასკელეფს, გარაასხამენ, დააფჩინა პირი (დააღო), დააწუმა; გაავდ(რ)დება (ა- ძირისეულია); ი ხმოვნით: მიიტანდი, მიიპურება (ხალხი, ე. ი. მიწყნარდება); ე — შეერთებული...

ენა, რომელიც ხმოვანთკომპლექსებში ერთხმოვნობისაკენ მიისწრაფვის (შ. ძიძიგური), რა თქმა უნდა, არავითარ ფონეტიკურ პროცესს არ ატარებს იდენტური ხმოვნების შემთხვევაში. ეს ხმოვანთკომპლექსი წარმოთქმისას ერთი გრძელი ხმოვნის სახით გვევლინება, თუმცა ორი დამოუკიდებელი ხმოვნისგანაა შექმნილი.

§22. ორი იდენტური ხმოვანი მიღებულია მაწარმოებლების დართვის შედეგად. სა-ო: საადრიო... უ-ო — უდროოთ... -ებ მრავლობითი სუფიქსის დართვით; აქ გამოიყოფა ის შემთხვევები ა) როცა პირველი ე ძირისეულია: სიცხეები, ტყეეფში... ბ) როცა ე მაწარმოებლის როლში გამოდის: ჩიტლეღვეები (< ჩიტლეღვე < ჩიტლეღვა). ამისანეები (< ამისანე < ამისანა). გ) როცა ე მეორეულია: ველეები, ბუმბულეები... ე ხმოვანი დაცულია მხოლობითი რიცხვის ფორმებშიც: ველე — „რამიხელა ველე აქ გაშობილა ტყუღა"; ბუმბულე — „ბუმბულე მაქ ბალიშიზა შენახული". მაგრამ ამ ფორმებში ა ხმოვნის აღდგენა შესაძლებელია: „გაით, ბოფშებო, ველზე ითამაშეთ". ამდენად, აქაც ფონეტიკური ცვლილების ის გზაა სავარაუდებელი, რაც ზოგადად ა ფუძიან სახელებში გვევლინება.[46]

§23. იდენტური ხმოვანთკომპლექსი მიღებულია სხვადასხვა ფონეტიკური პროცესის შედეგად: ირღოოდა — აქ ადგილი აქვს ვ-ს რედუქციას: ირღვეოდა > ირღეოდა > ირღოოდა (ეო კომპლექსი ასიმილაციის შედეგად გვაძლევს ოო-ს); შვაამლობა — ფორმა მიღებულია შემდეგნაირად: შუამავლობა > შვამავლობა > შვაამლობა; ველოგი

[46] ოტ კახაძე დასახ. ნაშრ.

— გეოლოგი > ვეოლოგი > ველოოგი (ადგილი აქვს ჯერ დისიმილაციის, შემდეგ მეტათეზისის მოვლენას). „ძაან“ ფორმა კი „ლი“ კომპლექსის რედუქციითაა მიღებული: ძალიან > ძაან; ამ სიტყვათა იდენტურ ხმოვანთკომპლექსთა ჯგუფში მოხვედრა განაპირობა იმან, რომ ისინი სწორედ ამგვარი ფორმითაა ძირითადად გავრცელებული.

§24. ქვემოიმერულში გავრცელებული „სანაამდი, გვიანობაამდი“... და სხვა ამგვარად ნაწარმოები ფორმები ამ დიალექტთა შემსწავლელების მიერ მიჩნეულია, როგორც ა ხმოვნის დაგრძელების ნიმუში მახვილის ზეგავლენით.[47]

საერთოდ შემჩნეულია, რომ ქვემოიმერული მეტყველებისათვის მახვილის ზეგავლენით ოდნავ გაგრძელებული ხმოვნები უცხო არაა; მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ, გარდა ამგვარად წარმოებული ფორმებისა, სხვაგან არსად, არც ერთ ფორმაში არ გვხვდება მხოლოდ მახვილის გამო დაგრძელებული და იმდენად მკვეთრად გამოხატული გრძელი ხმოვანი, რომ ფიქსირებისას ორი ხმოვნის აუცილებლობა იყოს. ეს თავისებური ფორმები კომპენსაციის მოვლენის შედეგად არის მიღებული. თანდებულიანი ვითარებითის ფორმაში დაკარგული დ ბგერის ნაცვლად გაჩნდა საკომპენსაციო ხმოვანი, რომელიც იმ ხმოვნის სახითაა წარმოდგენილი, რომლითაც ფუძე სრულდება: გზაამდი, ხვალეემდი, საღამოომდი.[48]

§25. დაბოლოს, ორი ხმოვანი ფიქსირებულია ცხოველთა მოსახმობ სიტყვებში. აქ იგი ძახილის დროს გაგრძელებული ხმოვნის გრა-

---

[47] ქ. ძოწენიძე აღნიშნავს: „ვვაქვს ა ხმოვნის „გაგრძელების“ რამდენიმე შემთხვევა. გაზდა(ა)მდი, მანა(ა)მდი, მა(ა)ქ... ფრჩხილებს იმიტომ ვხმარობთ, რომ აქ უფრო ორი ხმოვანია, ვიდრე ხმოვნის სიგრძე, ორი ხმოვნის წარმოქმნაში კი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს აღმავალ ძახილს, რომელიც გარკვეულ ვოკალურ ფონს უნდა საჭიროებდეს სიტყვაში“ — იხ. ქ. ძოწენიძე, ქვემოიმერულის უხუთური მეტყველება, წიგნში: ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973, გვ. 280.

კლ. კუბლაშვილი ამის შესახებ მიუთითებს: „... უნდა აღინიშნოს, რომ -მდის დართვისას ბოლოხმოვნიან სახელებზე უკანასკნელი ხმოვანი ხშირად გაგრძელებულად გამოითქმის ხოლმე: დილაამდი, საღამოომდი, ღელეემდი, წყაროომდი, ნარგიზაამდი“ — კლ. კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი“, თბ., 1985, გვ. 105.

[48] ამის შესახებ იხ. ჩვენი სტატია: კომპენსაციის ერთი შემთხვევისათვის ქვემოიმერულში, იქვე, გვ. 83-89.

ფიკული გამოხატულებაა და მისი მიღება არავითარ კითხვას არ ბადებს: მოომ — ხარის მოსახმობი ძახილი; მეეჯ — კრუხის მოსახმობი; დიიდო — ძროხის მოსახმობი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე,შეიძლება დავასკვნათ, რომ იდენტური ხმოვანთკომპლექსი ქვემოიმერულში შექმნილია სხვადასხვა მორფემათა ორი ერთნაირი ხმოვნის შეხვედრით. წარმოთქმისას გაგრძელებული ხმოვნის ფიქსირებისას ან მას საფუძვლად კომპენსაციის მოვლენა უდევს (ცხოველთა მოსახმობ სიტყვებში).

თავი III. თანხმოვანთა რედუქციით მიღებული ხმოვათნკომპლექსები

ხმოვანთკომპლექსთა მიღების კიდევ ერთი გზა არსებობს: ესაა თანხმოვნის ამოვარდნა ხმოვნებს შორის და ამის შედეგად შექმნილი ხმოვანთკომპლექსი.

§26. **ჳ**-ს რედუქცია: ყველაზე უფრო ხშირია პირველი სუბიექტური პირის ნიშნის **ჳ**-ს დაკარგვა; ეს შეპირობებულია ფონეტიკურად. ლაბიალური **ო** ხმოვნის შემდეგ, რომელიც ზმნისწინისეულია, წარმოთქმაში **ჳ** ყოველთვის იკარგება. ეს პროცესი დიალექტებში უფრო თვალსაჩინოა: მოადუღეფთ (ჩვენ), მოანძრევთ, მოაყრით, მოაბამთ, შამოაჭირეფთ, ამოარჩევდით, მოაბძგოვ (მე; მოყრა მობნევა), მოათაეფთ, მოატოლეფთ (ძაფს ორფად)...

ჳ-ს შენარჩუნების პირობები მით უფრო არაა **ო** და **უ** ხმოვნებს შორის: მოუნდით (ჩვენ), მოუხერხეფთ, მოუდევი, ჩოუყოფდით (აქ **ჳ**ს ამოვარდნის შედეგად მიღებული **აუ** კომპლექსი ცვლილია. მაგრამ საერთოდ ფონეტიკური პროცესის ჩატარებას **ჳ** ხელს არ უშლის (შდრ.: მევიტანე...), იმავე პოზიციაში იკარგება ძირისეული **ჳ**-ც: ჩამოარდება, გამოა, გამოარდება, მოქსოენ, გოუა (გაუვა > გოუვა > გოუა). **ჳ**-ს დაკარგვით მიღებული **ოა** კომპლექსი იშვიათად შეიძლება იცვალოს **უა**-დ: მუალ (მოვალ > მოალ > მუალ), მუაწერე (მოვაწერე > მოაწერე > მუაწერე), შამუა (შემოვა > შამოვა > შამოა > შამუა). დაკარგულია ძირისეული **ჳ** არალაბიალურ ხმოვანთა შორისაც: აციებდა, ქვეით, ზეით, ზეითობამდი, გაათაებდა, ვასკლაები, მოვსულიყაით...

§27. იკარგება **დ**: ა) ვედ ‖ დი ფუძე წარმოდგენილია **დ** თანხმოვნის გარეშე: წამევეი, მევეით, წევეი, გევეით, შევეით: შეი, მოი, წაი...

ბ) იკარგება ფუძისეული **დ**: როიც < როდის. მიღებული **ოი** კომპლექსი ძირისეულია და იგი უცვლელია.

გ) **ოდ** სავრცობისეული **დ**-ს დაკარგვის შედეგად მიღებულია **ოი** კომპლექსი. იგი თუმცა მორფემათა შესაყარზეა მიღებული, მაგრამ უცვლელია. ეს რამდენადმე განაპირობა **დ**-ს დაკარგვამაც: **ო**-ს ცვლილებაც აზრსა და ფუნქციას დაუკარგავდა მაწარმოებელს და ფორმას გაუგებარს გახდიდა: ვიცოით, უძახოით, ველოით, გემბობოი, ევიდოდით, ვიქნებოი, დევიარებოი, ვიტყოით, ვეხმარებოით, წევიდოით, იმაშობოით...

§28. რედუქციას განიცდის შუალობითი კონტაქტის მაწარმოებელი სუფიქსის (ინ/ევინ) **ნ** თანხმოვანი: დეეკაბიე, აგრძნობიოს, მოანათლიებდა, ბოაგდებიებს, მოატანიე, გავაცთენიეფთ, გავარონიებდით...

§29. დაკარგულია სხვადასხვა, ერთი ან რამდენიმე თანხმოვანი: **გ** — მაი (< მაგი), ზოი (< ზოგი), მაიხელობაზე (< მაგისხელობაზე), გაიქროფს (< გაგიქროფს); **მ** — მაამთილი (< მამამთილი); **ნ** — ლეინგრადში (< ლენინგრადში). **რდ** — გაჩეი (< გაჩერდი), რგ — კაი (< კარგი), კაიხელვანი (< კარგიხელვანი)...

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თანხმოვნის ამოვარდნით მიღებული ხმოვანთკომპლექსი, თუნდაც ის მორფემათა შესაყარზე გვეძლეოდეს, ფონეტიკურ ცვლილებას არ ექვემდებარება. ეს, რა თქმა უნდა, არ ეხება **ი** სუბიექტური პირის ნიშნის ვ-ს ამოვარდნას. ამგვარად მიღებულ ხმოვანთკომპლექსში შეიძლება მოხდეს ფონეტიკური გარდაქმნა, მაგრამ ეს თანხმოვნის რედუქციის შედეგი არაა. **ვ**-ს არსებობა ფორმაში ხელს ისედაც არ უშლის ასიმილაციის მოვლენა (შდრ.: მევიტანე. მევიყვანე...).

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომი ხმოვანთკომპლექსთა მორფონოლოგიური კვლევის მხოლოდ პირველი ეტაპია. ჩვენ გამოვავლინეთ ხმოვანთკომპლექსების შემცველი ფორმები თუ ლექსიკური ერთეულები, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა პოზიციის მიხედვით ფონეტიკური ცვლილების განსხვავება. ამჯერად არ მოგვიხდენია ჩვენთვის საინტერესო ბგერათკომპლექსის შემცველი სიტყვის წარმომავლობის ანალიზი. ნაკლებ მოხერხდა ცვლილი ხმოვანთკომპლექსების ღრმა ფონეტიკური შესწავლა (ხმოვნების მარკირების პრინციპი და ცვლილებისაკენ მათი მეტ-ნაკლები მიდრეკილება) და სხვა საკითხები. ეს ყოველივე მორფონოლოგიის შესწავლის საგანია და კვლევის მომდევნო ეტაპს გულისხმობს.

ზმნის უღლების პარადიგმები ქვემოიმერულის ვანურ თქმაში

გრამატიკული კატეგორიების ორგანული წარმოება, ზმნის ფორმათა მრავალფეროვნება და მრავალგვარობა ქართული ენის გამორჩეული თავისებურებაა. ქართული ზმნის უღლების სისტემის სრულყოფილი წარმოდგენისათვის დიალექტთა მონაცემების გათვალისწინება აუცილებელი საკითხია. იგი წარმოაჩენს არა მარტო დიალექტთა თავისთავადობას და თავისებურებებს, არამედ უფრო სრულად წარმოადგენს ენის შინაგან პოტენციას — ზეპირ მეტყველებაში დადასტურებულ ფორმებს. ზმნათა უღლების ამგვარი პარადიგმები დადგენილი ნორმებისაგან განთავისუფლებულ და განსხვავებულ ფორმებს სისტემურად მოუყრის თავს და ენობრივ შესაძლებლობათა შედარებით სრულყოფილ და თვალსაჩინო სურათს შექმნის.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ქართული დიალექტოლოგიის სრული კურსის ერთ-ერთ შესავსებ სფეროს სწორედ პარადიგმების აღწერა წარმოადგენს. ეს თანაბრად ეხება როგორც სახელთა ბრუნების, ისე ზმნათა უღლების სისტემას. ამგვარი სამუშაოს ჩატარებას თითქმის ყველა დიალექტი საჭიროებს. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის დიალექტთა კვლევა ცალკეული მონოგრაფიების სახითაა

წარმოდგენილი, ეს სამუშაო მომავლის საქმედ რჩება. ბრუნებისა და უღლების სისტემების სრულყოფილი წარმოდგენა აუცილებელია როგორც დიალექტთა შესწავლის პროცესის გაუმჯობესებისათვის, ისე ზოგადად ენათმეცნიერული თვალთახედვიდან — ყოველი დიალექტის ყოველი მონაცემი საერთო ენობრივი პოტენციის უკეთ გაანალიზებას და გააზრებას შეუწყობს ხელს, ხოლო შედეგად კი მივიღებთ ქართული სახელისა და ზმნის ფორმათა სრულად აღწერილ და ყოვლისმომცველ სურათს. მხოლოდ ამგვარი პარადიგმების არსებობის შედეგად შეიძლება წარიმართოს უფრო ღრმა და განზოგადებული კვლევა, რომელიც არა მარტო ენის შინაგანი პოტენციისათვის თვალმიდევნების შესაძლებლობას მოგვცემს, არამედ ენაში მიმდინარე პროცესების კანონზომიერებათა მიმართულებასაც გამოავლენს. ფორმათა ამგვარი სისტემური აღწერა შეიძლება საფუძველი გახდეს ქართული ენის დიალექტთა მრავალფეროვნების უფრო ღრმა შესწავლისათვის, კერძოდ, ლინგვისტური გეოგრაფიისა და არეალოგიის არაერთი საინტერესო საკითხის კვლევისათვის.

ამჯერად ჩვენ მიერ წარმოდგენილია ქვემოიმერულის ვანური თქმის ზმნის უღლების პარადიგმები, რაც არაერთი ფორმის თავისებურ წარმოებას ავლენს.

ამ თემისნიშნიანი გარდამავალი ზმნა

საუღლებლად აღებულია ზმნა **ჩაცმა**, რომელიც ვანურ თქმაში „ვიცუმ“ ფორმითაა დადასტურებული (ვა → უ: ვიცვამ → ვიცუმ) მყოფადსა და მასზე დაყრდნობილ მწკრივთა ფორმაში ვითარდება **ნ** ბგერა. თავისებურადაა ნაწარმოები II სერიის ფორმებიც:

I სერია: აწმყო	ვიცუმ	ვიცუმთ
	იცუმ	იცუმთ
	იცუმს	იცუმენ
უწყვეტელი	ვიცუმდი	ვიცუმდით
	იცუმდი	იცუმდით
	იცუმდა	იცუმდენ
აწმყოს კავშირებითი	ვიცუმდე	ვიცუმდეთ

	იცუმდე	იცუმდეთ
	იცუმდეს	იცუმდენ
მყოფადი	ჩევინცუმ	ჩევინცუმთ
	ჩეინცუმ	ჩეინცუმთ
	ჩეინცუმს	ჩეინცუმენ
ხოლმეობითი	ჩევინცუმდი	ჩევინცუმდით
	ჩეინცუმდი	ჩეინცუმდით
	ჩეინცუმდა	ჩეინცუმდენ
მყოფადის კავშირებითი	ჩევინცუმდე	ჩევინცუმდეთ
	ჩეინცუმდე	ჩეინცუმდეთ
	ჩეინცუმდეს	ჩეინცუმდენ
II სერია:		
წყვეტილი	ჩევიცმიე	ჩევიცმიეთ
	ჩეიცმიე	ჩეიცმიეთ
	ჩეიცმია	ჩეიცმიეს
II კავშირებითი	ჩევიცმიო	ჩევიცმიოთ
	ჩეიცმიო	ჩეიცმიოთ
	ჩეიცმიოს	ჩეიცმიონ
III სერია:		
I თურმეობითი	ჩამიცვია	ჩაგვიცვია
	ჩაგიცვია	ჩაგიცვიაყენ
	ჩოუცვია	ჩოუცვიაყენ
II თურმეობითი	ჩემეცვა	ჩეგვეცვა
	ჩეგეცვა	ჩეგეცვათ (ჩეგეცვაყენ)
	ჩეეცვა	ჩეგეცვათ (ჩეეცვაყენ)
III კავშირებითი	ჩემეცვას	ჩეგვეცვას
	ჩეგეცვას	ჩეგეცვათ
	ჩეეცვას	ჩეეცვათ
IV სერია:		
III თურმეობითი	(ჩა)ნაცვამვარ	(ჩა)ნაცვამვართ
	(ჩა)ნაცვამხარ	(ჩა)ნაცვამხართ
	(ჩა)ნაცვამა	(ჩა)ნაცვამლარიენ

ნიმუშები: „მის შვილს ქე ინახავდა, აჭუმს, ასუმს, **ჩაანცვა** და ყორფელი და...“

„მანაამდი ჯღარკეფს **ვიცუმდი**“.

„რაი **ჩავაცმეო**? ი მაიკა ამ გოგომ ჩეიცვა“

„იმას **ჩააცმეე** რაცხა კლავიანი“.

„მოით იქინე და **ჩაგაცმევუე** სოფელში რამე-რამეებს“.

„ბეჭეფში უნდა გამოვჭრათ მაი კარქათ, თვარა არ ივარგეფს, გადმოა კლავი და ვერ **ჩეინცუმ** საკაისკაოთ“.

სხვა **-ამ** და **-ავ** თემისნიშნიანი ზმნები უღლებისას განსაკუთრებულ თავისებურებებს არ ამჟღავნებენ გარდა იმისა, რომ III სერიის ფორმებში **-ამ** და **-ავ** თემის ნიშნები არ შენარჩუნდება (დამისხია, დამირეკია...).

გარდაუვალი ზმნები -ებ თემის ნიშნით (ვნებითი გვარისა)

„დაღლა“ ფორმაში უღლებისას ძირი სრულადაა წარმოდგენილი:

I სერია:	აწმყო	ვიღალები	ვიღალებით
		იღალები	იღალებით
		იღალება	იღალებიენ
	უწყვეტელი	ვიღალებოი	ვიღალებოით
		იღალებოი	იღალებოით
		იღალებოდა	იღალებოდენ
	აწმყო კავშირებითი	ვიღალებოდე	ვიღალებოდეთ
		იღალებოდე	იღალებოდეთ
		იღალებოდეს	იღალებოდენ
	მყოფადი	დევიღალები	დევიღალებით
		დეიღალები	დეიღალებით
		დეიღალება	დეიღალებიენ
	ხოლმეობითი	დევიღალებოი	დევიღალებოით
		დეიღალებოი	დეიღალებოით
		დეიღალებოდა	დეიღალებოდენ

მყოფადის კავშირებითი	დევიღალებოდე	დევიღალებოდეთ
	დეიღალებოდე	დეიღალებოდეთ
	დეიღალებოდეს	დეიღალებოდენ
II სერია:		
უწყვეტელი	დევიღალე	დევიღალეთ
	დეიღალე	დეიღალეთ
	დეიღალა	დეიღალენ
II კავშირებითი	დევიღალო	დევიღალოთ
	დეიღალო	დეიღალოთ
	დეიღალოს	დეიღალონ
III სერია:		
I თურმეობითი	დავღალულვარ	დავღალულვართ
	დაღალულხარ	დაღალულხართ
	დაღალულა	დაღალულარიენ
II თურმეობაითი	————	
III კავშირებითი	————	
IV სერია:		
III თურმეობითი	————	————
	————	————
	ნაღალავა	ნაღალავლარიენ

„უფრო **ღღალება** შოფერი, ჩქარა რო დადის მარშინა“
„მაითინ ნუ **ღღალავ** თავს“.

I სერია:	აწმყო	ვქდები / ვწობი / ვდგები
		ქდები / წობი / დგები
		ქდება / წობა / დგება
		ვქდებით / ვწობით / ვდგებით
		ქდებით / წობით / დგებით
		ქდებიენ / წობიენ / დგებიენ
	უწყვეტელი	ვქდებოი / ვწობოი / ვდგებოი
		ქდებოი / წობოი / დგებოი
		ქდებოდა / წობოდა / დგებოდა

	ვჟდებოით / ვწობოით / ვდგებოით
	ჟდებოით / წობოით / დგებოით
	ჟდებოდენ / წობოდენ / დგებოდენ
აწმყოს კავშირებითი	ვჟდებოდე / ვწობოდე / ვდგებოდე
	ჟდებოდე / წობოდე / დგებოდე
	ჟდებოდეს / წობოდეს / დგებოდეს
	ვჟდებოდეთ / ვწობოდეთ / ვდგებოდეთ
	ჟდებოდეთ / წობოდეთ / დგებოდეთ
	ჟდებოდენ / წობოდენ / დგებოდენ
მყოფადი	დავჟდები / დავწობი / ავდგები
	დაჟდები / დაწობი / ადგები
	დაჟდება / დაწობა / ადგება
	დავჟდებით / დავწობით / ავდგებით
	დაჟდებით / დაწობით / ადგებით
	დაჟდებიენ / დაწობიენ / ადგებიენ
ხოლმეობითი	დავჟდებოი / დავწობოი / ავდგებოი
	დაჟდებოი / დაწობოი / ადგებოი
	დაჟდებოდა / დაწობოდა / ადგებოდა
	დავჟდებოით / დავწობოით / ავდგებოით
	დაჟდებოით / დაწობოით / ადგებოით
	დაჟდებოდენ / დაწობოდენ / ადგებოდენ
მყოფ. კავშირებითი	დავჟდებოდე / დავწობოდე / ავდგებოდე
	დაჟდებოდე / დაწობოდე / ადგებოდე
	დაჟდებოდეს / დაწობოდეს / ადგებოდეს
	დავჟდებოდეთ / დავწობოდეთ / ავდგებოდეთ
	დაჟდებოდენ / დაწობოდენ / ადგებოდენ
	დაჟდებოდენ / დაწობოდენ / ადგებოდენ

II სერია:

წყვეტილი	დავჟეი / დავწეი / ავდექი
	დაჟეი / დაწეი / ადექი

დაჟდა / დაწვა / ადგა

დავჟეით / დავწეით / ავდექით
დაჟეით / დაწეით / ადექით
დაჟდენ / დაწვენ / ადგენ

II კავშირებითი დავჟდე / დავწვე / ავდგე
დაჟდე / დაწვე / ადგე
დაჟდეს / დაწვეს / ადგეს

დავჟდეთ / დავწვეთ / ავდგეთ
დაჟდეთ / დაწვეთ / ადგეთ
დაჟდენ / დაწვენ / ადგენ

III სერია:

I თურმეობითი დავმჟდარვარ / დავწოლილვარ / ავმდგარვარ
დამჟდარხარ / დაწოლილხარ / ამდგარხარ
დამჟდარა / დაწოლილა / ამდგარა

დავმჟდარვართ / დავწოლილვართ / ავმდგარვართ
დამჟდარხართ / დაწოლილხართ / ამდგარხართ
დამჟდარალიენ / დაწოლილარიენ / ამდგარლარიენ

II თურმ. დავმჟდარიყაი / დავწოლილიყაი / ავმდგარიყაი
დამჟდარიყაი / დაწოლილიყაი / ამდგარიყაი
დამჟდარიყო / დაწოლილიყო / ამდგარიყო

დავმჟდარიყაით / დავწოლილიყაით / ავმდგარიყაით
დამჟდარიყაით / დაწოლილიყაით / ამდგარიყაით
დამჟდარიყვენ / დაწოლილიყვენ / ამდგარიყვენ

III კავშ. დავმჟდარიყო / დავწოლილიყო / ავმდგარიყო
დამჟდარიყო / დაწოლილიყო / ამდგარიყო
დამჟდარიყოს / დაწოლილიყოს / ამდგარიყოს

დავმჟდარიყოთ / დავწოლილიყოთ / ავმდგარიყოთ
დამჟდარიყოთ / დაწოლილიყოთ / ამდგარიყოთ
დამჟდარიყვენ / დაწოლილიყვენ / ამდგარიყვენ

IV სერია:

IV თურმ. ——— / ——— ———
ნაჟდომხარ / ნაწოლხარ / ანადგომხარ

ნაჟდომა / ნაწოლა / ანადგომა
——— / ——— / ———
ნაჟდომხართ / ნაწოლხართ / ანადგომხართ
ნაჟდომლარიენ / ნაწოლარიენ / ანადგომლარიენ

„რა ხანია უძახის იგი ქათმეფს, რო **დავჟეი**, მას იქითე“.

გარდაუვალი ზმნა -ობ თემის ნიშნით (საშუალი გვარი)

-ობ თემისნიშნიან ზმნებში თემისნიშნისეული ბოლოკიდური **ბ** ყრუვდება (ობ → ოფ: ვსტავლოფ, ვყიდულოფ, ვკითხულოფ), ზოგი ზმნა კი აწმყოს ფორმებს მეშველი ზნით აწარმოებს (ფიქრობხარ, ჩხუბობხარ).

I სერია: აწმყო	ფიქრობვარ	ფიქრობვართ
	ფიქრობხარ	ფიქრობხართ
	ფიქროფს	ფიქრობენ
უწყვეტელი	ვფიქრობდი	ვფიქრობდით
	ფიქრობდი	ფიქრობდით
	ფიქრობდა	ფიქრობდენ
აწმყოს კავშირებითი	ვფიქრობდე	ვფიქრობდეთ
	ფიქრობდე	ფიქრობდეთ
	ფიქრობდეს	ფიქრობდენ
მყოფადი	ვიფიქრეფ	ვიფიქრეფთ
	იფიქრეფ	იფიქრეფთ
	იფიქრეფს	იფიქრებენ
ხოლმეობითი	ვიფიქრებდი	ვიფიქრებდით
	იფიქრებდი	იფიქრებდით
	იფიქრებდა	იფიქრებდენ
მყოფადის კავშირებითი	ვიფიქრებდე	ვიფიქრებდეთ
	იფიქრებდე	იფიქრებდეთ
	იფიქრებდეს	იფიქრებდენ
II სერია:		
წყვეტილი	ვიფიქრე	ვიფიქრეთ
	იფიქრე	იფიქრეთ
	იფიქრა	იფიქრეს

II კავშირებითი	ვიფიქრო	ვიფიქროთ
	იფიქრო	იფიქროთ
	იფიქროს	იფიქრონ

III სერია:

I თურმეობითი	მიფიქრია	გვიფიქრია
	გიფიქრია	გიფიქრიათ
	უფიქრია	უფიქრიათ
II თურმეობითი	მეფიქრებია	გვეფიქრებია
	გეფიქრებია	გეფიქრებიათ
	ეფიქრებია	ეფიქრებიათ
III კავშირებითი	მეფიქრებიოს	გვეფიქრებიოს
	გეფიქრებიოს	გეფიქრებიოთ
	ეფიქრებიოს	ეფიქრებიოთ

IV სერია:

III თურმეობითი	ნაფიქრებვარ	ნაფიქრებვართ
	ნაფიქრებხარ	ნაფიქრებხართ
	ნაფიქრება	ნაფიქრებლარიენ
IV თურმეობითი	ვნაფიქრებიყაი	ვნაფიქრებიყაით
	ნაფიქრებიყაი	ნაფიქრებიყაით
	ნაფიქრებიყო	ნაფიქრებიყვენ
IV კავშირებითი	ნავფიქრებიყო	ნავფიქრებიყოთ
	ნაფიქრებიყო	ნაფიქრებიყოთ
	ნაფიქრებიყოს	ნაფიქრებიყონ

„მიტო უგნოფ მე ნუ სვამ ღვინოს-თქვა. მე მეცოდება. **ვფიქობვარ**, დოუწვავს წელეფს-თქვა"

„**ვფიქრობვარ** რაცხას, ვერაფელი ვერ მოვახერხე".

გარდამავალი ზმნები

„ვამბობ“

I სერია:

აწმყო	უმბოფ ‖ უგნოფ	უმბოფთ ‖ უგნოფთ
	უმბოფ ‖ უგნოფ	უმბოფთ ‖ უგნოფთ
	უმბოფს ‖ უგნოფს	უმბობენ ‖ უგნობენ
უწყვეტელი	უმბობდი ‖ უგნობდი	უმბობდით
	უმბობდი ‖ უგნობდი	უმბობდით
	უმბობდა ‖ უგნობდა	უმბობდენ
აწმყოს კავშირებითი	უმბობდე	უმბობდეთ
	უმბობდე	უმბობდეთ
	უმბობდეს	უმბობდენ
მყოფადი	ვიტყვი	ვიტყვით
	იტყვი	იტყვით
	იტყვის	იტყვიენ
ხოლმეობითი	ვიტყოი	ვიტყოით
	იტყოი	იტყოით
	იტყოდა	იტყოდენ
მყოფ. კავშირებითი	ვიტყოდე	ვიტყოდეთ
	იტყოდა	იტყოდეთ
	იტყოდეს	იტყოდენ

II სერია:

წყვეტილი	ვთქვი	ვთქვით
	თქვი	თქვით
	თქვა	თქვან
II კავშირ.	ვთქვა	ვთქვათ
	თქვა	თქვათ
	თქვას	თქვან

III სერია:

I თურმ.	მითქვია	გვითქვია
	გითქვია	გითქვიათ
	უთქვია|ეთქვა	უთქვიათ|ეთქვენ
II თურმ.	მეთქვა	გვეთქვა
	გეთქვა	გეთქვათ
	ეთქვა	ეთქვენ
III კავშ.	მეთქვეს	გვეთქვეს
	გეთქვეს	გეთქვეს
	ეთქვეს	ეთქვეს

IV სერია:

III თურმ.	———	———
	ნათქვამხარ	ნათქვამხართ
	ნათქვამა	ნათქვამლარიენ

„ყველა არ მახსოფს და ნაწილს **უგნოფ**"

„ისტავლეო, ჩემზა არ **აგნობდა**?.. არ ვშობოი"

„მიტო **უგნოფ** მე, ნუ სვამ ღვინოს-თქვა"

„რა ვიცი, **უმბობდა**, სახლი იყიდაო და..."

„ბაღანეზა ვიცოით „თავარი სული არ დარჩესო" და რო ავაყენებდით, **ვეტყოით**, „სულო თან აყეი, სულო თან აყეი-თქვა".

„ლენაიას **ეთქვა**, წამოი ექიმთანო. არ უქნია".

„ლეინგრადში **ეთქვენ**, ნუ გეშინიაო".

„**ვეუბნები**"

I სერია: აწმყო	ვეუნები	ვეუნებით
	ეუნები	ეუნებით
	ეუნება	ეუნებიენ
უწყვეტელი	ვეუნებოი	ვეუნებოით
	ეუნებოი	ეუნებოით
	ეუნებოდა	ეუნებოდენ
აწმყოს კავშირებითი	ვეუნებოდე	ვეუნებოდეთ
	ეუნებოდე	ეუნებოდეთ
	ეუნებოდეს	ეუნებოდენ

	მყოფადი	ვეტყვი	ვეტყვით
		ეტყვი	ეტყვით
		ეტყვის	ეტყვიენ
	ხოლმეობითი	ვეტყოი	ვეტყოით
		ეტყოი	ეტყოით
		ეტყოდა	ეტყოდენ
	მყოფ. კავშირებითი	ვეტყოდე	ვეტყოდეთ
		ეტყოდე	ეტყოდეთ
		ეტყოდეს	ეტყოდენ
II სერია:			
	წყვეტილი	უთხარი	უთხარით
		უთხარი	უთხარით
		უთხრა	უთხრენ
	II კავშირებითი	უთხრა	უთხრათ
		უთხრა	უთხრათ
		უთხრას	უთხრან
III სერია:			
	I თურმეობითი	მითხრობია	გვითხრობია
		გითხრობია	გითხრობიათ
		უთხრობია	უთხრობია

„ხო იცი, რაი **უთხრობია**"
„შენი გუგულიას **უთხრობიაო**"
„სანეფო ვაშს **ეტყვიენ**"

„ვიცი"

I სერია:	აწმყო	ვიცი	ვიცით
		იცი	იცით
		იცის	იციენ
	უწყვეტელი	ვიცოი	ვიცოით
		იცოი	იცოით
		იცოდა	იცოდენ

აწმყოს კავშირებითი	ვიცოდე	ვიცოდეთ
	იცოდე	იცოდეთ
	იცოდეს	იცოდენ
მყოფადი	მეცოდინება	გვეცოდინება
	გეცოდინება	გეცოდინებათ
	ეცოდინება	ეცოდინებათ
ხოლმეობითი	მეცოდინებოდა	გვეცოდინებოდა
	გეცოდინებოდა	გეცოდინებოდათ
	ეცოდინებოდა	ეცოდინებოდათ
მყოფ. კავშირებითი	მეცოდინებოდეს	გვეცოდინებოდეს
	გეცოდინებოდეს	გეცოდინებოდეთ
	ეცოდინებოდეს	ეცოდინებოდეთ

II სერია:

წყვეტილი	———	———
II კავშირებითი	———	———

III სერია:

I თურმეობითი	მცოდნია	ქვცოდნია
	გცოდნია	ქცოდნიათ
	ცოდნია	ცოდნიათ
II თურმეობითი	მცოდნოდა	ქვცოდნოდა
	ქცოდნოდა	ქცოდნოდათ
	ცოდნოდა	ცოდნოდათ
III კავშირებითი	———	———

IV სერია:

III თურმეობითი	———	———
	ნაცოდნარხარ	ნაცოდნარხართ
	ნაცოდნარა	ნაცოდნარალიენ

„მე ვერ დევიმახსონე. რაცხა **ვიცოი**, იგი დამამიწყდა, აწი დევიმახსონო კარა...“.

	მიმაქვს / მომაქვს	
I სერია: აწმყო	მიმაქ / მომაქ	მიგვაქ / მოგვაქ
	მიგაქ / მოგაქ	მიგაყვენ / მოგაყვენ
	მიაქ / მოაქ	მიაყვენ / მოაყვენ
უწყვეტელი	მიმქონდა / მომქონდა	მიქვონდა / მოქვონდა
	მიქქონდა / მოქქონდა	მიქქონდაყენ / მოქქონდაყენ
	მიქონდა / მოქონდა	მიქონდაყენ / მოქონდაყენ
აწმყოს კავშ.	მიმქონდეს/მომქონდეს	მიქვონდენ / მოქონდენ
	მიქქონდეს/მოქქონდეს	მიქქონდენ / მოქქონდენ
	მიქონდეს / მოქონდეს	მიქონდენ / მოქონდენ
მყოფადი	წევიღეფ / მევიტან	წევიღეფთ / მევიტანთ
	წეიღეფ / მეიტან	წეიღეფთ / მეიტანთ
	წეიღეფს / მეიტანს	წეიღებენ / მეიტანებენ
ხოლმეობითი	წევიღებდი/მევიტანდი	წევიღებდით / მევიტანდით
	წეიღებდი/მეიტანდი	წეიღებდით / მეიტანდით
	წეიღებდეს/მეიტანდეს	წეიღებდენ / მეიტანდენ
მყოფ. კავშირ.	წევიღებდე/მევიტანდე	წევიღებდეთ / მევიტანდეთ
	წეიღებდე / მეიტანდე	წეიღებდეთ / მეიტანდეთ
	წეიღებდეს/მეიტანდეს	წეიღებდენ / მეიტანდენ
II სერია:		
წყვეტილი	წევიღე / მევიტანე	წევიღეთ / მევიტანეთ
	წეიღე / მეიტანე	წეიღეთ / მეიტანეთ
	წეიღო / მეიტანა	წეიღენ / მეიტანენ
II კავშირ.	წევიღო / მევიტანო	წევიღოთ / მევიტანოთ
	წეიღო / მეიტანო	წეიღოთ / მეიტანოთ
	წეიღოს / მეიტანოს	წეიღონ / მეიტანონ
III სერია:		
I თურმ.	წამიღია / მომიტანია	წაგვიღია / მოგვიტანია
	წაგიღია / მოგიტანია	წაგიღიაყენ / მოგიტანიაყენ
	წოუღია / მოუტანია	წოუღიაყენ / მოუტანიაყენ

II თურმ.	წემეღო / მემეტანა	წეგვეღო / მეგვეტანა
	წეგეღო / მეგეტანა	წეგეღოთ / მეგეტანათ
	წეეღო / მეეტანა	წეეღოთ / მეეტანათ
III კავშირ.	წემეღოს / მემეტანოს	წეგვეღო / მეგვეტანოს
	წეგეღოს / მეგეტანოს	წეგეღოთ / მეგეტანოთ
	წეეღოს / მეეტანოს	წეეღოთ / მეეტანოთ

IV სერია:

III თურმ. ——————— ———————

წანაღებღარ/მონატანხარ წანაღებხართ/მონატანხართ

წანაღება/მონატანა წანაღებლარიენ/მონატანლარიენ

„შვრება“

I სერია: აწმყო	ვშობი	ვშობით
	შობი	შობით
	შობა	შობიენ
უწყვეტელი	ვშობოი	ვშობოით
	შობოი	შობოით
	შობოდა	შობოდენ
აწმყოს კავშირებითი	ვშობოდე	ვშობოდეთ
	შობოდე	შობოდეთ
	შობოდეს	შობოდენ
მყოფადი	ვიზამ	ვიზამთ
	იზამ	იზამთ
	იზამს	იზამენ
ხოლმეობითი	ვიზამდი	ვიზამდით
	იზამდი	იზამდით
	იზამდა	იზამდენ
მყოფ. კავშირებითი	ვიზამდე	ვიზამდეთ
	იზამდე	იზამდეთ
	იზამდეს	იზამდენ

II სერია:

წყვეტილი	ვქენი	ვქენით
	ქენი	ქენით
	ქნა	ქნეს
II კავშირ.	ვქნა	ვქნათ
	ქნა	ქნათ
	ქნას	ქნან

III სერია:

I თურმ.	მიქნია	გვიქნია
	გიქნია	გიქნიათ
	უქნია	უქნიათ
II თურმ.	მექნა	გვექნა
	გექნა	გექნათ
	ექნა	ექნათ
III კავშირ.	მექნას	გვექნას
	გექნას	გექნათ
	ექნას	ექნათ

IV სერია:

III თურმეობითი	————	————
	ნაქნარხარ	ნაქნარხართ
	ნაქნარა	ნაქნარლარიენ

გარდაუვალი ზმნები (ინვერსიული ზმნები)

I სერია: აწმყო	მაქ	გვაქ
	გაქ	გაყვენ (<გაქვ-ყენ) || გაქვენ
	აქ	აყვენ (<აქვ-ყენ) || აქვენ
უწყვეტელი	მქონდა	ქვქონდა
	ქქონდა	ქქონდაყენ (|| ქქონდათ)
	ქონდა	ქონდაყენ (|| ქონდენ)
აწმყოს კავშირებითი	მქონდეს	ქვქონდეს
	ქქონდეს	ქქონდეს
	ქონდეს	ქონდეს

მყოფადი	მექნება	გვექნება
	გექნება	გექნებაყენ
	ექნება	ექნებაყენ
ხოლმეობითი	მექნებოდა	გვექნებოდა
	გექნებოდა	გექნებოდაყენ
	ექნებოდა	ექნებოდაყენ
მყოფ. კავშირებითი	მექნებოდეს	გვექნებოდეს
	გექნებოდეს	გექნებოდეთ
	ექნებოდეს	ექნებოდეთ

II სერია:

წყვეტილი	————	————
II კავშირებითი	————	————

III სერია:

I თურმ.	მქონია	ქვქონია
	ქქონია	ქქონიათ
	ქონია	ქონიათ
II თურმ.	ქვონოდა	ქვქონოდა
	ქქონოდა	ქქონოდათ
	ქონოდა	ქონოდათ

IV სერია:

III თურმეობითი	————	————
	ნაქონხარ	ნაქონხართ
	ნაქონა	ნაქონლარიენ

„იმისანა მივბეჟავ ახლა იმ თხას, თუ დევინახე... ქვები ქე **მაქ** ეგერ...“

„ახლა ქე **გვაქ** სამუშევარი“

„სიგარეტი არ **გაქვენ**?“

„იმდონი ტყემალი **აქვენ**. ქე ყრია ისე...“

„რა იზამენ ჩემი სტუმრები... ვალინკები ქე **აქვენ** და დატუტყუნობენ ი ტალახში“.

„პენციის ფული **მქონდა**, არ დეეტყუა იმ გადარეულს?!“

„ჩვენ რეტო არ **ქვქონდა**?!“

„არ **ქონდენ** სახლი, ახალი ჩასრული არიენ და კუხნა ააშენენ პეტერე“.

„სულორიდან **ქონდენ**, გონია, მოტანილი ი სტოლები“.

„თხილები ბევრი **აყვენ**, საფსე“

„წყალი თუ **გაყვენ** კრანეფში, წყალი?...“

„სხომის გამოვჭრათ, სხომის, ხვალე სასიარულო **აყვენ**“.

„ვერ ვიშონე კვერცხი ხო ხედავ. ახლა თუ **აყვენ**, აყენს ყველე“.

„მინდა“

I სერია: აწმყო	მინდა	გვინდა
	გინდა	გინდათ
	უნდა	უნდებიენ
უწყვეტელი	მინდოდა	გვინდოდა
	გინდოდა	გინდოდა
	უნდოდა	უნდოდენ
აწმყოს კავშირ.	მინდოდეს	გვინდოდეს
	გინდოდეს	გინდოდეთ
	უნდოდეს	უნდოდეს (‖ უნდოდაყენ)
მყოფადი	მენდომილება	გვენდომილება
	გენდომილება	გენდომილებათ
	ენდომილება	ენდომილებათ
ხოლმეობითი	მენდომილებოდა	გვენდომილებოდა
	გენდომილებოდა	გენდომილებოდათ
	ენდომილებოდა	ენდომილებოდენ
მყოფ. კავშირებითი	მინდოდეს	გვინდოდეს
	გინდოდეს	გინდოდეთ
	უნდოდეს	უნდოდეთ

II სერია:

წყვეტილი	———	———
II კავშირებითი	———	———

III სერია: ——— ———
IV სერია:

III თურმეობითი	ნანდომვარ	ნანდომვართ
	ნანდომხარ	ნანდომხართ
	ნანდომა	ნანდომლარიენ

„ქე გაძღა ეგი, ხვალე დილაამდე არ **უნდებოენ** მეტი"

„რა ვიცი, საცხა **უნდებოენ**, იქინე იქნებიენ".

„— მოი, გო, აქ, მოი!

— რაი **გინდა**?

— რაი **მენდომილება**, გო, და გამომართვი ეგი, რო ჟდანხარ ტყულა თელი დღეი".

„მაი ქახალდი რათ უნდა, გო, გაზეთი **ენდომილება**".

ხმოვანმონაცვლე ზმნები

ხმოვანმონაცვლეობა არაა დამახასიათებელი ქვემოიმერულისათვის. პარადიგმა ერთი ფუძითაა გამართული.

I სერია: აწმყო	ვკრიფავ	ვკრიფავთ
	კრიფავ	კრიფავთ
	კრიფავს	კრიფავენ
უწყვეტელი	ვკრიფავდი	ვკრიფავდით
	კრიფავდი	კრიფავდით
	კრიფავდა	კრიფავდენ
აწმყოს კავშირებითი	ვკრიფავდე	ვკრიფავდეთ
	კრიფავდე	კრიფავდეთ
	კრიფავდეს	კრიფავდენ
მყოფადი	მოვკრიფავ	მოვკრიფავთ
	მოკრიფავ	მოკრიფავთ
	მოკრიფავს	მოკრიფავენ
ხოლმეობითი	მოვკრიფავდი	მოვკრიფავდით
	მოკრიფავდი	მოკრიფავდით
	მოკრიფავდა	მოკრიფავდენ

მყოფ. კავშირებითი	მოვკრიფავდე	მოვკრიფავდეთ
	მოკრიფავდე	მოკრიფავდეთ
	მოკრიფავდეს	მოკრიფავდენ
II სერია:		
წყვეტილი	მოვკრიფე	მოვკრიფეთ
	მოკრიფე	მოკრიფეთ
	მოკრიფა	მოკრიფენ
II კავშირებითი	მოვკრიფო	მოვკრიფოთ
	მოკრიფო	მოკრიფოთ
	მოკრიფოს	მოკრიფონ
III სერია:		
I თურმ.	მომიკრეფია	მოგვიკრეფია
	მოგიკრეფია	მოგიკრეფიათ
	მოუკრეფია	მოუკრეფიათ
II თურმ.	მემეკრიფა	მეგვეკრიფა
	მეგეკრიფა	მეგეკრიფათ
	მეეკრიფა	მეეკრიფათ
III კავშირ.	მემეკრიფოს	მეგვეკრიფოს
	მეგეკრიფოს	მეგეკრიფოთ
	მეეკრიფოს	მეეკრიფოთ
IV სერია:		
III თურმ.	————	————
	ნაკრეფავხარ	ნაკრეფავხართ
	ნაკრეფავა	ნაკრეფავლარიენ

„ბაღნებმა **მოკრიფენ** გუშხამ, სუყველე ფუტურეა [თხილი], ალბათ თოული მონახთენა მაგას. წროულს თოული რო არ იყო, იმიზაა მასე".

გარდაუვალი ძირმონაცვლე ზმნები

I სერია: აწმყო	ვარ	ვართ
	ხარ	ხართ
	არი	არიენ

	უწყვეტელი	———	———
აწმყოს	კავშირებითი	———	———
	მყოფადი	ვიქნები	ვიქნებით
		იქნები	იქნებით
		იქნება	იქნებიენ
	ხოლმეობითი	ვიქნებოი	ვიქნებოით
		იქნებოი	იქნებოით
		იქნებოდა	იქნებოდენ
მყოფ.	კავშირებითი	ვიქნებოდე	ვიქნებოდეთ
		იქნებოდე	იქნებოდეთ
		იქნებოდეს	იქნებოდენ
II სერია:			
	წყვეტილი	ვიყაი	ვიყაით
		იყაი	იყაით
		იყო	იყვენ
	II კავშირ.	ვიყო	ვიყოთ
		იყო	იყოთ
		იყვეს	იყვენ
III სერია:			
	I თურმ.	ვყოფილვარ	ვყოფილვართ
		ყოფილხარ	ყოფილხართ
		ყოფილა	ყოფილარიენ
	II თურმ.	ვყოფილიყაი	ვყოფილიყაით
		ყოფილიყაი	ყოფილიყაით
		ყოფილიყო	ყოფილიყვენ
	III კავშირ.	———	———
IV სერია:			
	III თურმ.	———	———

„ზაფხულობით **ვიქნები** აქანე და ზამთრობით ქალაქში **ვიქნებიო**, ალიოშამ თქვა“.

„სოსოიას არ უნდა თხილი? **იყვეს** იქინე!“...

დი / ვალ / ვედ

I სერია: აწმყო	მოვალ (=მოვდივარ)	მოვალთ
	მოხვალ (=მოდიხარ)	მოხვალთ
	მოვა (=მოდის)	მოვლიენ
უწყვეტელი	მევიდოი (მოვდიოი)	მოვიდოით (მოდიოით)
	მოდიოდი	მოდიოდით
	მოდიოდა	მოდიოდენ
აწმყოს კავშირ.	მოვიდოდე	მოვიდოდეთ
	მოდიოდე	მოდიოდეთ
	მოდიოდეს	მოდიოდენ
მყოფადი	მოვალ	მოვალთ
	მოხვალ	მოხვალთ
	მოვა	მოვლიენ
ხოლმეობითი	მევიდოდი	მევიდოდით
	მოხვიდოდი	მოხვიდოდი
	მევიდოდა	მევიდოდენ
მყოფ. კავშირ.	მევიდოდე	მევიდოდეთ
	მოხვიდოდე	მოხვიდოდეთ
	მევიდოდეს	მევიდოდენ
II სერია:		
წყვეტილი	მეველი (მევეი)	მეველით (მევეით)
	მოდი (=მოხველი)‖მოი	მოდით (=მოხველით)‖მოით
	მევიდა	მევიდენ
II კავშირ.	მევიდე	მევიდეთ
	მოხვიდე	მოხვიდეთ
	მევიდეს	მევიდენ
III სერია:		
I თურმ.	მოვსულვარ	მოვსულვართ
	მოსულხარ	მოსულხართ
	მოსულა	მოსულარიენ

II თურმ.	მოვსულიყაი	მოვსულიყაით
	მოსულიყაი	მოსულიყაით
	მოსულიყო	მოსულიყვენ
III კავშირ.	მოვსულიყო	მოვსულიყოთ
	მოსულიყო	მოსულიყოთ
	მოსულიყოს	მოსულიყვენ
IV სერია:		
III თურმ.	———	———
	მონავალხარ	მონავალხართ
	მონავალა	მონავალარიენ

„ზღვაში **მიველიენ** ხალხი საბანაოთ“
„თუ **მევეი** აქნაამდი“.
„აუ, რა სიცივე **მოვა** იქიდან, წამაწვა ზრუგი“.
„რაღაზე იქინე **მიხვიდოდი**, აგერ არა იმისანე ლუსპანი?!“
„გლახააო იძახოი და იმასან **მიხვიდოდი** კიდო გუშხამ“.

სტატიკური ზმნები

დ-ება

I სერია: აწმყო	———	———
	———	———
	დენა	———
უწყვეტელი	———	———
	———	———
	იდვა	———
აწმყოს კავშირებითი	———	———
	———	———
	იდვეს	———
მყოფადი	———	———
	———	———
	იდება	———
ხოლმეობითი	———	———
	———	———
	იდებოდა	———

მყოფადის კავშირებითი ——— ———
——— ———
იდებოდეს ———

II სერია:

წყვეტილი ——— ———
——— ———
(დე)იდვა ———

II კავშირებითი ——— ———
——— ———
(დე)იდვას ———

III სერია:

I თურმეობითი ——— ———
——— ———
დებულა ———

II თურმეობითი ——— ———
——— ———
დებულიყო ———

III კავშირებითი ——— ———
——— ———
დებულიყოს ———

IV სერია:

III თურმეობითი ——— ———
——— ———
ნადება ———

„აგერ არ **დენა** ე ჯორკო, თელი დღეია ვეძეფ?!“

„ქვაი უნდა **დებულიყო** ეზოში დიდი რიყის ქვაი... რეიზა უნდა დებულიყო და... რო შემოვა ვინმე, შეხედავს ქვას და ვერ აზნევეფს ვერაფელს“.

დეგ

I სერია: აწმყო ვდგანვარ ვდგანვართ
დგანხარ დგანხართ
დგანა დგანარიენ

	უწყვეტელი	———	———
აწმყოს	კავშირებითი	———	———
	მყოფადი	ვიდგომილები	ვიდგომილებით
		იდგომილები	იდგომილებით
		იდგომილება	იდგომილებიენ
	ხოლმეობითი	ვიდგომილებოდი (ვიდგომილებოი)	
		იდგომილებოდი (იდგომილებოი)	
		იდგომილებოდა	
		ვიდგომილებოდით (ვიდგომილებოით)	
		იდგომილებოდით (იდგომილებოით)	
		იდგომილებოდენ	
	მყოფ. კავშირებითი	ვიდგომილებოდე	ვიდგომილებოდეთ
		იდგომილებოდე	იდგომილებოდეთ
		იდგომილებოდეს	იდგომილებოდენ

II სერია:

	წყვეტილი	ვიდექი	ვიდექით
		იდექი	იდექით
		იდგა	იდგენ
	II კავშირებითი	ვიდგე	ვიდგეთ
		იდგე	იდგეთ
		იდგეს	იდგენ

III სერია:

	I თურმეობითი	მდგარვარ	მდგარვართ
		მდგარხარ	მდგარხართ
		მდგარა	მდგარალიენ
	II თურმეობითი	ვმდგარიყაი	ვმდგარიყაით
		მდგარიყაი	მდგარიყაით
		მდგარიყო	მდგარიყვენ
	III კავშირებითი	ვმდგარიყო	ვმდგარიყოთ
		მდგარიყო	მდგარიყოთ
		მდგარიყოს	მდგარიყვენ

IV სერია:

III თურმეობითი	————	————
	ნადგომხარ	ნადგომხართ
	ნადგომა	ნადგომლარიენ

„აქანე საოტკიას დადეფ, გრუშამო შამოაწყოფ ჰიქეფს. თვარ შამოაწყოფ და **იდგომილება** მარტო იგი“.

„ერთი სახლი **უდგანა** დიდი“.

„თასთუმალთან **უდგანა** და იგი საინი მეიტანე“.

„ეგერ **მედგომილებოდა** დიდი სახლი მე, მაი რო არ ყოფილიყო“.

„აქანე **ვიდგომილები** თელი დღეი, გამეიარს აპა რა იზამს. დავდგები აქანე და **ვიდგომილები** თელი დღეი“.

წოლა

I სერია: აწმყო	ვწენვარ	ვწენვართ
	წენხარ	წენხართ
	წენა	წენარიენ
უწყვეტელი	————	————
აწმყოს კავშირებითი	————	————
მყოფადი	ვიწოლილები	ვიწოლილებით
	იწოლილები	იწოლილებით
	იწოლილება	იწოლილებიენ
ხოლმეობითი	ვიწოლილებოდი (ვიწოლილებოი)	
	იწოლილებოდი (იწოლილებოი)	
	იწოლილებოდა	
	ვიწოლილებოდით (ვიწოლილებოით)	
	იწოლილებოდით (იწოლილებოით)	
	იწოლილებოდენ	
II სერია:		
წყვეტილი	ვიწეი	ვიწეით
	იწეი	იწეით
	იწვა	იწვენ
II კავშირებითი	ვიწვე	ვიწვეთ

	იწვე	იწვეთ
	იწვეს	იწვენ
III სერია:		
I თურმეობითი	ვწოლილვარ	ვწოლილვართ
	წოლილხარ	წოლილხართ
	წოლილა	წოლილარიენ
II თურმეობითი	ვწოლილიყაი	ვწოლილიყაით
	წოლილიყაი	წოლილიყაით
	წოლილიყო	წოლილიყვენ
III კავშირებითი	ვწოლილიყო	ვწოლილიყოთ
	წოლილიყო	წოლილიყოთ
	წოლილიყოს	წოლილიყვენ
IV სერია:		
III თურმეობითი	———	———
	ნაწოლხარ	ნაწოლხართ
	ნაწოლა	ნაწოლარიენ

„საღამოს გამოვალ აგერ და თუ **წენა** საქონელი მანქანასან, გავდენი, არ გატეხოს კიდო".

„თელი დღეი ლოგინზე **წენხარ**..."

„ი ქალი სულ საავატყოფოში **წენა**..."

„ჰაერზე რავა დაჟდებიენ მაგენი, სახში **წენარიენ** სულ".

ზი, ჯედ (ჯექ)

I სერია: აწმყო	ვჟდანვარ‖ვჟანვარ	ვჟდანვართ‖ვჟანვართ
	ჟდანხარ‖ჟანხარ	ჟდანხართ‖ჟანხართ
	ჟდანა‖ჟანა	ჟდანარიენ‖ჟანარიენ
უწყვეტელი	———	———
აწმყოს კავშირებითი	———	———
მყოფადი	ვიჟდომილები	ვიჟდომილებით
	იჟდომილები	იჟდომილებით
	იჟდომილება	იჟდომილებიენ
ხოლმეობითი	ვიჟდომილებოი	ვიჟდომილებოით

	იჟდომილებოი	იჟდომილებოით
	იჟდომილებოდა	იჟდომილებოდენ
მყოფ. კავშირებითი	ვიჟდომილებოდე	ვიჟდომილებოდეთ
	იჟდომილებოდე	იჟდომილებოდეთ
	იჟდომილებოდეს	იჟდომილებოდენ

II სერია:

წყვეტილი	ვიჯეი ‖ ვიჟეი	ვიჯექით ‖ ვიჟეით
	იჯეი ‖ იჟეი	იჯექით ‖ იჟეით
	იჯდა ‖ იჟდა	იჯდენ ‖ იჟდენ
II კავშირებითი	ვიჟდე	ვიჟდეთ
	იჟდე	იჟდეთ
	იჟდეს	იჟდენ

III სერია:

I თურმეობითი	მჟდარვარ	მჟდარვართ
	მჟდარხარ	მჟდარხართ
	მჟდარა	(და)მჟდარალიენ
II თურმეობითი	ვჟდომილიყაი	ვჟდომილიყაით
	ჟდომილიყაი	ჟდომილიყაით
	ჟდომილიყო	ჟდომილიყვენ
III კავშირებითი	ვჟდომილიყო	ვჟდომილიყოთ
	ჟდომილიყო	ჟდომილიყოთ
	ჟდომილიყოს	ჟდომილიყვენ

IV სერია:

III თურმეობითი	ნაჟდომვარ	ნაჟდომვართ
	ნაჟდომხარ	ნაჟდომხართ
	ნაჟდომა	ნაჟდომლარიენ

„მანქანა, რაც უნდა ძვირი დაგიჟდეს, მაინც კაია, შენც **ჟდანხარ** და ხაბაკიც მიაქ".

„აქანე **იჟდა** ხალხი; ჭადრები აქვენ ეზოში და **ჟდანარიენ** იქინე"

„ისე **ჟანა** თელი დღეი"

„მე რო არ მივყვე, ე, ისე **იჟდომილება (იჟდომილებოდა)**"

სახელის ბრუნების პარადიგმები ქვემოიმერულის ვანურ თქმაში

სახელთა ბრუნება ქვემოიმერულში რიგ თავისებურებებს ავლენს:

უკუმშველი სახელები

მათი ბრუნება ძირითადად ემთხვევა სალიტერატურო ქართულის ნორმებს. გამონაკლისია მიცემითი ბრუნვა, რომლის ნიშნად **-ის** გამოიყოფა ზოგიერთ სახელში:

სახ.	კვერცხ-ი	კოჭლ-ი	მუნჯ-ი	კვირტი	დაფ-ი
მოთხრ.	კვერცხ-მა	კოჭლ-მა	მუნჯ-მა	კვირტ-მა	დაფ-მა
მიც.	კვერცხი-ს	კოჭლი-ს	მუნჯი-ს	კვირტი-ს	დაფი-ს
ნათ.	კვერცხ-ის	კოჭლ-ის	მუნჯ-ის	კვირტ-ის	დაფ-ის
მოქმ.	კვერცხ-ით	კოჭლ-ით	მუნჯ-ით	კვირტ-ით	დაფ-ით
ვით.	კვერცხ-ათ	კოჭლ-ათ	მუნჯ-ათ	კვირტ-ათ	დაფ-ათ
წოდ.	(კვერცხ-ო)	(კოჭლ-ო)	(მუნჯ-ო)	(კვირტ-ო)	(დაფ-ო)

„წევიღეფ მე შენგან **კვერცხის**, ნუ გამიცემ სხოკან“

„**კოჭლის** ვერ გააჩერეფ და **მუნჯის** ვერ გააჩუმეფ“ (თქმა)

„**კვირტის** ვიშონით და რანეირი ვაშლი გინდა, იმნეირი დეიპტყნება“

„**კვერცხის** ჭამ შენ ორი დღეია, **კვერცხის** და იმან გაწყინა“.

„კაი ოთხი ათასი მეენთი აქ ასაღები; **დაფის** პუტავს და შვენივართ ინახავს თავს. მეც მთხოვენ **დაფის**, ახლა რო მქონდეს ტონა, იმას ჩავაბარეფ“.

შენიშვნა: მიცემით ბრუნვაში **ს** ბრუნვის ნიშნის ნაცვლად **-ის** დაბოლოების გამოვლენა ახსნილია ერთის მხრივ, მეგრულის გავლენით (სადაც **ი** გადაჰყვება ყველა ბრუნვაში), მეორე მხრივ, ფონეტიკური მიზეზით, კერძოდ, იგი შეიძლება ასრულებდეს თანხმოვანთგამყარის ფუნქციას. ვფიქრობთ, არაა შემთხვევითი, რომ **ის** დაბოლოება მიცემითში ძირითადად იმ სახელებთან გვხვდება, რომელთა ფუძის ბოლოს თავს იყრის ორი ან მეტი თანხმოვანი და შემდგომ ემატება ბრუნვის ნიშანი (მოსალოდნელი **ს**). **ი** ხმოვანმა იკისრა თანხმოვანთგამყარის ფუნქცია. გავლენის შემთხვევაში ის

დაბოლოება სახელთა უმრავლესობას მაინც უნდა ჰქონოდა, თუ ყველას არა, ან სახელობითს ი მოთხრობითშიც უნდა გადაჰყოლოდა.

ჩვენს მასალაში ამგვარ სახელთა შორის ერთადერთი გამონაკლისია **დაფ-ის** ფორმა, რომლის ამოსავალია დაფნა, ასე რომ, ზემოთქმული შესაძლოა ამ სახელსაც მიესადაგოს, თუ გარდაქმნათა ამგვარ მიმდევრობას ვიგულისხმებთ დაფნა → დაფნ-ი → დაფ-ი... მოთხრ. დაფ(ნ)-მა, მიც. დაფნ-ის → დაფ-ის...

სხვა შემთხვევაში თანხმოვანფუძიანი სახელები მიცემითს **ს** ნიშნით აწარმოებს:

სახ.	ტან-ი	ბიჭ-ი
მოთხრ.	ტან-მა	ბიჭ-მა
მიც.	ტან-ს	ბიჭ-ს
ნათ.	ტან-ის	ბიჭ-ის
მოქმ.	ტან-ით	ბიჭ-ით
ვით.	ტან-ათ	ბიჭ-ათ
წოდ.	(ტან-ო)	(ბიჭ-ო)

„არ იბანებენ ტანს...“

„ჩვენი დიდი ტრუბა იყო, მარა ეგი, პეტრე, ამ ბიჭს ეყიდა მერე...“

კუმშვადი სახელები

კუმშვადი სახელები ძირითადად სრულფუძიანობას ავლენენ, მაგრამ სალიტერატურო ქართულის გავლენით არის შეკუმშვის შემთხვევები.

	ალ	**ალ (ერთმარცვლიანი)**	
სახ.	ფსხალ-ი	ფსხლებ-ი	წყალ-ი
მოთხრ.	ფსხალ-მა	ფსხლებ-მა	წყალ-მა
მიც.	ფსხალ-ს	ფსხლ-ებ-ს	წყალ-ს
ნათ.	ფსხალ-ის	ფსხლ-ებ-ის	წყალ-ის
მოქმ.	ფსხალ-ით	ფსხლ-ებ-ით	წყალ-ით
ვით.	ფსხალ-ათ	ფსხლ-ებ-ით	წყალ-ათ
წოდ.	ფსხალ-ო	ფსხლ-ებ-ო	წყალ-ო

	ამ		არ	
სახ.	ქათამ-ი	ქათმ-ებ-ი	საბუდარ-ი	საბუდრ-ებ-ი
მოთხრ.	ქათამ-ა	ქათმ-ებ-მა	საბუდარ-მა	საბუდრ-ებ-მა
მიც.	ქათამ-ს	ქათმ-ეფ-ს	საბუდარ-ს	საბუდრ-ებ-ს
ნათ.	ქათმ-ის	ქათმ-ებ-ის	საბუდარ-ის	საბუდრ-ებ-ის
მოქმ.	ქათმ-ით	ქათმ-ებ-ით	საბუდარით	საბუდრ-ებ-ით
ვით.	ქათმ-ათ	ქათმ-ებ-ათ	საბუდარათ	საბუდრ-ებ-ათ
წოდ.	ქათამ-ო	ქათმ-ებ-ო	საბუდარ-ო	საბუდრებ-ო

„ფსხალი **ფსხალათ** არ ვარგა და ვაშლი-ვაშლათ წელს".
„ეგი ბალახი კაია **საბუდარათ**"
„დილას **წყალით** უნდა დეიბანო პირი".
„მოუშვი აგერ კრანი და დეიბანე სუფთა **წყალით**".
„რაცხა მეზარება უბედურათ ამისანე **წყალინაყვა**"
„დოქი არა სამე? დოქი, **წყალიანი** დოქი..."

კვეცადი სახელები

ხმოვანფუძიან სახელებში მკვეთრად გამოიყოფა ორი ჯგუფი: ერთმარცვლიანი და მეტმარცვლიანი სახელები.

ერთმარცვლიანი სახელები დაირთავენ სახელობითში **ი** ბრუნვის ნიშანს, ხოლო ნათესაობითსა და მოქმედებითში ბრუნვის ნიშნებს სრულად (-ის, -ით) ფუძე ამ ბრუნვებში არ იკვეცება.

სახ.	ცაი	ხე-ი	ხპო-ი	ბრუ-ი
მოთხრ.	ცა-ი	ხე-მ	ხპო-მ	ბრუ-მ
მიც.	ცა-ს	ხე-ს	ხპო-ს	ბრუ-ს
ნათ.	ცა-ის	ხე-ის	ხპო-ის	ბრუ-ის
მოქმ.	ცა-ით	ხე-ით	ხპო-ით	ბრუ-ით
ვით.	ცათ	ხე-თ (ხეიანათ)	ხპო-თ (ხპოიანათ)	ბრუ-თ (ბრუიანათ)
წოდ.	ცაო	ხე-ო	ხპო-ო	ბრუ-ო

ორ და მეტმარცვლიან სახელებში კი ა-ფუძიანი სახელები იცვლიან ბოლოკიდურ ა-ს ე-თი (ა+ი → ე+ი → ე).

სახ.	ბაღანე
მოთხრ.	ბაღანა-მ
მიც.	ბაღანა-ს
ნათ.	ბაღანეს
მოქმ.	ბაღანე-ით (ბაღნით)
ვით.	ბაღნათ (ბაღნიანათ)
წოდ.	ბაღანა-ო

„ერთი თხაი იყო თეთრი, მორე ჭრელი, რაცხა იაგავი“

„თფილიში **ცაიზა** სულა შემიხედია მე, აქანე უნდა უბზირო **ცას**“

„თავსაბან წყალს რო დეისხამდი, გაბუჟბუჟდებოდა **თმაი**“

„ასე ყდანა თელი **დღეი**“

„იმან იცოდა **ქვაის** სროლა“

„**ყპაი** შეიხვიე“

„სერგოიე არი ჩემი **ძმაის** კბილა“

„რაცხა **ბრუი** მესხმის და წნევა გამისინჯე“.

უკვეცელი სახელები

ო და უ ფუძიანი სახელები, ძირითადად უკვეცელნი არიან, მაგრამ სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით ნათესაობითსა და მოქმედებითში ბრუნვის ნიშანი უცვლელად დაერთვის.

სახ.	ღვინო	წვალო	ძუძუ
მოთხრ.	ღვინო-მ	წვალო-მ	ძუძუ-მ
მიც.	ღვინო-ს	წვალო-ს	ძუძუ-ს
ნათ.	ღვინ-ის	წვალო-ის	ძუძუ-ის
მოქმ.	ღვინ-ით	წვალო-ით	ძუძუ-ით
ვით.	ღვინოთ	წვალო-თ	ძუძუთ
წოდ.	ღვინო-ო	წვალო-ო	ძუძუ-ო

„**წვალოით** სახლი ამისი იყო...“

„**რადოის** გამკეთებელი თუ იცი კაი?“

„**აბანოიდან** მოვალ და მერე გავაკეთეფ მაგას...“

„**ეზოიდან** რაფერ ეიყვან?“

გამონაკლისია **ლობიე** ფორმა, რომლის ამოსავლად ლობია (> ლობია-ი > ლობიეი > ლობიე)

სახ.	ლობიე
მოთხრ.	ლობია-მ
მიც.	ლობია-ს (ლობიაზე)
ნათ.	ლობი-ე-ს
მოქმ.	ლობიე-თ
ვით.	ლობია-თ
წოდ.	—

საკუთარი სახელები

სახ.	ნიხეილე	ლენაიე	დათიკო	მარუსე	ოთარი
მოთხრ	ნიხეილა-მ	ლენაია-მ	დათიკო-მ	მარუსამ	ოთარი-მ
მიც.	ნიხეილა-ს	ლენაია-ს	დათიკო-ს	მარუსა-ს	ოთარი-ს
ნათ.	ნიხეილე-ს	ლენაიე-ს	დათიკოსი	მარუსე-ს	ოთარი-ს
მოქმ.	ნიხეილათ	ლენაია-თ	დათიკო-თი	მარუსა-თი	ოთარი-თ
ვით.	ნიხეილათ	ლენაიე-თ	დათიკო-თ	მარუსე-თი	ოთარ-ათ
წოდ.	ნიხეილა!	ლენაია!	დათიკო	მარუსა	ოთარი

ადამიანის საკუთარი სახელები ძირითადად წარმოდგენილია ია > იე კნინობითობის მაწარმოებლით.

გოგიტელასან, გირგოლიე, გოგიელას, ილაკრიასან, ნიხეილეს, ლენაიას, პოლიასან, პეტრიასან, პაჭაიამ, თენგიზიეს, გიორგის, ელვარიეს, ვაჟაიეც, ზურიკიე, ასინეთე, დათიკოს, მარუსამ, ციალიეს, ტარიელას, თენგოიეს, ნათელიამ, მარიკელამ...

ადგილის სახელწოდება

სახ.	ხატმამულე	ხატმამულე-ს წყალი
მოთხრ.	ხატმამულა-მ	ხატმამულეს წყალმა
მიც.	ხატმამულა-ს	ხატმამულეს წყალ-ს
ნათ.	ხატმამულე-ს	ხატმამულეს წყალ-ის
მოქმ.	ხატმამულე-თი	ხატმამულეს წყალ-ით
ვით.	ხატმამულა-თ	ხატმამულეს წყალ-ათ
წოდ.	ხატმამულო	ხატმამულეს წყალ-ო

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება

სახ.	პეტერე ბაღანე	ბევრი ფაფა	ახალი კვერცხი
მოთხრ	პეტერა ბაღანა-მ	ბევრმა ფაფამ	ახალმა კვერცხმა
მიც.	პეტერა ბაღანა-ს	ბევრი ფაფას	ახალი კვერცხი-ს
ნათ.	პეტერა ბაღნ-ის	ბევრი ფაფის	ახალი კვერცხ-ის
მოქმ.	პეტერა ბაღნ-ით	ბევრი ფაფით	ახალი კვერცხ-ით
ვით.	პეტერა ბაღნ-ათ	ბევრ ფაფად	ახალ კვერცხა-თ
წოდ.	პეტერა ბაღანაო	ბევრო ფაფაო	ახალო კვერცხ-ო

ო პრეფიქსიანი ზანიზმები ქვემოიმერულის (ოსურაჯა, ოყრალუა, ონტკოფა) მცენარეთა სახელწოდებებში

ქართული ენის დასავლურ დიალექტებში ლექსიკური ზანიზმების არსებობას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. ჯერ კიდევ ს. ჟღენტი აღნიშნავდა, რომ ზანიზმების სიმრავლით „განსაკუთრებით ქვემოიმერული გამოირჩევა“.[1]

ზანური სუბსტრატი შედარებით გამქვირვალეობით ჩანს ო პრეფიქსიან ფორმებში. ო პრეფიქსი ქართულ სა- პრეფიქსს შეესაბამება და გამოიყენება სიტყვაწარმოებითი ფუნქციით, იგი აწარმოებს ტოპონიმებს და დანიშნულების სახელებს.[2] გარდა ამისა, ეს მაწარმოებელი გვხვდება სხვა რიგის სახელებში — კერძოდ, მცენარეთა სახელწოდებებში. ამ სახელებში იგი თავდაპირველად დანიშნულების მაწარმოებლის ფუნქციით უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს მნიშვნელობა მას დაკარგული აქვს, მით უფრო, რომ ეს სიტყვები ქართული ენის ქვემოიმერულ დიალექტში დასტურდება, ხოლო მეგრულში კი აღარ ჩანს. ნაშრომში რამდენიმე მათგანს განვიხილავთ:

I. **ოსურაჯა** გრძელღეროიანი მცენარის სახეობაა. გვხვდება ტყეში. „სიკურწიანე ვიცოით სამწყესურში. ოსურაჯას უძახით, ბაწარივით არი იგი, ხოდა, ბაწარი თვარ გვექნებოდა, ჩავამბამდით იმას, დავეფდებოით და გავკურწიანდებოით“ (ჩაწერილია ვანის რაიონში, სოფ. გადიდი).

ოსურაჯა კატაბარდას დიალექტური სინონიმია. ქეგლ-ში კი კატაბარდა ამგვარადაა განმარტებული: „კატაბარდა — clematis. ტყეებში ფართოდ გავრცელებული ბუჩქი, რომელსაც გრძელი მცოცავი ღეროები, მოპირდაპირე ფოთლები და თეთრი ან სოსანი ყვავილები ახასიათებს.“ „ბოტანიკურ ლექსიკონში“ ალ. მაყაშვილს კატაბარდას დიალექტურ სახელწოდებებთან მინიშნებული აქვს გურული დიალექტის ფორმა **ოსურადა**. მეგრულში ამ მცენარეს სხვადასხვა სახელით

---

[1] ს. ჟღენტი, ზანიზმები გურულ ზმნებში, ენიმკის მოამბე, V-VI, თბ. 1940, გვ. 223.

[2] ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994, გვ. 181.

[3] ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961

მოიხსენიებენ: შხურიში ჯი (ჯუ), ჩიქვიში ჰი, წირლუ; სვანური სახელწოდებაა სვიჯ.[3]

სურო ფორმას სპეციალური სტატია მიუძღვნა გ. როგავამ. სტატიის დასასრულს ავტორი ღიად ტოვებს საკითხს იმის შესახებ, „ეს ფუძე საერთო-ქართველური წარმოშობისაა თუ სხვა ენიდან შეთვისებული“.[4] აღნიშნულ წერილში ავტორი გურულ **ოსურადა** ფორმაზეც მსჯელობს: „**ოსურადა** შეიძლება იყოს მიღებული *ოსურ-ბარდა-სა-გან, შდრ. უსურვაზის ომონიმები ქართულის დიალექტებში — ციცა-ბარდა, კატა-ბარდა, კატა-ვენახა და სხვა.“[5] მაგრამ ამ შემთხვევაში სრულიად აუხსნელი დარჩებოდა ქვემოიმერულის ოსურაჯა ფორმა, რომელიც არ დასტურდება ალ. მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ და ამდენად იგი არც გ. როგავას სტატიაში ასახულა, მაგრამ გვხვდება ქვემოიმერულის ვანურ თქმაში.

ოსურაჯა რთული შედგენილობის სიტყვაა: **ო-სურა-ჯა**. **ო** თავსართი ზანურია (მეგრული) და აღნიშნავს დანიშნულებას; **სურ-** ქართული **სურო**-ს შესატყვისია, რომელშიც **ო** სუფიქსად არის გააზრებული და გამოყოფილია[6], ხოლო **ჯა** აღნიშნავს **ხე**-ს. ამ სახელწოდებაში თავმოყრილია მისი თავისებურება — იგი ხეებზე მცოცავი გრძელღეროიანი მცენარეა, ე.ი. სურო ხისა, ხისთვის.

ქვემოიმერულის ოსურაჯა ფორმასთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხი იპყრობს ყურადღებას:

1. ქართული **სურ-ო**-ს შესატყვისად ლაზურში **სუჯ-/მსუჯ-/მსიჯ-/ფსიჯ- სუჯ-ი/მსუჯ-ი/მსიჯ-ი/ფსიჯ-ი** ფორმებია.[7] მეგრულში კი სურ-ო ფორმაც დასტურდება, რომლის პარალელურად არსებობს ცურ-უ ფორმაც.[8] გ. როგავას ახსნით, ამ ფორმაში მოსალოდნელი **რ ჯ** ბგერათშესატყვისობის ნაცვლად **რ**-ს შენარჩუნება განაპირობა ბო-

---

[4] გ. როგავა, სურო სახელის ვარიასტები ქართველურ ენებში, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1990, გვ. 78.

[5] იქვე.

[6] ჯ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ 2000, გვ. 408.

[7] იქვე გვ. 275.

[8] არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ, 1938, გვ.131; გ. როგავა, ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობიდან, ქართ. რ ზან. ძ. ქესს, I, 1959, გვ. 279.

ლოკიდურმა, სუფიქსისეულმა **ო/უ** ხმოვანმა (**-ი** სუფიქსი ახდენს **რ**-ს პალატალიზაცია-აფრიკატიზაციას და **ჯ**-დ ქცევას). ამ მხრივ საინტერესოა ზ. ჭუმბურიძის მოსაზრება, რომელიც ტოპონიმიკური მასალის მოხმობით ადასტურებს, რომ მეგრულში ორივე ვარიანტი (სურ და სუჯ) არსებობდა, მიუხედავად იმისა, მას **ი** სუფიქსი მოსდევდა თუ **ო**. ეს ფორმები ასახულია ტოპონიმებში **-სურონა** და **სუჯუნა**.[9] ამდენად, კომპოზიტი **ო-სურ-ა-ჯა** შესაძლებელია მეგრულისავე ნიადაგზე შექმნილიყო სწორედ **სურ**- ვარიანტის გამოყენებით. მართალია, ეს უფრო მეტად იყო შესაძლებელი **სურო**-ს დამოუკიდებლად არსებობის შემთხვევაში, ხოლო კომპოზიტში მისი სუფიქსისეული **-ო** ხმოვანი **ა** ხმოვნითაა შენაცვლებული, მაგრამ აფრიკატიზაციის ფაქტს არც **ა** ეწინააღმდეგება, რადგან მისი არსებობის შემთხვევაშიც შენარჩუნდებოდა **რ** ბგერა. ამავე დროს ასახსნელია ფორმაში **ა**-ს გაჩენის საკითხიც. ამ შემთხვევაში შეიძლება დავუშვათ ვარაუდი, რომ კომპოზიტის შექმნისას ბოლოკიდურმა **ა**-მ (ჯა ფორმის კუთვნილმა) მოახდინა რეგრესული ასიმილაცია და წინამავალი **ო** დაიმსგავსა. ამისთვის ხელი უნდა შეეწყო პრეფიქსისეულ ო-საც, რადგან კომპოზიტში პროგრესული სრული დისიმილაციის საფუძველიც არსებობს (შდრ.: სათითოოდ>სათითაოდ[10]). ამდენად, ფორმა ამგვარად უნდა იყოს მიღებული: ო-სურ-ო-ჯა > ო-სურ-ა-ჯა.

2. გასარკვევად რჩება ოსურაჯა // ოსურადა ფორმების მიმართების საკითხი. აღნიშნული ფორმების ანალიზისათვის საფუძველს იძლევა როგორც მეგრული, ასევე ქართული, რადგან **ჯ**>**დ** დეზაფრიკატიზაციის პროცესი ორივეგან შეიძლებოდა მომხდარიყო. ამდენად, შესაძლებელია, ეს ფორმები ზანურის სხვადასხვა დიალექტური წრის მონაცემი ყოფილიყო, მაგრამ ასევე შესაძლებელია ეს მონაცემები ქართულ დიალექტთა შორის განაწილებულიყო: ქვემოიმერული ოსურაჯა — გურული **ოსურადა**. დეზაფრიკატიზაცია და (**ჯ**>**დ**) განაპირობა წინამავალმა ყრუ სპირანტმა **ს**-მ. ეს პროცესი ზანურში ახსნილი აქვს გ. როგავას.[11] განხილულ შემთხვევაში დისიმილატორი წინა-

---

[9] ზ. ჭუმბურიძე, სუჯუნა, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1975, №1; აგრეთვე ნ. ჭუმბურიძე, ო სუფიქსიანი სახელები ქართულში, თსუ შრომები, IX, 1989.

[10] გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ, 1999, გვ. 203.

[11] გ. როგავა, დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის ერთი სახეობა ზანურში, თსუ შრომები XXX, B, თბ., 1947, გვ. 352.

მავალი ბგერაა, დისიმილირებული კი — მომდევნო. ფორმის მიღების გზაც ამგვარი უნდა იყოს:

ო-სურ-ო-ჯა > ო-სურ-ა-ჯა > ო-სურ-ა-და.

II. **ოყრალუა** — სარეველა ბალახის სახეობა, აქვს თეთრი, ყვითელგულა (გვირილისებური) ყვავილი, ახასიათებს მყრალი სუნი. „ოყრალუედან ვაკეთებდით ცოცხის. რო დავხვეტავდით იმითინ პოლს, წყილი არ მეეკარებოდა იმ ღამეს, სული აქ უბედურობა, გაგაბრუეფს კაცს". **ოყრალუა** დადასტურებული აქვს ვ. ბერიძეს, რომელიც ამ ფორმაში ო პრეფიქსს იმთავითვე გამოჰყოფდა (ო-ყრალუა — მყრალა-მყრალა; სახელი ავტორს ყარ ასოზე აქვს შეტანილი).[12] ეს სახელწოდება გვხვდება პ. გაჩეჩილაძისა[13] და ა. მაყაშვილის[14] ლექსიკონებში.

ეტიმოლოგიურ ლექსიკონში საერთო-ქართველურის დონეზე აღდგენილია ძირი ***ყარ-/ყრ-**: ქართ. ყარ-/ყრ- ყარ-ს; და-ყრ-ოდ-ებ-ა; მ-ყრ-ალ-ი; შე-ყრ-ოლ-ებ-ა... მეგრ. ყორ-იდ-უ-ა/ყორ-ად-უ-ა/დო-ყორ-ად-უ-ა „ლპობა"; ყორ-დ-უ „ლპება"; ყორ-ად-ილ-ი „დამპალი"....[15]

სვანური მონაცემი არ დასტურდება. ვფიქრობთ, **ოყრალუა** ფორმის ძირიც ამ საერთოქართველურ ძირს უნდა უკავშირდებოდეს.

ოყრალუა ფორმაზე მსჯელობს ნ. ხოჭოლავა სტატიაში „ზანიზმები მცენარეთა სახელწოდებებში". ავტორი მცენარის ამ სახელწოდებაში გამოყოფს **ყრალ-** ფუძეს, რომელიც, მისივე თქმით, „ქართული ლექსიკური მნიშვნელობისაა".[16]

მცენარის სახელდებაში **ყრ** (<**ყარ-/ყორ**) ძირი უნდა გამოიყოს, რომელიც ქართულ-ზანურის დონეზე აღდგება. ძირი შეკუმშული უნდა იყოს **ალ-** დეტერმინანტი სუფიქსის დართვის შედეგად: ო-ყრ-ალ-უ-ა ფორმასთან დაკავშირებით სრულიად გასაზიარებელია ნ. ხოჭო-

---

[12] ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, ს-პ, 1912.

[13] პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976.[12] ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, ს-პ, 1912.

[14] ა.მაჭაშვილი, დასახ. ნაშრომი.

[15] პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრ.

[16] ნ. ხოჭოლავა, ზანიზმები მცენარეთა სახელწოდებებში, ქართველური მემკვიდრეობა, ქუთაისი, 2000, გვ. 422.

[17] იქვე, გვ. 421

ლავას აზრი, რომ უ-ა მყოფადის მიმღეობის მაწარმოებელი უნდა იყოს, რაც ჩვეულებრივია მცენარეთა სახელდებისას.[17]

III. **ონტკოფა** — ქეგლ: იგივეა, რაც დუდღუბო — დაბალი ტანის მრავალწლოვანი ბალახი, რომლის ბუშტივით გაბერილ წითელ ჯამში მოთავსებულია თხილისოდენა მოწითალო-ნარინჯისფერი წვნიანი ნაყოფი.[18] ამ მცენარეს ქართულ დიალექტებში არაერთი სინონიმური სახელწოდება აქვს: ქართლ.: ონთქოფა, კახ.: დუდღუბო, დუდგუბო, დუდღუბელა, ფშ.: დუდღუბა, დღუბდღუბა, რჭ. ლჩხ.: ბაბუშტელა, გურ.: ოტყაჩუა, ინგ.: ზაღლი ზივ, აჭ.: სატკაჩუნა, ზმ.რჭ.: ონტკოფილა, ოტკოფილა, მეგრ.: ტყვატყვაცია, ყუაში მაპაშქინია, სვან.: ჟენტი.[19]

ამ მცენარის ძირითადი სახელდება არის **ონტკოფა**, რომელსაც რამდენიმე ფონეტიკური ვრიანტი აქვს.: ქართლ.: **ონთქოფა**, ზმ.რჭ. **ონტკოფილა, ოტკოფილა**: ამას ემატება ქვემოიმერულის **ონტკოფა**. ე.ი. ქართული ენის დიალექტებისა და სალიტერატურო ენის მონაცემით ამ მცენარის ძირითად სახელდებად სწორედ **ონტკოფა** შეიძლება ჩაითვალოს.

მცენარის სახელწოდებებიდან **ოტყაჩუა** ფორმაზე მსჯელობს ნ. ხოშტარია, იგი ზანიზმად მიაჩნია და სამართლიანად უკავშირებს მას მეგრულ **ტყაჩ** ძირს. მაგრამ **ონტკოფა** ფორმაზე ავტორი აღარ ჩერდება. რა თქმა უნდა, თვალსაჩინოა, რომ მცენარის ამ სახელდებაში საყრდენად სხვა ძირია, კერძოდ **ტკოფ**. ნ ფორმაში განვითარებული უნდა იყოს: წინაენისმიერთა წინ ნ-ს განვითარება სრულიად მოსალოდნელია როგორც ქართულ, ისე ზანურ და სვანურ ფორმებში.[20] ამდენად, ამ ფორმაში გამოიყოფა **ო** თავსართი (ქართ. სა- პრეფიქსის შესატყვისი) და **ტკოფ**- ძირი: **ო-ნ-ტკოფა**.

ტკოფ- ძირი შეიძლება დაუკავშირდეს ძველი ქართულის ერთ ზმნურ ძირს, რომელიც დასტურდება შემდეგ ფორმებში: **ტკუელ-**

---

[18] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1950-1964.
[19] ა. მაჭაშვილი, დასახ. ნაშრ.
[20] ს. ჟღენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ. 1953, გვ.: 92-94.
[21] ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
[22] ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991

ფვა. ტკუუეფვა; გამოტკუელფვა, გამოტკუეფვა დასკდომა, დაკოჟრება; „ფერხნი შენნი არა **გამოტკულფეს**, აჰა ორმეოცი წელიწადი არს" G, — „ფერხი შენი არა **გამოტკუფა**, ესე მეორმოცე წელი არს" M, II შჯ. 8,4. **გამომტკუეფლვარე** დამწველი, გამონაყარი „იყოს... ფაქლი **გამომტკუეფლვარეი** აღმოსხმით ვაცთა ზედა" გამოსლ. 9,9.

[21] ეს სიტყვა დადასტურებული აქვს ს.-ს. ორბელიანს ლექსიკონში: **გამომტკოფლვარი** (გამომტკფოლვარე ABCE) (9,9 გამოსლ.) წვით გამომხეთქელი Z. დაწვით გამომხეთქელი A.დამწველი გამოხეთქით B.[22]

ამ ზმნურ ფორმებში გამოიყოფა **ტკუელფ-/ტკუეფ-/ტკფ-ოლ-** ძირი. აქედან ამოსავალი უნდა იყოს **ტკუეფ-/ტკოფ, ლ** ფორმაში განვითარებული ჩანს. ამ ზმნური ძირის სემანტიკა „სკდომა" შინაარსს გულისხმობს, რისგანაც შემდგომ ისეთი სხვა მნიშვნელობები უნდა განვითარებულიყო, როგორიცაა „წვით გამომხეთქელი", ხოლო შემდგომ კი „დამწველი", „მწველი", ხოლო მეორე მხრივ კი ამ სემანტიკისაგან განვითარდა „გამონაყარი".

თუკი ამ ფორმებიდან **ტკოფ-** ძირი გამოიყოფა, მაშინ იგი შეიძლება მცენარის სახელდებასაც დაუკავშირდეს, რადგან „სკდომის" სემანტიკა ამ მცენარის თვისებას ავლენს (შდრ.: ოტყაჩუა — ტკვაჩ- — გასკდომა).

ბუნებრივია, საკითხი უნდა დაისვას ამ ძირის შესატყვისობებზე სხვა ქართველურ ენებში. ამ მხრივ იგი შეიძლება დავუკავშიროთ მეგრულ **გენტყვაფა (ტყვაფ-)**[23] და სვანურ **ლიტყბე (ატყბე)**[24] ფორმებს, რომელებიც ხორცის შეწვას, შებრაწვას აღნიშნავს. ეს სემანტიკა კი შესაძლებელია გულისხმობდეს წვისაგან დასკდომას, რაც ასე მკაფიოდ ჩანს ძველი ქართულის ფორმაში.

ამგვარი დაკავშირება მხოლოდ საკითხის დასმის წესით შეიძლება, რადგან იგი კვლავ საჭიროებს მთელ რიგ დაზუსტებებს როგორც სემანტიკის სფეროში, ისე ბგერათშესატყვისობის თვალსაზრისით.

---

[23] ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.
[24] ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.

ო პრეფიქსიანი ზანიზმები ქვემოიმერულში
(მეღვინეობასთან დაკავშირებული ლექსიკა)

ზანიზმების კვლევა მეტად საინტერესო და უბვ მასალას გურულ დიალექტთან ერთად[1] ქვემოიმერულშიც ავლენს. ამასთანავე ამ ორი დიალექტის მონაცემთა მიმართება თავისთავად ცალკე და განსაკუთრებული მსჯელობის საგნად რჩება.

ზოგადად ზანიზმებში გამოიყოფა **ო** პრეფიქსიანი ფორმები. **ო** პრეფიქსი ქართული **სა** პრეფიქსის შესატყვისია და აწარმოებს დანიშნულების სახელებსა (აქედან გამომდინარე ადგილის სახელებს — გვევლინება ტოპონიმთა მაწარმოებლად) და მომავალი დროის მიმღეობას. სახელთა წარმოქმნის მხრივ იგი ყველაზე უფრო პროდუქტიული აფიქსია. ზანურიდან შემოსულ გაქართულებულ სიტყვებში **ო** პრეფიქსი აშკარად გამოიყოფა და მისი თავდაპირველი ფუნქციაც კარგად ჩანს. უდაოა, იგი დანიშნულებას გამოხატავდა, მაგრამ დიალექტში შემოსულ ფორმებში ეს ფუნქცია უკვე დაჩრდილულია, რადგან იგი ნივთის, კონკრეტული საგნის სახელდებად აღიქმება.

მეღვინეობის, კერძოდ კი ჭურ-მარანთან დაკავშირებულ ლექსიკაში ვლინდება რამდენიმე ზანიზმი — ჭურის სარქველისა და ჭურის სარეცხი იარაღების სახელწოდებანი.

ორგო — ჭურის სარქველია ხისა. პატარა ჭურისათვის იგი წრიული ფორმისაა, ხოლო დიდი ჭურისათვის ორ ნახევარწრედ იყოფა (პ. ჯაჯანიძის განმარტებით, დიდი ქვევრის სარქველი სამი ნაწილისაგანაც შეიძლება შედგებოდეს[2]; ჭურს ჯერ ორგოს ახურავენ და შემდეგ აყალო მიწით გადალესავენ. **ორგო** ქვემოიმერულის ლექსიკურ ერთეულად არის შესული ქეგლ-ში. **ორგო** ფორმა დასტურდება პ. გაჩეჩილაძისა[3] და პ. ჯაჯანიძის[4] სალექსიკონო მასალებში და აქედან

---

[1] ს. ჟღენტი, გურული კილო; ს. ჟღენტი, ზანიზმები გურულ ზმნებში. ენიმკის მოამბე,V-VI; Н. Метреветели, Лазский и Метрельский слой в гурийском. М. Л., 1939; ზ. სარჯველაძე, ზანიზმები გურულში, ნ. ბარათაშვილის სახ. გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1965.

[2] პ. ჯაჯანიძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები IX, 1949.

[3] პ. გაჩეჩილაძე დასახ. ნაშრ.

[4] იქვე.

გამომდინარე ალ. ღლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“[5].

აჭარულში, სემანტიკური გადაწევით, **ორგო** აღნიშნავს „წისქვილის ქვის მოყვანილობის ხეს ან ქვას, რომელსაც სასიმინდის (ან სხვა ნაგებობის) ბარჯგებს ჩამოაცვამენ თავზე, ხოლო მის ზევით საძირკველს დაადებენ“[6]. იმერეთის ზოგიერთ კუთხეში მას **ოგრო**-ს ან **როგო**-ს უწოდებენ[7]. **როგო** ფორმაა გავრცელებული გურიაშიც.

ჰურ-მარანის დახასიათებისას ეს ლექსიკური ერთეული მოხსენიებულია ნაშრომში „მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის“ იმერულის ლექსიკურ ერთეულად. აქ დასახელებულია **სარქვიელი** და **როგო**: „იმერეთში ჰურ-ქვევრის სახურავს ხისას აკეთებდნენ... ხის ასეთ სახურავს **ხარქვიელი** ეწოდებოდა. გურიაშიც ჰურ-ქვევრის სარქველად მრგვალად მოჭრილ ხის ფიცარს ხმარობდნენ, რომელსაც **როგო** ეწოდებოდა. სამეგრელოში არსებობდა ასევე ფიცრის სახურავი, რომელსაც **ორგუ**-ს ეძახდნენ, მაგრამ ქვის სარქველიც არსებობდა, რომელსაც მარტივად **ქვა** ერქვა. ოდიშში ჰურ-ქვევრს ჯერ პირზე ბალახის ქერქს გადააფარებდნენ ხოლმე, რომელსაც **ბულეში**, ე. ი. **ბალიხაი** ეწოდებოდა, ხოლო შემდეგ ზედ ქვას ანდა **ორგუს** სდებდნენ ხოლმე“[8].

ამდენად, გამოიკვეთა ჰურის სახურავის ორი სახელდება: ერთი მხრივ, **სარქვიელი**, ხოლო მეორე მხრივ, მეგრულში **ორგუ**, ხოლო ქართულში **ორგო/ოგრო/როგო**. ქართულისათვის ამ ფორმათაგან ამოსავალია **ორგო**, ხოლო დანარჩენი ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტებია, კერძოდ, ადგილი აქვს მეტათეზისს. **ო-რგ-ო** ფორმაში გამოიყოფა პრეფიქსი **ო**, რომელიც ქართული **სა** მაწარმოებლის შესატყვისია, **რგ** ძირი და სუფიქსი **ო**. **რგ** ძირი საერთოქართველურია და ნიშნავს „მორგებას, შეფერებას“: ქართ. რგ-ებ-ა, მეგრ. ვ-ო-რგ-უ-ქ — „ვერგები“, ლაზ. ო-რგ-უ — „შეფერება“, სვან. ლი-რგ-ე —

---

[5] ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ. 1984.

[6] ჯ. ჯაჯანიძე, აჭარული ლექსიკონის მასალები, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XXIII, 1961; ა. ღლონტი, დასახ.ნაშრ.

[7] ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრ.

[8] ი. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წ. I, თბ., 1964.

„რგება“. ეს ძირი დასტურდება ძველ ქართულშიც[9], შდრ.: აგრეთვე ქართული სა-რგ-ო. მეგრულ **ო-რგ-უ** ფორმაში შემონახული უნდა იყოს საწყისის უძველესი მაწარმოებელი, რომელიც სულ რამდენიმე ფორმაში ვლინდება[10].

ორჩხუეო / ორჩხუეო — ბლის ხის ტყავისაგან დამზადებული ჭურის სარეცხი იარაღი, გრძელ ჯოხზე დამაგრებული, ერთმანეთზე რამდენიმე ფენად დალაგებული ბლის ტყავი. ბლის ტყავის ნაცვლად შეიძლება გამოიყენონ ფუჩეჩი[11], იშვიათად კრაზანა და თაგვისარა[12].

ქართულში მას შეესაბამება **სარცხი, სარცხ[ე]ლი** (ქეგლ). ეს ტერმინი ჩანს დიალექტებშიც, იგივე სახელწოდება დასტურდება ხალხურ ლექსებში („მოუსვი, ბიჭო, სარცხსაო...“, [ქვევრს] „მხოლოდ ბლის სარცხი გაუძლებს, თუმც ილევა თანდათანო“, ქართლი)[13]. **სარცხი რეცხ** ძირისაგან ნაწარმოები დანიშნულების სახელია, მისი ზანური შესატყვისია **რჩხ** (მეგრ.) და **ჩხ** (ლაზ.), ხოლო სვანური — **რჩხ /რეჩხ**[14].

მეგრული **ორჩხუში** ფორმა დასავლურ დიალექტებშია შესული და დასტურდება გურულში **ორჩხუშე**[15] და იმერულში **ო-რჩხეშე**[16], (ვ. ბერიძეს გამოყოფილი აქვს **ო** პრეფიქსი და სიტყვა ლექსიკონში **რ** ასოზეა — მითითებით მეგრული).

ქვემოიმერულში ეს სიტყვა **ორჩხუეო / ორჩხუეო** ფორმით დასტურდება: „მაი ბალის ტყავი კაია ორჩხუეოზა“.

საინტერესო საკითხად რჩება დიალექტურ ფორმათა მიმართება. პირველ რიგში, თანხმოვანთა საკითხი: **ე/შ** მონაცვლეობა განუპირობებელ ბგერათცვლილებად შეიძლება ჩაითვალოს, რომლის ანალოგი ქართულშიც იძებნება (ერიალი—შრიალი, იგი სპონტანურ ბგერათცვლილებადაა ჩათვლილი[17]; მართალია, ამ მაგალითში **ე/შ** მონაცვლეობა სემანტიკურ დიფერენცირებას იწვევს, მაგრამ ფონეტიკურად

---

[9] ჯ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრ.
[10] ო. ჭაჭაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი. I, თბ., 2001.
[11] ს. ჟღენტი, გურული კილო; ვ. ბერიძე, სიტყვის კონა.
[12] ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი.
[13] ქართული ხალხური პოეზია, ტ. X, თბ., 1983.
[14] ჯ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე დასახ.ნაშრ.
[15] ს. ჟღენტი, გურული კილო.
[16] ვ. ბერიძე, სიტყვის კონა.
[17] გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები.

მისი ცვლილების განმაპირობებელი ფაქტორი არ ჩანს.

მეორე მხრივ, საინტერესო სურათს იძლევა დიალექტურ ფორმებში ხმოვანთა მიმართება:

მეგრული	გურული	იმერული	ქვემოიმერული
ორჩხიში	ორჩხუში	ორჩხეში	ორჩხუჟო

მეგრულში დადასტურებული ფორმები (**ორჩხაშე, ორჩხეში, ორჩხიში**) ბადებს აზრს იმის თაობაზე, რომ ხმოვანთა ეს განაწილება სხვადასხვა დიალექტური ფენის მონაცემია და ქართულში შემოსულ ფორმათა განსხვავებულობაც მას უნდა ეფუძნებოდეს (ან მეგრულისავე, ან ქართული დიალექტების ნიადაგზე).

ოფსილო — ჰურის რეცხვისას წვერში ჩარჩენილი წყლის ამოსაღები იარაღი: ჯოხის თავზე ამაგრებენ ერთი მეტრი სიგრძის კანაფის ძენძს ან გრძელ ზოლებად დაჭრილ ნაჭერს, რომელიც კარგად ისრუტავს წყალს და მისი მეშვეობით ხდება ჰურიდან სისველის ბოლომდე ამომშრალება: „გამიფუშტა ოფსილო, გასაკეთებელია ახლა მაი, თვარა რაღაით ამევიღო წყალი, მევიდა ჰურების რეცხვა და იგია". **ოფსილო** დასტურდება მსგავსებით შედარებაში და აღნიშნავს სწორ, გაფშეკილ და უხარისხო თმას: „ოფსილოსავეთ აქ თმაი".

დასავლურ დიალექტებში ამ იარაღის სახელწოდება სხვადასხვა ვარიანტით გვხვდება: **ოფსინო / ოსინო**[18], **ოფსილო**[19], **ოლოფსირი**[20], **ოსირი**[21]. ქართლურ დიალექტში მას შეესატყვისება **მაწაწური** (გადატ. მაწაწურა — ბინძური, ჭუჭყიანი), რაც **წურ** ძირს უკავშირდება[22]. ეს სიტყვა არ ჩანს მეგრულში.

ოფსილო ფორმაში გამოიყოფა **ო** თავსართი (ქართული სა- თავსართის შესატყვისი), **ფს** ძირი და **ილ** და **ო** სუფიქსები: **ო-ფს-ილ-ო**. **ფს** ძირი ქართულში ჩერქეზული (ადიღეური) ენიდან შემოსულად ითვლება და იგი „წყალს" აღნიშნავს. ეს ელემენტი ძირითადად ტოპონიმებში დასტურდება (სუფსა, ნიკოფსია, ტუაფსე, დვაბზუ... აფხაზური ტოპონიმი ლაშფსს (ერთვის რიწას), ხეფსს / ხსფსს (ერთვის

---

[18] ვ. ბერიძე. სიტყვის კონა.

[19] ბ. წერეთელი. ზემოიმერული ლექსიკონი. ქართველურ ენათა ლექსიკა I, თბ., 1938.

[20] მ. ალავიძე. ლეჩხუმური ლექსიკონი. ქართველურ ენათა ლექსიკა, I, 1938.

[21] ა. კობახიძე. რაჭული დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1987.

[22] ქართლური დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1981.

ზღვას გუდაუთასთან), გუმისტ...)[23].

ამდენად, ეს დიალექტური ფორმა საინტერესო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს, რადგან მასში **ფს** ძირის თავდაპირველი მნიშვნელობა უცვლელად დასტურდება. ეს ერთეული საინტერესოა იმითაც, რომ იგი ამ ფორმით მხოლოდ ქვემოიმერულმა შეინარჩუნა, ზანურში (მეგრულში) იგი არ დასტურდება. მისი ფორმა კი აშკარად გვაფიქრებინებს, რომ ამ ლექსიკური ერთეულის გავრცელების არეალი გაცილებით ფართო უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება -ილ სუფიქსს, იგი უძველესი ქართული სუფიქსია და არაერთ ფორმაში დასტურდება მაწარმოებლად (შდრ.: თბ-ილ-ი, ლბ-ილ-ი, ტკბ-ილ-ი)[24]. **ოფსილო** ფორმა ამოსავალი უნდა იყოს სხვა დიალექტური ფორმებისათვის. ამრიგად, ამ ლექსიკური ერთეულის თავდაპირველი მნიშვნელობა ამგვარად უნდა აგებულიყო: **ო-ფს-ილ-ო — სა-წყლ-ე.** წყლის ამოსაღებად დანიშნული იარაღი.

დაბოლოს, ამ ლექსიკურ ერთეულთა **ო** სუფიქსის შესახებ: **ო** ფუძიანი ფორმები ქართულში საერთოდ მცირეა და იგი სხვადასხვა სიტყვაში სხვადასხვა წარმომავლობისად ითვლება[25]. იმერულ დიალექტებში ო-ფუძიანი სახელები ყველაზე მეტი ოდენობით გვხვდება (ზემოიმერულში — ონჯარო, ოფიჯო, ოყაჟო, ოჩიტო... ქვემოიმერულში — ოთონთო, ონიო, ოქვეთო, ოწვათო, ოყოჯირო, ოჩხუჯო, ოფსილო, ორგო...); ქ. ლომთათიძე აღნიშნავს, რომ ო-დაბოლოებიან სოკოთა სახელწოდებანი „დამახასიათებელია მხოლოდ იმერული დიალექტისათვის"[26].

როგორც ჩანს, **ო** სუფიქსი იმერულში მასუბსტანტივებელი ფუნქციისაა და ვლინდება ერთი ჯგუფის სახელთა მაწარმოებლად.

---

[23] ს. ჯანაშია, ჩერქეზულ (ადიღური) ელემენტები საქართველოს ტოპონიმიკაში. შრ. ტ. III, თბ., 1959.

[24] ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი. თბ., 1988.

[25] ვ. თოფურია, მცენარეთა სახელწოდებების შესწავლისათვის ქართველურ ენებში, შრ. ტ. III, თბ., 1979; ქ. ლომთათიძე, იო დაბოლოებიანი სოკოს სახელები ქართულში, მაცნე, ელს, 1982, №3; ი. ქავთარაძე, ერთი სიტყვაწარმოებითი სუფიქსისათვის ქართულში, არნოლდ ჩიქობავა, თბ., 1979; ნ. ჯემბურიძე, -ო სუფიქსიანი სახელები ქართულში, თსუ შრომები, IX, 1989.

[26] ქ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრომში.

კომპენსაცია ძირითადად ფონეტიკის სფეროში განიხილება და გულისხმობს სიტყვაში დაკარგული ბგერის ანაზღაურებას, რომლის შედეგად წინამავალი ხმოვანი გრძელდება. ეს მოვლენა სხვა ფონეტიკურ პროცესებთან შედარებით ნაკლებად გავრცელებულია არა მარტო ქართულში, არამედ სხვა ენებშიც. ო. ახმანოვას ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონში რამდენიმე ენის (ინგლისურის, ლათინურისა და ძვ. რუსულის) მონაცემია ნიმუშად მოხმობილი,[1] ხოლო ქართულში ეს მოვლენა განხილული აქვს ბ. ჯორბენაძეს წიგნში „ქართული დიალექტოლოგია". ავტორი ასახელებს ზოგიერთ ნიმუშს აჭარული და მესხურ-ჯავახური დიალექტიდან. ერთ შემთხვევაში კომპენსაცია რ სონანტის დაკარგვამ გამოიწვია, მეორე შემთხვევაში კი რედუცირებული მარცვლის საკომპენსაციოდ მრავლობითი რიცხვის ფორმაში -იებ დაბოლოება (ეე>იე) გაჩნდა.[2]

ქვემოიმერულის ვანური თქმის მეტყველებაში კომპენსაციის მოვლენა ერთ კონკრეტულ შემთხვევაში ვლინდება და პროცესი თითქმის უგამონაკლისოდ ვრცელდება ყველა წინამავალ ხმოვანზე. ესაა -**მდე** თანდებულიან ფორმებში, რომელიც ქვემოიმერულში -**მდი** / **ამდი** სახით გვევლინება.

როგორც ცნობილია, ვითარებითი ბრუნვის ფორმას დაერთვის თანდებული -**მდე**/-**მდის**, ამასთანავე ბრუნვის ნიშანი იკარგება, რადგან „ორ დ-ს მარტო მ ჰყოფდა, რაც სიძნელეს ქმნიდა გამოთქმისათვის".[3] ამდენად, ფორმის მაწარმოებლად დარჩა -**ამდე**/-**მდე**. ფორმაში მომხდარი ცვლილების გამო აკ. შანიძემ იგი ცალკე ბრუნვად — მიწევნით ბრუნვად გამოყო, გააერთიანა ლოკალურ ბრუნვათა რიგში და სისტემაში წოდებითის წინ მოათავსა.[4]

გამარტივებული ფორმები საკმაოდ ადრეული პერიოდიდან — X

---

[1] Ахманова О., Словарь лингвистических терминов, М., 1966.

[2] ბ. ჯორბენაძე. ქართული დიალექტოლოგია I, თბ., 1989, გვ. 141.

[3] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953, გვ.75.

[4] იქვე, გვ. 74-76.

საუკუნიდან იჩენს თავს.[5] მაგრამ, როგორც ჩანს, ეს პროცესი ერთბაშად არ დასრულებულა ენობრივი სისტემის ყველა დონეზე: სალიტერატურო ქართულმა გამარტივებული ფორმები დაამკვიდრა, ხოლო დიალექტში კი კომპენსირებული ფორმები გაჩნდა — დაკარგული დს ნაცვლად დაგრძელდა წინამავალი ხმოვანი. ამდენად, ქვემოიმერულის ეს შემთხვევა, ვფიქრობთ, მორფოფონემატიკის დონეზე უნდა განვიხილოთ, რამდენადაც მორფოლოგიური ნიშნის ნაწილის დაკარგვამ სიტყვაში ფონეტიკური ცვლილება გამოიწვია. კომპენსაციის მოვლენის ეს ნიმუში ქვემოიმერულში განსხვავდება აჭარული დიალექტის ნიმუშებისაგან, სადაც რ სონანტის დაკარგვამ გამოიწვია ბგერის დაგრძელება და ამდენად პროცესი ფონეტიკის დონეზე წარიმართა. აღნიშნული მოვლენის განხილვისას შ. ნიჟარაძე შენიშნავს, რომ ძირითადად გრძელი ხმოვნის მიღების ორი გზა არსებობს: ხმოვანთა შერწყმა და სიტყვის ფუძეში რ თანხმოვნის გაუჩინარება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში პროცესი იწყება რ-ს პალატალიზაციით, შემდგომ მისი სრული გაუჩინარებით და წინამავალი ხმოვნის დაგრძელებით სრულდება. ამ პროცესს ავტორი ვოკალიზაციას უწოდებს და ასკვნის, რომ „გრძელი ხმოვნის... განვითარების ერთ-ერთი საფუძველია რ-ს გაუჩინარება ხმოვნის მომდევნო პოზიციაში“.[6] მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ მსჯელობას ავტორი კომპენსაციის — როგორც მოვლენის სახელდებით კი არ განიხილავს, არამედ ხმოვანთა სიგრძეზე მსჯელობას უკავშირებს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ კომპენსაციის პროცესი ქართული ენის დიალექტებში ნაკლებად შესწავლილია სხვა ფონეტიკურ პროცესებთან შედარებით.

ქვემოიმერულში ხმოვნის სიგრძე რელევანტური არაა. აქ არ მოგვეპოვება გრძელი ხმოვნები. ამდენად, გარკვეულ ფორმებში (გზაამდი, შანაამდი...) ხმოვნის დაგრძელება ფიქსირებისას უნდა წარმოვადგინოთ როგორც ორი ხმოვანი და არა სიგრძე: ერთი ხმოვანი ძირისეული (ანუ აფიქსისეულია), მეორე კი დაკარგული თანხმოვნის საკომპენსაციოდ გაჩენილი. ეს პრობლემა დაისვა ქვემოიმერულის შე-

[5] ა. შანიძე, დასახ ნაშრ. გვ. 75; სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984, გვ. 373.

[6] შ ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975, გვ. 67.

მსწავლელთა წინაშეც. ქ. ძოწენიძე აღნიშნავდა: „გვაქვს ა ხმოვნის „გაგრძელების“ რამდენიმე შემთხვევა. გაზდა(ა)მდი, მანა(ა)მდი... ფრჩხილებს იმიტომ ვხმარობთ, რომ აქ უფრო ორი ხმოვანია, ვიდრე ხმოვნის სიგრძე, ორი ხმოვნის წარმოქმნაში კი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს აღმავალ მახვილს, რომელიც გარკვეულ ვოკალურ ფონს უნდა საჭიროებდეს სიტყვაში“.[7] მართალია, მეცნიერი ამ ფორმათა თავისებურებას აღნიშნულ მახვილს მიაწერდა, მაგრამ მაინც აუხსნელი რჩებოდა „გარკვეული ვოკალური ფონის“ აუცილებლობა, ანუ ფორმის მიღების მიზეზი. კლ. კუბლაშვილი კი ამ ფორმათა არსებობის შესახებ შენიშნავდა, მაგრამ მისი მიღების გზა ახსნილი არა აქვს: „...უნდა აღინიშნოს, რომ -მდი-ს დართვისას ბოლოხმოვნიან სახელებზე უკანასკნელი ხმოვანი ხშირად გაგრძელებულად გამოითქმის ხოლმე: დილაამდი, საღამოომდი, ღელეემდი, წყაროომდი, ნარგიზაამდი...“[8] მეცნიერი ამ ფორმათა გავრცელების არეალზეც არ მიუთითებს, არაფერს ამბობს იმის შესახებ, ეს ფორმები მთელი ქვემოიმერული მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი თუ მისი გარკვეული რეგიონისთვის. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ ამგვარი დაბოლოება მხოლოდ ხმოვანფუძიან სახელებს არა აქვთ — ეს მოვლენა თანხმოვანფუძიანებშიც ვლინდება.

ამდენად, ქვემოიმერულის მეტყველებაში გამოვლენილი თავისებური ფორმები კომპენსაციის მოვლენის ნიმუშებად უნდა განვიხილოთ. ისინი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მიღებულია არა სონანტის დაკარგვის შედეგად, ანუ მოვლენა მხოლოდ ფონეტიკის განხილვის საგანი კი არაა, არამედ მორფოლოგიური ნიშნის ნაწილის დაკარგვის შედეგადაა გაჩენილი და მორფოფონემატიკის თვალსაზრისიდან არის განსახილველი, ანუ იგი ფონეტიკისა და მორფოლოგიის გადაკვეთის შედეგს ავლენს.

დაკარგული ბგერის ნაცვლად გაჩენილი საკომპენსაციო ხმოვანი ფუძეს დაერთვის და წარმოდგენილია იმ ხმოვნის სახით, რომლითაც ფუძე სრულდება. თანხმოვანფუძიან სახელებში კი იგი ა-ს სახით

---

[7] ქ. ძოწენიძე, ქვემოიმერულის. უხუთური მეტყველება, წიგნში: ზემოიმერული კილოკავი, თბ. 1973, გვ. 280.

[8] კლ. კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, გვ. 105.

გვევლინება და ეს ჯგუფიც სხვა ფორმათა გვერდით დგება, თუმცა აქ ფაქტობრივად არაფუძისეული ხმოვნის „დაგრძელება“ ხდება. აქედან გამომდინარე, ამგვარ ფორმებში დასტურდება ყველა ხმოვანი, გარდა ი ხმოვნისა, რადგან ი-ზე დამთავრებული ფუძე ქართულისათვის დამახასიათებელი არაა.

ყველაზე უფრო ხშირად კომპენსირებულ ფორმებში ა ხმოვანი გვევლინება. აქ რამდენიმე შემთხვევის გამოყოფა ხერხდება.

1. ა ფუძიან სახელებში:

„ამ ზეით, **გზაამდი** ჩემია ე ფერდი.“

„ხვალე **დილაამდი** მოათაეფთ ჩვენ ამას.“

„ორვე მხარეს **მიწაამდი** ჩავასხამ ცემენტს.“

2. ამგვარ ფორმებში ხშირად გვევლინება საწყისური ფუძე:

„**გათენებაამდი** უნდა ადგე, თუ წასვლა გინდა.“

„სულორში **ჩასვლაამდი** ჩახვალ აგერ.“

„ჩემ **წასვლაამდი** თუ ივარგა მაგან, მერე რას ვჩივი.“

„მამალს დავკლავ კიდო ერთს თქვენ **წასვლაამდი**.“

„ამის **გათაებაამდი** არ მოგვიწუმა მაინც?!“

„პეტერე მაქ ყველი კიდო, მეყოს იქნება თქვენ **წასვლაამდი**.“

„იქინე **ჩასვლაამდი** არ ჯამო რამე, მოქწამლავს!“

„გორაზე **ასვლაამდი** სულ კრიმანჭულს ვამღერებდი.“

„ბიჭის **ჩამოსვლაამდი** არ ვიყიდი ამას მე.“

„საბზოური კიდო შრება მერე, **დაღამებაამდი** ქე ახვალ შენ.“

„**დაკუჭებაამდი** არ იქმოვა მაი ფსხალი.“

„რამდონი საათია **დაღამებაამდი**?“

„მაის **დამწიფებაამდი** კიდო ჩამოხვალ შენ.“

„თვეში ერჯენ შემხვთება მე გადენა და სულს ვღაფავ სახში **მოსვლაამდი**.“

3. **-ობა** სუფიქსით ნაწარმოებ სახელებში სუფიქსისეული ა გრძელდება, მაგრამ იგი ფორმისთვის ფუძისეულად აღიქმება:

„ასე **გვიანობაამდი** რატო გაგძელდა?“

„მორე **თხილობაამდი** არ გნახო აქანე მოსრული!“

-ობა სუფიქსით რთულდება ზოგიერთი ადგილის ზმნიზედა, რომელიც ფუძედ გვევლინება თანდებულიანი ფორმის წარმოებისას:

„ამ **ზეითობაამდი** ხუთი ძირი თხილი იქნება.“

„**ქვეითობაამდია** ე თხილი.“

„**აქობაამდია** დამპალი ე ტრუბა.“

„**აქობაამდი** წავაბამთ მერე.“

„**ზეითობაამდია** მოსახეკი და აქობაამდი ქე მოვხიკე მე.“

4. ქვემოიმერულში ზმნისართები ძირითადად წარმოდგენილია -**ნე** მორფემოიდით (ნა-ი>ნე-ი>ნე). მაგრამ თანდებულიანი ფორმის წარმოებისას, მით უფრო კომპენსირებული ფორმის შედეგად, ფუძე შეკუმშულია და ამასთან ერთად აღდგენილია მორფემისეული **ა** ხმოვანი, რომელიც კომპენსაციის მოვლენის შედეგად დაგრძელებულია. ყოველივე ამის გათვალისწინებით გვაქვს ამგვარი ფორმები: **აქნაამდი, იქნაამდი**:

„**აქნაამდია** მოსახეკი თხილი“.

„პეტერაზე ვასასიც ამოყვა, შენი ვაშლი როა, **იქნაამდი**“.

„თუ მევეი **აქნაამდი**!..“

5. **მანაამდი // სანაამდი** ფორმებში ორი **ა**-ს არსებობა კომპენსაციის ჩვეულებრივ გამოვლენად უნდა განვიხილოთ, რადგან მ-ს დაკარგვის გამო ეს ფორმა ა-ფუძიან სახელთა მსგავსად დაირთავს თანდებულს და იჩენს საკომპენსაციო ბგერასაც:

„**მანაამდი** დიდი დროა, ვინ იცის, რაი მოხთება“.

„ვაიმე დედაია, **მანაამდი** ღმერთმა ნუ აწუმებიოს!..“

„**სანაამდი** აპირობ ასე ყოფნას?!“

6. კომპენსაციის მოვლენა თანხმოვანფუძიანი სახელების თანდებულიან ფორმებშიც იჩენს თავს, მაგრამ აქ გრძელდება ბრუნვის ნიშნისეული **ა**. იგი თავს იჩენს თანხმოვანფუძიან სახელებში, რადგან ფაქტობრივად ფუძეს ერთვის -ამდე ფორმანტი, რომელშიც ა ბრუნვის ნიშნის ნაშთია, ხოლო -მდე — თანდებული. ე. ი. თანხმოვანფუძიანი სახელები ექვემდებარება კომპენსაციის მოვლენას და შედეგად აქაც ორი ა გვევლინება:

„უთხარი, **ორშაფათაამდი** რო არ მექნეს, არ შეილება-თქვა!“

„მიცენ მერე ფული **დეკემბრაამდი**“.

„**გაისაამდი** იქნება რაცხა...“

„აქანე არ მოვალ მე **გაისაამდი**!..“

„ეგი ქსტობა **წელაამდი**...“

„თუ მოსავალია, მოვლიენ რვა **საათაამდი**“.

7. თანხმოვანფუძიანი საზოგადო სახელების გვერდით ანალოგიურ ფორმას იძენს საკუთარი სახელები (ადგილის სახელები). მიწევნითობის შინაარსი აქაც **-მდე** თანდებულითა და დაგრძელებული ანუ გაორმაგებული ხმოვნით გამოიხატება:

„**ზესტაფონაამდე** ქე ჩამიყვანს ე ბენზინი.“

„**ვანაამდე** არ ჩეიყოლიო, თვარა ვერ ამოა შვიდ **საათაამდე**“.

„**რუსთავაამდი** ერთი სამი კილომეტრი ქე იქნება და საბანაოთ იქინე დავდიოით“.

„**ხორცსაგებელაამდე** რაი ავა ახლა ამ სიცხეში“.

„**თეთლეღვაამდე** ისე ევეი, არ დამისვენია“.

8. სახელის ფუძე შესაძლებელია მრავლობითის ფორმანტით იქნეს წარმოდგენილი:

„თეთრ **ადესეებაამდი** ჩემია ე ფერდი თლათ“.

„**ნიგვზებაამდე** ამოდის ტაქსი“.

9. ანალოგიურ ფორმებში რიცხვითი სახელებიც მონაწილეობს და ეს ფორმები ისევეა ნაწარმოები, როგორც სხვა სახელები — თანხმოვანფუძიანი იქნება ის თუ ხმოვანფუძიანი:

„იგენი **რვაამდი, ცხრაამდი** არ წამევიდოდენ“.

„რვა **აგვისტოომდი, რვაამდი**“.

„**ოზდარვაამდე** აქანე გელოდები“.

„**ოზდაათამდე** არ მივალ მე სამსახურში“.

„მაგ სახს **ორმოცაამდი** გავყიდი“.

10. ამგვარ ფორმებში საკომპენსაციო ხმოვნად სხვა ხმოვნებიც გვევლინება. **ო** ფუძიან სახელებში ფუძისეული **ო** გრძელდება და კომპენსაციის შედეგად ფორმაში ორი **ო** ჩნდება:

„**წუაროომდი** შენ წამეიღე ეგი დოქი“.

„**სალამოომდი** უნდა წოურეკო თხილს“.

„**ათ აგვისტოომდი** ჩამოი“.

11. **ე** ფუძიანი სახელებიც, სხვათა მსგავსად, ექვემდებარებიან კომპენსაციის მოვლენას და აქაც **-მდი** თანდებულის დართვისას ორი **ე** ვლინდება:

„ხვალ მოკრიფე ქლიავი **შვადღეემდი**“.

„ეგი უანა **ღელეემდი** პეტრიესია“.

„**ხვალეემდი** მეიცა“.

მასალაში ერთადერთი გამონაკლისი შეგვხვდა, როცა მოსალოდნელი „საათაამდი“ ფორმის ნაცვლად გვაქვს „საათამდი“: „თორმეტ საათამდი რაი გინდა რო წახვიდე?!“ ვფიქრობთ, ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ძირისეული ორი იდენტური ხმოვნის არსებობის შედეგად კომპენსაციის მოვლენა შესუსტდა, მაგრამ ასევე შესაძლებელია, რომ ეს იდიოლექტური იყოს და მისი გამოყენება სალიტერატურო ენის გავლენამ განაპირობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაინც გამონაკლისია საერთო მასალაში და იგი მოვლენის შეფასებაზე გავლენას ვერ მოახდენს, მით უფრო, რომ დასტურდება პარალელური ფორმები.

ასე რომ, განხილულმა მასალამ გამოავლინა კომპენსაციის წესის მოქმედება და მისი შედეგი. ქვემოიმერულის ნიმუშები კი საინტერესოა იმით, რომ იგი მორფოლოგიური ღირებულების ფონეტიკური პროცესით შეცვლის შემთხვევას ავლენს და მოვლენის მორფოფონემატიკის პოზიციიდან შეფასების საკითხს სვამს. რამდენადაც დიალექტი ენის პოტენციის გამოვლენის სფეროს წარმოადგენს, იმდენად დიალექტში დადასტურებული ყოველი თავისებური წარმოება ქართული ენის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვან ღირებულებას იძენს.

დიალექტი ენის ლექსიკური მარაგის ამოუწურავი წყაროა. მასში კარგად ვლინდება ენობრივი ფენომენის ყველა პოტენციალი. ზოგჯერ იგი შემნახავიცაა იმ ერთეულებისა, რომლებიც ენის უძველეს შრეებშია ჩამარხული და გარკვეულ ეტაპზე გამოყენების არეალს ჩამოშორებული. შესაძლოა, ამგვარი სიტყვები რომელიღაც პერიოდში სალიტერატურო ენის კუთვნილებაც კი იყო, შემდეგ კი დიალექტურ ერთეულადღა დარჩა. შესაძლოა ისიც, რომ იგი რომელიმე დიალექტის ფარგლებში აღმოცენდა და დამკვიდრდა. დამოკიდებულება ამ ერთეულებისადმი მაინც ერთგვაროვანია: სიტყვა ქართულ ნიადაგზეა წარმოქმნილი და ქართულ გარემოშია გავრცელებული. ამდენად. სალიტერატურო ენაში მისი დამკვიდრება თეორიულად შესაძლებელია, მით უფრო მაშინ, როცა ენას მისი შემცვლელი არ მოეპოვება და საჭიროების შემთხვევაში ბარბარიზმი გავრცელებულა. ამ დროს, ალბათ, მთელი ძალით უნდა ამოქმედდეს ამგვარი მიდგომა — რატომ უცხო სიტყვა და ისიც ბარბარიზმი, როცა გვერდით მოგვეპოვება, მართალია, ამჯერად მხოლოდ დიალექტის კუთვნილება, მაგრამ ქართულ გარემოში შექმნილი სიტყვა — გამოყენების ასპარეზიც მას უნდა დაეთმოს.

არაიშვიათად გაგვიგონია ან თავადაც გამოგვიყენებია ამგვარი ფრაზები: „ფეხსაცმელი პადიომში მიჭერს“, „პადიომში არ ჩამდის ეს ფეხსაცმელი“, „პადიომში რომ კარგად მჭონდეს, ვიყიდდი“, „პადიომი მაქვს მაღალი“ და ა. შ.

„პადიომი“ წმინდა წყლის ბარბარიზმია. იგი მომდინარეობს რუსული სიტყვისაგან **Подъем**. ეს სიტყვა ლექსიკონში[1] რამდენიმე მნიშვნელობით გვხვდება: 1. აწევა, აყენება, წამოყენება, აყვანა, ატანა, ასვლა, ადგომა. 2. დილას ადგომის დრო. 3. აღმართი, შეღმართი. 4. ზურგი (ფეხისა): **высокий** – მაღალი ზურგი (ფეხისა).

ჩვენთვის საინტერესო ბარბარიზმი სწორედ მე-4 მნიშვნელობის ზუსტი გადმოტანაა ქართულში. როგორც განმარტებიდანვე ჩანს, მას შეესაბამება შესიტყვება „ფეხის ზურგი“, რომელიც, უნდა აღინიშნოს, რომ მაინც ზოგადი სახელდებაა სხეულის ამ ნაწილისა. ენა მუ-

[1] რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1983.

დამ ცდილობს დააკონკრეტოს ცნება, უფრო ტევადად და სახიერად გამოხატოს იგი. სახელდებაში „ფეხის ზურგი“ კი არ მოიაზრება ის, რაც უფრო ნათლადაა ასახული ბარბარიზმში: „პადიომი“ ფეხის ზურგის უმაღლესი წერტილია და არა ზოგადად „ფეხის ზურგი“. ბარბარიზმის გაჩენაც სწორედ ამან განაპირობა. ფეხის ზურგის უმაღლეს წერტილზე მითითება მნიშვნელოვანია ფეხსაცმლის კერვის პროცესშიც და მისი გამოყენების დროსაც. როცა სალიტერატურო ენაში მზამზარეულად არ აღმოჩნდა ეს სიტყვა, ენამ ბარბარიზმს მიმართა, რაც საბოლოო ჯამში ენისთვის საზიანო შედეგის მომტანია, რადგან ბარბარიზმის მოძალება ენის ნორმების რღვევასა და მის შერყვნას ნიშნავს.

საინტერესოა, როგორ განიმარტება ქეგლ-ში[2] **„ფეხის ზურგი“**, არის თუ არა იგი მყარი შესიტყვება და ამდენად, ცნება-ტერმინი. ცალკე ერთეულად „ფეხის ზურგი“, რა თქმა უნდა, შეტანილი არაა. ლექსემა „ფეხი“ გამოკვეთილად არ მიუთითებს „ფეხის ზურგს“, თუმც კი „ფეხის გული“ გამოყოფილია: (იხ. გული. — ფეხის გული — ტერფის ნაწილი ჭუსლსა და თითებს შუა). რაც შეეხება ლექსემას **ზურგი**, კონკრეტულად „ფეხის ზურგი“ არც აქ არ დასტურდება. **ზურგ**-ის მეორე მნიშვნელობად მითითებულია: „გადატ. საერთოდ, ზევითა ნაწილი რისამე. კოვზის ზურგი. — კავის ზურგი. — კევრის ზურგი („შინამრეწვ.“). ხელის ანუ თათის ქვემოთა ნაწილს ხელის გული ჰქვია. ზემოთას კი — ზურგი (ი. გოგებ.). მუხის შიდ ძირში ორ მის ვეებერთელა ფესვს ზურგი ჰქონდა მიწის ზემოთ ამოშვერილი (ნ. ლომ.). ცხვირის წინა ნაპირს, წვეტიდან შუბლამდე, ეწოდება ცხვირის ზურგი („პლასტიკ. ანატომია“). „ზევითა ნაწილი (მთისა, გორაკისა...), მანამ კაცი იმ მთის ზურგამდე მივა, უნდა გაიაროს მცხეთიდან არაგვის ხეობა (ილია). გორაკის ზურგი იყო გადასასვლელი (ვ. ბარნ.)“.

ასე ვრცლად ამ განმარტების მოტანა განაპირობა იმან, რომ გვეჩვენებინა, „ფეხის ზურგი“ მყარ შესიტყვებად ლექსიკონში არ დასტურდება. რამდენადაც ზურგი „საერთოდ ზევითა ნაწილს“ ნიშნავს, სახელდებაც ამის მიხედვით შეიქმნა, ე. ი. ტერფის, ფეხის ზევითა ნაწილი. ამგვარ განმარტებაში კი ის, რასაც „პადიომი“ მიანიშ-

[2] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

ნებს, საერთოდ აღარაა გამოკვეთილი. სახელდება ზოგადია, არადაკონკრეტებული, ამიტომაც ვერ შეენაცვლა იგი ცოცხალ მეტყველებაში შემოსულ რუსიციზმს „პადიომი“.

აღწერითი განმარტება აქვს მოცემული ნ. ჩუბინაშვილს:[3] Подъем. — აწევა, აღება, ატანა... Подъем у ноги человеческой — კაცის ფეხის ზევითი პირი წვივის სახსრიდან ჩონჩხამდინ. Подъем у сапог — ჩექმის საპირე ყელის ქვევით“.

ყოველივე ეს უნდა მიუთითებდეს იმას, რომ „ფეხის ზურგი“ მაინც ხელოვნური შესიტყვებაა და იგი ენაში „პადიომის“ მნიშვნელობით ვერ დამკვიდრდა. ვერც კონკურენცია გაუწია ბარბარიზმს, რადგან ეს უკანასკნელი უფრო ზუსტად ასახავს აღსანიშნ ობიექტს, ვიდრე ხელოვნური „ფეხის ზურგი“.

ქართული ენა მდიდარია. მაგრამ მის შესაძლებლობებს, ბუნებრივია, ოდენ სალიტერატურო ენა ვერ ასახავს. ამიტომაცაა, რომ მხოლოდ დიალექტთა მონაცემების გათვალისწინების შემდგომ შეიძლება მოგვეცეს მიახლოებითი წარმოდგენა მის ლექსიკურ მარაგზე.

ამჯერად ჩვენი მსჯელობის საგნად გამოტანილ ობიექტს სრულიად ნათელი, გარკვეული და გამოკვეთილი სახელდება აქვს ქვემოიმერულში, რაც რუსიციზმის გამოყენების საჭიროებას სრულიად უგულებელყოფს. ფეხის ტერფის უმაღლესი წერტილის აღმნიშვნელად ქვემოიმერულში **ახმი** გვხვდება. იგი საკმაოდ ხშირი გამოყენებისაა და ამასთანავე ზუსტად და არაორაზროვნად გამოკვეთს აღსანიშნ ობიექტს. ზემოთ საილუსტრაციოდ მოყვანილი ბარბარიზმიანი ფრაზების ნაცვლად ქვემოიმერულში ქართულსიტყვიანი კონტექსტები გვხვდება: „**ახმში** მიჰირეფს ეს ტუფლი და ვერ ვიცუმ“, „რამიხელა **ახმი** აქ ამ ბაღანას“, „შენ დაბალი **ახმი** გაქ, მიტო ჩაგდის ე ფეხსაცმელი“, „კაი ტუფლია, მარა თხელი შეკერილია, **ახმში** არ ჩამივა“, „დიდი ფეხი კარ აქ ამ ბაღანას: **ახმი** აქ დიდი, მიტო ვერ აცუმ ფეხსაცმელს“.

ეს სიტყვა რომ მხოლოდ ქვემოიმერულის კუთვნილება ყოფილიყო, მისი ქართულობა და ამდენად, სალიტერატურო ენაში ბარბარიზმის ნაცვლად ამ სიტყვის დამკვიდრების სურვილი არაბუნებრივად მაინც არ გამოჩნდებოდა. მაგრამ მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩ-

[3] ნ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, II, თბ., 1973.

ნია ის ფაქტი, რომ **ახმი** სხვა დიალექტშიც აღმოჩნდა, და მით უფრო საყურადღებოა, რომ გეოგრაფიულად დიდად დაშორებულ კუთხეში — ქიზიყში. ქიზიყურ მეტყველებაში ეს სიტყვა სტეფანე მენთეშაშვილს დაუდასტურებია და შეტანილიცაა მის „ქიზიყურ ლექსიკონში“.[4] მნიშვნელობა აქაც აბსოლუტურად იგივეა, თუმც კი ავტორს **ახმი** — ფეხის ზურგის სახელდებად მიუჩნევია, მაგრამ კონტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ აქ იგულისხმება ფეხის ზურგის სიმაღლე: „**ახმი** — ზურგი ფეხისა, ფეხსაცმლისა, „ფეხსაცმელ დაბალი (მაღალი) **ახმი** აქვ. მაღალ **ახმიანი,** (დაბალახმიანი) ფეხი აქვ“. აქედან ეს სიტყვა ქეგლ-შიც გვხვდება, სადაც მითითებულია მისი კუთხურობა: „ახმი (ახმისა) კუთხ. (ქიზ.) ზურგი ფეხისა, ფეხსაცმლისა (ს. მენთ.)“.

ამ შემთხვევაში ყოველგვარ გავლენაზე, ვფიქრობთ, საუბარი ზედმეტი იქნება: დიალექტები, რომლებშიც ეს მონაცემები დასტურდება, იმდენად შორს არიან ერთმანეთისაგან გეოგრაფიულადაც, რომ ერთიდან მეორეში გადასვლის შესაძლებლობა, ვფიქრობთ, უნდა გამოირიცხოს. ერთი დიალექტი დასავლურ დიალექტთა ჯგუფს მიეკუთვნება, მეორე კი — აღმოსავლურს. იმთავითვე შეიძლება გაჩნდეს ფიქრი იმის თაობაზე, რომ ეს ერთეული საერთო ქართულის წიაღში იყო და შემდგომ, დროთა მანძილზე, ორივე მხარის დიალექტმა ერთგვარი მნიშვნელობით შემოინახა. ამჯერად, ეს ლექსემა ამ ფორმით სხვა დიალექტთა გამოცემულ ლექსიკონებში ვერ დავადასტურეთ, თუმცა არ გამოირიცხება ის, რომ იგი სხვა დიალექტებშიც არსებობდეს.

ზეპირი გამოკითხვის შედეგად ფეხის ამ ნაწილის სახელდებად „სავარცხალი“ მიგვითითეს (კერძოდ, ზემოიმერელმა და მოხევემ). ეს სიტყვა მართლაც დასტურდება ივ. ქავთარაძის „მოხეურ ლექსიკონში“:[5] „სავარცხალი — ფეხის სავარცხალი — ტერფის ზედა ნაწილი“; რაც შეეხება ზემოიმერულს, იგი ამ მნიშვნელობით ლექსიკონში შეტანილი არა აქვს ქ. ძოწენიძეს.[6] თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი რამ: ვფიქრობთ, რომ **ახმი** და **სავარცხალი** ფეხის ერთსა და

[4] სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.
[5] ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985.
[6] ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი.

იმავე ნაწილს არ უნდა აღნიშნავდეს, **„სავარცხალი"** უფრო ქვემოთა ნაწილია ტერფისა, სადაც თითების ძვლები გამოიყოფა (სახელდებაში ესაა ალბათ ჩადებული, როგორც სავარცხლის ერთიანი მხარე იყოფა ნაწილებად, ასევე ფეხის ერთიანი ნაწილი იყოფა თითებად). ხოლო **ახმი** კი ფეხის ზურგის ზემოთა ნაწილია, მისი უდიდესი სიმაღლე, თითქმის წვივის ძვალთან შესაყარი.

ამდენად **ახმი**, როგორც ფეხის ზურგის უმაღლესი წერტილი. ანუ სხვაგვარად ფეხის ზურგის სიმაღლე, თავისი სემანტიკით, ზუსტი ქართული შესატყვისია რუსიციზმისა „Подъем".

მსჯელობისას ჩვენ არაერთხელ მივანიშნეთ სიტყვის ქართული წარმომავლობის შესახებ. მაინც რას უნდა უკავშირდებოდეს ეს სიტყვა?

ჩვენი ყურადღება მიიქცია საშუალ ქართულში არაიშვიათად გამოყენებულმა **ახმა** და მისგან ნაწარმოებმა ზმნურმა ფორმებმა. როგორც გაანალიზებულმა მასალამ[7] გვიჩვენა, **ახმა** საწყისი. **აიხვნა** ზმნური ფორმით, ძირითადად „აწევის, ატანის" მნიშვნელობით გვხვდება. იგი გვევლინება ამგვარ შესიტყვებებში: თვალები **აახვნა**. ზარმა **აგვიხვნა**, იარაღი (ხიშტნი, ოროლნი, შუბნი, ჯიაქნი, ტახტი-გვირგვინი) **აიხვნა**, ციხენი **აიხვნა**, ცოდვანი სოფლისანი **აიხვნა**. საწყისი — „ძათ ვეეჟდრნეთ ცადმდე **ახმა**" (არჩ. ლექს. ასეული 100.4), „პირველვე დადვეს პირობა არ **ახმა** მშვილდთ და ისრისა" (ამირ. 1583, 1). ლოცვა **ახმასა** გრგჯნთაცა (Q 312, შენ. 326, 38); თვალ **ახმული**. მკლავითა **ახმული**, მისგან **ახმული** და ა. შ.

ეს ზმნა ძველ ქართულშივე გვხვდება. ლექსიკონებში დადასტურებულია **აღხუმა, ახუმა, ახმა** ფორმით. ი. აბულაძე — ახუმა, იხ. აღხუმა — ...აღება, აღმართვა[8]; დ. ჩუბინაშვილი — ახუმა, აღხმა, ახმა, ახუნა — **выятыс...**[9]; ს.ს. ორბელიანი — ახმა — ნ. აღება — უსუ-ლოთ ზე ახმა აღება არს პირთ ახმა, გინა ვალის აღება, გინა ციხის გამოხმა Z; ახუნა — ატანა (მნშ.: ნუსხაშია: „ახვნა" (უნდა იყოს „ახუმა")"[10]; **ახმა** ჩანს ვეფხისტყაოსანშიც იმავე მნიშვნელობით, რაც

---

[7] ვისარგებლეთ ქართული ენის ისტორიული ლექსიკონის მასალებით, რისთვისაც მის შემდგენ კოლექტივს მადლობას ვუხდით.

[8] ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი.

[9] დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი.

[10] ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ I.

გავრცელებულია საშუალ ქართულში; გვხვდება ზმნადაც და საწყისადაც; თვალნი აახვნა (1346,3); არ აგვიხვნა, არცა დაგვხსნა (207,3); მით აეხვნეს სპანი ზარსა (318,2); მეფემან ახმა დურაჯთა (342,1); ავთანდილ იგი მინდორი ოთხ-ახმით გარდაიარა (178,1); თვალთა ახმადცა ზარ-ედვა (870,1); მე რა მნახა თვალ-ახმული (350,1).[11]

ძველ ქართულში ამ სიტყვის მნიშვნელობათა შორის „აწევის, აღების, აღმართვის" სემანტიკაც ჩანს, საშუალ ქართულში კი ეს შინაარსი განმსაზღვრელი ხდება ამ ზმნური ძირისა. „ვეფხისტყაოსნის" და შემდგომდროინდელი ძეგლების კონტექსტები ამას ადასტურებს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ **ახმა** საწყისი და მისგან ნაწარმოები ფორმები „აწევა, აღება, ატანა, აღმართვა" მნიშვნელობით გვხვდება და აშკარად გამოიკვეთება ზემოთ მიმართული მოქმედება.

ხოლო რაც შეეხება არსებით სახელს **ახმი**, მის მისაღებად სიტყვამ, ვფიქრობთ, ამგვარი გზა გაიარა: **აღხუმა — ახუმა — ახმა — ახმი**. საწყისის დაბოლოება **ა** გაარსებითებისას ფუნქციადაკარგული აღმოჩნდა და ძირი სახელობითის ნიშნით გაფორმდა: **ახმ-ა — ახმ-ი**.

ფორმათა ამგვარ დაკავშირებას ხელს უწყობს რუსული **Подъем**-ის სემანტიკური ანალიზიც. როგორც უკვე ვნახეთ ზემოთ, რუსული **Подъем** მომდინარეობს ზმნური ფორმიდან, ამოსავალია ზმნა, რომელიც ზემოთ მიმართულ მოქმედებას აღნიშნავს: **Подъем** — აწევა, აყენება, წამოყენება, აყვანა, ატანა, ასვლა, ადგომა. თუ **ახმის** დაკავშირება საწყისურ ფორმასთან **ახმა** გასაზიარებელია, მაშინ ამ შემთხვევაში ქართულში რუსულის ანალოგიური ვითარება ვლინდება. ზმნა „აწევა, აღება, ატანა" სემანტიკურად შორს არ არის იმ არსებითისაგან, რომელიც უმაღლეს წერტილს, უდიდეს სიმაღლეს, აწეულ ადგილს მიანიშნებს.

რაც შეეხება **ახმი** არსებითი სახელის გაჩენის დროს, ვფიქრობთ, იგი შემდგომდროინდელი უნდა იყოს იმ პროცესისა, როცა **აღხუმა** ფორმიდან **ახმა** საწყისი დამკვიდრდა, ალბათ, მიახლოებით საშუალი ქართულის საწყის ეტაპზე.

ამდენად, **ახმი** წმინდა ქართული შესატყვისია რუსიციზმისა „პადიომი": **ახმი** ისევე კონკრეტულად წარმოაჩენს აღსანიშნ ობიექტს,

[11] ვისარგებლეთ წიგნით ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის სიმფონია, თბ., 1965.

როგორც ენისათვის მიუღებელი ბარბარიზმი. აქედან გამომდინარე, მისი დამკვიდრება სალიტერატურო ქართულში და შემდგომ ქართულ მეტყველებაშიც, ვგონებთ, სასურველი უნდა იყოს. მაგრამ ენას თავისი კანონები აქვს. იგი თავად ქმნის თავის ლექსიკურ მარაგს. ენის ნორმალურ მდინარებაში ჩარევა ერთობ ძნელია, მაგრამ არაერთხელ ყოფილა იმის მაგალითიც, როცა ენის წიაღში თავშენახული სიტყვა გამოუმზეურებიათ ერთეულ ადამიანებს და მერე იგი საყოველთაოდ ხმარებულ სიტყვად ქცეულა. ჩვენ ამგვარი თამამი განზრახვა არა გვაქვს, მაგრამ მორიდებული სურვილი მაინც გვიჩნდება იმისა, რომ დიალექტის ვიწრო ჩარჩოებიდან გამოვიტანოთ სიტყვა და სამზეოზე დავდოთ. ჩვენ მიმწოდებლის როლი ვიკისრეთ მხოლოდ, დანარჩენს კი თავად ენა გაარკვევს... ქმედების მიზანი კი კეთილია — ბარბარიზმის ნაცვლად ქართული სიტყვის დამკვიდრების უდიდესი სურვილი!..

ერთი სიტყვის მნიშვნელობისათვის აკაკი წერეთლის დრამატული პოემიდან „პატარა კახი" – დამკლისუფლობა

აკაკი წერეთლის შემოქმედება გენიალური სისადავითა და ნათელი, გამჭვირვალე ენით ხასიათდება. მისი ნაწარმოებების კითხვისას ისეთივე საოცარი განცდა ეუფლება მკითხველს, როგორც ბუნების ულამაზესი სურათის ხილვისას, რადგან ყოველივე პირველქმნილის განუმეორებელ ეფექტს ქმნის. თითქოს წარმოუდგენელია უფრო მარტივად და უფრო ლამაზად თქმა. ყველაზე დიდი სიბრძნე მარტივად ქმნადობაა — ესაა სამყაროს იდუმალებაც და მიმზიდველობაც. აკაკის პოეზიის კითხვისას თითქოს გამჭვირვალე და კამკამა წყალში იხედები და იმუხტები ულამაზესი კენჭების თვალიერებით. ყველაფერი ნათელია და თავ-თავის ადგილასაა, მიღებული შთაბეჭდილება და განცდა კი განუმეორებელია, თავისთავადი და ამაღლებული, ღვთიური სიბრძნითა და სიმარტივით აღსავსე. ამიტომაც იშვიათია, გამონაკლისიც კია აკაკის შემოქმედებაში ისეთი ბუნდოვანი ადგილები, რაც მკითხველსაც და მკვლევარსაც ერთგვარ სიძნელედ ხვდება. ამგვარ გამონაკლისს წარმოადგენს აკაკის დრამატული პოემის „პატარა კახის" ერთი ადგილი:

„ბებურიშვილო! ვერვინ დაგძრახავს,
რომ გულს გიკლავდეს დამკლისუფლობა
და მიტომ უფრო გეკუთვნის შენ დღეს
მოთმინებისთვის ჩვენი მადლობა!.." [1]

ამ ეპიზოდის შესახებ ი. გრიშაშვილი წერს: „მინდა ავხსნა „პატარა კახის" ტექსტში ნახმარი ერთი სიტყვა, რომელსაც აკაკის მთარგმნელები ხშირად სხვადასხვანაირად განმარტავენ. ეს არის სიტყვა „დამკლის უფლება", რაც ნიშნავს სისხლის აღებას, შურისძიებას".[2]

როგორც ჩანს, ეს სიტყვა პრობლემას უქმნიდა აკაკის პოეზიის მთარგმნელებს. ქართველი მკითხველისთვისაც თავად სიტყვის მნიშ-

[1] აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. VI, თბ., 1956, გვ. 111.

იქვე, გვ. 389, შენიშვნები ი. გრიშაშვილისა.

ვნელობა ბუნდოვანია, მაგრამ ფრაზით მიღებული განწყობილება კი ამგვარია: ბებურიშვილი მეტად დამწუხრებულია, მწუხარებით სულ-შეძრულია ძმის სიკვდილის გამო, მაგრამ მეფის თანმხლები ძმის მკვლელთან შეხვედრისას მაინც მოთმინებას იჩენს.

ეპიზოდი ამგვარად ვითარდება: ბებურიშვილი სრულიად შემთხვევით შეხვდება მთაში მწყემსად წასულ ლევან ქვაბულიძეს, იცნობს მას, რადგან სწორედ ქვაბულიძემ მოკლა მისი ძმა, ნოდარ ბებურიშვილი და ხმალდახმალ ბრძოლაში გამოიწვევს. ლევან ქვაბულიძე ერეკლეს აუხსნის, თუ რა იყო ნოდარ ბებურიშვილის მოკვლის მიზეზი — იგი ხალხისა და ქვეყნის მოღალატე იყო და ამის გამოც გამოასალმეს სიცოცხლეს; უფრო მეტიც, ლევან ქვაბულიძე აცხადებს, რომ სამშობლოს უბედურება ავალებდა მოღალატის სისხლი აეღო („ეს მხარეც ჩემი სამშობლო არის / და ვალად მედო სისხლი ამეღო"). თუმცა რევაზ ბებურიშვილი ამას უარყოფს. კამათში ჩაერევა გივი, რომელიც მოუწოდებს ორივე გმირს, რომ შეერთდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ და ერთმანეთთან ბრძოლას თავი დაანებონ. რევაზ ბებურიშვილი დათანხმდება, ხოლო პატარა კახი მიმართავს ბებურიშვილს: მართალია, მას გულს უკლავს დამკლისუფლობა, მაგრამ მოთმინებისთვის მადლობა ეკუთვნის. ერეკლე ორივეს რჩევას აძლევს, რომ მტრის წინააღმდეგ მიმართონ ხმალი და მის მაგალითს სხვებიც მიბაძავენ. ერეკლეს მიმართვა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად განაწყობს ორივე მხარეს, ხოლო გივის კი მომავლის იმედს გაუჩენს. აი, ასეთია ამ ეპიზოდის შინაარსი. მართალია, ბებურიშვილი ძმის მკვლელს ამოიცნობს მწყემსში, მაგრამ იგი მტრის საძებრად და სისხლის ასაღებად გამოსული არაა, იგი პატარა კახს ახლავს. ამასთანავე, ვერც ძმის ღალატს უარყოფს, თუმცა მის გამართლებას ცდილობს („აგრეც რომ იყოს, შენ არ შეგეძლო / მაინც ჩემი ძმის გასამართლება").

ასე რომ, ეპიზოდის შინაარსიც არ უნდა გულისხმობდეს ამ სიტყვის იმგვარ განმარტებას, რასაც ი. გრიშაშვილი გვთავაზობს — „სისხლის აღება, სისხლის ძიება". უნდა ითქვას ისიც, რომ ამგვარი ტერმინი ამ მნიშვნელობით არსად არ დასტურდება და საიდან უნდა აეღო იგი აკაკის?

ეს რთული ადგილი მთარგმნელსაც ასე უთარგმნია. როგორც ცნობილია, ამ ნაწარმოების სამ თარგმანზე მსჯელობენ,[3] მაგრამ ორი თარგმანი (ნინო ჩარექავასი და ნინო არაფიევისა) დაკარგულად ითვლება, ხოლო ა. კოჩეტკოვის თარგმანი ამგვარ წაკითხვას იძლევა:

„желание мстить"

სიტყვის მნიშვნელობის განმარტება არსად არაა მოცემული. ეს ერთეული თ. სანიკიძეს შეტანილი აქვს წიგნში „აკაკი წერეთლის პოეზიის ლექსიკონი", მაგრამ განუმარტებლად.[4]

აკაკის სტილის შესახებ მსჯელობისას ამბერკი გაჩეჩილაძე შენიშნავდა: „დრამა „პატარა კახი" დაწერილია მარტივი, გამჭვირვალე სტილით. ასეთი მსუბუქი და ლაღი ლექსი საერთოდ დამახასიათებელია აკაკისათვის... არქაული სიტყვა მხოლოდ ერთგანაა ნახმარი... სამაგიეროდ, დრამაში აკაკი იყენებს მის მიერ სტილიზირებულ ხალხურ გამოთქმებს, ეხვდებით იმერიზმებს...", მაგრამ იმერიზმების ჩამოთვლისას ამ სიტყვაზე არაფერია ნათქვამი.[5]

ასე რომ, ამ პოემის მკითხველი ზოგადად ფრაზის მეშვეობით იღებს ინფორმაციას, ხოლო ცალკე სიტყვის სემანტიკა მისთვის უცნობია, ვერც რომელიმე ლექსიკონში იპოვის მის განმარტებას.

რას ნიშნავს „დამკლისუფლობა"?

ქვემოიმერეთში, ვანის რაიონის სოფელ გადიდში ასეთი ფრაზა გვაქვს ჩაწერილი: „რავა დამკვლისუფალივით ხარ თელი დღეები, რაი მოგივიდა". თავად სიტყვის მნიშვნელობას ვერ განმარტავენ, მთელ ფრაზას კი ამგვარად ხსნიან: „მოწყენილი როა ადამიანი, გლახა ხასიაძე, იმაზე ვიტყვით".[6]

„დამკვლისუფალი" ფორმის ანალიზისას უპირველეს ყოვლისა სიტყვის შემადგენელი ნაწილები უნდა გამოიყოს. ეს ფორმა კომპოზიტია — იგი შედგენილია ამგვარად: დამკ(ვ)ლის + უფალი. „უფა-

---

[3] იქვე, ი. გრიშაშვილის შენიშვნა, გვ. 389.

[4] თ. სანიკიძე, აკაკი წერეთლის პოეზიის ლექსიკონი, თბ., 1982.

[5] ა. გაჩეჩილაძე, აკაკი წერეთელი, თბ. 1966, გვ. 168

[6] ამ და სხვა ამგვარი ფრაზების შესახებ იხილეთ ჩვენი სტატია: ნ. შარაშენიძე, ქვემოიმერულის ვანური თქმის შედარებებში დაცული ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის შესახებ, თსუ, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 29, თბ., 2002.

ლი" სიტყვის მნიშვნელობა ძველ ქართულში იყო „პატრონი."[7] მოცემულ ფორმაშიც „უფალ" სიტყვას „პატრონის" მნიშვნელობა აქვს და ამ კომპოზიტის არსიც ესაა: დამკ(ვ)ლისუფალი — ე. ი. დამკ(ვ)ლის პატრონი. ამგვარი წარმოება ქართულისათვის უცხო არაა, შეადარეთ „პირისუფალი" — „მიცვალებულის პატრონი" (ქეგლ). „პირი" ამ კომპოზიტში გადატანითი მნიშვნელობითაა გამოყენებული.

ასახსნელ ფორმად რჩება კომპოზიტის პირველი ნაწილი — „დამკ(ვ)ლის". რას უნდა ნიშნავდეს იგი? ეს ფორმა მიმღეობაა, კერძოდ, ვნებითი გვარის მიმღეობა. მასში აშკარად ჩანს **მ** მაწარმოებელი, ხოლო მეორე ნაწილი ამ მაწარმოებლისა (მ—არ), ანუ -არ სუფიქსი დაკარგული უნდა იყოს — ფუძეთა შერწყმამ გამოიწვია კუმშვა. ამ ფორმის ამოსავლად უნდა ყოფილიყო *და-მ-კ(ვ)ლ-არ-ი ფორმა. მ—არ აფიქსიანი მიმღეობები მარტივი ფუძისგანაა ნაწარმოები. „აღნიშნული წარმოება არ არის ნაყოფიერი (პროდუქტიული). იგი უხსოვარი დროიდან არის გადმოცემული".[8] ნალოგიურადაა ნაწარმოები „კვდომა" ფორმიდან „მკვდარი": „კვდომა — *ვა-კვდ-ენ (ვაკვდინებ), კვდება, მოკვდა — (მო)-მკვდარი".[9] რაც შეეხება ძირს: აქ გამოიყოფა **კლ** და **კვლ** ძირი. ორი მონაცემიდან ერთში **კლ** ძირია (აკაკის „დამკლისუფალი"), ხოლო მეორეში — **კვლ** (ხალხური „დამკვლისუფალი"). ეს ფაქტობრივად ერთი ძირია, იგივე, რაც მო-**კლ**-ვა>მო-**კვლ**-ა ზმნაში ჩანს — ახალ ქართულში ვ ძირშია გადმოსული (შდრ.: **ხნ**-ვა>**ხვნ**-ა). **კლ** ძირს ძირითადად მო ზმნისწინი უკავშირდება, მაგრამ ამავე დროს არსებობს **და** ზმნისწინიანი **დაკვლა** ფორმაც, რომელსაც ქართულში **მოკვლა** ზმნის დარი წარმოება აქვს, თუმცა მნიშვნელობა განსხვავებულია: „**მოკვლა** — სახელი მოკლავს ზმნის მოქმედებისა, — სიცოცხლის მოსპობა" და „**დაკვლა** — სახელი დაკლავს ზმნის მოქმედებისა, — ყელის გამოჭრით (ან გულში დანის დაკვრით) მოკვლა (შინაური ცხოველისა ან ფრინველისა)".[10]

---

[7] ი. აბულაძე.ძველი ქართული ენის ლექსიკონი.გვ. 576.
[8] ა.შანიძე.ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ.III,თბ., 1980.გვ.576.
[9] იქვე. გვ. 577
[10] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

ამრიგად, „დამკ(ვ)ლისუფალი“ ფორმა შემდეგნაირად უნდა იყოს მიღებული:

და-მ-კ(ვ)ლ-არ-ის+უფალ-ი > და-მ-კ(ვ)ლ-ის+უფალ-ი

-ის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია (შდრ.: ჭირ-ის-უფალ-ი), ხოლო სემანტიკურად ეს ფორმა ასე უნდა აიხსნას: დაკლულის (მოკლულის) უფალი — პატრონი. ბუნებრივია, ფრაზაში მისი გამოყენება მწუხარების, დარდის, უბედურების, ჭირის მნიშვნელობითაა შესაძლებელი — დაკლულის (მოკლულის) პატრონი, სრულიად მოსალოდნელია, რომ განუზომელი მწუხარებით იყოს აღვსილი მომხდარის გამო. გადატანითი მნიშვნელობით „ჭირისუფალ“ ფორმის გამოყენებაზე ზემოთაც მივანიშნეთ (ჭირისუფალი — მიცვალებულის პატრონი (ჭირი — მიცვალებული), საიდანაც შემდგომ ზოგადად მზრუნველობის, მფარველობის სემანტიკა განვითარდა: ჭირისუფალი — მზრუნველი, მოამაგე, პატრონი; ჭირისუფლობა — მზრუნველობა, პატრონობა (ქეგლ). „დამკ(ვ)ლისუფალი“ ფორმა წარმოების გარდა სემანტიკურადაც ანალოგიური უნდა იყოს, ოღონდ მისი მნიშვნელობა საპირისპიროდ განვითარდა — მასში უბედურებისა და მწუხარების ემოცია გაძლიერებულია, გამძაფრებულია, ფორმას განცდის სიმძაფრე და სიმკვეთრე ახლავს. აქედან გამომდინარე, მისგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი „**დამკ(ვ)ლისუფლობა**“ უნდა იყოს **ზოგადად დიდი მწუხარება, ვარამი, დარდი, ძლიერი სულიერი ტკივილი**. მძაფრი ემოცია პიროვნებას გარეგნულადაც ეტყობა; სწორედ ესაა აქცენტირებული ხალხურ შედარებაში, ხოლო აკაკი თავის პოემაში, როგორც ჩანს, ხალხში გაგონილი ფრაზის ზოგად მნიშვნელობას იყენებს და ამით სახეს ერთგვარ სიმძაფრესაც ანიჭებს, მხატვრულობასაც და იდუმალებასაც. რა თქმა უნდა, ამ ფრაზას მეტი ემოციური ეფექტი ეძლევა ამ იდუმალი სიტყვის გამოყენებით, ვიდრე მიეცემოდა ჩვეულებრივი და ყველასათვის ცნობილი „მწუხარება“ ან სხვა მსგავსი სიტყვით.

მხატვრულ ნაწარმოებში დიალექტიზმების მრავლად გამოყენებას, როგორც ცნობილია, აკაკი არ იწონებდა. მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, როცა დიალექტური ფორმის ხმარება მეტ ემოციურ და მხატვრულ ეფექტს ქმნის და ამ შემთხვევაში მწერალი ორმაგად შემოქმედია — იგი მხატვრულ სახესაც ქმნის და ახალ სიცოცხლესაც ანიჭებს მივიწყებულ სიტყვას.

ში ახლა ამ სახით დამკვიდრებულა.

მცირე რამ შედარების გარეგნული ფორმისა და აზრის გამოხატვის თაობაზე. შედარება ძირითადად კავშირების მეშვეობით ხდება — როგორც, ვითარცა, თითქოს, მსგავსად, ანდა ასეთი ფუნქცია ეკისრება თანდებულებს: -ვით, -ებრ. მხატვრულ შედარებათა გადმოცემის გრამატიკული საშუალებები გაყოფილია ორ ჯგუფად: აღწერილობითი და ორგანული.[2] ხალხში გავრცელებული შედარებები უმთავრესად აღწერილობითი ხასიათის შედარებათა ჯგუფში ერთიანდება და ძირითადად იწარმოება **ვით** თანდებულით (მოცლილივით თოვს, ცისჩამოტეხილივით წვიმს, ბექთარივითაა მაგარი, გამძლე...), თუმცა შედარების არც სხვა საშუალებებით გადმოცემაა იშვიათი, იქნება ეს გრამატიკული კავშირი **როგორც** (დიალ. რავარც), თუ სხვა ფრაზული გამოთქმები (იმისი არ იყოს, (იმა)ს დამსგავსებია...).

ქვემოთ წარმოდგენილ მასალაში გაერთიანებულია ისეთი შემთხვევები, როცა შედარებაში გამოყენებული ცალკე აღებული სიტყვის მნიშვნელობა არაა ცნობილი არა მარტო მსმენელისათვის, არამედ თავად მთქმელისთვის, შედარებაში მისი გამომყენებლისთვისაც. მაგრამ შედარებით გამოხატული აზრი, მისით გამოკვეთილი თვისება შესადარებელი ობიექტისა მაინც გასაგებია მოსაუბრისათვის. სანიმუშოდ განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

ღანიობელა — სიტყვის მნიშვნელობა უცნობია მთქმელისათვის. მისი განმარტება შეუძლებელი შეიქმნა ჩვენთვისაც; სიტყვა არ დასტურდება დღეისათვის არსებულ არც ერთ ლექსიკონში. არადა, კონტექსტები აშკარად გულისხმობენ კონკრეტული სახის მქონე საგანს, რომელსაც ედარება ობიექტი (ადამიანი) და ხაზი ესმება მის გარეგნულ სისუსტეს, სიგამხდრეს. მოყვითალო ფერს. ლექსიკური ერთეული დასტურდება როგორც ტიპურ შედარებაში („ღანიობელასავეთ გარაქცეულა“, „გამოყვაებულია ბაღანე, ღანიობელასავეთაა“), ისე მსგავსების გამომხატველ გამოთქმაში („ღანიობელას დამგვანებია“). იგი გვხვდება მახასიათებლადაც („შეხედე, რაი უთხრა ამ ღანიობელამ, ამან!“).

---

[2] ი. ქავთარაძე, შედარების გამომხატველი ძირითადი გრამატიკული საშუალებები და ვითარებითი ბრუნვის ერთი მნიშვნელობისათვის ქართულში, თსუ შრომები, 5 (148), 1972, გვ. 163; ბ. ფორჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., გვ. 164-165.

ყინტორა — დასტურდება შედარებაში: „ყინტორასავით ცივი“ („ეგერ მაქ დოქში წყალი, ცივია ყინტორასავეთ, შეი და გამეიტანე“). თავად სიტყვის კონკრეტულ მნიშვნელობას ვერ განმარტავენ, საერთოდ კი აღნიშნავენ, რომ ითქმის ცივზე. „ყინტორა“ საბას „სიტყვის კონაში“ ნათლადაა განმარტებული: „წყაროს ყინული“. რა შეიძლება ამასთან დაკავშირებით ითქვას: საბას დროს, სულ რამდენიმე საუკუნის წინ, სიტყვა „ყინტორა“-ს მნიშვნელობა ცნობილი იყო. შედარებიდან აშკარაა, რომ იგი კონკრეტული მნიშვნელობით უცილობლად არსებობდა იმერეთშიაც. მაგრამ დროთა განმავლობაში სიტყვა დავიწყებას მიეცა, შეინახა მხოლოდ შედარებამ და ისიც მცირე რეგიონში (დადასტურებულია გურიაშიც). რომ არა საბას ლექსიკონი, აღნიშნული სიტყვა შეიძლება მთლად დაკარგულიყო დღევანდელი ცნობიერებისათვის. ვინ იცის, რამდენი ასეთი სიტყვა მანამდე მიეცა დავიწყებას, სანამ ეს დიდი მოღვაწე თავის ფასდაუდებელ წიგნზე დაიწყებდა მუშაობას. ასეთი სიტყვების ერთი მცირე ჯგუფი მხოლოდ შედარების ხერხმა გადაარჩინა.

განხილული მაგალითების ირგვლივ მსჯელობას მივყავართ დასკვნამდე: შედარებებში გამოყენებული ესა თუ ის სიტყვა უცილობლად უნდა იყოს საგნის ან მოვლენის კონკრეტული შინაარსის გამომხატველი. მას თავის დროზე ჰქონდა სრულიად ნათლად გამოკვეთილი მნიშვნელობა, იგი დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენდა, ოღონდ დროთა განმავლობაში მას ეს თვისება დაუკარგავს და დღემდე მხოლოდ შედარების მყარ, გაქვავებულ ფორმას შემოუნახავს.

უეჭველია ის, რომ ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობის დაკარგვა საკმაოდ ადრე მოხდა, რადგან სიტყვათა უმრავლესობა (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) არ იძებნება ძველი ქართული ენის ლექსიკონში. დასაშვებია ერთი შესაძლებლობაც: ეს სიტყვები ოდითგანვე დიალექტის კუთვნილება იყო, სალიტერატურო ქართულში ვერ შევიდა და დროთა განმავლობაში მისი მნიშვნელობა დიალექტშიც გამქრალა. ამგვარი სიტყვების აღნუსხვა, თუნდაც დღევანდელ ვითარებაში, როცა მათ კონკრეტული მნიშვნელობა დაკარგული აქვთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს.

ქვემოთ წარმოდგენილ სიტყვათა მცირე რაოდენობაში თვალნათლივ გამოიყოფა ორი ჯგუფი: 1) სიტყვის მნიშვნელობა უცნობია და

იგი გამოიყენება მხოლოდ შედარებაში (მაგ., ანგელი, ტატლიბი, კოპარი, ლაინი, ლაზი...); 2) განუმარტებელი სიტყვა გამოიყენება შედარებაშიც და, ამასთან ერთად, მისგან ნაწარმოებია ახალი ლექსიკური ერთეულიც — იგი გვევლინება ზმნადაც და მიმღეობადაც (მაგ.: ფიჩინა — გაფიჩინდა — გაფიჩინებული; ქანქალო — გაქანქალებული; ქონქი — დაქონქილი; ქოფარი — დაქოფარება; ყიფსინა — გაყიფსინებული), ან ქცეულია მახასიათებლად (მაგ.: ღანიობელე, წებეთიე) და ხაზს უსვამს ადამიანის გარეგნულ თუ შინაგან თვისებას. ეს მიუთითებს, რომ არის ამგვარი ტენდენცია: სიტყვის კონკრეტული მნიშვნელობის არსებობის აუცილებლობა გაცნობიერებულია. თუ მთქმელი კონკრეტული მნიშვნელობის უქონელ სიტყვას შედარებაში იყენებს, მაშინ აქცენტი უკეთდება ფრაზის ზოგად შინაარსს (მაგ.: ანგელივით ქალია — აქ გაიაზრება კარგი გარეგნობა და არა კონკრეტულად ანგელთან შედარება და ამით გარკვეული თვისების გამოკვეთა. ასევე ზოგადად განმარტავენ ამ სიტყვას ლექსიკონებში პ. გაჩეჩილაძე და მ. ალავიძე, კერძოდ, „ლამაზი, წარმოსადეგი“[3]). მაგრამ, თუ შედარების ხერხი არ იქნა გამოყენებული, მაშინ ხშირად შეუძლებელი ხდება ამ ლექსიკური ერთეულის ხმარება. ამიტომ მცირდება შედარებების გამოყენების შემთხვევები და ხდება ამგვარი სიტყვებიდან ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნა — იქნება ეს მისი გაზმნავება თუ მიმღეობად ქცევა. სიტყვის ძირი სემანტიკურად და ეტიმოლოგიურად უცნობია, მაგრამ ახალ ერთეულს უკვე აქვს თავისთავადი, დამოუკიდებელი მნიშვნელობა (მაგ.: „გაქანქალებული“ არაორაზროვნად და ერთმნიშვნელოვნად „ძალიან თეთრი“-ა). ეს პროცესი ახალი დაწყებული არ უნდა იყოს და მრავალი ლექსიკური ერთეული, რომლის ძირი უცნობია დღეს, ალბათ, ასე იქნა მიღებული დროთა განმავლობაში (შდრ.: ჩვეულებრივი ნასახელარი ზმნები). იგი ახლაც გრძელდება და თუ მას განვითარების ნორმალური გზა მიეცა, შესაძლოა, ის უცნობი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩენილია, დაიკარგოს და მეტყველებაში დარჩეს მხოლოდ ზმნად ან მიმღეობად ქცეული სიტყვა. რამდენადაც ეს ტენ-

[3] პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა; მ. ალავიძე,. ოკრიბული ლექსიკონი, აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950-1951.

დენცია აშკარაა, ამგვარ სიტყვათა ფიქსირება აუცილებლად გვესახება, როგორც გადარჩენა ლექსიკური ერთეულისა, თუნდაც ამ ეტაპზე მნიშვნელობადაკარგულისა.

შედარებების ზოგიერთი სიტყვა ხალხის საუკუნეობრივ რწმენასთანაა დაკავშირებული (ზოგი წარმართული რელიგიიდან უნდა იყოს შემორჩენილი). ასეთებია: თხის ღმერთივით, დამკვლისუფალივით, მეამინე ანგელოზივით... ამგვარი სიტყვების შეტანა მასალაში განაპირობა იმან, რომ ამჯერად შედარებაში მისი გამოყენება მხოლოდ გარკვეულ თვისებას უსვამს ხაზს, თავად ცნება, კერპი ან რიტუალი დღეს აღარც იგულისხმება.

მასალა შედარებულია თანამედროვე სალიტერატურო და ძველი ქართული ენის ლექსიკონებთან, აგრეთვე დაძებნილია დიალექტთა ლექსიკონებში. მხოლოდ ლექსიკონების მეშვეობით მოძიებულია იგი მეგრულ-ჭანურში. ქვემოთ წარმოვადგენთ მასალას სათანადო კონტექსტებით, ფრაზის განმარტებებითა და შენიშვნა-კომენტარებით.

აზავერი — „დიდი, აზავერივივით ქალი იყო, იმას თუ მეერეოდა ავანტყოფობა, რავა იფიქრებდი". სიტყვა „აზავერი" მთქმელმა ვერ განმარტა. ლექსიკონებში ეს ერთეული დასტურდება და სრულიად ნათლადაა განმარტებული.[4] იგი ძველ ქართულში სპარსულიდან (პართულიდან) შემოსული სიტყვაა[5] და ტვირთის საზიდ, სამუშაო, საბარგო ხარს ნიშნავდა. მთქმელი მოყვანილი შედარებით ხაზს უსვამს ადამიანის გარეგნულ სიდიდეს, რომელშიც ჯანმრთელი აღნაგობა და ფიზიკური სიძლიერეც იგულისხმება. ეს ყოველივე ხარისთვისაა დამახასიათებელი და შედარებაც ბუნებრივია. საინტერესოა, რომ ამ ეტაპზე მთქმელისათვის ცალკე სიტყვა „აზავერის" კონკრეტული მნიშვნელობა („დიდი ხარი") უცნობია, მაგრამ მან იცის, რა შემთხვევაში უნდა გამოიყენოს ეს შედარება. ამ ხერხით კარგად გამოჰყვეთს დიდ და ძლიერ აღნაგობას. ფრაზით გამოხატული აზრი გასა-

---

[4] ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949 — „ჯარი საკიდარი". დამოწმებულია ასევე ლექსიკონებშიც: დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, — „საშუშაკო ხარი"; ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი — „ხარი"; ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის სიმფონია; თ. ბაგრატიონი, წიგნნი ლექსიკონნი, თბ., 1979 — „ხართა ტვირთებს ეწოდება"; ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961 — „ხარი საკიდარი"; ლ. ლეონიძე, მესაქონლეობის ლექსიკონი, თბ., 1925.

[5] Bailey H. W. Two Iranian words: Georgian Zvara and Varzi. Societes and Languages of the Ancient Near East. Warminster, 1982. გვ. 22-23.

გებია მსმენელთათვისაც. უეჭველია, რომ თავის დროზე, როცა ამ სიტყვაზე შედარებას აგებდა ადამიანი, მას ნათლად წარმოედგინა აზავერი, მისი ყველაზე უფრო გამოკვეთილი თვისება და სწორედ ამაზე დაყრდნობით შექმნა შედარება. შემდეგ, დროთა განმავლობაში, სიტყვის კონკრეტული მნიშვნელობა, როგორც ჩანს, თანდათან გაფერმკრთალდა, შემდეგ კი სრულიად დაიკარგა. მაგრამ მეხსიერებას შემორჩა ამ შედარებით გამოხატული ზოგადი აზრი და ასე მოვიდა იგი დღევანდელ მთქმელამდე.[6]

ამთავითვე გვინდა მივუთითოთ, რომ ქვემოთ წარმოდგენილი სხვა სიტყვებისაგან განსხვავებით, ამ ერთეულის მნიშვნელობის დადგენა სიძნელეს არ წარმოადგენს; იგი, როგორც ვთქვით, ნათლადაა განმარტებული ლექსიკონებში, მაგრამ ის გარემოება, რომ ეს ერთეული მაინც შევიტანეთ ე. წ. მნიშვნელობადაკარგულ სიტყვათა ჯგუფში, განპირობებულია შემდეგით: იგი თვალნათლივ ავლენს იმ გზას, რაც, ალბათ, სხვა ამგვარმა სიტყვებმა გაიარეს. მათში ნაგულისხმევ საგნებსა და მოვლენებს ადამიანის ცნობიერებაში უკავშირდებოდა სრულიად გარკვეული, კონკრეტული საგნობრივი შესატყვისი, რაზედაც აიგო შედარება. დროთა განმავლობაში დაიკარგა კავშირი აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის, მაგრამ ლექსიკური ერთეული მეტყველებაში მაინც დარჩა მყარი შესიტყვების ფორმით.

ანგეში — სიტყვის პირდაპირი, კონკრეტული მნიშვნელობა მთქმელმა ვერ მოგვაწოდა და ჯერჯერობით ვერც ჩვენ მოვიძიეთ. ამ სიტყვიანი შედარებით მთქმელი ხაზს უსვამს ადამიანის ძლიერ და წარმოსადეგ გარეგნობას: „ანგეშივით ქალია, რო დეეტაკოს, ხეს მოგლეჯს". დასაშვებია, რომ სიტყვა „ანგეში" მხოლოდ იმერული დია-

---

[6] სიტყვა „აზავართან" დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ შემდეგი: ლექსიკონებში, სადაც ეს ერთეულია დადასტურებული, წყაროდ ლიტერატურული მასალაა მოხმობილი; უმეტეს შემთხვევებში, „ქეფხისტყაოსნის" ცნობილი სტროფის (464, 3 — „აზავრები ვაზავრე") მასალაა მოყვანილი. სიტყვა არც ერთი დიალექტის ლექსიკონში არ მოიძებნა, არც პირდაპირი და არც გადატანითი მნიშვნელობით. მხოლოდ ერთგან მოიხსენიებს მას ქ. კეცხლაშვილი თავის წიგნში (ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი. გვ. 193) ლექსიკის ზოგადი მიმოხილვისას და აღნიშნავს, რომ „აზავერი" დიდი, მაღალის მნიშვნელობით მხოლოდ ოკრიბულში გვხვდებაო. ვანის რაიონის არეალში მისი გამოვლენა აფართოებს სიტყვის ხმარების გეოგრაფიულ გარემოს. სხვა დიალექტებში მისი დაუდასტურებლობა გვაფიქრებინებს, რომ სასაუბრო მეტყველებაში ეს სიტყვა მხოლოდ იმერულს, კერძოდ, ქვემოიმერულ კილოკავს შემორჩენია.

ლექტის კუთვნილება იყოს — იგი არ გვხვდება სხვა დიალექტთა ლექსიკონებში. დასტურდება მხოლოდ ორგან და ორივე იმერული დიალექტის მასალებს მოიცავს.[7]

ამ ლექსიკონებში სიტყვა შედარებაში არაა წარმოდგენილი და განმარტებაც ფრაზის ზოგადი შინაარსიდანაა გაკეთებული (ანგეში — ლამაზი, წარმოსადეგი. „ანგეში ბიჭი იყო"). ჩვენს მასალაში ამ სიტყვის შედარების ფორმით არსებობა მიუთითებს, რომ იგი თავის დროზე ცალკე ლექსიკური ერთეული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ახლა გამოიყენება მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით — დასტურდება მეტაფორად ან შედარებაში.

ბალანჭა — სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა ხალხს უკვე დავიწყებული აქვს. ლექსიკური ერთეული გაქვავებული ფორმით შემორჩენილია შედარებაში: „რათ ვარგა საქონელი გაზაფხულზე, ბალანჭასავეთაა გარაქცეული". აქ მინიშნებულია სიგამხდრეზე. იგი გვხვდება მიმღეობაშიც — გაბალანჭებული: „გაბალანჭებულია საქონელი", ე. ი. ძალზე გამხდარია.

ძველი ქართული ენის ლექსიკური ერთეული ბალანტი,[8] ვფიქრობთ, ახლოს უნდა იდგეს ჩვენს საკვლევ რეგიონში დამოწმებულ ბალანჭასთან. ამის საფუძველს იძლევა „ბალანტის" ნ. ჩუბინაშვილისეული განმარტება: „ბალანტი — მცირე პარკი". სიტყვასთან მითითებულია მეორე ერთეული „ვაშკარანი", რომელიც „ზოგადი სახელია შთასადებელთა ჰურჭელთა ნაქსოვთა ანუ ტყავისათა. ესენი არიან ბალანტი, გუალაგი, გუდა..." ამ განმარტებაში იგულისხმება, რომ ბალანტი-პარკი შესაძლოა ტყავისაგან ყოფილიყო (გუდის მსგავსად). ამდენად ბალანტის დაკავშირება ზოგადად ტყავთან შეუძლებელი არ უნდა იყოს. თუკი დავუშვებთ, რომ **ჭ** არის **ტ** ბგერის აფრიკატიზაციის შედეგი (შდრ.: ტვირთი — იმერ. ჭვირთი), მაშინ „ბალანტი" და „ბალანჭი/ა" ერთ ერთეულად შეიძლება ჩავთვალოთ. ბალანჭა-ტყავის სემანტიკური ერთობა კი შედარებასაც ამართლებს: საქონელი იმდენადაა გამხდარი, რომ ტყავადაა ქცეული, ტყავივითაა.

---

[7] პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა; მ. ალავიძე, ოკრიბული ლექსიკონი; ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა.

[8] ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი. აგრეთვე: ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი; ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა; ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1986.

ბუნდუბო || გუნდუბო — ზუსტი მნიშვნელობა მთქმელმა არ იცის, შედარებაში გამოყენებული კი იხმარება „თბილის“ აღსანიშნავად. დამოწმებული გვაქვს კონტექსტებში: 1. „ზამთარში ჩემ პეტერე სახში რო შეხვალ, ბუნდბოსავეთაა ყორფელი“; 2. „ქალაბანი ნემეტანი კაია ზამთარში, ჩეიფენ ქურჩენას შიგნით და ბუნდუბოსავით გაქ ფეხები“.

ეს სიტყვა გვხვდება ზემოიმერულშიც და ლეჩხუმურშიც, მაგრამ ამ დიალექტების ლექსიკონთა შემდგენლებს თვით „ბუნდუბო“ არა აქვთ განმარტებული. ამ რეგიონებში ეს სიტყვა შედარებაში დაუმოწმებიათ მკვლევარებს, ხოლო თვით გუნდუბო || ბუნდუბოს მნიშვნელობა მათ, ისევე როგორც ჩვენც, ვერ დაუდგენიათ.[9]

ბურნავოთი || ბურნაოთი — ამ სიტყვას თავად მთქმელი ასე განმარტავს: „პარკის, აბრეშუმის პარკის გამონარჩევისაგან ან გუმბრის ცეცხლს რო დაანთებ და დიდი, სქელი კვამლი რო ავა ზეით, იმას ვეტყვით ბურნავოთს“.

სიტყვა უნდა უკავშირდებოდეს თურქულ **ბურნაოთს**. ნ. ჩუბინაშვილი „ბურნუთის“ განმარტებისას შენიშნავს, რომ სიტყვა მომდინარეობს თურქულიდან, სადაც „ბურნაოთი — თურქული ენის ცხვირის ბალახს ნიშნავს“.[10] ჩვენს მასალაში დადასტურებული ბურნაოთი || ბურნავოთი (ვ-ს განვითარება მოულოდნელი არაა) თითქმის იდენტურია იმ ფორმისა, რომელიც სიტყვის წყარო ენაში აქვს (ბურუნოთ).

საკვლევ რეგიონში დადასტურებული კონტექსტების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვემო იმერეთში „ბურნუთის“ გადატანითი მნიშვნელობა იხმარება. მისით გამოწვეული ასოციაცია სავსებთ ამართლებს კონტექსტების შინაარსს. სიტყვა გვხვდება შემდეგ შეда-

---

[9] ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, I გვ. 99-135 — „გუნდებო (?) „გუნდებოსავით არი გაღეღენებული“ — თბილია. თვით გუნდებოს მნიშვნელობა არ იციან“. შდრ.: მ. ალავიძე, ლეჩხუმური ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, გვ. 139-143 — „გუგუბო — 1. თბილი“. „ღუნთუბო — თბილი (?), „ღუნთუბოსავით ამინდები დადგა“. როგორც ვხედავთ, მკვლევარებს უცდიათ ამ სიტყვის კონკრეტული მნიშვნელობის დადგენა, მაგრამ ხალხს იგი ამ რეგიონშიც დავიწყებული ჰქონია.

[10] ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი; აგრეთვე: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბ., 1959 — „წვრილად დაფქვილი და გაცრილი საყნოსი თამბაქო“... „ბურნუთის წევა“.

რებებში: 1) „ბურნავოთივით გეიტანა საქმე". ამ ფრაზის განსამარტავად შეიძლება მოვიხმოთ ანალოგიური შედარებები, რომლებიც ერთსა და იმავე აზრს გამოხატავენ: „ბდღვირივით გეიტანა საქმე" ან „ბუქივით გეიტანა საქმე". სამივე ამ ფორმას ერთი აზრობრივი განმარტება აქვს: „საქმე კარგად და თან სწრაფადაც გააკეთა". ასოციაციურად ამ შედარებათა დაკავშირება სავსებით შესაძლებელია. ბურნავოთი — აქ შეიძლება იგულისხმებოდეს კვამლი, ბოლი, რომელიც ბურნუთის მოწევისას ჩნდება (შდრ.: მთქმელისეული განმარტებაც); ბდღვირი — ჰაერში დამდგარი დიდი მტვერი, კორიანტელი; ბუქი (შდრ.: ქარ-ბუქი) — ქარისაგან დაყენებული თოვლის კორიანტელი. მოყვანილი ფრაზეოლოგიური გამოთქმები აზრობრივად შეიძლება ასე იქნას გაგებული: როგორც კვამლს, ბოლს, მტვერს, თოვლის კორიანტელს არა აქვს არავითარი დაბრკოლება, ისე დაუბრკოლებლად კეთდება საქმეც.

2) „ეს ბრინჯი ბურნავოთივით არ გამხდარა?!" ე. ი. ფქვილად გადაქცეულა, გაფუჭებულა. აქაც შეუძლებელი არაა ფქვილადქცეულ ბრინჯისა და დაფქვილი თამბაქოს დაკავშირება შედარების მეშვეობით.

ამგვარად, თურქული წარმომავლობის სიტყვამ (ბურუნოთ > ბურნაოთ > ბურნავოთ) ქვემოიმერულში დაკარგა თავდაპირველი კონკრეტული მნიშვნელობა და სასაუბრო მეტყველებაში დამკვიდრდა ორი გადატანითი მნიშვნელობით: 1) სქელი კვამლი, ბოლი და 2) ბურნუთივით ფქვილად ქცეული ნივთიერება საერთოდ.

გენთი — სიტყვა ვერ განიმარტა. საუბარში ხმარობენ ღვინოსთან შედარებისას: „გენთივით ღვინოა" და გულისხმობენ მის კარგ თვისებას, კერძოდ სიმაგრეს. შედარებას მთქმელი ასე ხსნის: „გენთივით ღვინოაო რო ვიტყვით, მაგარია ღვინო, ნატური, უწინ რო იცოდენ იმისთანა".

დამკვლისუფალი — სიტყვის კონკრეტულ მნიშვნელობას ვერ განმარტავენ, მთელ ფრაზას კი „რავა დამკვლისუფალივით ხარ თელი დღეები, რა მოგივიდა", ამგვარად ხსნიან: „მოწყენილი როა ადამიანი, გლახა ხასიაძე, იმაზე ვიტყვით".

აკაკი წერეთელს პოემაში „პატარა კახი" ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობით აქვს გამოყენებული: „ბებურიშვილო, ვერვინ დაგძრახავს,

რომ გულს გიკლავდეს დამკვლისუფლობა!“[11] — ბებურიშვილს ძმა მოუკლეს და იგი დამწუხრებულია. პოეტს ეს სიტყვა, უეჭველია, აღებული აქვს თავისი მშობლიური იმერული მეტყველებიდან. მისი ეტიმოლოგია, შეიძლება ამგვარი იყოს: დამკვლისუფალი > დაკლულის, მოკლულის უფალი, პატრონი (შდრ.: ჭირისუფალი).

დედამანია — მთქმელი მის კონკრეტულ მნიშვნელობას ვერ აღადგენს. ძირითადად დამკვიდრებულია ორი კონტექსტით: 1) „დაჟდება და იწყევლება დედამანიასავეთ თელი დღეი, აფერს არ აკეთებს მეტს“, 2) „დედამანიასავეთ ინახავს ყორფელს, რასაც კი მოკიდებს ხელს“.

ლექსიკოგრაფებს „დედამანია“ განმარტებული აქვთ როგორც „ბებია-ქალი, ბებია, **акушерка**“.[12] ჩვენს კონტექსტებში ამ სიტყვასთან მიმართებით დადასტურებული თვისებები აშკარად გამორიცხავს ლექსიკოგრაფთა ზემოაღნიშნულ განმარტებებს, რადგან წყევლისა და შენახვის შინაარსი სრულიად არ უკავშირდება ბებიაქალს. ეს თვისებები უფრო მოხუცი ქალისთვისაა დამახასიათებელი. ამგვარ ვარაუდს ამართლებს იმავე რეგიონში დადასტურებული სხვა შედარება: „დედაბერივით იწყევლება“. ყველაფრის შენახვაც არაა უჩვეულო მოხუცისათვის. ამდენად, ფორმით ერთნაირი, მაგრამ შინაარსით სხვადასხვა ორი სიტყვის (დედამანია — ბებიაქალი და დედამანია — დედაბერი) ამოსავალი ზოგადად მოხუცი ქალია; ხოლო თუ რას ნიშნავს კომპოზიტის მეორე ნაწილი „მანია“, ამის დადგენა ჯერჯერობით არ მოხერხდა.

თხის ღმერთი — ეს ცნება დამოწმებულია შედარებაში: „რავა იქუანება თხის ღმერთივით“, რასაც მთქმელი ასე განმარტავს: „ტყუილათე, უზაფთოთ რო იქუანება რაცხაზე, იმაზე ვიტყვით, თხის ღმერთივით იქუანებაო“.

ქვემოიმერულის ზეპირ მეტყველებაში თავშემონახული „თხის ღმერთის“ არსებობა ქართულ პანთეონში საერთოდ მოულოდნელი არ უნდა იყოს. იგი შეიძლება უკავშირდებოდეს ქართველურ (და სა-

---

[11] ა. წერეთელი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, II, თბ., 1989, გვ. 343.

[12] დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი; ი. ჭყონია, სიტყვის კონა; ს. ჟღენტი, გურული კილო, თბ., 1936; ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა.

ერთოდ კავკასიურ[13]) გარემოში დადასტურებულ მსგავსი ხასიათის ღვთაებების რიგს (შდრ.: მეგრული „ოჩოკოჩი“, რომელსაც ერთი ნაწილი ვაცის (მამალი თხისა) აქვს).[14] საინტერესოა ისიც, რომ ამგვარივე ღვთაება, კერძოდ „ვირის ღმერთი“, დასტურდება ლეჩხუმურში, ამგვარ შედარებებში: „ვირის ღმერთივით აუუდებულხარ“ ან „ვირის ღმერთივით დამდგომიხარ თავზე“.

კარანა — სიტყვის კონკრეტული მნიშვნელობა უკვე დავიწუებულია. შედარებაში გამოყენებული ეს სიტყვა მიუთითებს ობიექტის სიგამხდრეზე. არსებობს პარალელური გამოთქმა: „გაკარანებული“, ე. ი. ძალზე გამხდარი, ძვალ-ტყავად ქცეული. დამოწმებული გვაქვს შემდეგ კონტექსტებში: 1) „კარანასავეთაა გარაქცეული“; 2) „გაკარანებულია, სული აღარ უდგანა“.

კეპეჭი — დამოწმებულია კონტექსტში: „სოფელში სუქან-სუქანი ხალხი არა, მაგიორათ კეპეჭივით მაგარია“. ამ შედარებით ხაზი ესმება ადამიანის ჯანმრთელობას, ტანის სიმრთელეს, სიმაგრესა და გამძლეობას. შესაძლებელია, იგი უკავშირდებოდეს აჭარულში დამოწმებულ „კეპეჭს“, რომელიც გადანაჭერი სიმინდის მცენარის ძირს აღნიშნავს.[15] იგი დიდხანს რჩება ნიადაგში და ზამთარგამოვლილისაც მიწიდან ამოგდება საკმაოდ ძნელია. შედარებაშიც, ალბათ, ეს გამძლეობა იგულისხმება.

კოპარი — რას უნდა ნიშნავდეს ეს სიტყვა, ვერ დავადგინეთ. ფრაზაში „კოპარივით ყლაპავს“ ადამიანი (სუბიექტი) შედარებულია იმ არსებასთან, რომელიც მთელ-მთელ ლუკმებს ყლაპავს სწრაფად. მაგრამ თუ რა არის ეს არსება, არ იციან იმ გარემოში, სადაც სიტყვა ჩავიწერეთ. ჯერჯერობით ეს ერთეული ლექსიკონებშიც არ იძებნება. მოყვანილ შედარებაში ჩადებულ აზრს მთქმელი ამგვარად

---

[13] საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსებში თხა-ღმერთმა კრპის სახით გვიანბამდე შემოინახა თავი. სოფრომ მგალობლიშვილი ამგვარ ცნობას გვაწვდის: „ჩემს ხსოვნაში ოსები ჯერ კიდევ კერთპთაყვანისმცემლები იყვნენ. თხა იყო იმათი ღმერთი. თხის თავი დიდის რქებით იყო დასვენებული სადმე დიდსა და უზარმაზარ დაბურულ ტყეში ცაცხვის ან მუხის ხეზე. აქ იყრებოდა ხალხი, ლოცულობდა და თაყვანს სცემდა თავის ღმერთსა“ (იხ. ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, თბ., 1938. გვ. 22).

[14] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1960, გვ. 86.

[15] შ.ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1961; ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა.

განმარტავს: „ადამიანი რო დაჟდება მარტვე, არ უყურეფს ვინმეს, დოულეჭავათ ულაპავს კოპარივით“.

ლაზი — მთქმელმა სიტყვა ვერ განმარტა. ქ. ძოწენიძე ზემოიმერულში ამ ერთეულს აფიქსირებს „წებოვანი ტალახის“ მნიშვნელობით.[16] ჩვენს რეგიონში კი მისი გამოყენება შედარებაში გამოკვეთს შესადარებელი ობიექტის შავ ფერს: „რაი ჯამს ამას [პურს], შავია ლაზივით“.

ლაინი — თავად სიტყვა რას ნიშნავს, მთქმელმა ვერ განმარტა. შედარებაში მუქ ფერს გამოკვეთს: „გაყივნული ხორცი რო ჩავყარე თუჯიაში, ლაინივით გარეიქცა“, ე. ი. სიშავე მიიღო.

ეს სიტყვა ლექსიკონებში შეტანილია შინ დამზადებული და მუქად (მუქლურჯად ან ნაცრისფრად) შეღებილი ნარმის ქსოვილის აღსანიშნავად. ასევე განმარტავს მას საბაც.[17] ეს განმარტებები და იმერულში, კერძოდ ჩვენს მასალაში დადასტურებული კონტექსტი, რომელიც მუქ ფერს გამოჰკვეთს, ბადებს ეჭვს, რომ ლაინი თავდაპირველად ხომ არ იყო რომელიმე მუქი საღებავის სახელწოდება. შემდეგ ეს სახელი გავრცელდა იმ ქსოვილზე, რომელიც ძირითადად ამ საღებავში იღებებოდა.[18]

ფერის აღსანიშნავად პირდაპირ საღებავზე მითითება ამ კუთხით მეტყველებისათვის საერთოდ უჩვეულო რამ არ არის. ამაზე მიუთითებს იქვე დადასტურებული ამგვარი შედარებაც: „ლილასავეთ გაგიხთი ცხვი-პირს“, ე. ი. ცემისაგან დაგალურჯება. ამდენად, დიდ დაბრკოლებას ვერ ვხედავთ ზემოთ აღნიშნულ შედარებაში „ლაინი“ საკუთრივ მუქი ფერის საღებავის სახელი ყოფილიყო.

მეამინე ანგელოზი — დაკავშირებული უნდა იყოს ხალხის რწმენა-წარმოდგენასთან. დამოწმებულია ორი მნიშვნელობით: 1) „მეამინე ანგელოზივით ემოწმება ყორფელზე“. მთქმელი ასე განმარ-

---

[16] ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი.

[17] ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა; ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი; დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი; ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი; ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა; შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი.

[18] ს. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943, „ლაინი — ბამბის ქსოვილი თეთრი“. ქიზიყურში, შესაძლოა, ეს სახელი ზოგადად ნარმაზე გავრცელდა. „ლაინის“ შესახებ უფრო ვრცლად იხ. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, II, ნაწ. II, თბ., 1982.

ტავს ფრაზის შინაარსს: „მეამინე ანგელოზი ყველა ადამიანს დაყობა და იგი დღეში სამჯერ იტყვის „ამინო". თუ მოხვთა დაწუევლა იმის „ამინს", ახთება იგი. ამიტო არ უნდა დეიწყევლო ხშირათ, თვარა თუ მეამინემ დაგეამინა, მორჩა მერე". 2) „მეამინე ანგელოზივით ჩამოჰიჟდება"; „დამჟდარხარ მეამინე ანგელოზივით, მიყურეფ და არ აკეთეფ არაფელს". მთქმელი განმარტავს: „სახში თუ ხარ, სახლის კარაპინაზე ჩამოჟდება მეამინე ანგელოზი, მარა შენ კი ვერ უყურეფ. იი კარ ქცილდება, დაქყობა ყოლდგან".

მეამინე ანგელოზის[19] შესახებ რწმენა-წარმოდგენა ძირძველი ქართული ჩანს.

ნიქიტი, ნიქიტიანი — გვხვდება გამოთქმა „დანიქიტებული", რომელსაც ამგვარად განმარტავენ: „სულ რო მეითხოვს საშმელს და ვერ ძღება". კონტექსტები: „რავა ნიქიტიანი ბაღანასავეთ თხოულოფ საშმელს", „დანიქიტებულია კოპორიეს შვილები, მიდღემჩი ვერ გააძღეფ საშმლით".

„ნიქიტი (ნიქიტიანი), დანიქიტება, დანიქიტებული" არც ერთ ლექსიკონში არ შეგხვედრია. ეს ერთეული ჩვენს რეგიონში ჩანს ამ ფორმით და იმავე მნიშვნელობისაა, რაც „დაქიმითება, დაქიმითებული", რომელიც „დამშეულის" სინონიმად რიგი მკვლევარების მიერაა დაფიქსირებული საქართველოს სხვადასხვა რაიონში.[20]

ქიმითი || ქიმიტის დაკავშირება ნიქიტთან დიდ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს. დადასტურებულ ფორმათაგან უმრავლესი „ქიმით" ძირიანია. ამდენად, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ პირველადია სწორედ ქიმით-ი || ქიმიტ-ი. ქვემოიმერულის „ნიქიტ" კი აღნიშნულ ფუძეში განვითარებული ფონეტიკური ცვლილებების შედეგად უნდა იყოს მიღებული: ქიმითი → ქიმიტი → მიქიტი → ნიქიტი (მეტათეზისი და მ/ნ სუბსტიტუცია).

---

[19] ფრაზა „მეამინე ანგელოზი" ჯერჯერობით დასტურდება მხოლოდ ჩვენს რეგიონში. სხვაგან გვხვდება ფორმა „მეამინე" (იხ. პ. გაჩეჩილაძე, დასახ. ნაშრ.; ს. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი).

[20] ს. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი; ი. ჯყონია, სიტყვის კონა; ვ. სომხიშვილი, ჭსნის ხეობის ქართლური, ცხინვალი, 1981; ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985; ს. მენთეშაშვილი, ქართლურის სალექსიკონო მასალა. იკე, XVII, 1970, გვ. 251-282; მ. მესხიშვილი, მასალები ქართლური დიალექტის ლექსიკონისათვის, იკე, XVII, 1970, გვ. 283-199; ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა.

ქიმითი || ნიქიტი, ჩვენი აზრით, ხანგრძლივი შიმშილობის შედეგად განვითარებული ატროფიის რომელიღაც ეტაპის აღმნიშვნელი ტერმინი უნდა ყოფილიყო. დიალექტებში დამოწმებულ ფორმათა უმრავლესობა ზმნა ან მიმღეობაა. როგორც ზემოთ მივუთითებდით, ამგვარ ფორმებში ის თავდაპირველი და კონკრეტული მნიშვნელობა, რაც ძირეულ სიტყვას ჰქონდა, ამჟამად დაკარგულია და ზმნად ან მიმღეობად ქცეული საუბარში უკვე ზოგადი შინაარსით გამოიყენება. ძირითადად ასეა ამ შემთხვევაშიც: დაქიმითებული || დანიქიტებული ნიშნავს „დამშეულს“, უმთავრესად ასე იხმარება იგი საუბარში, მაგრამ ცალკე აღებული „ქიმითიც“ დასტურდება ორიოდე შემთხვევაში — მოხეურში და ქართლურში („რა ქიმიტი შეეყარა ბალღსა, რო ვერ ძღება სოვივითა“; „რა ქიმიტი დაგეცა, რამ დაგამშია“).[21] ეს ორი ნიმუში და ქვემოიმერულის ვანურ თქმაში დადასტურებული ფორმაც „ნიქიტი“ აშკარად მიუთითებს თავის დროზე ცალკე ერთეულად ქიმითი || ნიქიტის არსებობაზე.

სნაკვი — მთქმელმა განმარტება ვერ მოგვაწოდა. დამოწმებული გვაქვს კონტექსტში: „რა უბედური ხმაი აქ ამ დასწყეველილს, სნაკვივით მოგხვთება ყურში“.

ამ სიტყვის კონკრეტული მნიშვნელობის დადგენასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება ორმა სიტყვამ მიიქცია. შინაარსობრივად ორივეს გამოყენებაა შესაძლებელი შედარების კონტექსტით ნავარაუდევი აზრის გადმოსაცემად. ერთია ლეჩხუმურში დადასტურებული შანკვი || შნაკვი,[22] რომელიც პურეულის განსაკუთრებული ჯიშების მახასა და ზანდურის საკრეფი იარაღია. ფონეტიკურად სრულიად შესაძლებელია ამ ფორმიდან („შნაკვი“) „სნაკვის“ მიღება.[23] შინაარ-

---

[21] ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი; მ. მესხიშვილი, მასალები ქართული დიალექტის ლექსიკონისათვის.

[22] მ. ალავიძე, მასალები ლეჩხუმური ლექსიკონისათვის, ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, 1955, გვ. 139-164; მისივე. მასალები ლეჩხუმის ეთნოგრაფიისათვის, ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IX, 1949, გვ. 129-165.

[23] პურეულის აღნიშნული კულტურების გავრცელების არეალში, როგორც ჩანს, იმერეთიც შედიოდა (შდრ.: ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1, თბ., 1930, გვ. 340). ამდენად, არაა გამორიცხული, რომ მათი საკრეფი იარაღიც შანკვი || შნაკვი || სნაკვი ცნობილი ყოფილიყო ამ მხარეში საერთოდ და ჩვენთვის ამჟამად საინტერესო რეგიონში, კერძოდ.

სობრივად კი შეიძლება იგულისხმებოდეს შემდეგი: ხმა ისე მოწყვეტით და უსიამოვნოდ, დარტყმასავი ხვდება ყურს, როგორც შნაკვი || სნაკვი თავთავის ღეროს.

მეორე ერთეული, რომელიც შეიძლება „სნაკვს" დავუკავშიროთ, არის „სნეკვა, სნაკება". იგი დიალექტებში გვხვდება „კვნესის" მნიშვნელობით.[24] თუ „სნაკვი" ამ ერთეულს დაუკავშირდება. შედარების აზრი ამგვარად იქნება გაგებული: ხმა კვნესასავით ცუდად, უსიამოვნოდ ხვდება ყურს.

ამ ორი სიტყვიდან „სნაკვ"-თან დასაკავშირებლად თუ რომელს მიენიშება უპირატესობა, ამას, ალბათ, ახალი მასალების მოხმობა და საკითხის უფრო ჩაღრმავებული ძიება გაარკვევს.

ტატლიბი — მთქმელის მიერ სიტყვა განუმარტებელია. იგი დამოწმებული გვაქვს ამგვარი კონტექსტით: „კაბისტონი ქვონდა მირგული კოპიტებზე, თეთრი, წვრილი კუმპლები ქონდა, იმისთანა ტკპილი იყო, ტატლიბივით". უეჭველია, რომ სიტყვა უკავშირდება თურქულ tatli-ს, რომელიც „ტკბილს, გემრიელს" აღნიშნავს. ეს სიტყვა პირდაპირი მნიშვნელობით დიალექტებში არ დასტურდება, მაგრამ მისი ხმარება გადატანითი მნიშვნელობით არც ისე იშვიათია. მაგალითად, იმერულში — თათლიბაზი „პირმოთნე"[25] და თათლიში „პირფერობა";[26] აგრეთვე „თათლიბი" ეწოდება ძირტკბილისაგან დამზადებულ წამალსაც.[27] ჩვენს რეგიონში დამოწმებულ კონტექსტშიც „ტატლიბი" გარკვეულწილად გადატანით მნიშვნელობას ინარჩუნებს. ჩანს, ეს სიტყვა ჩვენს რეგიონში თავის დროზე ტკბილი ნივთიერების აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად დამკვიდრებულა. სწორედ ამიტომაა, რომ იგი შედარებაში გაარსებითებულადაა წარმოდგენილი (შდრ.: „თაფლივით ტკბილი", „შაქარივით ტკბილი").

ფინდურა — სიტყვის კონკრეტული მნიშვნელობა უცნობია. კონტექსტებში დასტურდება როგორც არსებითის, ასევე მიმღეობის

---

[24] დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი; ი. ჯაონია, სიტყვის კონა; ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი, კარაბადინი, თბ., 1978, გვ. 835; ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა; პ. ხუბეტია, თუშური კილო, თბ., 1969; ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი.

[25] ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა.

[26] ი. ქავთარაძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბ., 1983, გვ. 109-160.

[27] ი. ჯაონია, სიტყვის კონა.

ფორმით. ორივე შემთხვევაში მისი მნიშვნელობაა „გამხმარი, ძალზე გამომშრალი“: 1) „ფინდურასავეთ იქნება ი ხეები ახლა, რაი უნდა იმის ამოტანას“; 2) „ტყეში რო ხეები დატოვეთ მოჭრილი, ახლა იგეი გაფინდურებული იქნება“.

ფიჩინა — ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობა უცნობია მთქმელისთვის. ზმნური ფორმა „გაფიჩინდა“ ნიშნავს „ძალიან გახმა“, მიმღეობა „გაფიჩინებული“ კი „გამხმარს“ აღნიშნავს. კონტექსტი: „კაი ბზეი რო იქნება შემოდგომაზე, ჩილას გოუყრი ჟეშტზე და სამ დღეში ფიჩინასავეთ გარეიქცევა“; დასტურდება იდიომატური გამოთქმაც: „გააფიჩინა ფეხები“, ე. ი. მოკვდა.

„ფიჩინა“ შეიძლება უკავშირდებოდეს „ფიჩხს“, მით უფრო, რომ მისი მიმღეობითი ფორმა „გაფიჩინებული“ გვხვდება ამგვარი ფონეტიკური სახესხვაობითაც: „გაფიჩხინებული“, მაგალითად: „გაფიჩხინებული ლობიო(ს პარკი)“.

ფიჩორა — სიტყვა განუმარტებელია. ძირითადად დასტურდება მიმღეობის ფორმით: „გაფიჩორებული“; ითქმის განზე გაწეულ ყურებზე: „რაფერ გაფიჩორებული აქ ამ ბაღანას ყურები“. „ფიჩორასავეთ აქ ყურები“ იხმარება მახასიათებლადაც კომპოზიტში: „ყურფიჩორე“.

ქანქალო — სიტყვის კონკრეტული მნიშვნელობა ვერ განიმარტა მთქმელის მიერ. სასაუბრო მეტყველებაში იხმარება მიმღეობის ფორმითაც: „გაქანქალებული“, რაც „ძალიან თეთრის, გაქათქათებულის“ აღმნიშვნელია. დამოწმებული გვაქვს შედარებაში: „რა კაი სარეცხი გამევიდა დღეს, თეთრია ქანქალოსავეთ“.

ქონქი — მნიშვნელობა უცნობია. შედარების კონტექსტის მიხედვით იგულისხმება დალპობა, დაშლა (ხილისა სიდამპლისაგან): „ერთმა კახელმა კაცმა მითხრა, ჩვენ ვაშს ორმოში ვინახავთო. მეც შევინახე ორმოში, მარა ორ თვეში ქონქივით გახთა“. ამავე ძირისაგანაა ნაწარმოები მიმღეობა „დაქონქილი (დაკონკილი)“, რაც სიძველისაგან დამდნარ და დაგლეჯილ ტანისამოსს ეწოდება.[28]

ქოფარი — შედარებაში გამოიყენება ნაწილებად რაიმეს დაშლის, დამსხვრევის, დაქუცმაცების მნიშვნელობით: „კვახი რო მოვწიკვე ადრე, დალპა, ქოფარივით შეიქნა“. დამოწმებული გვაქვს ზმნური

---

[28] ი. ჭყონია, სიტყვის კონა; ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა.

ფორმითაც „დაქოფარდა“ ამგვარ კონტექსტში: „გამივარდა ხელში და დაქოფარდა კოკა“.

„ქოფარი“ სიტყვის კონკრეტული მნიშვნელობა უცნობია მთქმელისათვის; ჯერჯერობით ვერც ჩვენ შევძელით მისი ეტიმოლოგიის დადგენა.

ღანიობელა — სიტყვა განუმარტებელია მთქმელის მიერ. გამოხატავს აზრს: „სუსტი“, „გამხდარი“. „გაყვითლებული“. გვხვდება შედარებაშიც და მსგავსების გამომხატველ სიტყვასთანაც: „ღანიობელასავეთ გარაქცეულა“; „ღანიობელას დამგვანებია“. სიტყვა გვხვდება მახასიათებლადაც: „შეხედე, რა უთხრა ამ ღანიობელამ, ამან!“

ყინტორა — სიტყვა მთქმელმა ვერ განმარტა. საბას განმარტებული აქვს, როგორც „წყაროს ყინული“.[29] დამოწმებული გვაქვს შედარებაში ამგვარი კონტექსტით: „ეგერ დოქში აქ წყალი, ცივია ყინტორასავეთ, შეი და გამეიტანე“. სიტყვის პირველი ნაწილია „ყინ“-ძირი, რომელიც ჩანს ქართულ ყინ-ულ-სა და მეგრ. ყინ-ში. ნიშნავს გაყინვას, საერთოდ „ცივს“,[30] ხოლო მეორე ნაწილი -ტ-ორ კი მაწარმოებელ ელემენტად შეიძლება ჩაითვალოს.[31]

ყიფსინა — მნიშვნელობა უცნობია. შედარებაში მიუთითებს სიცივე'ზე. მისგან იწარმოება მიმღეობა „გაყიფსინებული“ გაცივებული. „გაყიფსული“ ფორმა გაცივებული და გამაგრებული მჭადის აღსანიშნავად დადასტურებული აქვს ს. ჟღენტს გურულში.[32]

ამავე მნიშვნელობით ფორმა „გაყიფსინებული“ გვხვდება ჩვენს საკვლევ რეგიონშიც. დამოუკიდებელ ერთეულად სიტყვა „ყიფსინა“ გამოიყენება შედარების ამგვარი კონტექსტში ასაგებად: „ყიფსინასავეთ მაქ გარაქცეული ფეხები, ამელამ თუ გავაწიე, დიდი უნდა“ (შდრ.: „გაყიფსინებული მაქ ფეხები“).

შაკი — დამოწმებული გვაქვს ამგვარ შედარებაში: „შაკივით ყვირის“, რომელიც გულისხმობს მაღალი და გამყინავი ხმით ყვირილს.

---

[29] ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა; აგრეთვე: გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბ., 1938, გვ. 1-96.

[30] ა. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბ., 1938, გვ. 355.

[31] შდრ.: სხვადასხვა დიალექტში დადასტურებული ფორმები: ხოტორა, კოტორა, ტონტორა, ჩხინტორა.

[32] ს. ჟღენტი, გურული კილო; ა. ღლონტი, დასახ. ნაშრ.

„შაკის" მნიშვნელობა ვერ დავადგინეთ. მთქმელი მიუთითებს, რომ იგი შეიძლება, რაღაც ფრინველი იყოს.

წებეთია — „წებეთიასავეთ დადის", ე. ი. ზოზინით, რწევით, უშნოდ დადის. მთქმელის განმარტებით „წებეთია" მახასიათებლადაც იხმარება: „წებეთიას უფხო ადამიანს უძახით, მაღალი ქეა, მარა უფხოა, მოშტერო".

ჰიჰმაყარე — ჩვენს საკვლევ რეგიონში ეს სიტყვა, როგორც ჩანს, გადატანითი მნიშვნელობით იხმარება ხილის წვრილ-წვრილი და უვარგისი ნაყოფის აღსანიშნავად: „კაი-კაი ვაშლები ქე ავარჩიეთ და ე ჰიჰმაყარეები ქე გადავყაროთ". შედარებაში არ შეგვხვედრია. იგი რომ სხვა, აქ განხილული სიტყვების დარად ცალკე ლექსიკური ერთეულია, ამას პ. ჯაჯანიძის მიერ ფიქსირებული შედარებაც ამტკიცებს: „ჰიჰმაყარესავეთ ასხია ხეს". თავად სიტყვას მკვლევარი არ განმარტავს.[33]

ამ სიტყვის პირველი ნაწილი მეგრულ ჰიჰე-ს უკავშირდება, რაც „პატარას", „მცირეს" ნიშნავს. თუ რას უნდა აღნიშნავდეს მეორე ნაწილი „მაყარ", მთლად ნათელი არაა.[34]

ჰონტოლი — სიტყვა ბავშვების სიმრავლეს უნდა აღნიშნავდეს. მას რამდენადმე ირონიული ელფერიც დაჰკრავს: „ურიეს ჰონტოლასავეთ ყოჰპანობენ სულ", ე. ი. ყვირიან, ხმაურობენ, აურზაური აქვთ. საიდან უნდა მომდინარეობდეს ან რატომ იხმარება იგი ჩვენს რეგიონში მხოლოდ ებრაელთა ბავშვების აღსანიშნავად, ძნელი სათქმელია.[35]

განხილულ სიტყვათა რიგს შეიძლება მივუმატოთ კიდევ ორი ერთეული — **„ანაბრე"** და **„პალამი"**. ისინი შედარებებში არ გვხვდება, მაგრამ ანალოგიურნი არიან ზემოდასახელებული სიტყვებისა: მათი კონკრეტული მნიშვნელობა გაცნობიერებული არაა, საუბრისას მთლიანად ფრაზის შინაარსი იგულისხმება:

---

[33] პ. ჯაჯანიძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის, ალ წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1959-1951, გვ. 59-74.

[34] И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПБ., 1914, გვ. 390.

[35] ეს სიტყვა დასტურდება სხვა დიალექტებშიც სულ სხვადასხვა მნიშვნელობით: ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. იმერეთში „ჰონტოლი" იმავე მნიშვნელობით აქვს დადასტურებული მკვლევარებს, როგორც ჩვენს შემთხვევაშია (იხ. პ. გაჩეჩილაძე, დასახ. ნაშრ.; ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრ.).

ანაბრე — ანაბრე (|| ანაბირე) მის საქმეს — „ჯანდაბას, არ დავეძებ“. კონტექსტი: „ერთ ფუთ სიმიდას ხო მიყიდის, ანაბრე მის საქმეს, ქე გევიტან მაინც თავს“. ცალკე არსებული სიტყვა „ანაბრე“ განუმარტებელია. ლექსიკონებში, სადაც კი გვხვდება ეს ფრაზეოლოგიური გამოთქმა, ახსნილია ფრაზის შინაარსი ზოგადად.[36]

პალამი — „პალამი თოული“ ნიშნავს „დიდ თოვლს“. საბას ლექსიკონში პალამი „მძლავრი და დიდი ასპიტია“.[37] ჩვენს კონტექსტში ამ სიტყვის მსაზღვრელად ხმარება თითქოს მიუთითებს, რომ იგი ზოგადად „დიდს“ ნიშნავს.

სიტყვის შინაარსის ამგვარი გააზრება საბასეულ განმარტებაშიც იგულისხმება: ლექსიკოგრაფი ხაზგასმით აღნიშნავს (ასპიტის) სიდიდესა და სიძლიერეს.

წინამდებარე ნაშრომში გაერთიანებული და წარმოდგენილია ის ლექსიკური ერთეულები, რომელთა განმარტება უცნობია მთქმელისათვის, მისი მომხმარებლისათვის. ამ ერთეულთაგან ზოგის კონკრეტული მნიშვნელობის დადგენა სათანადო ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა, ზოგსაც კი, ალბათ, მომავალში წარმოებული კვლევა-ძიება წარმოაჩენს.

---

[36] პ. გაჩეჩილაძე, დასახ. ნაშრ.; ა. ღლონტი, დასახ. ნაშრ.; ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრ.

[37] ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა.

რელიგიურ ცნებათა შემცველი შედარებები და ფრაზეოლოგიზმები ხალხურ მეტყველებაში

ენის ბუნება გარკვეულწილად განისაზღვრება ერის აზროვნებითა და მსოფლაღქმით. ენა ყველაზე უფრო სრულყოფილად აღწერს ადამიანისა და კოლექტივის მიერ აღქმულ სამყაროს. ასახავს ყოველივე იმას, რაც ამ კოლექტივის აზროვნების მეშვეობით წარმოჩნდება. მაგრამ ამავე დროს კოლექტივის მსოფლმხედველობაზე გარკვეულ გავლენას ახდენს რელიგიური ცნობიერებაც. სამყაროს აღქმა, ადამიანისა და გარესამყაროს ურთიერთობა, საზოგადოების ქცევის ნორმები მეტ-ნაკლებად სწორედ რელიგიური ცნობიერებითაა განპირობებული. რელიგიის გავლენა იგრძნობა ადამიანური ყოფის ყველა სფეროში. დაწყებული აზროვნებიდან — დამთავრებული კულტურით. ყოველივე ეს კი სხვადასხვა სახით ვლინდება მეტყველებაში. კოლექტივის აზროვნება და ენის ბუნება ყველაზე მკვეთრად ფრაზეოლოგიზმებში ჩანს, რადგან ფრაზეოლოგია ის სფეროა ადამიანის აზროვნებისა, რომელშიც მოვლენათა თუ ცნებათა მიმართება სხვა სიბრტყეზე განიხილება და ახალ აზრობრივ დატვირთვას იძენს. შესიტყვება იმ დროსა და სივრცეს მოიცავს, რომელსაც ადამიანის გონება სწვდება. მაგრამ შესიტყვება მყარ, უცვლელ, ამავე დროს ახალი აზრის დამტევ ფრაზეოლოგიურ გამოთქმად იქცევა მას შემდეგ, რაც იგი მოწყდება პირვანდელ სემანტიკას და სრულიად ახალი აზრობრივი მნიშვნელობით მას ხელახლა მიიღებს და გაითავისებს კოლექტივი. მოვლენათა და საგანთა აღქმის თავისებურ ფორმად უნდა განვიხილოთ მსგავსებითი შედარება, რომელიც საგანთა განსაზღვრულ მიმართებას ავლენს. თუ ფრაზეოლოგიაში შემადგენელ კომპონენტთა შეერთებით სრულიად განსხვავებული და ახალი მნიშვნელობა იკვეთება, მსგავსებით შედარებაში ორი საგნის ან მოვლენის შეფარდებით ერთის თვისებათა გამკვეთრებული აღქმა ჩანს. სწორედ ეს ენობრივი ფორმები — ფრაზეოლოგია და მსგავსებითი შედარება — ასახავს კოლექტივის აზროვნებას, გამოხატავს ენის ბუნებას და ადამიანის მიმართებას გარესამყაროსთან. მათში თავისებურად ვლინდება ერის ფსიქიკა, მის მიერ აქცენტირებული და გამოკვეთილი თვისებები გარემომცველი სამყაროსი.

როგორც აღვნიშნეთ, რელიგიური ცნობიერება ენობრივ აზროვნებაში აირეკლება. და ეს ასახვა იმდენად მყარია, რომ გარკვეული

შრეების გამოკვეთაც კი ხერხდება. ქრისტიანული მსოფლხედვა განმსაზღვრელი გახდა ქართული აზროვნებისა მას შემდეგ, რაც იგი სახელმწიფო რელიგიად იქნა მიღებული. საზოგადოებრივ ყოფასა თუ ყოველდღიურ საქმიანობაში, ერის ფსიქიკასა და აზროვნებაში, ცნობიერებაში ნელ-ნელა შემოდიოდა და მკვიდრდებოდა იგი დოგმებისა თუ ჩვეულებების სახით, საბოლოოდ იმდენად შეესისხლხორცა ეროვნულ ცნობიერებას, რომ ერის ფსიქიკის განუყოფელ ოდენობად იქცა.

ბიბლიური თუ სახარებისეული ცნებები, ამ წიგნთა სახისმეტყველება საუკუნეების მანძილზე თითქმის უცვლელად გადმოდიოდა ნათარგმნ და ორიგინალურ სასულიერო ლიტერატურაში. ეს იყო ქრისტიანული აზროვნების დამკვიდრების წიგნიერი გზა. მეორე მხრივ, ქრისტიანული მსოფლხედვა თავისებურად აისახებოდა ხალხის ცნობიერებაში და ახალ ენობრივ ფორმას იძენდა. ცალკეული რელიგიური ცნება არა თუ პირდაპირ, იდენტურად გადადიოდა სასაუბრო მეტყველებაში, არამედ გარკვეულ მოდიფიკაციას განიცდიდა და ადაპტირებული შეერწყმოდა ხალხის აზროვნებას. ამგვარად უნდა შექმნილიყო რელიგიურ ცნებათა შემცველი შედარებები და ფრაზეოლოგიური გამოთქმები, რომლებმაც ძველი მნიშვნელობიდან ახალი სემანტიკა განავითარეს და ასე დამკვიდრდნენ ხალხის მეტყველებაში.

ქართული ენა მდიდარია ფრაზეოლოგიზმებით. თ. სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი" და ალ. ონიანის „ქართული იდიომები" საკმაო რაოდენობით შეიცავს ამგვარ ერთეულებს. აქ შესულია როგორც იდიომები, ისე შედარებები. მათი განხილვა ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს შემთხვევაში ლექსიკონის შემდგენლებს საილუსტრაციოდ ლიტერატურული, კრიტიკული ან ნათარგმნი ნაწარმოებების კონტექსტები აქვთ მოხმობილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს ფრაზეოლოგიზმები ძირითადად წიგნური აზროვნების ნიმუშია (მაგ. აბრაამის ბატკანი — უდანაშაულო, უბრალო; აბრამის ტაბლა — უხვი, სანოვაგით სავსე სუფრა; ბეთლემის ვარსკვლავი — ლამაზი, იმედის ჩამსახველი, ნატვრის საგანი; მეორედ მოსვლა — საშინელი ამბავი, არეულობა; ბაბილონის გოდოლი — ღრიანცელი, უაზრო ხმაური; განკითხვის დღის დადგომა — შავი დღის, დანაშაულზე პასუხისმგებლობის დროის დადგომა).

ჩვენს ნაშრომში კი წარმოდგენილია ფრაზეოლოგიური გამოთქმები და შედარებები ხალხის სასაუბრო მეტყველებიდან. მასალა შეკრებილია ქვემოიმერეთსა და ლეჩხუმში. შეძლებისდაგვარად დაძებნილია მათი შესატყვისები მეგრულსა და სვანურში...

ანგელოზი. ანგელოზი ბერძნულიდან მომდინარე სახელია, რაც მაცნეს, შიკრიკს აღნიშნავს. ქრისტიანულ მსოფლხედვაში იგი შუამავალია ღმერთსა და ადამიანებს შორის. ისინი უხილავი, უხორცო, ფრთოსანი არსებანი არიან. ასევე აქვს განმარტებული იგი სულხან-საბა ორბელიანს: „მომთხრობელი, გინა ქადაგი. ესე არს არსება გონიერი, უნივთო, დასაბამიერი და დაუსრულებადი. სული ნათელი და მსწრაფლ მიმდრეკი, წინაშე ღვთისა მდგომელი". ქართულში ანგელოზი გადატანითი მნიშვნელობითაც გამოიყენება და უმანკოს, სათნოს, წუნარს, ნაზსა და ლამაზს აღნიშნავს (ქეგლ — ანგელოზებრივი). თუმცა მის გარეგნულ მხარეზე საღვთისმეტყველო ლიტერატურაში მინიშნებულიც კი არაა, მაგრამ ხალხის ცნობიერებაში ანგელოზი საუკეთესო გარეგნობის, განსაკუთრებულად ლამაზს, ნაზს, მომხიბვლელს უკავშირდება: „იმისთანა გოგოა, იმისთანა, ანგელოზივითაა"; „რამ დაარჩინა გოუთხოვარი, ანგელოზივით ქალია"; „ავტობუსში ამოდიან, შეხედავ და ანგელოზებივით არიან და ჯიბეში კი უყოფენ ხალხს ხელებს".

განსაკუთრებით საინტერესოა ცნება „მეამინე ანგელოზი", რაც შედარებაში გამოყენებული და დამოწმებულია ორი მნიშვნელობით: 1. „მეამინე ანგელოზივით ემოწმება ყორფელზე". მთქმელი ასე განმარტავს ფრაზის შინაარსს: „მეამინე ანგელოზი ყველა ადამიანს დაყობა და იგი დღეში სამჯერ იტყვის „ამინო". თუ მოხვთა დაწყევლა იმას, ახთება იგი, ამიტო არ უნდა დეიწყევლო ხშირათ, თვარა თუ მეამინემ დაგეამინა, მორჩა მერე". 2. „მეამინე ანგელოზივით ჩამომიჯდება". — „დამჯდარხარ მეამინე ანგელოზივით, მიყურეფ და არ აკეთეფ არაფელს". მთქმელი განმარტავს: „სახში თუ ხარ, სახლის კარაპინაზე ჩამოჯდება მეამინე ანგელოზი, მარა შენ კი ვერ უყურეფ. იი კარ ქცილდება, დაგყობა ყოლდგან".

ფრაზა „მეამინე ანგელოზი“ ქვემოიმერულში დასტურდება, სხვაგან კი გვხვდება „მეამინე“[2].

თითქმის იმავე მნიშვნელობით, რაც ქართულშია, ცნება „ანგელოზი“ შედარებაში დასტურდება მეგრულშიც და სვანურშიც. იგი გამოყენებულია დასახასიათებელი ობიექტის სილამაზის, მშვენიერების გამოსაკვეთად:

მეგრ.: „ანგელოზიჯგუა ბაღანა რე“ (ანგელოზივით ბავშვია).

სვან.: „ანგულეზ შალ დინალი“ (ანგელოზივით გოგოა).

მეგრულში იგი ამგვარ კონტექსტშიც ჩანს: „ანგელოზიშოსო ინვისვინას“ (ანგელოზივით გასუსულია, გატრუნულია), რაც ობიექტის საეჭვოდ გაჩუმებას გამოხატავს. ეს უკანასკნელი, ვფიქრობთ, ახლოს დგას იმ გაგებასთან, რაც ქვემოიმერულში „მეამინე ანგელოზთან“ ვლინდება.

აღდგომა უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია, რაც საყოველთაო რელიგიური ზეიმით აღინიშნება, ამიტომაც უკავშირდება იგი ხალხის ცნობიერებაში დიდ სიხარულს (ქეგლ), ზეიმს, დღესასწაულს. შედარებაშიც სწორედ ამ მნიშვნელობით გვხვდება: 1. „აღდგომასავით უხარია“ — „შენი დანახვა აღდგომასავით მიხარია“. 2. „აღდგომის კვერცხივით უხარია“. აღდგომისათვის შეღებილი წითელი კვერცხი ამ დიდი დღესასწაულის სიმბოლოდ აღიქმება. ამიტომ სიხარულის განცდა სწორედ მას უკავშირდება. „ამხელა კაცი ვარ და ახალი რამე მეც აღდგომის კვერცხივით მიხარია“. „ბაღანე ასეა, ახალი კაბა აღდგომის კვერცხივით უხარია“.

აღდგომის დღესასწაულს ყოველი მორწმუნე დიდი განცდითა და სიხარულით ელის, მით უფრო იმიტომ, რომ აღდგომის დღესასწაულს წინ უძღვის ყველაზე გრძელი და მძიმე მარხვა, ამიტომ ამ ძნელ პირობებში აღდგომის მოლოდინი იმედია მორწმუნესთვის, ამასთანავე სასიხარულო. სწორედ ეს უდევს საფუძვლად ხალხში შექმნილ შედარებას — „აღდგომასავით ველი“, ე. ი. დიდი მოლოდინით, განცდით, მოთმინებით ველი იმ დიდი სიხარულს, რაც მომელის, რაც იქნება: „რას ამბობ, ამ ამბავს აღდგომასავით ველი“, „ღმერთმა კაი ქნას, მაგ დღეს აღდგომასავით ველი“.

---

[2] სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი.

აღდგომის წითელი კვერცხი ზოგადად წითელი ფერის გამოსახატავად შეიძლება იყოს გამოყენებული შედარებაში. ოღონდ ამ შემთხვევაში ფრაზას ერთგვარი ირონიული ელფერი ადევს — ითქმება ემოციისაგან, აღელვებისაგან გაწითლებულ ადამიანზე: „აღდგომის კვერცხივით გაწითლებულა“, „ტყუილი იყო აპა რა, რო შევხედე, აღდგომის კვერცხივით იყო გაწითლებული“.

ბზობა. ეს ცნება ერთ შედარებაში გვხვდება: „ბზობა(გზობა) სახარებასავით დადის“, რაც იმას ნიშნავს, რომ ობიექტი წინასწარ გაუაზრებლად, უგზო-უკვლოდ, უანგარიშოდ დადის; ახლა თუ აქაა, ხვალ შეიძლება შორს იყოს, იმის განსაზღვრა ძნელია, თუ სად იქნება ხვალ. ამ შედარებას საფუძვლად შემდეგი გარემოება უდევს: როგორც ცნობილია, აღდგომა მოძრავი დღესასწაულია. იგი აღინიშნება გაზაფხულის ბუნიობიდან (დღისა და ღამის თანასწორობა), სავსე მთვარის მომდევნო კვირას. ეს ხდება ძვ. სტილით 22 მარტიდან 25 აპრილამდე (ახ. სტ. 4 აპრილიდან 8 მაისამდე), ე. ი. მერყეობს მთელი თვის განმავლობაში, ამიტომ აღდგომა მოძრავ დღესასწაულთა რიცხვს განეკუთვნება. რაც შეეხება ბზობას, იგი აღინიშნება უკანასკნელ კვირას აღდგომის წინ. ბზობის წინასწარ განსაზღვრა სრულიად შეუძლებელია, იგი აღდგომის დღესასწაულს მიემართება: როცა დადგინდება აღდგომის აღნიშვნის დღე, მხოლოდ მაშინ განისაზღვრება ბზობის აღნიშვნის თარიღიც. აი, სწორედ ეს განუსაზღვრელობა უნდა იყოს ამ შედარების საფუძველი.

საინტერესოა კომპოზიტის მეორე შემადგენელი ნაწილი, ესაა „სახარება“, რაც კონტექსტში აღდგომის დღესასწაულს აღნიშნავს. აქ, ვფიქრობთ, იმ მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე, რაც ლიტერატურის თეორიაში სინეკდოქეს სახელითაა ცნობილი. კერძოდ, ერთი ცნების შეცვლა მეორეთი, ანუ ზოგადი ცნებების ხმარება კონკრეტულის ნაცვლად. სახარება ქრისტიანული მოძღვრების საყრდენი წიგნია, სწორედ იგი შეიცავს ცნობებს ქრისტეს აღდგომის შესახებ. ამ შემთხვევაში სწორედ ქრისტიანული რელიგიის ზოგადი ცნება — სახარება — გამოყენებულია კონკრეტული ცნების — აღდგომის — ნაცვლად. ეს შედარება შემდეგ კონტექსტებში გვაქვს დამოწმებული: „მაგისას რას გეიგეფ რამეს, გზობა-სახარებასავით დადის“, „ქე დამპირდა მოვალო, მარა გადოუხვია გზაზე. რას გეიგეფ, გზობა-სახარებასავით დადის“.

ეშმაკი. ქრისტანული მსოფლხედვით, ავი არსება, ბოროტი საწყისი, ღმერთის მთავარი მოჭიშპე, ყველა ცოდვისა და უბედურების მიზეზი. ხალხის ცნობიერებაში ეშმაკი ყოველგვარ ცუდს, მაცთუნებელს, ბოროტს აღნიშნავს. ეს მითიური არსება უარყოფითი აზრით მრავალ ფრაზეოლოგიურ გამოთქმაში გვხვდება[3]. მათი გამეორებისაგან თავს შევიკავებთ და წარმოვადგენთ რამდენიმე შედარებას, რომელიც მაცდურებასა და უკეთურებას გამოკვეთს:

1. „ეშმაკივით წინ დახვედრა" — „ე ქალი ეშმაკივით დამხვდა წინ". ამ შედარებაში ჩანს უსურველობა, რაც გამოწვეულია ობიექტის ცუდი თვისებით. მაგ., მისი ცუდი ფეხით, დანავსის უნარით და ა. შ.

2. „ეშმაკივით ადევნება" — „ეშმაკივით დასდევს უკან სულ", „დაღუპავს მა ბიჭი მაგას, ეშმაკივით სულ უკან დასდევს". შედარება ეფუძნება იმ აზრს, რომ ეშმაკი მუდამ, მოუშორებლად თან დასდევს ადამიანს და ათასგვარ საფრთხეს, ცდუნებას, ფათერაკს უმზადებს.

3. ეშმაკივით თვალები — „ეშმაკივით აქვს თვალები, ყორფელს ხედავს, მაგას გამოაპარეფ რამეს?" ხალხის ცნობიერებაში ეშმაკი მეტისმეტად ცუდი გარეგნობითაა წარმოდგენილი (თხის რქებიანი და ჯორის ფლოქვებიანი), ამას ემატება წვრილი, მოძრავი და ყოვლისმხილველი თვალები, რათა მის უკეთურ არსებას არაფერი გაუპაროს.

ზიარება. ზიარება ერთ-ერთი საიდუმლოთაგანია. მისით ხდება ცოდვების გამოსყიდვა, მიღებული პური და ღვინო ქრისტეს ხორცად და სისხლად იქცევა და ასე ეზიარება ადამიანი უფლის სიწმინდეს. ზიარება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მომაკვდავისათვის, რადგან იგი ღმერთთან პირისპირ შესახვედრად და სასუფეველში დასამკვიდრებლად იდის ამ ქვეყნიდან. ზიარების მიუღებლობის შემთხვევაში ადამიანი ცოდვებისაგან ვერ განიწმინდება და აქედან გამომდინარე, ელარც სასუფეველს იხილავს, ანუ მისი სული დაიღუპება ჯოჯოხეთში ჩანთქმით. ამიტომაც ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა მომაკვდავისათვის ზიარების მიღებას. ეს ქრისტიანული რიტუალი რამდენიმე გამოთქმას დასდებია საფუძვლად:

[3] თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979; ალ. ონიანი, ქართული იდიომები, თბ., 1966.

1. ზიარებასავით სულზე მისწრება — გადარჩენა, ხსნა. „ამ ფულმა ახლა ზიარებასავით მომისწრო სულზე“.

2. მღვდელი ზიარებას ვერ მოგასწრებს — მუქარაა: ისე უცებ მოგკლავ, რომ მღვდელიც კი ვერ მოასწრებს შენს ზიარებას. „გადი იქით თვარა, თუ დაგარტყი, ღვდელი ზიარებას ვერ მოგასწრებს!“

ეს ფრაზა მეგრულშიაც ამავე სახითაა გავრცელებული: „ზიარებას ვამოიჯიშუა“ (ზიარებას ვერ მოესწრები, ისე სწრაფად მოგკლავ); „პაპაშ ზიარებას ვამოიჯიშუანქ“ (მღვდლის ზიარებას ვერ მოესწრები).

„მამაო ჩვენო.“ ქრისტიანთა უმთავრესი ლოცვა, რომელიც მორწმუნემ დღეში რამდენჯერმე უნდა წარმოთქვას. ეს ლოცვა ყოველმა ქრისტიანმა ზეპირად იცის. „მამაო ჩვენოსავით აქვს გაზეპირებული“ ან „მამაო ჩვენოსავით იცის“ — ნიშნავს, რომ ზეპირად, კარგად, სხაპასხუპით იცის. გამოთქმა დასტურდება მეგრულშიც: „მამაო ჩვენოც ოკითხირი“ — მამაო ჩვენოსავით კითხვა — გაუაზრებლად, გაზეპირებულივით და ჩქარ-ჩქარა წაკითხვა რაიმესი[4].

მეალილოე. ალილო — ჯგუფური საშობაო მიმოსვლა სოფლად (ალილოზე სიარული) ქრისტეს სადიდებლად. ადამიანების (ან ბავშვების) ჯგუფი კარდაკარ დადიოდა, ყველას უღოცავდა შობის დღესასწაულს, უსურვებდა სიკეთეს, სიუხვეს. მეალილოე ამ რიტუალის შემსრულებელია. ისინი დაუპატიჟებლად, უცერემონიოდ შემოდიოდნენ სახლში და ოჯახს ულოცავდნენ. მეალილოე ყოველ სახლს ჩამოუვლიდა, იგი ამისთვის გარკვეულ გასამრჯელოს (ძირითადად საჭმლის სახით) იღებდა, ამიტომაც ალილოზე გამოუკლებლად ყველა სახლში შედიოდნენ. ეს რიტუალი უდევს საფუძვლად შემდეგ შედარებებს:

1. მეალილოებივით შემოსვლა — ერთად, გუნდად, დაუპატიჟებლად, უცერემონიოდ შემოსვლა სახლში ადამიანებისა. „მეალილობივით რო შემევიდნენ ე მეზობლები სახლში, თელი ამბავი იყო...“

2. მეალილოსავით ჩამოვლა — გამოუკლებლად ყველგან შესვლა. „წავალ ახლა და მეალილოსავით ჩამოვუვლი მაღაზიებს, იქნება ვიშოვო რამე იაფად“.

---

[4] ა. ჩიქვანაია, მეგრული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1998.

შედარება გავრცელებულია მეგრულშიც:

„მეილილოეცაყო გიუყა“ მეალილოესავით სიარული, კარდაკარ სიარული, გვიან ღამე სიარული.

მკვდრის სული. სული — ესაა ცოცხალი ადამიანის აქტიური მამოძრავებელი ძალა. ქრისტიანულ რელიგიაში სიკვდილი გაიაზრება სხეულისა და სულის გაყრად. ადამიანის სიკვდილის შემდეგ სული ერთხანს მიწაზე რჩება. ისაა უსხეულო, ფარფატა, უხილავი. ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმი სულისათვის უკვე მიუღებელია, რადგან იგი სხვა სამყაროს განეკუთვნება. იგი უმატერიო ნივთიერებაა, ამდენად, ხალხის წარმოდგენით, მისი მოძრაობა ნელია, ჰაეროვანი.

მკვდრის სულივით სიარული — ნელი, ფარფატა, უენერგიო სიარული, უმიზნო სვლა. „რო დაბოდიალოფ კვტრის სულივით, ჰამე რამე, ხო ხედავ სული აღარ გიდგანა“. „ნამეტანი ავათა, კვტრის სულივით ძულათე დაბოდიალობს“. ანალოგიური შედარება დასტურდება სვანურშიც: „ლქდგარა ქვიშნბლ ხიზალელი“ — მკვდრის სულივით დადის.

რჯულის კანონი — სარწმუნოების, რჯულის, რწმენის წესების ერთობლიობა, რაც აუცილებლად და ამასთანავე კეთილსინდისიერად, კარგად უნდა შესრულდეს. აქედან გამომდინარე„რჯულის კანონზე გაკეთება“ რაიმესი ნიშნავს, სრულყოფილად, უნაკლოდ, კარგად, კეთილსინდისიერად კეთება, შესრულება საქმისა. შდრ.:

ქეგლ.: რჯულზე — რიგიანად, გემოზე, კარგად, ძალზე.

„რჯულის კანონზე დავალაგე ყველაფერი“ — ე. ი. ძალიან კარგად, თავიდან ბოლომდე, სინდისიერად შევასრულე საქმე.

საკურთხი — „ჭირისუფლის მიერ მიცვალებულის საფლავზე მიტანილი საქმელ-სასმელი, რომელსაც მღვდელი აკურთხებდა“ (ქეგლ).

მიცვალებულის საკურთხის გაკეთებისთვის სპეციალური დღეებია, გარდა ამისა, ახალგარდაცვლილისათვის საკურთხი ყოველ შაბათს უნდა გაკეთდეს. სუფრის გაწყობის შემდეგ მას კარგა ხანი ხელს არავინ ახლებს, რადგან რწმენით იგი ჯერ მიცვალებულმა უნდა მიიღოს. სუფრის კურთხევისა და ლოცვის შემდეგაა მხოლოდ შესაძლებელი მისი მირთმევა ცოცხალთაგან. საკურთხისათვის ასევე მზადდებოდა სპეციალური საკვები.

1. საკურთხის კვერივით ხელში დაჭერა — ხელში რაიმეს დაკავება ისე, რომ მეტი არაფერი გააკეთო, არც შეჭამო და არც საქმე შეასრულო. „რო დაგიკავებია საკურთხის კვერივით მა პური ხელში, თუ არაფერს არ აკეთებ, მოდი მომეხმარე“.

2. საკურთხივით უდგას საშმელი წინ ხელდაუკარებლად — არაფერს არ ჭამს. თუმცა საშმელი კი უდგას წინ. „რძეს არ სვამს და საკურთხივით უდგია წინ“. „საკურთხივით რო გიდგია საშმელი წინ, ჭამე რამე“.

სახარება. ქრისტიანისათვის სახარება წმინდა წიგნია. მისი კარგად ცოდნა აუცილებელია. შდრ.: მამაო ჩვენოსავით იცის — გაზეპირებული აქვს.

სახარებასავით იცის — კარგად, ზედმიწევნით, სრულყოფილად იცის. „დაგაჭენ ახლა და სახარებასავით დაგაზეპირებიეფ“.

სულის გადაბრძანებას ჰბავს — მეტისმეტად გამხდარია, დასუსტებულია, შეუხედავია, მკვდრის ფერზეა. ეს გამოთქმა ლეჩხუმშია ჩაწერილი. მთქმელის განმარტებით, „სუსტი როა ადამიანი, გამხდარი, ასე ვამბობთ სულის გადაბძანებას გავსო“.

სული ადამიანის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. სულგამოცლილი ადამიანი (ანუ მკვდარი, მიცვალებული) სასიცოცხლო ძალების უქონელია, ჯანსაღი ფერი და სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ აქვს. გამოთქმით ცოცხალი ადამიანი მიცვალებულს ედარება, მაგრამ ეს ტაბუირებულია, აზრი გამოხატულია ევფემიზმით — „სულის გადაბრძანება“. „ქმარი კაია და ცოლი სულის გადაბრძანებას გავს“. „კარქათ იყო, მარა ახლა სუსტათა, რო შეხედო, ა, სულის გადაბრძანებაა“.

სულის გადაბრძანება, სულის მიბრძანება სახლში (ქვინე ლისგვჯინე) მთელი რიტუალია სვანეთში: თუ მიცვალებული სხვაგან, მშობლიური ადგილიდან ან სახლიდან შორს გარდაიცვალა, მისი სულის შინ წასაბრძანებლად გარდაცვალების ადგილზე მივა ოჯახის ახლობელი და შესაბამის რიტუალს ჩაატარებს: ამ ადგილიდან მიცვალებულის სახლამდე ძაფს გაატარებენ, რომ სული იმ ძაფს გაჰყვეს და თავის ადგილას მივიდეს. რაც უნდა შორს იყოს გარდაცვალების ადგილი, ამას მაინც გააკეთებენ. ეს რიტუალი, შესაძლოა ეხმიანებო-

დეს ლეჩხუმში დადასტურებულ გამოთქმას.

ურიას რომ (ჱ)კრა, მოაქრისტიანებს — მეტისმეტად მაგარია, მისით მიყენებული დარტყმა იმდენად მტკივნეული იქნება, რომ თვით ებრაელიც კი, რომელიც თავისი სარწმუნოების მტკიცე დამცველია, მოქრისტიანდება. გამოთქმა ჩაწერილია ვანის რაიონში; ცნობილია, რომ ვანში ებრაელები განსაკუთრებულად მრავლად ცხოვრობდნენ. გამოთქმაც იქ უნდა იყოს გაჩენილი.

„ე ჩურჩხელა იმისთანა მაგარია, ურიას რო კრა, მოაქრისტიანებს. რაი შეჰამს ამას?!"

ღმერთი — „ღმერთი არს სული ნათელი დაუსაბამო და მიზეზი ყოველთა დასაბამიერთა და დამბადებელი ყოველთა" (საბა). ღმერთი სრულქმნილების, სრულყოფილების იდეალური განსახიერებაა. მასთანაა დაკავშირებული ყოველგვარი კეთილი, ამაღლებული, გონისმიერი და სულისმიერი. მასთან შედარება მხოლოდ საუკეთესოს გამოკვეთს.

1. ღმერთივით ადამიანი — სრულყოფილი, ყოველმხრივ დადებითი პიროვნება, რომელსაც საუკეთესო შინაგან თვისებებთან ერთად გამორჩეული კარგი გარეგნობაც აქვს: „კაცია, კაცი, რო შეხედავ ღმერთივით".

2. ღმერთივით მუშაობა — კარგად, აწყობილად, შედეგიანად და სწრაფად გაკეთება რაიმესი. „ყველაფერი მაქვს იმისათვის, რომ ღმერთივით ვიმუშაო".

3. ღმერთივით ყოფნა — გამორჩეული პატივსაცემი ადამიანისადმი გარშემომყოფთა მხრიდან. „ყველა პატივს ცემს, ღმერთივით აქებენ".

ამგვარივე შინაარსი ჩანს მეგრულ და სვანურ გამოთქმებში:

მეგრ.: ღორონთცალი ძღაბირე — ღმერთივით გოგოა. იგულისხმება სიწმინდე, ზნეობრიობა და გამორჩეული სილამაზე.

ღორნთიში სქუა რე — ღვთის შვილია, ე. ი. ყოველმხრივ დადებითი პიროვნებაა, სრულყოფილი, კარგი, კეთილი.

სვან.: ღერთა მარე — „ღმერთივით კაცი", კარგი პიროვნება, სრულყოფილი ადამიანი. „ღფრბეთ ლი; ეჩჟი ხოჩა მბრე. იმჟივაი ღფრბეთ" (ისეთი კარგი კაცია, როგორც ღმერთი).

შვიდეულის აღება — ეს ტერმინი საღვთისმეტყველო ლიტერატურაში მარხვის დაწყებას ნიშნავს. დიდი მარხვა მოიცავს შვიდ კვირას. მარხვისას ერთ-ერთი, რაც მორწმუნეს ეკრძალება, ესაა ნაყროვანება და ცხოველური საკვები. ქვემოიმერულში ჩაწერილ ფრაზეოლოგიურ გამოთქმაში ამ ტერმინს ერთგვარად ირონიული ელფერი ახლავს და ჰიპერბოლიზებულად შიმშილობას გამოხატავს.

შვიდეულის აღებინება — შიმშილობა, უპმელობა: „მოი ჩემთან, მოი... საჭმელი ქე არ მაქ და აგაღებიეფ შვიდოულს".

წმინდანი — წმინდანიანივით სიარული — თეთრ, გრძელ სამოსში გამოწყობილი ადამიანის სიარული: „რავა წმინდანიანივით დადის ე ბაღანე".

ხატი — ღვთაების ან წმინდანის სურათი (ქეგლ), რელიგიური სიუჟეტის გამომხატველი ფერწერული ან რელიეფური გამოსახულება, რაც ქრისტიანისათვის სალოცავი და თაყვანსაცემია. დასტურდება ამგვარ შედარებებში:

1. ხატივით თავზე დამდგარი — როცა ადამიანი თავზე ადგას მეორეს, დასცქერის ჩუმად და უმოძრაოდ. „რო დამდგომიხარ თავზე ხატივით, გადი იქით!"

სვანურში ხატთან დაკავშირებით ამგვარი ფრაზეოლოგიური გამოთქმაა: „ხატი მქსგდი დარ ესსადა" — (ხატის შემყურე არავინ დარჩა, ისე ამოწყდა ოჯახი).

2. ხატივით ლამაზი — საუკეთესო გარეგნობისა, მომხიბვლელი და კდემამოსილი. „ხატივით ლამაზია".[5]

---

[5] მადლობას მოვახსენებთ **ლ. ნიჟარაძეს, მ. ლომიას, რ. აბაშიას, დ. თვალთვაძეს** გაწეული დახმარებისათვის (მეგრული და სვანური შესატყვისების მოწოდებისათვის).

წევე კავშირიანი ერთი თავისებური სახის წინადადებისათვის ქვემოიმერულში

ქვემოიმერული კილოს მეტყველებაში არაიშვიათად გვხვდება ფრაზები, რომლებშიც გამოიყენება **წევე** ერთეული და ამით წინადადებას ერთგვარად თავისებური შინაარსი ეძლევა. ამგვარსიტყვიანი წინადადებით გამოხატული აზრი, რა თქმა უნდა, ნათელია, თუმც ის აქცენტი, რომელსაც **წევე**-ს ხმარება განაპირობებს, სპეციალური განმარტების გარეშე სრული ვერ იქნება. მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი ახსნითურთ: „ნაჯახს მომიტეხავს ტარს, წევე ქე მაქ მეტი". აზრის სინათლისათვის წინადადება ორ ნაწილად გავყოთ, პირველი ნაწილით მოქმედი ერთგვარ შიშს, შეშფოთებას გამოხატავს იმის გამო, რომ შესაძლებელია ნაჯახს ტარი მოტყდეს, წინადადების მეორე ნაწილი კი ხსნის, აზუსტებს იმას, თუ რატომაა ასე შესაშფოთებელი მისთვის ნაჯახის ტარის მოტეხვა: იმიტომ, რომ მას მეტი არა აქვს. იმ აზრს, რაც ჩვენ აღწერითად ასე ვრცლად გადმოვეცით, ქვემოიმერულის მეტყველებაში ლაკონიურად და ძალზედ გასაგებად გამოხატავს **წევე** ერთეული. ვნახოთ მეორე მაგალითიც: „რაი მეიცთის აქანე ერ თვეს, წევე კაი ამიდებია". ეს წინადადება უცილობლად ორ შემადგენელ ნაწილად უნდა გაიყოს. პირველ ნაწილში გამოთქმულია წუხილი იმის გამო, რომ მას აქ მოცდა მთელი ერთი თვის მანძილზე ძნელად, გაუსაძლისად მიაჩნია, მეორე ნაწილით კი ახსნილი, თუ რატომ: იმიტომ, რომ ცუდი ამინდებია (ანუ კარგი ამინდები არ არის), ეს მის მდგომარეობას ართულებს.

სალიტერატურო ქართულს ამ წინადადებათა გადმოცემა უფრო ლაკონიურად და ყველაზე მეტად მიახლოებულად შეუძლია მხოლოდ „მაინც" ნაწილაკის მეშვეობით, თუმც კი ამგვარ შემთხვევაში რამდენიმე მომენტი უნდა გამოვკვეთოთ: პირველი, **მაინც** ნაწილაკის ხმარება ამგვარ ტექსტებში უცილობლად მოითხოვს კავშირებითი კილოს ფორმას, სხვაგვარად შინაარსი დაიკარგება (ნაჯახს მომიტეხ(ავ)ს ტარს, მეტი მაინც მქონდეს. რა გამაძლებინებს აქ (მთელ) ერთ თვეს, კარგი ამინდები მაინც იყოს). მეორეც: ის ნიუანსი, რაც დიალექტურმა ფორმამ მოგვცა, სრულად გადმოტანილი ვერ იქნება იმდენად, რამდენადაც მთქმელი იმას კი არ ნატრობს, რომ სხვა ჰქონდეს ან კარგი ამინდები იყოს (რაც მაინც ნაწილაკის ხმარების

შემთხვევაში უფრო წინაა წამოწეული, მით უფრო, ამას აძლიერებს კავშირებითი კილოს ფორმის ხმარებაც), არამედ ის აწუხებს, რომ მეტი არა აქვს ან კარგი ამინდები რომ არაა, აქ უფრო ესაა აქცენტირებული.

აქვე შეიძლება გამოვკვეთოთ ისიც, რომ **წევე**-ს ხმარება ერთგვარად შეიცავს იმის არქონას, არფლობას, არარსებობას, რაც მომყოლი სიტყვითაა მოცემული. განხილულ კონტექსტებში („წევე კაი ამიდებია, წევე ქე მაქ მეტი" ისე იგულისხმება კარგი ამინდების **არარსებობა**, ან სხვა ნაჯახის **არქონა**, რომ წინადადებაში არც კია გამოყენებული უარყოფითობის გამომხატველი რაიმე ფორმალური საშუალება, ამას თავად **წევე**-ს გამოყენება გულისხმობს, რასაც სრულიად ვერ გადმოგვცემს **მაინც** ნაწილაკების ხმარება ფრაზაში. მაგრამ, რა თქმა უნდა, გვხვდება კონტექსტები, რომლებშიც **არ** ნაწილაკია გამოყენებული. ვნახოთ, რა ვითარებაა ამგვარ შემთხვევებში: „გამოართვი მა დანა ხელში ბაღანას, წევე ფათერაკიანი არა(ა)". ავხსნათ ეს წინადადებაც: ბავშვს უცილობლად უნდა გამოვართვათ ხელიდან დანა, იმიტომ რომ იგი საერთოდ ფათერაკიანია და შესაძლოა რაიმე მოუვიდეს. სალიტერატურო ქართულით, **მაინც** ნაწილაკის გამოყენებით ეს წინადადება ამგვარი იქნება: გამოართვი ბავშვს ხელიდან დანა, ფათერაკიანი მაინც არ იყოს. შევუდაროთ ეს ორი წინადადება ერთმანეთს და ავხსნათ შინაარსობრივი განსხვავება მათ შორის: წევე ფათერაკიანი არაა — ფათერაკიანი მაინც არ იყოს. დიალექტური ფორმა **წევე**-ს მეშვეობით და ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ფორმაში **არ** ნაწილაკია გამოყენებული, გულისხმობს, რომ ბავშვი დიახაც ფათერაკიანია და მას ამიტომ არ უნდა ეპიროს დანა ხელში. **მაინც** ნაწილაკიანი ფრაზა კი ამას გადმოგვცემს: ფათერაკიანი რომ არ იყოს ბავშვი, მაშინ შეიძლება ხელში ეპიროს დანა. ამდენად, შევადაროთ ზემოთქმული და დავასკვნათ: **წევე**-ს ხმარება ფრაზაში ხაზს უსვამს, აძლიერებს, აქცენტირებას უკეთებს იმის საპირისპირო აზრს, რაც ფორმალურადაა ფრაზით გადმოცემული. სწორედ ეს განასხვავებს მას **მაინც** ნაწილაკიანი კონსტრუქციისაგან და ეგეც აძლევს მას თავისთავად ნიშანს. უნდა აღვნიშნოთ, რომ „მაინც", „ქე მაინც" ნაწილაკები გვხვდება კიდეც დიალექტში, მაგრამ ამ ფორმებს გამოყენების თავ-თავისი არეალი აქვს. ამიტომაცაა, რომ თუმცა დიალექტში ორივე საშუალება არსებობს, მთქმელი ნიუანსობ-

რივი აქცენტირების მიხედვით არჩევს მისაღებ ფორმას.

წევე-ს აზრობრივ-შინაარსობრივი ფუნქციის გარკვევის შემდეგ უნდა დაისვას საკითხი, თუ რომელი მეტყველების ნაწილს ეკუთვნის იგი. ამისთვის კი ჯერ ამ ერთეულის აღნუსხვის ისტორიას მივადევნოთ თვალი. პირველად სიტყვა ჩაუწერია და გაზეთ „ივერიისათვის" მიუწოდებია პეტრე მირიანაშვილს: „წევე — ნეტა, მაინც. იმერ..."[1]. შემდგომში ეს ერთეული თავის ლექსიკონში შეუტანია ილია ჭყონიას: „წევე — ნეტა მაინც, ქე მაინც"[2]. გარდა იმერულისა ეს ერთეული, როგორც ჩანს, დასტურდება აჭარულში იმავე მნიშვნელობით „წევე — ნეტავ, მაინც, თითქოს"[3]. ამ ლექსიკონთა მონაცემების გათვალისწინებით ეს სიტყვა მოხვდა ალ. ღლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში", რომელშიც მისი გავრცელების არეალად იმერული და აჭარულია მიჩნეული: „წევე (იმერ. აჭარ.) ნაწილაკი ნეტა მაინც, ქე მაინც"[4]. სიტყვა ქვემოიმერულის კუთვნილებადაა მიჩნეული განმარტებით ლექსიკონში: „წევე კუთხ. (ქვ. იმერ.) ნაწილაკი ნეტავ მაინც"[5].

ყველა ეს მონაცემი **წევე** ერთეულის ნაწილაკურ ფუნქციას აღნიშნავს. მაგრამ, ვფიქრობთ, ნაწილაკად მისი მიჩნევა შედეგი უნდა იყოს იმ მიახლოებით აზრობრივი მსგავსებისა, რაც **წევე** ერთეულიან წინადადებას აქვს **მაინც** ნაწილაკიან წინადადებასთან. ამის შესახებ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს მართლაც მხოლოდ მიახლოებითი მსგავსებაა და მათ შორის განსხვავება უფრო მეტია და უფრო მნიშვნელოვანიც.

ნაწილაკი დამოუკიდებლობის არმქონე მეტყველების ნაწილია, რომლის ლექსიკური მნიშვნელობა მხოლოდ სხვა სიტყვებთან ანუ წინადადების წევრებთან მიმართებაში გამოიკვეთება[6]. ამასთანავე ნა-

---

[1] პ. მირიანაშვილი. „ქართული სიტყვის მოყვარეთა მიმართ", „ივერია". 1990. № 79-80.

[2] ი. ჭყონია, სულხან-საბა ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები, სპბ, 1910.

[3] ი. მეგრელიძე, მოკლე (აჭარული) ლექსიკონი. წიგნში: ჯ. ნოღაიდელი. ნარკვევები და ჩანაწერები, I, ბათუმი. 1971.

[4] ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა.

[5] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

[6] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თხზ. ტ. III. თბ., 1980. გვ. 607-616; არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 253.

წილაკის განმარტებისას ა. შანიძე სპეციალურად მიანიშნებს, რომ „ნაწილაკი არ აერთებს წინადადების ორ წევრს ან ორ წინადადებას, ამით ის განსხვავდება კავშირისაგან“[7]. „სწორედ ეს, ორი წევრის ან ორი წინადადების დაკავშირება არის კავშირის უმთავრესი ფუნქცია“[8].

ამ განმარტებებზე დაყრდნობით და **წევე** ერთეულის შემცველი წინადადებების მხოლოდ ზოგადი განხილვითაც კი ჩანს, რომ მეტი საფუძველი იქმნება **წევე** მივიჩნიოთ კავშირად, ვიდრე ნაწილაკად, რამდენადაც იგი გარკვეულ აზრობრივ მიმართებას ამყარებს წინადადების ორ ნაწილს შორის. ჩვენი მსჯელობა რომ უფრო სარწმუნო გახდეს, მივყვეთ იმ არგუმენტთა ჩამოთვლასა და დასაბუთებას, რაც **წევე** ერთეულის კავშირად გამოყენების ფუნქციას აჩვენებს.

I. **წევე** კავშირი თავად იგუებს ნაწილაკებს (ქე, არ).

წევე კავშირთან ხშირად გვხვდება **ქე** ნაწილაკი, რომელსაც გამაძლიერებელი ფუნქცია ეკისრება (ქე < კი)[9]. **ქე** ნაწილაკი თავისუფლად იხმარება, შესაძლოა იყოს ფრაზაში და შესაძლებელია არა. მისი გამოყენებით გამკვეთრებულია მთქმელის დამოკიდებულება მოვლენასთან, ხოლო გამოუყენებლობა კი, რა თქმა უნდა, არ ცვლის ფრაზის წართქმითობას“. **ქე** ნაწილაკი ყოველთვის უშუალოდ მოსდევს **წევე**-ს, სხვაგვარი ვითარება არ დასტურდება. **არს** ზმნის კვეცილი ფორმა ა, თუკი **ქე** ნაწილაკია ფრაზაში, სწორედ მას დაერთვის.

რაც შეეხება **არ** ნაწილაკს, იგი მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება ფრაზაში და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **წევე** კავშირთან ერთად **საპირისპირო შინაარსის აქცენტირებას** უწყობს ხელს. „კიდო გაცივდება ახლა ე ბაღანე, წევე ავათ არ იყოს“ (ე. ი. საშიშია, რომ ბავშვი გაცივდება, იმიტომ, რომ იგი ავად არის, საერთოდ სუსტია ან ავადმყოფია).

აქვე უნდა შევნიშნოთ ერთი რამ: სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ისეთი კონსტრუქცია, როცა **არ** ნაწილაკის ხმარების

---

[7] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 608;

[8] იქვე, გვ. 605,

[9] ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, გვ. 409.

შემთხვევაში ფრაზას დადებითი ანუ წართქმითი მნიშვნელობა აქვს[10]. მაგრამ **წევე** კავშირიანი წინადადება ფრაზის საპირისპირო აზრს გადმოგვცემს არა მხოლოდ **არ** ნაწილაკის ხმარებისას (შდრ. მე რომ არ მივშველებოდი, ძაღლი დაგლეჯდა), არამედ საპირისპირო აზრს გამოხატავს ფრაზის წართქმითობის დროსაც და უფრო მეტიც, დადასტურებითი (ქე < კი) ნაწილაკის არსებობის შემთხვევაშიც. და კიდევ ერთი რამ, სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულ კონსტრუქციაში **არ** ნაწილაკის გვერდით რაიმე სხვა საშუალება არ ჩანს, რომელიც ფრაზის წართქმითობას გვაგულისხმევინებდეს, არამედ მითითებულია, რომ, როცა „მოქმედება, რომელიც პირობას წარმოადგენს, შესრულებულია, ის ზმნის უკუთქმითი ფორმით უნდა იყოს გადმოცემული"[11]. ამას **არ** ნაწილაკთან ერთად მხოლოდ გარკვეულ მწკრივთა ფორმების ხმარება განაპირობებს (II თურმეობითი და I ხოლმეობითი), ხოლო ქვემოიმერულში კი ამისთვის ცალკე კონსტრუქცია ჩანს, ე. ი. ფრაზით გამოხატულის საპირისპირო აზრს **არ** ნაწილაკის ხმარება-უხმარებლობა კი არ განაპირობებს, არამედ **წევე** კავშირის გამოყენება და იგი ყველა შემთხვევაში საპირისპირო შინაარსს გულისხმობს.

II. **წევე** კავშირი წინადადებას ფორმალურადაც და აზრობრივადაც ორ ნაწილად ჰყოფს. **წევე** კავშირის ადგილი მუდამ განსაზღვრულია — ყოველთვის გვხვდება მთლიანი წინადადების მეორე ნაწილში. წინადადების ნაწილები ირიათად მკვეთრადაა გამიჯნული ერთმანეთისაგან და ერთი შეხედვით, ცალკე წინადადებებს ქმნის, მაგრამ მათ შორის ლოგიკური კავშირი უთუოდ არსებობს, რაც საშუალებას გვაძლევს მაინც ერთ მთელად განვიხილოთ იგი. „რა, არ დამემოწმება თუ? წევე რამე გამომირთმევია სწავლებაში". წინადადების პირველი ნაწილი თითქოს დამოუკიდებელ კითხვით წინადადებად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ მას ისევე ხსნის მეორე ნაწილი და ისეთივე მიმართებაა ამ ნაწილებს შორის, როგორც ამგვარად წარმოდგენილ ნიმუშში: „რავა არ დამემოწმება, წევე რამე გამომირთმევია სწავლებაში".

---

[10] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 209, ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966, გვ. 4-7; ბ. ჯორბენაძე, უარყოფის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობებისათვის ქართულში, ქსკს, ტ. 6, თბ., 1984, გვ. 165.

[11] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 209.

წინადადების თითოეული ნაწილი გარკვეულ აზრს, მთქმელის დამოკიდებულებას გამოხატავს მოვლენისადმი: **პირველ ნაწილში გამოთქმულია წუხილი, შიში, შეშფოთება, დანანება, ვარაუდი, ზოგჯერ ბრძანება; მეორე ნაწილი კი წევე** კავშირით იწყება და ამით **ერთგვარად ხსნის პირველ ნაწილში გამოთქმულ** განცდას. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ წინადადების ამ ორ შემადგენელ ნაწილებს შორის აზრობრივად **ახსნა-განმარტებითი მიმართებაა**, უფრო კონკრეტულად, ამ კავშირის მეშვეობით **ახსნითი** ტიპის კონსტრუქცია იქმნება, რომლის ადეკვატური რამ სალიტერატურო ქართულში არ დასტურდება. მოვიტანოთ სათანადო ნიმუშები, რომლებშიც გამოხატულია:

წუხილი: „უნა გარავაქციო ახლა ე წყალი, წევე ქვა წყალი".

შიში: „გამოი, ბიჭო, აქით, მომიტეხავ მა კრანს, წევე ქე იშონება რამე".

შეშფოთება: „რაცხა არ მოუდეს ი ბაღანას იქინე, წევე ქე ყავს მის პატრონს მეტი".

დანანება: „საჰმელი ქე იყო ბევრი, წევე ქე ვჭამე".

ვარაუდი: „ტყულა ქპირდებოდა, წევე ქე გააკეთებდა რამეს".

ბრძანება: „დეიძინე, გო, დეიძინე, წევე აკეთებდე რამეს".

„კაი, ბიჭო, დაანებე თავი, წევე უბედური ყვირილი არ იცოდეს".

III. **წევე** კავშირი მიემართება არა რომელიმე სიტყვას, არამედ განსაზღვრავს წინადადების მთლიან აზრს.

აღნიშნული ტიპის წინადადება რთულ წინადადებად უნდა მივიჩნიოთ. ამ აზრს მხარს უჭერს ყოველივე ზემოთქმული: წინადადების აზრობრივად ორ ნაწილად გაყოფა და გარკვეული შინაარსობრივი მიმართება მათ შორის. მაგრამ აქვე დგება საკითხი: როგორია სინტაქსური მიმართება წინადადების პირველსა და მეორე ნაწილს შორის, რა არის აქ — **თანწყობა თუ ქვეწყობა?**

თუ ჩავთვლით, რომ აქ თანწყობაა, მაშინ ირღვევა თანწყობილი წინადადების ძირითადი პრინციპი, რომ იგი შეიცავს „ერთი მეორის მიმართ გრამატიკულად თანასწორ წინადადებათა შეერთება-დაკავშირებას" და რომ „ისინი შეუცვლელად ცალ-ცალკეც შეიძლება ვიხმა-

როთ, როგორც დამოუკიდებელი სინტაქსური ერთეულები"[12] ჩვენს შემთხვევაში აშკარად ჩანს, რომ ეს წინადადებები (უფრო სწორად, წინადადების ნაწილები) თანასწორნი არ არიან: პირველი გამოხატავს მთქმელის დამოკიდებულებას, მეორე კი ხსნის ამ დამოკიდებულებას, განცდას. ვფიქრობთ, რადგან თანწყობილად მიჩნევის შემთხვევაში არ სრულდება უმთავრესი მოთხოვნა, ამდენად **წევე** კავშირიანი წინადადება თანწყობილად ვერ ჩაითვლება, მით უფრო, რომ **წევე**-ს მაერთებელ კავშირად ვერ მივიჩნევთ. იგი უფრო **მაქვემდებარებელ კავშირთა ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ**, რამდენადაც ამ **წინადადების ნაწილები თანასწორნი არ არიან**. **წევე** კავშირიანი წინადადება თავისი შინაარსობრივი თავისებურებების გამო უახლოვდება ქვეწყობილ წინადადებათა იმ სახეს, რომელსაც ქართულ სინტაქსში **სხვა ტიპის დამოკიდებულ წინადადებებს ვუწოდებთ** (შედეგობითი, პირობითი, დათმობითი). ეს წინადადებები იმით არიან თავისებურნი, რომ „მთავარისადმი დაქვემდებარება სუსტად არის გამოხატული... ის მთავარ წინადადებას მიემართება მთლიანად და არა მის რომელიმე წევრს... დაუმთავრებლობას მხოლოდ მთავარის ინტონაცია გვაგებინებს"[13]. მაგრამ ჩვენ მიერ განხილული წინადადება აზრობრივად არ გამოხატავს არც შედეგობითობას, არც პირობას და არც დათმობას. აქ ძირითადი დატვირთვა მოდის წინადადების პირველი ნაწილით გამოთქმული აზრის **ახსნაზე**, რაც **წევე** კავშირის მეშვეობით ხდება. ეს თავისებურება გარკვეულად ხსნის **წევე** კავშირიანი წინადადების ნაწილებს შორის მიმართებას, რამდენადაც აქ ხდება ამგვარი რამ: წინადადების ერთი ნაწილით გამოხატულ აზრს ასრულებს მეორე ნაწილი და მათი ცალ-ცალკე ხმარება ერთგვარ დაუსრულებლობის ელფერს შეიძენს. რაც შეეხება მეორე ნაწილს, ანუ **წევე** კავშირიანი ფრაზა ცალკე მსმენელს არანაირ ინფორმაციას არ მისცემს. ამდენად, სახელდება პირობითად ამგვარად შეიძლება გავანაწილოთ: პირველ ნაწილს თავისი შინაარსობრივი დატვირთვის გამო მთავარი ვუწოდოთ, ხოლო **წევე** კავშირიანს — დამოკიდებული, რამდენადაც იგი ხსნის და ასრულებს პირველი წინადადებით გამოთქმულ აზრს, ხოლო მათ შორის არსე-

[12] ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 320.
[13] იქვე. გვ. 402.

ბული სინტაქსური მიმართება კი გამოვხატოთ იმ ტერმინით, რაც უკვე ვახსენეთ ზემოთ, როცა ამ წინადადების შინაარსობრივ მხარეს ვეხებოდით. ესაა **ახსნითი ტიპის წინადადების** სახე. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ტიპი უცნობია სალიტერატურო ქართულისათვის, თუნდაც დიალექტში ამ კონსტრუქციის არსებობა გვიბიძგებს იქით, რომ დავახასიათოთ და ამის შემდგომ სახელწოდებაც მივცეთ მას.

დროთა თანმიმდევრობა ამ ტიპის წინადადებაში ნაირგვარია, მაგრამ სანამ ერთ თავისებურებაზე გავამახვილებთ ყურადღებას, ნიმუშთა დამოწმებით მოვიყვანთ ჩამონათვალს, რომელშიც ჩანს წინადადების ერთ ნაწილში გამოყენებული მწკრივი თუ რომელი მწკრივის ფორმას შეიხამებს (ხაზგასმული მწკრივი გვხვდება წევი კავშირთან):

მყოფადი — **აწმყო**:
„კარ დაიჯერებს რამეს, წევე ჰკუიანია“.

უწყვეტელი — **უწყვეტელი**:
„მაცდენდით მეც ტყულათე, წევე აკეთებდით რამეს“.

წყვეტილი — **აწმყოს კავშირებითი**:
„გააბა ლაპარაკი, წევე არ მაგვიანდებოდეს“.

აწმყო — **აწმყოს კავშირებითი**:
„უბედურება შრომა უნდა ოტკის გამოხდას, წევე ქე ღირდეს რამე (ფული)“.

წყვეტილი — **მყოფადი**:
„მაი ცრუპენტელე, წევე ქე მეიტანს მერე, უნდა გაატანო და დაკარქო ფული“.

წყვეტილი — **აწმყო/მყოფადი**:
„ტყულა დამათლოვია ვაშლი, წევე ქე ჰამს“.

I ხოლმეობითი — **I ხოლმეობითი**
„მასე იცოდნენ მაგენმა მიდღემჩი, იტყოდენ მოვალთ, მეებზადებოდი, გაყიდიებდა ყორიფელს და, წევე ქე მევიდოდენ მერე“.

უწყვეტელი — **წყვეტილი**:
„ქე იწუნებდა ყოველ კაცს, წევე კაი იყო თვითან“.

წყვეტილი — **წყვეტილი**:
„თელი დღეი უცადე იქინე წუმაში, წევე ქე მევიდენ“.

I თურმეობითი — **წყვეტილი**:

„არ უნდა წამეელო იმდონი ხილი, წევე ქე გაყიდა“.

მყოფადი — II **კავშირებითი**:

„კარ დეიჯერეფს რამეს, წევე ჰკუიანი იყვეს“.

აწმყო — I **თურმეობითი**:

„მასე ტრაბახი იცის მაგან, წევე ქე გოუკეთებია მიდღემჩი ჩვენზა რამე“.

მყოფადი — I **თურმეობითი**:

„ოჰ, რავა არ გასესხებო, იცის თქმაი და მერე აფერი. მერე იტრაბახეფს მაი, წევე მოუცია მიდღემჩი ერი კაპიკი“.

თუ დავუკვირდებით ჩამონათვალს, დავინახავთ, რომ **წევე** ნაწილაკი თავისუფლად იხმარება მწკრივებთან. იგი ვერ დავადასტურეთ მხოლოდ რამდენიმე მწკრივის ფორმასთან. ესენია: მყოფადის კავშირებითი, II თურმეობითი და III კავშირებითი, თუმც თეორიულად ამგვარ კონტექსტთა გამორიცხვა არ შეიძლება.

მიუხედავად იმისა, რომ **მაინც** ნაწილაკიანი ფრაზა სრულად ვერ გადმოგვცემს იმ აზრს, რასაც **წევე** კავშირიანი. ზემოთ ჩვენ ვისაუბრეთ ამ წინადადებათა გარკვეულ აზრობრივ სიახლოვეზე, მწკრივთა ფორმების განაწილებამ გამოავლინა კიდევ ერთი საინტერესო რამ, **წევე** კავშირი თავისუფლად აბერხებს შეხამებას როგორც **თხრობითი კილოს ზმნებთან, ასევე კავშირებითი კილოს ზმნებთანაც**, როცა **მაინც** ნაწილაკის ხმარების არეალი ამგვარ კონტექსტებში შეზღუდულია[14], შესაბამისი შინაარსის გადმოცემას იგი ახერხებს მხოლოდ კავშირებითი კილოს ზმნათა მეშვეობით. ამდენად, ნათელია, რომ გარდა ამ აზრობრივ-ნიუანსობრივი განსხვავებისა, **წევე** იმითაც უპირისპირდება **მაინც** ნაწილაკს, რომ **წევე** კავშირიანი კონსტრუქციის გამოყენების არეალი დიალექტში გაცილებით ფართოა. აზრობრივად ყველაზე მეტად ისინი ერთმანეთს უახლოვდება მაშინ, როცა **წევე** კავშირებით კილოსთან გვხვდება, ხოლო შორდებიან, როცა ერთს შეუძლია თხრობით კილოსთან შეხამება, მეორეს კი — არა.

---

[14] ჩვენ ხაზგასმით მივანიშნებთ, რომ მხოლოდ ამგვარ კონტექსტებშია შეზღუდული კილოს ხმარება, თორემ **მაინც** ნაწილაკი სხვა შემთხვევებშიც გამოიყენება და სხვა ფუნქციითაც.

წევე კავშირზე მსჯელობა არ ჩანს კ. კუბლაშვილის წიგნში „ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი“[15]. მისი აღუნუსხველობის მიზეზი, ალბათ, უნდა იყოს ის, რომ გაბმულ თხრობაში იგი იშვიათად თუ დასტურდება და ძირითადად საუბარში იყენებენ, იგი მჭიდროდ უკავშირდება კონკრეტული მოვლენის განცდას და ამ მოვლენასთან მთქმელის დამოკიდებულებას. ამიტომაცაა, რომ ჩვენს მასალაშიც ეს კავშირი უფრო ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებსა და ყურმოკრულ საუბრებში აღინუსხა, ვიდრე სპეციალურად დიალექტოლოგიური დაკვირვების დროს ჩაწერილ ტექსტებში, როცა მთქმელი ძალაუნებურად დაშორებულია ბუნებრივ ყოფას და გააზრებულად მეტყველებს.

ქვემოიმერულში ეს კავშირი მკვიდრია, გარდა ამისა, დასტურდება ზემოიმერულის იმ რაიონებში, რომელიც ქვემოიმერულს ესაზღვრება და ლეჩხუმში,[16] თუმც შესაძლოა, რომ ორივეგან ქვემოიმერულის გავლენის შედეგად იყოს დამკვიდრებული.

რამდენადაც ქვემოიმერულისათვის საერთოდ დამახასიათებელია ზანურის სუბსტრატი, დავინტერესდით **მეგრულის მონაცემებით, მაგრამ მსგავსი რამ** არც იქ ჩანს. ადეკვატურ კონსტრუქციებში **მაინც** ნაწილაკის შესატყვისი **„ვარა“** გვევლინება, რომელიც კავშირებითი კილოს ფორმათა მეშვეობით გადმოგვცემს შესაბამის შინაარსს.[17]

ამ კავშირის ეტიმოლოგია ჯერჯერობით ჩვენთვის ბუნდოვანია და მასზე მსჯელობისაგან ამჯერად თავს ვიკავებთ.

ჩვენ შეძლებისდაგვარად აღვნუსხეთ და დავახასიათეთ ქვემოიმერული დიალექტის ერთი საინტერესო ერთეული და მისით შექმნილი თავისებური კონსტრუქცია. ვფიქრობთ, რომ მისდამი ინტერესს ისიც განაპირობებს, რომ სალიტერატურო ქართულში მას ზუსტი შესატყვისი არ მოეპოვება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დიალექ-

---

[15] კლ. კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბ.

[16] ლეჩხუმური დიალექტი სადისერტაციო ნაშრომში აქვს შესწავლილი კ. კაკიტაძეს, მაგრამ **წევე** ერთეულზე მსჯელობა არც აქ ჩანს: კ კაკიტაძე, ქართული ენის ლეჩხუმური დიალექტი (რაჭელთან და იმერულთან მიმართებით), ხელნაწერი, თბ., 1987.

[17] მადლობას მოვახსენებთ ქართული ენის კათედრის ასპირანტს მაია ლომიას, რომელიც თავისებურების გამოვლენის მიზნით ჩვენი წინადადებების მეგრული ვარიანტების შექმნაში დაგვეხმარა.

ტი ენის შესაძლებლობის ერთ-ერთი კარგი გამომვლენია, ხოლო ენის უმთავრეს ნიშანს კი წარმოადგენს ის, რომ რაც შეიძლება ლაკონიურად და ამავე დროს ტევადად გამოხატოს აზრი, მაშინ ზემოგანხილული წინადადების ტიპი არა მხოლოდ დიალექტოლოგიური კვლევის კუთხითაა საინტერესო, არამედ ზოგადად ქართული ენის შესაძლებლობათა ღრმად შესწავლის თვალსაზრისითაც.

მთქმელის დამოკიდებულება ნათქვამისადმი და მხოლოდ სემანტიკური დაქვემდებარება განმსაზღვრელი უნდა გახდეს ამგვარ წინადადებათა (დათმობითი (გამეორებით), შედეგობითი, პირობითი, ახსნითი) სტრუქტურული ანალიზისათვის: ესაა რთული მოდალური კონსტრუქცია, ანუ მოდალობა, გამოხატული ჰიპოტაქსით.

წინავითარების გამომხატველი რთული მოდალური კონსტრუქცია ქვემოიმერულში

ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებები ლექსიკურ მონაცემებთან ერთად ქმნის იმ განმასხვავებელ ნიშნებს, რომლებიც დიალექტის თავისთავადობას განაპირობებს. მაგრამ ამავე დროს საგულისხმოა თავისებურ სინტაქსურ კონსტრუქციათა არსებობაც დიალექტში, რაც ყველაზე ნათლად სასაუბრო მეტყველებაში აისახება და ნიშანდობლივია ამ დიალექტის წარმომადგენლისათვის. ეს თავისებური სინტაქსური კონსტრუქციები ენობრივ ქსოვილში ისეა შერწყმული, რომ მის გამოკვეთას დაკვირვება ესაჭიროება. ამას აძნელებს ისიც, რომ იგი მხოლოდ სრულიად თავისუფალ და შეუზღუდავ სიტუაციასთან დაკავშირებულ მეტყველებაში ვლინდება და სპეციალურად ჩაწერილი ტექსტები ამას ვერ ასახავენ.

თავისებური სინტაქსური კონსტრუქციები დიალექტში ენის საერთო ბუნების, პოტენციის გამომვლენია და ამდენად მათ შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

1946 წელს გამოქვეყნებულ წერილში „დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში“ ქ. ლომთათიძე აჭარულ, გურულ და ინგილოურ მასალაზე დაყრდნობით ერთ თავისებურ ენობრივ მოვლენას გამოკვეთდა. ავტორი აღნიშნავდა, რომ „გარკვეულ შემთხვევებში შეინიშნება სიტყვის ბოლოს ხმოვნის აშკარა გაგრძელება. ამას სისტემატურად ადგილი აქვს დამოკიდებული წინადადების უკანასკნელი სიტყვის უკანასკნელ მარცვალში (მთავარი წინადადება მეორე ადგილზეა), ან შედარებით უფრო იშვიათად ჩამოთვლის შემთხვევაში, ანდა მაშინ, როცა მოსალოდნელია მომდევნო განმარტება... გვხვდება აგრეთვე თხოვნითი წინადადების ბოლოს და სხვ.“[1]. ავტორი ამ მოვლენას დაკარგულ ა ხმოვანს უკავშირებს, რომელიც „თავის მხრივ უნდა წარმოადგენდეს რომელიღაც ცალკე სიტყვის ნაშთს. შეიძლებოდა ასეთად კაცს მიეჩნია ან მეშველი ზმნა „არის“ („არს“), ან დამადასტურებელ-ჩაკითხვითი ნაწილაკი „არა“ ე. წ. განუსაზღვრელობის ფუნქციით.“ ყოველივე ეს კი, თავის მხრივ,

[1] ქ. ლომთათიძე, დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ დიალექტში, იკე I, თბ., 1946, გვ. 337-338.

უკავშირდება გურულ დიალექტში არსებულ თავისებურ სინტაქსურ კონსტრუქციას, რომელშიც დადასტურებითი **ქე** ნაწილაკის გამოყენების გამო სხვაგვარი მოვლენა იჩენს თავს: „...ბოლო ხმოვანს ექნება მკვეთრად გამოხატული აღმავალი მახვილი და სავალდებულო არ იქნება გაგრძელება". ავტორი ყოველივე ზემოთქმულის შესახებ ასკვნის, რომ „დადასტურებითი ნაწილაკი, ერთი მხრივ, და დამოკიდებულ წინადადებაში ხმოვნის სიგრძე, მეორე მხრივ, ურთიერთზე დამოკიდებული მოვლენებია"[2].

ჩვენთვის განსაკუთრებულად საინტერესო აღმოჩნდა ავტორის დაკვირვება იმერულ დიალექტზე. ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ „სანდოდ ჩაწერილი" იმერული ტექსტების არარსებობის გამო ამ დიალექტის მონაცემთა ანალიზი არ მოხერხდა, მაგრამ, მისივე დასკვნით, „ქე დადასტურებითი ნაწილაკის გამოყენება... იმავე მიზანს უნდა ემსახურებოდეს, რასაც ხმოვნის სიგრძე გურულ-აჭარულში და ა-ს დართვა ინგილოურში", კერძოდ კი, „მათში იგულისხმება იმ ვითარებაზე მითითება, რაც თანამოსაუბრისთვის უკვე ცნობილია. აქ მთელი წინადადებაა განსაზღვრული ფორმით წარმოდგენილი. დამოკიდებული წინადადების არსიც ამაშია".[3]

აღნიშნული სტატიის ასე დაწვრილებით განხილვა გამოიწვია იმან, რომ ჩვენს ნაშრომში სწორედ ამ ენობრივი მოვლენის სინტაქსურ-სემანტიკური ანალიზია მოცემული.

დადასტურებითი ნაწილაკისა და **რომ** კავშირის მეშვეობით აგებულ რთული წინადადების კონსტრუქციას **წინავითარებითი** ტიპის წინადადება ვუწოდეთ. ამ სახელდებაში გამოიკვეთება ის ძირითადი სემანტიკური მახასიათებელი, რაც ამ წინადადებათა ცალკე ტიპად გამოყოფის საფუძველია.

წინადადება ორი **შემადგენლისაგან** შედგება. დამოკიდებული, ანუ კავშირიანი წინადადება, უმეტეს შემთხვევაში, პირველი შემადგენელია და წინადადების თავშია მოქცეული; მაგრამ შესაძლებელია, იგი მეორე შემადგენლადაც მოგვევლინოს, ამით წინადადების აზრობრივი სტრუქტურა არ ირღვევა. დამოკიდებული წინადადება აღნიშნავს ფაქტს, რომელიც წინაპირობა ანუ წინავითარებაა (წინარე ვი-

[2] ქ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 343.
[3] იქვე, გვ. 344.

თარებაა) მთავარი წინადადებით გამოხატული აზრისა. ამ ორი შემადგენლის საკავშირებელი საშუალებაა **ქე+რო(მ)** (**ქერო/ქორო**) კავშირი — მიღებული დადასტურებითი **ქე** ნაწილაკისა და **რომ** კავშირის შერწყმით. ამ ტიპის წინადადებაში ამ კავშირს დამოუკიდებელი და თავისთავადი ფუნქცია ეკისრება და ერთიან ოდენობად უნდა განვიხილოთ. აზრობრივი მიმართება ამ ორ შემადგენელს შორის ამგვარია: პირველ შემადგენლად მოცემულია წინავითარების ამსახველი წინადადება, ხოლო შემდგომ რეალური ფაქტი. ამ რთული კონსტრუქციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ წინავითარება არა მხოლოდ **წინ უნდა უსწრებდეს ფაქტს** (მეორე შემადგენლით გამოხატულ აზრს), არამედ აუცილებლად **ცნობილი უნდა იყოს ორივე აქტანტისათვის**: მთქმელი გამოკვეთს კონკრეტულ ფაქტს, მსმენელისათვის უკვე ცნობილს, წინარე ვითარებაში მომხდარს და მასთან კავშირში აუწყებს მსმენელს მომდევნო ქმედებას.

ცალკე უნდა განვიხილოთ მაკავშირებელი საშუალების დაწერილობის საკითხი: იგი, მართალია, ორი ელემენტის შერწყმის შედეგადაა მიღებული, მაგრამ, როგორც ითქვა, ამ ტიპის წინადადებაში იგი ერთ ოდენობადაა წარმოდგენილი. სწორედ ეს ერთი ოდენობა იძლევა ამგვარი წინადადებების საერთო და მთავარ მახასიათებელს. ამდენად, **ქერო** ფორმა ერთად უნდა დაიწეროს ამ ტიპის წინადადებების ფიქსირებისას; ამ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ **ქერო** კავშირის გვერდით გვხვდება **ქორო** ასიმილირებული ფორმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, **ქორო** მაკავშირებელი საშუალების დაშლა გაუგებრობას შექმნის — ქე ნაწილაკი, გარდა ამ შემთხვევისა, არასოდეს არ გვხვდება ქო ფორმით. მისი ხმოვნის ცვლილება გამოიწვია ორი ელემენტის შერწყმამ, კავშირის ერთ ოდენობად გააზრებამ და ასიმილაციის მოვლენის მოქმედებამ. მათ შორის რაიმე არსებითი სემანტიკური სხვაობა არაა, გარდა ერთისა: **ქერო/ქორო** ფორმები პარალელურად დასტურდება ქვემოიმერულში, ხოლო ლეჩხუმურ დიალექტში, რომლისთვისაც ეს კონსტრუქცია უცხო არაა (ისე, როგორც ქვემოიმერულისათვის დამახასიათებელი სხვა მოვლენები), მხოლოდ **ქერო** ფორმა დასტურდება.

როგორც აღვნიშნეთ, წინავითარების შემადგენელი ძირითადად წინადადების თავში გვხვდება:

„ქერო ჩიტი იძახოდა ამ დილას, ე, მევიდა სტუმარი“.

„ქერო წითელთავიანი ბაღანე იყო იქინე, იი ყოფილა ბუხუტიეს შვილი“.

„ქერო კაცი ამოყვა ზურიეს გოგოს, მე ქმარი მეგონა იმისი“.

„ქერო იყო წაწანწალებული, მაშვინ უნახავს ი ბედოვლათი“.

„ქერო ნატოიას ძაღმა უპკინა, მაშვინ მოსვლია გულის შეტევა და მის მერე არ არი კარქათ“.

„ქერო მაშვინ იჩხუბა მაგან, ვთქვი, არ ივარგეფს მაგი-თქვა“.

„ქერო ოთახი უყიდია ბადრიას, იგი ხელათ გოუყიდია და შოუჭამია“.

„ქერო პირველათ იცეკვა, იგი იყო ნელის სარძლო“.

„ქერო ანზორიას ავანტყოფი შვილი ყავდა ავი ზნით, იგი წოუყვანიათ საზღვარგარეთ სამკურნალოთ“.

„ქერო წიგნი მომიტანა იმან, იმაში ვნახე ე ლექსი“.

„ქერო შესაწვავი გოჭი, ისე ვიყაი, არ დამაჟდენდა ერთი, მატრიალებდა“.

„ქერო სასტორზე შამოდებულია წნევიანი ადამიანი, ე, იმწუჩი ძმარი თავზე უნდა წოუსვა, ფეხები ძმარში... ნევრებსაც უხთება ძმარი და წნევასაც, ნემეტანი კაია“.

„ქერო სტველი იქნება, ქერო ყურძენი მეიკრიფება და ყანა დატყტება, ე, იმას ქვია წიფობისთვე და ე, მაშვინ იცის დაცვენა ფსხალმა“.

ლეჩხუმური დიალექტის მეტყველებიდან:

„ქერო ქვიფორი გოგო ყავდა სანდროს, იგი გოუთხოვებია ჭიათურაში“.

ქვემოიმერულში **ქერო** ფორმის პარალელურად **ქორო** მაკავშირებელი სა'შუალებაც გვხვდება:

„ქორო ბიჭმა შეშა მოგვიტანა, იმას დარჩა ე ქამარი“.

„ქორო შენ მითხარი, ე, ისე გავაკეთე ყორფელი“.

„ქორო შენ მეუმბებოდი გუშხამ, ახლა მივხვთი მაგას მე“.

„ქორო დიდი წუმა იყო, მაშვინ გაციებულა და ახლაც ავათ არი“.

„ქორო კანტორა დეიწვა, იმ დღეს გავატანე ფული და არ მოუცია მას მერე“.

„ქორო საზამთრო ქონდა ამოტანილი გასაყიდათ მაღაზიის წინ, იგი ყოფილა ოთარის ძმიშვილი“.

„ქორო პალტო ქონდა, იმისანა კაის ვერსა შევხვთი საყიდლათ".
„ქორო მიწისძვრა იყო, მაშვინ ჩამეინგრა ე კედელი".
„ქორო ჭრიჭინობელასავეთ დარბოდა, ახლა რამიხელა გამხდარა ე გოგო".
„ქორო იტყვიან, უბედურს ქვა აღმართში მიეწიაო, ისე მომივდა — ვაკეზე მომადგა მეწყერი".
„ქორო იყო, იქინე კარ გოუშობენ, სხოკან, სხოკან წეიყვანებენ".
„ქორო იყო, ისე რო იყოს, რაღაი მიჰირს მე".

ქერო/ქორო მაკავშირებელი საშუალება, შესაძლებელია, არ იწყებდეს წინადადებას:

„აკარტებული იგია, ქერო ქვედა ფოთლები გახეშეშებული აქ და ზეით ქუჩუჩო აქ გაკეთებული".
„ფორთოლიე იყო იგი, ქერო თამარასან ვიქეით და გამეიარა. იმასაც რა გლახა ქმარი ყავს, ბლაყვიელე რაცხა".
„დედა, დედა, რავა ნაშამოდექებივითაა, ქერო მოგიკრეფია, ისეა ყორფელი".
„წეპო ქე მაქ ეგერ, მაშვინ გამომატანეს, ქორო ბევერი ქონდა დედაშენს".

(შენიშვნა: ამ მაგალითში აშკარად ჩანს **ქე** დადასტურებითი ნაწილაკისა და **ქორო** კავშირის შემადგენელი ელემენტის განსხვავებული ფუნქციაც და მნიშვნელობაც.)

„წვალოით სახლი ამისი იყო, ქორო შენ უყურებდი, რო მოგიყვანეთ".
„დახედე, ბებია, დახედე, ბატარია. მე რო მაბარებდი, შენ წაგიღია საცხა. შენ არ აფრიალებდი ზეით, ქორო მამაშენი ეძებდა რაცხას?! წამოი, დავხედოთ მარანში..."

ყველა ამ მოყვანილ ნიმუშს ერთი რამ აქვს საერთო: წინადადების ერთი შემადგენლით გამოკვეთილი ფაქტი ან მოვლენა ცნობილია საუბარში მონაწილე ორივე პირისათვის. მთქმელის ამ დამოკიდებულებას ანუ ფაქტთა (მოვლენათა) ურთიერთმიმართებას სწორედ წინადადების კონსტრუქცია, კერძოდ კი **ქერო/ქორო** მაკავშირებელი საშუალებით წინადადების შემადგენელთა დაკავშირება ავლენს.

ამრიგად, აღნიშნული წინადადება არის რთული ქვეწყობილი წინადადება; მაგრამ დამოკიდებული წინადადება მთავარის რომელი-

მე წევრის გაფართოებული სახე კი არაა (როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ქვეწყობისას), არამედ წინადადების ორ შემადგენელს შორის სემანტიკური, აზრობრივი მიმართებაა. ამ შემთხვევაში ერთი მოვლენა მთქმელის მიერ მოწოდებულია მეორე მოვლენასთან იმგვარი მიმართებით, რომ წინავითარების გამომხატველი შემადგენლით გადმოცემული ფაქტი უთუოდ ცნობილი უნდა იყოს მსმენელისათვის. ამ კონსტრუქციის აგებისას იკვეთება მთქმელის დამოკიდებულება გამონათქვამისადმი, რაც ზოგადად მოდალობის კატეგორიის მახასიათებელია.

შარლ ბალი წერდა: „მოდალობა — ეს წინადადების სულია. როგორც ზოგადად აზრი, იგიც ძირითადად მოლაპარაკე სუბიექტის აქტიური ოპერირების შედეგად იქმნება. მაშასადამე, გამონათქვამს არ შეიძლება მიეცეს მნიშვნელობა, თუ მასში არაა თუნდაც რაღაც გამოხატულება მოდალობისა“.[4] ეს სიტყვები მოდალობის კატეგორიას უსაზღვრო და მრავალფეროვან მნიშვნელობას ანიჭებს. ყოველ ენას მოდალობის კატეგორიის (ანუ სუბიექტისაგან გამონათქვამისადმი დამოკიდებულების) სხვადასხვა და მრავალი ენობრივი საშუალება აქვს, დაწყებული კილოს ფორმებიდან და ნაწილაკებიდან — დამთავრებული სპეციალური მოდალური ფორმებით. ამ კატეგორიის გამოსახატავად ქართული ენაც არაერთ საშუალებას ფლობს. ამ საშუალებათაგან ერთ-ერთი წინადადების თავისებური კონსტრუქციაა. ამ მხრივ დიალექტის მასალაზე დაკვირვებამ ბევრი საინტერესო გამოავლინა, რადგან მხოლოდ ქვემოიმერულში ორი ისეთი კონსტრუქციის წინადადება გამოიკვეთა, როგორიც სალიტერატურო ქართულისათვის არაა დამახასიათებელი.

წინავითარებითი წინადადებაც ამ რიგის მოვლენას წარმოადგენს. იგი რთული მოდალური კონსტრუქციაა, რომელშიც თავს იჩენს მთქმელის მიერ გამონათქვამისადმი გამოხატული ამგვარი დამოკიდებულება: ზემოთ განხილული კონსტრუქციით მოლაპარაკე წარსული მოვლენებიდან გამოკვეთს ერთს — მისთვის და თანამოსაუბრისათვის თანაბრად ცნობილს და მასზე დაყრდნობით აწოდებს მსმენელს მეორე ფაქტს ან მოვლენას. ეს აზრობრივი მიმართება მხოლოდ მოდალობის კატეგორიით შეიძლება დახასიათდეს და ამ ტიპის

[4] Балли Ш., Общая лингвистика и вопросы французского языка, М., 1955.

წინადადება გვერდით უდგება იმგვარ კონსტრუქციებს, რომლებიც სწორედ აზრობრივი მიმართებით ქმნიან ჰიპოტაქსს და არა მთავარი წინადადების რომელიმე წევრის გაფართოებული სახის წარმოდგენით. ამგვარი წინადადებები საენათმეცნიერო ლიტერატურაში „სხვა სახის დამოკიდებულ წინადადებებად" მოიხსენიება, ხოლო დიალექტებიდან მათ მიემატა ახსნითი და წინავითარებითი წინადადებების ტიპები.

ზოგადად მოდალობის კატეგორია ქართულში და მისი გამოხატვის ენობრივი საშუალებები კი მომავალი კვლევის ობიექტად უნდა იქცეს.

მეხილეობის ლექსიკა ქვემოიმერულში
ერთი სოფლის მეტყველების მიხედვით
(ს. გადიდი. ვანის რაიონი)

სოფელი გადიდი ვანის რაიონს ეკუთვნის, რაიონული ცენტრიდან 8 კმ-ითაა დაშორებული. მოსახლეობა ძირითადად მისდევს მეხილეობას, ამასთან ერთად სარობს ვაზის კულტურაც.

თანამედროვე ქართული სოფლების კრიზისი გადიდსაც ეხება. აქ უკვე კარგა ხნის დაწყებულია ახალგაზრდობის მიგრაცია. ამჟამად სოფელში ძირითადად მოხუცები ცხოვრობენ. რამდენადაც მათი მეტყველება შედარებით ნაკლებად განიცდის თანამედროვე სალიტერატურო ქართულის გავლენას, ქვემოიმერული კილოკავის შესწავლის თვალსაზრისით აქ მეტად ნაყოფიერი მუშაობა შეიძლება ჩატარდეს. თუმცა უნდა ითქვას, რომ მოხუცთა სიმრავლე, ერთი მხრივ, ხელს უწყობს დიალექტის თავისებურებათა შენარჩუნებას, მაგრამ ამავე დროს ეს გარემოება აქ ლექსიკოლოგიური და დიალექტოლოგიური მუშაობის დაჩქარებას მოითხოვს.

ქვემოიმერული კილოკავის მასალების შეკრება ერთი სოფლის მეტყველების მიხედვით უკვე კარგა ხანია დავიწყეთ. 1980 წლიდან სისტემატურად ვიწერთ ტექსტებსა და ლექსიკას. ამჟამად წარმოდგენილი ნიმუშები დარგობრივი ლექსიკიდან საერთო მასალის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

როგორც აღინიშნა, სოფ. გადიდში ძირითადი დარგი მეხილეობაა, კერძოდ, თხილის კულტურის მოვლა-მოყვანა და ამდენად ყველაზე უფრო სრულად ლექსიკაშიც ეს დარგი აისახა. ჩვენ ჩავიწერეთ თხილის მოვლა-მოყვანასთან დაკავშირებული 100-ზე მეტი სიტყვა. რაც შეეხება სხვა ხეხილს, მასალაში თითქმის ყველა სახეობაა წარმოდგენილი, რომელიც გლეხის კარ-მიდამოში გვხვდება. ჩაწერილია იმ ჯიშის სახელწოდებანი, რომლებიც ამ რეგიონშია გავრცელებული; გზადაგზა მოცემულია ის ტერმინები, რომლებიც ამა თუ იმ სახის ხეხილის მახასიათებელია და თემატურად უკავშირდება დარგობრივ ლექსიკას.

დარგობრივი ლექსიკა კიდევ უფრო სრულ წარმოდგენას გვიქმნის დიალექტის თავისებურებების შესახებ და ერთ თემატურ ჯგუფად თავს უყრის იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც დაკავშირებულია ხალხის საქმიანობასა და ცნობიერებასთან.

თხილის მოვლა-მოყვანასთან დაკავშირებული ლექსიკა

იმ ადგილას, სადაც თხილის ნარგავებია, ეწოდება **თხილები** („თხილეფში უნდა ჩევიდე საღამოდრიელე და პეტერას წავაკრეფ, ერთი ორ-სამ ძირს მაინც მოვკრიფავ").

1. ნიადაგი

თხილის ნარგავის გასახარებლად საჭირო არაა **ბოლოზი მიწა** — განსაკუთრებით ნაყოფიერი ნიადაგი. მაგალითად, თხილის ერთ-ერთი ჯიში **ნეფსა თხილი** ქვიან ნიადაგზე — **ფხეკორაზე** უფრო კარგად ხარობს. თუ ადგილი დაჩრდილულია და ქარისგან დაცულია, იქ თხილი განსაკუთრებით კარგი იცის. ამგვარ ადგილს **ჩაო ადგილი** ჰქვია; **ცარე მიწა** უმოსავლოა და მასზე თხილიც არ ივარგებს. ვაკე ადგილი მცირეა მთაგორიან იმერეთში და ხშირად თხილი გაშენებულია შეფენებაზე, რომელსაც **ფერდი მიწა** ჰქვია. მოვლისათვის და მოსავლის ასაღებად უმჯობესია **ფეხთა ადგილი** ანუ ოდნავ დამრეცი, დავაკებული ადგილი. იქ არც მუშაობა ჭირს.

2. ნერგი

თხილს რგავენ **ნაშამოდექებს**, გიორგობისთვეში ანუ ნოემბერში. მას ამრავლებენ ძირში ამოყრილი ნერგებით. თუ ნერგი მთავარი ხისაგან მოშორებითაა, მაშინ იქ **კეკალი** — თხილის ნაყოფი იქნება ჩავარდნილი და მას ნერგად არ გამოიყენებენ, **ტყის თხილე** გამოვაო; ცალკე ერთ ნერგს — **ბოლს** (ქეგლ, ვ. ბერ.) (ტოტს) მიწაში არ ჩარგავენ, რადგან იგი შეიძლება გახმეს ან მოუსავლიანი გამოდგეს. ამიტომ „ბოლებს" **ტყუპად** რგავენ, ე. ი. რამდენიმეს ერთად. ცდილობენ ნერგად ფოთლიანი ტოტი შეარჩიონ, **გატანტალებული** ანუ უფოთლო „ბოლი" შესაძლოა გამხმარი გამოდგეს. რამდენადაც უფრო **გაბურჩხალებულია** — კვირტებითა და ფოთლებით დაფარულია ნერგი, მით უფრო კარგია („ბოლები აქ ზეთე, კვირტები, ნეშოები და იმას ქვია **ბურჩხალე**, გაბურჩხალებული").

3. ნერგის მოვლა

თუ თხილის ნერგი უნაყოფო — **მოუბამი** ანუ **ყრუალე თხილის** ხეი არ გამოდგა, მესამე წელს იძლევა მოსავალს. სამ წლამდე თხილის ხეზე ამბობენ: **„ახალგაზდეა** (ქეგლ. ახალმოზარდი) ჯერ და არ იბამს“. იმისათვის, რომ თხილი კარგად გაიზარდოს, მოსავლიანი იყოს, ნარგავებმა ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ, შორი-შორს, ოთხი-ხუთი არშინის დაშორებით უნდა დაირგას. ახალგაზრდა ნერგებს ხშირად უნდა გათოხნა, რათა ბალახი, მაყვალი ან სხვა სარეველა მცენარეულობა — **ჟალტამი** არ მოეძალოს, ზრდა არ შეაჩეროს და მცენარე არ **მეიხჩვას**. ეკლისა და სარეველა ბალახისაგან განთავისუფლებას, ნიადაგის გასუფთავებას **მოჟალტმა** ჰქვია; თუ ამგვარი პროცედურა ხშირად არ ჩატარდა, თხილი ზრდას შეაჩერებს — **ღლიმებს**, გვიან დაასრულებს ზრდას და მოსავალსაც გვიან მოგვცემს. სანამ თხილი ახალგაზრდაა, ამ ადგილში ყანას თესავენ, ყანის გამოროდება ხელს უწყობს თხილის ზრდასაც. როცა თხილი გაიზრდება, შემდეგ მის მიწაზე სხვა მცენარე ნაკლებ იხარებს; **ნათხილარ** მიწაზეც არ მოვა მოსავალი.

4. თხილის მსხმოიარობა და მისი მოვლა

სამი წლის თხილი პირველ ნაყოფს მოისხამს — **ნიშანს გამოიბამს**. თხილის ნაყოფს, ერთ ბუდედ შეკრულ რამდენიმე კაკალს **პურჰყი** ჰქვია. „ნიშნად“ რამდენიმე „პურჰყს“ გამოიბამს. რაც უფრო იზრდება თხილი, მით უფრო მოსავლიანი ხდება იგი. ბოლოს **დადგება თხილი** — ეს ის პერიოდია, როცა მცენარე ზრდას დაამთავრებს და ყოველწლიურად დაახლოებით ერთნაირ მოსავალს იძლევა. **დამდგარი თხილი** უკვე ზრდასრული და მოსავლიანია, როცა ძირში ამონაყარი ნერგები გაიზრდება, გამრავლდება და გატლანქდება. მაშინ უნდა **გააახლო თხილი**, ტოტები უნდა გამოიჭრას, მცენარე უნდა გამეჩხერდეს, რათა ხემ ხელახლა ამოიყაროს. ყოველივე ამას ეწოდება **გაშენება**; ამის გარეშე მცენარე დაბერდება, ნაკლებ მოსავლიანი იქნება. გარდა ამისა, გაზრდილი, გამსხვილებული და გატლანქებული „ბოლის“ გადმოწევა მოსაკრეფად გაძნელდება; ხშირად ამგვარი ტოტი შეხედვისთანავე იცნობა, მას აქა-იქ ფოთლები თითქმის გამხმარი აქვს — **გაფოცქორებულია**; თუ ზრდასრული მცენარე

მსხმოიარე არაა, **გეილორდა**, ე. ი. ფოთლებად და ტოტებად წავიდა, მას მოჰრიან; კარგად მსხმოიარე, ნაყოფით დატვირთული ხე **დაყუნწულია || მოყუნწულია**.

5. თხილის კრეფა

თხილის კრეფას „**სტველი**“ ჰქვია. ის იწყება კვირკვობისთვეში ანუ ივლისში („სა მცალია, ბებია, მაგიზა, ჩვენი სტველი ახლაა“). გრძელდება აგვისტომდე — მარიამობისთვემდე. ამ დროს თხილის მცენარეს უკვე აქვს სამომავლო კვირტები — **უურსაკიდე** ანუ **კვრეხილე**, რომელიც საგაისო მოსავლის მაუწყებელია. მას ეძახიან **ჭადაჭადასაც**. რაც უფრო ბევრია **უურსაკიდე**, მით უფრო მოსავლიანი იქნება თხილი მომავალ წელს. კრეფისას საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა, ტოტებს უხეშად არ უნდა გამოუსვას ხელი მკრეფავმა, არ უნდა **გამოშხოლოს** (ი. ქავთ. || — დაშხოლვა) სანაყოფე რომ არ დაზიანდეს. ამიტომ ხშირად თხილს **დარეკავენ** ხოლმე: გამოთლიან დიდ ჯოხს. კეტს და ხის **ტანს** რამდენჯერმე **დასცხებენ**, დაკრავენ, ისე, რომ **ნეშოს** — ფოთლებს და სანაყოფეს არ მოხვდეს და არ დააზიანოს. უკვე დამწიფებული თხილი ჩამოცვივდება და მიწაზე დაიყრება — **დახვარბალდება**; შემდეგ **მოხიკავენ** — მობოქავენ. მოკრეფილს ყრიან ფართოძირიან კალათში, ვედროს ნაკლებ იყენებენ, რადგან ვიწროძირიანია და შესაძლოა დამრეცში დაგორდეს. კალათში მოკრეფილ თხილს ყრიან **ბარდანაში** — ესაა სპეციალურად ტომრებისაგან (ან ბრეზენტისაგან) შეკერილი, დიდი ფართოთავიანი (ისე, რომ კალათი ჩაეტიოს) ტომარა, რომელშიც გარკვეული რაოდენობის ან წონის თხილი ჩადის; ეს წინასწარ იცის მკრეფავმა; ჩადის იმდენი, რამდენსაც **წიკავს** — ზიდავს კაცი. სახლში მოტანილი თხილი იციან რამდენი ბარდანაა, დარჩევისა და გახმობის შემდეგ რამდენი კილო გამოვა მისგან.

6. მოკრეფილი თხილის მოვლა-გამოყვანა

სახლში მიტანილ თხილს დაყრიან იატაკზე ან ფიცრულზე; მიწაზე დაყრა არ შეიძლება, **შეხურდება** და დაობდება. თხილის კრეფის დამთავრების შემდეგ იწყება **თხილის გამოყვანა** — მოვლა, გარჩევა,

გაშრობა, გახმობა. უპირველეს ყოვლისა, თხილი უნდა **დაიკარჭლოს** — ბუდიდან (პურჭუიდან) კაკალი გამოცალკევდეს ხელით: რადგან დიდი მოსავლის დაკარჭვლა ძნელდება, ამიტომ თხილს **გოუურიან თავს** იატაკზე; ასე დატოვებენ რამდენიმე დღეს, თხილი შეშრება, შემდეგ აიღებენ ჯოხს და გამშრალ თხილს არც ისე ძლიერად დაკრავენ, ისე რომ ნაჭუჭი არ გატყდეს და თხილი ბუდიდან კი გადმოვარდეს. მერე **აჩენჩქავენ**, აურ-დაურევენ **ჩენჩქის** — თხილის გამხმარი ნარჩევის გამოსაცალკევებლად. უნდა გამოირჩეს **ქუჩეჩი || ქუჩრენი** — თხილის გამხმარი ბუდეები. „აჩენჩქავენ" ორჯერ-სამჯერ. მერე **მოთავრავენ** — თხილის ნარჩენებს, გამხმარ ფოთლებსა და ნარჩევს ცალკე გადაყრიან და დარჩება **დაკარჭლული** თხილი. თუ ამგვარი პროცედურის ჩატარების შემდეგაც თხილი დაურჩეველი დარჩა, მას უკვე ხელით დაარჩევენ — **დაკარჭლავენ**. დარჩეულ თხილს ჰქვია **კარჭალე || თხილის კარჭალეები**. გარჩეულ თხილს **წოურეკავენ** — გაანიავებენ სხვადასხვა ნარჩენებისაგან გასასუფთავებლად, რომ არ დარჩეს **ბრელო** მტვერი, „პურჭუის", **ნეშოის ნაწეკვეები** — მცირეოდენი ნარჩენები. როცა ყოველივე ეს მოთავდება, დაგვიან იატაკს და იქვე დაყრიან **წარეკილ თხილს**. თუ კარგი ამინდია, გამოიტანენ მზეზე, რომ კარგად გახმეს; თხილი სქლად არ უნდა დაიყაროს, უნდა **გააკაილავონ**, გაშალონ, ერთ რიგად გააფინონ, რომ არ დალპეს. ერთი რომ **გადახედოს მზემ**, მეტი არ უნდა. თხილი ფერს იცვლის, **წითლად ჭუა**. კარგი ფერის მისაღებად თხილს შესაძლოა მცირეოდენი ზეთი გადაასხან და აურდაურიონ, მაგრამ ეს ხელოვნური ხერხია, კარგად გამშრალ თხილს ისედაც კარგი ფერი აქვს. თხილი კარგად უნდა გაშრეს, გახმეს — **გაფიჩინდეს**. მზეზე გახმობას თხილი საჭიროებს რამდენიმე დღეს. რაც უფრო მეტ ხანს იქნება გაფენილი, მით უფრო კარგია; როცა ხელს აურევ, თხილი კარგად უნდა ჩხრიალებდეს — **ხვაშხვაშობდეს**, მომვლელი ხმაზეც ამჩნევს, კარგადაა ნაყოფი თუ არა გამხმარი.

შესანახავად თხილი სპეციალურ მოვლასა და პირობებს აღარ საჭიროებს. მას ჩაყრიან ტომარაში, ანდა სადმე მშრალ ადგილას და წლების მანძილზე შეიძლება შეინახოს.

რაც შეეხება თხილის ავადმყოფობებს. ასახელებენ მხოლოდ **დამატვლას**; დიდი სიცივეებიც ცუდად მოქმედებს თხილზე და შესაძლოა სანაყოფე გამონაზარდები მოყინოს და ჩამოცვივდეს. სხვა ავადმყოფობა თხილს ნაკლებ ენებს.

7. თხილის მოსავლის დამახასიათებელი ლექსიკა.

თუ როგორია თხილის მოსავალი, თხილის **კაკლები**, ამის აღსანიშნად რამდენიმე ტერმინი იხმარება:

ხელსტორი — თანაბარი სიდიდის, მოზრდილი და ლამაზად მოყვანილი თხილის კაკლები („შარშან კაი თხილი იყო, ხელსტორი, წროულს რათ ვარგა“);

ბუზუნიე — მსხვილი, დიდი ზომის თხილი;

აჭიმახურებული — წვრილი და მსხვილი თხილის ნარევი, აწვრილთავებული (შდრ. ჰ. ჯაჯან., II, ჭიმახურა — ხილის მცენარეზე იტყვიან ჭიმაყარასავით ასხია);

ბარჩხალიე — კარგად გამშრალი, გამხმარი და სასიამოვნო შესახედაობის თხილი

ფურფუტალე || ჩურჩუტალე — გარეგნულად საღი, მაგრამ უგულო თხილი („ფურფუტალე როა ე თხილი, კარ ვჩივი, მაინც ქე გეიყიდება“).

ბეუალიე — უგულო, ფუტურო თხილი („წროულს რაც იყო თხილი, ნახევარი ბეუალეა“).

ფშუტურე || დაჭრილი — მატლიანი, ნაჭუჭგახვრეტილი თხილი

ჯიხვინიე — მსხვილი თხილი („წროულს ნემეტანი კაია ჩია თხილი, ხო ხედავ რაფერ ჯიხეინიე კაკლები აქ“).

8. მცვრევა

თხილის მოკრეფისა და დაბინავების შემდეგ იწყებენ **ნცროვას** ანუ ნარჩენების შეგროვებას. საკრეფს მოათავებენ და **სანცროვში** მიდიან; ნცროვისას შეგროვებულ თხილს **მონანცროვი || მონცროული** თხილი ჰქვია. რაც კრეფისას დარჩება, იგი ნცროვისას შეგროვდება.

9. იმერეთში გავრცელებული თხილის ჯიშები

ნეფსა თხილი — კარგად მსხმოიარე თხილია. მოსავლიანობისას „ბოლები“ ნაყოფითაა დახუნძლული — **დაკონკულია**; „პურჭყები“ დიდი აქვს, გრძელი **წვერებით**. ნაყოფის **კანი** — ნაჭუჭი თხელია,

ადვილად გასატეხი, გულსავსეა, შედარებით მსუბუქი — **ფრიანტელეა**; ძალზე გემრიელია; აქვს მომრგვალებული და ბოლოში წაწვეტებული, სასიამოვნო შესახედაობის ნაყოფი. მას ჰქვია **გძელი ნეფსა თხილი**.

ფსხილაძის თხილი — მას მეორენაირად უწოდებენ **წვრილ ნეფსა თხილს**. კარგად მსხმოიარეა; აქვს ნემსა თხილთან შედარებით უფრო პატარა ტოტები. მოსავლიანობისას ტოტები სიმძიმისაგან ძირს ეშვება და მას გასამაგრებლად **კიპორჭალეფს** უყენებენ; მწიფდება ყველაზე უფრო ადრე: გემრიელია, მოკრეფისთანავე უნდა გაირჩეს, თორემ იცის გაშავება. წონაში **სინასავით** მძიმეა.

ტრაპიზონე — კარგი მსხმოიარე არაა, **მეძვირეა**. სანამ მცენარე ზრდას არ დაასრულებს, არ ისხამს. ტოტი მყიფეა, მისი გადმოწევა ან გადმოღუნვა ჭირს. ფოთლები აქვს უფრო დიდი, ფართო და ნაყოფს გადაფარებული. პურჭყი **ტიტველი** აქვს. წვერები არა აქვს, როგორც ნემსა თხილს. გამორჩევისას მცირე რჩება ნარჩენები. წონაში მძიმეა. ნაჭუჭი სქელი აქვს; მარცვალი მსხვილია, ოდნავ მოგრძო; დაჭიანება თითქმის არ იცის. გემო კარგი აქვს.

ჩია თხილი — მრგვალი თხილია. მოკრეფის შემდეგ მალე უნდა გაშრეს, თორემ ადვილად ლპება. ჩია თხილს უფრო მეტად **საჩურჩხელედ** იყენებენ. ნაჭუჭი თხელი და ადვილად გასატეხი აქვს. გამოირჩევა ბუდეში ნაყოფის სიმრავლით, ხშირად ერთ პურჭყში 10-12 **კაკალი** თხილია. რჩევისას ბევრი ნარჩენი აქვს; ძნელი **გამოსაყვანი** თხილია. წონაში მსუბუქია.

ბერძული თხილი (ქეგლ, გ. შარაშ., ი. ქავთ. I) — აქვს მსხვილი ნაყოფი, სქელი ნაჭუჭი და ძნელი გასატეხია. მას საჭმელად ნაკლებ ხმარობენ, აკეთებენ გოზინაყს. სიმწიფისას ბავშვები მისგან ამზადებენ სათამაშოს — **საღვრიალას**.

გურული თხილი — მას ეძახინ **ბოხორიკე** თხილს. იმერეთში ნაკლებაა გავრცელებული. ვერც ხარობს კარგად. ნაჭუჭი სქელი აქვს, გული პატარა. ხისთვის დამახასიათებელია დიდი ფოთლები.

წითელი თხილი — გული წითელი აქვს, თხელკანიანია; სხვა ჯიშებისაგან დიდად არ განსხვავდება. ფოთოლიც ოდნავ წითელი — **დაწითალო** აქვს.

ტყის თხილი — გარეგნულად ჰგავს ნემსა თხილს. ხარობს ღელისპირებში, ტყეებში. იზრდება ჩქარა; ძალიან ძნელი გასატეხია.

გემრიელია. თუ კარგ ადგილას დარგეს, ნაკლებ მსხმოიარეა, **ლორდათ წავა** — უნაყოფოა და ტოტებისა და ფოთლების სიმრავლით გამოირჩევა. აქვს დიდი ფოთლები.

10. ჩურჩხელა

დარჩეულ თხილს ჩაყრიან მდუღარეში, რომელსაც მცირეოდენი სოდა აქვს, წამოდუღების შემდეგ გადმოყრიან და **დაბუწკნიან** — თხელ კანს გააცლიან. ასე **დაათეთრებენ** თხილს. შემდეგ გარეცხავენ ცივ წყალში. **დაანცუმენ** — ააცმევენ ძაფზე და დაკიდებენ გასაშრობად.

ტკბილი — ყურძენს დაწურავენ — **გაზილავ(ენ)**; ჭაჭაში ჩააფენენ **გუმბრას** და წვენს ამოიღებენ **ხაბით**; ჩაწურავენ **თუჯიაში**. ცალკე აქვთ **გამერდიმებული** — გაცრილი ფქვილი; წამოდუღებულ ყურძნის წვენს შეაზელენ ფქვილს განსაზღვრული რაოდენობით; ამ წესს ეწოდება **შექფილვა** („შევქფილავ"); უნდა ადუღონ ერთი საათი მაინც. შემდეგ **ამოავლებენ**; ფელამუში უნდა იყოს ცხელი, რომ კარგად მიეკრას. თუ გაცივდა, ჩურჩხელა კარგი არ გამოვა, ვერ მოიმაგრებს თავს და ფელამუში **ჩამეიჩლურჩება**; ძაფზე აცმის დროს თუ თავში მცირე ძაფს დაუტოვებენ, ჩურჩხელას **წვეროები** ექნება და ლამაზი შესახედავია. შემდეგ გაკიდებენ მზეზე და გააშრობენ. ჩურჩხელა შეიძლება **დათეთდეს**, თეთრი ფქვილი გადაეკრას, ამაზე ამბობენ: **„ეტკბილება** მერე ჩურჩხელა"; თუ ფელამუშს შაქარს შეურევენ, სითეთრე მით უფრო მოერევა.

ჩურჩხელას ეძახიან **ჯანჯუხს** „ჯანჯუხს უძახით ჩვენ ჩურჩხელას, ძველი სიტყვა ეგია".

1. ქლიავი

იმერეთში გავრცელებულია ქლიავის შემდეგი ჯიშები: **წანქლიავე; შანქლიავე; ოტურე ქლიავე; თეთრი ქლიავი || თეთქლიავე; ცირციმელე || ცერციმელე**.

ოტურუ ქლიავი უფრო დიდი ზომის ნაყოფით ხასიათდება, მწიფდება კვირკვობისთვეში — ივლისში.

ცერციმელე — **საადრიოა**. ის უფრო **ინცქიტი საჭმელია** — არც ისე კარგი გემოსია (მთქმელის თქმით) და ძალიან გავრცელებული არაა;

შანქლიავე — მწიფდება კვირკობისთვეში — ივლისში. თუ **გარამწიფთა ნემეტანი** — ზედმეტად დამწიფდა, საჭმელად უვარგისი ხდება, **გაწუალდება**. საჭმელად უფრო კარგია ოდნავ შემწიფებული — **შემთქვირებული** ქლიავი: „შანქლიავე რო შემთქვირდება, კაი საჭმელია მერე“. ოდნავ დამწიფებულ ქლიავს კიდევ უწოდებენ **წამწიფებულს**; გადამწიფებულ ქლიავს ყრიან ჰურში; იგი **წუალწუნიეა, წუალი მეერია**; შანქლიავა ყველაზე უფრო გავრცელებული ჯიშია, იგი ს'შირად აქვთ კარ-მიდამო'ში.

თეთრი ქლიავი ივანობისთვეში — ივნისში შემოდის.

ქლიავისაგან, უფრო შანქლიავისაგან, ამზადებენ **პავიდლოს — ჯემს. ტყლაპს**.

ტყლაპის დამზადება: ქლიავს მოხარშავენ, **ამობურკავენ** — კურკებს ამოაცლიან, დაასხამენ სუფთა ფიცარზე და გააშრობენ.

ქლიავი მრავლდება ნერგის მეშვეობით; ნერგს ხ'შირად თვითონ ამოიყრის ძირ'ში; რაც უფრო ბერდება ხე, მით უფრო მეტია მის ძირ'ში ნერგი. შეიძლება კურკის — **ბურკის** დათესვა და მისგან ამოსული ნერგიც ვარგისია. ირგვება გიორგობისთვეში — ნოემბერში ან **გამარტებულში** — მარტ'ში, გაზაფხულზე, **კვირტის გამოსვლამდე**; მაშინ **ხეს ძინავს** და მისი გახარება უფრო საიმედოა; მცენარე უნდა დაირგოს მშრალ და მზიან ადგილ'ში, **ჰონჭყოიან** — ჰაობიან, სველ ნიადაგ'ში ნერგი ნაკლებ იხარებს. ნერგისათვის მიწა უნდა მოითხაროს ღრმად („ღმათ“); ნერგის დარგვის შემდეგ გარშემო კარგად უნდა **მეიტენოს** — დაიტკეპნოს.

სამ წელიწადში ნერგი **ნიშანს გამეიბამს** — პირველ ნაყოფს გამოისხამს. ქლიავი **მეწლეა** — აქვს მოსავლიანობისა და მოუსავლიანობის წლები („მეწლეა ყველე, ერ წელიწათს იბამს, მორე წელიწათს არა“).

ქლიავი აყვავილდება მარტის თვეში, შემდეგ **მიყობა** და აპრილში **გამოთავდება** — ყვავილობას დაამთავრებს.

კორკიმელე — მისი ნაყოფი მოგრძოა, სასიამოვნო შეფერილობისა. ცალი გვერდი წითელი აქვს, ცალი ყვითელი. მწიფდება მარიობისთვეში — აგვისტოში. მწიფობისას ძალიან გემრიელია, ისე **მოშჟაო** გემოსია — **წარეა**. ხე იზრდება საშუალო სიმაღლისა.

ჰანჭურია — ნაყოფი **ორტყუპეა** || **ტყუპ-ტყუპეა** — ერთი შეხედვით, თითქოს გაყოფილია სიგრძივ, შუაზე და ამას უწოდებენ ორტყუპას. შეფერილობით მკვეთრი წითელი არაა, ბაცია — **ლიბერია**. სიმწიფისას იცის გაყვითლება. ნაყოფი მეტად ტკბილია და მისგან კარგი არაყი იხდება („ღელესავეთ გამოდის, ყოველი ტკპილის (= ხილს) კარქათ გამოდის ოტკა“). შემოდის მარიამობისთვეში.

ჰანჭურსა და კორკიმელს ქლიავის ჯიშებთან ერთად იხსენიებენ. როცა იტყვიან „ეზოში გვაქ ქლიავები და ვაშლები“ — ამაში იგულისხმება ჰანჭური, კორკიმელი და თვით ქლიავის სხვადასხვა ჯიში.

2. ლეღვი

გავრცელებულია შემდეგი ჯიშები:

თეთრი ლეღვი; შავი ლეღვი || შავლეღვე; ორმოსავალე — ერთი მოსავალი შემოდის კვირკვობისთვეში — ივლისში, მეორე — **საგვიანო** ლეღვთან ერთად; **ბერძული ლეღვი** — აქვს უფრო დიდი ზომის და თეთრი ნაყოფი; გემრიელია; **კინწა ლეღვი — ყირწები** — ყუნწები აქვს გრძელი, სახელწოდებაც აქედანაა („**დაკონწიალებულია, კაი ბუზუნიე**“). ნაყოფი მოზრდილი ზომისაა; **ჩიტლეღვე** — აქვს მცირე ზომის ნაყოფი, ღვინისფერია; მთქმელის ახსნით, სიმცირის გამო უნდა ერქვას ეს სახელი.

ლეღვის ნერგი ხის ძირშივე იზრდება, უმეტესად ფესვზე ამონაყარია. მას **გარაწიგნავენ** — დადებენ მიწაზე და შუაში დააყრიან მიწას. შემდეგ როცა ფესვებს გამოიღებს, მთავარ ძირს მოაშორებენ, გადაჭრიან. ასე მიიღებენ დამოუკიდებელ ნერგს („პეტერე **პონწკლე-**

ბიც რო ექნეს", ე. ი. მცირე ფესვები). ნერგს გადარგავენ სასურველ ადგილას. არის ნერგის გაკეთების მეორე ხერხიც: მოჭრიან ლეღვის **ბოლს** — ტოტს, ორივე თავით ჩაასობენ მიწაში; იგი გაიკეთებს ფესვებს და ზევით შუაზე ამოიყრის; ამგვარად მიღებულ ნერგსაც გადარგავენ სასურველ ადგილას;

დარგვა შეიძლება მარტშიც, მაგრამ უმჯობესია ნოემბერში. სამ წელიწადში „ნიშანს გამოიღებს".

ლეღვმა თავისებური ყვავილობა იცის: აქა-იქ „ბოლს" თითო **კეკალი** ლეღვი გამოაჩნდება. მას ეძახიან **ყვავილს**. ყვავილობისას გამოსული ლეღვი **ფსუტალეა** — უგულოა („გუდაფშუტასაველთა შითე"); შემდეგ ეს კაკლები ჩამოცვივა („პარტყა-პურტყი გააქ მიწაზე, ეგერ პერტყავს, აგერ"). ფოთოლქვეშ **ნეშოების** ძირში ამოდის **გვრა-გვრალი, ბეწვწვანი** ლეღვი; ეს უკვე სანაყოფო ლეღვია.

ლეღვის ნაყოფს აქვს თავისებური თეთრი ფერის გამონადენი, რომელსაც **რძე** ჰქვია. დაუმწიფებელი ნაყოფის ან ფოთლის მოწყვეტისას **გამოტირდება რძე**; უმწიფარ ლეღვს **ბაჟე** (ქეგლ. ქ. ძოწ. ბაჟიანი) ლეღვი ჰქვია: ზედმეტად დამწიფებული ლეღვი **ამძაღდება, გარამძაღდება**; საშმელ ლეღვს კანი უნდა გააცალო, უნდა **გაპუწკნო**.

ჩირის დამზადება: ჩირს უწოდებენ **ჩილას**; ლეღვის ნაყოფს **დაჩილავენ** — მცირე ზომისად დააჭუცმაცებენ, გააფენენ ქაღალდზე და მზეზე დადებენ. ლეღვი **მოჭკნება**. გახმება. თუ შაქარს დააყრიან, **მოკრიბავს** შაქარი — გაამაგრებს, მოაჭკნობს, შეერგება.

აკეთებენ მურაბასაც.

3. ტყემალი

ჯიშები: **შავი ტყემალი, ყვითელი ტყემალი, წითელი ტყემალი** — სახელწოდება დარქმეული აქვს ფერის მიხედვით; **ალუნჩის ბუში** (ა. მაყაშვ., ქ. ძოწ., ი. ქავთ. II, ალუნჩა) — გემოთი შედარებით ტკბილია; ტყემალი შემოდის ივანობისთვეში — ივნისში.

ნერგი ძირშივე უჩნდება, ამოდის კურკაზეც; აკეთებენ ნამყენსაც.

ტყემალმა იცის **ამიდის არჩევა**: თუ ძალიან სიცხეები დაიჭირა, **მოხალავს**. უდროოდ ჩამოცვივა ნაყოფი.

ტყემლისგან ამზადებენ **კვანწარახს**: **საკვანწარეხე ტყემალს**

დარეკავენ — ჩამოყრიან; მოხარშავენ, გაწურავენ **საწურაში**, რომელიც წნელისგანაა გაკეთებული. წვენს ხელახლა მოადუღებენ, ადუღებენ იმდენს რომ მცირეზე დავიდეს და გამუქდეს; კვაწარახს **შეუკმაზავად** ინახავენ; საწურაში დარჩება **ხენჯი**, მისგან ტყლაპს ამზადებენ: **ამობურკავენ** — კურკებს ამოაცლიან, დაასხამენ ყავარზე და დადებენ მზეში. თუ კარგი ამინდი არ დაესწრო, **აბეავდება, აფამფალდება** — აფუვდება და გაფუქდება;

ტყემალს ადუღებენ **კვაწაპათ**; ამგვარ ტყემალს უწოდებენ **საკვაწაპე ტყემალს**;

საჭურე ტყემალი ჭურში ჩასაყრელ და საარყე ტყემალს ჰქვია. იგი აუცილებლად **„მისით უნდა ჩამოცვინდეს"**; ჭურში ამოვების შემდეგ მისგან ხდიან არაყს.

4. ვაშლი

გადიდში გავრცელებულია ვაშლის შემდეგი ჯიშები:

ქვავაშლე — წითელი ფერის, მრგვალი, მომცრო ზომის, მაგარი ნაყოფი აქვს. გემოთი მჟავეა; საზამთრო ვაშლია; იანვრის შემდეგ **„ტკპება"**.

სანეფო ვაშლი — მომცრო, წითელი ფერის, მოგრძო ფორმის ნაყოფით („მეფიზა მისართმოვი იყო"). გემოთი ტკბილია; **ბუღა ვაშლი** (გ. შარაშ.) — დიდი ზომის ნაყოფით ხასიათდება, სახელწოდებაც აქედანაა; **თეთრი ვაშლი; წითელი ვაშლი; დიდკეკალე ვაშლი; ლეჩხუმური ვაშლი**.

ვაშლის ხეს მეტწილად ამყნიან. ყვავილობს გაზაფხულზე. ნაყოფს იძლევა 6 წლის ხე. იკრიფება სხვადასხვა დროს. ქვავაშლე იკრიფება წიფობისთვეში — ოქტომბერში, ძველ მთვარეზე („ერთი კვირე წიფობისთვე უნდა გეიაროს").

კრეფენ საკრეფიას საშუალებითაც; **საკრეფიე** — ხილის საკრეფად დამზადებული სპეციალური ხელსაწყოა, აქვს დაკბილული ზედა კიდეები. ქვედა მხარე თავისუფალი აქვს და ზედ მიკერებულია **ტომხიკე**. აგებენ გრძელ ტარს (3-4მ); ხის ტოტზე დამჯდარი კაცი „საკრეფიეთ" შორეულ ტოტზეც ადვილად კრეფს ხილს;

ქვავაშლა კარგად ინახება. ყრიან მიწაზე; ორმოში ჩაყრა არ შეიძლება („ორმოში რო შევინახე, ქონქივით გახდა, დეიქონქა; ჩვენთან,

იმერეთში სხვანაირი შენახვა უნდა ხილს". **დაქონქვა** — სიდამპლისაგან ხილის დაშლა).

ბუდა ვაშლი შემოდის მარიამობისთვეში. ლეჩხუმური ვაშლი უფრო გვიან, ოქტომბერში. ვაშლმა განსაკუთრებით იცის **მეწლეობა** — მოსავლიანობისა და მოუსავლიანობის წლები: არის წელი, როცა ვაშლი **მომბამია**, არის — როცა **„მომბამი არა"**, **ცარიელეა**. ამ დროს იტყვიან „წელს წლობა აქ ვაშს".

5. მსხალი

მსხალს **ფსხალს** ეძახიან.

ჯიშები: **გულაბი** — შემოდის მარიამობისთვეში — აგვისტოში. **წითელი გულაბი** — მეორენაირად ეძახიან **ზამთრის გულაბს** — შემოდის ენკენისთვეში — სექტემბერში. **წვრილფსხალი, კვიჰიჰე** საზამთროა, იკრიფება ნოემბერში („რამდონს გვიან მოკრიფავ, იმდონი კაია". მაგრამ ეს მსხალი ახლა ნაკლებაა გავრცელებული, აღარ ამყნიან, **„წოუდა ვადა"**. **ხეჰეჰური ფსხალი** ძველი მსხალია. იკრიფება ოქტომბრის ბოლოს. შესანახად ყრიან ჰურში; ამოამშრალებენ ჰურს, ჩაყრიან, დაახურავენ თავს და **დაგნისავენ**. გაშავდება მსხალი, გემოს ოდნავ სიმჟავე დაკრავს, **მოუღნება**, მაგრამ კარგი საჰმელია. მეორენაირად ინახავენ **ჩენჩქში**; ასე ინახავენ წვრილფსხალსაც; **ხაუვითლავე ფსხალი** — შემოდის კვირკვობისთვეში — ივლისში; **შავი ფსხალი** — ტკბილი გემოსია, შემოდის მარიამობისთვეში — აგვისტოში. **საკვირკვობისთვო ფსხალი**. **წვრიკეკალე ფსხლები** სხვა ჯიშია; **კიფერი ფსხალი** — საშემოდგომო მსხალია. **კაცისთავე** მწიფდება მარიამობისთვეში — აგვისტოში; **თავარი** კეკლები — დიდი ზომის ნაყოფი აქვს და სახელწოდებაც ამის გამო უნდა ჰქონდეს დარქმეული. **გვერწითელე ფსხალი**; **თეთრი ფსხალი** — კვირკვობისთვეში — ივლისში მწიფდება. **გულსაყარე ფსხალი** — ძალიან ტკბილია და „მიტო უძახით გულსაყარას".

მსხალმა იცის **დაკუჰება** — მწიფობისას გაშავება. მწიფე მსხალს ჰქვია **კუჰე ფსხალი**; ზედმეტად დამწიფებული — **გარამკუჰებული** („გარამკუჰტა") მსხალი მხოლოდ საარაყედ გამოდგება. წვრიკეკალე მსხალი ძირითადად **საჰურე ფსხალია**; თუ ძალიან არ დამწიფდა, არ „დამკუჰტა", მწარე გემოსია — **ძიანკოლეა**.

მსხალი აყვავილდება მარტში, თუ „გარმოთუა“, **მოწვავს**. ასეთი ყვავილი **მოცივა უნდილათ** — უდროოდ.

იყენებენ საშმელად. ამზადებენ კომპოტს, ჩირს...

6. ბალი

კახამბალი, თეთბალი (თეთრი ბალი), წარე ბალი, ქვიშნა ბალი, შავბალე.

ბალი ძირითადად შემოდის მაისის ბოლოს ან ივნისში — ივანობისთვეში. კახამბალს წითელი ფერის გემრიელი ნაყოფი აქვს, ქვიშნა ბალი (ალუბალი) თუ ძალიან არ დამწიფდა, ისე „ნაკლები საშმელია“, **ძლაგეა**. მომჟავო გემო აქვს. თეთრი ბალი სამურაბეა.

ბალს ამყნიან. კურკაზე ამოსული **წარე ბალია**. ბალმაც იცის **წლობა**.

7. ყურძენი

დაბლარი ჯიშებია: **ცოლიკოური, შავი ჩხაველი, შავი ალადასტური, საფერავი, მაღლარია — კაბიოსტონი, ფრანგე** („აგენი დახმა, გაროუდა ვადა“). **მწვანე, თეთრი ადესე, შავი ადესე.**

8. ატამი

არტამი არის ორნაირი: **საგვიანო არტამი** — რომელიც მარიამობისთვეში — აგვისტოში შემოდის, **საადრიო არტამი** — რომელიც უფრო ადრე, ივნისში მწიფდება. ნაყოფი ხაოიანია **„ბუმბლები აქ“**. ხე მალე ხმება და ამდენად ატამი ნაკლებ გვხვდება გლეხის კარ-მიდამოში.

9. სხმარტლი

სხმარტლი არის **წვრიკეკალე სხმარტლი** და **ნამყენი** ანუ **დიდკეკალე** სხმარტლი; ამ უკანასკნელს **თავარი კეკლები** აქვს. სხმარტლს ამყნიან არა სხმარტყლზე, არამედ ტყემალზე. შემოდის **ნაშამოდექეფს** — გვიან შემოდგომაზე. ყვავილობს გვიან, იცის **მო-**

წვა („თუ სიცივეები წოუდგა, მოწვავს"); ხეზე იშვიათად მწიფდება, ისე გვიან შემოდის; მოკრეფენ ჯერ კიდევ უმწიფარს, დაყრიან **ჩენჩ-ში**, თუმცა ეს აუცილებელი არაა. სხმარტლი თანდათან მწიფდება („გამეილევა პეტერ-პეტერა დამწიფებაში").

10. ბროწეული

ბერწოული არის ნამყენიც, რომელსაც უფრო დიდი და ტკბილი ნაყოფი აქვს, განსხვავებით ჩვეულებრივი ბროწეულისაგან. დაუმყნელი ბროწეული უფრო **ცხარეა** — მომჟავო გემო აქვს და ხშირად **წარე ბერწოულსაც** ეძახიან. მას იყენებენ უფრო საჭმლის შესანელებლად. „შამოა გიორგობისთვეში, ქრიშობისთვეშიცა ხეზე, გვიანობაამდია ხეზე ბერწოული".

11. კარალიოკი

კარალოკი ყვავილობს მარტში. იცის წლობა. **მომბამ** წელიწადს აქვს ძალიან ბევრი ყვავილი, **პურჭყი-პურჭყი ყვავილი** (ჩამოყრილ ყვავილს არ აშმევდნენ ინდაურის წიწილებს, „წიპიას", რადგან კლავს). ყვავილობის შემდეგ ნაყოფი შედარებით მცირე რჩება. განასხვავებენ **ლაშე კარალოკს** და **ქაი კარალოკს**. ამყნიან **ხუმბლაზე**. არის კიდევ **წვრილი ხუმბლე** ანუ **ლაშე ხუმბლე** („გამომბვა იცის წვრი-წვრილი კეკლების, ღომის ჩხოსავეთ"), უნდა დაიმყნას ძირში. იმყნება შემოდგომაზე. ხეზე არ ამწიფებენ; მოკრეფენ, დააწყობენ და თანდათან მწიფდება.

იყენებენ საარაყედაც. მაგრამ უმწიფარის ჩაყრა არ ვარგა; უნდა დაყარონ, კარგად უნდა დამწიფდეს — **დათორხალდეს** და შემდეგ ყრიან ჭურში.

აკეთებენ ჩირსაც. **დაჩილავენ**, დაჭრიან პატარ-პატარაზე, დაყრიან სუფთა ფიცარზე ან **„ჟეშტზე"**. მეორენაირად — გათლიან, **ახინცლავენ** ძაფზე, დაკიდებენ მზეზე და გაახმობენ. გამხმარი კარალიოკი იფარება თეთრი ფერის ფქვილით, რომელსაც **ხიტკპოს** უწოდებენ. ამგვარ ჩირზე ამბობენ **„დატკპილდაო"** („თეთრი ობი გონია, მარა სიტკპოა იგი").

12. კომში

იმერეთში უწოდებენ **ბიას**. ბია **მეძვირეა**, ე. ი. ძალიან ცოტას ისხამს საერთოდ, მიუხედავად ყვავილობისას ყვავილის სიმრავლისა. ხე მეტისმეტად მძიმეა. **ძირები** — ფესვები სუსტი აქვს, ღრმად არ მიდის მიწაში და ხშირად იცის მოთხრა. ნაყოფი **ბუმბულით** აქვს დაფარული. ზოგიერთი ბია ძნელი საშენელია სიმშრალის გამო და მას **მახჩობელას** ეძახიან („ჩემი ბია მახჩობელეა და ზოგიერთი არა მახჩობელე"). იკრიფება შემოდგომაზე, ვაშლებთან ერთად. მისგან აკეთებენ ჩირს ან ხდიან არაყს. ჩირს ურევენ სხვა ხილთა ჩირებს და ზამთარში ხარშავენ კომპოტად.

13. წყავი

განასხვავებენ **ბაღის წყავს** და **ტყის წყავს**. ძირითადად ბაღის წყავს რგავენ ეზოებში. აქვს ყვითელი ნაყოფი; თუ ძალიან არ დამწიფდა, მწარეა... ტყის წყავს შავი ნაყოფი აქვს და ტყეში დათვები ჭამენ. „**ლაშეა, ამოგილაშეფს** პირს".

14. წაბლი

წაბლს ეზოში ნაკლებ რგავენ. ყვავილობისას ყვავილად „**გძე-გძელი კინწლები** აქ". შემოდის გვიან შემოდგომაზე. ნაყოფის ეკლიან საფარს ჰქვია **ბურძგალე**; **პირს რო იზამს**, ე. ი. ეკლიანი საფარი რომ გაიხსნება და წაბლი გამოჩნდება, უკვე მწიფს. მას უწოდებენ **პირნაქნარს**. **პირი უქნიაო**, — იტყვიან. ჩამოცვივა ჯერ წაბლი და შემდეგ ეკლიანი საფარი. **წაბლის ნეშოს** — ფოთოლს იყენებენ კეცში ჭადის დასაცხობად. მას აფარებენ, რომ არ დაიწვას.

15. ნიგოზი

ამრავლებენ საგანგებოდ გამოყვანილი ნერგით. ნაყოფს ჰქვია **ნიგვზის კეკალი**. მოთავსებულია **ღენჭოში**, რომელსაც უწოდებენ **ღენჭეპურასაც**. როცა ნაყოფი დამწიფდება, ღენჭეპურე გასკდება და ნიგოზი მიწაზე ჩამოვარდება. ენკენისთვეში — სექტემბერში **რეკავენ**

— ბერტყავენ ნიგოზს. ლებნის შუაში მოთავსებულ თხელ ფენას ჰქვია **ხაფსი || ხაფსილე**.

მეხილეობასთან დაკავშირებული სხვა ლექსიკური ერთეულები

დანაძული || დაძანძული — დახუნძლული, კარგად მსხმოიარე ხეხილის ხე, ვაშლი ან მსხალი (ტოტები ნაყოფის სიმძიმისაგან დაბრილი აქვს).

მიზიზინებული — ნაყოფით დატვირთული ხე.

მინაბდული — კარგად მსხმოიარე ხე („შარშან გოუკვირდათ, რაფერ აბია ამ ვაშლეფს, რაფერ მინაბდულიაო".

დაყურული (ქეგლ დაყუსული) — დახუნძლული ხე („ხო ხედავ, რაფერ დაყურული აქ ამ ვაშს ბოლები, ბარჯგები თვარ შოუყენე, დაატუტება ყველე").

ცუდალიე ხე — უნაყოფო ხეხილის ხე.

არყის გამოხდა

ძირითადად საარაყედ **ძირნაყარ** — ჩამოყრილ ხილს იყენებენ. თუ ხილი მაგარია (ვაშლი, კომში, მსხალი და ა. შ.), მას **დაჩეჩქვავენ** — დაბეჟავენ, დააქუცმაცებენ **კვეჟოთი** (კვეჟოით). კვეჟო — სპეციალური ხის უროა ხილის დასაბეჟად. კარალიოკს დაამწიფებენ, როცა **დათოთოვდება** — სიმწიფისაგან დარბილდება, მერე ჩაყრიან. ქლიავსა და ტყემალს საარაყედ იყენებენ მხოლოდ ჩამოყრილს.

არაყს **ოტკას** უწოდებენ: განასხვავებენ **ჭაჭის ოტკას** და **ხილის ოტკას**;

ჭურში ჩაყრილ ხილს თავსახურს დაახურავენ და **დაგნისავენ**. **სახადი**, ასე ჰქვია ჭურში ჩაყრილ საარყე ხილს, **დაკეთოება** შიგ. ჭურის მოხდისას სუნით ეტყობა, თუ როგორია სახადი.

არყის გამოხდას იწყებენ ქვაბის **მომგვანებით** — მოწყობით. საარყე ქვაბს, რომელსაც **საოტკე ან ხარახე ქვაბს** უწოდებენ, დადგამენ ქვებზე ისე, რომ ცეცხლი კარგად შეენთოს. მიაბამრებენ **მილს**, მოარგებენ ქვაბის **თავსახურს**; მილი გადის ხის წყლიან **როფაში**.

საოტკე ქვაბში ყრიან სახადს და შეურევენ წყალს, რომელსაც

ჟური ჰქვია. ჟური ათხელებს სახადს და ხელს უშლის მის **მოხრაკვას**. თავსახურს კარგად დაახურავენ და **მიაგნისავენ ტუტით** — ნაცრით, რათა გარეთ არ გამოვიდეს ორთქლი — **სული**.

შემდეგ იწყება გამოხდა. ორთქლი გაივლის მილში და გაცივებული გამოედინება **კამარად** — არყის წვრილ დინებად. ერთი ქვაბის გამონახადს ჰქვია **ერთი დადგმა**. არყის სიმაგრე მოწმდება ცეცხლში შესხმით, სანამ ცეცხლი ეკიდება, მანამდე არაყი კარგია. თუ არ მოეკიდა, ე. ი. **გასაიებულია, საიაა** უკვე. პირველნახად არაყს ჰქვია **რახი**.

პირველნახად არაყს **გარააბრუნებენ** — ხელმეორედ გამოხდიან; ქვაბში ჩასხმულ არაყში ჩაყრიან ნახშირის პატარა ნატეხებს, რომელიც არყის ჭუჭყს მიიკრავს. პირველად გამოსულ არაყს **წინაწვერე** ჰქვია; წინაწვერი **ჯაჭვს** არ იკეთებს; შემდეგ გამოდის **გაგალებული** (შდრ. გ. შარაშ. გალა — სუსტი) — უფრო რბილი არაყი. წინაწვერას შეურევენ გაგალებულ არაყს, რასაც **შეკეთება** ჰქვია („შევაკეთეფ ამითინ"). შეასხამენ იმდენს, რამდენსაც შეირგებს — **გეიტანს**. შეზავებულ არაყს უკეთდება ჯაჭვი, როცა ჭიქას შეანძრევენ, არაყი ჯაჭვით დაიფარება ანუ **ჩეიპოლება თლათ**.

ქვაბში დარჩენილ სითხეს ჰქვია **ნახადი**. თუ კიდევ ხდიან სახადს, მაშინ ჟურის ნაცვლად ქვაბში ნახადს ჩაასხამენ.

მცენარის დამყნა

მცენარე იმყნება გაზაფხულზე, მარტში, ძველით **ცხრა მარტობას**. ძირითადად ამ დღეს იციან დამყნა.

ნამყენი კეთდება ნერგზე, რომელსაც **წარე** ჰქვია. წარედ გამოუენებულია ძირში ამონაყარი ან კურკაზე ამოსული ნერგი; ეს ნერგი ჯერ თვითონ უნდა **გახარდეს**, რომ შეძლოს ნამყენის გახარება; იმ მცენარეს, რომელიც უნდა დაემყნას, ჰქვია **ტკპილი** („წარე თუ არაა ძირი, ისე არ გეიხარეფს; ტკპილი ტკპილზე რო დაამყნა, არ გეიხარეფს").

უნდა მოტეხო **სანამყენო** — მცენარე, რომელიც უნდა დაიმყნას. წინასწარ აირჩევა **მუხლებიანი** — კვირტიანი ტოტი. დანით ცალ **კედაროს** ანუ ცალ მხარეს წაუთლიან. ასევე წაეთლება იმ ტოტს, რომელზედაც უნდა დაიმყნას, ანუ წარეს. ამ წათლილ გვერდებს მიადებენ ერთმანეთზე; წაუსვამენ **ყალომიწას**, რომელიც **აგრილებს** და წყლის ჩასვლას ხელს უშლის; შეიძლება წაუსვან სანთელი და ქონი ერთმანეთში არეული; დამყნილს შემოახვევენ **ჭინჭს** — ნაჭერს; ტოტები ერთმანეთს მიეზრდება და ნამყენიც დამზადდება. თუ გაიხარა, მაშინ მცენარე ამოიყრის **ბოლეფს**, ტოტებს.

1. მარუსა თეოფანეს ასული შარაშენიძე
(დაბ. 1914 წელს)

1) სამწყემსურში; სათრიელის გაკეთება.

დევიარებოდი სამწყესურში. ღარბი მამის შვილი ვიყაი, რვაი დედმამიშვილი ვიყაით. ღარბები ვიყაით. ხუთ წელიწაც ვიარე. მეტი არ მიარია. მერეთ მემესტრო კიდო უნფროსი დანები, ხან იგენი დეიარებოდენ, ჩემზე უნცროსვანები. მერეთ მეც ვიარე კიდო მორეჯენ ერთ წელიწაც. ხოდა ექვსი წელიწადი ვიარე სულ სამწყესურში. მეტი არ მიარია. ჩემი დედმამიშვილებიც დეიარებოდენ ცოტა ხანს, ორ წელიწაც იარენ, მეტი არ უარიათ. მერე მამაჩემა გააგძელა სამწყესურში სიარული, ჩვენ, ბოფშები, შეგვიცოდა. ჩვენ ქე ვიყაით, ვეხმარებოით ისე უანაში.

[სამწყემსურში] ვცეკვავდით, ვთამაშობდით, **სიკორწიანას** გევიმბამდით დიდ ხეზე და **ვკორწიანობდით. ბრეველი** ვიყაით ოცი-ოზდახუთი. ბოფშები რო მევიყრიდით თავს და წევიღებდით საშმელს, დავკიდებდით, გავამსებდით ერ ხეს. დავკიდებდით ხეებზე ჩვენ-ჩვენ საშმელეფს, გეიფსებოდა ერთი ხეი, ბოლები, იმდონს დავკიდებდით საშმელებს ზეთე. მერეთ დაღამდებოდა და წამევიდოით. წამოვრეკავდით ჩვენ საქონლებს და წამევიდოით.

ჩვენ ძროხები ბევრი ქვყავდა, ხარები ბევრი ყავდა მამაჩემს, სამი უღელი ხარი ყავდა, სამი ცალი ძროხა ყავდა, თხები ქვყავდა, ცხვრები ქვყავდა, ღორები ხო ქვყავდა, მარა იგენს ჩვენ არ ვწუესავდით, იგენი გაშობილი ქვყავდა.

ერთ ძროხას **ტიგურე** ქვიოდა, მეორე ძროხას **ირემე** ქვიოდა, მესამე ძროხას **ლამაზე** ქვიოდა. სამი უღელი ხარი იყო, ექვსი ხარი. ერთს **კორიე** ქვიოდა, მეორეს **ვასკა** ქვიოდა, მესამეს **ლომა** ქვიოდა, მევოთხეს **ირემე** ქვიოდა, მეხუთეს ქვიოდა **კაბელე**, მეექვსე ხარს ქვიოდა ... დედა, **ოაგავი** სახელი იყო იმისი.

ცხენი ყავდა კიდო, იმას ქვიოდა **მურადე**. ცხენი ბაბას დაყავდა, ველეები იყო, დიდვრანი ველეები და ამბამდა მამე ცხენს და საღამოიზა მოუკრეფდა ბალახს და წამეიღებდა და წამეიყვანდა ცხენს. სა-

ქონელს ჩვენ მოვდენიდით. **სათრიელს** წამეიღებდა, შეშას წამეიღებდა; დოუმბამდა ხარეფს; ხოდა ორი ხარი უნდა შემბულიყო შითე სათრიელში. (შეშაა, ახლა, აი სათრიელი). ორ ხარს შეაბამდა შითე და წამეიღებდა შეშას. ეი სათრიელი — ხეს მოჭრის, ბებია, ეისე ხეს, სტოლბა როა ეისე, გძელ ხეს მოჭრის, გამოფსხლავს, გაართუმს ბოლებს, ხოდა დოუმბამს ხარეფს, უღელს დაადგამს კისერზე, კანდრი აქ შვაზე ხარს; კანდრი — **ღვლეჭი**; ტყეში მოჭრის, წყავის ბოლი იყოს, გინდა თხილის ბოლი იყვეს, აგენს მოჭრის და **მოამწირახეფს** ასე, და გააკეთეფს ი უღელზე. მერე **რიკის** გოუკეთეფს. გოუყრის შითე. დოუბამს ორ ხარს და წამუა ხარები და მეიტანს შეშას და დევინთეფთ ცეცხლის. ასე იყო, ახლა, მამაჩემის და ჩვენი საქმე.

2) მეურნეობა და ოჯახი

რაფრა თესავდა ვთქუა? მამაჩემი ბევრი ყანას თესავდა, ბევრი შვილები ყავდა მამაჩემს და ბევრი ყანას თესავდა. პურს თესავდა, **ქუბის** თესავდა. არ გამემელიოსო საშმელი ბოფშებიზაო და, სიმიდი არ გამემელიოსო, და აგენს თესავდა. პური კაი იყო, **ცეხვავდა**, ღომს თესავდა. ღომის დიდი **ჩამური** ქონდა გაკეთებული (ხის ჩამური იყო დიდი). მერე იმის **სარაკუნებელი მოღაღვინებული** ხეი იყო კიდო. დიდი ხეი მოღაღვინებული, ხოდა იმას ჩაარტყამდა ასე და, ჩაარტყამდა და იფშვნებოდა იი, ღომი. მერე გარმეიღებდა მამაჩემი იმ ღომს ვედროეფში, რამეეფში და საწყალი დედე **ურეკავდა** იმას. დაქვჯირდებოდა ღომი და გავაკეთებდით იმის ღომს, ღომის ღომს. ნემეტანი კაი იყო. არ მოუშიებივართ საწყალ მამას. მართლა არ მოუშიებივართ. შიმშილობა იყო და ჩვენ მართლა არ შექვკლებია. ყორიფელს აკეთებდა საწყალი მამე. ბოფშები ისე დაგვზარდა, ისე ვიყაით, აი **უხინჩო** შვილები, არ ვყოფილვართ **ხინჩიანი** რვაი შვილი, არც მუუშიებია ჩვენთვინ და არც მოუწყურებია. ეგი იყო, რომე კლაში ვერ გვარონია, ბევრი ვიყაით. არ იყო კლასი მაშვინ, სა იყო. ახლა რო კლასია, ასე იყო? სად იყო კლასი, არ იყო, საცხა დაათრევდა ბაღნები პარტებს, მოსახლეებში, რაცხას და რემელიც დეიარებოდა, იმანაც ქე დაანება მერე თავი. გაგვიჭირდა პარტები, ვერ ვათრიეთ მოსახლეეფში. ასთე ვიყაით, ბებია.

ყურძენი **მეტი რაი ქვონდა**, ხეებზე ქვონდა აღესე, დიდვრანი

ხეებზე ადესეები, დაბლა თეთრი ცოლკოური ბევრი ქვონდა, **თეთრი ფრანგე** ყურძენი ქვონდა, ხოდა, შავი **ჩხაველე** ქვონდა, **ადესე**, **საფერი** და **თეთრი ცოლკოური** ქვონდა. ხუთნაირი ყურძენი ქვონდა. ბევრი იყო ყორფელი. ხეხილი — ვაშლები, ბაღის ვაშლის უძახოით, ბუღა ვაშს, დიდვრან-დიდვრანი კეკლები, **ბუღა ვაშლი**, ახლა არა ი ვაშლები; ძველებური **სანეფო ვაშლი**, ე, იგია კიდო ძველებური ვაშლი. აი სანეფო ვაშლი ქვონდა, წვრილი ფსხალი ქვონდა, საზამთრო ფსხალი ქვონდა, საზაფხულო ფსხლები ქვონდა, თეთრი ფსხალი ქვიოდა, **გვერწოთელე ფსხალი** ქვიოდა, იი, მართლა ქე გვაქ ახლაც, ამისანეები. ხეხილები ბევრი იყო.

3) მცენარეები

ბალახები: საქმელათ ერთნაირი **წიწმარიტე**, მოვკრიფავდით, მოვხარჩავდით, შეკმაზავდა; **ქათმისქონეო**, **კატაპრასეო**, **ტახტახე** — ეგენი საქმელი იყო ყველე. უბრალო ბალახი გინდა? **ქურჩუმელე**, **გუმბროჯე**, **გუმბრა**, **ჯორიფეხე**, **ძროხისელე** — აგენი ღელეშია ყველე; საქონლის საქმელი **ბულღავე**, **დიყე**.

ხეების სახელები — ცხილე, წიფელე, თხმელე, ნაკერჩხალი; **ხელთეთრას** უძახოით; ხელთეთრე — ქაფი აქ საპონივით, რო მოწიკვავ. **ხელთოფიე** სხვაია. ი ხელთეთრე, ნეშოს მოკრიფავდი, გეისობდი ასე ხელზე და **პეფოიანი** იყო; კაპარის ხეი, კაპარს იმბამდა იი, **კაკილათ** ვკრეფდით ბოფშები, კაკილათ მოვკრეფდით და დავხვრიტავდით იმას და გევიკეთებდით კაკილათ. ამისანეები იყო.

4) ჭურჭელი

ახლა როა, იმისანე არაფელი არ იყო. მაშვინ იყო თიხები, კოკები; ვედროები არ იყო; ქოთნები, მიწის ქოთნები, იმაში ვხარჩავდით ლობიას. თიხის **ხალამეები** იყო, მიწის კეცები იყო. კასრულე და იგენი არ იყო. კობზები, ხის კობზები იყო. ახლა, კვახიზა რო გვინდოდა, კვახის ჭამა, პეტვრანი კობზები არ იყო, ხოდა ბაბე გააკეთებდა, საწყალი, კობზებივით პეტვრან ნიჩაპეებს და იმითინ ვჭამდით, ხიდან, ნაფოტედან გააკეთებდა, გამოთლიდა და კვახს ვჭამდით იმითი.

5) სოფ. გადიდის საგინებლები:

ჩვენ **ჯღუნიე** ქვია; ჯღუნიეო, **კოჭორიეო**, **მეწვენიეო**, **ჭიაღელეო** (ივანიას უძახოდენ), **თავწონიეო** (გირგოლიას) მეწვენიე ქე ვთქვი; მეწვენიას მართლა არ ვიცი რეტო უძახოდენ. დვალიშვილებში ხო სხვას უმბობენ, ჩვენთან, ახლა, ჩვენ ასე ვიცით. **ბუნდღიანეო**; ამას, ექვთიმეს — **წერბელიეო**;

6) ქორწილი.

მაშვინ იყო **შვაამლობა**. იქნებოდა გასათხვარი, ცოლსათხვარი, დოუდგებოდა იმას შვაამალი. და წევიდოდა პატრონები. ახლა, გოგოის პატრონი წევიდოდა და ბიჭის ოჯახს ნახავდა. (ახლა არ იციენ ასე, კარა ქე იციენ ახლათაც). ნახავდენ ბიჭის ოჯახს; მაგალითად თუ მეეწონებოდენ, ახლა, ე ბიჭის ოჯახი, მერეთ იგი ბიჭი წამევიდოდა და გოგოის ოჯახს ნახავდა. ჯერე ბიჭის ოჯახს ნახავდენ და გოგოის ოჯახსაც ნახავდენ. (ვაი, შენი ჭირიმე, **მოფშუკული** ჯობია რო შექხვთება, თუ კაი?) ჰო, წრეი. წრეს ყველაზე უწინ იკითხავდენ: **რეგელი** წრეი ყავს, თუა კაი წრეი. გლახა წრეი თუ არი, იწუნებდენ მაშვინ. ქალი მეეწონებოდენ, წრეს დეიწუნებდენ, თუ გლახა იყო წრეი, და დაანებებდენ თავს, გლახა წრეი ყავსო: თუ მივეითო და წრეი გვერჩი არ დაგვიქდა, არ ივარგაო, ქალი რათ მინდაო. ასე იყო, ახლა, მაშვინ და **ყრუობა** იყო თუ რაი იყო, აი არ ვიცი. გაკეთდებოდა საქმე, თუ ორვე კაი და წრეი იმასაც კაი ეყოლებოდა და ამ გოგოსაც, გაკეთდებოდა საქმე და დათქვამდენ დანიშვნის დროს. მაშვინ კარ დანიშნავდა. ნახა, ახლა, ამან და მეეწონა, კაია. წავა, ახლა, ეი ბიჭი და შამოთვლის იგი, რომე მე ამ და ამ დღეს მუალ ნიშვნაზე. მუალ ამ და ამ დღეს და აი გოგოის პატრონი მეებზადება. ტყული და რამე არ შეილებოდა. მეებზადება გოგოის პატრონი, გააბზადებს პურ-მარილს. მის დროზე მოვა აი ბიჭი და დანიშნავს ქალს, იქეიფებენ იმ ღამეს და წავლიენ.. ზოი, ვისაც ქონდა, კაი **სუშიერი** იყო, რაცხას ქე მოუტანდა ერ თავს და ახლა სამოცნაირს ყიდულობენ. ბეჭედი იცოდენ. ვისაც ქონდა რაცხა კალიცო ბეჭედს ერთს იყიდა იგი. თუ არა და არაფელს. ფული კი, კაცო, ფული იცოდენ. ფულს ბევრს მიიტანდენ.

მზითი, ზოი ქე თხოულობდა, რაც გინდა, იგი მიე შენ შვილსო,

მე მაგას არ ვიტყვი რამდონი უნდა მომცეო, რაც გინდა, იი მიეციო. თუ ქონდა ბევრი შეძლება, ბევრს მიცემდი. თუ არ ქონდა შეძლება და სულ არ მიცემდი, იმ ქალს არ დატოვდა იგი, ქე წეიყვანდა იმას მაინც იგი.

მზითვში **ქვეშაგებელს** მიცემდენ და ქვაბი იცოდენ, ტაშტი იცოდენ, ამისანაობა იცოდენ, მიცემდენ გოგოს.

ქორწილს დანიშნავდენ, რო დანიშნავდა ქალს მერე. რო დანიშნავდენ, მერე იტყოდენ წაყვანას. წაყვანას მალე იტყოდენ. ამ და ამ დროს, ამ რიცხვში და ასე უნდა წევიყვანო და ხოვერ დოუდგები წინ; უნდა მეებზადო, ღარბი ხარ თუ დიდარე ხარ, უნდა მეებზადო. ქორწილი-სეფა, მაშვინ იგი სეფები ახლა როა არ იცოდენ, — მიდორში იცოდენ. თუ ბევრი ქორწილს გადეიხდიდა ე კაცი, მიდორში, გაროუხურავ მიდორში, თვარა სახში ვინ დეეტეოდა. ახლა, ვის ქონდა მაშვინ იმისანა სახლები. ახლა კი აქვენ. ჯვარს იწერდენ ეკლესიაში.

საწყალი დედე კი იყო ჯვარდაწერილი. აქანე დეეწერა ჯვარი. ორ წელიწაც არ დეეწერენ ჯვარი დედეზა, **უწლევანი** ყოფილიყო. ორ წელიწაც მერე დეეწერენ ჯვარი.

პატარძალს — ახლა რო იცვამენ **ფოფიალეებს**, სა იყო ამისანები. რაცხას კაის ქე ჩააცუმდენ, აპა რას იზამდენ. თავზე არაფელი. არ ქონდა. ახლა როა, იმისანე სა იყო მაშვინ. საწყალ ჩემ დას ქე ქონდა **შხლაკვა**. ისე იაგავი რაცხა იყო. **შეწკვენტილი** უკან და ოქროსებურები სულ **შამოძეწკვილი**. მაღალი არ იყო. გაშლილი მერე იქით-აქითე პეტერე და ამ წინ და უკან **პეწეწვატი** ქუდებივით ქონდა. რო მოუტანა, ახლა, მაამთილმა და იგენმა ... კაი რამე მოუტანა იგენმა ჩემ დას, კაი რამე მოუტანენ. გულის ძეწკვი მოუტანენ, მაამთილმა, კაი ბეჭედი, სამი პკილი გამოუდა თელი პკილი ჩემ დას. კაი რამეები მოუტანენ ჩემ დას. ვინც იყო სუმიერი, კი ქონდა იგენს და შონილობდენ და, ვინც ღარბი იყო ვერც ქე ყიდულობდა და არც ბეჭედი ქონდენ.

7) მედიატორი

მედიატორე სოფელში კი იყო, გაყოფილობის დროს, აი ვალიკო ესტრებოდა. ხან ჩხუბი მოდიოდა, ხან შეთვისებით. როცხა შეთვისდებოდენ, მედიატორე არ უნდოდა იმას და თუ გაჯინდებოდენ და

მერე უნდა მეეყვანა მედიატორე, ეი მედიატორე არჩეული იყო, უბანში. ახლა, კაი თავნი კაცი, როგორც ახლა იციენ ქორწილებში თავნი კაცის ეირჩევენ, ე ისე **თავნი** კაცი იყო ი კაცი არჩეული. ერთი კაცი იყო, ამ სოფელში, ახლა, ეი ვალიკო იყო მედიატორეთ, ეგერ, ქიმუძაძეებს უძახით, იქინე არ წევიდოით, არც აქითე თოდუებში არ წევიდოით; მაი მისიან ხალხში, მის შარაშენიძეებში. ისე სხვებს ყავდა კიდო. მაგალითად, ფხეიძეებში ბესარიონ ფხეიძე იყო, კაი კაცი იყო და იი ყავდენ მედიატორეთ არჩეული. რასაც იტყოდა მედიატორე, გაარჩევდა იი კალონს, ამდონი უნდა მიცე, შენ ამდონი, იმას ამდონი, იგი უნდა გაკეთებულიყო. ჯერავდენ იმას და აკეთებდენ ისე საქმეს, დეეთანხმებოდენ ერთიმეორეს. ჩხუბს იზამდენ კიდო. მეზობლები იქნებოდა თუ ოჯახის წევრები იქნებოდა, ეი მედიატორე უნდა მეეყვანენ. აი ეტყოდა აგენს რომე, ასთეა, ასთეა, ასთეა, არ ქნათ; გაჩერდებოდენ. ახლა რო არიენ, ისე არ იყვენ. აი დიდი კაცი იყო მაშვინ, ვითომ მელიცია, ახლა რო არი და ე ისე იყო იი მაშვინ. ისე დიდი კაცი იყო მაშვინ იგი და უჯერებდენ ახლა იმას და გაჩერდებოდენ.

8) უველის დამზადება
(იმერული წესი — იმერული უველი)

რო მოვწველიდით, ახლა, ძროხას, **ჩავკვეთავდით** იმას. იმას უნდა ღორის **კვეთი**. რო დავკლავდით ღორს, კვეთი აქ იმას, დავაყენებდით იმ კვეთს თეთრ ღვინოში, შევინახავდით იმას ბალონ ბოთ'ში. ღორს აქ კვეთი, საქონელსაც კვეთი აქ. ყორიფელს კვეთი აქ საქონელს. ხოდა დავაყენებდით იმას ბალონში და დავასხამდით თეთრ ძმარს. რო მეიგებდა ახლა, ძროხა ხპოს და ერთი თვეს არ ვეჭამდით მის ნაწველს. მერეთ რო გაათაებდა ერ თვეს, იმ ერთ თვეს ხპოს ვაჭუმდით. მორჩებოდა ხპოს და მოვწველიდით, ხოდა საქონელს დავალევიებდით, ერ თვეს მერე გავწურავდით იმას საწურაში, კასრულაში (ხოდა მაშვინ ქოთანი იყო) კასრულაში გავწურავდით და უზამთ ამას ერთი ნახევარ საღვინე ჭიქას, ხუთი ბოთლი რო იქნება რძეი. ნახევარ საღვინე ჭიქას უზამთ **დარწყულს**. დოურევთ მერე ჯოხს, დავდგამთ კუთხეში და ჩეიკვეთება მისით იგი. წევიღებთ მერე და დავდგამდით კერასინკაზე. რო დავდგამდით და, ჩოუყოფდით დაბანილ ხელს, ხოდა ამევიყვანდით. მერე იმ **წაქას** ნადუღათ

მოადუღებდით, ჩავასხამდით ქვაბში წაქას. ხოდა დავდგამდით ცეცხზე და ნელ-ნელა ცეცხლის უზამდით და მოადუღებდით ნადუღას. მერე გავწურავდით, საწური ამოკერილი სუფთა. გავწურავდით იმ საწურაში და იმას დოურჩება მერე წაქა, ნადუღის ნაწური; მერე იმას ღორს დავალევიებდით, ხპოს დავალევიებდით. ხოდა ასე იყო საქონლის ნაწველი. მაწონს არ ვაკეთებდით. ერი წველა ყველი ზოი იქნებოდა ერკილოიანი, ზოი იქნებოდა ნახევარკილოიანი, ზოი ორკილოიანი, კაი ძროხები როცხა იყო. ასთე იმასშობოით.

9)

დავასტავდით მატყლის. ცხვრები ხო ქვყავდა? ვპარცავდით იმ ცხვრებს, გავრეცხავდით ი მატყლის, გავაშრობდით, მერე **დავკეკავდით** ხელით ასე, დავკეკავდით, მერე საჩეჩელი ჩვენ თუარ ქვონდა, ვინათხორებდით, მეზობლებს ქონდა, ვინათხორებდით. დავჩეჩავდით. იმას პკილები აქ, ფთილეებათ გავაკეთებდით, მერეთ დავასტავდით ი მატყლის, მერე მოატოლებდით იმ ძაფის ორფად, ორ თირისტარს გავამსებდით, ხოდა ი ორ თირისტარს **მოატოლებდით** ისე ორფათ, მერე დავძახავდით, უკუღმა დავაბრუნებდით თირისტარს, ხოდა **დავძახავდით** იმას, მოათავებდით დაძახვას, დიდ კვიტიტას გავაკეთებდით, მერე დევიწყებდით, მოვქსოვდით წინდას. გვეცვა წინდები ზამთარში ყველას, ბოფშებსაც, მამასაც, დედასაც, ყველას გვეცვა წინდები, ასე ვაკეთებდით ცხვრის ნაწარმიდან.

10)

აბრეშუმს ვაჟენდით. მეიყვანდენ აბრეშუმს მეაბრეშუმეები მოსახლესან. გამეიყვანდა იგენი აბრეშუმს, ნასტავლი ხალხი იყო იგენი, აპა უბრალო კი ვერ გამეიყვანდა აბრეშუმს, ხო, ქონდა იმას **უმკიბატორი** (ინკუბატორი), იმისანე რომე, ნელ-ნელათე, ნელ-ნელათე გამევიდოდა აბრეშუმი. მერეთ დეიბარებდენ მეაბრეშუმეებს, ქალებს, დეიბარებდენ; წევიდოდენ, მეიყვანდენ აბრეშუმს. პეწეწვატი აბრეშუმია, ვაპურებდით; ერ კანს პირველს მეიცვლის, მერე მეორეს მეიცვლის [ნაორკანები], მესამეს მეიცვლის [**ნაწარბკანები**], მეოთხე კანს მეიცვლის [**ნადიდკანები**]. მეოთხე კანში ამთავრებს კანის მოცვლას. მერე დეიზდება. **დიდ კანს** უძახით იმას — აბრეშუმის დიდი კანი. მერე ვაპუმდით შვიდ-რვა დღეს, ვაპუმდით და დეიზდებოდა, ახლა, ეგი

აბრეშუმი დიდვრანი. ჩოუდგამდით მერე **ცახიებს**, გუმბრიას, ცხილეს ნეშოს, მოვჭრიდით, ახლა, აგენს და გახმებოდა ეგენი, მევიტანდით სახში და მერვე დღეს გოუკეთებდით ცახებს, ჩოუდგამდით ბოლებს იქით-აქით, პირს გოროუხოვდით ასე **ჩელტებს**, არ გარმოცვინდეს ძირსო, მერე ჩელტებზე ცახებს ჩოუდგამდით, შედიოდენ ზეთე. შედიოდენ და აკეთებდენ პარკებს. სამ დღეში, ოთხ დღეში დაამთარებდენ პარკის გაკეთებას. ვაცდიდით მერე იმას და დაასრულებდენ, გაამაგრებდენ კარქა პარკის და გამოვხეკდით მერე და ჩავაბარებდით თავრობას. ჩვენ არ ამოქვონდა. **ყაჭი** იმ პარკიდან კეთდება. იმას, ჩაყრიენ **ნაცრიძალიაო** თუ რაცხაო, არ მიყურებია იგი, ისე ჩაყრიენ აი პარკებს და რაცხანაირათ კეთდება აი ყაჭი. **დუმფულ-დუმფულიე** პარკები, პარკის პარკები, გავწეწავდით მერე იმას, გავწეწავდით და დავასტავდით და ძაფი იყო. არ იყო ძაფი მაშვინ, კოჭები როა ახლა, ასე არ იყო, იმიდან ვსტავდით. ვაკეთებდით ასე და ვკერავდით იმ ყაჭის ძაფით; საკერავათ ვხმარობდით იმას.

11) ნათლობა

ნათვლა ქვონდა, ღვდელი იყო, მოგვნათლავდენ. მონათლული ვიყაით ყველე. ნათლიებს ეირჩევდა პატრონები, დედ-მამები; ხოდა წაგვიყვანდენ ეკლესიაზე, ხოდა მოგვნათლავდენ. რო დეიბადებოდა. ე მაშვინ ნათლავდენ. რო დეიბადებოდა, ჩაწერდენ, წევიდოდენ ჯერე და საბჭოში ჩაწერდენ ბაღანას, დეიწერდა იგენი რემელი რიცხვია, რემელ წელში დაბადებული, რემელ თვეში დაბადებულია, ჩეიწერდა ეი საბჭო, ხოდა მერე როცხა გინდოდა მონათლავდი. და ი ჩაწერა საჩქარო იყო. მერეთ გინდა ქე მონათლავდი და გინდა არ მონათლავდი, მარა მაშვინდელი ხალხი მალე ნათლავდა ბოფშებს. ნათლიე გინდა ერთი, გინდა ორი. ნათლიას უნდოდა პატივიცემა, თუ შეგეძლო პატივიცემა ადამიანს, ბარე ოთხის მოანათლიებდა ერ ბაღანას, ორი ქალი, ორი კაცი. თვარა უცილობელია ერთი ქალი, ერთი კაცი, გინდა გოგო იყვეს, გინდა ბიჭი იყვეს. მაშვინ ძღვენი მიქვონდა. ჩვენ ნათლიასან ჩვენ უნდა მივსულიყაით ჯერეთ. ნათრულები უნდა მისულიყო ნათლიასან ჯერე. რამდონი სული უნდა ყოფილიყო სახში. ყველეიზა ფეშქაში უნდა წეგვეღო. მერეთ იგი მევიდოდა. რავარც შენ მიიტანდი, ისე მეიტანდა იგეც. ვისაც პეტერე კაი **სუმა** ქონდა და იგი უმფრო რაცხას პეტერას გარააჭარბებდა და ბევრი არაფელი.

რვაი შვილი ყავდა, ვიყაით ჩვენ, ყავდა ჩემ პატრონს და ყველასან დაჰვირთული მივიდოდა, ყველასან. ისე მოდიოდა ნათლიეებიც ჩვენთან. ასე იყო ეი ნათვლა.

12)

წისქვილი რავა არა, შენი პირიმე. ჯერე ააშენებდენ სეს, წისქვილს ფიცრის. მერე, ახლა, იმას დაპოლავდენ, დახურავდენ. მერე მეიტანდენ ქვებს, დიდვრან ქვებს, ორ ქვას. გამოჭრილი წისქვილის ქვაი. გულში იყო ამოჭრილი. იმაში უნდა ჩაცვენილიყო სიმიდე. მეიტანდენ იმ ქვას და ერთს ქვეშ დადებდენ, ახლა, იმ ქვას და მორეს ზეით დაადებდენ. მერე შვაზე ასე გამოხვრეტილი ქონდა, იმაში უნდა ჩაცვენილიყო სიმიდე. მერე იმას ზეით **ხვიმირე**, პირფართო, ქვეშ წვრილი. ზეით პირი ფართო, ხისა, ლამფის შეკერილი. ჩაყრიდი სიმიდას შითე, ორი ფუთი სიმიდე ჩევიდოდა შითე, ჩაყრიდი სიმიდას შითე და ბრუნავს ეი წისქვილი და იფქვება, მიდის სიმიდე შითე. იგი აქ, **სარეკელე**, ამ ხეზეცა იგი სარეკელე აგერ გაკეთებული. ამ ხვიმირას რო ანძრევს იგი სარეკელე ამას ურტყამს, ქვას, წისქვილის ქვას ურტყამს, ხოდა იგი ინძრევა იქინე და მოცივა სიმიდე. მიცივა იმის გულში. ჩამეილევა ამისი — მესამეა მიბზადებული. **საფქვილე** ქვია იმას. გამოთლილი **ჩოკანი**. კაი დიდი, მიახვეტავ იმას ყურეში ამ ჩოკანით და რო ჩამეიფქვება ბევრი და აგერ ტომარე. ლესპანია მიჭედებული და ჩამოანცუმ აგენს ტომარას ამ ლესპანებს. ხოდა ეიღებ ამ ჩოკანით დაფქულს...

12.VIII.1983წ.
გადიდი

2. ვასასი კორფილეს ასული ჭიმუცაძე
(დაბ. 1902 წელს)

1) შენახვდომის ლოცვა

სახელი სახელითა, ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმიდითა.

შენახვთომო დედიანო,
შენახვთომო მამიანო,
შენახვთომო დაიანო,
შენახვთომო ძმაიანო
ორშაფათს შეხვთენოდე,
სამშაფათს შეხვთენოდე,
ოთხშაფათს შეხვთენოდე,
ხუჩაფათს შეხვთენოდე,
პარასკებს შეხვთენოდე,
შაფათს შეხვთენოდე,
კვირეს შეხვთენოდე,
რა და რაფერს შეხვთენოდე,
იმდენფერათ გამეეცალე.
გამოცილდი, თვარა
აქჭრი ალითა, მალითა
შავტარიანი დანითა,
ჩაგდეფ ქვაბსა ლარისას
მოგადნობ თვალსა წამისას
შე უქმურო, შე ურწმუნო,
შე ღვთისაგან დაწყევლილო,
რძე მაცვია, რძე მახურავს,
თავზე ზეწარი მახურავს.
ბადე მაქ ასი წყთაი, შვიდი ფხარი
მიგცემ-მოგცემ წყალს,
მელახურს და პალიასტომს.
გოუშვი, თვარა არ გაგიშოფ,
გოუშვი, თვარა არ გაგიშოფ.
წადი!..

მოუსოფთ ნოგოზს. გავტეხავთ და გავარონიებდით საცერში და

შოუსობდით სახსრებში. ოუცილებელია რო მოქმედობდა და ქვწამდა. მეც გამომივლია, გამომიცთია.

ჩემმა შვილმა ე იმ გორაზე ითხუა ქალი ეგერ, კაი მოსახლე იყო და წამეიყვანა, ახლა, მე, რო წევიდა, გაბრუნდა ცოლოურს, წამიყვანა და, ე, იმ გორაზე დევეცი (არ დამამიწყტება ჩემ დღეში). თურმე შემხვთა **უეშური. ლილონჭრელე** იყო და, შემხვთა უეშური და მეევდი სახში; არ მინდა არაფელი, მომჭრა მუხლები, მესხმის ბრუი, მუხლებზე ვერ ვდგები. აბა, რაი ვქნა, რაი ვქნა და ქალები იყო იქინე, თლა ძველი ქალი და იმ ქალებმა შემილოცა, მაიო შენახვდომი იქნებაო. შემილოცა და დილას ისე ავდექი, რომე როგორც მანეემდი ვიყაი კარქათ. მწამს მე იგი.

(ვთქუა კიდო **მორე გზობა?** მორე გზობა ვთქუა?..)

2) ნათვალების ლოცვა

სახელი სახელითა, ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმიდითა, ლოცვითა

ალიახორი, მალიახორი
გამჩენო, შენ დოუფსე თვალი და ყური
ვინაც ავი თვალით შეხედა,
შეხელდა, შეაზნოულა,
ამ ადამიანს (ან თუ საქონელს).
ეგერ მოა შავი წყალი,
მას მოყობა შავი გველი,
ქვა გჯებოდა, ქვა სკტებოდა,
ერთი ჯილიდან ნეფსი და მახათი
მის თვალებს ასკტებოდა.
ღმერთო, ლოცვა ჩემი და
წააყენე საქონელია თუ ადამიანია, თუ რამე.
ღმერთო, ლოცვა ჩემია, ბძანებაა ღვთისა (3-ჯერ)
ეგობა თქვნ ა'გწამთ ღმერთი, მარა ძველად ასე იყო.

3) საწერლის ლოცვა

სახელი სახელითა, ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმიდითა [ეი ყორფელს უნდა, ბებია, დასაწყისი]

საწერელი მიდიოდა გზასა, შეხვთა ნიქელგაბრიელ თავარანგელოზი:

— სად მიხვალ საწერელო?

— სად მივალ და კაცისა ტანში, ძვალის სახრელათ, მბილის საჭმელათ, გულის საწუხებლათ.

— მითხარი, თვარა არ გაგიშოფ.

მამა ძემ და სულმა წმიდამ.

მითხარი, რაა შენი წამალი.

— კვერცხისა ცილი, ენდროსა ძირი.

ქვაბის ჯანგარე, ღორისა ფილი

ვაი, რაი ვთქვი თავისა ჭირი.

(ვარ.: ქვაბისა მური, ენდროსა ძირი,

ღორისა ფილი, კვერცხისა ცილი,

ვაი, რაი ვთქვი თავისა ჭირი)

ნაფცეცია რო იყო, წავარდნაზე ქონდა თითი. ვინცხას ესტავლებია, გონია ვასასიმ იცის საწერელის ლოცვაო (ეგი სინამდვილეა, ბებია). მევიდა ე ბაღანე **აწუწკუნებული**, შემახედა. ნუ გეშინია, ბებია, მაგიზა ტირი-მეთქინ? პეტერა გოგო იყო, ახლა გათხოულია. მაიზა ტირი, ბებია? მაგას უტირეფ რჯულს-მეთქინ. **მოვაფოთიალე**, ახლა, ენდროს ძირი ქე მაქ ეზოში, ქვაბის ჯანგარე უველას ქე აქ,

(თქვენსავეთ ჩვენ იმაზე გვაქ ჩამოკიდებული, ცეცხზე), **ღორის ფილი** ქე მქონდა, გოუკეთე, დოუდეი ზეთე და გაჩერდა ბაღანე, არ მიხურს ახლა, არ მუამსო. ჩამევიდა მორე დღეს, კიდო დოუდევი და მერე იგი არ ჩამოსულა. მადლობა მითხრა და მე მადლობელი ვარ, რომე ჩემი თქმით მოურჩა. სამჯენ უნდა. ა, აგი სიტყვა, ახლა, სამჯენ ჩეიმეორო, უნდა შეაბრუნო კიდო, კიდო სამჯენ უნდა თქუა.

4) დამწვრის წამალი

დამწვრის წამალია (ბებია, სინამდვილე) კვერცხის ცილი რომა. იგი რო გავაკეთო მე ახლა აქანე შენც გაიკვირდება რომე, ამ კვერცხმა და ამ ზეთმა რაფერ... გასკელდება მალამო თეთრათ. ზეთი თუ იქნება, ზეითურ ზეთს ვეტყვით ჩვენ, აფთიაქში თუ იქნება იგი, უკეთესია, თვარა ჩვენ რო ზეთს ვხმაროფთ საჭმელიზა მე იგი ვიცი, აპა სა დავხედო იი. საჭმელი ზეთი და კვერცხის ცილი, გული არა, მარტო ცილი. ჩააგდეფ სტაქანში იმას და ურევ, ურევ, ოგლიმოგლი რო იციან გაკეთება ისე, და გასკელდება. სამი **კეკალი** კვერცხი, რაც უნდა მომწვარი ქონდეს ბარკალი ადამიანს, ცხრა მთას გარაღმა; სამი კეკალი კვერცხს ეკუთნის ერთი საღვინე ზეთი, ხოდა, რო დააცხებ, ბებია, გული იღძნობს, იმინუჩი უგრილებს. გასკელდება იგი, გაბაზბაზდება და მერე ქათმის ფხარით, ცხრა მთას გარაღმა იყვეს, შორს იყვეს. წოუსობ იმას ტკივანზე, წოუსობ ტკივანზე, ბებია, და თუკი არ შეიხოვს ადამიანი უფრო კაია, ჰაერზე სამ წასობაზე საშოლებას მიცემს. აპა ჩვენ ექიმთან...რაი ვქნათ, აპა სა დევიარებით. ასე რაცხა ძველი **პროტი** არის, მარა ჩვენ ხანდეხანე ვიყენებთ.

5) ტყლიპის წამალი

ცხრა თას გარაღმა, მტერს რო დეებადოს ბაღანე, ტყლიპი ექნეს რამეზე. მარგალიტეს უმფროს გოგოს ქონდა, გადარევაზე იყვენ. თეთრი ბაღანე, კაი გოგო იყო. ხოდა ეგი ბალახი ვიცოდი ბებიედინ (**რძია-რძიეა**, ხო). რო უთხარი მე მარგალიტას, აი წოუსვი, გო, და მოშინჯე-მეთქინ. როცხა ძუძუს აჭუმდა, აი, ისრისავდა ხელში და უსობდა და არ ევიდა?! სად აქ ახლა!.. ძუძუის ჭამაში თვარა, წარეაო, მარგალიტამ თქვა, მე ენა არ დამიწია.

რძია-რძიე ბალახია, რძე მოდის, რო მოწყვიტავ, ნამდვილი რძეისნაირი მოდის.

6) ტყლიპის (ელენთა) ტკივილი.

ტყლიპი აქ ადამიანს, შიგნით გოუჭითება სატკივარათ. ხოდა, შიგნით გოუსივდება იი, ატკივდება, ხოდა წითელი ტყემლის **ტყლაპი**. იყვეს თეთრი ტყლიპი როა; არა, წითელი, ტყლიპისნაირია ალ-

ბათ, წითელი ტყემალი. ხოდა იმაზე გოუსობთ წმინდა თაფლის სარაჯის, წმინდა თაფლი უნდა იმას, ხოდა დაადებდი ასე ამაზე და მორჩებოდა. ჩემ ჯუმბერიას ქონდა.

7) ბელთაძეების არეკი

ბელთაძეებმა, ბებია, თურმე, დათესა მარილი, ამუაო. მარილი რაფერ ამევიდოდა, მარილი, გაწყლიანდებოდა. მარილის ამოსვლა რაფერ შეილება?!

მერე თურმე მეიყვანა ოჯახმა პატარძალი. ხოდა, ახლა, კამპანია უნდა გარეიხადოსყენ თურმე და ძროხა ყავენ დასაკლავი. რაი ვქნათ ახლა; დანეა **თავანზე** თურმე შენახული, მოხუცებულ კაცს, ქარქაშიანი დანე; დანე გვაქ მაღლაო და რაი ვქნათო. არიქაო, ვიშონოთო ხალხიო ბევერიო და შევიყვანოთ ძროხაო. წამოხტა პატარძალი და პატარძალმა თქუა, რაღაი იქინე მიქყავსყენ ძროხაო, დანე უმფრო კაი ჩამოსატანი არა და უმფრო ჩატე არ არისო? უჰ, ეგი ჭკუიანი ყოფილაო. [გოუხარდათ ბელთაძეებს]...

8) მოგონებანი

ა) სამწყესურში.

სამწყემსურში დავდენიდი დილას ცხვრეფს, თხეფს და რო შეიქნებოდა, ჩევიდოდა ბზეი, **გამოაჯოკჯოკებდი** და ჩამოვდენიდი. ავდგებოი კიდო მორე დილას და წევიდოდი, გავდენიდი კიდო ისე. სულ, სულ, სანაამდი, ათ წლამდინ თუთხმეტ წლაამდი. ასე ვშობოდით. აბა რა გვექნა, ღარიბი კაცის შვილი ვიყაით. და **ფთიხ** ზონებში ვიყაით კიდო და აპა რაი გვექნა.ასე ვშობოით და...

ბ) შვილიშვილები მეტყვის, ახლა, შენხელვანი ბაღნები: ბებია, ბებია, შე საწყალო, რაფერ ცნობილოფ ფულსო. დეიკავე ფული ხელში და მიჩვენე ჰიშკრიდინ-თქვა, ვეტყვი, ხოდა თუ ვიცნოფ. ჩემი იყვეს ი ფული მემეცი და თუ ვერ ვიცნოფ, მე მოქცემ იმისანა ფულს-მეთქინ. ფულს ქე ვცნობილოფ ფერათ. ისე, ბებია, მამაჩემს შვიდი ბაღანე ყავდა. რო უთხარი, მამა გამიშვი-თქვა, მე **შეხარებოდა** სტავლა მინდოდა, ჩემმა ტოლმა წევიდა (ელსაბედე წევიდა შენი ბზახალი, იი გუუშვა მაამისმა). ეე, გამიშვი. ჩემი მამე, გამიშვი, წავალ-ჰეთქინ; ერ წელიწაც რო ვყოფილიყაი, იმდონს გამევიტანდი,

რომე მე მეყოფოდა. ახლა, ბებია, რო დამჭირდა ხელი მოწერა, ვერ მუაწერე ხელი, არ ვიცი ბატონო-თქვა, მე უთხარი. თქვენ სოფელში არ თენდებოდაო? არა-თქვა მე უთხარი. არ თენდებოდა — თქვა, ცხვრები უავდა მამაჩემს, თხები უავდა და იი იყო ჩემი გამთენებელი: რაი მითხრა მამაჩემა, რა მიპასუხა იცი? (ისე ტკპილი კაცი იყო ნე-მეტანი). შვილოო, შენო ქე მეცოდებიო, ქე გინდა, ქე ვიცი მარაო და, ქეც ისტავლი მარაო, ამ შვიდ ბაღანასო, უველე მეითხოვსო და უველეს საშოლება არ მაქო. მე რო საქონელი არ მეყოლოსო, თქვე რათინ გარჩინოო, ხოდა შე რო გაგიშვა და იგენი, მერე დამაგი-ნოსყენ, იმას ქე ასტავლა და მე არაო, ამას ნუ გამიკეთეფო და, ქე გავჭერდი. მაშვინ ხათრი იყო დედ-მამის, უნა მორიდებოდი, აჰა...ახ-ლა კარ ეხათრებათ.

გ) სილობიე

იცი რაია **სილობიე**? რაია სილობიე და დავქდებოით გზაზე და ქე რო კაი **ხაშხალე** სილაა აგერ, იქინე, წევიღებდით ასე ჯოხს, გა-ვაკვეხებდით შითე და-აბა სადა, თქვი სადა აპა. აი, ნარდის მაგიორი იყო ჩვენი ეგი. სადა და, თუ დაკრავდა ხელს იი და ამოჩთებოდა ი ჯოხი იქინე, მაშვინ ეგი იყო მოგებული... ჰო, სილობიას ვთამაშობ-დით — რომელი კედრით იყო ი ჯოხი. იმას არ შევახედებდით. იმას ვინც მიაგნებდა, მოგებული იყო იი. ახლა პეტერე ბაღანე უავს აგერ კარნელს, პეტერე შვილიშვილი, პეტერე ბიჭი. დოუქდა ბაბუამის და მოუგო ნარდი, მორე კლაშია. ვითამაშოთ ვასასი ბებიაო, ვითამაშოთ, ბებია-მეთქინ, რაი ვიცოდი, რო ვითამაშებდი.

კიდო სიკორწიანე. რო დეისვენებდა საქონლები ასე შვადღეზე, ჩამოვკიდებდით ხეზე და ჰაიდა ჰაა... ერთმა ბაღანამ კლავები დეინ-ტვრია, გადმოვარდა უკანიდან. არ იყო, ბებია, იმ დროში არა, ახლა განათლება, სტავლაცა, დასვენებაცა.

დ) ერმილე დიაკონი აგერ იყო ჩვენთან, ა. რაცხაზე გული მოუ-და იმას ეკლესიაში (ეკლესიაში ვიყაით ბაღანები, გამევეკიდებოით ბებიას). ვინცხაზე იყო გულმოსრული და რატო ქენი ეგიო, რატოო, დიმიტრიო, რატო წაახდინე ეგი საქმე ისეო. აქანე რო იწერ პირ-ჯვარსო. იგი ქახალდია, ქახალდიო (ხატიო, ე, იგენი როა დახატული, ისე იყო), იგი კარ გიშველისო, სხვა რამეზე უნდა მეიქცე კარქათო. მართალია, ახლა ვზომავ მე მაგას. ხომა მართალი?

10) ტოპონიმები

ლანგირი და კორღანო. (ისე მოგიყობი თუ გინდა ამ მიწა-წყლის ამბავს): შამოვყობი მე ჰალიდინ: ჰალა, დიდვაკე, გობინე, ნამჭადარე, სუნალე. დაკიპულე, ნაქუბარე, მაჭაროული, კორღანო, ლანგირი, ბელთაქეთი, (აქითე) სამწახლიგორი, წაბლარე, ბჟაროულე, ჩიტილე, ორჯომალე, ბერის ტყეი.

საქონლის სახელები: **წაბულა, წიქარა** — ხარი, **ტუშია** — ძროხა, **ლამაზე** (ძროხა); ხარები — **ნიკორე, ბულარე, კაბელე**.

ვაშლის ჯიშები: ძველათ **სანეფო ვაშს** ვეტყოით, კაი ვაშლი იყო, ტკბილიც და შესახედავი და კაი ვაშლი იყო, წითელი ვაშლი; **ბუღა ვაშლი**; **ქვავაშლე**.

(მეტი, შვილო, არც ქე ვიცი და არც ქე მაგონდება, იმას მოგონება უნდა და დამახსორება).

11) შეწუენილის ლოცვა:

სახელი სახელითა, ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმიდითა, ლოცვითა.

ანი დადგა, მანი დადგა,
ნეს ახლოსა წყალი ჩადგა,
წყალი დაშრა, ქვიშა დარჩა,
ამ ადამიანის მუცელში
ბაღანე ინძრა — დარჩა, ინძრა — დარჩა,
ინძრა — დარჩა სულიერი და კაი...
თავდრომდე...
ესესიეს ხიდეზე დედა-შვილი მოდიოდა,
დედამ დეეცა, შვილმა რეჩხვა,
შვილო, ნუ გეშინია, მორნებისა, წახდენისა.
არა ვიყავი ნებასა (-სამჯენ)
ლოცვა ჩემია და ძალა ღთისა (სამჯენ)
ნალოცი რამე იქნება ან პური, ან ხეხილი, იმას შეაჭუმ.

11. VII. 1983 წ.

3. პეტრე ივანეს ძე დვალიშვილი
(დაბ. 1914 წელს)

1) არაკები — თქმები.

ა) დიანოსი წევიდა, გოუშვენ **ელიობას** პურის დასაბრუნებელათ. ელიობას იცოდენ **პურის დაბრუნება** უანაში, ძველებურათ. წეიღებდენ ერ ბოთ ღვინოს, დააბრუნებდენ წაღმა: „წმინდაო გიორგო ღვთისაო, ელიობაო დღესო, (შენ ჩემი ბატონი ხარ) ელვა და ჭეხვას ნუ გარაარონიებ ჩვენ უანაშიო, შამოაბრუნებდენ იმას და დაბრუნებდენ წაღმა და შეჭამდენ და წამევიდოდენ.

ერ დღეს გოუშვენ ასე ელიობას უანაში. ილარიონმა გაასწრო წინ, ძმაი იყო მისი, ეშმაკი კაცი იყო და ღვინო უყვარდა იმას. რო ჩევიდა დიანოსი უანაში, „გამარჯობა, უანაო“ დოუძახა; გაჩერდა. „გაგიმარჯოს დიანოს“- დოუძახა უანამ. დოუძახა მორეჯენ კიდო უანას „გამარჯობა, უანაო“. დოუძახა უანამ — „გაგიმარჯოს დიანოს“.ამან მოასწრო კიდო მორეთ... და...შამობრუნდა და გამეიქცა და მიატუა ბოთლი და პური და ღვინო იქინე. დაუდა ილარიონმა, შეჭამა, შესვა აი და გამოასწრო წინ და დახვთა სახში. ა, ამითინ დამთავრდა ეგი.

ბ) ბელთაძეებს ყავდათ ძროხა დასაკლავი. გამეიყვანენ ძროხა დასაკლავათ. ცხრაი ძმანები იყვენ. დანე დარჩენოდენ სხვენზე ზეით (სხვენს უძახოდენ უწინ ი თავანი როა აკრული ახლა). რაი ქნან ახლა. დაავლენ ამ ძროხას ხელი, ხოდა მიათრევენ მაღლა, უნდა ეიყვანონ ძროხა სხვენზე და უნდა დაკლან იქინე. მერე ამდონ შრომაში და იმაში, რძალი იყო სახში. გამევიდა და, თქვე სულელებოო, რაღაი ზეით მიგყავენო ძროხაო, ძროხის აყვანა ჯობია იქინეო თუ დანეს ჩამოტანა ჯობია ამ ქვეითო. გოუხარდენ და ჩამეიტანენ დანე და დაკლენ და იმდონი შრომას დაანებენ თავი მერე.

გ) ბელთაძეებს წისკვილი არ ქონდა. აარჩიენ ასე მიდორზე საწისკვილე მიწა. წისკვილი მეემგვანებოდა კარქა დასადგმელათ იქინე. ხოდა, მეიყარენ თავი, უწინ ბრევლი ხალხი იყო, ვაშკაცები იყო, საქმე და ჭრიენ კანაოს, რომე წყალი უნდა გევიდეს შითე. სადილი აყვენ დაბარებული ქალებზე, რომე სადილი მოგვიტანე კაი. ქალებმა

პურმარილი გააკეთენ, ქათმები დაკლენ, ღვინო წეიღენ, მიიტანენ. ხელები აყვენ ახლა მიწაზე ნამუშევარი, დასვრილი, ხოდა წყალი არ აყვენ ხელი რო დეიბანონ და ღვინით რავა დეიბანებენ ხელს. ირბინენ იქით-აქით, წყალი ვერ იშონენ სამე. მერე ქალებმა უთხრენ, ბიჯო, წყალი თუ არ არიო, წისკვილს რაფერ აკეთებდითო, თქვენ ჰკუა გაყვენ თავშიო?..

2) ურმის მოწყობა

ურემის მოწყობა არის: ტყეში წავალთ, მოვჭრით ცაცხვის, გავაპობთ იმას შვაზე, მერე გავთლით იმას, ძუძუებს გოუკეთებთ, **შემოვკვერცხავთ**, მერე **გრუშემო** შამოუკვერცხავთ. შამოკვერცხვა ქვია იმას — შამოვჭრით, რო დაგვრალდეს იგი. მერე შამოვქედავთ კინით და ლუსპანებით იმას. მერე გოუკეთებთ **ლერწას**. იმას **გამოვტოხავთ** (ლერწა — **ხელები** შამეიდგმება იმაზე). მერე გავაკეთებთ ხელეებს. იმას ხელას უძახით, თელეს ხეს. გუუკეთეფთ **ლაფათინეებს** იმას, ზეიდან დავბურღავთ, ჩხილეებს დავასოფთ და დავაწუფთ მერე **ჰვიროს** ზეიდან და „ეიშ, ხარო", დოუძახებდით და წამევიღებდით. ღვლეპს **დავამწრიახებდით** და უკეთებდით კანდრათ. იმითინ უბამდით უღელს. ან წყავის **ჟვერი** იქნებოდა, ან თხილის ჟვერი იქნებოდა, თლა მაგარი იყო, იმისანას თუკი ვიშონიდით. ხარს რო ქონდა უღელი დადგმული კისერზე, იმაზე მოაბამდით. **ფარდი** ვიცოით, დაღობვა ფარდის. ჩავყრიდით სიმიდას შითე, ჩალით გარავაკრავდით იმას, რო არ დაგვბნეოდა გზაზე და წამევიღებდით და მევიტანდით ბეღელში.

წაბლის **ლანჩა** და თხილის **ტკეჩი** — ამითინ იღობება გოდორი და გიდელე. სუროით **უჭარბავთ** თავს.

3) თხილამურები

თოულს რო ველოდით, უწინ **მაგარი** თოული იცოდა, ახლა არ მოდის იმდონი თოული, უწინ მოდიოდა, მაღალი თოული. მოვჭრიდით თელის ხეს, ანდა ნაკერჩხალი იქნებოდა, მოვთუშავდით იმას ცეცხზე; მოვღუნავდით მერე იმას რგვალათ, გავხერხავდით შვაზე ამ ხეს, გამევიდოდა ერთში ორი. გამოუწვავდით საწუავით, კინის წვრი-

ლი საწუავი, გოუყრიდით წყავის ჟვერებს შითე, შამოვკეცავდით იმას და ბაწრებს დავაბამდით ზედე, გოუყრიდით ფეხს შიდე და გევიარდით თოულზე. და თუ იყო თოული ორი მეტრო, მეტროზე არ წევიდოდა ფეხი თოულში. ამითინ დევიარებოით და ჩალასაც ვწიკავდით და წყალსაც იმითინ ვწიკავდით. გზაი რო გეიმკლოვოდა, მერე აღარ ქვჭიროდა თხილამური, მერე ისე დევიარებოით ქალაბნებით.

4) გადიდეს საგინებლები:

საგინებელი ერთნაირი კარ აქ ყველას. გადიჩი, ახლა, ქვეით ხალხი რო იწყება **კოჭორიეშვილები** ქვია. აგერ ამეინაცვლებ ზეით **ბუნდღიანეშვილები**; ეი გირგოლიე რო ამოდის ზერე და ამ ზეით, იმას **ბომბორე** ქვია. ეს რო იყო აქანე, ექვთიმე იმას **ნიქელიეშვილებს** უძახოდენ. წინაპარი იყო. **კაკუნეები, დათვისჭამიე, ღრანჭე, ურიეშვილი, ტურიეები.**

4. დავით ტარასის ძე შარაშენიძე

(დაბ. 1910 წელს)

1) მარაკუნიები:

მარაკუნიები. მუურაკუნებდა კედელზე, კი არაფელს ახდენდა იგი. ხოდა, მამაჩემი ეტყოდა დედაჩემს, ე, მევიდა მარაკუნიეო. მეიყირჭებდა იგი რაკუნს, იმას და წევიდოდა მერე, გაჩერდებოდა. და მამაჩემს (ლოყინარის წყალი ხო იცი, გოგო, შენ, ლოყინარი, ეი ზეით, ძველი ნაზავოდარი როა სულორის). ყავარი მოაქ თურმე ფთიდან, ხოდა ხიდი ქონდა იმას გამოსავალი საცალფეხო და ცხენი წყალში უნდა გამოსულიყო, ააბრუნა თურმე ი ცხენი, კაცო, გარეებორგა რაცხამ წინ და შეაბუნა იქით. მერე რაღაი ქნას, არ მოდის ცხენი. გაბრუნდა ისევე მამაჩემი თურმე და დააყდა ისევე ცხენს საპანეზე და გაღმი კედრიდან მოუთხრია ანწლები რაცხა იყო იგი და მომაყარა ყავარზე. იქიდან მოკიდებული ხოდელიძი წისქვილაამდი

მოყოლია. იქინე, ახლა, თქვენ საგინებელს რო გიძახიენ ხრიგინეებს, სკამებს აკეთებდენ თურმე იქინე და მუშოობდენ ღამე, მოცილებია იქინე და რო გამოსულა ღელასკურეს ხიდეზე და გამოკიდებია კიდო. და მოსულა, ალენტი რო იყო ჩვენი გათხოული, მამიდაჩემი, იქინე, ქე ჩავარდნია ენა. ბიო, ტარასია, რაი მოგივიდა, რაი მოგივიდა, ენას ვერ იღებს თურმე კაცი. რო ოუხსნია მერე საპანე და ისევე დოუწვენია და მესამე დღეს ამოუღია ენა. შეშინებია.

2) საგინებლები.

პირადად მე მქვია, ბიძია, საგინებელი **ცეკვიე**. გირგოლეს მამას **თავწონიე, თავკორწიანე** და **ჩეობატონო** (ჩეო ბატონო), კარნელის მამას ქვიოდა **ბომბორიკე**. შურას მამას ქვიოდა საგინებლათ **კეკეჩე**, **ამ** ზეით ანატოლე და იგენი როა **ბზუალეშვილებს** უძახოდენ სუყველას. სიპიტოა განსხვაებული, **ერექელას** უძახოდენ მაგას. დანარჩენი **კოჭორიეშვილებია** ეგენი ყველე. ფხეიჩვილებში — **ძგეტიეები**. კოპინოურში **კუკუნეები** და **კვრეხილე**; **წელბერიე**. ერმილე ქყავდა თქვენ განაყოფი, იმას **ბანძღავე** ქვიოდა. ერმილე რო იყო დიაკონი, იმას **ბოდიალას** უძახოდენ. აქით რო იყვენ **ღარღალეები**. ეი სამი ოჯახი იყო ღარღალეები. იმიტო ერქვათ საგინებელი რომე, ისე ვერ გამეიცნობდი ხალხს, საგინებელით გამეიცნობდი. ხალხის სიმბრავლე იყო. დვალიშვილი იგიც ქე იყო იგიც, ერთნაირი სახელები ერქვათ და საგინებლით გამეიცნობდი, ხალხს გაარჩევდი იმიტო ოყო მაი მოგონილი.

რატო და ჩქარი ხალხი იყო ეგენი და ორ ჭიქას ღვინოს რო დალევდენ ამჩატებოდენ და დეიწყებდენ ცეკვას და ცეკვიე შეათქვენ იმიზა; ბოდიალე — ბოდიალობდა იგი სულ, თავჩაკინძული იყო და მოყობოდა რაცხას, ბოდიალობდა, ვერ გოუგებდი ვერაფელს; „ჩემო ბატონო“ იცოდა იმან სიტყვაში და იმიტო შეარქვენ ჩემო ბატონო. („ჭიჩვინე ერთი შენი კაი თუთუნი, ჩეო ბატონო“...) კოჭორიე — პეტვრანი ხალხი იყო, დაბალ-დაბალი იყო და კოჭორიები იმიტო დაათქვენ. კვრეხილე და კუკუნე იმიტო შეარქვენ იმას, რომე სხვანაირი ხალხი იყო იგი, მედუქნე იყო, ვაჭარივით იყო გერმანე, ჩეიკვნიხებოდა, ახლა, იგი რო დაყრიდა იმას სამტრედიიდან მოტანილ ბუბლიკს

და იმას, ტარანს და რაცხას სასწორზე და ნისიათ ატანდა ხალხს. ვაჭრობდა ი კაცი, კაცო.

3) ღვდლათ მუშოობდა ბიქტორ გერსამია. ერმილე (დიაკონი). ყურძენი მოპარა მის ძმას გიორგის. გიორგიმ წეისწრო, რა შობი მაგასო, რა შობიო მაგასო, რეიზა კრიფავო და. შე საგლახათეო, შენზა მომაქ, შენზაო. გიორგი იმალებოდა, გამოსვლები იყო, ბოლშევიკი და მენშევიკები მაშვინ, შე საგლახათეო, შენზა მიგაქ, შენზა, შენ არაფელი არ მოგაქ ჩემზაო, შენზა იპარავ მაგასო, შენზაო

წირვის დროს, დამთავრდა ეკლესიაში წირვა, ლოცვა, ყველაფერი და მოუხედიათ (ეგი რავა ვთქუა კაცო) ღორის **ჩხინკორე** და მუუკიდებიათ კედელზე იქინე კარებში. შამოაბრუნა ღვდელი, იმან, ერმილემ, „ბიკტორ, ბიკტორ, — ერმილე უძახის — ვიცხას დარჩენია დოუკურთხებელი საკურთხი". ჩამეიღენ ეი, დადუნ, ტრაპეზ უძახოდენ, ტრაპეზი ქვაი იყო (შტოლათ იყო ეკლესიაში), გარაშალა ერმილემ წიგნი და იგი, საცეცხლური გამეიტანა, ახლა, ბიკტორმა, საკმეველი ჩაყარა შითე, ააფუტა და (აგენს მართლა საკურთხი გონია) აი პურტყუნობს, ერმილე — შოუნდოს გამჩენმა, შოუნდოს... ამიინ, ამიინ — ღვდელი იძახის. გამეიტანენ მერე, გაშალენ და ღორის ჩხინკორე. „აი, აი — ერმილემ დეიძახა, იმ, ოხერი იზამდა, იგი; გიორგი იზამდა მაგას, გიორგიე." გარაყარენ. დაკურთხებული ღორის ჩხინკორე დარჩათ მარტუე, სა იყო საკურთხი

ნინა კირილეს ასული დვალიშვილი-შარაშენიძე
(დაბ. 1914 წელს)

1) სამწყემსური

სამწყესურის ამბებს მოვყობი ახლა მე. ქვყავდა ერთი **წიქარიე** და **ბულარიე**. წიქარიე იყო ბაბუაჩემის ზიარი. ბაბუე მყავდა მე და ბებიე. იგენი ცაკე იდგენ, ჩვენ ცაკე ვიდექით. ხოდა მერე მე უნდა გემერო იქინე, იმ ხარს წევიყვანდი, ძულათე მახსობს ახლა, ათი წლის ვიქნებოი, მეტი კარ ვიქნებოი მაშინ. ბაბუე აღარც ქე მახსობს კარქათ და. ხარს რო გამატანდენ, ქე ვიცი და. იგენი დამახვედრებ-

დენ ცხელ ჭაც გამომცხვარს, ბებიე. ჩევიდებდი ჩანთაში. ჩანთე გავაკეთე ბალიდან. ბალი გავატყაეთ ბოფშებმა, სამწყესურში, დიდი ბალი ასე რო იქნება, გაატყაეფ. ამხელა ხეზე შამოახოვ ასე ბალის ტყავს, დავქსელავთ. რამხელა გინდა შენ, იმხელა ხეი. ხოდა შამოახოვთ იმაზე ბალის ტყავს, **დავქსელავთ** და მერე ამას გოუყრით, გამოუყრით, გოუყრით-გამოუყრით. ხო იცი, ხელით, ბოფშები. ბალის ტყავი ამი სიფართეა, ორი თითის სიფართე. ეი, ხო დაქსელილია, გოუყრით-გამოუყრით, შამოუართ, კიდო შამოუართ, მოვქსოვთ ზეითობაამდი. ამოვქსოვთ, ახლა, იმას და მერეთ სამხრებს გოუკეთებთ ამას კიდო, ბალის იმას, გარევიკიდებთ ამას და ამაში გვაქ ჭადი. **წარე ბალი** ტყეებში როა, ტკპილი ბალი სადა იქინე, წარე ბალი ტყავდება. ამას, ახლა, წევიღებდით, გარევიკიდებთ სუნკას, ჩავდეფთ ჭადს და იმას, საჭამადს შითე, ყველს, ყველი უნდა წეგველო, აპა, მეტი რაი. ბებიამ იცოდა თფილი ჭადის გამოცხობა. წიქარიე ზიარი იყო და წევიყვანდით, წევიდოით. ძროხა ქვყავდა კიდო ერთი, რაი ქვიოდა არ ვიცი ძროხას. წევიდოით, მივიდოით სამწყესურში. მერე გევიარდით, გევიდოით გაღმა, ხოდელიძის გოგოები წამევიდოდა ბეღერი. იგენს ცხვრები ყავდა, ცხვრები ჩვენ არ ქვყავდა, ყიენა იცოდა სილორი პირზე და ცხვარი არ ვარგოდა ჩვენთან. ცხვარი რო გეიყივნოს, არ ვარგა, მოკეტება. ევიდოით სამწყესურში. სამწყესურში ბოფშები იყო დიდვრანი, ქალები იყო კიდო, გოგოები, ე, ჩემზე დიდვრანები, იგი, **კარანჩხეები** წამოდებული კლავზე, საქსოვები იგენს, ქსოვდენ გოგოები. ზეით უღელტეხილში. **ფეცხოურზე**, **ნაკარეებში**, **ქალაბანაშიც** დავდენიდით, **ლიხეი ტბაზე**, რა ვიცი. რამდონი რამეებია. წევიყვანდით, ახლა, ამას და მერე ვთამაშობდით. უღელტეხილი არი ნამეტანი კაი გორი. და ერთი კემენტიეს ფსხალი ქვონდა, (კლემენტიეს ფსხალს უძახოით, კლემენტიე მეზობელი იყო ჩვენი, ხოდა იმას, ფსხალი, წვრილი ფსხალი იყო რაცხა), იგი ქვონდა მიჩენილი იმიზა, საჭმელის დასაკიდებლათ. უნდა დეგვეკიდებია იმაზე საჭმელი, **დავხინცლავდით**, დავკიდებდით ყველე იქინე, ბოლებზე. ქვეშ ქე ვთამაშობდით ბოფშები. დიდი გორია, ვაკე გორი, საქონელი ქე ბალახობს იქით-აქითე, გადადენილი, ნაკარეებია ქვეითრელე ისე. გარავდენიდით, იგი ქვონდა დათქმული რომე, ახლა შენ გამოდენე, ახლა შენ გამოდენე, რო წავა საქონელი. ვთამაშობდით **გატანია ბულთვს**.

ბულთვი გატანიას რაფერ ვთამაშობდით და უნდა წემეეღო ბულთვი, და ვერ დაგაკაებდა ვინმე, ხო. ბულთვის რო წეიღებდი, გეიქცეოდი ამ ხალხში, ბოფშებში, არ უნდა დეეკაებიე ვინმეს, თუ გახვიდოდი. ბულთვი — საქონელს გავპუტავდით. იპუტება საქონელი გამარტებულში, თმები იპუტება ასე. გავპუტავდით იმას და დააგორეფ იმას, დეისოლეფ ხელს, დააგორეფ და გაკეთება იმისანე ბულთვე რო, ამიხელე ბულთვი, არ დაცივა არაფლიზა. ზოი წითელი ბულთვი, ზოი შავი ბულთვი. დავაგორებდით ამას, ისე სა იყო ბულთვი აპა? ხოდა, იმისანა მბილია და ყორფელი, რო მოქხვთება, არ გატკენს, საქონლის იგია. ე მაგარი ქეა ისე. დავაგორებდით ასე ბულთვეფს და ... ყველას ქვონდა ჩვენ-ჩვენი ბულთვები. გევიტანდით, ახლა, გატანიას ხოდა, ისე თუ ვითამაშებდით კიდო **დაჭირვიას** და იმას; კალთეები, გოგოები გავშლიდით კალთეებს, დევიჭირავდით ბულთვის რო ისროლიდენ. ასე ვთამაშობდით ბოფშები. ასე იყო სამწყესურის ამბავი.

2) აბრეშუმის ძაფის ამოღება; ყაჩი

დედაჩემთან რო ვიყაი მე, მოვყობი ახლა მაგას მე. აბრეშუმი რო გვეყოლებოდა, ცახის ჩამევიტანდით. მანააძი ხო იცი. (ნაორკანები, ნაწარბკანები, ნადიდკანები). ჩამევიტანდით ცახის, ბოფშები მოვჭრიდით ზეით, ჩვენთან არალი ცხილე და რამე. **გუმბრე** უნდა მოგეჭრა და **ცხილე**. ჩამევიტანდით, დავაგროებდით, დავახმობდით იმას და მერე წამავალი აბრეშუმს **ჩანცახავდა** დედე. რო მიდის აბრეშუმი, პარკს აკეთეფს. ჩოუდებდა ცახეფს. მერეთ ჩვენ ბოფშები ვიმაშობოით, სამწყესურში დევიარებოით, იქით-აქითე. დედე ამას აკეთებდა და მერე პარკის რო იმასქნიდა, უნდა ამეგვეღო პარკი. ძაფი ხვარ იშონებოდა მაშვინ. ზოქს ქე ჩააბარებდა თუ იყიდა ვინმე და... მევიტოვდით, ახლა, ჩვენ და... გააცხელებდა წყალს. ამოარჩევდით ამაში ჩვენ, ზოგი საყაჭეთ გვინდოდა. საყაჭეთ **დომფალიები** უნდა ამოარჩიო. დომფალიე დიდვრან-დიდვრანი პარკია და ორ-ოლი იგია შითე, ოროლი **ბობოლეა** შითე. არ ამოა აქიდან ყაჩი დუღარეში რო ჩაყრიდით, იგი წვრი-წვრილი პარკები. წელში **გამოწენწილი** პარკები, კაი-კაი უნდა ეგვერჩია. აადუღებდა დედე წყალს, ჩაყრიდა შითე და **სამოხელე** მობზადებული უნა ქვონოდა აგერ. იმის დასა-ხოვი ჯოხი

— **ორპოტიკე** ჯოხი იყო, ქვეშ ორპოტიკე ქონდა და ზეით ასე გოუდებდა იმას და ახოვდა ზეთე, ზეით სტორი იყო. კაი სტორი თავი ქონდა, ამაზე დადებდი ამხელა ჯოხს, ხოდა, აქიდანაც. და კარ დააჭედებდი იმას; რო გეიფსებოდა, ახლა, შევატყობდით ამას, გაკრავდი ამას ხელს, და გარავარდებოდა ეი ზედე, ხოდა გამევიდოდა იი ამიხელა. გარეცხავდა ამას დედე, გაკიდებდა ეგერ. რაფერ ამოქვონდა და რო მეიხარჩებოდა თუჯიაში პარკი, დუღარეში რო ჩაყრიდა, ჯოხს დოურევდა, დოურევდა ჯოხს და ამოყობოდა ძაფები პარკებიდან, მერე ამოყობა და ირღოვა იგი, რა კაი შესახედავია თუ იცი, ირღოვა და ირღოვა პარკები. ცანცალობენ პარკები შითე. დეირღოვა თლათ ისე, ისე, რომე დარჩება ჭიები შითე, მოხარჩული ჭიები.

ყაჩის გარმოადუღებენ ნაცრიძალს. ყაჭად უნა გააკეთო დომფალიები. გარმოადუღებდა იმაში, ჩაყრიდა დომფალია პარკეფს. **ნაცრიძალი** — დუღარეში ჩაყრი, წყალში, გაცრილ ნაცარს, **ტუტას**. ცოტა, ახლა, იცოდა იგენმა. აადუღებდა იმას და მერე ჩაყრიდენ პარკს შითე, ამ დომფალიებს და გამოხარჩავდენ მაგრათ, ხარჩავდენ, ხარჩავდენ და გამოყრიდა მერე. გარეცხავდა იგენს და დაყრიდა ეგერ, დააწყობდა. შითე ისე მეიხარჩებოდა იგი, თვითან ბობლები, რომე აღარ იყო შითე, პეტერე იყო. მერე გაშრებოდა იგი, **გაბუნთულდებოდა**, დაკრავდი ასე ხელს, გამევიდოდა, ვწელავდით ასე, ირღოოდა იგი ყაჩი, ვასტავდით მერე იმას. სქელი გამოდის იგი. ყაჩი ქვჭიროდა მერე. ბოფშები რო დეიბადებოდა, თოთო ბაღანე, საყაჭური დაყობა ბაღანას პირში, **საყაჭური**. საყაჭური თეთრია და ლუკმის გარაყლაპვას უშლის, გამოთეთრებული აქ პირი. და ყაჩის უსობენ შითე ქალები. უსობდენ ყაჩის. მერე, რამდონი შემიხედია: საყაჭური აქ ბაღანას და ყაჩი მემე პეტერეო. მიცემდა დედე, ხოდა უსობდენ. მეც ქე მახსოფს, ჩემი უმცროსი დას რო უსობდა დედე პირ'ში, ამისანეებიზა ჭიროდათ ყაჩი. მოსაქსოვათ არა, კაცო, ყაჩი ისე ვსტავდით, ყაჩის ძაფს. ძაფი იყო მაგარი და ვკერავდით იმითინ ტანსაცმელს, ხელით საკერავი ძაფი რო გვაქ ახლა ჩვენ, ე, ისე იყო. ვკერავდით იმას და ქე იყო კარქათ. ასე კეთდებოდა ყაჩი.

3) ამინდი

ქე ვიცით ჩვენ შეტყობა ამიდის, სოფელში. თუ მეიღუბლა, ჩამოცხება ნემეტანი, ნემეტანი სიცხეა დღეს და ა. ხვალე გაწუმდება;

მერეთ, გეივლი და **ჰიაღელე** ნახო იქნება ამოსრული მიწაზე; ჰიაღელე თუ ნახე ამოსრული ზეით, გაწუმდება ხელათ, იმ წუჩი. ეგი უებარია თლათ; ვასკლაები კიდო, ჯარი ვარსკლაებია ცაზე და ქვეითა ჩამოწეული ვარსკლაები. იტყვი რომე, ჩამოცვინდაო, ე, გაწუმდება, ვიცით. ახლა, ეგი; მერე, ქარი თუ აქიდან მევიდა კიდო, მარჯვნი კედრიდან, დოუბერა ქარმა, გაავდება; ფთიდან რო ქარი წამოვა, ქვენე ქარი, იგი არ გაწუმდება იმ დღეს, ვიცით ჩვენ ეგი. ამისანეებს ვატყოფთ, ღორები ქვყავს ხო, მაგალითათ. შევიდა საღორიაში და ძინავს ღორეფს, ოუცილებლათ წუმა იცის იმან. ღორი არ დეიძინეფს, მართლა ასეა. ღორმა თუ დეიძინა დღეი, ძინავს იგენს ხშირათ ხო, გაწუმდება, წუმის მოსასწაებელი ამბავია; ეგი რო იპკინება **ჰეჰეურეები,** შეილება გაწუმდეს, ამანაც იცის წუმა; ბუზარეები რო იპკინება, გაწუმდება მაშვინ. (საქონლის ჰეჰეურეებია (გძელი ჰეჰეურე რომა) მაგენი და ზაფხულში ქე იცის, ხშირათ იცის პკენა და მაგი უმფრო არაფელი იმდონი.) ხოდა ასე რამეები გვაქ დაცთილი ჩვენ. ჩემი დედამთილმა ნემეტანი კარქათ იცოდა მაგენი, ატყობდა სულ წუმას. ძინი თუ მემერია, ძინი. ე, გაავდება, გაწუმების ნიშანია ეგიც.

4) ქვანთახობა

ქვანთახობა ვიცით ჩვენ. როიც იყო ქვანთახობა და აღდომის თუთხმეტია. აღდომა ხოა, ისე დადის იგეც. თუთხმეტია. მისი თუთხმეტი. ორშაფათია ქვანთახობა. უქმე კარა ე ქვანთახობა: ამ ქვანთახობას მამაჩემი შამოგვაბლობდა სამთელს, დაგვაჩოქებდა ბოფშეფს, ხოდა შამოგვაბლობდა ყველას ჩვენ სამთელს. წეიღებდა ამ სამთელს მერე და ქვანთახობის ეკლესიაზე შეწირავდა. **ურიეშვილებშია** მაი ქვანთახობის ეკლესია. ძველათ ყოფილა, ახლა, იქინე, სულორში, ხოდა ამ დღეს წირავდენ ეგენი, ჩვენი ხალხი, იქინე, ქვანთახობის ეკლესიაზე. ქვანთახობა სულორში ვიცოით ჩვენ მარტო. აქანე გადიჩი გიორგობა იცოდენ. თავ-თავისი იგი იცის ყველამ. ამ ქვანთახობას, ახლა, ვიცოით, სტუმარი უნდა მოსულიყო ძველი და ახალი ყველე, მევიდოდა იმისანე სტუმარი, რომე გამეგეცნობილებოდა მაშვინ, ასე მოყვარე ვარ შენიო. ვიცხა, მამიდაშვილის შვილის რაცხა, გეიცნობდი მაშვინ. ბევერი სტუმარი მევიდოდა. იგი წევიდოდა, მამე, ჩვენ არა, დილას წევიდოდა, ჩამევიდოდა მერე სახში. სტუმრებს ველით, დავკლავთ, ხან უშობელს დავკლავთ, ხან თხას დავკლავთ, ინ-

დოურებს ვზდიდით, ქათმებს, ყორფელს, ამიზა გვინდოდა ყორფელი. ნაეკლესიებია იქინე, დანგროულია ახლა იქინე, აღარა, მარა წირავდენ მაინც. მამაჩემი სანაამდი იყო, სულ წირავდა. ახლა აღარ ვწირავთ ჩვენ. ხოდა, მევიდოდენ სტუმრები, პეტერე კარ მევიდოდა, გო, ერთი ორმოცი-სამოცი კაცი მეიყრიდა თავს... ჩვენ ბოფშები საცხა... ვინ ჩიოდა, ახლა, ბაღანას, ღამის გასათევათ კიდო. ღამე რჩებოდენ, ბეჩა იგი, სამ დღეს უნდა ექეიფა სტუმარს. ქეიფობდენ ხალხი. მერე მეზობლის სტუმარი მევიდოდა კიდო; შენი იქით გარავა, იგი უნდა მეიყვანო კიდო.

5)

მეზობელი ქვყავდა ერთი, მასხარე კაცი იყო, კაი კაცი იყო. იმას უძახოდენ კაი, გენიოსე კაციაო, იცოდენ თქმაი მაგიზა. მარა იცოდა იმ კაცმა ლაპარიკი „ეგრე“. სხვანეირი ლაპარიკი იცოდა რაცხა. ყველაფერ სიტყვას დააყოლებდა „ეგრე“.

მოუტანია ერჯენ საქფავი წისკვილში, ხოდა, გრიგოლიე ხოდელიძეა იქინე მეწისკვილე და დოუტოვია საქფავი დამიქფე ეი, გრიგოლ, ეს საქფავიო. კაი; დოუქფავს გრიგოლიას, დოუხვედრებია და პეტერე **მოღერღილო** ყოფილა. მევიდა, ახლა, სარაპიონი, (სარაპიონი ქვიოდა ი კაცს): „ეგრე, გრიგოლ, ვინ გითხრა სარაპიონმა ძროხა იყიდაო?!“. სარაპიონს ძროხა არ ყავდა, ღარიბი კაცი იყო. ახლა, მეწისკვილემ ვერ მიხვთა, გაშტერდა კაცი, ეი, რაიაო, ძროხა, კაცო, რა ვიცი მეო, არაკაცს არ უთქვიაო; უძახის ახლა, სამჯენ-ოთხჯენ გოუმოორა, ვინ გითხრა ძროხა იყიდაო; აპა, რატო დაღერღეო. რატო **დაღერღეო.** არ დამიღერღია, კაცო, არა იმდონი დაღერღილიო. დაღერღილიაო და ძროხაო, მიტო გემბობიო, რატო დამიღერღეო. წევიდა ახლა ი კაცი, ეიღო, წევიდა.

მერე, ახლა, ამისანე იგენი იცოდა ამ კაცმა, კაი-კაი ლაპარიკი, განთქმული იყო ეი სულორში ე კაცი, რა კაცი იქნებოდა, ახლა, ეგი. ხოდა, შვილი ყავდა ერთი ლადიკო, გოგოებიც ქე ყავდა. დავდიოი მის სახში მე. **ძირდადგმული** სახლი ქონდა და დიდი კარაპინე ქონდა გარასავალი. იქით ქვაი დადებული, აქით ქვაი. შვაცეცხლი, შითე ტახტები, ლოგინები რაცხა. ხოდა **ჩოუთავნავი** და რამე, შვაცეცხლი რო ამთია, აპა, რაია. და **სალპობია გამოდღლეზილი,** ძაღლები გავა-გამოვა შითე. სალპობია იგი, სარძიკელს ქვეშ, ძირდადგმული როა.

ლადიკო წასრულია, ახლა, საცხა მუშაოფს, გარეესახლა საცხა ქალაქში თუ საცხა და მევიდა, ახლა, ამან, მოუყვანა სტუმრები, ამხანაგები. მამაო, გოჭიო დამიკალიო, გოჭიო, სტუმრები მევიყვანეო და... სა ყავდა გოჭი სარაპიონს, ბეჩა, გოჭი სა იყო. ახლა დოუკვირდა თურმე და „შვილო ლადიკო, — ასე ლაპარიკი იცოდა. — შვილო ლადიკოო, ღორი როდის ვიყაი, გოჭი რო მეყოლებოდაო. რო არ მყავს გოჭი ხო იციო". სტუმრებმა მეისმინეს თურმე, გადეირია სტუმრები, რაფერი ლაპარიკი იცის ამ კაცმაო.

მერე ფთაზე დადიოდა ე კაცი კიდო. ფთაზე ყავარის ხდაი იცოდა ამ კაცმა კაი და მიყავდა ხალხს იქით-აქითე. ერთი გაბუნიეფში კაცი ყოფილა, ამის მონათესავე, ნათესავი კაცი ყოფილა, კაი ამხანაგი და გალაქტიონ გაბუნიას წოუყვანია ფთაზე. საქმელი-სასმელი იმას უნდა წამეეღო, ვინც წეიყვანდა თვარა ეგი სარაპიონს სა ქონდა საქმელი რო წამეეღო, რას წეიღებდა ეგი. წამოუღია იმას გუდით ღვინო სარაპიონიზა, თვითანაც, ახა, იმ კაცს წამოუღია გუდით ღვინო და გამოუარა სარაპიონს, წევიდენ, და აკიდენ ცხენზე საქმელები, გუდის ღვინო და ეიტანეს კარავში ფთაზე. დადვენ იქინე; ქამეს იმ ღამეს ვახშამი და მორე დღეს გევიდენ ყავარის სახდელათ. ახლა, სარაპიონი თურმე მოდის კარავში ხშირათ, სვამს ღვინოს, გამოცალა ღვინო, გამეიცალა. მივიდენ საღამოს, არა ღვინო შითე. ბიჯო, მევიდა ე კაცი და გეიგო, ღვინო აღარა შითე და სა წევიდა ე ღვინო. სარაპიონმა ახა, ძმაბიჭეფსაც ქე დაალევია ვინცხას. სარაპიონმა უთხრა თურმე — შენო, კაცოო, აქანე ფთის ამბავი არ იცი შენო გალაქტიონო?.. ფთამ ასე იცისო; ფთაში რო წამეიღეფ გუდასო, ღვინოს იშროფს ფთაიო, აშროფს გუდასო, ამოაშროფს ღვინოს შითეო. — მაი, ბიჯო, არალი მასეო; -ოო, ასეა კაცოო. ახლა, ამ კაცს, მოუდა თურმე გული, — სად მიხვალ, სარაპიონა დვალიშვილოო, დარდანელში ვარ აქანე (**დარდანელში** ვცხოვროფ, გაბუნიეფში), არ გინდა გამორება იქინეო?.. მოუდათ თურმე ჩხუბი, ა. მასხრობენ ისე. დაპირდა თურმე, არ დაგინახო გამორებული ჩემ ეზოშიო, ვერსათ ვერ წახვალ, დარდანელში რო ვარ, ხო იციო. იმისანა გასარებია გაბუნიეფში, იქით გორი და აქით გორი, ერთი გზაი გადის მარტო, ვერსადარა გვერც ვერ ოუარ იმას. სარაპიონი თურმე ერ წელიწაც არ წასულა ი ქვეით. ასე იყო ე ამბავი.

6) აღდომა ვიცოით, აღდომა ყველამ ქე იცის. ბოფშეფს გვიხაროდა, ახლა, აღდომა, კაბეფს შეგვიკერავდენ მაშვინ. კაბები არ ქვონდა გო, და ხამი მოქსოვა დედა, ხამი, დაასტენ ბამბა. სასტავი მაშინა ჩამეიტანა მამაჩემა, თფილისიდან. ბაბუაჩემი უწინ მოხელე კაცი ყოფილა და თფილიში წასულა, ხოდა იქიდან, სასტავი მაშინა გოუკეთებიათ, ბაბუაჩემს გოუკეთებია რაცხანაირათ და დაჟდებოი აგერ, რავარც იგია, ფეხის მაშინა როა საკერავე, ე, იმისანა იყო, იმდაგვარი. ხოდა აგერ მასლა ქონდა შითე დიდი, იგი და ბრუნავდა იგი ქვეით, ფეხს აბრუნებდი, ჩალხი ქონდა ერთი ხოდა ვსტავდით. რამდონჯერ მისტია მეც იმაზე, გოგო რო ვიყაი. დაასტა დედამ იმაზე, მოქსოენ ხამი, დეიდგა იმის საქსლი, მოქსოენ ხამი და შეგვიკერენ. ორი გოგო ვიყაით, მე და ვერაიე; დედაია!.. სააღდგომოთ ჩევიცვით ხამის კაბები ამჭრელებული ხამის კაბები, გევეით **ჯვარში, ჯვარიანობა** იცოდენ სამ დღეს. ბულთვის თამაში იცოდენ — ცოლიანი და უცოლო. და იქინე სილორია. უცოლოეფს მიქონდა ამ ზეით ბულთვი და ცოლიანეფს ქვეით. გარააგდებდენ სილორი წყალში და წეიღებდა სილორი. ჩაციოდა უცოლოები, იმდონი, იმდონი, კაცები იყო, იმდონი ბიჭები, გადეირეოდი. ხო ერთი ეზეკიე იყო, ეზეკიე, ბოხოხი ქუდი ეხურა, იმისანე თამაში იცოდა რომე... იგი განთქმული იყო, ი კაცი. ვერაფლიზა იმას ბულთვი ვერ გეექცეოდა. უცოლო იყო იგი. წყალში გარავარდებოდა ბულთვი და... ახლა კაღარა სილორი ისე. ე, დიდი იყო სილორი. სილორის პირზე უნდა გეთამაშა ეგი ბულთვის გატანიე, ეგერ სასაფლაომდია და ზეით კიდო. ასე იცოდენ გატანიე ბულთვი მაშვინ. რა კაი იყო, თუ იცი. ცოლიანი კაცები ცაკე იდგენ, უცოლოები ცაკე. ხან იგენი მეიგებდენ, ხან იგენი მეიგებდენ. უფრო ცოლიანეფს შველიდა, ქვეით მიქონდა სილორს ბულთვი. დეიჭირავდენ, ვინ გეექცეოდა ეზეკიას მაინც, ისე უბედური თამაში იცოდა. ცოლიანები, ხო იცი, მოკლებული აქ ღონე, უცოლოები უფრო **მაჯაგი** ბიჭები იყვენ — ეცინოდენ ასე. დამთავრდებოდა ეგი.

ნათლიღება შობის მერეა. ნათლიღებას, ახლა, ღვდელი უნა გამოსულიყო, ხოდა გადებდენ ფიცრეფს, ქვები იყო მომგვანებული რაცხა და გადებდა ფიცარს იქინე ღვდელი შვა სილორში, შედგებოდა დიაკონი და იგი და ლოცულობდენ იქინე, ჯვარი ეკავა ხელში, ხოდა ჩადებდა ჯვარს სამაამდი წყალში, სამაამდი ჩადებდა ჯვარს, გაბანდა ასე, დიდი ჯვარი რო აქ ღვდლეფს და ჩვენ დოქებით, თელი ხალხი,

გაფსებულია იქით და აქით, დოქები უკავია ყველას, ვართ. ქვეით ბოფშები, რომე უნდა ამევიღოთ ყველამ წყალი, ამევიღებდით, ესევა ხალხი. არი ერთი **შეჯგლეთანი.** სამჯერ ჩადებდა ეგი, მალე თვარ ამეიღე, ზეიდან სილორი ხო მოა, ბიჯო, შეერევა შითე!.. რამდონი ნაცოდვილები ვარ იქინე, მოვასწრო იქნება, ჯვარს რო ჩადეფს ერჯენ, მორეჯენ, მესამეჯენ, ე, უნდა ამეიღო წყალი. და არ ეტეოდა ხალხი იმდონი იყო. ამ წყალს, ახლა, შევინახავდით ერ წელიწაც, გაისაამდი უნდა იკმაროს, ახლა, ამ წყალმა, ხატინაბანმა. დეგებოდა რამე, შეხვთა რამე, დალევ, ახლა, ამას. რამდონჯერ დამილევია. მერე რაფერა, თუ იცი, მერე დეილექებოდა ე წყალი. დასკელდებოდა წყალი, გო. მოგვიტანდა დედე, ბოთში შეინახავდენ მერე იმას. გასკელდებოდა წყალი, მობჟავდებოდა რაცხა იაგავათ და გვასუმდა დედე მაინც. ბოფშებს, რაცხა ავანტყოფობიზა გვასუმდა, ან სიცხე მოქვცემდა, **ხატინაბანი** ოუცილებელია ბაღანიზა. ვიცოით, ახლა, ეგი. წამალი იყო. ალბათ მოჭებოით. რა ვიცი, ასე ქე იყო და... გვასუმდენ ამას, მერე მორე წელიწაც კიდო ისე, ღვდელი ისე იზამდა კიდო. ვიღებდით იმას. ხოდა ამით გაქვონდა თავი, აპა ექიმი სა იყო, კაცო...

7)

ჰინკებზე მე გამიგონია, რამდონჯერ შემშინებია, ჰინკებიზა: **ჰინკობისთვეში** რო გამოხვალ გარეთ, ჰინკე არ მევიდეს!.. ჰინკე თურმე ამოა მაშინ ზღვიდან, ამოვლიენ ჰინკები, დეიარება ჰინკე. (ჰინკობისთვე თვეია რაცხა, გიორგობისთვე თუ რაცხა). ამოა ჰინკეო და წამოა ხალხში, დეიარება, ვის სა შეხვდება რაი იცი; მერე გეტყვის ჰინკეო, ან **მიკიკე,** ან **გიკიკეფო.** შენ თუ მეიკიკე, იქნება ქე არ წაგიყვანოს, ზღვაში ჩაგიყვანოს?! გვეშინოდა ნემეტანი. ჩვენ მევიკიკეფთ ისევლეო. შე რო მეიკიკეფ თურმე, ქვასავეთა, ვერ წიკავ ვერაფლიზა. ეგიც ქვონდა ჩვენ გაგონილი ბოფშებს— ვერ წიკავ. მეიკიკა თურმე ერთმა კაცმა, ვერ წიკა ვერაფლიზა. ქვას წიკავ, ახლა, ლოდი ქვას?.. პატარე ყოფილა რაცხა, პატარე, თავდიდე, წამოდგენით, რაცხა დიდმუცლიანი პატარე. დადიოდა ჰინკეები, უკიკებია ერთი კაცის. ვერ უწიკია ამ კაცს; აპა შენ მიკიკეო, უკიკებია, წოუყვანია ზღვაში, დოუხრჩვია, ჩასულარიენ ზღვის ფსკერზე. ასე ქვონდა ჩვენ წამოდგენილი ჰინკე.

ერთი ქვონდა კიდო წამოდგენა იმისი, რომე **ანტექრიხტე** ჩამეიარს, ბოფშებს გვეშინოდა. გვემბობოდა პატრონი, არ მეიპარო რამე და რამე, თვარა, ხო, ანტიქრისტემ იცის იგი, გეიგეფს იგი. რავა მევიპარავდით რამეს, კაცო. ერთი დღეია რაცხა, ანტექრისტეს იგი, უნდა ჩამეიაროს იმან. მტყუან და მართალს არჩევს იგი, თუ გაქ რამე მონაპარავი ან რამე. ანტექრისტე არის ჰიქის ფეხებზე შემდგარი — პატრონი გვემბობოდა, ჰიქის ფეხებზეა, მაღალია, ჰიქასავეთა იგი. სტეკლოის კაცია რაცხაო. ჩამეიარს იგი. გეიხედავ-გამეიხედავს, თუ რამე იგი გაქ, ცოდვა, ან მონაპარავი ან რამე, ვაი შენ გაჩენას, მოქკლავს იგი, წაგიყვანს. გვეშინოდა ამის ჩვენ, არ გვინახია ჩვენ, მარა ჩვენ სუ ველოით იმას. ამ წელიწაჩი ერჯენ ჩამეიარს. თუ მოასტარი, ფეხეფს მოანტროვო ჯოხითო, მარა, შენ ვერ მოასტრეფ იმას, კაცო, ი ღმერთის კაცია. შენ რაფერ მოასტრებდი იმას, ეგეც ქვონდა გაგონილი. თუ მოასტარი, მოანტროვო, მარა ვერ მოასტრეფო. ხოდა ამის გულიზა ვიყაით ჩვენ, რომე არც მევიპარავდით, არც წავახდენდით.

მეამინე ანგელოზები ვიცით კიდო. ყველას თავ-თავის ანგელოზი ყავს. მაი ახლაც ქეა. ადამიანეფს ყველას დასდევს თავ-თავისი ანგელოზები. შენი ანგელოზი შენ სულ გახლავს გვერჩი, მარა შენ კვერ უბზერ იმას. ხო. ი ლანდივითაა და გახლავს გვერჩი შენ. დეიწყევლო, ხო,.. მეამინე ანგელოზი დღეში სამჯენ დეგემოწმება. სამჯენ, ამინო, გეტყვის. თუ გითხრა იმან ამინო, შესრულდება ი საქმე; თუ კაიზე გითხრა, კაის ლაპარაკოფ შენ და გითხრა, კაია. ჩვენ წყევლა მიტო გვეშინია, ეზოში არ უნდა დეიწყეველო; შენ სხვაზე გულმოსრული ხარ, ხო, სხვას წყევლი, ეზოში არ უნდა დეიწყევლო — გვემბობოდა ჩვენ ძველი ხალხი... მეამინე ანგელოზი დეგემოწმება. რო დეგემოწმოს ხო ახთა იგი და ხო მოკვდა. ამიზა ჩვენ წყევლის გვეშინია.

მეამინე ანგელოზი **კარაპინაზე** ჟანა, ხოდა დეგემოწმება იგი, ამინ, გეტყვის სამჯენ დღეში. რაზე გეტყვის, რა იცი შენ.

8) საზიარებლათ წევეით მე და ჩემი დაი. ჩემი დაი ჩემზე უმფროსი იყო. მე პეტერე ვიყაი უმფრო და, შენო წაი და აზიარე ეგიო, — დედამ უთხრა — ეგიო არ ზიარებულა ჯერეო. ხო იცი ამის ამბავიო. მე ვიყავი იმისანა, რომე სხვის საინში არ ეჯამდი მე. ერთათ ხო ჯამდენ, უწინ, საინები არ იყო, ჯაც გარავდებდი შეაზე, სხვაი რო

ლუკმას ამოუსობდა, იქინე მეზარებოდა, ხოდა გაროუდებდი ჰაც, აქით არ მოუსვა შენ-მეთქინ. სხვისი გამონალობი პირში მეზარებოდა მე და კობზი მაინც სა ქვონდა მაშინ ჩვენ მარა... ასე ვიყაი. წევიდა ჩემი დაი და მივიდა ღვდელთან, დააფჩინა პირი ამან. ხალხი ზიაროფს და უბზერ ახლა მე. ერთი კობზი აქ ღვდელს, ამეიღეფს, ერთი პეტერე რაცხა აქ ხელში, თასი რაცხა და ამეიღებს იმაში, ჩოუდეფს ეგერ მიხეილა გლახას პირში, გლახა კაია, ვინცხეები. მერე ეი ამეიღო, სხვას ჩოუდეფს კიდო პირში ეგი, შემემეყარა მე გულზე. მე არ ვიზამ არაფლიზა, ახლა. პეტერე ბაღანე ქე ვარ, მარა რავა ვიზამ. ჩემი დაი მივიდა, დოუფჩინა პირი. **დოუფჩინა** პირი ჩემა დამ და ვერ დააფჩინა ძაან პირი და ჩაკრა იმას კობზი, დააფჩინე მა პირიო და რავარც იქნა **მოახლაფორთა** და ეზიარა ეი, ჩემი დაი. გამევიდა, ახლა, მიდი შენო. წამოდი, მე უთხარი სახში, მაქანე რავა მივალ, ვინცხას კობზის პირში უდეფს და იმას ვერ ჩევიდეფ მე-მეთქინ. არაფლიზა არ ვქენი მე, წამეევი სახში. ამან წამარტყა თავში, შენ უბედური ხარ, მასე იცი შენო. წამეევი სახში; მევიდა სახში და დედას უთხრა, რომე, მაგანო ასე ქნა იქინეო, რომეო უბზირა იქინეო, სხვაი რო პირში იდეფს კობზსო, იგი არ ქნაო მაგანო, ცაკე კობზს ვინ მიცემდა ახა მაგასო. ხოდა შექნენ ჩხუბი და აგენმაც მომბრიგა, დედამაც გამარტყა თავში, მაი რა უბედურია, მაი, მაგიო. მერე რაი თუ იყო, ღვდელი ასეა მაიო, ღმერთია, შვილო, იგიო და პირში კობზი მერე რაიო. მეტი არაფელი არ მითქვია მე, ავტირდი პეტერე და დავანებე თავი. მერე არ გავკარებივარ ღვდელს. ასე იყო და წამეევი. მერე ქე მეიხსნა ზიარება რაცხანაირათ. არ ვარ ნაზიარები...

9) თხილი

თხილს დავრგავთ გიორგობისთვეში, ნაშამოდექეფს. თხილს აქ ამოყრილი ახლოს ძირეფთან, შორე თუ აქ იგი, არ ვარგა, კაკალი იქნება ჩავარდნილი და **ტყის თხილე** გამოვა. თლა ძირში უნდა ექნეს ამონაყარი. მოვჭრით მერე მიწაში იმას და ძირები მაინც დოურჩება აქით და დავრგავთ მიწაში, ორი ტუტუპი, სამი ტუტუპი, ერ ბოლს არ ჩავრგავთ, ორ-სამ ბოლს ჩავრგავთ. მერე წევიღეფ ამას, რამდონი ძირი უნდა დავრგო და მაშვინ ამოვთხრი მიწას. ჯერე გარავჭრი თხილს. მიწის ზეით უნდა იქნეს ცოტა, ათი სანტიმეტრი, მეტი არა. კვირტებიანი უნდა იყვეს ე თხილი ახლა, თლათ **გატანტალებული**

რო დარგო, არ ივარგეფს. რამდონი **გაბურჩხალებულია** იგი, მეტი კაია. ბოლები აქ ზეთე, კვირტები და იმას ქვია ბურჩხალე, გაბურჩხალებულიაო. მერე დავრგავთ. თლა ქვაი თუა მიწა, ნეფსა თხილი ვარგოფს; ქვიანი მიწა რო იყოს, არაფელი უპირს, ხაროფს მაინც, **ფხეკორაზე** ხაროფს მაინც. **ბოლოზი** მიწას არ გავაცთენთ მაგიზა, ყანა მოდის ზეთე. **ფერდი** მიწა ქეა, თლა ვაკე სადა ჩვენთან. აპა ველაზე თხილს არაკაცი არ დარგავს და არც ვარგა კიდო. მერე გეიზარდა თხილი. ზოგი მეიბამს, ზოგი — არა. მესამე წელიწაც იბამს თხილი და თვარ გამეიბა, გამევიდა **ყრუალე,** (ყრუალე თხილია, ტყის თხილი, მოუბამი); რო არ მეიბამს, იმას ქე მოვჭრი და სხვას დავრგავ იქინე. გურული თხილი ნაკლებათ ვარგა ჩვენთან, არ იბამს. იმერული თხილი გვაქ ჩვენ. ფხეკორე მიწა როა, რო ჩამოცივა ნეშო, დალპება ი ნეშო, ნეშომპალეს მიწა იქნება იგი, ანაკილეფს იგი მიწას. თხილი უნდა დეირგოს ნაშამოდექებს ანდა ადრე გაზაფხულზე. ოთხი არშინი, ხუთი არშინი უნდა დააცილო თხილი ერთიმორეს. მერე უნდა თოხნო. მომბვაამდი იმას თოხნა უნდა. მაყვალის ამოსვლა იცის იქინე, ეკალეს, იგი არ უნდა დოუყენო, თვარ მოთოხნე არ ვარგა, გეიზდება ეკალე და ბალახი. და ჩეიხჩვება შითე. ისეც იზდება იგი, მარა გვიან იზდება. არ გეიზდება, **ღვრომებს,** თვარ გათოხნე. მარ-მალე, ორკენ-სამკენ. იღრომებს თხილი, ქე გეიზდება მარა გვიან გეიზდება. ყანას ქე ვთესავთ შითე, თუ ყანა თესე შითე, თლა უკეთესია, მარგლი ყანას, ამოროდეფ და... თხილმა თუ მეიბა, ყანა რო გითესია შით, მაშვინ კარ დეიმატლება იგი, ნემეტანი კაია. მარა სულ კვერ დათესავ. თხილი რო ავა, მოშტილავს სიმიდას და ლობიას და არ გეიზდება ყანა, დეიგვალება სიმიდე. თხილის მიწაზე არაფელი არ ვარგა მერე. იი ისე ჰამს მიწას, მაი კარა, ნათხილარზეც არ ვარგა მერე არაფელი.

სამი წლის იბამს თხილი, **ნიშანს გამეიბამს.** ორი-სამი **პურჭყს** გამეიბამს თითო ძირი. ე, ნიშანი ამბია თხილსო, უმბობთ. რო იზდება, იმატეფს იგი მომბას, მერე ერთი ათი წლის თხილი, **დადგება თხილი.** ი ბოლები დიდვრანია მერე უნდა გამოჭრა თხილი, უნდა გაამეჩხერო, ბოლები ხო აქ ამოყრილი, იგი უნდა ამოჭრა ძირში, ხელახალი უნდა ამეიყაროს, უნდა **გააახლო თხილი.** თვარ გააახლე, დაბერდება ბოლები, დიდვრანი გეიზდება და ველარ გარმეიწევ ბოლს, არც ქე მეიბამს მერე, ხმება მერე ბოლი.

ჩვენ რო ვკრიფავთ თხილს, მაშვინ იწყეფს მუშაობას, მორე წლის მოსავალს იწყეფს. კრეფის დროს ქე აქ ჩამოკიდებული ეგერ-აგერ **უურსაკიდე, კვრიხილეეფს** უძახით იმას, თეთრი კვრიხილე; **ჰადა-ჰადასაც** ქე უძახით. თუა იგი ბევერი, უურსაკიდე, ბევერი მოსავალი იქნება, კარქა ემბება თხილს, გამოვცადე მე იგი ბევერჯერ და ვიცი. მუშაობას იწყებს იგი; ი ჰადა-ჰადასან კვირტებიც ქე აქ, ახალი კვირტები. მოკრეფის დროს ფთხილათ უნდა იყო, ნელ-ნელა უნდა მოკრიფო, ნემეტანი არ უნდა **გამოშხოლო** ბოლი ხელით. ამიტო მე თხილს ვრეკავ. დითხანს ვაცლი დამწიფებას, ქორო მოცივა თხილი, ე მაშვინ დავრეკავ; მერე დიდ ჯოხს გამოვთლი, თხილის ჯოხს იქავე და დასხეფ იმას და დარეკავ. ტანს უნდა დასხო, თვარა ნეშოს რო დასხო, ქე გაფუჭდება თხილი. მერე ჩამოცივა, **დახვარბალდება** თხილი, კეკლები ბალახებში — მიხვალ და ქეა **დაბარჩხალებული** ეგერ, გარაწევ ბალახეფს და შეხედავ იქინე. ახიკავ მერე. კალათი მაქ ეგერ, ფართოძირიანი კალათე, ხრამია და არ გარაგორდება. ვედრა არ ვარგა. წვრილი ძირი აქ. **წაკვანჭალდება** ეგერ, გარავარდება, ვერ მეეწევი, რიკი-რიკინით წავა. ახლა, კალათეთ რო ახიკავ, ჩაყრი **ბარდანაში,** დიდი ტომარე გვაქ მობზადებული იქინე, დავრწყავ ბარდანაში. ჩაყრი, რამდონს წიკავს კაცი, ქე ვიცი. სახში რო მივიტან, დარწყულია, ახლა, იგი; ვიცი რამდონი ბარდანე მევიწიე და რამდონი კილო გამოვა ერ ბარდანაში, გამორწყული მაქ და გამოწონილი; თუ მეიმატეფს. თვარა არ მეიკლეფს.

მივიტან სახში და დავყრი პოლზე, მიწაზე არ ვარგა, შეხურდა და დაობდა, რო დავყარე. კრეფა შეილება ოც დღეს გატანოს და მიწაზე რო დაყრი, რათ ვარგა. თუ წუმა დეგესტრო, დასოლდა თხილი, უნდა გააშრო და ისე უნდა დაყარო, ფეხით ოურ-დოურევთ.

რო მოკრიფავ თხილს, რო გავათაეფთ, რჩევას მივდგები. მოუყრი თხილს თავს, პეტერას, ურტყამ ჯოხს და გამოარჩევ თხილს. პეტერ-პეტერე უნდა დაარტყა, ძაან თუ დაარტყი, ქე დეიმტროვა თხილის კაკალი. მერეთ **ავჩენჩჩავ** ამას, ორჯენ-სამჯენ უნდა აჩენჩჩო, მერე **მომთავრავ** და ცალკე დავყრი აგერ და თხილი კაკალი ქე დარჩება იქინე. ამ დარჩეულ თხილს ეგერ ჩავყრი ჰურჰელში. ანდა ხელით **დავკარჰლავ,** თუ გვაქ დროი, მივადგები კალათას და ვკარჰლავ. მერე **წოურეკავ** ამას, დავყრით სუფნიკზე და ურეკავთ ამას, რო არ დარჩეს ი **ბრელო** შითე და პურჰუის ნაწეკვეები, ნარჩენები

ნეშოის. მოათავეფთ ამ წარეკვას, იმ ადგილს დავხვეტავ პოლს და დავყრი იმას, წარეკილი თხილს. მერე გახმება. თუ ბზიანია ამიდი, მალე გახმება. თხილი სკლათ არ უნდა დაყარო. ბზეში გამევიტან გარეთ, დოუფენ რაცხას, ჭილოფს, რაცხას, დავყრი ზეთე. **გოუკაკალაეფ** იქინე, გაშრება იგი ბზეში კარქათ. ერთი რო გარახედოს ბზემ, მეტი არ უნდა. ფერს იცვლის თხილი მაშვინ, კაია, წითლათ **ჭუა**, იმისანა კაი ფერისაა. გასაყიდად კაია ამისანე თხილი. დამპალიც რო იქნეს თხილი შიგნით, თუ კაი ფერისაა იგი, მაინც ქე გეიყიდება ბაზარში, ჩალანდარი მაინც არ იწუნებს, თვარ აქ კაი ფერი, ზეთს გარაასხამენ და ოურდოურევენ მერე. გაშრება იგი და იმისანე კაი ფერი აქ მერე, ნემეტანი კაი. ამას გამყიდველიც შობა.

ძაან უნდა გაშრეს თხილი, გაფიჩინდეს. მერე ბზეი არ აქ თხილს, მარა გაშრება მაინც, დიდხანს უნდა ასე. ერთი თვეი, ორი თვეი. რო გატეხავ უნდა გატყდეს გული, მაშვინა ხმელი. ჩვენ რო ურევთ ხელს, ხმაზეც ვატყოფთ, უნდა ჩხრიალობდეს თხილი. კაი მცოდნე ხმაზეც შეატყოფს იმას. რო მევილევთ გარჩევას, მერე თუ მიადგები **ნცროვას**. თვარა მანაამდი **თვალები ატრიალებული** მაქ, ვერ მოუდევი გული. მერე უკეთესიც ქეა მონცროვა, ჩამოცივა იგი ქვეით თუ დაქჩა კრეფის დროს. მიხვალ და მეიარ კიდო.

ჩვენთან ჯიშები ეგენი გვაქ: **ნეფსა თხილი, ტრაბიზონი, ჩია თხილი, ბერძული თხილი, ფსხილაძის თხილი, წითელი თხილი.** გურულ თხილს არ უშოფთ, არც ქე იბამს ჩვენთან, არ ვარგულოფს. თუ მეიბა, **ბოხორიკე** კეკალი აქ, კანი სკელი აქ, გული პეტერე აქ შითე. ტყის თხილეც ქეა, ნეფსა თხილს გავს. ღელისპირზეა იგი, ტყეეფში. დიდი იზრდება იგი, ჩქარა იზრდება. ნეფსა თხილს გავს, მარა მაგარი გასატეხია, ქვაით ვერ გატეხავ. ისე გემოიანი მეტია ყველა თხილზე. რათ გინდა ტყის თხილი მერე, თუ დარგე კაი ალაგას, მაშვინ კარ მეიბამს, გეიზრდება, წავა **ლორდათ**, გეილორდება თლათ. დიდვრანი ნეშოები აქ, ისე შესახედათ კაი ქეა, გეგონება თლა კაი თხილი.

ნეფსა თხილი — წვრილი ფოთოლი აქ უმფრო, მოლუნული ბოლები აქ უმფრო. თუ მეიბა, ძაან მეიბამს, ისეა, რომე **დაკინკულია** თლათ ბოლები. პურჭყები იცის დიდვრანი, გძე-გძელი წვერები იცის პურჭყმა, **მოქჩხუტავს** პეტერას. თხელი კანი აქ, ადვილი გასატეხია,

გული სავსე იცის, ჩატეა თლათ, **ფრიანტელე,** მარა გემბრიელი თხილია, გძელი ნეფსა ქვია მაგას, გაყიდვაში ორჯენ მეტს იძლევიან.

ფსხილაძის თხილი — წვრილი ნეფსა ქვია. იმანაც მაგარი მომბა იცის, თუ მეიბა. პეტვრანი ბოლები აქ და გარმოღუნული. რო მეიბამს, ძირს დეეყრება ბოლები. მერე უყენეფ მე იმას **კიპორჭალეეფს,** ყველაზე ადრე წიფდება მაგი, სუყველა თხილზე ადრე. ნეფსაა, მარა წვრილია იგი, გემრიელია ძაან. რო მოკრიფავ იმას, ადრე თვარ გაარჩიე, გაშავდება პურუყიც და კეკალიც. გძელი ნეფსამ კარ იცის ასე, ნემეტანი ძიმეა წონაში, სილასავეთ ძიმეა..

ტრაპიზონე — **მეძვირეა,** არ იბამს მაი კარქათ, ძვირათ იბამს. დიდი თვარ გეიზარდა ბოლი და არ დაბერდა, არ იბამს ისე. მერე გარმოწევაც ქე ჰირს, მისი ბოლი არ იღუნება. ნეშოები აქ იმისანა, მალავს იგი პურუყის, ტიტველე პურუყი აქ იმას, **წვერები** კარ აქ. გამორჩევის დროს ჩენჩი პეტერე აქ, აღარ რჩება ბეევრი. გარჩევაში კაია და წონაში თლა უკეთესი. ძიმეა ძაან, სკელი კანი აქ. გემოც კაი აქ, მარა ჩვენ საჰმელათ არ ვხმაროფთ. ნეფსა უფრო კაია, კეკალი ფსხვილია, პეტერაოთ მოგძო.

ჩიჯ თხილი — გვრალი თხილია. თვარ გააშრე მალე, ლპება. საჩურჩხელეა მაგი. გასატეხი ადვილია. დასარჩევიც ადვილია. პურუყი მეტი დიდი მაგას აქ, ბეევრი კეკლები აქ შეერთებული, 10-12 კეკლიან პურუყს ქე ნახავ ხშირათ. რო დაარჩევ, ბეევრი ნაჩენჩქერე აქ ნემეტანი, ამისანე არცეთ თხილს არ აქ. მალე უნდა გაარჩიო, რო არ დალპეს. უბედური გამოსაყვანია. საჩურჩხელეა კაი, წონაში ჩატეა.

ბერძული თხილი — ფსხვილი თხილია, გოზინაყათ ვხმაროფთ.

ვასასი კორფილეს ასული ქიმუცაძე

1) ***ქლიავი*** ბეევრი ჯიშია: **წანქლიავე, შანქლიავე. ოტურე ქლიავე, თეთრი ქლიავი,** სხვაი არ ვიცი. (ხო იცი ოტურე რაია შენ, დიდი რომა); **ციციმელე,** მე ქე მქონდა, მარა გახმა. წანქლიავე თეთრი ქლიავს რო ვეტყვით, თეთრი ქლიავი. იგიც ტკპილია, ახლაა შამოსული; შანქლიავე არა ჯერე შამოსული. შანქლიავი ლურჯია.

(უნდა დეიკავო დიდი თოხი ხელში და უნდა მოთხარო მიწა ღმათ და უნდა ჩადუა შითე და უნდა მოტენო მერე მაგრათ. მასე გაჩერება კარა, უნდა იმუშაო მაგრათ... ჰოდა, გეიხარეფს...) მარტის

თვეში ჰო, აქანე რამდონი ნერგები იქნება ახლა. ამას მოთხრი და წეიღეფ... კურკა ამევიდა იქინე. აპა სიდინა იგი. მარა ჩვენ არ ქვჭირია, მისით ამოდის იგი, თუ არ შეჭამა ღორმა და რამემ, მისით ამოდის. მარტში უნდა, თვარა გიორგობის თვეში ...ორი-სამი წელიწადი უნდა, აპა იმინუჩი ხო არ მეიბამს. და არც ყველე კარ გეიხარებს... **ნიშანი?** სამ წელიწაჩი მეიბამს პირველათ; ახლა მეიბა ნიშანი ჩემა დარგულმა ხემ, ამას ვიტყვით ჩვენ **ჭინჭყიან ადგილში** რო დარგავ, გლახა ადგილში, ქეც გაახმობს იგი; კაი ადგილში რო დარგავ, კაი შრალ ადგილში და კარქა დარგავ, კარქა უნდა მოტენო, ღმათ უნდა მოთხარო მიწა, ოუცილებლად მეიბამს სამ წელიწაჩი... აყვავილდება მარტის თვეში, დეიწყებს ყვავებას ხეხილი ხოდა აპრილში გამოთავდება, პეტერა... შეხედავ, გაგეხარდება. პეტერა ფესვის გამეიღებს, პეტერას... მიყობა, მიყობა და ამ თვეში მერე ყველაფერი მომბულია და ზოი წიფეა და ზოი მალე დამწიფდება ახლა ამ თვეში და მარიობისთვეში მართლა **საყმაყოფილოა** ყორიფელი. კვირკობისთვეში წიფდება თეთრი ქლიავი. მარიობისთვეში წიფდება შანქლიავი... თხილს რო ვარჩევთ, შანქლიავს ვჭამთ. შანქლიავე ახლაა წიფე. **ცირციმელეც** ამ თვეშია. თუ კაია და კაი წელიწადი აქ და კაი გამოსხმული ხეზე, არ დეიმატლება ცირციმელე და თუ გლახაა და ღარიბათაა ძირი, დეიმატლება იგი სულ თავიდინ, აპრილიდინ დეიმატლება და დაცივა ძირს.

კვანწარახის მოდუღებაზე გიყურებია? ხომ აქ ბუდე გაკეთებული და ასხამს და ქვეშ წვენი მიდის. ე, ისე. ი წვენი რო გადის, იმას შეინახავ და რო გაახმოფ ამ ტყლაპს იმითინ... გოესოფ იმას ქეც გასკელეფს და ქეც მიცემს ღონეს და გამოვა ტყლაპი. სხვაი... ამდონეთი არ ქვონია ჩვენ, რომე ტყლაპები და იგი გვეკეთებია.

ლეღვი გამეიბამს ივანობისთვეში. მე დოუკვირდი **წროულს** და ივანობისთვეში დააჩთა პეტერე კურკლებივით ლეღვს. ახლა კაიხელვანია. **ბერძული ლეღვი, თეთრი ლეღვი, შავი ლეღვი, ჩიტლეღვე,** ჩატარდა ახლა **ორმოსავალე**.

ასე ირგვება იგიც. ე, იგი ლეღვი, ახლა, მოთხარა ნინამ საცხა იყო, ე, იმხელა ხეი... მეიტანა და დარგო იქინე. რო მოთხრი იმას თოხით, ამოყობა იმას ფესვები და იმ ფესვებით ჩადეფ მიწაში, ორვე მხარე გეიხარებს ყვავილობა არ იცის ლეღვმა, გამოაშთება ისე პეტერე ნიშნები, ლეღვი გამოდის... იგი ახლა გამოშთებოდა პეტერე,

პეტერე სიმიდის კეკალის ხელა და მერე გეიზდება თანდისთან და ეკენისთვეში შამოსულია... სიცხე ლეღვს არ **წყენს,** სიცხე უხთება ლეღვს და გლახა, წუმიანი ამიდია, ცივი ამიდი — დაშლის... კეკალი გაქვავდება იგი, გამაგდება იგი, **თოთო** რომა მიტო... ბალი რო ბალია, იმას წუმა უხთება, სიმწიფის დროს. წუმა უმფრო ამწიფებს იმას. ლეღვი — თუ კაი ამიდია, კაი ცვარი და კაი თფილი ამიდი, კაი არის. კაი დამწიფდება; თუ გაწუმდა, დეიშლება; ხანი რო გოუა, წახთება, **ამძაღდება,** მოძმარდება... [ჩირი] დაჩლი და გააფარებ სიცხეში ქაღალდზე და **მოჭკნება**

ეი, გახმება. თუ დააყრი შაქარს, არ აწყენს, შაქარი **მოკრიჭავს**... ქე დეესევა ბუზარე, მარა მალე ეიღეფ, ორ დღეს ეყოფა იმას კაი მზეი; ხოდა ასე გაკეთთება; კარ უნდა მოხარჩო იგი: სამურაბეს კი, ვხარჩავთ. სამურაბეს მოვკრიფავთ **ყირწებიანათ,** დავაწყობთ გობზე და ვაყრით შაქარს. იქნება ასე, ხვალემდი, ზეგემდიც რო იყოს, არ უჭირს, **მოკრიჭავს** შაქარი. მერე ჩავყრით ქვაბში და ავადუღებთ. შევატყოფთ შაქარს და ლეღვს, რო შესკელდება, მოდუღებულია ახლა და გარმევიღებთ, გავაციებთ და შევინახავთ, გამოა კაი...

... გავარჩევთ ლეღვს, კანს გააცლი, ქართოფილივით **გაბუწკნი** და შეხედავ გეამება და ჭამ... არ ჭამენ კანს, ჯერე ბუზარეს დანაყდომი იქნება...

კინწა ლეღვი... **ყირწები** აქ გძე-გძელი და მიტო უძახით. ყირწი აქ გძელი და **დაკონწიალებულია,** იქით კაი **ბუზუნიეა.** ყირწები აქ წვრილი და ყინწა ლეღვი ქვია; ბერძული ლეღვის ხელვანია თითქმის ეგი. შავია, თლა შავი არა, ღვინისფერი ეგი.

კორკიმელე? გრძელი კეკალი აქ, ცალი გვერდი წითელი აქ. ცალი ყვითელია... საყვარელი შესახედავია. მარიობისთვეში შამოდის. თხილს რო ვარჩევთ, მოკრიფული გვაქ და ვარჩევთ, მაშვინაა კორკიმელე წიფე და ვჭამთ... ვისაც ბევრი აქ, ჭურში ყრის და ოტკას ხთის. ტყლაპი შეილება რო გააკეთო. თუკი გაქ დროი და თუკი გაქ იმდენეთი, გააკეთეფ ტყლაპს; რავა არ გააკეთებდა ან ბებიაშენი ტყლაპს კვანწარახიდან. მოხარჩა, ი წვენი დადინდა, ეგი ხენჯი, ამეიღო შითე კაკლები და იგი ქე გარაყარა და აი გეიტანა ბზეში და კეთთება;

წითელი *ტყემალი* მარა სახელი არ ქვია სხვა, სხვაი სახელი არ ქვია; გინდა წითელი ტყემალის დოუძახებ, თუ ყვითელია — ყვითელი ტყემალია; ახლა შამევიდა ეგი გაყიდვაში, თვარა ჭურში ვყრიდით, კვანწარახს ვადუღებდით ბევერს. იმდენეთი ბევერი არც ქე ქვონდა მაშვინ და ახლა რგავენ, თავრობა ღებულოფს. **ალუნჩის ბუში** ჭურში ჩაყრი თუ ბევრი გაქ და ოტკას გამოხთი, იმიტო, რო წყალი აქ ბევრი იმას და სიტკბო და ოტკა კაი გამოდის... ა, ახლა ვარ **გაწამაწიაში,** ამ თვეშია ტყემალი. ბევერი კარ ამიხეკია, ორასი კილო ავხიკე მარა, თქვე რო გელაპარაკები ახლა ბრუი მესხმის, ტვინი მეტკინა, იმფერი ასახეკია.

ბალი. კახამბალი, თეთრი ბალი, შავბალე, შავი ბალი რომაა, შავბალს უძახით. კახამბალი ქე რო კაი წითელი ბალია, იმას უძახით. თეთრი ბალი სამურაბეთ იცით ქალებმა. ვისაც სუმა აქ, შაქარი აქ ბევერი, გააკეთეფს მურაბას და შეინახავს. სამი ჯიშია. ჩვენთან აქანე, რო დადგება ივანობისთვე შამოდის ბალი; ამ დაბლა, თფილ ქოყანაში, ვანში და სამტრედიაში აპრილში შამოდის. საადრიო ბალი; ჩვენთან ივანობისთვეში არი კაი წიფე.

ჭანჭური რანაირია და **ორტყუპე,** ორტყუპე იცის, ისე **ლიბერია,** არც წითელია... ძაან რო დამწიფდება.ქე გაყვითთება... ტკბილია ზედმეტი და კაია ოტკათ, ღელესავით გამოდის. ყოველ ტკპილს მოდის ოტკა;

ორნაირი ატამია. ერთი ახლაა წიფე. საადრიო ატამი. საგვიანო აწია, ჯერე **პეჰეჰვატეა**; შამოვა საგვიანო მარიობისთვეში.

წაბლი წიფობისთვეში შამოდის, ასე გძე-გძელი ყვავილი აქ; მერე ი ყვავილი ჩამოცივა და წაბლის **ბურძგალა** გაჩითება მერე ი ყვავილში. უყვავილოთ, არაფელი ხეი არ შეილება. ახლა ბურძგალე აჩნია და წიფობისთვეში მოცივა.

ფსხალი — საყვითლავე ფსხალი, თეთრი ფსხალი, გულამბა, საკვირკვობისთვია იგი. თეთრი ფსხალი, წვრილი ფსხალი — საზამთრო ფსხალია.

21 ივლისი, 1985 წელი
გადიდი

ფსხალი არის... **კიფერი ფსხალი** კაი ფსხალია საშემოდგომო ფსხალია, შამოდგომაზეა. **წვრილი ფსხალია**, ზამთრის ფსხალს უძახით. იგი შამოდექზე არი, ნოემბრის თვეში იკრიფება. **კაცისთავე** ფსხალი არის, მარიობისთვის თვეში შამოდის ახლა, კვირიკობისთვეში შამოდის თეთრი ფსხალი; **გულსაყარე** ფსხალი არის; ძალიანი ტკპილი ფსხალია და მიტო უძახით გულსაყარას. ვრგავთ გამარტებულში: მარტში დავრგავთ ხილს, თუ რაიმე გვინდა, გინდა იყვეს ფსხალი, გინდა ვაშლი, ვრგავთ მარტში.

ცხრა მარტობას ნაპტყენებს ვაკეთეფთ, ხეხილების; ნაპტყენს რაფრა აკეთებენ და... **გაჩილავენ** ხეს, გადაჭრიენ ჯერე, გაჩილავენ ხეს და ჩააჟენენ, რაც გინდა რო დააპტყნა, ფსხალი გინდა, ვაშლი გინდა;

გიორგობისთვეშიც ვრგავთ, მარტშიც ვრგავთ... ყოველთვის კაი არის. გიორგობისთვეში დარგულიც კაია და მარტში ქეც ვრგავთ და ქეც ნაპტყენს ვაკეთებთ.

კაცისთავე **თავარი კეკლებია** და მიტო უძახით კაცისთავას, დიდვრანი კეკლები აქ. წვრილ ფსხლეფს პატვრანი კეკლები აქ, ახლა, იგენს და მიტო უძახით წვრილ ფსხალს, წვრილკეკლიან ფსხალს.

ხაჭეჭურა ფსხალს ვინახავთ ჭურშიც, ჩენჩჭშიც; წვრილს ფსხალს,ზამთრის ფსხალია, **ჩენჩჭში** ვინახავთ იმას. უმფრო ძლებს, უფრო კაი გემო აქ. ფსხალმა იცის გაშავება; ჭურში ხაჭეჭურას რო ჩავყრით, გაშავდება და ქეც გაბჟავდება, გაბჟავებული გემო აქ, იი არა კაი საჭმელი; ჩენჩჭში შენახული უმფრო კაი არის. ახალივით არის, ოღონდა **მოჟღნება,** მარა საჭმელი კაი არის — ხეჭეჭურე, გინდა სხვაი ფსხალიც.

ოთხნეირია **ტყემალი**: წითელი ტყემალი, თეთრი ტყემალი, ვარდისფერი ტყემალი (შე რო ტყემალი გაქ, ნინა...), მეოთხე ალუნჩის ბუშის უძახით. ალუნჩის ბუშია, ტკპილი არის ძაან, ტკპილი ტყემალია; ვადუღებთ იმას ტყემლის წვენათ, **კვაწაბს**: მოვკრიფავთ, ახლა, იმას ხეზე სუფთათ, გავრეცხავთ, ჩავყრით ქვაბში, ავადუღებთ, მოვხარჩავთ, სუნელეფს ხარჩვაზე უშობით, ქინძის, პიმპილის, ომბალოს, ხარჩვაზე უშობით, ცერენცოს, მერეთ მეიხარჩება, ვადუღებთ დითხანს, დითხანს უნდა ვადუღოთ, მოდუღდება, ჩამოვდგამთ ძირს, და-

ვდგამთ, გაცივდება და მერეთ გავცხრილავთ, გავწურავთ და მერე უზამთ მარილს, გაცხრილულს, ჭურჭელში ჩასხმის დროს უზამთ მარილს. შევინახავთ ბოთლებში, ხოდა ტყემლის წვენია, კვაწაპია. **კვანწარახი** — ისე უნდა იმასაც; მოვკრიფავთ თუ მოვრეკავთ, კვანწარახის ტყემალი არ მეიკრიფება ყველე; მოვრეკავთ, მოვხიკავთ, მევიტანთ სახში, გავრეცხავთ, ჩავყრით ქვაბში, ვადუღეფთ იმას, ძაან დუღება უნდა, მერე გავწურავთ საწურაში, მოლობილი გვაქ საწური, გავწურავთ იმაში და მარტო წვენს ჩავასხამთ ჭურჭელში და შევინახავთ. **ხენჯი** საწურაში რჩება. ხენჯიდან ტყლაპი კეთდება; იმ წვენს მერეთ ჩავასხამთ ქვაბში, ვადუღეფთ და ვადუღეფთ; ყვითელი ფერი რო აქ იმას, წვენს, ახალმოხარჩულს, იმდენი უნდა ვადუღოთ იი, რომე უნდა გაშავდეს; გაშავდება იგი, ჩასქელდება ძაან ქვაბში და ჩამოკდგამთ მერე, დავდგამთ, გაცივდება და იმას ვკმაზავთ მერე, რო გაცივდება, შევინახავთ მერე ჭურჭლეფში.

ტყემალი არა **ნაპტყენი**, ტყემლები არის ისე გამოსრული, ზოი თესავს მეურნეობაში, თესავენ, მოაქვენ მეურნეობას, რგავენ, წითელი ტყემალიცა, თეთრი ტყემალიცა. ყვითელი ტყემალიცა. სამნეირი ტყემალი აქვენ. რგავენ ასე; იი ბურკაზე ამოდის ტყემლები და ნაპტყენის ტყემალს არ გავაკეთეფთ. სხვაი იპტყნება, ფსხალი, ვაშლი, ამისანეების ვაკეთეფთ ნაპტყენს და ტყემალს არა. მარტის თვეში ამოდის ბურკები. რო ჩაცივა მიწაში, ქეც თესავენ გამარტებისთვეში; როიცა და ივნისის თვეში, ივანობის თვეშია ტყემალი და კვრიკუობისთვეშია ტყემალი; მოსაკრეფათ რო გინდა, გასაკეთებელათ, ივანობისთვეში და **კვრიკუობისთვეშია**.

ქლიავი რამდენი ჯიშია? ორი ჯიშია ქლიავი. ერთია **შამქლიავი**, მეორეა თეთრი ქლიავი. **ოტურა** ქლიავი ჩვენ არ გვაქ. შამქლიავი, თეთრი ქლიავი, ოტურე ქლიავი და კორკიმელე. მარა სხვას უძახით ჩვენ, ისე კორკიმელე პატვრანი კეკლებია, იი გვიან შემოდის უმფრო; შამქლიავი; შამქლიავი შამევიდა ახლა, შამოსრულა ამ კვრიკუობისთვეში და იგი მარიობისთვეემდი არ შამუა, კორკიმელე მარიობისთვეში შამუა. ი ოტურეც მარიობისთვეშია, გვიანა იგეც, მარიობისთვეშია ი ოტურე. კამფოთს ვაკეთეფთ, ტყლაპის ვაკეთეფთ; რავარც ტყემლის იგი. ისე უნდა იმასაც მოხარჩავ და ამობურკავ, დაასხამ სუფთა ფანელკაზე და გახმება და ტყლაპია, ჭამს იმას ადამიანი. საჭამადისთვის არ ვარგა, ისე ადამიანისთვის საჭმელი არის.

ვაშლი არის: ქვავაშლე, საზამთრო ვაშლია. შამოდის იგი გიორგობისთვეში, იკრიფება გიორგობისთვეში, წიფობისთვეშიც ვკრეფთ ... მორენაირი არის **თეთრი ვაშლია**, ისე არის იგეც, გიორგობისთვეში იკრიფება იგეც. მესამენაირია დიდვრანი კაკლებიანი **წითელი ვაშლია** შამოდის გიორგობისთვეში. ეგენი აყვავებით, აყვავდება ეგენი მარტის თვეში. დეილევა მარტი, დაამთავრებენ ყვავილს, მერე მოყობიენ გიორგობისთვეში. ახალ თვარეზე მოკრეფილი ნაკლებია, ძველ თვარეზე მოვკრეფთ, შევინახავთ, გაძლეფს დითხანს.

უნდა კაი ამიდი. ყვავილში როცხა არის, თუ მოთუა, ან გარმოთოვს ფთაი, ოუცივდება, მოყინავს და დაცივა სუყველე, აღარ გამეიტანს ნამყოფის იგი; თუ ოუცივდა ამიდი. მარტის თვეში, ყვავილში როა, თუ აცივდა, მოწვავს იმას და ერთი ცალი არ შერჩება ზეთე, დაცივა სუყველე;

მეწლეობა? აპა რაი იცის, სარშან არ იყო, წროულს ქეა. გამოდის ისე და რა ვიცი, ნამყოფიო, ასე გამიგონია, რო დააპტყნიო, მოსხმული ყვავილი რო ექნებაო. ე იმაზე უნდა ეიღო კვირტიო და ე იგი უნდა დააპტყნაო და იქნებაო მომბამი ხეიო და თუ **ცარიელე თვეი** შეხვთა, ახლა, იმას, წელი რომე, წროულს არ იმბამს მაგალითად და წროულს დააპტყნი. ახლა, იმას, იგი მერე არალის მომბამი ხეი; როცხა მომბის წელიწადი აქ, გააკეთეფ იმ წელში, მომბამი ხეია იი მაშვინ და როცხა არ აქ მომბის წელიწადი და გააკეთეფ მაშვინ და ძაან ხშირათ ცარიელია იგი; ყოველ წელიწაც კი არა, ცარელეა, არ ისხამს იგი ხეი.

ვყრით ისე; ცივი ბინა კაი არის უხთება უმფრო, თფილ ბინაში უმფრო ლპება; ხოდა გრილი ბინა, კაი გამოჭრილი პადვალი უნდა, შეინახავ გრილ პადვალში, ძლეფს დითხანს; მიწაზე უნდა დაყარო; არც დახურვა არ უნდა თავზე, არ შეილება დახურვა; დაყრი მიწაზე იმას და იქნება კარდაგდულში, კარღიაში არ ვარგა; ქე არი მშვენიერი კარქათ;

რო დაცივა, დავჭრით ჩილას, უწინ ვჭრიდით გასაყიდ ჩილას; ახლა აღარ ვჭრით გასაყიდ ჩილას; ახლა კაი ვაშლეფს დავჩილავთ, სუფთა ჭურჭელში, გავახმოფთ, ზამთარში ბოფშებია თუ დიდვრანია, მოვხარჩავთ იმას, უზამთ შაქარს და იგივე კამფოთია და ბაღანეც ქე ჭამს და ბძენიც ქე ჭამს, ყველე ქე ვჭამთ.

პირველი მომბული არ უნდა ჭამოს ბოფშმა; ქმარშვილიანმა უნდა ჭამოს; რო იქნება ქმარშვილიანი, კარქათ, გინდა კაცი იყვეს, გინდა ქალი იყვეს, ამისანე რო ჭამს, იგიო მეისხამს ყოველ წელსო; თუ ბოფშმა ჭამა უწლევანმაო, იგი არ მეისხამს ყოველ წელსო; გამეიბამს ერთ ცალს, ზოი ათ ცალს, ხოდა, ეიო ახალმომბულიაო, ვიცით თქმაი, ახლა, და თქვენ ნუ ჭამთ ბოფშებოვო; არც ჭამს მართლა ბაღანე;

ექვსი წლის რო იქნება, ეგება ერთი ცალი გამეიმბას ნიშანი; ვაშლი გვიან ისხამს ნიშანს; ახლა, ნიგვზის ხემ ქე იცის უმფრო მალე ნიშანის გამოღება, ნიგოზმა, ხოდა, ვაშლი გვიანობამდი არ ისხამს; ვენახი და თხილი ისხამს სამი წლის დარგული რო იქნება, ვენახიც გამეიმბამს ნიშანს, თხილიც სამი წლის დარგული გამეიმბამს ნიშანს; მეოთხე წელიწაჩი კარქათ მეიმბამს ვენახიც და თხილიც;

მეურნეობაში თესავენ **ნიგვზებს**, მეიტანებენ მერე ნერგეფს, ხოდა, ხალხის არგოვიებენ, ვრგავთ ხალხი. დოურიგებენ მუშახელეფს, (მეიწოვენ და დოურიგებენ მუშახელეფს) მეიტანებენ და რგავენ ყვავილი იცის, აბა, მარტის თვეში აქ იმას ყვავილი. დიდვრანი ყვავილი დეეკიდება. დაცივა იგი, ი ყვავილი რო დაცივა მერე აჩთეფა კეკალი. ი კეკლეფს **ნიგვზის კეკლეფს** უძახით; შიგნით მერე კეკალი გამოა, მის დროზე. იზდება ამ **ღენჭოში**, იზდება იგი, დაამთავრებს იგი ზდას მარიობისთვეში; გამომწიფდება იგი კეკალი და გასკტება იი **ღენჭებურე** და გარმოარდება კეკალი შითე, ნიგვზის კეკალი ეკენისთვეში ვრეკავთ. ადრე რო მოკიდო იმას ხელი, ხელეფს გააშავებს ისე რომე, ნახშირივით. მანაამდი არც იჭმება იგი, გული წარე აქ; რო გასკტება ი ღენჭო და გამოარდება კეკალი შითე და მერე იჭმება იგი, გატეხავ ი ნივზის კეკალს და იჭმება მერეთ იგი. ლებანს რო აქ? იგი არის **ხაფსი** ხაფსის უძახით, აქ დაწეპებული ლებანზე. ოტკაში ჩააგდეფ ... იმას, კონიაკივით მოაქცევს ოტკას, ისეთ კაი ფერს მიცემს. **ხაფსილეა**, იცის ხაფსილე იმან. გძე-გძელი იგენი. ძაფებივით არი და იმას ხაფსილას უძახით;

ყურძნის გვაქ — **ცოლკოური თეთრი ყურძენია, შავი ჩხაველი, შავი ალადასტური, ადესე შავი,** მაღალ ხეებზე არის; აგენი **დაბლარია**; ალადასტური დაბალზეა, ჩხაველი დაბალზეა, ცოლიკოური დაბალზეა. დაბალ სარებზე გვაქ, სარები გვაქ დასობილი და იმაზე გვაქ აკრული. **კაბისტონი** კიდო ყურძენია, თეთრი ყურძენი.

ფრანგე შავი ყურძენია, აგი ჯიშები არი ყურძენი. ეგენი დახმა, გაროუდა ვადა; ახლა ე სამნეირი ყურძენი გვაქ, ოთხნეირი, ადესე, ცოლკოური, ჩხაველი და ალადასტური. ეგია ახლანდელი ყურძენი. ვრგავთ გიორგობისთვეში, მარტშიც ვრგავთ თხილს.

თხილი არის **ჩია თხილი, ბერძული თხილი, ნეფსა თხილი,** წვრილი თხილი — **ფსხილაძის თხილი.** იი მაშვინაც იწყეფს, რო ვკრეფთ, მომავალი წლის გამოსატან ნამყოფს, მაშვინ აქ კიდო დაწყებული იგენი ყვავილები, **ჯონჯოლს** უძახით იმას; წროულს ახლა, რო ვკრეფთ იმას ჩვენ, საგაისოთ რო აქ იგი, გძე-გძელი იგენი აქ დაკიდებული **ჯონჯოლს** უძახით იმას, ხოდა საგაისო არი იგი, მეიბაძს გაისათ. ვიცით რომე მოსამბამია იგი გაისათ; ა, ჯონჯოლი აქო, წროულს ახლა კიდოო, გაისათ იქნება თხილიო, ვიტყვით, ახლა იგი რო ექნება. **კვირიხილე** იცის ზოგჯენ, ეგერ-აგერ იმასავეთ, თხილის კეკლებივით, მარა სხვანაირია იგენი, ოროლი სამ-სამი იგენია, მაგარ-მაგარი, კვირიხილე ქვია იმას. იგია უნამყოფო, იგი არაფელი არა. ძაან იშვიათად არის იგი. **თხილის პურჭყი** — კეკლებს რო გამოვარჩევთ, შითე მოვკრიფავთ და გამოარჩევთ, იმას ქვია პურჭყი, თხილის პურჭყი. მეიმბამს თხილი პურჭყის, დამწიფთბა მერე და კვირიკობისთვეში დევიწყეფთ აწი, მოზღვავდება იმდონი რომე

მოვლა იცოცხლე-თქვა; უნდა მოკრიფო, უნდა მეიტანო, უნდა დაარჩიო, უნდა გაახმო ბზეში, უნდა დაყარო პოლზეც, ხოდა გახმება და ასი ხელი უნდა; უნდა გარააბრუნო, უნდა გარმოაბრუნო, დახმება მერე და ჩაყრი ჭურჭლეფში და გაყიდი მერეთ

ჩურჩხელა — დავანტროვთ, დავარჩევთ, დავათეთრეფთ, უნდა დავათეთროთ დუღარეში, სოდას უზამთ ადუღებულ წყალს, დავათეთრეფთ: დეიპუწკნება იგი, გაყობა ი კანი და დეიპუწკნება, ავანცუმთ მერე მერეთ ყურძენს მოვკრიფავთ, ამოვავლეფთ თეთ ფეღამუში ი ჩურჩხელა არის ის

ოთხნაირი **ლეღვია — ბერძული ლეღვი** გვაქ, დიდვრანი კეკლები აქ; მორენაირი **თეთრი ლეღვი** გვაქ, დიდვრანი კეკლები აქ იმასაც; მესამენაირი **ორმოსავალე** ლეღვი გვაქ, უმფრუ ადრე შამოდის ი ორმოსავალე; მარა გემო, როგორც აი ბერძულ ლეღვს აქ და თეთრ ლეღვს აქ, იმნეირი გემო არ აქ ახლა იმას; ნაკლებია იგი უმფრო — იი ორმოსავალე ლეღვი; ლეღვის მოვკრიფავთ მურაბადაც, ვიცით მოდუღება; მურაბათ მოადუღებთ, თუ ბევრი იქნება, ჭურში

ჩავყრით, ოტკათა კაი, გამოვხთით ოტკათ და კაია; დაჩილვა ვიცით, გავახმოფთ, ხოდა გახმება და ნემეტანი კაი საჭმელია, ბერძული ლეღვის დაჩილვა ვიცით და გახმობა ვიცით; ორმოსავალე პირველი რო შამოდის იგი კაია უმფრო და, მეორეს უსტრებს იგი კაი ლეღვები და იმას აღარც ქე ჰამს მერე ბაღნები; მერე იგენი უმფრო კაი არის, ბერძული ლეღვი, თეთრი ლეღვი; ვკრეფთ ახლა იმას, ბევრი გვირგია, ვკრეფთ და ვყრით ჰურში, სახადში კაი არის; ბოლოს დაასოფ, გეიხარეფს იგეც, ისე ძირში ამოყრა იცის კიდო, ამეიღეფ იმას და გარარგავ; იცის ზოგმა ნერგი ძირში; ყველამ არ იცის ნერგი ძირში; რძეი აქ იგი; დოუმწიფებელია მაშვინ და **გამოტირდება რძე**; იგი ძალიანი ცუდია, ხელიზა; რო არ აატკინოს თითი, არ იქნება; მოწიკვავ ახლა იმას, მეგეცხება თითზე, ძალიანი ცუდი არის, თითების ატკენა იცის; აი, **ბაჟე** ლეღვის ჰამს კიდო ბაღნები, ტუჩებს აატკენენ, თითებს აატკენენ, ხოდა არაა კაი; კაი დამწიფებული რო იქნება, არც რძეი მოდივა იმას და კაი არის; რო გარამწიფდება, თუ არ მოკრიფე, არ უჩვენე ალაგი იმას, ან ჰურში არ ჩაყარე, ან სამე წეიღე, აქოთება ხეზე, დალპება ხეზე, ხოდა არაფლათ იგი აღარ ვარგა მერე, არც ჰურიზა ვარგა და არც სხვა რამიზა აღარ ვარგა, წახდება ხეზე, დაცივა მერე იგი ძირს და არაფელი არ ჰამს იმას მერე; ამიდი შეხვთება იმისანე ხანდეხანდე წელში, რომე არ ვარგა; დეიზდება კეკლები და დაცივა ძირს, წამხთარი როა, დაცივა ძირს; არ აქ კაი წელიწადი და მიტო; სიცხე წყენს; ლეღვს თუ ძაან სიცხე შეხვთა, გამოსვლაზე, აი პეტვრანი კეკლები რო ექნება, დააწითლეფს იმას, დააცვენს მიწაზე; ხოდა, დამწიფებაზე ავდარი წყენს, წიფობაზე რო შეხვთება ხშირათ ავდარი, დასკტება, კეკლები დასკტება ხოდა არალის კაი, არ უხთება ავდარი წიფობაში; ბერძულ ლეღვმა იცის ყვავილი; გამეიღებს იგი ადრე, ეგერ-აგერ იმისანა კეკლეფს, რომე დეიზდება იგი , დამწიფდება. უძახით იმას ყვავილს; კეკლები სხვაი აქ იმას, ა, მწიფდება მაშვინ, ხოდა ეგერ-აგერ იცის, ახლა, გამომბა, თითო ძირზე მაგალითად რო დამწიფდება ი ყვავილი, ათის მეტი არ იქნება; მარიობისთვის თვეში, ლეღვი მარიობისთვეში წიფდება, მანამდი არ წიფდება ლეღვი; აი, ორმოსავალე უმფრო მალე დამწიფთება;

სხმარტლი კეთთება ნაპტყენი; აი წვრილი სხმარტლები რომა, **წვრიკეკალე სხმარტლები**, ტყეებშიც არი, ეზოებშიც არი; ვისაც

უნდა ახლა, აქ ზოგიერთეფს საცხა, ძაან იშვიათად **ნაპტყენი სხმარტლი, დიდვრანი კეკლები** აქ, მეიტანს და დააპტყნის მარტის თვეში და გამეისხამს იგი მერე, ხოლო, როგორც იი ხო დაპტყენი დიდვრანი კეკლებიანი, ე იმისანას მეიმბამს მერე იგი, ე ისე **თავარ კეკლები** იქნება და იმას უძახით ნაპტყენს; ისე სხმარტლი უნდა დეპტყნას სხმარტლზე; როგორც ვაშლი და ფსხალი მის-მის იმაზე, ე ისე იგიც. დამწიფება ძაან გვიან იცის, გიორგობისთვეში დამწიფება სხმარტლი; მოკრიფავ იმას, დაყრი **ჩენჩჭში**, თუ გინდა არ დაყარო ჩენჩჭზე, დაყრი სახში ისე, სუფთა რამეზე და მიყობა იგი, თანდათან დამწიფება; კიდო წიფება იგი, კუხე ხომა; მიყობა ისე, მიყობა და დამწიფება, გამეილევა პეტე-პეტერა დამწიფებაში;

ბერწოული ქეა **ნაპტყენი** ბერწოულები, რავა არ არი; მეურნეობებში ნაპტყენი ბერწოულები არი; ჩვენი ბერწოული... პატვრანი კეკლები აქ, **ცხარია ძალიანი**, საჭმელათ არ ვარგა; ისე უზამთ საჭამადს, გაწურავ და უზამ საჭამადს და საჭმელათ ძაან ნაკლები არი. მეურნეობებში აქვენ ნაპტყენი ბერწოულები, კეკლებიც დიდვრანი აქვენ და ტკბილიცა და კაი არი; აყვავდება იგი მარტის თვეში, მერე გაციეა იგი ყვავილები და გეიკეთეფს კეკალს; მერე მიყობა, მიყობა და დეიზდება და შამოა გიორგობისთვეში, ქრიშობისთვეშიცა ხეზე, დიდხანობაამდია ხეზე ბერწოული;

23 ივლისი, 1985 წ.
გადიდი

ნინა კირილეს ასული დვალიშვილი-შარაშენიძე

ვაშლიხ ჯიშები ჩვენთან, იმერეთში არის, ბატონო, **ქვავაშლე**, ძველი ვაშლი; მერე არი **თეთრი ვაშლი**; ახლა ბაღის ვაშლებია, სხვაი ვაშლები დააპტყნენ; ადრე **სანეფო ვაშლი** ქვონდა კიდო, სანეფოს უძახოდენ, თურმე მეფიზა მისართმევი იყო წითე-წითელი იყო გძე-გძელი; იი სულორში გვაქ ჩვენ კაი ვაშლები იყო; ახლაც ქე აყვენ გონია იგი; მე არ მაქ იი აქანე; არ დამხვთენია ი ვაშლი მე აქანე; **ბუღა ვაშლი** ხო დიდი ვაშლია, კიდო ბაღის ვაშს უძახით. ახალი ვაშლები რო დაამყნენ აგენმა; ვაშლის ნერგი არა, ვაშლის ნერგი

არ შეილება; ვაშლი უნდა დავამყნათ ჩვენ წარეზე; ნერგის, რო ვნახავთ ვაშს ამოსულს, **წარეა იგი**; ძირში თუა ვაშლი ამოსული, წარეა იგი; ნერგი არა აქ ვაშს; მერე იმას დავრგავთ სხოკან და დავამყნით იმაზე; დამყნა რაფერ ხდება და გაზაფხულზე, კვირტის გამოსვლაამდი, მარტი იქნება; ცხრა მარტობას ვიცით ჩვენ დამყნა; ცხრა მარტობას კაია თუ დაამყნი, ძველით ცხრა მარტობას; არა კვირტი გამოსრული და მაშვინ დაამყნი იმას, ვაშზე და გეიხარეფს იგი მერე გვიანაც ქე დააპტყნი, მარა მაინც კაია; რაფერ ვაპტყნით, კაცო, და სანამყენო ვიცით გაკეთება დანე გვაქ, კაი ჰრელი დანე და წავთლით იმას და, მუხლი უნდა ექნეს, ეი მუხლის გავსერავთ იმას შვაზე, მოვხერხავთ, გავსერავთ იმას შვაზე და წოუთლით კანს; კანი და კანი უნდა მიეღვეს ერთიმორეზე; მიიზდებიენ იგენი და გეიხარეფს იგი; ჩამოაცხეფთ ჩვენ სანთელს და ქონს, გაკეთებული გვაქ; შამოაჰირეფთ მერე ჰინჭის და, წყალი არ ჩევიდეს შითე, ზეით გარავგნისავთ გაჭრილ იმაზე, კაია; იმას ვაშზე მოვტეხავთ, კაი ვაშზე, რომელიც გვინდა დავაპტყნათ, თუ გინდა სანეფო, თუ გინდა ქვა ვაშლე. მოვტეხავთ იმას და დავაპტყნით იმაზე; მერე **ლეჩხუმელი ვაშლი** მაქ კიდო, ჩემი დამყნილია იგენი; აქანე მქონდა ლეჩხუმელი, დაბერდა და მოტყდა; რო დაბერდება ვაშლი მერე ტყდება; აღარ ვარგა. გახმება მერე და ტყდება;

ქვავაშლე არის, ბატონო, წითელი, გვრალი, მაგარია, მაგარი საჭმელია, ბქავეა ძაან, მარა იანვრის მერე ტკპება იგი, კაია ძაან; ბოვშიზა იმას ექიმი უწერს; მეტი რკინიანია იგი რაცხა კაია ი ვაშლი; იმას გიწურებდით თქვენ და გაჭუმდით.

სანეფო ტკპილია; დიდვრანები არა, ქვავაშლის ხელვანია, მარა მეტი გძელებია და წითელ-წითელი;

ლეჩხუმელი ვაშლი თეთრი ვაშლია, კაი ვაშლია იგი, გლახა კარა; ბუღა ვაშლი ძველი ვაშლია იგი, დიდვრანი კეკლები აქ. ფსხვიფსხვილი კეკლები ძაან.

როიც იწყებს გამოსვლას და გამარტებულში, კვირტი გამოა, მერე აყვავილდება მაისში; თუ აქ წელიწადი, იქნება მომბის წელიწადი. წელიწადი არ აქ წროულს, მეწლეობა იცის, ყოველ წელიწაც არ იბამს; ჩვენთან ვაშლი ყოველ წელიწაც არ იბამს: მეწლეობა იცის ვაშმა და მორე წელიწაც არა; მორე წელიწაც თუ შეხვთა კიდო გლახა ამიდი და მოწვა და რაცხა და მარა მაინც ქე იქნება ცოტა;

ქვავაშლას მოვკრიფავთ ჩვენ წიფობისთვეში: **ერთი კვირე წიფობისთვე უნდა გეიაროს.** მოვკრიფავთ, შევინახავთ, დავყრით გრილი ადგილზე; მიწაში არ ვყრით ჩვენ იმას, ზეით ვყრით; მიწაზე ქე ვყრით ისე; მიწაზე ვყრით და პოლზე არ დავყრით; მარტაამდი გადის; ჩალას გარავაფარფთ თუ მანდამაინც, თუ ყივნები იქნა; ძველ თვარეზე მოვკრიფავთ; მე, მაგალითად, არ ვიცი ახალ თვარეზე მოკრეფა; სულ ძველ თვარეზე ვკრიფავ მე; და ძლეფს; ძველ თვარეზე რო მოკრიფავ, ძლეფს უფრო; და ახალ თვარეზე, გამიგონია, რომე ლპებაო, არ ვკრიფავთ ახალ თვარეზე. ძველ თვარეზე მოვკრიფავთ ვაშს, შევინახავთ. სანეფო ვაშლიც მაშვინა; იმ დროსა იგეც. ერთნაირი იყო მაგენი, მარა სანეფო ვაშლი აღარა, იმას არაკაცი აღარ აპტუნის და არ გვაქ იგი; გარაშენდა იგი; ბუღა ვაშლი აღარა კიდო ახლა, ანიკოს ქონდა ერი ძირი და აღარა გონია; როდის შემოდიოდა და მარიობისთვეში, მეტი ადრეა იგი, სექტემბერში ასე; ლეჩხუმელი სულერთია, ქვავაშლესანა იგეც, ერთნაირია იგენი.

რაი **ფსხალი** გვაქ ახლა ჩვენ: **გულაბი** გვაქ ჩვენ, შამოდის მარიობისთვეში გულაბი, საშმელათა კაი, დამკუტება, თვარა, ვაბარებდით უწინ; მორენაირი გულაბი მაქ კიდო, **წითელი გულაბი, ზამთრის** გულაბს უძახით ჩვენ იმას. წითელი გულაბია და გვიან იცის იმან, იგი ეკენისთვეშია, ეკენისთვეში უნდა მოკრიფო იგი, ხო, მერე გვაქ **წვრილფსხალი**, იი საზამთროა, იმას მოკრიფავ ნოემბერში, გიორგობისთვეში, გიორგობისთვის დამლევს, რამდონს გვიან მოკრიფავ იმას, იმდონი კაია; წვრილი ფსხალია და ძლეფს, ქე ძლეფს იგიც. მარა, აღარ ვაპტუნით ჩვენ იმას და აღარ ვიჯიშებთ, არც იბამს და არაფელი; **წოუდა ვადა** იმას რაცხა; ეგერ მაქ ერი ძირი და ხუთ წელიწაჩი ერჯენ არ მეიბამს და იმას რატო დააყენეფ აპა; ხეშეშური ფსხალია კიდო, ძველია **ხეშეშურე**; ძველი ფსხალია მაი, ძველათ იყო; იმას მოვკრეფთით იგივე ვაშლეფთან მოკრეფა უნდა, ზამთარში ძლეფს; მარა არ ძლეფს და ჭურში ვყრიდით ჩვენ იმას. ჭურში ჩავყრიდით იმას, შრალ ჭურში, ჭურს გამოვრეცხავდით კარქათ და ამოამშრალებდით ჭურს, ჩავყრიდით შითე, შესანახავათ, საშმელათ; გავაფსებდით დიდ ჭურს; თუ ჩაყრი ჭურში, ინახება და ისე არ ინახება; არადა შენახვა გვინდა იმისი; დავახურავთ, დავგნისავთ, აბა რაი; გაშავდებოდა უბედურათ; გაშავდებოდა, მარა ვჭამდით და რა ვიცი მე.

ერთი ამბავი

წევიღეთ ერჯენ ჩვენ ქუთაიში იგი, მამასან, ბეერი ქვონდა, ერთი ჰური ქონდა საფსე, სამოცფუთიანი; წევიღეთ ქუთაიში; მანქანები კარ იყო მაშვინ, თავადგმი ურემი გამევიდა გაღმართიდან, თავადგმი ურემს უძახოდით, მაღალი კალოსები აქ, მაღალი გოგრები; ხარები ყავს კაცს შემბული და კამბეჩები, შავ-შავი კამბეჩები როა; ე იგენი იყო შემბული და მოდიოდა, კაცი იყო; გამოდიოდენ გაღმართლები ჩვენთან; გაღმართლეფს უძახით ჩვენ, რიონს გაღმა ვინცა. იგენს გაღმართლეფს უძახით, გამოდიოდენ იგენი; და ნაჭირაები იყო ახლა, ქირას ვაძლევდით; შეგვიყვანდენ ქუთაიში ურმით; წევიდოდით, ახლა, დღეს და შევიდოით დილას. ამ დილაზე რო წევიდოით, მორე დილას იქინე ვიყაით; მერე ამაზე, ახლა, ერთი მოსახლე კარ დავაყრიდით, ერი სამი მოსახლეა; სამი ადამიანის იგი; დავჭვირთავთ, ახლა, ურემს; იმას ბეერი მიქონდა, ბეჩა; წევეით ქალები, ერთი ხუთი ქალი წავყეით, მამე იყო კიდო, გევეით გაღმართში და დასცხო წუმამ; გვაწუმს თავში; ღამეა, ახლა დაღამდა. მანქანა სადა, კაცო? მივყობით, ახლა, ამას ქალები. რო დეისვენეფს ურემი, უნდა დაასვენო ხანდახანე, დეიღალა ხარები, შევძრობით ქალები ქვეშ, ხუთი ქალი ვართ. შევძრობით ურემსქვეშ და გარევიწუმეფთ, ახლა, პეტერას. წავალთ; წევეით, ვიარეთ ღამე, ვიარეთ. დაწუმპული ვართ, ახლა, ქალები; შევეით, ახლა ამ კაცმა მის სახში წაგვიყვანა; ქონია ამას სახლი, ეზო ქონია, სახლი უდგანა, ისე კუხნა უდგანა კიდო დიდი და იმაში შვაცეცხლი უნთია; დაგვიმთო შვაცეცხლი და შეგვიყვანა შითე, ქალები დაშრებითო; ურემი ეზოში გააჩერა და, დავშრით ახლა იქინე, გევიხადეთ ტანსაცმელები ჩვენ, მოგვიტანეს იგენმა ძველ-ძველი რაცხა, არც იგი იყო დიდარე, ჩვენი არ იყვეს, ღარბი იყო იგეც. დავშრით, ახლა, ქალები, გევიწურეთ იგენი, ფეხზე, ტანზე, კალოშები კარ იყო მაშვინ; კალოშები კარა, წუღები გვეცვა, ბეჩა, რეზინის წუღები რაცხა, სა იყო კალოშები კაცო. კალოშებში არ შედის წყალი; ფეხები დასვრილი გვაქ, ყორფელი. დევირეცხეთ იი, იი და შვადღეემდი მოუნდით. ამ კაცმა საშმელიც ქე გვაჭამა პეტერე რაცხა. წაღებული გვაქ ჩვენ საშმელი, ჭადი და ყველი; აპა, პური სადა.

მერე, წაგვიყვანა მერე იმ კაცმა ბაზარში, ბაზარში უნდა მიგვიტანოს. ომია მაშვინ, ხოდა მივეით, ახლა, იქინე, მიგვიტანა საცხა, ბაზარში, დავაწყვეთ იქინე და ბაზარში კარ მიგვიყვანა, ჯერე მიგვიყვანა, ნათესავი ქვყავს ჩვენ იქინე, სინაურიძე. დიდი სახლი ედგა, იგი, დიდარე იყო ი კაცი, ვაჭარი კაცი იყო, მამიდაშვილი იყო ჩემი. მიგვიყვანა იქინე და ერთი ოთახი მოქცა იმან, ამ ოთახშიო დავყარეთ, ახლა, ე ჭურის ფსხალი. გადენია წვენი, აქოთებულა უბედურათ. დაშაებულა თლათ. მარა, მაინც ყიდულოფს ხალხი. გევიტანეთ მერე პეტერ-პეტერე ბაზარზე, სასტორები ვიქირავეთ, რაცხეები, მევეწყვეთ და ვყიდით ახლა. გევიხედე, ბიჯო და, შამევიდა თეთრიხალათიანები, მარა რაი შამევიდა. ჯგროთ მოდის რაღხა ეგერ და შედიენ სტოლებზე და ჭამენ, ახლა, ამას; ერთი ორმოცი, სამოცია. ვინა კაცო, რაია ეგი, თურმე სავანტყოფოიდან გამოქცეული, ავანტყოფები, თეთრიხალათიანებია. ვინა, ვერ გევიგე. არ ვიცი მეზღვაურები თუ, არ ვიცი რაი იყო. გამევიქეცით, ხალხს გვირტყამს, რო არ აჭუმ; დავტოეთ ყველამ სასტორები და გამევეით ყველე გარეთ. შევიდენ იგენი და სანაამდი, იგენმა, უმფროსი არ მევიდა და არ დოუფშტვინა, ბაზარში რო შამევიდა, ბაზრის ჭიშკართან და აგენმა გაჩერდა ხელათ, გევიდენ ხელათ და დაგვანებეს თავი ჩვენ. ასე იყო. ასე უბედურობა იყო.

ტკპილია, **დაკუჭება** იცის და ყორფელი; მარა დითხანს არ ძლეფს და ... **საყვითლავე** გვაქ კიდო; **შავი ფსხალი** კიდო. აგერ მჭონდა ეზოში, ტკპილი ფსხალი შავი. ხო. ტყის ფსხალი, **წვრიკეკალე ფსხლები** გვაქ კიდო ბევერი. ჯიშები, ბევერი ჯიშებია; **საკვირიკობისთვო** ფსხალი კიდო; ვის ახსომს კიდო; საკვირიკობისთვო ფსხალია იგი, ჩვენი ფსხალი, სამარიობისთვოა ჩემი ფსხალი და საკვირიკობისთვო მარუსას აქ. არი ჯიშები, მეტი რაია; ახლა, **გარამკუჭტა**, ველარ ჭამ მერე; გარამკუჭებული თუა, ველარ ჭამ მერე. თლა რო გარამკუჭტება, გაშავდება, მერე ჭურში ჩავყრით იმას, აღარ ვარგა იი, თვარა ღორები შეჭამს. ზაფხულის ფსხლებია მაგი. მაი არ ინახება, მაი რო ჩამოცივა; მისით თუ ჩამოვარდება, კაია უმფრო, ან მოანძრევთ ჩვენ, რო დაქვჭირდება და ვჭამთ და, ან ჭურში ჩავყრით და ასე თუარა ისე არ ვარგა; აგერ მჭონდა მე წვრიკეკალე ფსხალი კიდო. **საჭურე ფსხალი** იყო; საჭურეს უძახით იმას, დამკუჭტებოდა, კაი. ისე წარეა ვერ ჭამ, **ძიანკოლეა**; უბედური წარეა; ყვითელია და

მერე გაშავდება. გამეიარას ხალხი, აგერ მაქ გზაზე, აბია ძაან, მოწიკვავს, ვაი რა კაი ფსხალია, ჰამს! ვერ ჰამს, ძიანკოლეა, უბედური წარეა. საჰურეს უძახით იმას, რატო და, ჰურში თუ ჩაყრი თვარა ისე არ ვარგა. ვერ ჰამ, კაცო. მერე დამკუპტება, მარა იი რო დამკუპტება ძაან, აღარ ვარგა საჰმელათ, გარამკუპებულია, და, პეტერე კუპე თუა, მაშინ ძიანკოლეა იგი, წარეა. საჰურე ქვია იმას, ე, იგია საჰურე ფსხალი; საყვითლავე გულაბეა. იგივე გულაბეა იგი; გულაბობის დროს ზაფხულში, გძე-გძელია იგი, ყვითე-ყვითელი; ყვითელი გულაბე; და საყვითლავე კიდო, მორენაირი როა, ისე ზაფხულში მოდის იგეც. ორნაირია მაი, ერთი გულაბეა, ყვითე-ყვითელი, საყვითლავესავეთ, მარა, მეტი კაი საჰმელია იგი, გემრიელია იგი, თოთოა უმფრო და იგი საყვითლავე მარიობისთვეში მოდის, საყვითლავე ფსხალი. ვამყნით ჩვენ. დარგვა არ შეილება იმისი. ფსხალის ნერგი და ვაშლის არ წეილება; უნდა დეიმყნეს მაი. ჯერე უნდა გავახაროთ წარე, წარეს ვიშონით, ახლა, იმის ძირში იქნება საცხა ამოსრული, ძირში კარა, ისეც ქეა ამოსრული საცხა; ალბათ კეკალი ვარდება მისი, ხოდა იი ამოდის, ჩვენ არ ვთესავთ იმის კეკალს, ჩვენ ქე ვშონილოფთ ისე. მერეთ იმას მოვთხრით და მივიტანთ, დავრგავთ სადაც გვინდა, უნდა გავახაროთ იგი; ისე ვერ დავამყნით. ერთი წელი უნდა იქნეს. იი, უნდა გეიხაროს იმან; მერე დავამყნით მორე, მესამე წელიწაც. თუ ერთათ დაამყენი, და მერე დარგეი, არ გეიხარეფს უფრო, ვერ შეძლეფს ამდონს, ეგეც გაახაროს დამყნილი და მისი თავიც, ვერ შეძლეფს ამდონს. ვცადეთ და არ გამოდგა; ისე უმფრო გამოდგა;

ათწლიანი უნდა, რვაწლიანი უნდა, გააჩნია, ახლა, მიწას და გაზდას. ზოგიერთი დავამყენი და ათ წელიწაც იყო, მარა არ გეიზარდა და არც ქე მოუბია არაფელი; გულაბი. უმფრო ჩქარა იზდება, ხუთ წელიწაჩი, ექვში ქე მეიბამს გულაბი, ნიშანს გამეიღეფს. და ეგი ნიშანი უნდა ჰამოს შვილებიანმა, ქმარშვილიანმა; თუ მიგასტრო ბაღანამ და ჰამა, უნაყოფომ, არ მეიბამს მერე; ასე ვიცით ჩვენ! უნდა ჰამოს ი პირველი ნაყოფი მისი, უნდა ჰამოს შვილიანმა; რავარც იმას ყავს შვილები, ისე მეიბას იქნება იმან. და ასე ვიცოით, არ გვაჰუმდენ უწინ ბოფშებს. რო აბია ერი კაკალი, არ შეჰამოთ თქვენო; ახლა ვაშლი მაქ ეგერ, ალბათ შეჰამა ვიცხამ, არ იბამს, ბიჯო!

თუ აყვავილებულია და გარმოთუა, **მოწვავს**; მოწვა იგია რომე, დაათოვს და მოყივნავს, თოთოა ყვავილი; ყვავილი როცა მოცივა **უნ-**

დილათ, იი რაღათ ვარგა მერე, მომწვარია. უნდილათ არ ჩამოცვინდეს, ჩამოცივა ყვავილი. მიაჭკნება მისით, ნელ-ნელა; ხოდა რამდონჯენ, გამევიხედე, გარმოთოა, მოყივნა მერე, რაცხა სიცივე იყო, კუტარია ყვავილები ზეთე, მიმჭკანარია იაგავათ რაცხა, არ ვარგა; სიცივე არ უნდა, შეზაებული ამიდი უნდა; შეზაებულ ამიდს მოქცემს ბუნება?!. ღმერთი?!..

ლეღვი მაქ ახლა მე, ჩიტლეღვები, ბერძული, ორმოსავალე, ერთი მოსავალი მოდის კვირიკობისთვეში, ივნიში, ივანობისთვეში; მორე მოსავალი ჩემ ლეღვთან, საგვიანო ლეღვთან; ეგი ლეღვებია; სამი ჯიშის ლეღვია, მეტი არა ლეღვი; ბერძული ლეღვია კიდო თეთრი, მაქ მე ეგერ, დიდვრანი, თეთრია, მეტი გემბრიელი საშმელია; აგერ მაქ მე ახლა ჩიტლეღვე, ჩიტლეღვას უძახით; ჩიტლეღვე ე იგი, პატვრა-პატვრანი როა თლათ; ამას შავლეღვას უძახით, დიდვრანია, კინწა ლეღვია; ყირწები აქ გძე-გძელი, ხოდა თვითანაც დიდვრანია; დიდვრანი ყირწები აქ გძე-გძელი, ხოდა თვითანაც დიდვრანია; დიდვრანი ყირწები აქ და მიტო უძახით კინწა ლეღვის; ისე დიდვრანი, ბუზუნიეა, დიდია.

გეიჩენს იგი ნერგის; თუ არ გეიჩინა იმან ნერგი, გარავწიგნავთ მერე; ძირში თუ ამეიყარა რაცხა, გარავწიგნავთ; გარავწევთ, დავდებთ თლა მიწაზე, მიწაზე დავაწვენთ ი იმას, დავაყრით მიწას, ბევერ მიწას, თავი ეგერ ქე აქ, მიწა კარ აქ დაყრილი; და გეიკეთეფს იგი ძირს; მიწა რო დააცივა, ძირს გეიკეთეფს. მერე იქით ქე მოჩანა იი, გარმოწიგნული, იქით მივაჭრით მარგატლით მერე; ამას ძირი გაჩენილი ექნება აქანე; ვნახავთ, თუა ძირი გაჩენილი, მივაჭრით იქინე; პეტვრანი პონწკლებიც რო ექნეს, პონწლი-პონწკოლეები მაინც კაია, გეიხარეფს იგი; ორვე თავეფს ჩოუსოფთ; გეიხარეფს იგეც; ორვე თავი მიწაში რო ექნება, ამ ზეით ამეიყრის შვაზე; ან დოუსოფთ გიორგობისთვეში, ანდა თებერვალის ბოლოს. კვირტი არ უნდა ექნეს გამოსრული. ჩვენ დარგვა ვიცით ... მე ვიცი უმფრო დარგვა ნოემბერში, გიორგობისთვეში; ძინავს მაშინ ხეს. ხეი რო დეიძინეფს, ერ სამ თვეს ძინავს, ვერ გეიგეფს იი მოთხრას; თებერვლიდან იღვინძებს; „თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო“, და მერე დარგვა ... რო გეიგეფს იგი, ცოდვაა, უფრო არ იხარეფს, იმანაც კი გეიხარა მარა, მე უფრო ასე მირჩევნია, ნოემბერში დარგვა;

თეთრი ლეღვი და იგენი შამოდის პირველი აგვისტოიდან. დეიწყეფს, ახლით პირველი აგვისტოიდან; ხოდა ბერძული არა; ბერძული წიფობისთვეშია, მანაამდი არალი, საგვიანოა იგი. და ხშირათ ფუჭტება, ზამთარი უსწრეფს იმას; თუ გარმოთოა საარჩუეში, ქვასავეთ შეიქნება, გამაგდება ეგი, წახდება; ასე იცის ლეღვმა, როცა გოუცივდება ამიდი, წახდება და მერე ქე მწიფთება მერე, მარა

ლეღვი ბაჟეა, ბაჟე ლეღვის ხვერ ჰამ ახლა; ბაჟე ლეღვია, მიხვალ და მოკიდეფ ხელს და ბაჟეა, გახლიჩავ შვაზე და წითელი კეკალია შითე, არ ვარგა; ლეღვის ცოდვა უბედურობაა; ბაჟე ლეღვს რო ჰამ, ტუჩებზე თუ მეგედვა ლეღვი, წვენი, აგატკენს, თეთრი წვენი აქ იმას, თეთრი რძესავეთ; რაზეც მეგეცხება იგი, დაქწვავს. და ჩვენ ბაჟე ლეღვს მიტო არ ვჭამთ და არც გაეხლიჩავთ იმას და არ ვარგა საჭმელათ და ... ლეღვის ცოდვაა იგი. რო დამწიფთება, კაია მერე. თუ წუმა დააწუმა, **გარამძაღდება** მერე, თხლესავეთ შეიქნება, არ ვარგა საჭმელათ. კაი ამიდი უნდა, თოთოვდება, ნაკლებია: ეგიც რო მოწიკვავ [ნეშოს] თეთრი რძეი მოდივა და რო მეიცხო რამეზე, რაფერ დაქწუავს, თუ იცი ... ლეღვის ნეშო ნემეტანი კაია რამეის გასარეცხათ. აგერ საინის მოსარეცხათ, სულიანი რამე რო იქნება, მოუსოფ ლეღვის ნეშოს, ნემეტანი კაია, ხელათ გოუა სული. მე ვხმაროფ მაგალითათ, დევირგავ იქინე ლეღვს, სადაც უნდა გავრეცხო რამე, ლეღკი მაქ დარგული და აგერ წუალი მაქ, რო ვრეცხავ საინს, მოუსოფ იმას ზეთე. ხელზე კიდო ნაფთის სული რო მექნება მე, გუმბრა; თლა დემესვარა ნაფთით ხელი ამწუჩი ხო, აგერ გუმბრა მაქ ეზოში, გუმბრას რავარც მეისოფ, ნემეტანი კაია. სხვაი არაფელი არ გაიქროფს

ლეღვის შტოი არ ტყდება უცეფ. თეთრი ლეღვი მაქ ერთნაირი და იმაზე ვერ გახვალ, ტუტება იი. ყველე ლეღვი არა; ზოგიერთი არა; ზოგიერთი ტყემალიც ისეა; ფიცხია და ტყდება;

ლეღვის ჩილს ქე აკეთებენ, მარა მე არ გამიკეთებია. თლათ დაჩილავ იმას; კარ დაპურწკნი იმას, კანს ვერ გააცლი. მისი კანიანათ უნდა გააშრო. გოუპუწკნელათ. ყირწი რო აქ, იმ ყირწს ქე მოჭრი; დააწყოფ. გულს ზეით უზამ; გულაღმა დააწყოფ. მარა მე მეზარება, ბეზრები დააყდება მერე იმაზე. ჩვენ მურაბას ვაკეთეფთ.

ყვავილს მაგი რო გამოვა კვირტები, მაშვინ გამოაქ კიდო ეგერ-აგერ, თითო ბოლს თითო კეკალი; ეგი აპა რა შობა; გაზა-

ფხულზე; იმას უძახით ყვავილს ჩვენ; მერე იი კარ წიფთება, იი ჩამოცივა; ამას რო დეიწყეფს, მორეის გამომბას, ეგი იბამს ივანობისთვეში, ე იგი ჩამოცივა, ი დიდვრანი; პარტყი-პურტყი გააქ მიწაზე. ნახავ ხანდეხანე, ეგერ პერტყა, ეგერ პერტყა ზეით; ყვავილი მოცივა, კარ იჭმება იგი, ფჩუტალეა იგი შითე; გუდაფჩუტასავეთა შითე, არაფელი არა. მაგას ხო აქ ნეშოები, იმ ნეშოების ძირში ამოდის იგი გვრა-გვრალი, შეამჩნევ; პატვრანებია ჩიტლეღვე — პეწეწვანია, ჩიტივით პეტერე რაცხა პეწეწვანე; ასე ქვია თავიდან და რა ვიცი; ასე დოუქმევია და მე ა ვიცი. იბამს სამ წელიწაჩი; გამეიღეფს ნიშანს;

კორკიმელე — გძე-გძელი კეკლები აქ და დაყვითდება მერე; ისე წარეა ტყუპ-ტყუპათ არა მაი. იი სხვაია. იგი გძე-გძელია; კორკიმელას მოვთხრი და დავრგავ, და მაღალი იზდება ძაან, მარიობისთვეში შამოდის კორკიმელე, ერთი ჯიშია; არალი მეტი; იგივე ქლიავის ჯიშია, მარა სხვაია.

ჰანჭურია ტყუპ-ტყუპე. ერთი ჯიშია იგეც, ხო. ქლიავის ჯიშია იგი ყველე; ჩვენ რო ვიტყვით, რომე ეზოში გვაქ ჩვენ ქლიავები და ვაშლები, ამაში შედის მაგი კორკიმელე და მაგი ჰანჭურე და მოწყობილობა. ასეა ჰანჭურე მეტი ტკპილია; ჰანჭურე ჩვენთან ახალი. ჰანჭურეა გორა-ზეინდარში უმფრო, გორაში. ჩვენთან უმფრო არა ჰანჭურე; მე, მაგალითად, არ მაქ იგი; არ ხაროფს ალბათ აქანე, არ ვიცი. იგივე ქლიავებთან შამოდის იგი. ნერგი იცის იმანაც და

წყავი ჩვენ **ბაღის წყავი** თუარა ისე, ტყის ... არ ვრგავთ იმას ჩვენ ეზოში. იმას არ გავაცთენიეფთ ეზოს ჩვენ. წარეა წყავი და ... ბაღის წყავი მაქ მე ერთი ძირი და კაია; ისე ყვითე-ყვითელს მეიბამს და კაია ტკპილია;

მიდიენ კაცები შეშის საჭრელათ; შეშის საჭრელათ მიდიენ მარიობისთვეში; მეილია საქმეები; მოროდი მეილიენ, მარგვლა მეილიენ კაცებმა; შეშა უნდა მეიჭრეს მარიობისთვეში. წავლიენ, ახლა, იგენი და წყავს აბია; ახლა აბია წყავს. თუ აბია წყავს ძაან, იტყვიენ რომე, წყავს აბია წროულს და დიდი ზამთარი იქნება; ხოდა ეწყინებათ, დიდი ზამთარი არ უნდათ; როიც წიფთება წყავი და, შამოდგომაზე. შავია **ტყის წყავი**; ლაშეა უბედურობა; ამოგილაშეფს პირს, და წარეა; დათვებისა იგი, დათვები ჰამს;

შანქლიავე, თეთქლიავე, ოტურე ქლიავე, **ცერციმელე**. ოტურე ქლიავი ქვია, დიდვრანია მეტი. არც შავია და არც თეთრია, ისეა.

იმას ქვია ოტურე; აგენთან წიფთება იგი. მე არ მაქ ოტურე. ცერციმელე რაფელია და საადრიოა უმფრო, თეთრი ქლიავი ივანობისთვეში მოდის. ცერციმელეც მოყობა იმას. მერე იგია; შანქლიავზე მეტი ადრე წიფდება იგი; და არ მაქ მე; მარა მეტი **ანჩქიტი** საჭმელია რაცხა; და არ მინდა რაცხა იგი; არც კაია და არც გლახა. ისე რაცხა.

შანქლიავე შამოდის კვირიკობისთვეში, კვირიკობისთვის დამლევს. თუ გარამწიფთა ნემეტანი, არ ვარგა. გაწუალდება თლათ. გარამწიფებული ნაკლები საჭმელია; **შემთქვირდება** და რო წამწიფთება, კაი საჭმელია მერე; ქორო გარამწიფთება თლათ, ჭურში თვარ ჩაყარე, წუალწუნე იქნება, არაფლათ არ ვარგა, წუალი მეერევა;

პავიდლოთ ვაკეთეფთ კიდო შანქლიავას; კუჭი ეეშლება ადამიანს, შანქლიავეს პავიდლოს ჰამს, მოკეთთება, ნემეტანი კაია.

დარგო ნერგი; ნერგი აქ მაგას; იცის მაგან ძირებში ნერგის გაჩენა; თუ დაბერდება მაი, უმფრო ნერგს იჩენს მერე. შანქლიავე; სიბერეში რო წავა შანქლიავი, ნერგი უფრო უჩთება იმას. ყველე მცენარე ასეა; ამიტო რომე, ტოვს მერე იგი; იცის იმან, რომე დაბერდა: იი ვერ ლაპარიკობს, თუარა იცის მერე იი ნერგის გეიჩენს და ტოვეფს იმას, ახალს დატოვს; ნოემბერში დავრგავთ და ან გამარტებულში, კვირტის გამოსვლამდი. მერე როცა დაძინებულია, უმფრო გეიხარეფს; ეგენი, ახლა, მე დავტოე ნოემბერში, ჩამეეედი და გახარებული იყო; მეწლეა ყველე; ერ წელიწაც იბამს, მორე წელიწაც არა; გევიდა სამი წელი ხანდახანე, არ მეიბა შანქლიავამ. შანქლიავე უბედურობაა, არ მეიბამს. ახლა შარშან არ ება, წროულს არ აბია, ხო ხედავ. რაცხა ამიდი შეხვთა ნაკლები, დიდი ზამთარი და არ მეიბა არც წროულს; მოწვა ალბათ. ამას ახლა გაისათ კარ აქ მომბის წელწადი; ა, სამი წელი გადის რომე, აღარ აბია; შანქლიავე ასეა;

ტყემალი — შავი ტყემალი, ყვითელი ტყემალი, ალუნჩის ბუში; ალუნჩის ბუში ტკბილია, და უძახით: ალუნჩის ბუშია. ასე გამიგონია ძველიდან და მეც ასე უძახი. **წითელი ტყემალი** შავათ წიფთება ძაან, ზოი წითლათ დამწიფთება. ყვითელი კიდო; მეტი ჯიში არაა ტყემალი; როიც შამოდის ტყემალი და ივანობისთვეში, კვირკვობისთვეში შამოდის. თუ ძაან სიცხეები ექნა და გლახა ამიდები, იცის იმან ამიდების არჩევა, თუ სიცხეები ექნა და ქარი, **მოხა-**

ლავს, ჩამოცივა უდროოთ ძირს. აღარც ჭურში ვარგა იგი მერე. რო ჩამოცივა ძირს, აღარც ჭურში ვარგა და არაფლათ;

ქე აქ, ბევერი აქ, ნერგები იციენ მაგენმა. კურკაზე ჩვენ არ ვიცით. მე მიდღემჩი არ დამითესია, ქე მაქ ნერგი და ... ალბათ ტყემალი ცივა და ზოი ძირში იყრის და, ზოი ძირებზე იყრის და ბურკით ბურკა დავარდება მიწაზე და ამოა მერე, გარავრგავთ იმას; სამ წელიწაჩი უნდა გეიზარდოს ტყემალი;

ხო, ახლა ვადუღეფთ ჩვენ ტყემალს; **კვანწარახს** ვადუღეფთ. რო დამწიფთება ტყემალი, დავრეკავთ იმას. მისით არ ჩამოაცვენთ, უნდა დავრეკოთ. **საკვანწარახე ტყემალს** დავრეკავთ ჩვენ; და **საჭურე,** ჭურში ჩაყრა თუ გვინდა ტყემალის, მისით უნდა ჩამოცვინდეს იგი. მისით რო დაცივა, ჭურში ჩავყრით იმას და რო დარეკო, იმაში არაფელი არ გამოგივა ოტკა; მერე ამას, საჭურე ტყემალს რო მოვხიკავ, ქვაბი მაქ აგერ, ჭურითავზე, უნდა ჩავყაროო იმაში; ერთი კვირეს იმაში უნდა იქნეს; თუ ისე ჩავყარე მე იი ჭურში, დოუკეთებელი, უნდა აბეავდეს ი ქვაბში პეტერე, თუ დოუკეთებელი ჩავყარე, არაფელი არ გამოგივა შითე; მერე **კვაწაპათ** ვადუღეფთ კიდო. მოადუღეფთ კვაწაპათ. სალიცინი თუ გაქ, მოაყრით და უწინ არ იყო სალიცინი, მარა არც ქე დუღდებოდა;

კვანწარახი, კაცო, რაფერ კეთება და მოვხარჩავთ ქვაბში. დავრეცხავთ, ყირწებს დავართუმთ, მოვხარჩავთ ქვაბში და აგერ საწურე გვაქ, მოღობილი გვაქ; დავღობავთ, იმითინ, აბრეშუმის წკნელით. აბრეშუმი ხო ვიცოით ჩვენ, ბეველეებს ხო ვბელავთ. იმის წკნელით, რო გავჩხოტავთ იმას ბეველას, იმას ჟვერები ხო აქ, რო დარჩება ი ჟვერები, იმას დავაწყოფთ აგერ და ახლა ეგი უნდა დავღობო საწური ამითინ. კვანწარახის საწური უნდა დავღობო ამითინ, ჯოხებით; კვანწარახის **საწურას** რაც გარაგვირჩებოდა, ლობიას დოუსოფთ ამ ჯოხეფს; არ ვყრით ამ ჯოხეფს ჩვენ. მოვღობავთ კარქათ გოდორივით ამას, დავადგამთ მერე ჯოხებზე, ქვეში დიდი გობი აქ დადგმული, ჩავყრით ამაში და გეიწურება, მირბის წვენი შითე; **ხენჯი** ქე დარჩება ზეით. იმ ხენჯის გამოვხენჯავთ მერე ხელში, რო მოათაეფთ კვანწარახის დუღებას, პეტერა წვენს ქე მევიტოვთ, მოუდუღებელი წვენს აგერ კოკაში. (კოკაში გვაქ ჩასხმული), ხოდა ამას მერე დავხენჯავთ, კეკლეფს ამოვხენჯავთ შითე, დარჩება გული, ხო, ყავარი გვაქ, ახლა, სუფთა ყავარი, ძველებური, ფთაზე რო ვხდით

უავარს, დავრეცხავთ ამ უავარს, ახალი უავრებია, შენახული გვაქ ე უავარი, ხოდა დავასოლეფთ ამ უავარს და დავასხამთ იმას ზეთე. ისე სქელია, რომე არ გარეიარს უავარზე; მერე ეგი უავრები გვაქ. ახლა, სუფთა ალაგს. გვაქ მერე გაკეთებული, ჯოხები მაქ გადებული, დასობილი ეზოში. ბზეში. დავაწყოფთ იმაზე. თუ იქნა ბზეი, ხო კაია, ორ დღეს; ორ დღეს თუ ბზეი არ ექნა, **აბჟავდება** მერე, **აფამფალდება** და უნდა გარაყარო მერე. თუ იქნა ამიდი, ხო იქნა, თუარა და არ გაკეთდება ტყლაპი. კვანწარახი, ბატონო, ვადუღეფთ ამას; ერთი ჩაფის დავადუღეფთ ხუთ-ექვს ბოთზე, მეტს არა; კვანწარახია სქელი; ამას მერე, ა კვანწარახს ჩავასხამთ ბოთში და რო იქნეს ათ წელიწაც, არ გაფუჭტება; არაფელი არ უნდა მეტი ამას, ბოთლებში ჩავასხამთ და დოქეფში იცოდა ჩემ მშობლებმა, ვიცი მე. და გარეთ გამონოჟავდა. დოქი, აპა, რაი იზამდა. ბოთლები რო შამევიდა, ბოთლებში ვასხამთ. ლობიას იმით ვაკეთეფთ. ხარჩოს კიდო, შავი ხარჩოს, ქათმის ხარჩო შავი. აკეთეფს იგი, გემბრიელს აკეთეფს. იმას უნდა უქნა კიდო. უკვანწარახო ლობიას ჩვენ არ ვჭამთ. ჩვენ ვიცით თქმაი, უკვანწარახო ლობიე რავა, იქმება კაცოო!

სხმარტლი ქვია და **წვრიკეკალეა** სხმარტლი. კაი საქმელია, რო დამწიფთება; დამწიფებაამდი ვერ ჭამ. არაფლათ ა ვარგა. რო დამწიფთება, ჭამ მარა, რო შეკრავს კუჭში, უბედური რამეა. მე, მაგალითათ, ა ვჭამ, მე და მარუსე მაგას. ხელათ გაგიჩენს ბუასილს, უბედურია. ახლა, **ნამყენი სხმარტლი.** თუ დაამყენი სხმარტლი, კაია მაშვინ. **დიდკეკალე** გამოვა მაშვინ; მარა სხმარტლის სხმარტზე კარ დაამყნიენ, ტყემალზე უნდა დაამყნა მაი. ამას ახლა ტყემალზე რო დაამყნი, დიდკეკალე გამოა. ჩვენ ვერ დავამყენით მაი. ერთი ძირი ქე მჭონდა მე, ჩემი მაამთილის ნამყენი. დიდკეკალე იყო. რა საქმელი იყო, თუ იცი. აპა რაი. მე აღარ გამიკეთეფია. მაი ნაშამოდექეფს. დითხანა მაი. მაი როიც გამოდის და ივნობისთვეში, გვიან, გვიან ყვავილდება მაი და გვიანა მერე მაგიორათ მაი. მოწვა იცის კიდო. თუ სიცივეები წოუდგა, მოწვავს.

ბალი. კახამბალი, თეთბალი (თეთრი ბალი), **წარე ბალი. ქვიშნა,** ეგი ჯიშები გვაქ, მეტი არა. ბალი როიც შამოდის და მაიში. მაისის ბოლოს, საგვიანო ბალი, და ისე აპრილის ბალიცა, მაისის ბალიცა, აპრილიდან დეიწყეფს ბალი, არი ანიკოს აპრილის ბალი აქ. ჩვენც ქე ქვონდა, გახმა, მარა მე ვეღარ დავამყენი მერე. კახამბა-

ლი არი, ბატონო, კაი არომატიანი საჭმელია, ისე. წითელ-წითელია. ძაან წითელი არალი ისე. და ქვიშნა, კაცო, წითელია ძაან. თვარ გაშავდა, ისე ავარგა. **ძლაგე** საჭმელია ისე. უნდა გაშავდეს. დაგვიანდა და აღარ მოკრიფე, მატლები დეესევა. ქვიშნასაც ესევა მატლები და

ყველა ბალს ესევა, თუ გარამწიფთება მერე. გარამწიფებული როცაა, მერე დეესევა მატლები, სამურაბეთა კაი. იმას ვამყნით ჩვენ, იმას რავა ვენდობით მისით ამოსული ბალს. ზოგჯერ ქე გოუშვი და ქე გამევიდა კაი მარა; დავამყნით წარე ბალს ბალზე და ნერგის გარავრგავთ და ამყნიენ ბალს, ყველა ხეს ამყნიენ კვირჩი. კვირტი არის ივანობისთვეში, კვირჩი დამყნა. იხარეფს, მარა მე ვერ გავახარე იგი და ეიღეფ ცოცხალი კვირტს ეგერ, მოათლი, ბოლი აქ მაგერ, ხო, ბოლი და მოთლი იმ ბოლს, პეტერა ბოლს, ფურცელი აქ ზეთე, მოთლი იმას მის იმია-იმიანათ. კანიანათ; და, იქინე, მიხვალ, რაზეც გინდა დაამყნა, იქინეც ჩამოთლი და ჩადეფ ამას შითე; მიადეფ კანს კანში იქინე, კარქათ. იხარეფს იგი, შამოახოვ მერე ჰინჭის, რაცხას და იციენ მაი აგრანომებმა და მე ვერ ვქენი რამდონი ხნის მერე და, ორი-სამი წელი უნდა, (ოთხი-ხუთი წელი); წლობა იცის, აპა რაია. მაინც ქე მეიბამს პეტერას.

ტყეშია **წაბლი**. ჩვენთან არალი. ეზოში არ ვიცით ჩვენ წაბლი. ვიცით, მარა, **ბურძგალე** აქ, დაკრავ ფეხს და შეგესობა ფეხში და ა ვრგავთ ეზოში, ახლოს. ეგერ მაქ თხილეფში დარგული. ყვავილი გამოდის მისი **გძე-გძელი კინწლები** იცის რაცხა და იგია მისი **ყვავილი**. წაბლი გვიანა, შამოდგომაზეა წაბლი. **პირს რო იზამს**, მერე დარეკავ. ბურძგალე ხო აქ იმას, რო შეხედავ. ახლა, **პირნაქნარიაო** იტყვი. ბურძგალე **გეიჩილება** შვაზე. ხოდა მოჩანა წაბლები შითე. გარეთ ათასი, შიგნით ანტლასი, ანტლასია შითე; ხოდა მოჩანა, პირნაქნარია იტყვი. წაბლია დასარეკი, პირნაქნარია. **პირი უქნია** წაბს-მეთქინ და ჩავალ და ავხიკავ. ჩამოცივა მისით. ეზოში თუ გაქ მისით აცლი ჩამოცვენას, კაია. თაგვები ბოჭავს ღამე; ბურძგალიანს თუ დარეკავ მაშვინ და ისე იშვიათად ჩამოარდება ბურძგალიანი. სანაამდი წაბს არ გამეილევს შითე, არ ჩამოარდება. რო გამეელევა წაბლი, იგიც ქე ვარდება მერე. თან ისეც ვარდება ქარში, მისი წაბლიანათ. ზოგიერთი დიდი კეკლისა კაი, ზოგიერთი გლახა კეკლისა. წაბლი თუა, იმ წელწაც ზამთარია დიდი, წაბლია ბევერი და ზამთარი იცისო. ზოგჯერ არალი წაბლი. მარა კაია წაბლი, მატლიანი არა

ნეშო ... ჰაც ვაფარეფთ მის **ნეშოს** ჩვენ. მოვტეხავთ ჩვენ, ეზოში გვაქ ჩვენ იგი, ახლოს არ დავრგავთ სახლის წინ, თვარა ისე, ვრგავთ, რომე იგია, ჰადიზა გვინდა ჩვენ ნეშო. კეცები გვაქ და იმას რო დააფარებ, გემბრიელი ჰადია ძაან. შკერი ნეშო ახლა ა ვარგა; შკერი ნეშო ვიცით, მარა შკერი არ აყობა ახლა; აატყაებს ჰაც და მაი ახლა კაია. შკერი ნეშო ზამთარში, მერე რო შამოა წაბლი ნეშო, მერე აღარ ვარგა შკერი ნეშო, გარახევდება იგი, აყვავილდება შკერი და აღარ ვარგა.

კარალოკი ხო გვაქ; წლობა იცის კარალოკმა ნემეტანი. რო იბამს, ახლა, იმ წელიწაც, იმდონი ყვავილი აქ, იმდონი რომე არ ტევია. რაცხა იაგავი **ბურჭყი-ბურჭყი** ყვავილები იცის. დაცივა ძირს, დაცივა, ეიფსება ყორიფელი. და მერე ეგერ-აგერ აბია. კარალოკი ეგერ-აგერ აბია. ერთი კეკლის ადგილზე, ორმოცია, იგი, ყვავილი. ასე იცის იმან, კარალოკმა. იმდონი ყვავილები იყო წროულს, რო აფსებული იყო ყორფელი და წიპიამ თუ ჰამა იგი, წიპიამ, ინდოურის, აწყენს და არ ვაჭუმდით წიპიას კარალოკის ყვავილს. წყენს ჭუჭულეფს. დაგვიწყვიტავდა. როიც აყვავილდება და ივანობისთვეში, მაისიდან დეიწყეფს. ერთ თვეს აქ ყვავილი. ზოგიერთი ლაშე კარალოკია, ზოგიერთი კაი კარალოკია. ჯიშზეა. ჯიშებია მისი. აგერ, ახლა, ანიკოს აქ, იი ლაშეა; ჯიშებია რაცხა. ჩვენ კაი კარალოკი გვაქ. ოტკათ მარა იმწუჩი თუ დაჩეჩქვე და ჩაყარე, არაფელი არ გამოა შითე... კარალოკი უნდა დაყარო, მოვკრიფავთ იმას ჩვენ, რო დამწიფთება, ხოდა, დავყრით ერ თვეს და დამწიფთება თლათ. მერე ჩავყრით ჭურში, რო **დათორხალდება** თლათ, წვენი გადივა, რო დამწიფთება ძაან;

დამყნა უნდა; ხუმბლაზე დავამყნით. ხუმბლე ქვია კიდო, ხეია. სხვა ხეია იგი. იგი არის წვრილი ხუმბლეა, ლაშე ხუმბლე. გამომბვა იცის წვირ-წვრილი კეკლების, ღომის ჩხოსავეთ. ძირში უნდა დავამყნათ მიწაში. და იხარებს კარალოკი. როიც და წიფობისთვეში, გიორგობისთვეში კუხე-კუხეც რო მოკრიფო, არაფელი არ უჭირს, დამწიფთება მერე. თლა ლურჯი ავარგა და, ყვითე-ყვითელი რო იქნება, მოკრიფავ, მერე დამწიფთება.

დავჩილავ იმას. პეტვრა-პეტვრანზე დავჭრი და დავყრი სუფთა რამეზე, ჟეშტზე და გახმება. თელ-თელი კიდო, დავკიდეფთ თელ-თელს. ყირწში მოაბამთ ძაფს და ჩამოვკიდეფ, დათლი, კანს მოაცლი,

გახინცლავ ძაფზე და გახმება; კაი საჭმელია. ასე ვიცით ჩვენ და ჩვენ იგი არ ვიცით. ზოგიერთი ღუმელებში აშრობს. თეთს რო მეიკიდეფს, თეთრი ობი გონია. მარა სიტკპოა იგი. არალი ობი. ობის გავს, მარა თავისი სიტკპო აქ;

უურძენი. ათასი ჯიშია. **ფრანგე,** ტკპილია, წვრი-წვირლი კეკლები აქ, ნამეტანი ტკპილი უურძენია. ქვონდა ჩვენ. ახლა აღარ გვაქ. **კაბისტონი** — ხეზე, კოპიტებზე იცოდა კაპისტონმა. ტკპილი საჭმელი უურძენი იყო. არც მოწამლა უნდა იმას და არაფელი. არ ვწამლავდით იმას ჩვენ. **ადესას** ხვარ უნდა კიდო მოწამლა. ადესე ახლაც ქეა. კაპისტონი მერე გარაგვიშენდა. რო შეიქნა მოწამლა და რაცხა, წამლის სული რო ეტაკა, იი აღარა მერე, გარაშენდა. თეთრი იყო, რა კაი ტკპილი უურძენი იყო. **მწვანე** ვიცოით კიდო ჩვენ. ფსხვილი კეკლები აქ. ნემეტანი კაი ტკპილი უურძენია. წვენიც კაი აქ და ყორფელი. დაბლარია ეგი. **ჩხაველი** და **თეთრი ადესე** კიდო. თეთრი ადესე ქვონდა ჩვენ კიდო. ეგი ჯიშებია ტკპილი ღვინო იცოდა, საჭმელათ იყო კაი. საფსე ქვონდა იგი. ფრანგე კიდო. ახლა საღადა.

ბია არი ძველი ხეი. გვაქ ახლა ეგერ, მარა გარაშენებაზეა მიმდგარი. გვიან შამოდის. შამოდგომაზეა იგეც. ყვავილდება, ძაან აყვავილდება და მერე **მეძვირეა** ძაან, ჩამოცივა ყვავილი და არაფელი აღარა ზეთე. თუ პეტერე გარმოთუა და რამე, მიახმობს ყვავილეფს, მოწვავს. უბედური ხეია. მოჭრაზე ვერ მოჭრი, ძიმე ხეია, უბედური ძიმეა, ტყვიასავეთა. მარა ადვილი მოსათხარია. თვითან ითხრება, მისი სიმძიმემ მოთხარა, წროულს ახლა აგერ. ჭურითავებზე, რო მომიყვანეს მე, დამხვთა დიდი იყო, თელი ჭურითავი ქონდა მოფარული, მეითხარა, (ჩემი მაამთილი დაკუნტული იწვა ლოგინზე), მეითხარა, დეეცა ძირს. ასე ყოფილა მაი ხეი, მაგარი ხეია ძაან, მარა ძირები ვერ მიაქ მიწაში თლა ქვეით, ალბათ ზეით აქ ძირები და მიტო ითხრება ადვილათ; მერე ჩემი მაამთილმა მითხრა, არ იმასქნა მაი შენო, რო მეითხარა, წააკერი ტოტებიო მითხრა, ი ძირები დატუეო, მითხრა, ძირები ზოგიერთი მიწაში ხო ქონდა წაქცეულს, დავტუე ისე; მაგი ამეიყრის კიდოო მითხრა, და ამხელა შეიქნება რო იყო ისეო. კიდო, მაგიო შენო მეესწრებიო, კიდო მეითხრება და... ასე იცის მაგანო. ამეიყარა, გეიზარდა დიდი ხეი, იბამდა, დაბერდა კიდო, მეითხარა კიდო. ა, ჩემი ორმოც წელიწაჩი. მეითხარა კიდო და, ხო-

და, ახლა ამეიყარა კიდო; წაქცეულია, ახლა, ი ძირები, კიდო ამეიყრის... ორი გზობა მაი... ასეა მაი.

რო ამოვალ, გაბომბლილია, მაის ნაყოფი. ბუმბული აქ რაცხა იაგავი. სხვანეირი ნაყოფია მაი თლათ. გეირჩევა ყველაფერში. ი ბუმბულე კარ ცილდება. იზდება, **ბუმბული აქ**. საშმელათ ნემეტანი იგია, მაგარია. მერე, რო მოკრიფავ ბუმბულეები აქ კიდო ზეთე. უნდა გაროუსვა ხელი. გაროუსოფ ხელს, მეგეცხება ხელზე, ბუმბულეები. გაწმიდავ იმას, გარეცხავ და ისე გათლი; მე ისე არ გავთლი. გავთლი იმას და დავჩილავთ ჩვენ. დავჩილავ იმას, გავახმოფ პეტვრა-პეტვრანათ ოურევ ვაშში და სხვა ჩილეფში. ნემეტანი კაი, სულიანია მაი. მოვხარჩავთ მერე კამპოტათ. ასე ვხმაროფთ. ზოგიერთი **სახჩობელეა**... ჩემი სახჩობელეა. და ზოგიერთი არა სახჩობელე, ზოგიერთი კაი თოთო ბიაა. ჩემი არა, ჩემი, სახჩობელას უძახით ჩვენ. თუ ჰამე ერთი ლუკმა, დაგახჩოფს. ნერგიც აქ მაგას. მარა ახლა აღარ ვგავთ მაგას, ისე იცის მოგლეჯა და... აგენთან ერთათა, ვაშლეფთან ერთათ, აყვავდება და შამოდგომაზე მეიკრიფება. და მანაამდი ცივა მაი ძირს აგვისტოის მერე. სექტემბერში ჩამოცივა მაი. მისით იცის დაცვენა. უმწიფრათ. დეიზდება დიდვრანი და ველარ წიკულოფს იი. მოცივა ძირს. რო მოცივა ძირს, ჩვენ იმას არ დავკარჭავთ. თუ ჩაყარე ჭურში, ნემეტანი კაია, ოტკა გამოდის შითე. დაჩეჩქავ მერე, ჩავყრი ისე. რო მქონდა ბეევრი და ახლა საღადა. ახლა ჩილათ მინდა. ვინახავთ მაგას. ვაშლის რო ვინახავთ ისე, მარა არ ძლეფს, ლპება. შესანახათ ნაკლებია. მიწაზე დააწყოფ.

არტამი ქე მაქ, კაცო, საგვიანო არტამი. მარა ლპება ზეთე, მიალპება. საადრიოც ქეა, მაი აპა რაია. ჩვენ არ გვაქ არტამი. გვაქ, მარა დალპა. ბუმბლები აქ. მარიობისთვეში შამოდის, ეკენისთვეში შამოდის საგვიანო. კაი ყვავილი აქ. არტამის ყვავილი, განსხვავებულია ყველედან. ვრგავთ. ბურკასაც დარგავ, დათესავ და ამოვა ბურკა. მალე იცის გახმობა და იმიტო გვეზარება. გეიზდება და ორ-სამ წელიწაჩი გახმება მერე. და არ ვაჯიშეფთ მაგას ჩვენ. გარგალი ქვია თუ რაცხეები როა, ამყნიენ, იგენი კაია და მაი ნაკლებია.

1985 წლის 21 ივლისი.
გადიდი

წარე თუ არა ძირი, ისე არ გეიხარეფს; წარეზე უნდა დაამყნა; **ტკპილი** ტკპილზე რო დაამყნა, არ გეიხარეფს.

სანამყენო უნდა მოტეხო; აარჩევ მუხლიანებს; დაკვინძულია; ქორო სწორი აქ, იი არა, მუხლი უნდა ექნეს. წოუთლი იმას, დაადეფ და დაამყნი. შამოახოვ ჰინჯის.

„ახალმოზდე ნერგია ჯერ და არ იბამს“

„თხილეფში უნდა ჩევიდე საღამოდრიელე და პეტერას წავაკლეფ, ერთ-ორ სამი ძირს მაინც მოვკრიფავ“

„ტომარაში ჩავყრი და შევინახავ თხილს, რო გახმება, თხილი ათ წელიწაც იქნება თუ გინდა ...“

ბარდანაში ბეერი მიდის. ასი კილო მიდის ერ ბარდანაში. ტომარს მივაკერეფ ერთიმორეზე. ბარდანე — კალათე უნდა ჩევიდეს შითე. გავსწევ, ჩავყრი;

„დამატლა იცის თხილმა; სარშან დიდი თოული რო იყო, მოუყივნავს, მერე რაც დარჩა, იგეც დეიმატლა; ყივნა რო იქნება, ჩამოცივა კვირტები, მოსაბამი;

ჩურჩხელა: დაანტროვ თხილს; მერე **დავპუწკნი** დუღარეში, **დავათეთრეფ;** პეტერა სოდას უზამ და გარაძრობა ტყავი. მერე გარეცხე მაგრათ, დითხან წყალში. თუ დავანცუმ იმ წუჩი, თვარა, სობლად რო შევინახო არ ვარგა; დავანცუმ; მერე დავკიდეფ და უნდა გაშრეს ერთი ორო სამი დღეი. მერე ამოავლოფ. ტკპილს მოადუღეფ.

ტკპილი — რო გაზილავ ყურძენს, ჩავაფენთ გუმბრას ჰაჭაზე და ამეიღეფ ხაპით; ჩავწურე საცერში. თუჯიე აგერ მიდგანა გამორეცხილი. ჩავაწურე შითე; უზამ ქფილს, **შევქფილავ** რამდონი უნდა ქფილი, ვიცით ჩუენ, რამდონი ბოთლი იქნება, და იმდონს უზამს. სკელი არ მომივიდეს ძაან და არც ძაან თხელი. ქფილი **გამერდიმებული** უნდა, გავამერდიმეფ ქფილს; უნდა ვადუღოთ ერთი საათი მაინც: ამოავლეთ მერე; ცხელში უნდა ამოავლო, თუ გაგიცივდა, არ მიეკარება; **ჩამეიჩლურჩება** ძირს, ჩამოცივა. **წვეროები** თუ გეიკეთა კაი, ლამაზი იქნება; დანცმის დროს ძაფის წაარჩენ, მაშინ გეიკეთეფს წვერებს. თუ ბზეი ექნა, ერთი კვირე ქე უნდა, ზოგჯერ გევიტანთ ბზეში და დასკტება; შაქარს რო უზამ ფელამუშს, **იტკბილება** მერე ჩურჩხელე და მალე არ შრება; შაქარი გამოდის გარეთ; დათეთთება;

ჯანჯუხს უძახით ჩვენ ჩურჩხელას, ძველი სიტყვა ეგია, ჩურჩხელები ეგია; უწინ წიპწიპოის ჩურჩხელე ვიცოით კიდო;

გოზინაყი — ბერძული თხილი დაჭრილი, მოვხალე და წოუბერე სული მერე; თაფლი უნდა მოადუღო და ჩაყაროო შითე;

ოტკის გამოხდა. დავჩეჩქვავთ ძირნაყარა ვაშს კვეჟოით, კარალოკს დავყრი ძირს, რო **დათოთოვდება** კარალოკი და ა, წყალი გოუდის, ე, მაშინ უნდა ჩაყაროო ჭურში; ტყემალს ჩაყრი ისე, მისით უნდა ჩამოცვინდეს ტყემალი, შენით ჩამოყრილი ა ვარგა; კუჭე ფსხალს კიდო და ამისანეებს.

უნდა დავგნისო ჭური მაგრათ, ყალო მიწას მევიტან, სული რო არ ამოუდეს და წყალი რო არ ჩევიდეს; თუ ჩევიდა წყალი, არ გამოა რამე შითე; **დაკეთთება** იგი შითე, ადუღდება, დაბჟავდება. მერე რო მოხთი ჭურს, სული გეტაკება. თუ კაი გამოსახადი, **სახადი** თუ კაია, კაი სული ექნება; ამევიღეფთ მერე ამას, ჩავყრი ქვაბში; **ჟურს** ჩავასხამ ქვაბში, ჟური უნდა უქნა ჯერე ქვაბში. უნდა **მოვამგვანო** (მომგვანდეს) ქვები მაქ დაწყობილი, ქვაბს დავადგამ ზეთე; **მილს** მოვამგუანებ; ჟურს რო ჩაასხამ, მერე ვერ აწევ-დაწევ ქვაბს; ქვაბის **თავსახურე** უნდა მოამგვანო მილზე; **როფიე** მაქ, ხის როფიე მაქ მე. ასე იცოდენ უწინ. ახლა იციენ ტაშტები და კინები, ჩვენ არა. ხეი მაქ გაკეთებული შითე მილია გაყრილი, ხეი არ ცხელდება, არა, არაფელი; გრილი უნდა იქნეს წყალი სულ; ჟური წყალია, სახადში უნდა ჩოურიო წყალი; სახადს ხო ამევიღეფ ვედრებით, მერე წყალს უშობი, თხელი უნდა იქნეს იგი, ქვაბმა არ ჩეიკრას ისე, ჟურს უძახით იმას. შევანთხელეთ, დავახურავ თავსახურს, მოვგნისე მერე, აგერ მაქ მობზადებული ტუტა, **ტუტით** ვგნისავ; გაცრილი მაქ აგერ მობზადებული. მოუწეპავ თავს, არ ამევიდეს სული; სული რო არ გამოვა, იქით წავა მილში, იქინე შეყენებული მაქ კოკა, გამოა მერე კამარა იქინე, ოტკის კამარა; ჩავა ჭურჭელში; ერთი **დადგმა** გამოვხადეო, ვიტყვი. ორი დადგმა; იქნება ხუთი დადგმა გამოხადო; ცეცხში ვასხამ ჰიქით, თუ მეეკიდა ცეცხლი კაია, თუ არა, არ ვარგა, ცეცხლი უნდა მეეკიდოს რახის — **რახი** გამოდის პირველათ; ცეცხლი რო არ მეეკიდბა, **გასაიებულია** მერე, **საიაა;** არ ვარგა; გემოში გლახაა და

ყორფელი; უნდა გარააქციო მერე ი სახადი; პირშიც ქე გებულოფ, გლახაა, ეგი პირველია, გამოდის რახი.

მერე **გარააბრუნეფ;** გამორეცხავ ქვაბს და ჩაასხამ შითე ოტკას; პეტერა ნახშირს ჩავაყოლეფ; ავარჩევ ცეცხზე კაი დამწვარ ნახშირს, გავრეცხავ ვედროში და ჩავაყოლეფ; იმიტო რომე ჰუჰყი სულ ექნება სახადს, ყველეს მიიკრავს ეგი, ნახშირი და სუფთა ოტკა გამოვა; თუ მეგეხრაკა, დეიკრა ქვაბმა, გაწითდება, წარე გემო აქ რახს; მოხრაკული; რო დეიკრავს, მოხრაკულია; ჩავასხი წროულს ერთი დოქი მოხრაკული; გაწითლდა თლათ რახი. პეტრიამ თქვა, პირველი გამოა მაგიო, თურმე რო ადუღდება თავზე იყენებს ამ წითელ რახს. შოუყენე ჰიქა კამარას და **წინაწვერეა** ახლა ეგი. პირველი გამოსრული წინაწვერეა; სპირტია თელათ; გამევიღე ერთი ჩაის ჰიქა, წითელია, შოუყენე კიდო მორეჯენ, სანაამდი არ გამეილევა ეი მოხრაკული; მერე შოუდგი ჰურჰელი: ჯაჰვს იგი არ გეიკეთეფს ერხანს, ჯაჰვი უნდა გეიკეთოს; ცეცხში ვეღარ ნახავ ამას; ზოგჯერ **გაგალებულია** ოტკა, ისე რო ცეცხლი არ ეკიდება, გასაიავდა;

წინაწვერე არ იკეთეფს ჯაჰვს და რო მიიდო ენაზე, დაქწუავს; მერე შეასხამ ამ გაგალებულს წინაწვერას, კაი ოტკას, პეტე-პეტერას ვიღეფთ ამას ბოთში; ერთი ჰიქა გლახა ოტკა, გააფუჰებს თელ ოტკას, გაასაიავებს, ჯაჰვს აღარ გეიკეთეფს. **შევაკეთეთ** ამითინ, ჩავასხამ შითე; გეიკეთეფს ჯაჰვს მაგრათ ჰიქაზე, **ჩეიპოლება** თლათ ჰიქა, უნდა ჩეიპოლოს, ხელს დავაფარებ ჰიქას და მუხზე ვირტყამ; რო ჩევიხედე შითე, ჩეიპოლება, ქაფი თლად გარეშამო, ყოლდგან, ჯაჰვი; კაია მერეთ. ამ ჰიქიდან წვეთს ჩაასხამ, გეიწ-გამეიწევა ჯაჰვი. ამას შევაკეთეფ. რამდონი უნდა ქე ვიცი იგი; ე, რამდონს **გეიტანს,** ე კაი ოტკა, ამიდან ვატყოფ. ეი თუ გასაიავდა, მაშვინ სულ არ გეიტანს და აღარ ჩავასხამ; ქვაბში რო დარჩება **ნახადი,** გარავაქცევ იმას; თუ ხვალე ვხთი ოტკას, ამას ჩოუმატეფ სახადში, ჟურის მაგიორია.

ლოცვა ნაღრძობისა

სახელი სახელითა, ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა.
ცხვარი ფეხით დეება,
კრავმა ოუშვა,
ძვალმა ირიწკა,
ბილმა შეიტყო,
ქორანი გაფრინდა,
ნაღძობი მორჩა.

(მლოცველი ნაღრძობ ადგილას ხელს უსვამს, ნაღრძობი კიდური თბილ წყალშია ჩადებული, წყალში ჩაყრილია პინჭარი, დაფნის ფოთოლი, ანწლი, ურევენ ცოტა ღვინოსაც)

შეშინებულის ლოცვა

სახელი სახელითა, ძითა, მამითა, სულითა წმინდითა
რამ შეგაშინა: დედამ შეგაშინა, მამამ შეგაშინა, ძმამ შეგაშინა, დამ შეგაშინა, შინოურმა შეგაშინა, გაროულმა შეგაშინა, საქონელმა შეგაშინა...

გულო, მოდი შინა, რამ შეგაშინა?
ჩადექ, გულო, საგულესა, ნუ წასულხარ საბრუნდესა.
მოდი, გულო, გულთან,
მოდი, ხორცო, ხორცთან,
მოდი, ფერო, ფერთან.
ჩადექ, გულო, საგულესა, როგორც დედალი ბუდესა.
მოდი, გულო, გულთან,
მოდი, ხორცო, ხორცთან,
მოდი, ფერო, ფერთან.

რა და რა რიგმა შეგაშინა, იმ და იმ რიგით გამეგეცალოს. სახელი სახელითა, ძითა, მამითა, სულითა წმინდითა, ამინ!

(ამ შელოცვას სამჯერ იმეორებენ, თან შეშინებულს გულზე ხელისგულს უსვამს და უწრუპუნებს. მერე დაალევინებს უცხო სუნელის ნაყენს. ნაყენი ასე კეთდება: ზაფრანის ყვავილს ჩააგდებენ სუფთა ჭურჭელში, დაასხამენ წყალს და ამ ჭურჭელს გადგამენ გარეთ მოწმენდილ ღამეში, ცის ქვეშ. დატოვებენ სამ ღამეს ასე. შემდეგ ამ წყალს ჩაასხამენ თავდარცულ ბოთლში და შეინახავენ. „თუ გინდა, სამ წელიწაც შეინახება“. იგი მლოცველს სულ აქვს.)

***

სამოცი წლის შევიქენი,
დამიძახეს ბაბუე,
ქალებმა აღარ მიკადრეს
ჯავრით ვკვტები მარტუე.

***

ეგ სოფელი სოფლად მინდა,
ქუთეისი ქალაქათო,
კაი გოგო ცოლათ მინდა,
კაი ბიჭი — ძმაკაცათო.

***

გეგმაშია შეტანილი,
უნდა ვთესოთ სოიო.
ძროხა იგენმა* შევჯამა,
ჩვენ დაგვირჩა ხპოიო.

---

*იგულისხმება კოლექტივის ხელმძღვანელები.

***

დიაკონმა უთხრა ღვდელსო,
რას აკეთებ ჩემზე მეტსო,
საკურთხეველში ბურტყუნოფ,
მე გარიდან გიწყოფ ხელსო.

***

დღეს აქანე ვიქეიფოთ,
ხვალე — იქინეო,
ზეგე ვინაც დაგვპაიჯეფს
მისი ჭირმეო.

***

დებო, ძმებო, მეზობლებო,
გეგეძლოთ ას-ასი წელი,
პატიოსნათ მოგეპამოთ
ეგ თქვენი წუთისოფელი.

***

ჟორდანიამ ფული მოჭრა
ასთუმნიანიო.
კოხტა ბიჭი შემიყვარდა
კოსტუმიანიო.

***

სოფელ სულორის ერთ ტყისპირა უბნიდან მოსახლეობა გადმოსახლდა სოფლის ცენტრში. ძველ მამაპაპისეულ კერაზე დარჩა ერთი უშვილძირო კაცი ბეკო პაიკიძე. ხალხმა მასზე ასეთი ლექსი გამოთქვა:

ჯადავიარე ლიხეთსო,
ცუდი ამბავი მითხრესო:
ბეკოიე პაიკიძე
შოუპამია ვირთხებსო...

***

დედამთილო, დედაო,
ჩაგიცივდა ენაო,
შენი შვილი მთხოულობდა,
შენ არ მიეც ნებაო.

დედამთილო, კონკა მოდის,
არ გაგიტანოსო,
შავმა მიწამ პირი გიყოს,
თან ჩაგიტანოსო.

***

დარსალია მეგრელია,
წყალში ამოწუმპულია,
დღეი ძინავს, ღამე — არა,
თვალებგამოკუსულია.

***

სოფელი გადიდი და მეზობელი სოფელი ონჟოხეთი მთიანი და უგზო სოფლებია, მისასვლელად ძნელი. მათზე ასეთი ლექსი გამოუთქვამთ:

გადიდი და ონჯოხეთი
ორვე არი ჯოჯოხეთი.

***

— დედაჩემო, გამათხუე,
გამატანე გოგიას.
— ვერა, შვილო, ვერ გაგატან,
იგი გაჭუმს ლობიას.
—დედაჩემო, გამათხუე,
გამატანე ინჯინელს.
— ვერა, შვილო, ვერ გაგატან,
იგი რამეს გიჯინებს.
— დედაჩემო, გამათხუე,
გამატანე მუშასო.
— კიე, შვილო, კი გაგატან,
იმას არა უშავსო.

***

ვიცი, ვიცი, ვიცანიო,
წადი გოგოს უთხარიო,
ბვალ წისქვილში დაგიხვთები,
წუმა იყოს, თუნდ დარიო.
ჰვირთით სიმიდს წამევიღებ,
ვითომ დასაქფავადაო,
წამევიღებ და წამუალ
შენდა სანახავადაო...
მერე დაფქას ვინ დეეძებს,
მივატუოთ წისქვილშიო,
წისქვილს უკან ტყეში გავალთ,
იქ წამოვწვეთ ხის ძირშიო.

***

სიყვარულის გამგონესო,
მას გოწყდეს კალამიო,
გვერჩი ის ჩამიარე,
არ მომეცი სალამიო.

***

ვენაცვალე კოლექტივსო,
კრება იცის ყოველთვისო.

***

სულორელმა მთქმელმა ვლადიმერ დვალიშვილმა გადიდლებზე გამოთქვა ასეთი ლექსი:

გადიდლები მუშაობენ,
ჯაკეა თუ ფერდებია.
ამოდენა მუშაობით
ნეტა რისი გვერდები აქვთ.

***

ბავშვები ხშირად ერთმანეთს ასეთი ლექსით აბრაზებდნენ:

გივიელე (ან პაპუელე...) გვიზიანი,
ჭადი უყვარს ნიგვზიანი,
მიადგება ბეკსო,
ეხვერწება ღმერთსო:
ღმერთო, გვიზი მომაშორე,
შამოგწირავ ვერძსო!

***

ცივ ზამთარში, ცხელ ბუხართან
უსახლკაროდ გავატარე (|| გავატარო).
გაზაფხულის მოლოდინში
კოხტა გოგო შევიყვარე (|| შევიყვარო).

***

ეშმაკი და ღმერთი

ეშმაკი და ღმერთი იყოფდენ ამ ქვეყანას. ეშმაკმა ეირჩია ხეი, ღმერთმა — მიწა. ღმერთმა უთხრა მერე ეშმაკს, წეიღე ახლა შენი ხეი, საცხა გინდა, იქინე, მომაშორე კი აქიდანო. ეშმაკმა ეიღო ხეი და ეიტანა გორზე და დარგო იქინე. ღმერთმა უთხრა, რა შობი, მაგი მიწა, რავა, მაქანე ჩემი არააო? იქიდანაც წეიღო ეშმაკმა და გეიტანა მორე გორზე. მაგიც ჩემიაო, დოუყვირა ღმერთმა. რაღაი ექნა ეშმაკს, დოუტოვა იგი ხეიც და... ასე დარჩა ღმერთს მიწა და ხეი და ყორფელი. მარა ხეი მაინც ეშმაკისა, ასე ვიცით ახლაც თქმაი. ხეზე რო გავა კაცი, ფთხილათ უნდა იყვეს, ეშმაკია იქინე ჩასაფრებული და ღმერთის კაცს ემტერება იი ყოველთვინ, შეილება უხინტროს რამე და გარმოაგდოს ზეთე...

***

თქმები ბელთაძეებზე

ბელთაძეები ვანის რაიონის სოფელ ონჯოხეთში ცხოვრობდნენ, ხალხში ბრიყვის სახელი ჰქონდათ გავარდნილი, ამის გამო იმ კუთხე-

ში ახლაც გავრცელებულია პატარა-პატარა ამბები ბელთაძეების ცხოვრებიდან. ვინმეს საქციელს, სიტუაციისათვის შეუფერებელს, ხშირად ადარებენ ბელთაძეებისას და თან ამბავსაც მოაყოლებენ.

ბელთაძეების რძალი

ბელთაძეებს ძროხა ყავდათ დასაკლავი. დანე სხვენზე იყო. ბელთაძეებმა იფიქრეს, ამ ძროხას ევიყვანთ და იქინე დავკლავთო. მიათრევენ ასე ძროხას, გაჯინდა ძროხა, არ მიდის. ახალმოყვანილი პატარძალი ყავდათ იგენს, გოუკვირდა ამას და კითხა, რას უშობით ამ ძროხასო? — დასაკლავათ სხვენზე აქვყავსო, — უთხრეს ბელთაძეებმა. — ბატონო, დანე რო ჩამეიტანოთ, იგი არ გირჩენიათო? — ამ ქალმა უთხრა. გოუხარდათ ბელთაძეებს. — არიქაო, — დეიძახეს, — ეგი ჭკუიანი ყოფილა, ჭკუა არ გეექცესო... და ღვლეჭები მოუჭირეს თავზე... მოკვტა ქალი...

ბელთაძეების წისქვილი

ბელთაძეებმა გადაწყვიტეს წისკვილის აშენება. დეიწყეს ადგილის ძებნა, ნახეს კაი ადგილი. დეიწყეს მიწის თხრა და მშენებლობა. შვადღეზე ქალმა სადილი მოუტანა. — ხელსაბანი წყალი არ წამეიღეო? — უსაყვედურეს ბელთაძეებმა ქალს. — მაი რა ვიცოი, წისკვილს აგებდით და წყალი თუ არ გექნებოდათო, — გოუკვირდა ქალს. ბელთაძეებმა თავში ხელი შამეიკრეს: — ეგი არ გაგვსენებია აქამდიო... და მშენებლობას თავი დაანებეს.

ბელთაძეები და მარილი

მარილი უჭირდათ ადრე. ბელთაძეებმა იფიქრეს, დავთესავთ მარილს და გვექნებაო. დეიწყეს თესვა, არ ამევიდა... ალბათ მიწაა გლახაო და მორე წელს სხოკან დათესეს... ჭკუა მაინც ვერ ისტავლეს...

***

პეტრეს ყავდა ერთი გოგო,
გასათხვარი ერთი (|| დიდი) დრუნცი,
კოჭლიც იყო, ბრუციანიც,
ველურ ღორს უგავდა დრუნჩი.

ცოლის მორჩილი ქმრის ლექსი

დედაჩემა, მამაჩემა
ქალის თხოვა ამაჩემა,.
ისე მომიქცია ფხარი,
უხუთს მათხოვია ქალი.
შაფათ საღამოს მივედი,
მომიხარშეს კანაფხალი.
ქალის სანახავათ წაველ,
მყავდა იორღა ცხენი,
სიდედრი გამემეგება,
ლაგამს მისტაცა ხელი.
მომიყვანა, გვერდს დამისვა
შავი მუგუზლის ფერი,
შევშინდი, გამევიქეცი,
იქ დამჩა ჩემი ცხენი.
ჩემი ძმაი გავაგზანე,
ცრემლით მომივიდა სველი;
სამი ცხენი გავატანე,
სამივეს მოწყვიტა წელი.
მევიყვანე, სახში დავდე,
როგორც ნაბადი ძველი,
სამოცი ჭადი შეჭამა,
ას ოცი წველა ყველი,
საპანე ღვინო დალია,
არ გოუსოლდა ყელი.

მე რო ქალი მევიყვანე,
სახელად ქვია ნელი.
გამილახა ორი დაი,
მესამე დედაჩემი.
შამეესტრო მაამთილი,
„ამას რას შობი, ნელი!..“
ნიგუზალს ხელი დასტაცა,
თლათ შოურუჯა წვერი.
იმათ რო ბოლო მოუღო,
მერე მე მომყო ხელი,
ძმაბიჭებში მემუქრება:
„შენ დამრჩი დასაზელი!“
გადავძვერი ფანჯარაში,
შიგ გამეჭედა წელი,
დამიჭირა, ბევრი მირტყა,
ზრუგზე მადინა მტვერი.
(მთქმელი ნოდარ სიმონია, ვანის რ-ნი, ქვედა გორა)

***

ყვირკვობისთვემ მოატანა,
ქალი გამიუზნეურდა,
თურმე იმის მიზეზია,
ბახმაროზე წასვლა უნდა.
ბახმაროზე წასასვლელათ,
საჭიროა ბარე ორი,
ავდექი და ვიქირავე
ერთი ცხენი, ერთი ჯორი.
ცხენზე ცოლი შევაჯინე,
ჯორზე ბარგი გადავკიდე,
ბახმაროზე გევემგზავრე,
ჩემი ცოლის გარამკიდე.
არხეინათ მივალთ გზაზე,
სიღარიბეს ვერვინ გვამჩნევს,
მხოლოთ მაშინ თუ შეგვამჩნევს,
სხვაი ჯამს და ჩვენ პირს ვაფჩენთ.

რო ევედით ბახმაროზე,
შევურიე მდიდრის ცოლებს,
ჩემი ქალის იმედი მაქ,
კელპია და თავს იწონებს.
რო გევიდა ერთი თვე და
მოვიკითხე ჩემი ქალი,
აქით ქალი, იქით ქალი,
არსადაა ჩემი ქალი.
რომ გევიდა ორი თვე და,
მოვიკითხე ჩემი ქალი,
ვიცხა კაცს გადახვეოდა:
„ჯენაცვალოს ჩემი თავი!..“
რომ გავიდა ცხრაი თვე და
მოვიკითხე ჩემი ქალი,
ქალი ორსულათ ყოფილა,
მომიყვანა ორი ბავშვი.
ყველაფერი რიგზე არი,
გული მწყტება ერთ რამეში,
ბავშვები მეტად თეთრია,
მე არ მგავან სიშავეში.
ძმაბიჭებო, ამასა გთხოვთ:
ქალს ნუ გააგზანით სადმე,
თვარა ერთის მაგიერათ
ოთხი მოგადგება კარზე.

(მთქმელი ნოდარ სიმონია, ვანის რ-ნი, ქვედა გორა)

***

დენიკინმა შამოთვალა,
სოჩა დაცალეო.
გეგეჭკორმა შოუთვალა,
ცოტა მაცალეო...

***

სასადილოში შევეი,
კიბეები ავათავე,
პური მაშვინ მომიტანეს,
როცა ბორში გავათავე.

***

გიტარა მაქ აწყობილი,
ტარი — ამჭრელებული,
სალდათობამ მომიწია,
ქე ვარ გაშტერებული.

***

სოფელ სულორში მცხოვრები ვლადიმერ მიქელთაძე უცოლოდ დარჩა. თავის თავზე ასეთი ლექსი გამოუთქვამს:

ყანასა ფოცხი დოუსვი,
ჩალიღერე ედებაო,
ლადიმერე მიქელთაძე
უცოლშვილოთ ბერდებაო.

***

ერთი ქალი მემეწონა,
ვანის თემში ჩანაო,
მატარებლით მევიტაცებ,
არ მშირდება სანაო...
კავერკოტებს ვერ უყიდი,
ფარჩის კაბებს განაო?..
ისე კოხტა ტანადია
დაშვენდება არაო?..

***

დედაჩემო არ გითხარი?
ნუ გამიშობ წისქვილშიო,
იქ ბიჭები დამხვთებიენ,
ჩამაგდებენ სირცხვილშიო!..

***

ბახმაროს მთები დოუთოვია,
ჩემ შეყვარებულს სხვა უთხოვია...
მერე რა ვუყოთ, მით რა იქნება,
ის მოუკვდება, ჩემი იქნება...
ბახმაროს მთებო, რატო დათოვეთ,
შეყვარებულო, რატო დამტოვე?!.

***

ღმერთს კითხენ: —გლახას რატო არ კლავო? ა, რამდონია გლახებიო...

— იმას მისი სიგლახე ეყოფაო... — თქვა ღმერთმა.

***

სულორში ერთი განთქმული შვამავალი კაცი იყო, თეოფილე პაიკიძე. ერთ კაცს ქალს ურიგებდა, თან დაარიგა: ფეხი გეიდგი და ფული მეითხოვეო.

სასიძო პეტერე ჭკუანაკლული იყო, არც ფული იცოდა კარქათ. სასიმამრომ რო უთხრა, ქალის მვზითეთში ას მეენთს გაძლევო, სასიძომ ფეხი მაგრათ მიადგა კარაპინაზე და უთხრა:

— რვა თუმან ნაკლე არ იქნებაო...

საქმე მაინც გაკეთდა. შვამავალმა ხუმრობათ გამეიყვანა სასიძოს ნათქვამი, მასხრობაში გაატარა და იგენი ას მეენთში გაარიგა. ახლა ცეკვა იყო საჭირო. სიძემ ცეკვა არ იცოდა... სახლი ძირდადგმული იყო, შვაცეცხლით. ნიშნობა აქანე იყო. მეტი გზა არ იყო, სასიძოს უნდა ეცეკვა, ასე იყო წესი. შვაცეცხლთან დიდი ქვაბი იდგა, ხარჩოიანი. ცეკვავს სიძე, მივა ქვაბთან, ა, უნდა ჩავარდეს შითე და შვამავალი უბიძგებს ხელს და გააგდეფს იქით. ასე გარაარჩინა... ი ღამე იმ სახში გაათიეს. დილაზე ჩაი მოუტანეს, დაასხეს ჭიქებში. სიძეს დანალევი არ ქონდა, აწია და ცხელი ჩაი ერთიანათ გარაკრა. გოუკვირდა სტუმრებს... შვამავალმა გამოასტორა: — აასრულა ნიძლავიო...

ასე გამეიყვანა შტერი სასიძო... მერე ყობოდენ ამ ამბავს სულორში...

***

სერაპიონი ერთი ხუმარა კაცი იყო, კაი მოსტრებული ლაპარიკი იცოდა...

ერთხელ სერაპიონმა მეწისქვილესთან დასაფქვავი მიიტანა და დოუტუა. მერე მივიდა და ქფილი წმინდათ დაფქული არ იყო, პეტერე დაღერღილი იყო, სერაპიონმა მეწისქვილეს უთხრა:

— ვინ გითხრა სერაპიონმა ძროხა იყიდაო?!.

სერაპიონი ღარიბი კაცი იყო, ძროხა არ ყოლია მიდღემჩი...

სერაპიონს შვილი ქალაქში ყავდა დასახლებული. ჩამევიდა ერთხელ სოფელში იგი, თან აფხანიკებიც მიყვა. სერაპიონს უთხრა: — მამა, გოჭი დაკალიო... სერაპიონმა უთხრა:

— შვილო, ლადიკო, ღორი როდის ვიყაი, გოჭი რო მეყოლებოდაო...

ლექსი სულორელ ყაჩაღებზე

გასული საუკუნის 30-იან წლებში მილიციელ ევგენი ნადირაძის მოკვლის შემდეგ ყაჩაღად გავარდა სულორელი ვასილ დვალიშვილი. მალე მას შეუერთდა მისი ძმა პროკოფი და მობიძაშვილე იოველი. ამ ჯგუფს ერთხანს მიეკედლა მათი თანასოფლელი სერგო თვალბეიშვილიც. ყაჩაღთა ჯგუფის მეთაური სოფელ ზეინდრის მცხოვრებ ბუჭაჩიე ლომინაძის დახმარებით, გაცემით, ჩეკამ მოკლა. დანარჩენები სხვადასხვა გზით მოიცილეს თავიდან. ამ ყაჩაღების ერთმა თანასოფლელმა ყაჩაღებზე გამოთქვა ლექსი, რომელსაც ხალხი გიტარაზე ამღერებდა.

ჯენაცვალე, მოწმენდილო,
მოალერსე ცაო...
ყური მიგდეთ, ძმაბიჭებო,
ლექსი უნდა ვთქვაო...

მე, ვასილი, მოგახსენებ,
რაც გადამხთა წასულ წლებში,
ამისთანა გაჭირვება
არ მენახა მე ჩემს დღეში.
ერთ მშვენიერ გაზაფხულზე
ხის ძირს ვიჯექ ზაკუსკაზე.
დამთვრალი და გალეშილი
გაუდექი ვანის გზაზე.
ვასილს ევგენ ნადირაძემ
დამაჭირა ფეხი მხარზე
და არაფრათ არ ჩამაგდო,
ვითომც ბუზი ქვეყანაზე.
ევგენის ნამოქმედარი
ერთიც არ გამოითქმება,
გადავწყვიტე, მოვკლა-მეთქი,
საძრახისი თვარ იქნება.
ამ ფიქრებში რო ვიყაი,
თურმე კაცი არ ვარ ფერზე,
ევგენმა რო დამაკვირდა,
მითხრა: — შემომიჯექ ცხენზე.
ვარიც კი აღარ მითქვია,
შოუჯექი უცფათ ცხენზე,
ავაცალე იარაღი,
რაც კი ქონდა ევგენს წელზე.
გადმოვხტი და დაუბრძანე:
„გენაცვალე, ევგენ სულში!“
მომიხედა და იმ წუთში
ცხელი ტყვია ვარტყი გულში...
იარაღი ავაყარე,
კარაბინა ვიგდე მხარზე,
რადგან მტერსა გაუსწორდი,
ხელი გადავისვი თმაზე.

ასე ვქენი ესა საქმე,
გინდ კარგი თქვით, გინლა — ძრახი,
იმ უბედურ ნადირაძეს
ვყავდი ბევრჯერ განალახი.
ჩვენ ვიყაით ოთხნი ძმები,
ოთხივე გლეხის შვილი,
სამნი ვიყაით ერთი გვარის,
ერთი კი — თვალაბეშვილი.
სერგო, პროკოფ, იოველა,
ვასილი კი დვალიშვილი,
სუყველა ხელსა გვიწყობდა
მორძლე იყო თუ ქალიშვილი.
ჯამოიძახეს სამხედრო
ჩვენი ამბის გასაგებათ,
თუ ვინმე კი ხელს შოუწყოფს
ოთხეულის ასაღებად.
ჩვენ დაგვარქვეს ოთხეული,
რათგან ვცხოვრობდით ტყეშია,
შპიონებს დედა უტირე,
რომელიც მომყვა ხელშია.
საბოლაო ბედისწერამ
ჯამახსენა გორა.
თურმე ჩემსა სანდო კაცსა
ჩემზე ქონდა ბოლმა.
ბუშაჭია ლომინაძეს
კაცად ვთვლიდი სანდოს,
მე ხომ გულში არა მქონდა
ღალატობა ამ დროს.
ბუშაჭიე ლომინაძემ ჩეკა დამასხა,
ბუშაჭიე ლომინაძის მოკვლა მინდოდა,
მარა თოფმა მიღალატა აღარ გავარდა,
ვასილიეს ვაჟკაცობა მაშვინ გათავდა.

ტყვია ტყვიაზე მახალეს,
როგორც წუმა და მეხია.
კარებს გრანატი დავკარი,
იმან მომტეხა ფეხია.
თანაც მეგობრებს ვუბძანე,
გაქცევა თავის შველება,
მეკი აქანე დავრჩები
ეხ ბედო... რა მეშველება!
ამხანაგები გადვიდნენ,
ტყვიეთა მომცეს სიგნალი,
ამ ჩემს ხელმძღვანელობდა,
ადეიშვილის უფალი.
ერთი ტყვია მასაც ვარგე,
ამ ჩემ თავზე დავიკალი.
ტანჯვის მეტი არაფერი,
მინახია სოფლად.
ამ ჩემ ცხოვრების გზამ,
ჩამიარა ოხრად.
ჩემ სიკვდილზე სოფელი და
ოჯახიც ხომ ჩაჩუმდა.
ეს ჩემი პატარა ლექსი,
სულორს ჰქონდეს საჩუქრად.

***

30-იან წლებში კულაკები და კოლმეურნეობის დაარსების მოწინააღმდეგენი გადიდსა და სულორში მღეროდნენ ასეთ სიმღერებს:

ამას უმბობს რადიო,
კოლექტივში ჩადიო,
სანატრელათ გაგიხდება
ლობიე და ჭადიო.

***

დემესია ტილები,
პატრონგაწყვეტილები.
თავში ისე დადიენ,
როგორც „ემადინები“,
ისე იკპინებიენ,
როგორც კომკავშირლები.

***

თავში ტილი მიფაჩუნოფს,
თურმე წვრილი ტილი არი.
ტილო, ხათრი რო არ მქონდეს,
კოლექტივში გიჩივლებდი,
შავ დაფაზე გაგაკრავდი,
ტილო, დედას გიტირებდი!..

***

40-იანი წლების ბოლოსა და 50-იანი წლების დასაწყისში მღეროდნენ ასეთ სატრფიალო სიმღერებს:

მოლიპულ გზაზე ყვავილი ვნახე
და იმ ყვავილში შენ დაგინახე,
ბევრი გეძებე მე ბნელ ქუჩებში,
რომ დამეკოცნე ლამაზ ტუჩებში.

***

ქალაუ, რით მოგიტაცო,
რომელი ავტო ჯობია?
„ემადინი“ თუ „მოსკვიჩი“?
— „პაბედა“ ყველას ჯობია.

***

მოწმენდილ ცას რო დეინახავდენ ღამე, იტყოდენ ამ ლექსს:
ცას მოუწმენდია, მოუკასკასებია,
ტურას ტყავი მოუხურავს, მოუხაბუკებია,
კურდღელს ხარი შოუკაზმავს, შოუტაპიკებია.

***

გადიდი დიდი გორია,
აღმართები და ფერდია,
ამ დალოცვილ დვალიშვილებს
ღვდელზე არა აქვთ ბედია.
წინეთ იყო საბაშვილი,
პოეზდმა მოჭრა ფეხია,
მერე რომელიც მევიდა
ყველას გოუწყრა ღმერთია.
ერთი ხანი უღვდლოთ იყვენ,
მერე მევიდა ჩხიკვაძე,
ქალები ისე დაშინდენ
აღარ მიდიან წირვაზე.
ქურქაიეს ცოლს მიუხტა,
შეიქნა აურზაური...

***

30-იან წლებში გადიდსა და სულორში ძალზე გავრცელებული იყო ერთი ლექსი, რომელსაც გიტარაზე ამღერებდნენ: გადიდში კოლექტივის დაარსების ერთ-ერთ ინიციატორად ითვლებოდა კარპეზი მხეიძე. ივლიანე მხეიძე იყო კულაკი, რომელთანაც მისულა კარპეზი, ალბათ განკულაკების მოტივით. მაგრამ ამ დროს მისი ქალიშვილი მოსწონებია და გააროშიყებია. ამაზე გამოთქვეს ლექსი:

მე ვარ კარპეზი ფხეიძე,
სახელგანთქმული გვარშიო,
კოლექტივი დავაარსე
გადიდის გლეხობაშიო.

ივლიანესას მივედი,
თვითონ არ იყო სახშიო,
ერთი ლამაზი გოგო ყავს,
ქე მემეწონა თვალშიო.
ბელი მოვკიდე, ვაკოცე,
იმან გამარტყა ხპაშიო,
მოვბრუნდი და წამეველი
მე, გალახული, სახშიო.
სამი დღე იგი ვიდარდე,
აღარ გავსულვარ კარშიო,
მეზობლებმა რო გეიგეს
ყველამ მაფურთხა თვალშიო.
„კარპეზია, ეს რა ქენი,
თავი მოგეპრა გვარშიო,
მეზობელთან ველარ მიხვალ,
მარტვე იარე ხალხშიო!..“

* * *

სულორის ერთ-ერთი მცხოვრები ქალი ეჭვიანობდა თავის ქმარ პარმენზე. ერთ დღეს „ნაწირვებს“, საყდარზე დაიმარტოხელა თავისი ქმრის საყვარელი და კარგად გაწეწა. ამაზე სულორლებმა გამოთქვეს ლექსი:

„— სადიკო, სადიკო,
შენი ჩხუბი სად იყო?
— საყდარს უკანამიდან
გორიკელაზე იყო“.

ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები და ყურმოკრული საუბრები

1983 წ., ივლისი

— მე განგებისათ აღარ ვჭამ, თვარა ვსუქთები აგერ...
— შენ დაგეფსო ნაძირალე!
— გამოვაცხოფ ბარაღმე (ბარემას) ამას, ორი პურია დარჩენილი.
— კარ იღალება ახლა მაგი, თოხნის ნელა-ნელა.
— წროულს ყივნა იყო, მარა მაინც არ ვარგა თხილი.
— მე ისე მაქ ლობიე მირგული, თვარა ჩემი საშველი არა...
— შანქლიავე
— ბესელე ბალახი ვარგა საბუდარათ, ქათმის დასაყენათ, ბუდეში ჩოუფენ...
— მემე მაგენი ხელში!..
— წეპო ქე მაქ ეგერ, მაშვინ გამომატანეს, ქორო ბევერი ქონდა დედაშენს.
— მე მქონდა ტყემალი, დაცვინდა თლათ ძირს, ამას რაფერ აბია...
— ისე კაი გოგოა, ქე გავს დედამის პეტერავათ...
— განგეფე უთხარი, აპა რა იზამდა...
— მაისანე ხულა მქონდა მე, ზოი ქე დავწვი, ზოი ქე მევიხმარე რაცხათ.
— მერე იქინე ჩევეი რაცხაზე...
— ხვალე პეტრე-პალობაა, უქმოფთ ჩვენ იმას, საჭმელი კაი უნდა გააკეთო იმ დღეს.
— გავაბრიყვოთ იქნება მაი, თვარა კარ იზამს ისე...
— თხაი, ღორი, ვირი, რაი არ ყავს მაგას...
— შეხედე, გო, ჯინჭველე ხო არა შითე?
— კუხეა ჯერე...
— უბედური ეშმაკი იყო მაი, ნეფსში მახათს გამეელის, არაფლიზა არ წამოგიწყოფს ხელს...
— სხვაი ბოფშები სახში იყვენ, პეტვრანები...
— მოყვა იმას დაი, მეგრელიაში ყოლია გათხოული.
— მაი მე მენდვე...
— ბევერი გობი ფაფას ბევერი სული ბერა უნდა (ანდაზა)

— აქანე ვირთაგანი შრომაა, ვირთაგანი...
— უსაცილოა ეგი [საქმე] მე რო ვაკეთეფ, უსაცილო, არ შეილება იგი რო არ გავაკეთო...
— ნარჩევალე (ნარჩევი)
— მაგენი აგერ გოგიტელასან თამაშობდენ გუშხამ, უყვირეყენ მერე...
— იქინე გამოწერა ყოფილა შეშის, ცხრა მანეთათ გუბამეტრი. მარშინაა დიდი ეზოშიო, მევიტან იმითო. ბიჭიკონას მეეტანა შარშან, შარშანიწინ...
— გირგოლიე სახს ნაყიდავა და ყიდულოფს მაგიორს პეტერას...
— გოგიელას კილტე-ბოლქომი დოუდვია ჭიშკარზე.
— სამოზდაათზე ერ კაპეიკს არ დავაკლეფო...
— ეი ბიჭია და მარშინა ქე აქ...
— არც ამხელს მანამაიც...
— წინეებზე თქვა...
— ჩემ ეზოში ვერ ჩამეიხედავდი, იმდონი ხერგი ეყარა.
— კალპასი მეიტანა, ასე ამ სიგძვანი კალპასები ეყიდა და იგი მეიტანა...
— ვერ ჩეიცვა გძელი შავრალი, მეხახუნება ფეხზეო...
— მაი, მაქხელა ჯრიკი რავა დეეცობა მა ბოთს...
— აგერ დენა მორე ცალი, აგერ სტოლზე...
— მარ-მალე (მალ-მალე)
— აწან თუ გარეიარა ზეთე, რაღაი მოხელეა!..
— ეი, გო, ნადუღება რა ხანია!..
— შენ, გო, ფეხის დაბანა რო გინდა, დეიბანე ბარემას და მერე გევიდეთ მაქანე.
— რეიტოა, გო, რიზინის სუნი სახში?
— ნუ ჩხუბობხართ!..
— ქე იღებსკე ახლა ბინას...
— დავამბი ძროხა ბუველასან...
— არალოიც (არასდროს)
— სხოგან (//სხოკან)
— კაი ქალია, მაი, კაი, შაქარი მოუცივა პირში...
— ყველე არ მახსოფს და ნაწილს უგნოფ...
— თქვენთან ახლოსა მაგენი? მაგენი მე მეტი დაკარჭული სალაგს მგონია.

— სერიოზნული ბიჭია, ქე რო ტლიკინეები არიენ, იმისანე კარა...
— გასადარევია ქათმისქონე (ბალახი), გაგდარევს მაი...
— შაფათაამდი გეიზდებიენ კიდო [კიტრები], ხვალე მოწიკვე და ჭამე.
— ეგვენიე (ევგენი)
— მადრიელი იყვენ ნემეტანი ჩემი...
— მარუსე რაფერ მიწყესავს ეზოს, თუ იცი?!.
— ერთი კპილი არ აქტა...
— ეგენი სა არიენ ნეტაი?
— წენარიენ.
— რაი აძინეფთ ახლა?!.
— ბათუმში მივიდოდი და ერთი კაცი იმღეროდა მატარებელში... მეც ქე ვიმღერი ხანდახანდე ამას...
— გევიხედე შარშან და შეიქნა ეი ქვეით უზარო კივილი. გაზი აფეთქებიათ თურმე. ბუთქა გაზმა და გაჩთა ცეცხლი თურმე...
— ღრისი ვარ მე მაგისი...
— რა გლახა ღამეა, ღურბელი და სიცხეა უბედურობა.
— თხილები ბევერი აყვენ, საფსე...
— დეგვენგზავრა ვინცხა ქალი და ბიჭი...
— ისტავლეო, ჩემზა არ აგნობდა?.. არ ვშობოი...:
— სარკეტობიე ქონდა მაგას და მაის ქმარს, ჩხუბობდენ უბედურათ...
— უმთხილდება (უფრთხილდება)
— გეველოგები (გეოლოგები)
— ნიტერნატი (ინტერნატი)
— ჩამევიდა იმ შიშორეიდან და ამ ბალს არ ება წროულს...
— ბაღანამ ეიჩემა და წეიყვანეს. რავა ამოდით, ვებძოლეყენო, მარუსამ თქვა...
— ორი მეენთი მივეცი პამიდორში...
— მერე, ბიძია, რამ გაგდარია, რათ გინდოდა. პამიდორს რო არ ვჭამ მე, ხო იცი?!.
— მაგასაც ულაპარიკებია მერე (ულაპარაკია)
— ამ ბაღანას რაზე ვარწვალეფ ახლა მე?!.
— ტყეში ახლა რავა გახვალ, ტალახია უბედურობა, საღამოდრიელე თუ გახვალ.

— ქე რო შესაწვავი გოჭი, ისე ვიყაი, არ დამაქდენდა ერთი, მატრიალებდა...
— ნებიერათ უნდა მიყვე, როცხა არ შეგილია, მარა გული ოხერია...
— მე რო წევიღე, ათარეშებული იქნება ყორფელი ქსენიეს ღორიდინ, მიადგება თხაი იმას და სუყველას დახრავს...
— მიატია ი ცოლი...
— მის შვილს ქე ინახავდა, აჭუმს, აცუმს, ჩაანცვა და ყორფელი და...
— ერიგზობა (ერთხელ)
— სერეფინე (სერაფინა, ქალის სახელი)
— ვარციხედინ ვართ ჩვენო...
— არაფელი კაცი იმას არ ემადრიელება...
— პკილის ტკივილს რაი უხთება? ამტკივდა გუშხამ, (რაფერ დავაფჩინო პირი). ნუ გეშინია, ბეჩაო, ამინუჩი მოგარჩენო. პენიცინი გაქო? მოხადა პელიცინს თავი, ჩაასხა სტაქანში, ჩუუწო ბამბა შითე, დევიდევი ნუნაზე...
— არ მინდა გლახა თქვას ვინმემ, არ მინდა ვირმეის წყენილობა, ერი კალათე მიწა ვარ და რეიტო უნდა ვაწყენიო ვინმეს...

1983 წ., ოქტომბერი

— რო წამოსულიყო, ქე ამევიდოდა ამდონხან სახში. არ მოვა ნეტაი ამელამ სახში?!.
— მკიცე (მოიცადე)
— კიდო აღარა მეტი... ერ გზობაზე რო შეუამო, მორე გზობაზე აღარ გინდა?!.
— ნახე, რაქობამდია ჩახერხილი...
— თვალში არ მომხვთა?! რალმე არ დამიფსო თვალი?!
— ილაკრიასან ვარო...
— მტლარიენ უბედურათ იგენი...
— უნდა მოანშრალო მაი, ისე რათ ვარგა...
— წევიღეფ ჰოკს და იმითინ გავზომავ...
— ვეტყვიყენ და რა ვიცი...
— რაიზა (//რეიზა) მოგდისკე გული?!
— კაი წეიღე, კაი, დიდვრანი ვაშლები, ე პეწეწვანი რათ გინდა?!

— წამოი და მა ვედრო წამეიღე, რო ჟანხარ.
— შენ რაფერ ააწევიეფ ამიხელა გოდორს მარტუე.
— რეიტო იკლავ, ბიძია, თავს, რეიტო?!
— იქინე მოსანცხელე მაქ დაგდებული...
— ახლევლე
— შტილი (ჩრდილი)
— რამდონი
— მოსაკრეფია ი ვაშლები და შესაყარია სახში...
— ე, რაცხა ღოღავს იქინე, მორიალე არ იყოს, გამოი აქით!..
— იკუნკება წელში, არიქა არ გამაკეთებიონ რამეო...
— ჰვირთი (ტვირთი)
— ბუველამ იცის კიდო მასე, უცფათ მოხლეჩა...

1984 წელი

— გეიღვინძე, გო, აწი შენ, გეიღვინძე, მოქკლავს ამდონი ძინი...
— პაპიროზ სვამ, ბიჯო, შენ? არ დალიო, თვარა ტუნჩის მოგაჭრი!..
— ბაღანეზა ვიცოით, „თავარი სული არ დარჩესო“ და რო ავაყენებ-
დით, ვიტყოით, „სულო თან აყევი, სულო თან აყევითქვა“
— კოჭლის ვერ გააჩერეფ და მუნჯის ვერ გააჩუმეფ (თქმა)
— ორშაფათი გამეიარს, გულზე ჯავრი გარეიარს (თქმა)
— აქანე არ მეინძევა ჩიქა...
— ჩააცმიე რაცხა და ისე წაი...
— შენ იმღერდი, გო?
— აფერს არ ჯერავს და მარწვალეფს უბედურათ...
— ლოკორტინე (ლოკოკინა)
— ნუ ექიჩაები, გო, მა სკამს!..
— ნანდომა
— ეგერ ჟანა შენი დაი...

— ბიჭო, ბადრია, რო გახვალ ხიდეზე, გააჩერე მანქანა!
— აგერ არიენ მოჩერებული კაჩაღებივით (ქათმები). ვაი, შენ ჰამე ცეცხლი და დუღარე!
— აჭქოთთი, კაცო, წვირით ავქოთთი...
— უბედურობა ცეტი იყო ბაღნობაზე, უბედური ფხიზელი ძინი იცოდა...
— რა უბედური ბურია!..
— სერგოიე არი ჩემი ძმაის კპილა.
— აჭანე საოტკიას დადეფ, გრუშამო შამოაწყოფ ჭიქეფს; თვარ შამოაწყოფ და იდგომილება მარტო იგი...
— ასე დეიარება სულ. მაის ფეხის გაჩერება არა. რაი არონიეფს ამდონს?!
— ნაწუმარა იქინე.
— არ შეგიხედია იმიზა, რო გამოანგზავრე?!
— თლა ღელეში მიყავდა მანქანა, ეძგუფა იქნება თავი, ვიწრო გზაი იყო...
— მა ქოსარტყვილე, მაი!..
— გამოურონიე ღობეში [ჯაჭვი] და დაკეტე ჭიშკარი!..
— სიძე მომიკვტა, სიძე, დაის ქმარი...
— კარნელი რაფერ ავათა!.. არ შემილიაო, გო, და წენა, წენა...
— რა ვიცი, საცხა უნდებიენ, იქინე იქნებიენ...
— თუ იქნა მწონავი, ქე დავტოვ, თვარა და ქე წამოვალ, ორი გზობა მაქ კიდო ჩასატანი.
— წვალოით სახლი ამისი იყო, ქორო შენ უყურებდი, რო მოგიყვანეთ...
— რავა მე მგავლარიენ... მე დავბერდი და მამიწყტება. თქვენ ახალგაზდები ხართ...
— წყალი თუ გაყვენ კრანებში, წყალი?!.
— დედმამიშვილი რეთი ხართ? (რამდენი)
— ყველეის უმფროსი დაია იგი...
— ენიე რავალი კარქათა!..
— არაკაცი არ ტიროდა?
— არ მომკლა ამ ფიცრების თრევამ წროუნდელი წელიწადია?!.

— ავდგები ლოგინიდინ დღეს, ჩევიყვანო ეგება ხპოი — ვერ შევიძლი...
— კაიხელვანი არიენ აწი ი ტყუპები...
— ამაზე რო მივაბი [ხბო], იქნაამდი არ ეყოფოდა [ბალახი]?..
— ავდექი იალონზე გუშხამ და შლიგი-შლიგინით მოდიოდა ზეიდან.
— ხო იცი, რაი უთხრობია...
— რაი ჰვირთი მქონდა ამდონეთი?!.
— ასე რო მოგაჭმოვია საქონლიზა ბალახი, ერი კაკალი თხილი არ დეგეკარქება.
— კიდო იწუმეფს, ამევიდა ღურბელი ახლოს.
— მერე ვერ ამეიტანე მარტვამ?!.
— იმდონი ტყემალი აქვენ, ქე ყრია ისე...
— რო შემევიდა სახში, ვირთხასავეთ იყო (გამხდარი, დასუსტებული)
— გუმბრა (გვიმრა)
— მოწიკა საწყალმა ხალხმა მარშინით ნახერხი, დაყარეს იგი, თვარა ტალახი იყო უბედურობა.
— მაგას კატა ართუმდა ჰუჭულეფს...
— მე ვიწეი და ავდექი ახლა...
— ტყემალი მიხთება (მიფუშდება), მაშინა გამომიგზანე ჩქარაო...
— დოუძახე სახლიდინ...
— ბერწოული (ბროწეული)
— ქე გაძღა ეგი, ხვალე დილაამდი არ უნდებიენ მეტი...
— ქათმებს ჭმოვა უნდა ახლა...
— ხეიზა (მოსაპრელად) რავა მინდა წალდი, პეტერა ჩამოსათალათ მინდა.
— ვინცა ჭამა ქათმის გული, ვერ მეიგო კაცის გული (თქმა) — ამას არ ჭამდენ, ზოგიერთი არ აჭუმს ქალი კაცს, მის გულს ვერ მევიგეფო.
— შაგრუმალი კაცია მაამისი და თლა გავს ე ბაღანე იმას.
— ბიჭი-ბაღანე დარბის სულ, თვარა გოგო-ბაღანე კარა...
— ცოცხიას ხო არ მიმაკარებდა, გამომგლეჯდა ხელში, მე რავა გამაკეთებიებდა რამეს...
— ახლა კი ვიცი რეიზა მეუმბებიო...
— ბიძია, ადექი — უმბობიენ, ვერ მოაცილენ სასაფლაოს...
— სათ არ უავდენ თურმე, მერე ნემრიანობდა, რატო გამიჩთა კიბოო...

— შარშანიწინ მიიღენ ბინები...
— როლანდი მოქვყობოდა უკან მანქანით. იმისანე ხალხი იყო კიდო რამდენეთი.
— რეიტო აწი?..
— ნემეტანი ნაწყენა ი მარშინა...
— ასე გვიანობააამდი რატო გაგძელდა?
— ქალი უჟანა ერთი გვერჩი ფაციას...
— მაი ნიხეილეს რძალია...
— შესავალი რაფერ აქ, ტვინელივით!..
— ხშირათ მონავალა მა ქალი მაქანე, დანავალა...
— ლორანდი იყო მოსკოვში წასრული.
— გარეთ ვედანვართ იქინე...
— წაი ექიმთან, ეგერ ქყავს კარი-ყურეში.
— თურმე რეიზა უნდა გეირწვალო თავი, რავარც გამიკეთეს ნეფსი, არ დეიფშუტა ე დასიებული ფეხი?!
— დავკარი ლუსპანს ე კალოშიანი ფეხი, ხვინჭა და არ ამევიდა აგერ?!
— ლენაიას ეთქვა, წამოი ექიმთანო. არ უქნია.
— შვილეფს რაი უჭირს საძალღონო. ქე გეიზარდა ჩემი საწყალი დიშვილები.
— ლეინგრადში ეთქვენ, ნუ გეშინიაო.
— ჯემალის უმფროსი რავა არ იქნება...
— ქჯეით ვიყაი თხაის ამოსაყვანათ... არ ჩანა არსადარა...
— ხუთი ვარიე იყო და ერთი ყვიჩილე.
— კვირკვობისთვემ უთხრა ივანობისთვეს, ხარაბუზს ულაშის ხელა ჩამაბარე სიმიდე და მერე მე ვიციო (თქმა)
— ძველ მამალს დავამბამ ცაკე და მორე მამალს დავამწყდოვ.
— ერთი თეთრი თხაი იყო, მორე ჭრელი, რაცხა იაგავი...
— იმისანა მივბეჟავ ახლა იმ თხას, თუ დევინახე, ქვები ქე მაქ ეგერ...
— მაი რო მცოდნოდა, რავა გამოატანებიებდი [ფულს სასესხებლად]
— ნადუღება ე წყალი რახანია...
— ნამგზითი ერი ხელი ქვეშაგებელი მაქ მე, მეტი არა...
— გუშხამ ვბანდი და ჩამიგდო წყალში საპონი. მოლე იყო იქინე და ვერ დადვა?!.
— ქე ვიცი მე, მაქანე გლახა ასავალია.

— მემეცი საპონი და ზრუგში წაგისოფ.
— ქალები დანარება იქინე...
— ეიში, ხარო!.. (გასადენი შეძახილი)
— რო შემოგიწყვია ე კასრულები აქანე, რაღმე გარავარდა...
— ძულა-გაჭირვებით გამოვწვალე ი საქმე, არ შობოდა არაფლიზა...
— პურს მოვზილავ და ამუა საღამოიზა...
— ეჰ, ქე მაინც გამეერო პოლიასან, ცერენცო ექნებოდა...
— გუშხამ იქინე ყოფილარიენ, საცხა ზეით...
— ქორო იყო, ისე რო იყოს, რაღაი მიჭირს მერე მე.
— მოწიკვა (მოწყვიტა)
— თავიდან ბოლოომდი დატიტყნილი მევიდა.
— ქეა რაცხა გზანწვრილე იქინე ტყეში.
— დაფჩუტულა გოგორე (=დაშვებულა ბორბალი)
— ნუ ურტყამ, ბებია, მაგას, ნუ, თვარა დაჯლაგვდება ნაჯახი. ნუ ამჯლაგვებ, ნუ!..
— არ მოუტანია შვილეფს არაფელი, ახლა უნა მიუტანო იქით ჯორკიდებული!..
— რო რამე მეიწიოს მა ბაღანამ, დამაბარებენ მე; არ შემილია მაგის დავილი მე.
— რო უბლაყუნებ ამდონი ხანია, ძირში მიაჭერი ეგი ბოლი, ძირში!
— მიტო უგნოფ მე, ნუ სვამ ღვინოს-თქვა; მე მეცოდება, ფიქრობვარ, დოუწვავს წელებს-თქვა.
— თვარ გაწუმდა ახლა, ხო კაია, ამოა იგი მანქანით სახში. პეტერეც რო მოთქოროს, ატალახთება თლათ, ვეღარ ამოა...
— სიძანეფთან ვერ გაძლო მაგან, ვერა...
— მე ვერ დევიმახსონე... თუ ვიცოი, იგი დამამიწყტა, აწი დევიმახსონო კარა.
— მე ქე ვჟანვარ ეგერ გარეთ...
— მე რო არ მივყვე, ე, ისე იქდომილებოდა.
— ბაღნებმა მოკრიფენ გუშხამ, სუყველე ფუტურეა [თხილი]. ალბათ თოული მონახთენა (//ნახთენა მაგას).
— ფსხალი გამევიტანე, მარა არ ვარგა არაფლათ, უგემურია. რაფერ მბია მერე?!.
— ერთ ორ ძირს ამბია [ფსხალი], მარა თეთეთრი თუ არ ჩამოცვინდა მიწაზე, არ ვარგა.

— მივიდოდა (=მიდიოდა) მაინც მალე და მიბრუნება-მობრუნებად აღარ ღირდა.
— გარამდგარალიენ საცხა და გაჩერებულარიენ...
— მაი კარა, მე რო ერ კვირეს მევლო, არ მაწყენდა მარშინა და ახლა მწყენს.
— ანიკოს გოუღეთ კარები, ქე ნაწყენა მარშინა, მარა არ უწყენია ახლა.
— აჩას ახლა ჰურში ჩავყრი, მარა არ წავგნისავ.
— პეტერე ქე წაამიწე (= წააყარე მიწა), აპა თლა ღიას დატოვ?!.
— პურს ვჭამ ახლა, ხშირათ რო მოაყვენ.
— წევიღებ მე შენგან კვერცხის, ნუ გამიცემ სხოკან...
— ჩემი ძაღლი კვერცხის არ ჭამს, არაფელ საწუწკარიაზე არ მივა.
— პური უყვარსკე ნემეტანი [კატებს].
— ბზეში დადეი, ბიჯო, იგი, ბზეში... ქე ვერ დაჟდები, ყივნასავეთა თლათ.
— მეღამურიე (=ღამურა)
— ბიჭები წევიდენ იქინე, მერე პოლიე ყოფილიყო და გოუკეთებიათ გზაი.
— გაკურნული ხალხია იქინე [სანატორიუმში].
— ეგერ მედგომილებოდა დიდი სახლი მე, მაი რო არ ყოფილიყო...
— ხალხი ზოი ადრე კვტება, ზოი გვიან, აპა რაია მაგი...
— წ:უხელ წამევიდა პეტრიასან, დათვრა...
— წამოი ჩემთან სახშიო, მპაიჯა პაჭაიამ.
— სასტუმროში გავათიეთ ჩვენ ღამე, მოყვარესან კვერ მივეით...
— მე იმის თქმაი მინდოდა... ქვეით თხმელეს ბოლები როა, იმის წამოღება მინდოდა.
— ყოლიფერი იციენ, ყოლიფერი...
— ალის ხეი (ალვისხე)
— მაგის დარგვას ან ტყემალი დემერგო ან წარე პანტე. ჰურში ჩავყრიდი-თქვა; მარა ი ცხილე უყვარდა პოლიკარტეს. მისით ამოსრული ყოფილა, ასი წლის ქე იქნება.
— არ იყო, ბებია, წარე კაცი, ტკპილი კაცი იყო ყველეიზა...
— ეგერ ქონდა ჭადარი ექვთიმეს ზეით, ატანტალებული, ლამაზი რომე...
— იქინე ჭიროდა ეკლეფში გძელი შარვალი...

— სანაპტყენო ვაშლი... კვირტის ვიშონით და რანეირი ვაშლი გინდა, იმნეირი დეიპტყნება.
— ხაფსი (=ხავსი)
— ზამთარ-ზამხულ სულ ნედლია სურო.
— სა იყაი-მეთქინ!..
— აქანე რო ხეხილს მოწეკვ ხეზე, გული მიგივა მაინც.
— ნაჯახს მომიტეხავს ტარს, წევე ქე მაქ მეტი!..
— შეხედე, რაფერ დაღრუებულია ე ვაშლის ხეი... რაფერც ადამიანი, ისეა... მისით ტყტება, რო მოკიდეფ ხელს. გოუდა ვადა, გოუდა...
— ხპოი ბღავა... მოვალ, კოკია, მოვალ!..
— ეგია ღობის სასიმაგრო [ხეები].
— ხეის ბოლსაც გაჩენია ავანტყოფობა. შეხე, შეხე, ხეის ბოლი მოჰრა ბაღანამ, იმასაც გაჩენია ავანტყოფობა.
— კვინჯღიანი ხეი...
— მომიყვანა ხპოი... უჯიქვინებს ამხელა ხპოი და მოაგდებიეფსო [ძროხას].
— წელკავი დააძღა ზრუგზე! (საქონლის წყევლა)
— ხანდახანდე
— თლათ მამაშენის ხმაი გაქ, თლათ.
— რამხელვანი ხელები აქ გლახუელასავეთ.
— არ წოუყვანია ჯერე საქონელი, უბზერ აგერ.
— ერი კვირეა აგერ, არ დამბარებია ნახევარი ჭადი... (=მიჭამია, შემრგებია)
— პეტერე გადააჩოჩე, გზაი კარ მოკავდება მაითინ.
— ამხელვანი ბიჭები...
— მე დღეს გევიძვრე წინდე, ჩლუქს ქვეშ მაცვია სულ...
— რო დააჭიჭყინე მარშინა დავითიესოულში, ქე მივხთი მე, ტანმა მიაზრა.
— ძაან შორე არ გადაყარო მა ბოლები, ჭუჭულბი მივა ბოსტანში და
მივაჩხაკვავ ღობეზე.
— შენ რაღმე ამაზე უმფროსი ხარ პეტერავოთ...
— მეც ხელს უწყობდი, გულს არ ვაყვანიებდი...
— არ იცის კარა, დედომიწას არღოვს!..

— რეტოა წვრილი?
— ფსხალს ქვიჯათ ჭრიენ, იმისანე მაგარია, ურახუნეფ მარა, ქეა...
— ვაი დედაია, რა ამბავი გვიმბრალე ამოსულა!..
— მოჭერი მერე, რო შეი ბარემას!..
— იგი ფსხლები დიდვრანია...
— გუმბრას სამცახეთ (//ცახათ) ვიყენეფთ.
— სჯეტი გამოა ამაში, ხო ივარგეფს?
— ყორფლად ქე ვარგა ფსხალის ხეი.
— აგერ არ მომხვთა კიღამ?!.
— წარე ფსხალი იყო ასრული ფსხალში და იგი მოვჭერი. კიბე იყო ბარემას და ქე მოვჭერით.
— თხილი როიც დეიწყება? (კრეფა)
— რო ვერ წავა სხოკან, მერე იქნება ე სოფელი კაი!
— უფრო იღალება შოფერი, ჩქარა რო დადის მარშინა.
— ახლა თუ არა, მერე ამევიტან მა ხეეფს. ქე არ გავცთები და... აგერ გვაქ ჩვენ სამუშევარი.
— ერთი მანქანა იყო, გარბოდა გამწარებული!..
— ე ჩემი ლობიები... არ ამბია, თვარა ეიწენწა ე ისე. არ მაქ მე საადრიო ლობიე. იმის სათესური არ მაქ მე.
— რას გიზამ ახლა, თუ იცი!.. მამაშენი კარა, ვერ გიშველის ვერაფელი კაცი!..
— არალი (=არ არის)
— მოჩანა
— რა შობა, ვიღა არჩენსკე იმას ახლა?!.
— კატაა გაყურსუნებული, სულს ითქვამს ჩუმა-ჩუმათე. გამოძვრება თაგვი, დეიჭირავს უცფათე.
— პეტერე მეიპარცე, რათ გინდა, იმხელა ჯენჯს რო უშოფ!.. (ირონ.: თმა)
— ჰამე, გო, ჰამე პამიდორი და კინტრი, რო ხარ უავარესავეთ.
— ე, დამინტვრია, დამინტვრია ე სკამი ა გლახამ!..
— მასე მებძვი შენ მიდღემჩი, რაი გინდა, რაი?!.
— უნდა მოვრეცხო, გო, ეგი, ნაჭადვარეა.
— შანქლიავეა ეგერ და საკრეფიეთ მოკრიფე, სადაც წიფე იყოს!
— გაშანგილებულია ნუგუზალესავეთ (=გაშავებულია)
— უქვარსკენ ერთიმორე.

— წამევებორკე იმ პტყელ ქვას და კიღამ მივასხი ტვინი იქინე...
— აქანე გამოურონიე თავი, აქანე მა ხეს!
— ზემფრენი (=თვითმფრინავი)
— ანდღლოული ოტკაა აგერ, წეიღე!
— ნაბოლი ოტკაა მაი და სასობათაა კაი.
— არ მომკლეს, კაცო? იგი სხვას მემბობა, იგი სხვას, თითვან ჟანარიენ ცაკე.
— არასფელი ამ ბაღანამ არ იცის!..
— ბაბილინასან მივდიოი ბათუმში და ვიცხა ბიჭი იმღეროდა მატარებელში, გადადგა და იმღეროდა...
— ბზეი რო წმიდათ ჩავა, დარია მორე დღეს.
— აქით არ გოუშოფ წყალს, ჭენჭყო იქნება სულ, ბზეი არა და კარ შრება.
— მაჯაგია უფრო ე წითელი ქათმები; ისე დიდი ნაზარდა ეგი, კაცო!..
— საქათმურე
— ეგი ქსტობა წელაამდი...
— დაწტება
— სობელი იყო ე გობი, მოვრეცხე და არ ვარგა, დეიკრა პურის ქფილი.
— მამა ყავდა იმას ბუღალტერი, ნემეტანი დიდრათ იყო...
— ყორფელია ყოლდგან...
— ჩემი ძამიე რო იყო, იმისანე...
— დიდი ბჟველე იყო ეგერ, სახს უკან.
— მე ვიფიქრე, ხაჭაპურს გავაკეთეფ, ერც მე შევჭამ, ერც ნინას დავახვედრეფ-თქვა...
— მაი სიძნელე ღმერთმა ნუ შეახვთინოს, ბიჭო, უმამობა უბედურობაა.
— რანიკონე (კნინ.: ამირანი)
— დამაძგერდა ი კაცი, მილიციელი, წამართვა ბოთლით ოტკა, არ შეილება გაყიდვაო, ძულათე გამოართვი...
— მელციის უფროსი
— როიც იყო ამისანე წუმები, კაცო?!
— სარშანაც ქე იყო, მარა ასე არა...
— მეგეცი მე შენ მაიკა ეგერ და ჩეიცვი!..

— ხო უყურეფ წროუნდელი ამიდს, რა დროის ზღვაია, წროულს არ ვარგა არაფელი.
— არ მიცენ ფული შოფერს და მერეემდი ამოდის ახლა, მეტი არა...
— ველარ გავსტვი, ბიჯო, ამდონს მე, ველარ...
— ნაკილს შევიტან იქინე და მოაბძგოვ თლათ.
— მაი კარა, აქანე ვერ გაარონიეფ მანქანას, იმისანე ტალახია.
— გააფუქენ ე ნარდი, დაფხოქენ თლათ და გააფუქენ!..
— მაქანე არ უნდა წათლა, არა, გულში უნდა, ამ ქვეით [მორს].
— აპა, წეემწვათა თლა თავი.
— ქათამი შამევიდა სახში, გადენე!..
— იქნება ქე ჰამოსკენ-მეთქინ.
— წუხელ პეტრიე იყო კრებაზე და ეთქვენ იქინე.
— მე ვიფიქრე გარეიღეფს-მეთქინ, მარა წუხელი წინ ღამე რო იყო ზღვარამი!..
— გერევიდენ, დელექტორს შავი დღე დააყენენ, რეტო გზები არ ქონიათო.
— თვეში რამდონიც იქნება გარასახადი, უნდა გარეიხადო.
— ქროლი [ქლორი] მევითხოვეო და არ მომცენო; ვინ არ მოქცაო? მაი, დაწერე განცხადება და შავ დღეს დავაყენეფთო.
— ჯერე შეამოწმებენ რაი იქნება გარასახადი, რამდონი იქნება.
— იმ სათავეს გააკეთეფს, მეიყვანს წესრიგშიო.
— ეგი სხვანეირათ იქნება.
— ვაიმე დედაია, მანაამდი ღმერთმა ნუ აწუმებიოს!..
— დღეისტორია პირველი.
— რა გლახა მოსათფენია, თუ იცი!..
— შენი სტუმრები რა შობიენ?
— რა იზამენ, ქე დატუტყუნობენ ი ტალახში, ვალინკები ქე აქვენ და...
— დენი წუხელი რო ქე იყო?..
— ი ყანები თენგიზიესა?
— გზაზეით არა, გიორგის ნაყანებია.
— სიმიდი წაგიქცია ეზოში?
— წეექცია.
— თფილიში ცაიზა სულა შემიხედია მე. აქანე უნდა უბზირო ცას.
— გოუთხვარია, გონია, გოგო (ქალიშვილი)

— გამოჩთა ვინცხა, შვანდგომელი ჩოუყენა ვინცხამ და წეიყვანა გო-
გო, გააშვილა.
— აი ელვარიეს გოგო გათხოულა, გოუგია დანები ყავსო, ახლა მი-
სვლა-მოსვლა აქ ერთიმორეში. შარშან დეეყარა თავი
სუყველას, ხუთვე სიძანეფს, ქვისლანები ხში-
რათ დეიარებიენ ერთიმორეში... ისე იქნებოდა მაგეც.
— ქორწილი გერეიხადენ იმის, არ წასულა ეგი.
— ალიოშე რო მოკვტა, ენახა (//ენახენ) იქინე, ამუალო, თქუაო...
— ქორწილ'ში ყველე ქე ყოფილიყო...
— ახლა გაატანტალა თლათ წუმამ ი გზაი, ქვებია თლათ.
— რა ვიცი, ვინცხა უმბობდა სახლი იყიდაო და...
— შურა იძახოდა, როიც გავალ პენციაში, უნა მევიდე აქანეო.
— ქე მოუარებენ იმას რო მოხუცთება და აქანე რაი უნდა...
— ცოლი დეიარება მისი აქანე.
— ეი ბოლები, ლელვის ბოლები არ მოგიშლის აწი ხელს დახურვაზე?
— შვიდობაში, ბედნიერობაში, კარქა ყოფნობაში!..
— რაი დენა მაქანე მაი ხეი?
— სირბინი უნდათ, სირბინი, რო მევიდენ ბოფშები წუმაა მას მერე.
— არალოიც არ ყოფილა ასე.
— დავკვირვებოით მერე, აღარ დოუკვირდით და...
— ამას [სუხარს] აღარ ვაპუმყე აწი, მეიწამლოს ადამიანი, წამლათ
მინდა.
— დაამთე? ჩაყარე, ჩაყარე ბევერი ნაფოტები.
— შეეშურა (=შეშურდა)
— ეფია ლობიე ახლა.
— არსადარა არ წეიღო მაი ჯოხი, არა!..
— რეიქნა აწი მაის თავსარცავი?!.
— არსად ჯოხი არ მეინძევა. იმისანე ჯოხები მქონდა, წკეპლე, არ
დამიყენა არცერთმა.
— არსადარა არ მეინძევა ჯოხი, ქათამს რო მოუქშიო!..
— რა იცის იქინე სიარული მაგან, იმ ურცხო გზაზე!..

— ჩამეიყვანე უკნობიე მა მანქანა და დააყენე იქინე. იქინე რო იყვეს, რავა ვერ ამეიყვან, რაცხანაირათ დგომ-დგომე ამეიყვან...
— არ გამახსენოთ ამიერდგან წაკითხვა და რამე...
— ვფიქრობვარ რაცხას, ვერაფელი ვერ მოვახერხე.
— ილაპარიკოს იმან და მე მორე ყურში გავარონიეფ.
— ახლა თაგვი მეეჩოვა აქანე, აპა რა იზამს, ისეა პური დადებული და!..
— მაი კარა, საარჩვეზე იყო გუშხამ. გამოკიდებოდა ერთი დათვი და... დეეპკინა, კაი იყო!..
— წყალი რო მოდივა, ამას რაი უთხრათ?.. (=რა ვუყოთ)
— რო დაყარო ე მიწა აქანე, ლამფო გაკეთება იმიხელა რომე...
— თუ ტალახი იქნა, დასოსტება იგი [დავურდება მანქანა] ხელათ...
— გეიარ ამ ნანათხორეფ წუთისოფელში ორი დღეი და წახვალ მერე!..
— ჩვენ რო არ ვიქნებით, არაფელი კაცი არ მოვა მერე აქანე. მე მჩებიან კიდო რაცხას...
— გლახა სუნია მაქანე, გამოი აქით, ნუ სუნთქავხარ...
— ქორო იყო, იქინე კარ გოუშობენ, სხოკან, სხოკან წეიყვანებენ.
— გამიშირდა ნადარაჯი, თვალები მეწვის ნადარაჯი.
— კიდო წუმას აპირობს გონია, ღურბელია ეგერ, მისი ჯანდაბა და ორღობე ამას!..
— ბაღანე მოამთვალიერეფს ეგერ, თუ გავა მანქანა.
— მაი ვის ეგონა, ასე თუ ჩამევიდოდა ცაი ძირს...
— თუ მევეი აქნაამდი...
— მასეა მა ბიჭი, მეტს არ დეგელაპარიკება. ვაჟაიეც მასე არა?.. მაგენს გავლარიენ ეგენი.
— ქართოფილი
— სამი დღეი ბზეი უნდა, რო გაშრეს [გზა].
— აქანე წყალი მონოჟავს სულ...
— იმან მიატია სამტრედია, ცოლი უთხოა უმფროს ბიჭს, სახლი უყიდა დიდი სხოკან და იქინეა რძალთან...
— მიატია ცოლი და სამი შვილი.

— პენციის ფული მქონდა, არ დეეტყუა იმ გადარეულს?! შავი დღეი დავაყარე ჩემსას. უნდა გოუშვა ნიტერნატში... დიდუია, ბაღანე რო გალახა წუხელი?!. დივანმა თქუა, უნდა მოვაწყო ნიტერნატშიო.
— გუშინ ავათ ვიყაი, ჯამალი...
— აგერ საბაგირო გზაი...
— ეთერიკო მუშაოფს კიდო და ჩემა სიძემ ცხრა სალაგინე მეიცვალა, ახლა წისქვილში ჩადგა, სირცხვილი კარა მაი!..
— აწი ამიდები წადგება, აწი ავდარი არ იქნება.
— აქანე შტილია, არაფლიზა არ აშრება გზაი...
— ე გზაი შავდება თანდისთან.
— ხვალეემდი მეიცა.
— შენ აგერ მოგაჭროვიეფ ამ ტყემალს.
— ნახე, გო, წყალი ხო არ მოდივა იქინე, არ გამონოჟოს იქნება.
— წყალია დაბუგული მაქანე და აგერ გამოუშოფ მა წყალს.
— საბზოური კიდო შრება მერე, დაღამებაამდი ქე ახვალ შენ.
— ზურიკიე მეუგნებოდა...
— არ გეურცხოვა მერე ი გზაი?..
— რაცხა ბრუი მესხმისო და წნევა გოუსინჯე ახლა თამარას. 80 გულის აქ და რაი დიდია მაგი მაის ასაკიზა.
— თავსაბანი წყალს რო დეისხამდი, ძმარი ნემეტანი კაია, გაბუჟბუჟდებოდა თმაი.
— ქე რო სასტორზე შამოდებულია წნევიანი ადამიანი, ე იმწუჩი ძმარი თავზე უნდა წოუსვა, ფეხები ძმარში; ნევრებსაც უხთება ძმარი და წნევასაც, ნემეტანი კაია.
— ამითინ, რო გეიარ საპჭოში, ლევაში უყიდეო; არ გარამახთოვია ფული.
— სახენწიფო უგზანის ფულს.
— მანაამდი ჯღარკეფს ვიცუმდი, ჯღარკეფს; გაჭირებული იყო კაცი... ქალაბნეფს ვკერავდი და იგი მეცვა. თოულს აგენზე (მუხლებზე, ე.ი. მუხლამდე თოვლს) ვარღოვდი და საქონელს ვწყესავდი... ახლა ღმერთის წყალობით კაია. აგერ მადენი ამოჩითა, იქით, სასირეს რო უძახიენ, გზაი მევიდა; ონჯოხეთში გევიდა გზაი. მაქანე ამოჩენილა კიდო, უნდა დეიბულღვოს იგიო, იი

ამოჩენილა სხვანეირი რაცხა, ველოოგებმა დასინჯა.
— ნეტე ახალგაზდა ვიყვე და მუშოობდე. ქუთაიში დი იგენზე, ყოლდგან ნამყოფი ვარ.
— ახლა მე აპელაცია გევიკეთე ვანში, გრიჟის. ყველა ექიმა, ქალმა და კაცმა გამსინჯა; გაროურჩი... ქალმა მოკვტა საწყალმა, ვერ გოუძლო. რვაი დღეი და ღამე არ გაპუმენ არაფელს, პლატოკს დაასოლებენ და გისობენ პირზე...
— თხილი არა ჯერე წიფე, წახთა ჩემი მარა, ეგება გამოვჩე პეტერას. ყივნები იყო და იმან შეაჩერა. კარალოკი უნდა ყოფილიყო და მოწუა. შარშან ვიმუშაე, თხილი ჩავაბარეყენ სამასი კილო. სარშანდელი ფული არ ამიღია კაპიკი, მომცემენ თუ არა, ალაჰმა იცის. წროულს არ ამბია და გაისათ მეიმბამს კიდო: გაისათ, მომავლიზა კაი იქნება ვაშლი.
— მოუყივნა წროულს აბრეშუმი ხალხს, ხელობა უნდა იმას და მუშოობა.
— ზამხულობით ვიქნები აქანე და ზამთრობით ქალაქში ვიქნებიო — ალიოშამ თქუა.
— ნეტე არ მეყიდაო, ლიანამ თქუა, რვაი ათასი მიცა... კაი ოთხი ათასი მეენთი აქ ასაღები.
— დაფის პუტავს და შვენიერათ ინახავს თავს.
— ვის აქ ამდონი დაფი საპუტავი?
— მე მთხოვენ დაფის, ახლა რო მქონდეს ტონა, იმას ჩავაბარეფ.
— საღამოს გამოვალ აგერ და თუ წენა საქონელი მანქანასან, გავდენი, არ გატეხოს კიდო.
— მაი შარვალი ხვალე უნდა ჩეგეცმია და რო დასვარე, რაღას შობი აწი!..
— მანქანა, რაც უნდა ძვირი დაგიჯდეს, მაინც კაია, შენც ქდანხარ და ხაბაკიც მიაქ.
— თენგისიეს ცოლი ერისთვის ქალია.
— ორ ქათამს გაგატანყე დაკლულს, ჰყინტი ლობიას და ბუავეს, ქე გეყოფათ სამი დღეი.
— მამის სახელი არ დაათქვენ ამას, იმან ვერ მეიხმარა ი სახელი და ამას არ დაათქვენ.
— ეგერ გადაჯექი სკამზე, შენ მაინც ჟდანხარ და მე წამოწოლა მინდა.

— ბიჯო, აქანე ეგი [სკამი] იდგომილება და იცოდე შენ.
— გარეთ დგანა თუჯიე და მეიტანე, თლათ საფსეს ნუ მეიტან.
— რაი ჩავაცმიო?.. ი მაიკა ამ გოგომ ჩეიცვა...
— წაი, ბებია, წაი, აქანე ნუ ჟანხარ.
— ყოველ ღამე წენარიენ აქანე ბოფშები.
— ბევერი ცოდვილი ქე უნდა, მარა ისე არ ივარგეფს.
— ავწიე წაბანე რაცხა და უბედურათ ამტკივდა კლავი.
— გარეთ წენხარ შენ და იმიტო გახთი ავათ.
— ხო, გარეთ ვწენვარ და გავცივდი.
— რაია ეგი, ლოგინში წენარიენ სულ და დახლიწენ საბანი თლათ.
— კარქაყოფნობაა საქმე, მეტი არაფელი არ უნდა ინჯავრო.
— რაფერ მიყვარს ე თუშური მუსიკა თუ იცი, სასაებაზე მომიყვანს.
— არ გადმოაგდო აქით, ქვაბები მიდგანა და დამიმტროვს.
— არ მოქვტი, კაცო, ამდონი ნასიარულები?!
— კარქაყოფნობა მინდა, თვარა სახს რას ვჩივი...
— მოი, გო, აქ, მოი!
— რაი გინდა?
— რაი მენდომილება, გო, და გამომართვი ეგი, რო ჟდანხარ ტყულა თელი დღეი...
— აწი ნუ გეშინიათ, ხო მეილიეთ საქმე და... მამაშენი რაღამც კარქათა, აღარ ვჩივი აწი.
— ჰადმა თქუა, ცხრაი გვერდი მაქ და ცხრა-ცხრაჯერ უნდა შემავლო ხელიო [ცომის მოზელისას] (თქმა).
— იშ, რა კაი ამიდია, არ გამევიდა, ბიჯო, დარი, რავარც იქნა?!
— ანტლასი.
— გლახააო, იძახოდი და იმასთან მიხვიდოდი კიდო გუშხამ.
— ერთ ქათამს გუშხამ, ბიჯო, მელიამ დეეტაკა, კიღამ წეიღო!
— ერთი დავილი და ერთი ამბავია ამ ზეით.
— ჩქარა ქენი, ბიჯო, ეჩქარებიენ პურიზა!..
— ლევაში (ლავაში პური)
— აქითე
— პაპიროზი არ გაქვენ?
— ჰამენ აწი რამე იგენმა?
— თელი დღეი ლოგინზე წენხარ და...
— თუ დეიღალო დაჟდომიე, ე, ასე ადგომიე ხიკე.

— ბჟავე წყალი დალიე აგერ, ხელათ მოგიკლავს წყურტულს.
— არსადარა არ ჩაყარო მა ტრაპიზონე, ისე წევიღოთ.
— მაგას პკილები ტკივა, სისხლი დივა...
— მაი ქე ჯერავდა ჩემსას, მასე რო ყოფილიყო, რაი გოუძლებდა მაგას?
— რა ამბავია ნეტაი, მარუსე კივა.
— ი ქალი სულ საავანტყოფოში წენა.
— ერთი სახლი უდგანა დიდი.
— ისე ჟდანა თელი დღეი...
— თვითან ვერ ნაჭამა თხილს და აწი რაღათ უნდა.
— ხო მოქვტი აგენის ნარეცხავი მიდღემჩი...
— ჰაერზე რავა დაჟდება მაგენი, სახში წენარიენ სულ. აქანე იჟდა ხალხი; ჰადრები აქვენ ეზოში და ჟდანარიენ იქინე.
— რაცხაფერობე (=რაღაცნაირად, როგორღაც)
— დედამის უარდა იგი ქალი.
— იმან იცოდა ქვაის სროლა, უბედური ქალი იყო; უსროდა ქვეფს და ებძოდა უბედურათ.
— აბა, ასინეთე და დედე მიდღემჩი არ წეიკიდებდა.
— მეიცა, ბიჯო, წასრულია საზამთროიზა ქალი.
— ე, წევიდა ბათუმი—ვანი, ახლა მივიდოდე, კაია!..
— იქობაამდი თუ გადაით, რაი გიჭირსკე.
— სულ არ მოწონსკე.
— პუტიოკა გოუძვირებიენ...
— მაგენმა გააძვირენ თუ რა, რაი ვიცი, ხალხმა დეესია და იმიზა.
— მაითინ ნუ იღალავ თავს.
— არ ვარგა მაის თქმაი, ბიძია, არა!..
— მაი თელი დღეი იწვეს მასე, კარტი ქე აქ და თავს შეიქცევს.
— იმას ჩააცმიე რაცხა კლავიანი.
— ქჷეით ქე იყაი ტიტველი და ყპაი ქე შეიხვიე! (ირონ.)
— ღჯილის კპილი
— შე ამ კვახს, რავა წამოსულა ლობიაზე?!

— საქმეზე რო მიხვალ და გველი შექხვეება, კაია, კეთილია, ძლოკვი უბედურობაა, ნაფსია.

— გამემელია დაქფული პეტერეს მეტი.
— დეგესხა თამსხლაფი!..
— მაგიზა არ წევიდა ჩემა ქმარმა.
— სით კედაროს ქტკივა?
— მე მანგალი მაქ და იმითინ ვჭრი ბალახეფს. თუ არ გაქ ცელი, პეტერე მანგალი, წოუპტყელე თავი და გამოამბი ჯოხზე და თლა კაია.
— ეი ახალი ავტობუსი თუ გველრისა, კაია!
— ღრისი [ღირსი]
— თასთუმალთან უდგანა და იგი საინი მეიტანე.
— საღამოდრიელე ქე ვიყაი ეზოში, მარა მაი ღორი წუხანდელი ნამყოფია, უნდა წევიდე ახლა იქითე, ხატიმამულში.
— გაგიმარჯოს, ნინა, შეგეწიოს ღმერთმა!..
— გერსლიანია, გოგო, გერსლიანი, მიწაში რაია, იმას გეტყვის, იმისანა ქალია.
— მემეცი მა დანე აქ, ნუ ამჭრელეფ მა ჯოხს!..სამჭრელებლათ მიაქ ე ჯოხი, საქმეს კარ გააკეთეფს!..
— გამორთეი თლათ მა წყალი, გამორთეი, ნულა მოუშოფ!..
— კიდანეფს არ უსტორეფ ამ ფიცრებს?
— გაანთხელე, გაანთხელე ე ფიცარი!..
— ვინ დაქწყევლა, შე გლახა, შენი არ იცოდე და სხვისი არ გეგეგონოსო. მეტი წყეველა კარაფელი არა!..
— მაქანე რო წამომიყეი ახლა შენ, ვიყეი მე მაქანე; წაი და წამოწქი შენ, დაწეი ლოგინზე.
— კილონკა უბედური ცივია...
— ნანტროვეა მაქანე და იგი მიაფარე, დიდი ფიცარი არ გააფუპო მაგიზა.
— ქვაი უნდა დებულიყო ეზოში, დიდი რიყის ქვაი. რეიზა უნდა დებულიყო და... პირველათ ეზოში რო შამოა ვინმე, შეხედავს ქვას; ეგება გლახა თვალისა იგი და შეხედავს ქვას და ვერ აზნევს იმ დღეს ვერაფელს...
— მაი სკვინჩე კარა, გულწიელეა...
— ჰრელი დანე მქონდა, მორე დანე მქონდა, ყველე არ დეიკარქა?!. სუყველე დეიკარქა, ერთი აღარა, კაცო, რაი ვქნა ახლა მე?..
— დაჟდომიე რო კრიფავ, რეიზა... რეიზა ქტკივა ზრუგი?.. დადგომიე

ჯობია რო კრიფო კიდო.
— ფეჩი დაამთო სოფელში, ნაკლებია; საქონელი ქყავს, გარეთ უნდა გამოხვიდე, გაცივდები იქინე. ეგერ ქათამა დეიძახა, უნდა გახვიდე, აგერ გოჟი აუყვირდება, ეგერ თხაი...
— დაჟეი რაცხაზე და ისე ამოარჩიე. ამელამ უნა ვარჩიოთ ეგი, ამისანე ქუჩეჩე, ჩენჩქი და მერე წოურეკავ.
— აპა, რამდონი მაი ერთი ჩავა ვედროში, დავრწყოთ.
— არ იბანებენ ტანს...
— ჩჳენ რეტო არ ქვქონდა?
— აღარა დანეები, დეიკარქა, შენ რო დანეები დალესე, დეიკარქა.
— ე, იგი ქათამი უნდა დაკლა, ე, ისე კივა თელი დღეი...
— რას ჩივა მაგი... (=არ ნაღვლობს, რას დაეძებს)
— რაღაზე იქინე მიხვიდოდი, აგერ არა იმისანე ლუსპანი?!.
— ჩჳიტანებენ და ამეიტანებენ მერე, კარ დაგილევენ იქინე...
— ოზდარვაი წლისა აწი მაი... (ოზდაცხრაი)
— ქალაქშიც ქე დგება ხალხი ადრე, სამსახურში მივა (=მიდის). სოფელში ადრე თვარ ადექი, მერე რაღას გააკეთეფ აპა, შვადღეზე რო ადგე. საქონელი ქე დაწყტება შიერი და... სოფლის ცხოვრება ასეა.
— ადი, ბიჯო, გააკეთე, რა დროის კარტის თამაშია, რამ გაგდარია.
— ბუი; ტყეი;
— ჩჳენი დიდი ტრუბა იყო, მარა ეგი პეტერე ამ ბიჭს ეყიდა მერე.
— ეგი ასე იდგომილება სულ, ე გოდორი.
— აქანე ვიდგომილები თელი დღეი, გამეიარს აპა რა იზამს; დავდგები აქანე და ვიდგომილები თელი დღეი.
— გეეშალა სუფრა ხალხიზა და ეჭმია იქინე.
— არაფელი მერე! შერჩა იმის ზდაი ტყულათე.
— გიშველათ ღმერთმა! ერ სააჩი დავარჩიეთ ეგი, თვარა იდგომილებოდა აქანე ე გოდორი.
— ახლა არ ჩაასხა ცემენტი იქინე, მერე ჩაასხი გზის სასტორიოთ.
— გავაკეთოთ რაცხანაირათ ამ დილაზე, გავაკეთოთ ბარემას!..
— ე ბიჯო, ნუ დამიქცევ წყალს მაქანე, ტაშტიე გარასატანი მაქ.
— ისე ღმერთმა ნუ გამდარიოს!..
— თავჟდომარემ რო ჩამეიარა სარშან, ამდონი კილო ყურძენი ჩამაბარეთო, რა იყო ეგი?!

— დაფი მოუტანია სარშან დიდი გრუზავიკით.
— დათიკოს რაფერი კაი სიძანები შეხვთა, ბედი აქ ზოგიერთს...
— ვერ შოუსტვენდი, გო, მე და გადაკიდე ეგი.
— რატო ბულღავ მაგას, გაგიწყრებიენ მაგიზა. რო გითხარი, ბებია, ენა წამაგჯა და შენ არ გეყურება. იმდონი საქმე მაქ რომე, ვერ ოუთავდი, გაჭივრებული ვარ, ნემეტანი გაჭივრებული ვარ.
— ბულღვი
— ჯერე სადა თხილის კრეფა. ორი კვირე უნდა კიდო, წევე კაი ამიდია. მაი რო არ ყოფილიყო, რაი მიჭირდა მე!..
— დახედე, ბებია, დახედე ბატარია. მე რო მაბარებდი, შენ წაგიღია საცხა. შენ არ აფრიალებდი ზეით, ქორო მამაშენი ეძებდა რაცხას?! წამოი, დავხედოთ მარანში... დაახედიე, გო, დაახედიე; ორვეს გვაბარებენ მაის დაკარქვას.
— დოქი არა სამე? დოქი, წყალიანი დოქი...
— მარუსამ ვაშლის კამპოტები დააკეთა სულ...
— ვაშლიკელე; თხილიკელე (კნინ; დამცრობითი)
— კლავი მტკივა უბედურათ და ვერც ვწობი მარცხნი კედრით.
— აუ, რა სიცივე მოვა იქიდან, წამაწვა ზრუგი.
— ახლა გავაკეთე ე ჭადი და გაციებულა ახლევლე, რაია ეგი, კაცო!..
— კალენდარი სა წეიღე?
— არ წამიღია არსადარა.
— მოდივა გონია ამ თუჯიას წყალი და იმიზა არ იმთება ცეცხლი.
— რო უთხარი ეგი გუშხამ, კვერ დეიმახსონა. რატო ვერ დეიმახსონე, სხვა რამეს დეიმახსონეფ შენ?
— ძაღს რო ეტკინება რამე, ენას ისოფს იქინე, სადაც მოუსტობა; მეისოფს ენას და იმითინ ირჩენს ნატკენს.
— ეგი მარგატელი თლა დაჯლაგვდა, ძიღვნის ყორფელს.
— მაი ქახალდი რათ უნდა, გო, გაზეთი ენდომილება.
— კვერცხის ჭამ შენ ორი დღეია, კვერცხის და იმან გიქნა მაი...
— ეგი უკანაა? (ნაწილი).
— აპა! გვერდანებია და გამოვკერავ აგერ.
— ოთხვე ხელ-ფეხით ჩავარდა ფთხილი ნადირიო. (ანდაზა)
— ი ქალმა არ წამოყვა, გოუგია, ცოლგანაშობი ყოფილაო.

— სხომის გამოვჭრათ, სხომის. ხვალე სასიარულო აყვენ.
— დეისვრება ყორფელი ნათალეთ...
— ათაჯენ ჩეიწერე მაი და კიდო იწერ?

1985, 10-30. VII

— კარ სიცხავს ახლა იმას...
— მოით ი̯ქინე და ჩაგაცმევყე სოფელში რამე-რამეებს!..
— ხუთი თუმნის ყველი ქყოფნისკენ თქვენ სამ თვეს...
— ქე უყვარსკენ მაი, კი...
— არ მოქწამლოსკენ ი თებზმა, არა!..
— რაი ქენით, გო, გაცინებსკენ?!.
— მაისანე გოგოები მოწონსკე ახლა...
— ასე გლოცავყენ სულ მე: ღმერთმა კარქა გამყოფოსკენ!..
— იყდა ხალხი, ჰამებენ, სვამებენ...
— ციალიეს ქმარი ყავდა მოყვანილი მოხელეთ, პეტერე განადარევი ყოფილა იგი...
— ემდურიენ ორვე დანები ერთიმორეს...
— არ მეგერიოსკენ ქსენიელე ახლა თქვენ!..
— სეფა ქონდენო გაკეთებულიო მეზობლის ეზოშიო. ამევიდენ და დაგლიჯენ ყორფელი, ლიმონათის ბოთლები დაჩეჩქვენო, თვარა აჯენდა იგი ხალხს...
— თუ არ შექკითხვიენ, მითხარი ერთი... ფული გარეიხადე, თუ რაია...
— შენი გუგულიას უთხრობიაო... გოუხარდებიენ, რო მნახავენო იგენი და... ჩემი ბაღანეა ენაუთქმელი, დანე რო ჩააჩირო კისერში, ხმას არ ამეიღეფს...
— დათიკონას კარქა ეთხრობია, გევიგოთო, რაის გულიზა გამოაგდენო... ჰიშკარს გარმოღმა ეგდო...
— ბიჭები ამტყუნეფს მაამის...
— მაი არა გასაკვირელი(//გასაკვირებელი), მაშინა თოთხმეტი ყავს ჩემ შვილიშვილეფს და შვილთაშვილეფს და აგენს...
— დიდკეკალე ტყემალი მაქ ეგერ გზაზეით...
— იქინეა, ბიჯო-მეთქინ, იგი არ მითხრობია...

— ვინც ახალგაზდა ხარ, გაგიმარჯოსყენ ღმერთმა, ბებია!..
— წამევიდა ერიგზობა ბაზარში, წამოი ვიყიდოთ პამიდორიო, იძახის...
— სარშან თხილი ბაზარში არ გაყიდულა მანდამაინც...
— თუ ასე ავათ იყო, წყლებზე ერო საცხა...
— წუავ სულ გორგინდის, მეშინია გველი არ იყვეს...
— სხოკნიდან მევიდა კიდო ხალხი ახლა აქანე, საქმელი რო გამეიტანოთ და ჭამოთ, კარაფელი გიჭირსკენ!..
— თვეებმა რაი თქვეს, გინდა? იციენ ხალხმა აქანე: კვირკვობისთვემ თქვაო, ხარაბუზეს ულაშის დონე ჩამაბარე სიმიდი და მერე მე ვიციო... (თქმა)
— მაგენი ვერცეთი ვერ გონილობს ამას, ყური აქ დაფსებული...
— გამევიტან წროულს, ვიშონი ორმოსავალე ლეღვის ნერგს, თვარა და ბოლს დავრგავ, სამ წელიწაჩი მომბამია...
— ზოგიერთი ტყემალი მომბამი კარა, ეგი მომბამია ნემეტანი, ყოველ წელწაც იბამს.
— არ ჭამებენ, შვილო, ჭაც(ჭადს) სულ არა და, არ ჭამებენ. ბაღანას რაი გოუმტყუნო, არც მე მინდა და...
— ამას მერე ღორები დეესევა, ჭამენ ნაშამოდექებს ბურკას.
— კატა იძახისო: — ღმერთო, ჩემ პატრონს დოუფსე თვალებიო, მარმალე ამოვტლიკავ ჯამსო, ვერ შემხედავსო; ძაღლი იძახის — ღმერთო, გამიმრავლე პატრონიო, თითო ლუკმას უველე გარმომიგდებს და მეტი არ მინდაო. (თქმა)
— მამე მყავდა მე უბედური გულვანე იყო, მარა ერ წუჩი, მერე გაროუარდა გული. დაი მყავს მე კიდო, იმას გავს. დედაჩემი მიდღემჩი არ შელაპარიკებია მამაჩემს.
— ქახალდის ყუთით მეეტანა თებზი. ნემეტანი კაია, ძვლები აქ ძაან, ფუსუსალე ძვლები, მარა კაია მაინც...
— წყალტუბოველი კაცია...
— კედელზე მჭონდა დაკიდებული ხალათი, იგი შეეჭამა კიდო თაგვს...
— ნახენ ქალი, არ მეეწონათ, შვამაალი მე ვიყაი...
— ჩემი ბარი (ბრალი) იყო...
— ააშენენ იგენმა ახალი სახლი...

— ჩევიარე მამასან, ნასტვლები (=გვიანი შემოდგომა) იყო, გამაგზანა იმან თფილიში...
— ტარიელას ტაკებოდა ყლონჭში, რაღმე მეეკლა, ჩხუბი უქნიათ...
— არაფელი უჭირთ, ქე იბანებენ მაგენი მასე ტანს...
— სადილს ჭამებენ ეგერ და მერე წაით...
— შე, რაფერ გამხთარია ე ბაღანე და კარ მიჯერავს!..
— აჩ ფსხალს ქვია საყვითლავე, ხეპეპურის ფსხალი...
— ქერო სტველი იქნება, ქერო ყურძენი მეიკრიფება და ყანა დატუტება, ე, იმას ქვია წიფობისთვე და ე მაშვინ იცის დაცვენა ფსხალმა...
— მოუშვი აგერ კრანი და დეიბანე სუფთა წყალით.
— ახლა ჩამოურონიებით წიწილები, კაი-კაი და ვერ გევიგე, კოპინოურში ამოსულიყო; კაი მოფცქიალებული ჰუჰულები იყო.
— შენ, ბეჩა, რო გარონიო, სულ იარ, რაი გენაღვლება შენ!..
— ისეც მოდის ქვეიდინ ხალხი...
— მაი შემთხოვაა...
— რამდონი საათია დაღამებაამდი...
— გოგოს დედასან აქ გული ახლოს...
— სადა თინა-მეთქინ; სამტრედიასაო...
— კაი სახლი აქ, ნემეტანი კაი აშენებული, დაგავნებია სახს და კაია...
— წახანე ე, ლილიკონე იყო ჩემთან...
— რანიკონე; გულიკონე (კნინ.)
— ნემეტანი კაი გზაია აქით.
— იმ ტალახიან წყალში რაი უნდა, წევე წუმა არა...
— ზღვაში მივლიენ ხალხი საბანაოთ...
— სინთვრალით მოკვტა, სინთვრალით...
— რაფერ დანაქონა ტყემალი ჩასაბარებლათ, სა შოულია ამდონი...
— თვალით უნდა შეხედო, თვარა ყურით გაგონილი არაფელი არა... თვალით რო დეინახავ, იგია მართალი, ყურით — უმატეფს ხალხი...
— შაფათი იყო თქვე რო ამოით, ხვალე მივა სტორზე...
— არიენ ხალხი, რომე უყვართ ეგი...
— რა გაძლებიებსკე იქინეო, რა...
— არ ამთია ცეცხლი?..

— გამორთეი, გამორთეი [მაგნიტოფონი] აწი, ბიჯო, ყუროფს ქვეყანა და სირცხვილია!..
— გაშივრებულია საწყალი, აღარ შოუძლია, მარა მაინც აძგერდება საქმეს...
— რაია ე კვანჯღი რო შეგინახია აქანე, კვანჯღიანი ხეი...
— დეიხაშმები ფეხშველე ნასიარულები!..
— რა ხანია ნადუღება მაი, გამორთვა მინდა...
— სამი შვილები ყავს...
— მერე იქინე საჰმელს ვინ გაჰუმსყენ?..
— შვილი, ბებია, პირუტყვს აამეტყველეფს...
— ნეფსი დემეკარქა და მაგას მოუსვი ხელი, ეგება მეჩხუტოს-თქვა...
— ბიჰინკალა სულელს რო წაყოლოდა, რათ უნდოდა; რაი აწუხებსყენ, ბებია...
— კაი, დაანებე თავი, იმისანა დროს წეეყრები, რომე... (= იპოვი)
— არსადარა არ აგდია ი ნეფსი, გო, არსადარა...
— უბედავხარ მერე?!.
— ჯორი გარავარდა, საპნიანი (=საპალნიანი) ჯორი. აყვირდა ვირი უბედურათ. ყვირის. ვირო, რა გაყვირებსო; — ჩემი ამოსატანია ახლა მაი, რავა რა მაყვირებსო... ამაზეა თქმა, ვირო რა გაყვირეფსო...
— დოუძახებდა ზეიდან, ჩართე წყალი, ჩართეიო: დეენდურა მერე, რავა მითხარი ვარი წყალიზაო...
— დოურია სტოლის კობზიეთ...
— რომელიც გაპკიჩენ, წარეა ყველე კიტრი...
— შაშურიეზა ეთქვა პეტრიას, რაცხანაირათ გამაგებიეო, არიქაო, შეხვერწოდა პეტრიე, გამაგებიეო...
— იქნება წისკვილიდან მევიდესკენ ახლა...
— უცომავყენ და იმას ჰამებენ...
— იგენი ყოფილიყო ხაჟორეები (= ჰრელ-ჰრელი), ხაჟო-ხაჟო ჰუჰუულები...
— რაი დემემართა ეგი, გამგებოდა (=გამეგო)
— სხვაი აღარ მოჰრა, არა!..
— დედა, დედა, რავა ნაშამოდექებივითა; ქერო მოგიკრეფია, ისეა ყორფელი...
— ჩვენდგინ მიქონდათ გასაყიდი და რამე...

— ჩქმი აფხანიკები იყვენ იგენი, ჩემი პკილა იყო...
— მანქანაში არ ჩააცმიო ე შარვალი, დეეხევა ხელათ, იგი ჩააცმიე.
— რამ სიმაღლვანები იზდება ე თხილები...
— რაც იშონენ, ინახენ და გააწყვენ სარშან ზამთარში სახლი...
— ხუთი ძროხებია, ჯაკლებია, სამი დიდვრანი ღორებია... ოზდახუთი გოჭები გაყიდა ახლა...
— ყოველთვინ დელექტოლთან რაფერ წევიდეო?!.
— ერთი ყგეთი წუმა რო იქნებოდეს ხვალე, კაი იქნება!..
— ქვეყანა ხალხი იყო, ამდონი ხალხი მე ჯერე არ მინახია გასვენებაში.
— აქანე ნუ დაყრი მა ღენჭეპურას, თვარა ააოხრეფს ქათმები ყორფელს.
— კატა ვერ მეიკიდეფს პორჭყვს, იმისანე გზაია, ჩავკიბავ პეტერას და მოვალ აგერ.
— გაკირკაჟებულია, ქვასავეთა გარაქცეული.
— წუმა რავა ჩამოვა შითე, ჩხოტიოა ამის სახურავი.
— აბთვარიელე მაგერ მა სურათები და იყაი.
— მე ქე ვამწყდოვ ღორეფს და იგი თანგოიეს იქნება.
— როკებივით ქეა ვაშლები; ვაპტყენი და... დემერგო საზამხულო ფსხალი, ვაშლები...
— ქე გააკეთე შენ გზაი, მარა აწი მე ვარ აგერ და ქე მოგიდგებიყე გვერჩი...
— აჲდარს აპირობს კიდო და არ იმთება ცეცხლი...
— აბოუსვრელი როა? — ამოუსვრელი რაია, არაფელი არ უჭირს, გაცხელებულია ახლა ტაფა, ბარემას გამოვაცხოფ...
— ვერ ვიშონე კვერცხი ხო ხედავ, ახლა თუ აყენ, აჟენს ყველე...
— სასმელ-საჭმელი ბევერი აყენ ყორფელი, გამდიდრებული არიენ.
— მორე დღეს ჩოუმკლოვიენ და ჩასულარიენ...
— რადგან ველრისე სახს, აწი არ გავჩერდები აქანეო, ზამთარში წავალო.
— არ ქონდენ სახლი, ახალი ჩასრული არიენ და კუხნა ააშენენ პეტერე.
— ი ბიჭი მანქანაზე არ აჟანა? — კი.
— ხახვი ბევერია მაღაზიაში, იმდონია, არ ტევია.

— თვეში ერჯენ შემხვთება მე გადენა და სულს ვლაფავ სახში მოსვლაამდი...
— ბებიე ხო არ იციო, დოუძახა; — წისქვილზეა და დააფქვია და მოვაო.
— ნათელიამ გამოართვა ჰვირთი და წევიდა. იმ კაცმა ხელი კარ ჩამოართვა, გამოართვა ტომარე და წაბლაყუნდა ისე... ეი მართლა ბლაყვიელე ყოფილა-თქვა, მე ვიფიქრე.
— პეტერაზე ვასასიც ამოყვა, შენი ვაშლი როა იქნაამდი.
— გუშხამ ოტკა გამოხადა მაგენმა, წინეებზე...
— ფორთოლიე იყო იგი, ქერო თამარასან ვიქეით ჩვენ და გამეიარა; იმასაც რა გლახა ქმარი ყავს, ბლაყვიელე რაცხა.
— სულორიდან ქონდენ, გონია, მოტანილი ი სტოლები.
— თლა//თელათ
— ქე მითხრა მარიკელამ, წაი, ბებიაო, მარა ვერ წევეი...
— დეიარება ლორანდიე იქინე, ახლა წასრული ყოფილიყო...
— ფაფას უდუღებყენო და ვაჭუმყენო, თქვა...
— სიმიდეები მაქ ახლა წასარეკი.
— ისე, მაი სიგძვანია ი ქალალდის პარკები...
— კურდღელს თუ შეხედა ნძრევაზე ქალმა, არაბი (=კურდღლისტუჩა) გამოუვა ბაღანეო, — ასე ვიცით თქმაი.
— რა ხანია უძახის იგი ქათმეფს, რო დავჟეი, მას აქითე.
— არა, არა, არ ვაკეთეფ ამას ამაღამ, გეწყინოსკენ ძაან თუ გინდა!.. პური გამოგიცხვეყენ ეგერ და ჭამეთ იგი.
— რაფერ შევეხვეწეყენ, კარები არ დატუოთ ღია-თქვა... ტყულე ჟანხარ მაქანე და...
— აგვისტოიდან ეიღეფს იგი შვებულებას...
— დედაია, რაფერ წამსკენ!..
— არა, კალარ ვარგა!.. გამთხილდეს იქნება პეტერე!..
— ეგი რატო არ გაანტყელე, შე ქალო!..
— გაანთხელე, გაანთხელე ეგი!..
— ჩამეინტროვა ეგი...
— ისე უვლიდა ე ქალი მის დეამთილს, კვირობდა ყველე...
— თუ არ მოვლიენ, იყვესკენ მერე, კარქა იყვესკენ და...
— სანტროველე გამომიტანიებიე მაგას, გო, სანტროველე (=სამტვრევი).

— ლანჯახი ხვარ გაქ, ბეჩა, რო მათხუო...
— ე, გაფსხალი ახლა ეგი კარქათ!..
— რავა დამამიწყდა წალდი იქინე, მარა ომბალოიზა წევეი და...
— სასიკეთო არ მაქ რამე და რა გაგატანოსყენ...
— თორმეტ საადე ჩასულა თინაიასან; გარეეხადა ფული მაიზა...
— ნიგვზებაამდი ამოდის ტაქსი...
— გამეიყვანოსყენ მერე ხატმამულეს წყალი...
— აწაყენოსყენ...
— ეგი ტრუბები გამოსაცვალია აწი...
— მოვსჭრი ახლა ამას და უძგუფავ თავს იქით...
— თეთრი ადესეები; თეთრ ადესეებამდე;
— გამისკტა მუხლი...
— ჭაჭანება არა სახში, სამუშევერშია წასრული ყველე.
— დილას ჩავალთ ქვეით, თეთრ ადესეებში...
— თუ მოსავალია, მოვლიან რვა საათაამდი...
— სხოკნიტან მოვა კატები, სხოკნიტან...
— წამოი, ყველამ წევიდეთ!..
— აკანე არ მოვალ მე გაისაამდი...
— ოზდაათაამდი; ოზდარვაამდი...
— დაქეი კარა, გაგაცდინეყენ!..
— მე ვთოხნე და მიძახოდა ყველე, მეშარავე და მეზობელი და გზაზე გამვლელ-გამომვლელი...
— ქე ნაბამა ე თხილი და რაი გინდა...
— აწ ზეითობაამდი ხუთი ძირი თხილი იქნება...
— ზარმაცელე მაი, დიდი ზარმაცელე იყო...
— რო ქე გიყვარდა შენ აქანე მოსვლა?..
— რადიოს გამკეთებელი თუ იცი კაი...
— აკნაამდია მოსახეკი თხილი...
— აკობაამდი; ზეითობაამდი.
— მამალს დავკლავ კიდო ერთს თქვენ წასვლაამდი...
— კარ ვჯინოფ, ბებია!..
— მორე თხილობაამდი არ გნახო აქანე მოსრული!..
— შეღობილი მაქ ეგი და გარმოი აქით!..
— ზეითობაამდია მოსახეკი და აკობაამდი ქე მოვხიკე მე...
— ორვე მხარეს მიწაამდი ჩავასხამ ცემენტს...

— გათენებაამდი უნდა ადგე, თუ წასვლა გინდა...
— მანაამდი დიდი დროა, ვინ იცის რა მოხთება...
— ნეტაი ყავდესყენ დიშვილი და ძმიშვილი და მეიყვანე მერე...
— სულორში ჩასვლაამდი ჩახვალ აგერ...
— აქობაამდია დამპალი ე ტრუბა...
— აქობაამდი წავაბამთ მერე...
— ჩემ წასვლაამდი თუ ივარგა მაგან, მერე რას ვჩივი...
— გაისაამდი იქნება რაცხა...
— წროულს ახლა აბანოიდან მოვალ და...
— მე სამი ჩაყვიელე ქე ავაფსე და...
— ამეიტანე კალათე, გო, მე ნაჭვირთალი აღარ ვარ და შენ ტყულა ჟანხარ თელი დღეი...
— ხვალე დილაამდი მოათაეფთ ჩვენ ამას...
— ქვეითობაამდია ე თხილი...
— ამის გათაებაამდი არ მოგვაწუმა მაინც?!.
— წეიღეთ ეგი, მაქანე ქე არ მოქპაროსკენ ვინმემ...
— რაც უნდა იწუმოს ღამე, დღეი კაი ამიდია...
— ეზოიდან ვერ ეიყვან...
— მაგენმა [ქათმებმა] აყვირდა წახანე, თურმე ძაღლი ყოფილა...
— საღამოომდი უნდა წოურეკო ამას [თხილს].
— პეტერე მაქ ყველი კიდო, მეყოს იქნება წასვლაამდი...
— რა ამბავია, რო გლანჯავ ამდონ ღვინოს!..
— რა უბედური ელვაა ე დასაქცეველე!..
— ხვალე მოკრიფე ქლიავი შვადღეემდი...
— არ მაქ ახლა საჭმელი, როცა მარტუე ვიქნები, მაშვინ მოდი!..
— იქინე ჩასვლაამდი არ ჭამო რამე, მოქწამლავს!..
— თორმეტ საათამდი რაი გინდა, რო წახვიდე...
— ვანაამდი არ ჩეიყოლიო, ვერ ამოა შვიდ საათამდი...
— რაფერ უარებენ ი ბაღანას!..
— გორზე ასვლაამდი სულ კრიმანჭულს ვამღერებდი...
— უთხარი. ორშაფათაამდი რო არ მექნეს არ შეილება!
— ზესტაფონაამდი ქე ჩამიყვანს ე ბენზინი.
— მიცენ მერე ფული დეკემბრაამდი!..
— ორმოცაამდი გავყიდი...
— ბიუის ჩამოსვლაამდი არ ვიყიდი ამას მე...

— იგენი რვაამდი, ცხრაამდი არ წამევიდოდენ...
— გეთქვათ და მე გარმოგისხამყე ყოველთვინ ნაფთს.
— შეილება იგი გათხოვდეს და ეი დარჩეს გოუთხვარი, უნცროსი რო გათხოვდება პირველი, არ ვარგა, უფროსი გოუთხვარი რჩება მერე...
— წყენსკენ მაი და რავა დავკეტავ კარეფს...
— რაცხა მეზარება უბედურათ ამისანე წყალინაყვა...
— ეი დოქიელე რაია?..
— ბეჭეფში უნდა გამოვჭრათ მაი კარქათ, თვარა არ ივარგეფს, გადმოა კლავი და ვერ ჩეინცუმ საკაისკათ.
— მილეთის ხალხი იყო დღეს გასვენებაში.

აგერ რო დამარხო, ეგერ გამოვა — მეტისმეტად ეშმაკია, ჩუმ-ჩუმელაა, მისას ვერაფერს გაიგებ, ვერ ენდობი: „უბედური ჩუმალიე ეშმაკია, აგერ რო დამარხო, ეგერ გამოვა, მისას რას გეიგეფ“.

ათოხნილი ცა — თეთრი, მიმოფანტული ღრუბლებით სავსე ცა, არასაავდრო ღრუბლები. „ღურბელი ქეა, მარა ათოხნილია ცაი, საავდრო არა“.

ალიე და ოსმანე ორვე თათარია — ორივე თანაბრად ცუდია.

ანაბრე (/ანაბარე) მის საქმეს — ჯანდაბას, არ დევეძებ. „ერ ფუთ სიმიდას ხო მიყიდის, ანაბრე მის საქმეს, გევიტან მაინც თავს!“ (შდრ.: წერ., ვ. ბერ.).

ამოირეცხავს გულს ამინდი — დიდი ხნის ავდრის, გადაუღებელი წვიმიანი დღეების შესახებ იტყვიან: „იწუმეფს, იწუმეფს, ამეირეცხავს გულს და გარეიდარებს მერე“.

ანგელოზების ფეთება — დაშინება, შეშინება, გამოდევნებით დაფრთხობა. „ბალზე შეპარულა ბაღნები, მევენთე და კარქათ ვუფეთე ანგელოზები იგენს, ეყოფათ ერხანს“ (შდრ.: სახოკ.).

არ გავიდა უკანა კარში — არ ვარგა, უსარგებლოა, გამოუსადეგარია, მნიშვნელობა არა აქვს. „მაის გაკეთებული საქმე არ გევიდა უკანა კარში“.

არ დამბარებია — არ შემრგებია, არ მიმიღია, არ მიუამია. „ერი კვირეა აგერ, არ დამბარებია ნახევარი ჭადი“.

არ ჩაგივა ფეხი — არ გამოგივა ეგ საქმე. „ჩემი სასკარის ხელში ჩაგდება უნდოდა, მარა არ ჩოუვდა ფეხი“.

არაფელი არ გამოდის მა(გ)ის ხელიდან — არაფერს არ აკეთებს, უსაქმურია.

აღარაა თავს — უიმედოა, იტყვიან გამხმარ ხეზე. „მეგონა ე ხეი გაროურჩებოდა ამ ზამთარს, მარა აღარაა თავს“.

ახახიებს გულს სხვას — ჯავრს სხვაზე იყრის, თავადაა გაბრაზებული და უბრალო რაიმეზე სხვას უბრაზდება, ადანაშაულებს, რაიმეს აბრალებს. „შენ, ბიძია, სხვაზე ხარ გულმოსრული და მე მახახიეფ გულს“.

ააყუდა უალიონი — მოკვდა.

აქიდან და აჭარა — სად ეს და სად ის, შორიშორსაა ერთმანე-

თისგან. „მაის ვერ გევიგე ვერაფელი... აქიდან და აჰარა... რაი უნდა, ვერ გევიგე“

ბანს პირს — სირცხვილს აცილებს, უხერხული მდგომარეობიდან გამოჰყავს, დაშვებულ შეცდომას ასწორებს, ამართლებს. „იცის შერცხვენილი და თავმოჭრილი როა და ახლა ასე ბანს პირს“.

ბატონი უოფილა — ბევრად უკეთესია მეორესთან შედარებით, გაცილებით კარგია სხვასთან მიმართებით. „ე ჩვენი ბაღანე ბატონი უოფილა მაის ბაღანასან“.

გაგდებული აქვს კვინიხი — ღრმა ძილით სძინავს. „მე მეგონა ჩამევიდოდა და მემეხმარებოდა და ამას თელი დღეები გაგდებული აქ კვინიხი და ძინავს!“...

გადაბრუნებული სიტყვა — საყვედური. „ერთ გადაბრუნებულ სიტყვას არ კორინობს და არც ქე იცის რამე“.

გაიხედავს ფრჩხილებში — მოკვდება. „ძულა დაღოღიალოფს მაი, მალე გეიხედავს ფჩხილებში“.

გამფრინვალე ტურა — ეშმაკი, ჯადოქარი, ყველაფრის ჩამდენი. „უბედური გამფრინვალე ტურაა, გო, რაი მოკლავს მაგას, ორასწლიანია“.

გარდვალს ვერ შვება (შობა) — უკითხავად ვერაფერს აკეთებს, თვითნებურად არ იქცევა. „მამის გარდვალს ვერ შობა“.

გაწალდვა გზისა — კარგი რჩევის მიცემა, საქმეში სწორი გზის ჩვენება, კარგად დარიგება. „მოსულიყო ჩემთან და გოუწალდავდი გზას“.

გულზე მოწევა — წყენა, განცდა რაიმესი. „არ დეიჯერე აფერი და ახლა აღარ მეწევა გულზე“.

გულის შოვნა — გულის მოგება, სიკეთის დაფასების უნარი, მადლიერების გრძნობა. „გარაყოლილი ვარ მაგაზე, რას არ უკეთებ და მაინც ვერ ვიშონე მაის გული“.

დაათვლევინა კბილები — ყველაფერი გააგებინა, დაანახა, შეამჩნევინა ის, რაც არ უნდა შეემჩნია, შეატყობინა. „ანგრეული ვიყაი, მომიყვანა აქანე სტუმრები და არ დაათვლოვია კბილები?!“

დაბმულ ჭაჯს ააწუვეტინებს — ძალიან ულამაზოა, შეუხედავია. „მაის ცოლი იმისანაა, დამბულ ჭაჯს ააწუვეტიებ“...

დაგიტოვია ალაგე და მოპოტუიალობ ღობეზე — საქმის კეთების სწორი გზისთვის ვერ მიუგნია და უცოდინრობის (ან უქკუო-

ბის) გამო რთული (ან არასწორი) გზა აურჩევია. „რო არ იცი, ქე გეიგონე სხვისი... დაგიტოვია ალაგე და მიპოტყიალობ ღობეზე“უ

დაღაფა სული — მოკვდა. „არ შეეძლო ამდონი და შრომაში დაღაფა სული“.

დედა შვილს არ აიყვანს ხელში — დიდი ჩხუბი, აყალმაყალი, დიდი აურზაური, არეულობა. „იმისანე ამბავი ატყდა, დედა შვილს არ ეიყვანდა ხელში“.

ერთი ტანისა — კარგი აღნაგობის კაცი // ქალი, არც დაბალი, არც მაღალი. „ასე, ერთი ტანის ქალი იყო“.

ერთი კალათა მიწა — ადამიანი, მოკვდავი. „არ მინდა ვინმეის წყენილობა, ერი კალათე მიწა ვარ და რეიტო უნდა ვაწყენიო ვინმეს?!“

ერთი შეწვი, მორე შეცხე — ერთნაირები არიან, ერთმანეთის ღირსები არიან, რაც ალხანაა, ის ჩალხანაა. „ერთი შეწვი, მორე შეცხე, არცერთი არ ვარგა მაგენი, გლახები არიენ“.

ერთი ჯოხით არ იდენება ყველა — ერთნაირად ვერ მოექცევი ყველას — კარგსაც და ცუდსაც, ავი და კარგი უნდა განირჩეს. „მაი რაფერ შეიძლება, ერთი ჯოხით ვერ გადენი ყველას.“

ზეცას მუხუდოს თესავს — ამაყია, ამპარტავანია, უკადრისია, არავის ღირსად თავი არ მიაჩნია. „მაგას გაყობა კარა, ზეცას მუხუდოს თესავს!.. მასე რჩევა-რჩევაში ქე დარჩება გოუთხვარი“.

თავის მომძიმება — სხვის დასანახად დადარდიანება, დასევდიანება, დაღონება, წუხილის გამომჟღავნება. „ეგება იმას არ ენჯავრება, მარა მაინც მევიმძიმებდი თავს.“

თვალი არ უჩანა საქმეს — გაკეთებული არაფერი არ ჩანს, არ ეტყობა; ბევრს შრომობს, მაგრამ შედეგი არ ჩანს, უამრავი დაუსრულებელი საქმეა. „მაიზა მცალია ახლა მე? ხო ხედავ, რამდონი საქმეა, თელი დღეი შრომოფ და თვალი არ უჩანა საქმეს“.

თოხის ტარს ვერ დააგებს — არაფრის გაკეთება არ იცის, უსარგებლო ადამიანია. „რათ გინდა მაგი რო მევიდეს, რაში მეგეხმარება, თოხის ტარს ვერ დააგებს, რო დაჭირდეს, არაფლათ არ ვარგა, მა გლახა მაი!“..

კაცი კაცს რომ იცნობს, იმ დროს — გამთენიისხანს, ცას რომ სინათლე შეეპარება, ან საღამოს, როცა ჯერ კიდევ სინათლეა. „კაცი კაცს რო იცნობს, ე, იმ დროს ავდგეთ.“

კოხტა გულისა — ფეთქებადი ხასიათის მქონე. „კოხტა გულის გოგო იყო, გულის მოსვლა იცოდა უცფათე".

მამა-შვილს შუა ღირდა ასი მანეთი — ძალიან კარგი, ძვირფასი, გამორჩეული ღირსებისა. „მაგას იმისანე ხანჯალი ქონდა ერთი, მამა-შვილს შუა ღირდა ასი მაენთი, რაი უყო ნეტაი. სა წეიღო. მოპარა ვინმემ თუ წაართვეს?"

მაღალ ფეხებზე დადის (დეიარება) — მეტისმეტად ამაყია. უკადრისი, ამპარტავანი. „მაის გოგო მაღალ ფეხებზე დეიარება, გამარჯობას არ იტყვის კარქათ, ვარგოდეს მაიც რამეთ!"

მზემ გარააჭახრაკა თვალები — მცხუნვარე მზე, შუადღის მზე. „ქორო მზემ გარააჭახრაკა თვალები, მაშვინ ჩამევიდა ყანაში სამეშაოთ"...

მიწაზე არ აფურთხებს — მეტად ამაყი და ამპარტავანია, თავაწეულია. „მაის გოგო მიწაზე არ აფურთხებს, ქე მაინც ვარგოდეს რამეთ!"...

მორუჯული ქონდა თავი — გადაწყვეტილი და დაფიცებული ჰქონდა, დაპირებული იყო, დაიქადნა, დაიმუქრა. გაბრაზებულ გულზე გადაწყვიტა. „შალიკოს მორუჯული ქონდა თავი. ხარს არ გავატანო და რაფცერ გაატანა?!"

მოწევაზეა — ცდილობს რაიმე გამოგრჩეს. სარგებელი ნაბოს. „მაი სუქიება აქანე, მოწევაზეა. რაი ენაღვლება."

მწყერი დაიჭიროს ნაყანებში — გაბრაზება გადაუვლის. დამშვიდდება (იგულისხმება: ირბენს მწყარის დასაჭერად, დრო გავა და გაბრაზება გადაუვლის, წყენა დაავიწყდება). „თუ მოუდა გული, ასე უთხარი: წაი, ბიძია, წყერი დეიჭირე ნაყანებში-თქვა!"

ნანათხორები წუთისოფელი — ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრება. „გეიარ ამ ნანათხორებ წუთისოფელში ორი დღეი და წახვალ მერე!"

ნაჯიგე უყრია თავში — უჭკუოა, არაფერი არ იცის, უგუნურია. „მაგას რავა დოუჯერეფს კაცი, ნაჯიგე უყრია თავში".

ნემსში მახათს გამოელის — ანგარიშიანია, უანგაროდ არაფერს გააკეთებს. „უბედური ეშმაკი იყო მაი, ნეფსში მახათს გამეელის, არაფლიზა არ წამოგიწყოფს ხელს".

პილპილი არ სჭირდება — ძალიან ცუდი, მწარე ენის პატრონია, რასაც იტყვის, ადამიანს გაამწარებს, გააცხარებს. „იმისანე ცო-

ლი ყავს, პიმპილე არ ჰირია მაგიდაზე!“

პირის ამჟავება — ტყუილუბრალოდ ლაპარაკი, უშედეგო დარიგება. „არ გონილოფს აფერს და რავა ტყულათე იმჟაეფ პირს!“ „ლაპარიკობ ტყულათე, იმჟაეფ პირს“.

რა მოხელეა — აღარ ვარგა, გაფუჭებულია, უკვე უსარგებლოა. „ამან თუ გარეირა ზეთე, რაღაი მოხელეა“.

სამოყვრო გზა — ძალიან შორსაა. „რაი წავა იქინე, ერთი სამოყვრო გზაია.“ „შორე იყო მოყვარე უწინ, არც ისე სახარბიელო იყო ახლო გათხოვა, შორე ათხოვდენ ქალს, მოყვარეც ამიტო იყო მოშორებული, ამაზეა თქმაი.“

სარკეტობიე აქვთ — ძალიან ჩხუბობენ, მუდმივი მტრობა, ჩხუბი და აყალმაყალი აქვთ. „მასე იყვენ მაგენი მიდღემჩი, სარკეტობიე ქონდათ სულ“.

სახადზე აგყობი — ყველაფერს გავაკეთებ შენთვის, შეუძლებელს შევძლებ. სახადი მთაა მცირე კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე. საკმაოდ ძნელი მისასვლელია უახლოესი სოფლიდანაც კი (მთქმელისთვის გადიდიდან); ფრაზის გადატანითი მნიშვნელობა ძნელ საქმეში დახმარების მზადყოფნას გამოხატავს. „სახადზე აგყობი და მაგას ვერ გაგიკეთებ.“ „შენი გულიზა სახადზე ავალ“.

სულის შოვნა — კარგად ყოფნა, სულის მოთქმა ცუდად ყოფნის შემდეგ. მაგალითად, ნიავი რომ დაქროლავს დიდ სიცხეში, მაშინ იტყვიან. „რა უბედურობა სიცხეა დღეს, ა, პეტერე სიო წამევიდა და სული ვიშონე.“

ტანი და ფეხი — ტანსაცმელი. „გასათხვარი გოგო მეგესტრო, მაგას ახლა კაი ტანი და ფეხი უნდა“.

ტურის კივილი გეიგონა — უკვე დიდია ბავშვი და ნაკლებად დამჯერეა. „ტურის კივილი არ გოუგონია ჯერე და გიჯერეფს“. „ტურა კივა 11-12 საათაამდი. ამ დროს პეტერე ბაღანე დაძინებულია, რო მეიზდება, მერე აღარ იძინეფს ასე ადრე და იმაზეა ნათქვამი; ტურა ათ საათაამდი არ დეიკივლებს არაფლიზა“.

უღძნობელი ნასწავლი — მეტად ნასწავლი, განათლებული. „კაი კაცია, უღძნობელი ნასტავლია მაი!..“ „რო მესტავლა კლაში, უღძნობელი ნასტავლი გამევიდოი...“

ქვას აციებს — დიდი ქურდია. „ქვას რო შეხედავდა, იმასაც აციებდა[ძალიან ეშინოდა], წამიღებსო ფიქრობდა. იმიტო ვამბობთ

ასე: ქურდი იყო იმისანე, ქვას აციებდა“.

ქვას გაგლიჯავს — ძალიან კარგია, შესანიშნავია, წინ ვერაფერი დაუდგება, საქმეს უცილობლად გააკეთებს. „იმისანე განცხადება დოუწერე იქინე საპჭოში, ქვას გაგლიჯავს. ა, ნახე, თუ არ გემევიდეს ეგი საქმე!“...

ღდინში ჩადგომა — გასაქანის არმიცემა, გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენება. „ღდინში ჩამიდგა, მარა მაინც დოუძვერი ხელიდან!“

ღვინის გადაბრუნება — მთვრალი კაცის თითქმის გამოფხიზლება. „გამოფხიზლებას რო დეიწყებს კაცი, ე, არც თვრალია და არც ფხიზელი, გაროუბრუნდა ღვინო ახლა, გამეიხიზლებს აწიო, ვიტყვით“.

ღმერთის გაჩენილი — იღბლიანი, კარგი ბედისა, ყველაფერში გამართლებული.

ყელი-ყელში გადადება — იანვარ-თებერვლის შესაყარზე იტყვიან, როცა ძალიან დიდი ყინვები, სიცივე და თოვლია მოსალოდნელი. „იანვარ-თებერვალი ყელი-ყელში რო გარადებს, სამი დღის შეშა და წყალი სახში უნდა ქონდეს მობზადებულიო.“

ყვაჭიჭე გამოიყვანა თავში — ბევრი ლაპარაკით უზომოდ შეაწუხა, თავი მოაბეზრა. „გაჩუმდი, გო, გაჩუმდი პეტერა ხანს. არ გამეიყვანა ყვაჭიჭე თავში?!“

შავი ბუველე არ მომითხაროს ეზოში — ვერაფერს დამაკლებს; რას მიზამს?! რას დამიშავებს?! ვერ მომერევა. „გული მოუდა ჩემზე თვარა... შავი ბუველე არ მომითხაროს ეზოში. მაის ჯავრი მაქ?!“

შაქარი მოუცივა პირში — მეტად ტკბილი, კარგი, სასიამოვნო საუბარი იცის, კარგი ადამიანია: „კაი ქალია, მაი, კაი, შაქარი მოუცივა პირში“.

შემოჯდება ხრიკიან თავზე მწყერი! — დაქადნების შეძახილი: კიდევ დაგპირდები და სამაგიეროს მაშინ გადაგიხდი, ინანებ, მაგრამ გვიან იქნება! „არ მიკეთებ, ხო?!. შამოჯდება ხრიკიან თავზე მწყერი!“...

მშვიდობით შენი ზიარი კვატიე! — სამუდამოდ დაემშვიდობე! „თუ გარაგიცთა პეტერე მა ხრამში ფეხი, შვიდობით შენი ზიარი კვატიე!..“ (აქ: სიცოცხლეს სამუდამოდ დაემშვიდობე!).

ჩაყვა ქისიყში — ჩაეძია, არ მოეშვა. „ჩამყეი ახლა ქისიყში, დამანებე თავი!“

ჩადის გემო აქვს ღვინოს — ირონიულად: კარგი ღვინოა, კარგი სასმელია, კარგად ისმება. „ — რავარი ღვინოა? — ჩადის გემო აქ!“

ჩემს ჭირს მიწაზე არ აქცევს — მეტად მიფრთხილდება (ირონ.). „მაი კარა, ჩემ ჭირს მიწაზე არ აქცევს ჩემი რძალი!“

ჩიტის თვალს გამოიყვანს — ძალიან კარგი ხელოსანია, ყველაფერს კარგად და ხარისხიანად აკეთებს, კარგი ჩუქურთმები გამოჰყავს. „მაგი იმისანე კაი მოხელეა, ჩიტის თვალს გამეიყვანს!“...

ცალი ხელი კიდება — უდროობა, საქმისაგან ძალიან დატვირთული, მეტისმეტად დაკავებული. „თხილობაზე არ მოხვიდე ჩემთან, სა მცალია შენი საშმლის კეთება, ცალი ხელი კიდება მაქ!“

ძაღლი სამჭედურიდან რას გეიტანს — ღირებული არაფერია, წასაღებს და მოსაპარავს ვერაფერს ნახავს. „გამეიხურე კარი და წამოი... ძაღლი სამჭედურიდან რას გეიტანს“.

ძვალმოტეხილი წყალი — ოდნავ შემთბარი, ნელთბილი წყალი. „ძვალმოტეხილია ე წყალი, აწი ქე ივარგეფს თავის დასაბანათ“.

წინა კარში შევედი და უკანა კარში გამოვედი — წუთისოფელი. „კუნცხურიას კითხეს, რა არი სიცოცხლეო და... რაი უპასუხა იცი? — წინა კარში შევეი და უკანა კარში გამეეციო... ე, ეგია სიცოცხლე...“

წყლისა და ღვინის გარჩევა — კარგისა და ცუდის გარჩევა. „კარქათ იყავი, ბაბუა, წყალი და ღვინო გეგერჩიოს ერთმანეთისგან“.

ხელის ჭკუით მოძებნა — როცა რაიმე არ ჩანს და ხელის შეგრძნებით ეძებ. „მაგას კი ვერ უყურეფ ახლა მე, ხელის ჭკუით ვეძეფ.“

— პურს ვჭამ ახლა, ხშირათ რო **მოაყვენ**.
— წყალი თუ **გაყვენ** კრანეფში, წყალი?
— სხვაი კარა, თითვან ვერ ძლებენ, ჩხუბი **აყვენ** ყოველ წუჩი...
— ე, **მოაყვენ** იგი...
— ფული **აყვენ** შეტანილი ხალხს და აწი ქე დეიწყება მაის შენება.
— სხომის გამოვჭრათ, სხომის, ხვალე სასიარულო **აყვენ**.
— დატუტუყურობენ ი ტალახში, ვალინკები ქე **აყვენ** და...
— სიგარეტი არ **გაქვენ**?
— ჰადრები **აყვენ** ეხოში.

— შენ რო გაგიშვა სასტავლებლათ და იგენი ვერა, მერე **დამაგინოსყენ**, იმას ქე ასტავლა და მე არაო, ამას ნუ გამიკეთეფო...
— პატარძალმა თქუა, რაღაი იქინე **მოქყავსყენ** ძროხაო...
— ორ ქათამს **გაგატანყე** დაკლულს, ჰყინტი ლობიას და ბჟავეს, ქე გეყოფათ სამი დღეი...
— შარშან ვიმუშაე, თხილი **ჩავაბარეყენ** სამასი კილო...
— აჩას აღარ **ვაქუმყე**, რო მეიწამლოს ადამიანი, წამლათ მინდა...
— ძაგენი აგერ გოგიტელასან თამაშობდენ გუშხამ, **უყვირეყენ** მერე...
— ბაღანამ ეიჩემა და წეიყვანეს, რავა ამოდით, **ვებძოლეყენო**, მარუსამ თქვა...
— **ვეტყვიყენ** და რა ვიცი...
— სარშან **გამოართვიყენ** ერი ნაწიწვი და რაღმე გადეირიენ...
— ვინცხამ თავსაფარი მაჩუქა, იგი, ბიჭს ნასკები უყიდე, გოჭი ვიყიდე კიდო სამ თუმნათ, ცხრაი კილო გამევიდა, წეევი და **მიუტანეყენ** იგენს...
— გული არ **მოგოვდევსყენ** თვარა... ახალ წელსაც არ ვარგა გულის მოსვლა...
— წაღებული მქონდა სამი თუმანი და **მოვცემყენ**-მეთქინ, მარა არ მიმიციაა...
— რაფერ რახუნობს იგი, რაი **აძლებიებსკენ** იქინე...
— რაი **აძლებიებსკენ** ამ კარდახურულში?!

— სულ არ **მოწონსკე**...
— შეხედე რაფერ **უჰირსკე** სიარული...
— არაფელი **გიჰირსკე** თქვენ, ნაჰამი არიენ მაგენი...
— დითხან იქნება კიდო მაი? — კი. — აპა, რაი **გიჰირსკე**, უყურე მაგას თელი ღამე და იყაი...
— არაფელი **გიჰირსკენ** მერე, ჰამეთ მაი, ამ კვირაში გეიტანეთ თავი, ლობიეა ეგერ და ამბავი...
— რაია, კაცო, ასე გამხმარ ჰადს რაი **აჰუმსკე**...
— იქობაამდი თუ გადაით, რაი **გიჰირსკე**...
— რა შობი, ვიღა **არჩენსკე** იგენს ახლა?!.
— უნდა **გექნესკენ** ფული, უნდა, თვარა რო გაგიჰირდეს, სასესხებლათ ვერ იშონი...
— **ქონდესკენ** მერე მაგენს მაი...
— ღმერთმა ნუ გამოგაცდევიოთ მაი, ბებია, ჯვარი **გეწეროსკენ**...
— რაიზა **მოგდისკენ** გული?!
— პური **უყვარსკენ** ნემეტანი...
— **უყვარსკენ** ერთიმორე...
— ქე **იღებსკენ** ახლა ბინას...
— რა ვიცი, ხორცი ქე **ქწუინსკენ** თქვენ და...
— მასე ქენით, მასე, ღმერთმა კაი **გისრულოსკენ**!..
— მაი **ძულსკენ** იგენს უბედურათ...
— **გიძახისკენ**?
— შორდებიენ ნათესავები, შორდებიენ, მარა თხოვა-გათხუებაზე რო მიდგება საქმე, **ახსობსკენ** იგენს ყორფელი...
— მაი გაზი რო აანთეთ, რათ გინდოდათ, **გაგიჩდებოდესკენ** ცეცხლი ერთი, კაია!..
— აფეთქება და **დაქწვავსკენ**!..
— ეი ამაში **გექნესკენ** სულ და რო მოვა სტუმარი, უცფათ გამეიტან...
— აპა რაია, ყოველდღე **გაგდისკენ** ფული...
— **ძულსკენ** ი ბაღანე უბედურათ...
— მარილები გექნება შენ და იმიტო ქტკივა... მართლა მარილები კარ **გეგონოსკენო**, თოდუამ თქვა, უბედური ხუმარე კაცი იყო...
— თუ არ ვაყიდიო მაგენს ჩემზა, აგერ... — თუ **გექნესკენ** ფული, კი...

— მოულოცე ახალწელწადი ჩემ მაგიორათ, ბევერ ახალ წელს **დაასწროსკენ** ღმერთმა!..
— კარქათ **გამყოფოსკენ** ღმერთმა!...
— კარქათ იყავით ორვე ცოლ-ქმარი, ჯამთელათ **გამყოფოსკენ** გამჩენმა!..
— ღჳერთმა **გამასხროსკენ** და **გაცინოსკენ**!..
— რაფერ **უყვარსკენ** აგენს მაის ყურება...
— რატო **უყვარსკენ** ე ძველი სიმღერები, რაფერ მძულს ე ოტროკონიე...
— ღვინო რაფერ **უყვარსკენ** აგენს...
— რაფერ **გოყვარსკენ** მაი, ბიჯო, და გააკეთეთ ხში-ხშირათ...
— **უყვარსკენ** მაი ახლა ხალხს იქინე...
— რა **გაუვირებსკენ**, ნელა დეილაპარიკეთ, ნელა!..
— ეგერ გამარჯობა მითხრა ი ბიშმა... ჩამეიყვანე მერე სტოლზე დასაქდომათ, ხო **გიცნობსკენ** და მერე რაი...
— ბინა არა(ა) და **უჸირსკენ** ნემეტანი...
— ღმერთმა არაფელი **მიგაკლოსკენ** ას წელწაც!..
— ახლა უნდა ააშენონ თელი ცხოვრება, მერე რძალი მოვა, **მოასწროსკენ** გამჩენმა!..
— არ **დიგეკარჭოსკენ** იქინე რამე, კუროორტზე დაკარქვა იცის ფულმა...
— ისე, დროი რო **ჭონდესკენ**, ქე ავარჯიშებდა მაამისი, დროი არ **აყვენ** და...
— აქანე ტყულა ყოფნაა, ქალაქში... ტელევიზორი რო არ **ჭონდესკენ**, რაი გეშველებათ...
— მე კაი ჭკუაზე ვარ, მარა თქვენ არ მიჯერავხართ არცეთი... ნუ გაყიდით იმას და **ჭონდესკენ** სულ...
— კარქათ იყაით, გახარება **ჭონდესკენ** სულ!..
— იგი **გაბრიყვებსკენ** თქვენ, კუტა, იგი ციგანია!..
— მამაშენი **გარჩენსკენ** კიდო თქვენ...
— ღჳერთმა ნუ **მოჭკლასკენ** თქვენ!..
— ბიძია, ყოველ წუჩი **ქწყევლისკენ** და რაფერ იქნება კარქათ საქმე!..
— **გაცოცხლოსკენ** გამჩენმა ათი ჩემი ხნის!..

— წამოი და მა ვედრო წამეიღე, რო **ჟდანხარ**!..
— წაი, შეი სახში, აქანე ნუ **ჟდანხარ**!..
— მანქანა კაია... შენც **ჟდანხარ**, ხაბაკიც მიაქ...
— რაი მენდომილება, გო, და გამომართვი ეგი, რო **ჟდანხარ** ტყუილა თელი დღეი...
— გარეთ **ვწენვარ** და გავცივდი...
— აგერ **დენა** მორე ცალი, აგერ, სტოლზე...
— ეგენი სა არიენ ნეტაი? — **წენარიენ**. — რაი აძინეფთ ახლა?
— იგი სხვას მემბობა, იგი — სხვას, თითვან **ჟანარიენ** ცაკე...
— გარეთ **ვჟდანვართ** იქინე...
— მე ქე **ვჟანვარ** ეგერ გარეთ...
— გარეთ **წენხარ** შენ და იმიტო გახთი ავათ.
— თელი დღეი ლოგინზე **წენხარ** და...
— კარნელი რაფერ ავათა!.. არ შემილიაო, გო, და **წენა**...
— თუ **წენა** საკონელი მანქანასან, გავდენი...
— ი ქალი სულ საავანტყოფოში **წენა**...
— ისე **ჟდანა** თელი დღეი...
— ჰადრები აქვენ ეზოში და **ჟდანარიენ** იქინე...
— **დაჟეი** რაცხაზე და ისე ამოარჩიე...
— ქალაქშიც ქე **დგება** ხალხი ადრე...
— არ გარმოაგდო აქით, ქვაბები **მიდგანა** და დამიმტროვს.
— ეგერ **ჟანა** შენი დაი.
— ეგერ **გარაჯექი** სკამზე, შენ მაინც **ჟდანხარ** და მე წამოწოლა მინდა...
— მაი თელი დღეი **ოწვეს** მასე, კარტი ქე აქ და თავს შეიქცევს...
— თასთუმალთან **უდგანა** და იგი საინი მეიტანე.
— მაქანე რო **წამომიჟეი** ახლა შენ, **ვიჟეი** მე მაქანე...
— **დაწეი** ლოგინზე...
— აქანე **იჟდა** ხალხი...
— ჰაერზე რავა **დაჟდება** მაგენი...
— მე **ვიწეი** და ავდექი ახლა.
— ქალი **უჟანა** ერთი გვერჩი კაცს...
— ბზეში დადეი... ქე ვერ **დაჟდები**, ყივნასავეთა თლათ...
— გარეთ **დგანა** თუჯიე და მეიტანე, თლათ საფსეს ნუ მეიტან...

არსენიეს ოროში — საბანაო ადგილი.
არწიოული — სამოსახლო მაღალი გორა.
ბაძგვნარი — ტყიანი ადგილი, სადაც სოფელ ყუმურიდან ამოსასვლელია გადიდში.
ბახვტანაგები — საყანე ადგილები. ახლა იქ ტყეა. გადმოცემით, ყოფილა ბახუტასი, რომელსაც იქ აუგია საზაფხულო საცხოვრებელი სახლები და ნალიები.
ბახჩე — ხეხილიანი, ნიგვზებიანი ადგილი.
ბელთაქეთი — მზიანი და თბილი ადგილი.
ბერისტყე — ადგილი.
ბესლარი — საყანე ადგილი, ახლა ლამაზი გორაა, საქეიფო და თავშესაყარი ადგილი იყო.
ბზვარე — მზიანი ადგილი.
ბოსტანიე — ვაკე (გულებე) ადგილი მთაზე, ადრე იქ ჭურები უნახავთ.
ბუაროულეს (მჟაროულას) ღელე — პატარა ღელე.
გადიდის გორი — მაღალი ნაძვნარი გორა სოფელში.
გალმაგორი — უბანი.
გერიყელი — მთა, საყავრე და საბალახო.
გზაბოძალი — ვაკე ადგილი ოთხი გზის შესაყარ მთაზე.
გობინე — ადგილი.
გობინეს წყარო — წყარო.
გორი — საყანე ადგილი ბჟაროულას გადმოღმა.
გოჭისთავე — ადგილი მთისკენ მიმავალ გზაზე.
გძელგორი — ტყიანი მთა.
დაკიბულე — უბანი.
დავითესოული — სამოსახლო ადგილია სოფელში.
დათვსაწუნი — საბალახო მთა.
დაკიბულა — უბანი.
დარისპანის ოროშო მორევი — საბანაო ადგილი.
დიდაღმართი — მთისკენ მიმავალი გზის ერთი ნაწილი.
დიდვაკე — საცხოვრებელი ადგილი.
დიდვაკის წყარო — წყარო დიდვაკეში.

ეკლარე — ადგილი.
ემელიანეს ტუე — ტუე.
ერმილეს ორომი — მორევი, საბანაო ადგილი.
ექვთიმეს თხილები — მაღრანში თხილიანი ადგილია.
ეცებოური — სამოსახლო ადგილი დაკიბულაში.
ვაკეშკერი — ვაკე, ტყიანი, შქერიანი ადგილი.
ვაშლარე — ადგილი.
ზაპეძირი — საბალახო ადგილია, ახლა ტყიანი.
თეთლეღვე — ადგილი.
თეთწყალე — პატარა მდინარეა, სათევზაო, წყაროის გორის გადაღმა.
ივანეს წყარო — წინათ ერქვა ჩიტილეს წყარო.
იოური — ვაკე ადგილი.
კენჭსაყარე — საბალახო მთა.
კოდის წყარო — წყარო.
კოპინოური — უბანი სოფელში, რომელიც მაღალზე მდებარეობს და სხვა უბნების მდებარეობა მასთან მიმართებით აღინიშნება: **კოპინოურის გადმოღმა — დაკიბულა, ფსხლაძეების გორი, ორჯუმალი, შარაშენიძეები, ჭალა; კოპინოურის გადაღმა — ხარძეიშვილები, თოდუები.**
კორღანო — მთაგორიანი საყანე ადგილი, გორა.
კურდღელოური — ადგილი, სადაც წინათაც და ახლაც არის სასაფლაო.
ლობოროტი — საბალახო.
ლამაზგორი — საბალახო.
ლამაზმთა — საბალახო მთა.
ლანგირი — ლამაზი გორაა, ძირითადად სააგარაკო ადგილი იყო, არის საყანე მიწებიც.
მაღრანი — საყანე ადგილი.
მაჭაროული — ადგილი.
მახაროული — ბაღის ადგილი.
მეგრელის ნაკარვალი — მოსწორებული ადგილია შუაგორაში.
მელეს ხვრელი — ადგილი, სადაც ნადირის ხვრელებია.
მერე — ადგილი და ღელე.
მერის ღელე — პატარა ღელე მერეში.

მსხილაძის ამოსავალი — ადგილი, გზაჯვარედინი.
მსხილაძის წისქვილი — წისქვილი.
მუხნარე — ტყიანი ადგილი.
ნაბეღლავე — პატარა ვაკე ადგილია სოფელში, ადრე იქ ბეღლები იდგა.
ნაკუხურები — ადგილი.
ნალაგირები — საბალახო.
ნამასკულამები — პატარა ადგილი ერთ კარ მიდამოში.
ნამუადვარე — სავენახე ადგილი.
ნასაუტრი — საბალახო მთა.
ნაფარეხები — ადგილი კოპინოურზე.
ნაფეტვარე — ადგილი.
ნაფოტებიანი წაბლი — საყანე ადგილი.
ნაქუბარე — სოფლის საყანე არწიოულში.
ნახორები — სწორი ადგილი, ახლა თხილებია იქ.
ნეფის წყარო — მაღალი მთა.
ორწყალე — ადგილი ორ პატარა მდინარეს შორის.
ორჯუმალი — უბანი სოფელში.
პეპელოური — ადგილი.
პოლიკარტეს ნანალიები — ადგილი.
რუსთავე — საბანაო.
საარჩვე (დიდი და პატარა) — ტყიანი თავწოწოლა მაღალი მთაა.
საარჩვის წყალი — სათავეა ღელასკურასი.
საბულრაო — საბალახო მთა.
საგანო — ადგილი, საყანე, გზა.
საგველიე — სამოსახლო ადგილი.
საირმე — ტყიანი საბალახო, არის სასმელი წყალიც.
საკანაფო — ვაკე ადგილი.
საკონდახე (პატარა და დიდი) — ტყიანი და საბალახო მთა.
სამგორი — ტყე.
სამწახლის გორი — ტყე, გადმოცემით აქ იზრდებოდა სასაწნახლე ხეები.
საუზნე — საბალახო.
საქცევი — გორაა, ფერდი ადგილია.
საღვარიეს თავი — ადგილი, სადაც წვიმის წყალი გროვდება ღვარად.

საცივწყარო — ყველაზე კარგი წყაროა სოფელში.
საცხენეს გორი — ლამაზი გორაა, საბალახო. გადმოცემით, ძველად იქ ციხე ყოფილა, ახლა ციხის ნაშთიც აღარ შეინიშნება.
სახადი — მაღალი მთა ალპური საბალახო ადგილებით.
სუნალი — საყანე ადგილი.
ტაბოური — საყანე ადგილია სოფელში, მზვარეს ქვემოთ.
ტევრი — ტყე.
ტყელგორი — საბალახო.
ულეველე — საბალახო.
უხტომი — ერთი ადგილია ღელეში, მაღალი ქვის ტერასა.
ფერდი — დაფერდებული ადგილია.
ფსხალთავაკე — ადგილი.
ფსხალნარი — საბალახო.
ფსხილაძის გორი — უბანი.
ქალების ტანსაბანიე — ხაბანაო ადგილი ღელასკურაში.
ქვასაყუყი — პატარა ქვიანი ადგილია.
ქვაჭიშკარი — სასაზღვრო გზა გურიისა და იმერეთის საბალახოებს შორის.
ქომუცაძის წისქვილი — წისქვილი.
ღარისწყალი — წყარო.
ღელასკური — მდინარე სოფელში.
ღურღულე — ადგილი.
ყორიე — ტყიანი და საბალახო ადგილია, ადრე სამოსახლო, ახლა მოსახლეობისაგან მიტოვებული.
შუაგორა — ტყიანი გორაა.
შუაგორა (დიდი და პატარა) — საბალახო.
შუაგორას ღელე — ერთ-ერთი სათავეა ღელასკურისა.
შუაქედა — საყანე ადგილი.
შუაყანა — გაშლილი ადგილია.
ჩახოური — საყანე ადგილი.
ჩაწყვეტილი — საბალახო მთა.
ჩიტლეღვე — ადგილი.
ჩიხნარი — საბალახო მთა.
ცივი (ზედა, ქვედა) — ტყიანი ადგილი, წინათ საბალახო იყო. ცივი, უმზეო ადგილია.

ცხენიზურგე — ადგილი.
ძაროულე — სავენახე ადგილი.
წაბლარე — ტყე.
წისქვილის პირი — ვაკე ადგილი.
წიფლარი — წიფლის ტყე, აქ ღორებს ასუქებდნენ წიწიბოთი.
წყანვარე — ადგილია, სადაც გზა გადის.
წყარო — წყარო მთაში მიმავალ გზაზე.
წყაროის აღმართი — გზა მთაში.
წყაროის გორი — გორა წყაროის აღმართის თავზე, საბალახო ადგილი.
ჭაი — საყანე ადგილი, წინათ ჭისმაგვარი წყარო ყოფილა.
ჭალა — პატარა ვაკე ადგილია სოფელში.
ჭალისასირე — ვაკე ადგილია, მოსავლიანი საყანე ადგილი იყო.
ჭაკუტოური — საყანე ადგილი.
ჭვანჭვალოური — ადგილი კოპინოურზე.
ჭინჭიპური — ადგილი, სადაც იღებენ აყალო მიწას.
ჭიჭიების ადგილი — საყანე ადგილი.
ხატმამული — ადგილი და წყარო. აქ იყო ხატისთვის შეწირული მიწები.
ხვადაბუნე — ადგილი.
ხორცაგებელე — საყანე ადგილი მთაში, სოფლის განაპირას.
ჯანაროულის გორა — გადმოცემით, აქ სახლობდნენ თათრები.
ჯარგვალეს გორი — ტყიანი ადგილი მთაზე.
ჯაჯის ტბა — ტბა სახადზე.
ჯიხური — ადგილი.

<u>სოფელ სულორის ტოპონიმები:</u>
ბაბუესოული — საყანე ადგილი.
გორიკელე — თავშესაყარი ადგილი ლაშეში.
დუქნები — სოფლის ცენტრი.
ვაშლები — ადგილი, ხეხილის ბაღი.
ივანესოული — სასაფლაო.
ოოური — საყანე ადგილი.
კაკოურე — გორა.
კეჩხო — ადგილი.

ლაშე — სამოსახლო.
ლიხეიხ ტბა — ადგილი, ნატბური.
მაროულე — გორა.
ნაკარვები — საყანე.
ნახახლები — ადგილი.
ოხნაკლავე — მთა.
პარბენესოული — თხილებიანი ადგილი.
პეტერე ვაკე — საბანაო ადგილი.
ხაკაკვი — ტყე.
ხახკე — ადგილი.
ხაქაჯიეს ქვა — დიდი ქვა მდ. ქვანთახების ნაპირას, იმავე ადგილის სახელი.
ხაყივარე — მთა.
ხახნავე — უბანი.
სერი — გორა.
ხილორი — მდინარე.
ტყეშავი — საყანე ადგილი, ახლა ტყე აღარაა.
ფეცხოური — საყანე ადგილი.
ქალაბანე — საყანე ადგილი.
ქვაბრანე — ადგილი.
ქვანთახები — მდინარე.
ქვასატეხი — გზის ერთი მონაკვეთი.
წიფლარე — ტყე.
ხვიჩოური — ადგილი.
ჯაღიოური — ადგილი.

ა

აანცება (ეიანცა) ყველას და ყველაფრის აფორიაქება, სალაპარაკოდ აღება, მითქმა-მოთქმის წამოწყება. „პირსაფერობე ეიანცა ყორფელი და ისე შენ ქე ქჩივა, შენი ჯავრი აქ?! ძაან ვჩივით, ძაან ვნაღვლობთ ჩვენო“.

ააყუდა ყალიონი მოკვდა. „ააყუდა ყალიონიო, რო ვიტყვით ჩვენ, მოქვტარა საწყალი“.

აბაზარიანება აყროლება, ცუდი სუნის დაყენება. „ამ ბაღანამ არ ააღძოლა და არ აბაზარიანა ყორფელი აქანე! საქმა ახლა ეგი?!“ (შდრ.: ი. ქავთ. I, ბაზალიონი).

აბანიება 1. ლაპარაკში ჩართვა; 2. ერთ საქმესთან მეორე საქმის წამოწევა. „ემებანიე ახლა, ემებანიე, არ მაცალო ლაპარიკი!“ „ეგი რაღას ემებანია ახლა, ეგი მინდოდა, გაჭირვებული ვარ?!“ (გაჩერ.).

აბაწვრა დაპატიმრება, დაჭერა. „აჯბაწრავენ ხვალ აქიდან, ვნახავ შენ სეირს!“ (ბერ.).

აბეწვნა რაიმე წვრილ-წვრილის სათითაოდ აკრეფა (მაგ.: წვრილი ლურსმნის, წვრილი ფიჩხის და ა.შ.). „აბეწვნე, ბებია, აბეწვნე, არ დარჩეს რამე, თვარა გაგვიწყრებიენ!“

აბიცო თხის გასარეკი შეძახილი.

აბეღიალება ანთება, განათება. „არიქა, გო, ამიბეღიალე ახლა სანათი!“ (ეღ., შდრ. ბერ. ჯავახ. აბეღრიალება).

აბუზარებული ხალხის სიმრავლე და ქაოსურად მოძრაობა. „აბუზარებულია ხალხი, ხო უყურეფ“.

აბუნაგარი დამოწმებულია ფრაზეოლოგიაში: „ამეიკრა აბუნაგარი და გავარდა“.

აბუნაგარის ამოკვრა გაგდება. „ამოგიკრავ აბუნაგარს და წაი აქიდან საცხა გინდა მერე!“

აბუჟურებული (სახე) გაწითლებული და ოდნავ შეშუპებული სახე. „რაფერ აბუჟურებული აქ სახე ხო უყურეფ, ლოთია მაგი“.

აგერ რო დამარხო, ეგერ გამოვა ძალიან ეშმაკია, ჩუმჩუმელაა. „უბედური ჩუმალიე ეშმაკია, აგერ რო დამარხო, ეგერ გამოვა“.

აგოჯიჯება (|| მოგოჯიჯება) სხეულზე მოდებული ჭუჭყის ხელით მოცილება (ჭუჭყის აგორება). „მეიგოჯიჯე, ბიჯო, მეიგოჯიჯე!“; „არ აგოჯიჯდა?“ (ეღ., ვ. ბერ., გაჩეჩ., ალავ. გვიჯიჯი).

ადაჯა ძაღლის შესაშინებელი, გასაგდები შეძახილი. „ბაბუამ იცოდა დაძახება, რო გარმეიარდა უცხო ძაღლი ეზოზე (გზისპირას ქვონდა ეზო ჩვენ) ადაჯა! ადაჯა!-ო და გავარდებოდა ძაღლი უბედურათ. რაია ე სიტყვა, არც ახლა ვიცი, ასე ქე იცოდა და...“

ადიაშება (ოუდიაშა) რაიმეს დაჟინება, დაჟინებით თქმა. „მე ოუდიაშე წროულს, თუ არა კარ უნდოდა მაგენის მოყვანა აქანე“.

ადიოსიო, ადიო საქონლის, ძროხის გასადენი შეძახილი (შდრ.: ქავთ. I იოდო, ძოწ. აიდო, რაჭ. ადიო).

ადმათ უანგარიშოდ, აუზომავად, დაუკვირვებლად კეთება რაიმესი, ალალბედზე. „მაი დავჭრათ ახლა კარქათ. დეაშენმა ადმათ დაჭრა მაი, ბეჭეეფში უნდა გამოვჭრათ ზომაზე“ (შდრ. ალავ.).

ადმათ სიარული უანგარიშოთ, დროის გარეშე, უქმად სიარული. „საათი კარ აქ ხელზე, ისე დეიარება ადმათ“; „არც დროს იკითხავს და არც აფერს, იი სიარულია ადმათ“ (ალავ. ოკრიბ.).

ადოყება ახალი ნაყარის ამოზრდა. „რო ადოყდება პრასი, მაშვინა კაი; გამარტებულში ვაბჟაეფთ ჩვენ“ (შდრ.: ძოწ., გაჩეჩ.).

ადოყებული ახალამოყრილი. „ადოყებულ პრას მოჭრი გამარტებულში“ (შდრ.: ძოწ., გაჩეჩ., როსტ. ინგილ.).

ადუკატი გადატ. ჭკვიანი, გონიერი, ჭკუის საკითხავი კაცი. „საადუკატე კაცი იყო ექვთიმე, კაი კაცი, რო შეეკითხებოი ჭკუას, იმისანე“.

ავთაგანი თვალის ცემისაგან გამოწვეული დაავადება. „რო ტირის, გო, მა ბაღანე, იქნება ავთაგანი აქ, შელოცვა დაჭირდება მაგას“ (შდრ. ქავთ. I ავთაგნური).

აზავერი გადატ. მაღალი, ახოვანი, დიდი ტანისა. „დიდი აზავერივით ქალი იყო, იმას თუ მეერეოდა რამე ავანტყოფობა, რავა იფიქრებდი, რაფერ დალია ამ კიბომ!.“ (შდრ. ქეგლ „ხარი საკიდარი“ საბა, ბერ. ჯავახ. საკიდარი ხარი).

აზნევებს ავნებს, ზიანს მიაყენებს. „კლავები რო ტიტველი აქ და ყპაი შეხოული, აზნევეფს, ბიძია, იგი, აზნევეფს, არ აზნევეფს აპა?!“. „ეგება გლახა თვალისა იგი და შეხედავს ქვას და ვერ აზნევეფს იმ დღეს ვერაფელს“ (ქეგლ კუთხ. კახ. აზნევს; ძოწ.).

აზორგოლებული ერთ ადგილას დაყრილი, დახვავებული, გორად დაყენებული. „პელაგო თხილს დაყრიდა, ააზორგოლებდა და ქე ქონდა მიწაზე დაყრილი ისე“.

ათარეშებული ანგრეული, აოხრებული, აჩიჩქნილი (მიწა). „მე რო წევიდე, ათარეშებული იქნება ყორფელი ქსენიეს ღორიდინ“ (შდრ. ქეგლ ათარეშებს).

ათოთინება აფუება, ამყავება. „—ტყლაპს ვერ გამოვხთი ამითინ? — კი გამოხთი, მარა ბზეი უნდა ამას; ბზეი თუ არ იქნა, ქე ათოთინდება მორე დღეს, აბუავდება და კარ ივარგეფს“.

აიბი ნაკლი, ზადი, რაიმე ცუდი თვისება. „რო არ ექნეს რამე აიბი, არ შეილება, სულელის შვილია და..“; „რაცხა აიბი რო არ ექნეს რამე, არ მგონია და ისე უშნო ბაღნები არალიენ“ (გაჩეჩ., ძოწ., შარაშ.).

აკარტებული გაუხეშებული, სათესლე თავგაკეთებული (პრასი, ხახვი). „მაი პრასი აკარტებულია, აწი აღარ ვარგა საბუაოთ“; „აკარტებული იგია, ქერო ქვედა ფოთლები გახეშეშებული აქ და ზეით ჭუჩუჩო აქ გაკეთებული“.

აკაბელებული აჭრელებული. „ამისანე აკაბელებული კაბა რაღა დროისა ჩემზა, ამისთანა მოხუცებულიზა“ (შდრ. კაბელე).

აკვანჭალება ფეხებაწეული კოტრიალი მიწაზე. „ქათამი რო წეიქცევა ბზეში, აკვანჭალდება, მეშინია მე მისი — ავანტყოფობა იცის პატრონისო, ნათქვამია ასე; ოქში, ოქში!-თქვა, გავდენი“.

აკვანჭალებული ‖ აკვაჭული წაქცეული და ფეხებაწეული. „ხმაი გევიგონე რაცხა, წევეი იქით და ვნახე, არ აკვაჭულა აგერ პოლიკარტე?! მაყვლებში ქონდა თავი გარგული, რო არ მივშველებოი, დეიბღოტებოდა კაცი თლათ“.

აკიბორჭალებული წვრილი, მაღალი, უშნოდ აწოწილი. „ნემეტანი აკიპორჭალებულია ე სარი, პეტერე წამოუბერავს ქარი და ქე წეიქცევა, ბაბა, ეგი, რათ ქვინდა რო დავასოთ“.

აკონჩხოლებული ერთმანეთზე არამდგრადად შედგმული ნივთები. „რაფერ აკონჩხოლებულია ე სკამები აქანე, წეიქცევა და დაამტროვს რაცხას“.

აკოშიტალებული დაკოჭლებული, ფეხის ტკივილისაგან დროებით დაკოჭლებული. „მეგონა ეგი გამომირთავდა გაზს, მარა მევიდა აკოშიტალებული“.

ალაგი ადგილი. „კაი ალაგსა ი საქათმურე იქინე, კაი საბზოურია“ (გაჩეჩ., შდრ. მარტირ. ჯავახ. ალაგი, ვ. ბერ., ჟღ.).

ალაო დიდი სიცხე. „აქანე დაჟდომა რავა შეილება ამ სიცხეში, ალაოა აქანე“.

ალეია უსაქმურთა ბრბო, უსაქმო ხალხის სიმრავლე. „თუ მაცადინობა უნდოდა, თელი დღეი ალეიაში რო იდგა, სა იყო მანაამდი“ (ქავთ. II).

ალიახორი ნათვალევის ლოცვაში გამოყენებული სიტყვა. „ალიახორი, მალიახორი, / გამჩენო, შენ დოუფსე თვალი და ყური, / ვინაც ავი თვალით შეხედა...“

ალი-კვალი / ალი და კვალი მსგავსი, მეტად მგვანი, ასლი. „მაამისის ალი-კვალია თელათ“. „თლათ დედამისის ალი და კვალია“ (გაჩეჩ.; შდრ. შარაშ. ალი).

ალიოლება აალება, ცეცხლის ერთბაშად ანთება. „ქახალდი შედეი ფეჩში და ერთი რო ალიოლდეს, მეტი კარ უნდა, მეეკიდება ხელათ“.

ალის ხეი ალვის ხე.

ალორთქოშებული სწრაფად ნაზარდი, აყრილი, ნაზი ბალახი. „ჩემი ქინძი კაია ახლა, ალორთქოშებულა, თუ დეიკაკლა, აღარ ვარგა მერე“ (ქავთ. II; შდრ. ბერ. ლორთქოშო, წერ. ლორთქო, გაჩეჩ. ალონთქოშებული).

ალორთხილი უცებ ნაზარდი, წვრილი ღეროს მქონე სიმინდი; მრავლად ამოსულ სიმინდზე იტყვიან. „ჯარის სიმიდე ალორთხილია, წვრილათ იზდება და არ ვარგა, ტაროს არ გეიკეთეფს“ (შდრ. ქეგლ ალორთქილი).

ალორტყიანებული 1. წებოვანი, მოსქო სითხით დასვრილი. „ალორტყიანებულია ლოკორტინე“. 2. დასველებული. „შე, გო, რაცხაზე დამჟდარვარ და ალორტყიანებული მაქ კაბა თლათ“. „ალორტყიანებულია ყორფელი“ (შდრ. ქართლ. დიალ.: ალორტებული; როსტ. ინგილ. ალორწყიანება).

ალოხრილი სწრაფად და ცუდად ნაშენები. „ალოხრილია საღორიე, ერთს გეინძრევა ღორი შითე და დეინგრევა ხელათ“ (შდრ. შარაშ. აროხვა).

ალუნჩის ბუში ალუჩის ერთ-ერთი სახეობა. „ალუნჩის ბუში არი ტკპილი და ასე უძახით“.

ალუპვა ართმევა, წართმევა, მოპარვა, თვალსა და ხელს შუა უცებ აღება. „უცფათე ამალუპა, ვერ გევიგე!“ (ბერ. ლოპვა, ალოპვა).

ამარმალებული კარგად ალესილი, მეტად მჭრელი, ბასრი. „ისე ავლესე დანა, ამარმალებულია“ (ქართლ. დიალ. ამარმალებს; ჟღ. გამარმალებული).

ამიერდგან ‖ ამიერსაგან ამის შემდეგ. „აქანე აღარ დაგინახო ამიერდგან!.“.

ამინდის წადგომა კარგად გამოდარება, კარგი ამინდების დადგომა. „აწი ამიდები წადგება, აწი ავდარია არ იქნება“.

ამინდმა მეიქაქანა ქარ-წვიმა, ქარიშხალი შეწყდა, გადაიდარა. „ამიდმა მეიქაქანა ერთი და ქე გარეიღო მალე“.

ამინუჩი ამ წუთში, ახლავე. „კპილი ამტკივდა გუშხამ... ნუ გეშინია, ბეჩაო, ამინუჩი მოგარჩენო!“ (ყღ.).

ამოაკვინკვილა საშინლად დაწყევლა, დედაბუდიანად ამოგდება წყევლით. „ამოაკვინკვილა თლათ, ისე წყევლის“ (ბერ.: კვინკვილი, გადაკვინკვილება).

ამობურკვა კურკების ამოცლა საწებლისათვის მოხარშული ტყემლის მასიდან. „გაცივდება მაი და ხელათ ამოვბურკავ“.

ამოგულუღმება შუა ადგილას ამოჭრა, ამოღრმავება, გულის ამოღება. „არ ამოაგულუღმო არა ე ხეი, თვარა არ ივარგეფს“ (შდრ. გულეღმა საინი).

ამოიერეცხავს გულს ამინდი დიდხანს იავდრებს და გადაიდარებს. „იწუმეფს, იწუმეფს, ამეირეცხავს გულს ამიდი და გარეიდარეფს მერე“.

ამოკინკილება მსუბუქად, სწრაფად ასვლა სიმაღლეზე. „გაფუჭებული მეგონა მანქანა და არ ამოკინკილდა ხელათ აღმართში?!“

ამოლიგნვა ამოსვრა, თავიდან ბოლომდე დასვრა. „რავა ამოლიგნილხარ თლათ, თავიდან ფეხებაამდი!“ (ჳყონ.: ამოლანგვა).

ამოპწკვნა ამოწიწკვნა, ძირიანად ამოღება. „წინაზე ამევიდა ქინძი და ამომიპწკვნა ჰუჰულებმა, ახლა დეიზარდენ და ვერ დავლიენ სინაში“.

ამოჭორკვა ქვით თავის გატეხვა. „რას დეეთრევი შენ მა თხილეფში, ამოგიჭორკავ ახლა ქვაით თავს!“

ამოყვაებული (თვალები) ჩავარდნილი, სიღრმეში შეწეული და ჩამუქებული თვალები; იტყვიან ლოდინისაგან დაღლილ თვალებზეც. „სა ხარ, შე კაცო, ამდონხან, ამოყვაებული მაქ თვალები ჭიშრისკე ნაბზერი!“

ამოჩილაყვრება იღლიაში ამოდება. „ამეიჩილაყვრა ე ჩემი გამომცხვარი პური და წევიდა!“ (ყღ. ამოჩლიაღვება; ქავთ. ამოჩლიავება).

ამოჩლიაყვრებული იღლიაში ამოდებული. „რაფერ ამო-

ჩლიაყვრებული აქ ე პორთფელი სულ ამ ქალს, რაფერ იცის!“

ამოჩუნჩხულებული ერთ ძირზე მრავლად ამოყრილი, ამონაყარი. „ორი-სამი კეკალი ჩამირგია ერთათ და ამოჩუნჩხულებულია ყველე. თვარ გაამეჩხრე ეგი ახლა, არ ვარგა!“

ამოჩლურტული ამოჩაჩული, უწესრიგოდ ჩაცმული. „რო ამოგიჩლურტია, შე კაცო, აი ბლუზა, ასე უნდა გარახვიდე შარაზე?!“

ამოცორიალება ამოტივტივება, წყლის ზედაპირზე ამოსვლა. „ამოცორიალდა, გო, ლობიე, ამოცორიალდა?“; „რომელიცხა ამოცორიალდება ლობიე, არ ვარგა იგი და გარაყარე!“

ამოჭიკვარტება ძირიანად ამოჭრა, ამოძირკვა. „არ ამოუჭიკვარტებია ე თხილი თლათ?! გაისათ რაღაი იქნება მოსამბამი, მარა გაისაამდი კიდო ქე გეიზდება“.

ამოჩუჩუნებული იგივეა, რაც ამოჩუნჩხულებული.

ამოჭინჭირაქებული კარგად, საგულდაგულოდ ამოკერილი, ამოგვირისტებული. „ჭინჭირაქამ თქვა: „ვაჭინჭირაქე, ვაჭინჭირაქე და ამოვაჭინჭირაქე“.

ამოხვრელა ამოთხრა, ცხოველის მიერ მიწაში ხვრელის გაყვანა. „აქანე დავტოვე კატლეტები ტაფაზე, კატა ვერ შამოვა-თქვა, დაჭიტული მქონდა ყორფელი, არ შამოსულა?! მიწა ამოუხვრელია, ამოსულა შითე“.

ამძაღება (გარამძაღება) გადამწიფებისაგან ნაყოფის გაფუჭება. „თუა წუმა, გარამძაღდება, თხლესავეთ შეიქნება ლეღვი, არ ვარგა საქმელათ“ (შდრ. ალავ. ლეჩხ. ამძაყებული; რაჭ. დიალ. ამჩახება).

ანაბრე (|| ანაბირე) მის საქმეს ჯანდაბას, არ დავეძებ. „ერ ფუთ სიმიდას ხო მიყიდის, ანაბრე მის საქმეს, გევიტან მაინც თავს!“ (შდრ. წერ.. ვ. ბერ.).

ანაფაქება გათავება, შეჭმა; განიავება. „რო დაჟდენ სუფრაზე, ხელათ ანაფაქთა ყორფელი“; „გაანაფაქა ილარიონის ცხოვრება ამ ბიჭმა“.

ანგელოზების ფეთება დაშინება, შეშინება, გამოდევნებით დაფრთხობა. „ბალზე შეპარულა ბაღნები, მევენთე და კარქათ ვუფეთე ანგელოზები იგენს, ეყოფათ ერხანს“ (შდრ. სახოკ. ანგელოზების დაფრთხობა).

ანგეში სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობა დაუდგენელია. „ანგეშივით ქალია, რო დეეტაკოს ხეს მოგლიჯავს“ (გაჩეჩ., ალავ. ოკრიბ.).

ანდღლოული ამღვრეული. „ანდღლოული ოტკაა აგერ, წეიღე“ (ჟღ., რაჭ. დიალ.).

ანკრათ გაკვრით, ზოგადად, ზერელედ, ჭორად. „ანკრათ თქვა რაცხა დეაშენმა“ (ქავთ. III, ჯაჯან. II, ძოწ., შარაშ., გაჩეჩ.).

ანკრათ ცოდნა წინასწარ მიხვედრა. „ვიცოი ანკრათ, რო შერიგდებოდენ იგენი“.

ანწალე ჩალის დასაკიდებელი მაღალი ბარჯა გასხეპილი ხისგან დამზადებული. „რამდონი ანწალე ავკიდეთ დღეს?“; „კოლექტივის ანწალესავეთა“ — ძალიან მაღალია (საბა ანწალა, ქავთ. მოხ. ანძალი).

აპელაცია ოპერაცია. „ახლა მე აპელაცია გევიკეთე ვანში, გრიჟის, ყველა ექიმა, ქალმა და კაცმა გამსინჯა, გაროურჩი!“ (ძოწ., რაჭ. დიალ.).

აპლიონი ზენიტი, უდიდესი სიმაღლე. „აქიდან რას გეიგეფ, აპლიონშია ასული“ (შდრ. ქართლ. ლექს. ძალზე დაქანებული ადგილი).

აპლიონის წვერი უდიდესი სიმაღლე. „რა ამბავია, რო ეიტანე მაი გიდელე აპლიონის წვერში“.

აპუნწკულებს მცირედ წვიმს, ოდნავ რომ ასველებს ბალახებს და ნიადაგს. „აპუნწკულებს წუმა ზეი-ზეით და ბალახს ქე ახარეფს. თლა ბალახის ამიდია. ფუნთხლი წუმა თავებს ქე უსოლებს ბალახებს, ქვეით კარ ჩადის. თუ გოუგრილე ბალახს, მეტი კ'არ უნდა, წამეიზდება ხელათ“.

აპუყიალება სინათლისაგან თვალის მოჭრა. „ამიპუყიალდა თვალები“; „თუ კაცი ხარ, გააჩოჩე მაი ლამპა იქით, ამიპუყიალა თვალები“.

აყღნობა დაპკნობა, მოპკნობა სიცხისაგან. „ზეით ეზოში კაია და აქანე აყღნა ლობიე, აყღნა თლათ“.

არაბი კურდღლისტუჩა, დაბადებიდანვე ზედატუჩგაჭრილი. „ტუჩი აქ გაჭრილი არაბს კურდღელივით, დაყობა იგი“; „არაბი არა მა ბალანე, მარა ე პკილები მოუჩანა თლათ“ (ქეგლ კუთხ. რაჭ., ვ. ბერ.).

არაკაცი არავინ. „არაკაცი არ ტიროდა?“; „მერეში ცხენმა გარმომიყარა საპანე, არაკაცი არ გამოჩთა, კაცო, ორი საათი ვიყაი იქინე გაჩერებული“ (ქეგლ კუთხ. გურ.).

არალოიც არასოდეს, არასდროს. „არალოიც არ ყოფილა ასე“.

ამოჭინჭყვა (სარეცხისა) ზერელედ, სწრაფად ამორეცხვა სარე-

ცხისა. „მაცა, ბიჯო, ერწამას, ამოვჭინჭყავ პეტერას ამ სარეცხს და მოვალ, კაი გარეცხვას კარ ვჩივი“.

არაფელი არ გამოდის მა(გ)ის ხელიდან არაფერს არ აკეთებს, უსაქმურია.

არაფერი კაცი არავინ. „არაფერი კაცი იმას არ ემადლიერება“.

არ გადივა წყალი უეჭველია, აუცილებლად მოსახდენია. „არ გადივა წყალი — ორშაფათს თფილიში უნდა წევიდე!“

არ გავდა უკანა კარში არ ვარგა, არაფერი მნიშვნელობისა არაა, მისგან არაფერი არ გამოვა. „მაის გაკეთებული საქმე არ გევიდა უკანა კარში!“.

არ დამბარებია არ შემრგებია, არ მიმიღია, არ მიჭამია. „ერი კვირეა აგერ, არ დამბარებია ნახევარი ჭადი“.

არეკვა (ჭადისა) კეცებიდან გამომცხვარი მჭადის აღება. „ასარეკია აწი მა ჭადები, ქე გამოცხობოდა ამდონ ხანში“ (ქეგლ კუთხ. გურ. არეკს).

ართვალე ულამაზო, უშნო, შეუხედავი. „ართვალეა ნემეტანი საწყალი მა გოგო. ვის მეეწონება, მოუწონებელი სახე აქ.“ (სახოკ., ძოწ., გაჩეჩ.).

არუთანე გაუგებელი, შტერი. „აფერს რო არ ჩივა, იმისანე“; „გასაღები ვერ უნახია და დოუტოვებია სახლი ღია, არუთანე ხალხია მაგენი“; „რაფერ არუთანე რაია, კაცო, ამისანე ხალხი მართლა არ მინახია!.“; „ამიხელა გოგო დიდი არუთანე რამეა, არაფელი არ გამოდის მისი ხელიდან“ (ღლ. გურ.).

არ ჩაგივა ფეხი არ გამოგივა ეგ საქმე. „ჩემი სახკარის ხელში ჩაგდება უნდოდა, მარა არ ჩოუვდა ფეხი“.

ატანტალებული სწორად ნაზარდი მცენარე. „ეგერ ქონდა ჭადარი ექვთიმეს ზეით, ატანტალებული რომე!.“.

ატეხილი მაქვს მაქვს, მჭირს. „გულის კანკალი მაქ ატეხილი აგერ ერთი ხანია, ვერაფელმა ვერ მიშველა“.

ატოტოზებული ტალახი. „ნაწუმარზე რო ნახავ, ფუნა და მიწა რო იქნება ერთმანეჩი არეული, ატოტოზებულია აქანე ყორფელიო, ვიტყვით“.

აფამფალება აფუვება, ამჟავება, ადუღება. „აღარ გემევიდა კაი ამიდი და გამიფუშტა ტყლაპი, აფამფალდა ყველე“.

აფიცხებული ჭადი „კეციაზე რო დააკრავ უნეშუო ჭადს,

ავაუენეფ ი კეციას, მივაფიცხებ ცეცხზე, უკან შოუყუნეფ რამეს, ე, იგია აფიცხებული ჭადი".

აფლიკვინება ატირება, ხმით, ფშლუკუნით ტირილი. „მე ვიყაი, რო ავფლიკვინდი და დაგანებებიე თავი, თვარა ყიდდი შენ მაგას".

აფუმფულებული აფუებული. „საფუარს რო უზამ, აფუმფულდება პური".

აფურცახებული ანგრეული, არეულ-დარეული. „რო მოვა დათოიე აქანე, აფურცახებულია ყორფელი, სანთხიას გავს თელი სახლი".

აფულურებული მობუზული. „შარშანაც მომიკვტა მასე მე ორი ჭუჭული, აფულურებული იყვენ და საშმელი არ ჭამეს" (ქავთ. I აფულვა, გაჩეჩ. იფულება, შარაშ., შდრ. წერ. ფაღვიანი).

აფუყული ავადმყოფურად მობუზული. „ე ქათამი ისეა აფუყული, რომე შეილება ჭირი ჭირდეს".

აფშტვერილი ზევით აწეული აშვერილი. „მოაჭერი ეგერ ჯოხი როა, აფშტვერილი ჯოხი".

აქიდან და აჭარა სად ეს და სად ის, ე. ი. შორიშორსაა ერთმანეთისაგან. „მაის ვერ გევიგე მე ვერაფელი... აქიდან და აჭარა... რაი უნდა მაგას ვერ გევიგე!" (შდრ.: აქედან და ახალციხესაო, აქედან და აბურიანიო — მიხვეულ-მოხვეული ლაპარაკი).

აქობაამდი ა/იქამდე. „ეგი ჩაკერე აქობაამდი" (შდრ.: ძოწ. აქობამდი, ბერ.ჯავახ. აქობამდინ).

აქონქროშებული მხნე, ჭარმაგი. „შალიკო ქეა დიდი ხნის, მარა რაფერი კარქათა, აქონქროშებუულია ნელათე, ნემეტანი კარქათა".

აქორებული გახარბებული, გაშურიანებული. „თენგისიას მოუხთება ისე, ნემეტანი აქორებულია, სხვიზა უნდოდა გლახა და თვითან დეემართა".

აღანღალება განათება, ბნელ ღამეში ელვის მიერ გარემოს განათება. „ვაიმე, რა უბედურათ აღანღალებდა ელვა წუხელის".

აღაზღაზება განათება, გამონათება; ელვის ნათება. „ძირისკენ ბდგვენაა დიდი, ამ დილაზე აღაზღაზებდა უბედურათ" (შდრ.: ქავთ. III აღაზღაზება — ძლიერი ცეცხლის გაჩაღება).

აღარაა თავს — უიმედოა, იტყვიან გამხმარ ხეზე. „მეგონა ე ხეი გაროურჩებოდა ამ ზამთარს, მარა აღარაა თავს".

აღარ უდგია სული ძალიან გამხდარია, სუსტია. „მაი გოგო რაფერაა, ხო უყურეფ, სული აღარ უდგანა და მაი მოუვლის იმიხელა ოჯახს?!"

აღერღილი 1. შეუძლოდ ყოფნა. „ერთი წელიწადი ქე იყო აღერღილი ტარასი, მერე ჩაწვა ლოგინში და სამ-ოთხ თვეში ქე გათავდა, ალბათ იმასაც კიბო ქონდა ფილტვის“ (შდრ.: შარაშ). 2. შარზეა, ჩხუბის მიზეზს ეძებს. „რაცხა გლახათ ხარ აღერღილი შენ და ჭკუიანათ იყაი, თვარა გაყურებიეფ სეირს!“

აღირღიტებული სუსტად ნაზარდი, მაგრამ სიმაღლეში წასული. „დოუბეროს ქარმა, დააფენს ძირს თლათ“.

აღმი სარეველა მცენარეები და ეკალ-ბარდი. „ყანაში აღმია თელათ, გუშხამ ტყემლის მოსახეკათ ვიყაი და შევხედე, აღმია შითე...“ „ეი სამჯენ გავთოხნე მე წროულს, თვარა აღმი იქნებოდა, ვერ გეიარდი“.

აღძოლება აყროლება, ცუდი სუნის დაყენება, აქოთება. „აღძოლებულია ყორფელი უბედურათ“; „რა ამბავია, რო აგიღძოლებიათ აქანე ყორფელი“; „აღძოლებული იყო აქანე ყორფელი, აქანე რაფერ ჭამდა კაცი“; „წეიღე, ბებია, რაცხაა მაი [აცეტონი] იქით, არ ააღძოლე, შე კაცო, ყორფელი?!“ (შდრ.: ქავთ. I ამდღზოლება, ქავთ. III აღზოლებული. აღ(რ)ძოლება).

აყვრიალებს თვალებს გაბრაზებულად, გამწყრალად იცქირება. „რას აყვრიალეფ თვალეფს გულმოსული ძაღლივით!“ (შდრ.: ქავთ. II ამყვრიალებს თვალებს, რაჭ. დიალ.).

აყლანცული მაღალი, აზრდილი, სიმაღლეში წასული. „აყლანცული ბალახი ავდარში ნაზარდია და რო გეიარ, ხელათ მეითელება“; „მაი კრანი მოტყტება ახლა, წევე არა აყლანცულ(ებ)ული“ (ქეგლ აყლარწული, გაჩეჩ. აყლაყული, მენთეშ. აყლარწული, გრ. ბერ. ჯავახ. აყლიო).

აყურყულებს თვალებს შავთვალა არსებაზე იტყვიან, რომელიც მორცხვად ზის (შდრ. ყურყუმალე). „შევხედე და ეგერ იჯდა ვაშლი ძირში და აყურყულებდა თვალეფს!“.

აშვატება ხელში აყვანა, ახუტება. „— ამიშვატე, დედა! — ახლა ამას აშვატება უნდა და არაფლიზა არ გაჩერდება“ (შდრ. შარაშ. აშვატიება).

აჩაიანი თავზეხელაღებული, უსაქმური, არაფრისმაქნისი. „მაის ძმაი არაფლათ არ ვარგა, ასე დეიარება აჩაიანებული ზეით-ქვეით“.

აჩარექებული მოკლე, მაგ. შარვალი — შუა წვივზე მწდომი, ერთ ჩარექზე (= ციდაზე) აწეული, დამოკლებული. „გეიხადე, მა აჩა-

რექებული შარვალი რო გაცვია!“ (შდრ. შარაშ. აჩარიქვა — აკაფვა; მარტ. ჯავახ. აჩარექამს).

აჩენჩქვა არევ-დარევა ნარჩევის გამოსაცალკავებლად. „თხილი ორჯენ-სამჯენ უნდა აჩენჩქო, მომთავრავ მერე და ცაკე დაყრი ჩენჩქს, თხილი ქე დარჩება იქინე“.

აჩვენიება ათვალწუნება, თვალის დადგმა, ამოჩემება. „აჩვენიებული ყავს, გლახათ ექცევა“. „ეიჩვენიეფს ახლა ამას და არ მიცემს საშველს“ (ქავთ. II, ჯაჯან. II).

აჩიხჩახებული ტალახი და წყალი ერთმანეთში არეული. „ვერ გეიარ გზაზე, აჩიხჩახებულია ყორფელი, ძულათე გარმევიმწტალე აქით“.

აჩოხჩოხება ატალახება (ქათმების ან სხვა წვრილფეხა საქონლის ნაფეხურებისაგან მიწის აჩიჩქნა და ატალახება). „ქათმები აწრიალებულია, ააჩოხჩოხენ ყორფელი“.

აჩუყული მობუზული. „აჩუყულია ინდოურივით“; „ე ქათამი აჩუყულია, ალბათ ჭირი ჭირს“.

აცანცქვა პირწმინდად აკენკვა, მოსუფთავება. „არ ოუცანცქიათ თლათ ამ ქათმებს პური კეკალი?!“ (შდრ.: შარაშ. აცუცქვა).

აცვენილი ჭკუამხიარული, უდარდელი, უწესო ქცევის კაცი. „პეტერე აცვენილი კაცი ქე იყო მაი“; „დიდი აცვენილი ვინმე იყო გიორგიე ქაფურე“.

აციო ღორის გასარეკი შეძახილი (შდრ.: გაჩეჩ., ქავთ. I აცი!).

აწენწვა სიმაღლეში წასვლა, მეტად მაღლად გაზრდა. „ე ჩემი ლობიები... არ ამბია, თვარა ეიწენწა ე ისე...არ მაქ მე საადრიო ლობიე, იმის სათესური არ მაქ“.

აწინწიხებული ნაწვიმარი და ატალახებული მიწა; ატალახებული და ცხოველებისგან აჩიჩქნილი მიწა. „ტალახია, ბიძია, აწინწიხებულია ყორფელი, ხო ხედავ“; „ხო ხედავ რაფერ აწინწიხებულია ყორფელი, დღეს ტყეში რავა წეისვლება!“ (შდრ.: ძოწ. აწუნწუხებული, აჭენჭეხებული; გრ. ბერ. ჯავახ. აჭონჭოხებული).

აწრაპვა სიცხისაგან დაჭკნობა, ფოთლების შეჭნობა. „ამ სიცხემ ჩემ ეზოში მაინც ისე აწრაპა სიმიდე, რომე აჰ... სული აღარ უდგანა. მაგი თუ შემობრუნდება აწი, აღარ ვიცი...“

აწრაპული სიცხისაგან დამჭკნარი, ფოთლებამჭნარი მცენარე. „აქით გვალვა იყო ალბათ, შეხედე რაფერა აწრაპული სიმიდე!“

აწუწკუნებული ტკივილისაგან შეწუხებულ-ატირებული. „ნაფცეცია რო იყო, წავარდნაზე ქონდა თითი, მევიდა ე ბაღანე აწუწკუნებული, შემახედა; — ნუ გეშინია, ბებია, მაგიზა ტირი-მეთქინ?!“ (შდრ. ქეგლ აწუწკუნდება იგივეა, რაც აწკმუტუნდება).

აჭალვა მცენარის სიცხისაგან დაჭკნობა. „წუმა უნდა ლობიას, გუშხამ იყო ორ დღეს სიცხე და ეიჭალა ლობიე თელათ“.

აჭინჭრაქებული ბევრი, მრავალრიცხოვანი. „ამდონი აჭინჭრაქებული ჭუჭული რავა გეიზდება ერთათ, საჭმელით ვერ ოუთავდები მაგენს“.

აჭიქმახურებული აწვრილთავებული, წვრილ და საშუალო მარცვალთა ნარევი. „წროულს რათ ვარგა თხილი, აჭიქმახურებულია თლათ, ნაკლებია“ (შდრ. ჯაჯან. III ჭიქმაყარა).

აჭორტოლებული ბევრი, მრავალრიცხოვანი. „აჭორტოლებული ყავს ბაღნები!“ (შდრ. გაჩეჩ. ჭორტოლი).

ახალი გადარეული შეშლილი, გაგიჟებული (ე.ი. ჯერ უმკურნალო შეშლილი).

ახალმოზდე თხილის ნერგი სამ წლამდე. „ჯერ რას მეიბამს ე თხილი, ახალმოზდეა ჯერე“ (შდრ. ქეგლ ახალმოზარდი; როსტ. ინგილ. ახალმოზდა).

ახახიებს გულს სხვას ჯავრს სხვაზე იყრის. „შენ, ბიძია, სხვაზე ხარ გულმოსრული და ჩემზე ახახიებ გულს?!“.

ახინცლული აცმული. „პოლიამ მომცა გუშხამ ახინცლული პიმპილეები ქვეყანა, გავაშროფ ახლა იმას და ქე მეყოფა თელი ზამთარი“ (შდრ.: უთურგ. თუშ. ჭინცვაჲ).

ახმი ტერფის სიმაღლე. „დიდი ფეხი კარ აქ ამ ბაღანას, ახმი აქ დიდი, მიტო ვერ აცუმ ფეხსაცმელს“; „კაი ტუფლია, მარა თხელი შეკერილია, ახმში არ ჩამივა“.

ახრინწებს გაგრძელებულად და ნელ-ნელა ხველა. „რო ახრინწებ ასი წლის ბებერივით, ვერ ჩეინცუმ, ბიძია, თფილათ რამეს?!“.

აჯბეჭირე მაღალი, მსუქანი და ასიმეტრიული, უშნო ტანის ქალი. „რაი მოათრია მაი აჯბეჭირე, რაი!.“ (შდრ. შარაშ.).

ბაბნიკი არშიყი კაცი. „მაი, ბეჩა დიდი ბაბნიკი კაცი ქე იყო“.

ბაბუეშვილი ერთი წინაპრის შთამომავალი, განაყოფი. „ერთი ბაბუეშვილები ვართ, დედა, შენ, ჩვენ და შოთაიე“.

ბადრაგობა მოვლა, პასუხისმგებლობის აღება, ნდობა. „მე ვერ ვიბადრაგეფ მა ბაღანას ვერაფლიზა, რო მეეწიოს რამე, რა შობი! რაის გულიზა უნდა ქნა?!“ (შდრ. საბა, ქეგლ ბადრაგა).

ბალანჭა სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა დავიწყებულია. „რათ ვარგა საქონელი გაზაფხულზე, ბალანჭასავეთა გარაქცეული“ (ე.ი. ძალიან გამხდარია, გამოფიტულია).

ბალდათე სუსტი ნებისყოფის მქონე, საწყალი კაცი. „ბალდათე კაცი იყო გოგიელე, ცოლიც ქე გოუბედავდა ყორფელს და შვილიც“; „შენ თუ მასე იქენი ბალდათე და გლახა!“

ბამბამაყვალე უეკლო მაყვალი (დედალი მაყვალი. შდრ. მამალი მაყვალი დიდეკლებიანი მაყვალი). „ყანაში იცის გახეთქა ბამბამაყვალამ“ (შდრ. ქავთ. I, წერ., ალავ. ოკრიბ., ძოწ., გაჩეჩ., რაჭ. დიალ.).

ბამბლავი ენა ფარისეველი, მლიქვნელი, პირში მომფერებელი. „დიდი ბამბლავი ენა აქ, პირში გეფერება და ზრუგს უკან მიწას გითხრის“.

ბანს პირს სირცხვილს აცილებს, მდგომარეობიდან გამოჰყავს, დაშვებულ შეცდომას ასწორებს, ამართლებს. „მაროიე ასე შტერი თუ იყო, კარ ვიცოი, თურმე დათიკო ბანდა პირს“.

ბანძელი გადატ. დიდი ქურდი. „დიდი ბანძელი ვინმე იყო სულწაწყმედილი, ქვას აციებდა“.

ბარდღალიე კარგი შესახედავი სახეზე, ნათელი სახის მქონე. „კაი ბარდღალიე გოგო იყო“.

ბარტყი იღლიაში ტანსაცმლის გასაფართოებლად ჩაკერებული პატარა ნაჭერი სამკუთხედის მოყვანილობისა. „ე კაბა ვიწროა მაქ გულზე, მარა არაფელი უჭირს, ბარტყს ჩავაკერეფ და მაინც ქე ჩევიცუმ“.

ბარჩხალიე კარგად გამომშრალი, სუფთა, წმინდა, კარგი ფერის მარცვლები (სიმინდისა, თხილისა...). „კაი მოსავალი იყო წროულს, რა კაი ბარჩხალიე სიმიდია!“ (შდრ. შარაშ. ბარჩხალი მარჯვე, ყოჩაღი).

ბარძაყანე დიდი ზომის. „დიდია, ბარძაყანე [დედალი], მაი მე-

კვერცხიე არც ქე იქნება“; „კაი ბარძაყანე ჯიშის დედლები მყავს, სახორცეთ კაია, მარა კვერცხის დებაში პეტერე ნაკლები არიენ“; „რათ მინდა ერთ სულს ამიხელა ბარძაყინე ბუხარი, უფეხოს გავაკეთეფ პეტერას და მე ქე მეყოფა“.

ბარძგალი გულისა ძლიერი გულისცემა, გულის აჩქარება. „ბაზარში ველარ დევიარები, ველარ. წევეი გუშხამ და რო ამევედი, უბედურათ მიბარძგალობდა გული“ (შდრ. ვ. ბერ., ქავთ. I).

ბატონი ყოფილა ბევრად უკეთესია მეორესთან შედარებით, გაცილებით კარგია სხვასთან მიმართებით. „ე ჩვენი დათაიე ბატონი ყოფილა ვაჟაიეს ბაღანასან, ერთი არ უტირია იქინე და იმან ეიკლო იქოურობა“.

ბაღანჭელე ბატარა ბავშვი (დამცრობით). „ჭენზა ცალია იმ ქალს, ბაღანჭელეზა, იმ ჭკუაზეა!.“; „ვაგდეფ ახლა იმ ბაღანჭელას რამეთ, ისე ველაპარიკები თვარა?!“

ბაღდათი გადატ. კარგი ადგილი, კულტურული გარემო. „სულ ყანაში რო ვმუშაოფ, ტყეში, რო გამუალ აქით, ბაღდათში მგონია თავი“; „ეგი კაი ბაღდათი ადგილია, მიტო ღირს ძვირი“ (შდრ.ალავ. ლეჩხ., ვ. ბერ. ბაღდავანი, თ. სახოკ.).

ბაყაჩელე დაბალი და გაშლილტოტებიანი ძლიერი ტანის ნერგი. „გაშლილი ბოლები აქ, ზეით აბუჩქულია, ე, იმას უძახით ბაყაჩელას“; „ერთია კიდო ქვეით კაი სხმარტლის ნერგი, კაი ბაყაჩელეა და იგი წეიღე“ (შდრ. საბა ბაყილა ახალი ნორჩი ხილის ხე; ქავთ. II, ძოწ. ბაჩა დაბალი, ტანმორჩილი).

ბაყვი მუხლის ზედა ნაწილი, ბარძაყი. „დეეცი და იმისანე დალურჯებული მაქ ბაყვი!.“ (საბა, ყღ. გურ., მარტირ. ჯავახ., ძოწ.).

ბაძგნარი ეკალბარდებიანი გაუვალი ტყე. „მაი კაბით მოხვალ ი ბაძგნარში? დეგეხევა თლათ, ძველი შარვალი ჩეიცვი!“ (შდრ. ქეგლ. ბაძგი მარადმწვანე ბუჩქი, თეთრყვავილიანი, მოშავო-წითელნაყოფიანი).

ბაძგური მთვრალი კაცის ბორძიკი. „შამევიდა სახში, საცხა დამთვრალა, ბაძგურობს, ვერც დავაყინეთ, ვერც დავაწვინეთ“.

ბდგვენა 1. მეხი, ჭექა-ქუხილი. „ელვა იყო წუხელ, ბდგვენა დიდი“; „დოუბდგვინა ძირისკენ, გეიქეცი შინისკენ“. 2. ხმამაღალი ყვირილი. „დეიპრაწება და რო უბდგვენს ერთს, მერე კველარ მეეკარება აქოურობას.“; „რო გიბდგვენ ერთი, გადიდი უკან დაგჩება!“

ბდღვირივით გაიტანა საქმე სწრაფად, ადვილად და კარგად გააკეთა საქმე. „ჩამევიდა და ორ დღეში ბდღვირივით გეიტანა საქმე!“ (ბდღვირი დიდი მტვერი, კორიანტელი — საბა, ქეგლ. ეღ., გაჩეჩ., რაჭ. დიალ.).

ბევერი დიდი, მეტისმეტი. „ბევერი ფაფას ბევერი სული ბერა უნდაო“ (ანდაზა).

ბეზვა ძლიერი დარტყმა. „იმისანას გბეზავ, რომე ჩაგაყროვიეფ ჰაჰეფს!“ (ვ. ბერ. ბეზვა გარტყმევა-სროლასაც ნიშნავს).

ბეკი შემაღლებული ადგილი, პატარა გორაკი. „ე ბეკი უნდა მოთხარო და მიწა უნდა ჩაყარო საღვარიაში“ (ძოწ., ქავთ. II, გაჩეჩ., ალავ. ლეჩხ.).

ბელეზანე დიდი, უზარმაზარი. „ქალმა ააშენა ეგერ დიდი ბელეზანე სახლი, მიატუა მერე და წევიდა სიძესან“ (ვ. ბერ.).

ბენძღი დიდი ტანისა, უშნოდ მსუქანი ადამიანი. „რო ჟანა ამიხელა ბენძღი ქალი ტყულათე, ვერ იმუშაეფს?!“ (გაჩეჩ. ბენძღი, შარაშ. ბენძეხი, ქართლ. ლექსიკ. ბენცხი, ბენძღი).

ბერძული თხილი თხილის ერთ-ერთი ჯიში, აქვს მეტად მსხვილი მარცვალი. „აქითრელე ბერძული თხილებია დარგული“ (შარაშ., ქავთ. I, გაჩეჩ., რაჭ. დიალ.).

ბერძული ლეღვი ლეღვის მსხვილნაყოფიანი ჯიში. „ხილს რაი გამოლევს აქანე, აწი ბერძული ლეღვი შემოვა“.

ბერწოული ბროწეული. „რათ მინდა ბერწოული, მოკრიფავ თვარა, ჩაგიშაქრეფს პირს!“ (მაყაშ., გაჩეჩ. ბრაწოული, ბრეწოული).

ბესელე ბალახი სარეველა ბალახის ჯიში. „ბესელე ბალახი არაფლიზა არ ვარგა, საქონელი არ ჭამს“; „ბესელე ბალახი ვარგა საბუდარათ, ქათმის დასაჟენათ, ბუდეში ჩოუფენ“ (ქეგლ ბერსელა, გაჩეჩ. ბელესი, შარაშ. ბერსელაი).

ბექთარი გადატ. მაგარი, მტკიცე, გამძლე. „ბექთარივითა ეგი ფეხსაცმელი, აღარ დაგჯა“ (ქეგლ ჯაჰვის პერანგი, შარაშ. ბეგთარი — მაგარი, მტკიცე).

ბეშტო კენჭობიას თამაშის ერთ-ერთი ელემენტი (იხ. კენჭობია).

ბზიალი ბრწყინვა. „ისე აქ სახლი, ბზიალოფს ყორფელი“; „რაცხა-რაცხეები მაქ კიდო გასაკეთებელი და ნაშამოდექებს იბზიალეფს სახლი“.

ბზუკი მუწუკი. „თხილის კეკლის ხელვანი ქონდა ბზუკეები ხელებზე“ (ვ. ბერ., გაჩეჩ. ბზუკა).

ბინდი სიო, ნიავი, ნელი ქარი. „ბინდი არ იძვრება, ბინდი, იმისანე სიცხეა“. „ბინდი არა, თვარა გარეიღებდა, გამეიდარებდა“ (ჟღ.).

ბიჭაბიჭე ვაზის ფოთოლსა და ლერწს შორის ამოსული ზედმეტი ყლორტი. „იგი ვერ მევიცალე, რო ვენახში ჩავსულიყაი და ბიჭა-ბიჭეები გამემერთმია ვენახიზა“ (ქეგლ, ზ. იმერ., ვ. ბერ., წერ., გაჩეჩ., ძოწ.).

ბიჯგი საყრდენი ხის ბოძი (ძირითადად შეუყენებენ ხოლმე ძალზე მსხმოიარე ხეხილის ტოტებს, რომ არ ჩამოტყდეს). „ბიჯგი უნდა შოუყენო ამ ვაშს, თვარა დატყტება თლათ“ (ქეგლ., შარაშ., გრ. ბერ. ჯავახ., ძოწ., ჯაჯან. I, ჟღ., ქართლ. ლექსიკ.).

ბლაყვი ბლაგვი. „ბლაყვია ე ნაჯახი, არაფელს არ ჭრის“.

ბლაყვიელე უუნარო, ულაპარაკო, მოშტერო კაცი. „უსიყვარულო კაცია რაცხა, უსანდომო, არ დეილაპარიკებს, სასიკეთოთ არ დეგელაპარიკება, იმას უძახით ბლაყვიელას“; „ბლაყვიელე კაცია, გამარჯობა უთხარი, რაცხა მითხრა პეტერე და გეიქცა“ (შდრ. შარაშ. ბლაყვი, ქართლ. ლექსიკ. აბლაყი, გაჩეჩ. ბლაყუნობს).

ბლაყუნი სუსტი და არაზუსტი დარტყმა. „რო უბლაყუნებ ამდონი ხანია, ძირში მიაჭერი ეგი ბოლი, ძირში“ (შდრ. ქეგლ, გაჩეჩ., ქავთ. I, წერ., გრ. ბერ. ჯავახ. ბლაყუნი — უშნოდ და უთავბოლოდ სიარული).

ბლიყიანი ჩიყვიანი. „ი ბლიყიანი თვარ მომიყვანე აქანე, არ დამიდგე ისე“.

ბლურწაიე დიდი ტანისა და უუნარო, მოუხერხებელი კაცი. „ბლურწაიე მოშტეროა პეტერე“; „იონიას უძახოით ჩვენ ბლურწაიას, სახეც უჯერებდა იმას“ (შდრ. ქავთ. I, ძოწ. ბლუწუნა).

ბობოლი აბრეშუმის ჭია (საბა დიდრონი ჭიაჭუა, შარაშ.; შდრ. ალავ. ლეჩხ. ბობოლია — თეთრი).

ბოიკიე დიდი ტანისა. „წეიყვანე მა ბოიკიე ბიჭი და მოატანიე, რას გიკეთეფს მეტს“ (შდრ. საბა, გაჩეჩ., ქავთ. I, ბოიკი — ორი წლის ხარი; ალავ. ლეჩხ.ზარმაცი, მოუქნელი, ჟღ. მოზრდილი ბიჭი, რაჭ. დიალ. უგერგილო).

ბოკონე ხის პატარა ნაჭერი რაიმეს შესაყენებლად (ფეხმოკლე მაგიდის ან სკამის დასაბორკად) „კოჩიალობს ე ლოგინი და ბოკონე მომიტანე ერთი, შოუყენეფ“ (შდრ. ქეგლ, ვ. ბერ., ჟღ. საძირკვლის ნაწილი; გაჩეჩ., ქავთ. I, ძოწ. პატარა სკამი).

ბოლი 1. ხის ტოტი. „ე ბოლები თვარ გათალე, რაფერ გეიტან ისე ამ ჟალტამში მა ხეს"; „კაპჭონიეთ მეიწიე, გო, მა თხილის ბოლი და იოლათ მოკრიფავ" (ქეგლ გურ., ვ. ბერ., გაჩეჩ.). 2. კვამლი. „ბუხრის ბოლი რო წავა პირდაპირ ჰაერში ზეით, ვიტყვით, კაი ამინდი იქნებაო" (ქეგლ, საბა).

ბორიო ზედმეტად ხელგაშლილი ადამიანი. „ბორიოა, ბორიო ფაციე, — იტყოდა ბაბუაშენი, — ქვეყანასა გარაყოლილი და არ უმადლის არაკაცი" (ი. ჭყონ. უთავბოლო; ჟღ. ნელი ქარი).

ბორიო ხალხი უსაქმოდ მოხეტიალე ხალხი. „მაისანა ბორიო ხალხს რა გამოლევს, მაგას რო უყურო შენ, დეიღუპები" (შდრ. შარაშ. ბოროიანი).

ბოლოზი მიწა ნაყოფიერი შავმიწა ნიადაგი. „აქანე ბოლოზი მიწა ყოფილა, მე ქვიანი მეგონა" (ვ. ბერ., ღლ.).

ბოწოწვია ბოსტნის წვრილი სარეველა ბალახი. „ქინძი აღარ მაქ, არ ამევიდა, ბოწოწვიამ ამოასწრო და გაფუჭდა" (ძოწ. ჟუნერუკი).

ბოხორიკე ლობიე ლობიოს ერთ-ერთი ჯიში. აქვს გრძელი ჭრელი პარკები, მარცვლებიც მოგრძო და ჭრელი. შემოდის ოქტომბერში. „აგი საგვიანო ლობიეა, ბოხორიკას უძახით".

ბოხოხვალე მწერი. „რაი იყო ეგი, ზრუგში ჩამივარდა რაცხა ბოხოხვალე და გამეევიყვანე აგერ"; „ქფილში ბოხოხვალეებია და იმიზა ვცრი".

ბჟველე თუთის ხე. „დიდი ბჟველე იყო ეგერ, სახს უკან" (ქეგლ იმერ., გურ. ბჟოლა, გაჩეჩ., ჟღ.).

ბჟოტიალი დაუკვირვებლად, უაზროდ ლაპარაკი. „მასე ბჟოტიალობს მაი სულ" (შდრ. ქავთ. II ბჟოტვა, ჟღ. ბჟუტური).

ბჟუალიე უგულო თხილი, ფუტურო. „წროულს რაც იყო თხილი, ნახევარი ბჟუალეა" (შდრ. როსტ. ინგილ. ბჟიტ — ხორბლეულის უგულო მარცვალი, თხილის კაკალი).

ბჟუტური უაზრო, სულელური ლაპარაკი. „ნუ ბჟუტურობ, ბიჯო, რაცხას უშნოთ, დოუკვირდი ლაპარიკს" (ქეგლ. გურ., გაჩეჩ., რაჭ. დიალ.).

ბჟღარტი ბარტყი. „თხილეფში ბუდე ვნახე და იმდონი ბჟღარტები იყო შითე.."; „შაშვის ბჟღარტები ვნახე, ბარე ოთხი, აფჩენდენ პირს" (ვ. ბერ. ბღარტი; შდრ. ქავთ. მოხ. ჟღარტი — ჭუინტი, ქორფა).

ბუღიალი სისუფთავისაგან ბრწყინვა. „უნდა ბუღიალობდეს ყორფელი, ისე უნდა მოვაწყო სახლი“ (ქეგლ ბუღვრიალი — კაშკაში, შარაშ. გაბუღიალებული — გაჩირაღდნებული, უღ. აბუღრიალება — ანთება).

ბრავანწობა შობის წინა ღამის დღესასწაული. „ბრავანწობას სტუმრები მოდიოდენ ბევრი...“ (შდრ. შარაშ. ბრავაწობა).

ბრევილი ბევრი. „ბრევილი ვიყაით, ოცი-ოზდახუთი ბოფშები მევიყრიდით თავს სამწყესურში...“ (შდრ. ძოწ. ბრავალი).

ბუზუნიე მსხვილი. „წროულს კაი თხილი იყო, ბუზუნიე კეკლები ქონდა“ (ალავ. ბუზუნა — დიდი და მძიმე კვერცხი).

ბუთქვა აფეთქება. „ბუთქა გაზმა და გაჩთა ცეცხლი თურმე“.

ბულთვი ბურთი. „ვითამაშებდით გატანია ბულთვს“; „ყველას ქვონდა ჩვენ-ჩვენი ბულთვები“ (ქავთ. I, რაჭ. დიალ. ბულთი).

ბუმბლი ატმის ხაო. „ატამს ბუმბლი რო აქ, ვერ ვჭამ მე“.

ბუმბულიე თეთრი, რბილი, ფაფუკი. „ისე პური გამოგიცხვე კიდო და იგი ჭამე, კაი ბუმბულიე პურია“; „კაი ბუმბულიე ლები გამევიდა, ჩატეცა და... დაწობი ზეთე და ჩეეფლობი შითე“.

ბუნდუბო ‖ გუნდუბო სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობა დაუდგენელია. შედარებაში ნიშნავს: თბილი. „ზამთარში ჩემ პეტერა სახში რო შეხვალ, ბუნდუბოსავეთა ყორფელი“; „ქალაბანი ნემეტანი კაია ზამთარში, ჩეიფენ ქურჩენას შითე და ბუნდუბოსავეთ გაქ ფეხები“ (შდრ. ძოწ., ქავთ. II დუნდუბო, წერ. გუნდუბო, ალავ. ლეჩხ. გუგუბო, ტუნტუბო, ღუნთუბო).

ბუნთულა ბურთულა (?). „ბუნთულასავეთაა ტევნები“ — ე.ი. მსხვილმარცვლიანი შეკრული მტევნები.

ბუნთულიე 1. მრგვალი, რბილი, ფაფუკი. „ვნახე, რა კაი ბუნთულიე ლეკვები იყო, თუ იცი!“ 2. იტყვიან მსუქან ბავშვზეც. „ბუნთულიე ბაღანეა“.

ბუნტურიე შტერი, სულელი. „ვერ მეიხმარს მერე ი ბუნტურიე ბიჭი რო ყავს?!“ (შდრ. ჯაჯან. I ბუნტური — უმიზნოდ სიარული).

ბურბუტი უაზრო სიარული, ბოდიალი. „დაბურბუტობს ჭირიანი ქათამივით“ (შდრ. ალავ. ბურბუტი ერთ ადგილას ხეტიალი).

ბურნავოთი ‖ ბურნაოთი „პარკის გამონარჩევისაგან ან გუმბრის ცეცხს რო დაანთეფ და დიდი სქელი ბოლი რო ავა ზეით, იმას ვეტყვით ბურნავოთს“. სიტყვა გვხვდება ორ შედარებაში: 1. „ბურნა-

ვოთივით გეიტანა საქმე“ — ე. ი. კარგად და სწრაფად გააკეთა საქმე. 2. „ეს ბრინჯი ბურნავოთივით არ გამხდარა?!“ — ე. ი. გაფუჭებულა, ფქვილად ქცეულა (შდრ. საბა, ქავთ. I, ძოწ., გაჩეჩ., რაჭ. დიალ., როსტ. ინგილ. ბურნა).

ბურტყულე ბალახის სახეობა. აქვს ყვითელი ყვავილი (ქეგლ ბურტყლა, რაჭ. დიალ. ბურტყილა).

ბურული გადახურული; სახლში, შინ. „კუხეა თუ წიფეა, უნდა მოკრიფო, ყანა უნდა მეიწიო , უნდა შეიტანო ბურულში“ (ქეგლ, ვ. ბერ., შარაშ. ისლის სახურავი, გაჩეჩ. ყოველგვარი შენობა გადახურული).

ბურძგალე წაბლის ნაყოფის გარეთა ეკლიანი გარსი (ქავთ. II, ყღ., გაჩეჩ., ქართლ. ლექსიკ., შდრ. ქავთ. მოხ. ბურძგალაი ჩია ტანის და გაჩეჩილი ადამიანი).

ბურძუკი უსაქმოდ აქეთ-იქით ხეტიალი, უმიზეზოდ, უსაქმურად სირბილი. „ტყუილა დაბურძუკობს ზეით-ქვეით, რა ფიზაკს მეიკიდებს მაი?!“; „თელი ღღეი ტყუილა რო დაბურძუკობს ბაღანე, ქე მაინც წევიყვანდა და მომეხმარება“.

ბუსკუნი კანქვეშა მუწუკი, კანქვეშ ამობურცული ადგილი. „გოგიტელას ბუსკუნები გოუჩთა ფეხზე“ (შდრ. გაჩეჩ. ბუსკუნჩულა. ქავთ. I ბუსკუნა — ჩასკვნილ-ჩასუქებული).

ბუქივით გაიტანა საქმე კარგად და მალე გააკეთა ძნელი საქმე. „მაგი იმ.სანე ჭკუიანია, საცხა მივა, ბუქივით გეიტანს საქმეს“.

ბუქურიე მსუქანი, მრგვალი, ფაფუკი ბეწვით დაფარული პატარა ცხოველი (ლეკური, დათვის ბელი და სხვა). „შეხედე, გო, რაფერ ბუქურიე ლეკვებია!“.

ბუღა ვაშლი ვაშლის ჯიში, აქვს მსხვილი წითელი ნაყოფი. „კარნელს ქონდა ერთი ბუღა ვაშლი, თელი ბაღნები ვიყაით მიჩერებული იმაზე, ვიპარავდით“ (შარაშ.).

ბუცი თხის მოსახმობი ძახილი (შდრ. გაჩეჩ., ქავთ. II, რაჭ. დიალ. ბუცაობა, ქავთ. მოხ. დაბუცება; ქართლ. ლექსიკ. ბუცი —შტერი, სულელი).

ბუხუნიე მსხვილი, დიდი. „სარშან ამ დროს იმისანე ბუხუნიე კაკლები ქონდა რო... წროულს არ ვარგა თხილი“; „დიდვრანი ბუხუნიე თავები აარჩია და იგი იყიდა 80 კაპიკათ [კარტოფილი]“.

ბუჯური საქმიანობა, ფაციფუცი. „ეგი რაცხას ბუჯურობს სახში“ (ვ. ბერ., ჯაჯან. II, ყღ., ძოწ., ა. ღლ. ბუჯური — ძებნა).

ბღანკვი მხრებში მოხრილი, გამხდარი არსება. „მაი ბღანკვი რაღა საქმეს გაგიკეთებს...“ (ვ. ბერ., ჟღ. ბღინკი, ქავთ. II ბღუნკი).

ბღორე დიდი გამოფუტროებული, გამოღრუებული ხე. გადატანით დიდი ზომის ნივთი. „ალექსანდრემ იყიდა ამიხელა ბღორე [რადიო], უდგანა ახლა გაფუჭებული და ქეა. — კაია, ბიჯო, ლობიას მაინც ჩაყრის შითე...“ (ირონ.); „მიაჩერდი ახლა ამიხელა ბღორეს [გაფუჭებულ რადიოს] და იყაი!“ (შდრ. შარაშ.).

ბძენი გადატ. დიდი ადამიანი, ასაკსრული (ყოველთვის გამოიყენება ბავშვთან მიმართებაში, დაპირისპირებისას). „ბძენი კარა, ბაღანე არ გააკეთებს მაგას...“; „ბაღანეც ჰამს და ბძენიც, რო გავაკეთეფ ახლა საჸმელს“.

ბძოლა ჩხუბი. „უბედურათ ებძოდა“; „მასე მებძვი შენ მიდღემჩი, რაი გინდა, რაი?!“

გ

გაალეშუმა ენა ბევრი ილაპარაკა ტყუილ-მართალი. შდრ. ლეშუმი. „თავი ამატკია, რო გაალეშუმა ენა, აღარ გაჩერდა...“

გააფიჩინა ფეხები ირონ. მოკვდა.

გააფცქვია სული ირონ. მოკვდა. „გაციებულა დედაბერი ზამთარში და ქე გააფცქვია სული ზეთ“.

გაახლება თხილისა ძველი ტოტების გამოჭრა, გამეჩხერება თხილის ნერგისა ახალგაზრდა ნერგების წამოსასვლელად. „დიდვრანი ბოლები რო აქ ძირში, იგი უნდა ამოჭრა, ხელახალი უნდა ამეიყაროს, უნდა გააახლო თხილი“.

გაბაზბაზება შემზადებული მასის გასქელება და გაფუება. „სამი კეკალი კვერცხის ეკუთნის ერთი საღვინე ზეთი... გასკელდება იგი, გაბაზბაზდება...“

გაბალანჭებული ძალიან გამხდარი, გაძვალტყავებული. „რათ ვარგა საქონელი გაზაფხულზე, გაბალანჭებულია“.

გაბერილია გულზე გაბრაზებულია, განაწყენებულია. „მომკლა მაგან მე, მიდღემჩი ასეა გაბერილი გულზე“.

გაბიზინებული გადიდებული, გასიებული, გაბერილი. „რაღათ მინდა კიდო ქლიავი, რაი ჰამს მაგას, გაბიზინებული მაქ კუჭი“ (ქავთ. I, III, ალავ. ლეჩხ.).

გაბიძგვა საჩხუბრად გაწევა, გაჭიმვა. „ნუ იბიძგები, ბიძია, შენ, თვარა მოგხვეთება ლაყუჩებში იმისანე, რომე ცხრა ყირას იზამ“.

გაბრიგინებული გასიებული და გამაგრებული. „საქონელი რო დეიხჩვება, გაბრიგინდება მუცელზე, ე, იმაზე ვიტყვით, გაბრიგინებულიაო მუცელზე“ (შარაშ., გრ. ბერ. ჯავახ.).

გაბუნთულება დარბილება და გაფაფუკება. „გაშრება ყაჭი და გაბუნთულდება მერე... ვსტავდით მერე იმას, სქელი გამოდის იგი“.

გაბუჟბუჟება გაფუება, რბილად და ფაფუკად ქცევა. „თავსაბანი მიწით რო დეიბანდი თავს, მერე ძმარს გარეივლობდი და ნემეტანი კაია იგი, გაბუჟბუჟდებოდა თმაი“ (მენთეშ., გრ, ბერ., ჯავახ.).

გაბურაქებული გასუქებული, კარგად მოვლილი საქონელი. „კარქა უვლიდით და ჩვენი თხები სულ გაბურაქებული იყვენ“.

გაბურჩხალებული კვირტებიანი და ფოთლებიანი ნერგი. „ა, რა კაი ნერგია აგერ, გაბურჩხალებული“.

გაბუღაღებული გასუქებული. „ომის დროს ქაშას და კარტოფილს ვჭამდი და ქე ვიყაი გაბუღაღებული“ (შდრ. შარაშ., ძოწ. გაბუღვებული).

გაბუძგული გაჩეჩილი, გაწეწილი. „დეიბარცხნე, გო, მაი ბანალი, რო დეიარები გაბუძგული“ (შდრ. ქეგლ გაბურძგნილი).

გაბღალვა გათვალვა, თვალის ცემა. „პეტერე ლუკმა თვარ ჩეიდეი პირში დილას, გეიბღალები“ (შდრ. ჟღ. გაღალვა).

გაბღანკული მხრებში მოხრილი, გამხდარი არსება. „ღორზეც ვიტყვით, გაბღანკულიაო, — გამხთარი და წელში მოხრილი“ (შდრ. ვ. ბერ., ჟღ. ბღინკი, ქავთ. II ბღუნკი).

გაბღენძილია გულზე გაბრაზებულია, განაწყენებულია. „მაისას რას გეიგეფ, გაბღენძილია გულზე მიდღემჩი“.

გაბღოზვა ღრმად გაჩხაპვნა, გახაზვა. „ჩემი მარშინა ქუჩაშია მიდღემჩი დაყენებული, გეეარა ვინცხას, გეებღოზა ლუსპინით“. „არ გამბღოზა წივი ამ ოხერმა?!“

გაგალებული არაყი რბილი არაყი (ქეგლ გაგალდება; შარაშ. გაგალება).

გაგვინძღული დიდმუცლიანი. „გაგვინძღულია ორსული ქალივით“. „თვეში ჩამდგარ ქალივითა გაგვინძღული“.

გადაამინდება გადადარება. „გარეიამინდა და კაია თხილიზა“.

გადააჯორგა ერთმანეთზე უსწორმასწოროდ გადაადო, დაახვავა. „შე, არ გარაყარა მონაჭერე და არ გარააჯორგა ჩემ თხილეფს?!“

გადაბრუნება არყისა არყის ხელმეორედ გამოხდა სიმაგრისათვის. შდრ.: ორნახადი არაყი.

გადაბანი ოდნავ დამრეცი, თითქმის სწორი სახურავი სახლისა. „— ხოა ჩხოტიო? — თლა გადაბანი არა, მარა რა ვიცი... თუ ჩამევიდა თოული, კაია“ (შდრ.: ქვ. გადაბანი).

გადაბარდღალებული მკვეთრი, ცოცხალი ფერისა, კარგი შესახედავი. „თელ ბოსტანში ყვავილია თლა გარაბარდღალებული, ერთი კიტრი არ აბია სამე“.

გადაბდღიალებული კარგ ფერზე მყოფი, ჯანმრთელი შესახედაობისა. „კარქათა, რაი უჯირს, გარაბდღიალებულია სახეზე“. „ვასასი რა კარქათა თუ იცი, გარაბდღიალებულია პირზე“.

გადაბორგება (გარეებორგა) მოლანდება, მოჩვენება, წინ გადაღობვა. „მამაჩემს ყავარი მოაქ თურმე ფთიდან, ხოდა, ხიდი ქონდა იმას გამოსავალი საცალფეხო და ცხენი წყალში უნდა გამოსულიყო. ააბრუნა თურმე ი ცხენი, გარეებორგა რაცხამ წინ და შეაბრუნა იქით“.

გადაბრუნებული სიტყვა საყვედური. „პეტერე გარაბრუნებული სიტყვა რო უთხრა, დეგემდურება“.

გადაბღაებული კარგ ხასიათზე მყოფი, კარგი განწყობილების მქონე. „რაი უჯირს, გარაბაღაებულია სულ“.

გადავცდი შევცდი. „გარავცთი და ნუ მომკლავ ახლა...“ „გარავცთი და მოგიყვანე აქანე და მეტს ხო აღარ ვიზამ აწი!“ (შდრ.: ქვგლ გადაცდომა).

გადაკასკასებული მოწმენდილი, უღრუბლო ცა. „მოწმენდილია ცაი, გარაკასკასებულია თლათ“.

გადაკვეთა წასვლა, გადასახლება, ფეხის ამოკვეთა. „გარაკვეთა მელიამ. წევიდა სხოკან, მარა ქე მოა ისევლე“.

გადაკვისინებული კარგი შესახედავი, ჯანმრთელი გარეგნობისა, ცოცხალი, ფეროვანი. „მარუსიე რავალი კარქათა, გარაკვისინებულია“.

გადამაკინწლებული სულ ერთად მყოფნი, ერთმანეთზე გადაკიდებული. „რაფერ გარამაკინწლებულია მაი და ნანაიე ერთმანეთზე, წუც არ უშობენ უერთქმანეთოდ“. „მეზობლები არიენ ახლო და გარამაკინწლებული არიენ ერთიმორეზე, ერთიმორეს უმისოთ არსათ არ დეიარებიენ“.

გადამცილდა გულზე გადამავიწყდა. „გარამცილდა გულზე და ქე გარეიარა ოტკამ. (შარაშ. გულზე გადაცილება; შდრ.: სახოკ. გულიდან გადავარდნა).

გადამწყაება გულზე (გარაგამწყაეფს გულზე) ცუდ ხასიათზე დაყენება, გულის არევა. „ღვინოს მიჩოული კაცი ჭამაზე წყალს რო დალევ, გარაგამწყაეფს გულზე“.

გადაპწკვნა გადაწყვეტა, თავის გადაჭრა. „ქინძის გარაპწკვენი თავები და ივარგეფს მერე“. „გარაპწკვნი ქინძის თავს და ამეიყრის კიდო“.

გადაჟინჟღილებული კარგი ფერისა, ჯანმრთელი შესახედაობის, მკვეთრი ფერების მქონე. „რავალი კარქათა ი კაცი, რავა გარაჟინჟღილებულია სახეზე, რაფერ კარქათა, ხო ხედავ, არაფელი არ ტკივა ახლა მაგას, იცოცხლეფს დითხანს...“

გადატეხვაზეა წელწვრილ, მეტისმეტად გამხდარ ადამიანზე იტყვიან. „წელში გამწვრილებულ ადამიანზე იტყვიენ გარატეხვაზეაო“. „რაი შვილს გააჩენს მაი, გარატეხვაზეა“.

გადატყვეპერებული დიდსახიანი და მსუქანი. „ფუ, რათ ვარგა ი გოგო, გარატყვეპერებულია სახეზე“.

გადაუარს გული დამშვიდდება, დაწყნარდება. „უბედური გულვანეა, მარა ერ წუჩი, მერე გაროუარს გული“.

გადაფარფალება გადაფრიალება, გადაფარება. „გარააფარფალა ლარისიამ ცეცხზე კაბა და დეიწვა ბაღანე“. „უწინ ტილები რო ყავდენ, გარააფარფალებდენ პერანგს ცეცხზე და ჩამოცვინდებოდა ტილები“.

გადაჭიაქება გადაჩხრეკა, გადათხრა, გადაყრა, გადაფანტვა. „ამ ქათმებმა არ გარააქიაქეს ყორფელი?!“ „ბოსტანში ჩასულა ქათმები და გაროუქიაქებიაყენ ყორფელი“.

გადაქცევა 1. გახდომა, დასუსტება. „ამდონხან მე სამჯენ ვაჭუმდი ბა ბაღანას, მასე რო არ მექნა, ქე გეილახებოდა; გარეიქცა თლა ბაღანე“. 2. გულის შეწუხება. „გარეიქცა ბაღანე, ძულათე მოვაბრუნე“.

გადაღანწვალებული შიმშილისაგან დასუსტებული, ფერმიხდილი, დაუძლურებული. „შოუშვი ხელი, აღარ ვაჭუმ ძალათე და გარაღანწვალდა თლათ...“

გადაულუნჭვა უცებ დალევა, სწრაფად შესმა. „კუჭი რო არ

მტკიოდეს, მეც კარქა გარავყლუნჭავდი ი ღვინოს“ (ქეგლ გადაყლურწვა. ვ. ბერ. ყლანწვა, ყლურჭვა, გაჩეჩ. გადაყლუნწავს).

გადაყოლა ხელს დაკარგვა. „იგი ახლა გარაყვა საცხა ხელს“.

გადაშანშხალებული კარგად მყოფი, ჯანმრთელი და ბედნიერი. „გარაშანშხალებულია, ბეჩა, ერი არ წაკვიწიწებია რამე... რაი წაგიხთა ჩემი თვალით-მეთქინ?!“

გადაშეშხება გადასხურება წყლისა, გადაშხეფება, დანამვა. „წყალს გარავაშეშხეფ და ამ წვანილს ერ კვირას ვიყოფინეფ მე“.

გადაციცინება ცის გადაწმენდა, ღრუბლის გამქრევა, გამოდარება. „გარეიციცინა ცამ და ეგება გამეიდაროს“.

გადაცრიცვა გამოდარება, ღრუბლის გამქრევა, ღრუბლის გათხელება. „მე მგონია, გამუა ამიდი, ისე გარეიცრიცა ცაი“.

გადაძახება 1. გადაგდება. „გააკეთეფ ტყლაპის, მარა ბზეი თუ არ იქნა ამ ორ დღეში, აბუავდება ხელათ, უნდა გაროუძახო მერე იქით“. „მევიდა და არ გაროუძახა ე ჩემი შენახული ფსხალი?!“ (შდრ. ალავ. ლეჩხ. გადარეკა, გადადენა). 2. გადადენა. „გაროუძახე მა ღორეფს თვარა ააჩახჩახეს აქანე ყორფელი, ხო ხედავ“.

გადაწანწალება შიმშილისაგან გულის შეწუხება. „მოი, გო, მოი, ჩქარა, გარამიწანწალდა გული, ხო ხედავ. შენ გიცდი თელი დღეია...“

გადაწარმალებული მისუსტებული, ღონეგამოცლილი (ტირილისაგან, დარდისაგან, შიმშილისაგან...) „გადაწარმალებულია უველე, იგენის ცოდვით ტიროდა უველე... თელი ქვეყანა დუღდა, დუღდა...“ (შდრ. შარაშ. გადაწარმალებული ტკივილისაგან).

გადაწვენილი გადამდები სნეულებით დაავადებულ ავადმყოფს ცალკე, სახლიდან მოშორებით, უფრო ხშირად ტყის პირას, მოღობილ ფაცხაში გადააწვენდნენ, იქვე მიუტანდნენ საჭმელსაც. იშვიათად გადარჩებოდა კიდეც. ასეთ ავადმყოფს „გარაწვენილს“ ეძახდნენ.

გადაწიგვნა ნერგის გამრავლების ერთ-ერთი ხერხი (შდრ. წერ. გადაწინდრა; გაჩეჩ. გადაწიგვნა).

გადახედვა მზისა მზეზე გამოშრობა. „გამევიტანოთ ი თხილი, ეგება გარახედოს მზემ, თვარა დაობდება“.

გადახედული დაკვირვებული, გამოცდილი. „კაი გარახედული კაცია, იცის ყორფელი“.

გადახიმვა ზერელედ, სახელდახელოდ გადაღობვა. „მიტო გარა-

ხიმა ი ჰიშკარი იმან. გაგინადარიებს ზოგი და ამოგართუმს სულს, მოქპარავს ყორფელს“ (შდრ. შარაშ.).

გადახორხნილი სუფთად და პირწმინდად გადაპარსული. „ზაფხული რავარც მევიდა, გარავხოხნე ბაღნეფს თავი“.

გადახოჰიება 1. ხის (მორის ან ფიცრის) სწორად გადაჭრა. „ეგი უნდა გარავახოჰიჰოთ აქანე ძირში“. 2. ხერხით გადაჭრილის შემოსწორება. „მოი ჯერე გარავახოჰიჰოთ ეგი და მერე დავაჰედოთ“. „გარახოჰიებული აქ მა ხეს თავი, გაზომილია და გაკეთებულია მაი, არა იგი წასაჭერი“.

გადაჯირგალება გადათელვა, გადაჯეგვა. „თოხნას ასე უნდა მიყვე სვრელათ, თვარა მასე თუ გარააჯირგალე და მოსპე ყორფელი, რათ ვარგა“ (შდრ. ვ. ბერ., ალავ. ლეჩხ., ქეგლ ჯირგალი; ქავთ.III დააჯირგალებს, რაჭ. დიალ. გადაიჯირგალებს).

გადმოქანჯვა გადმოხრა, გადმოწევა, მოღრეცა. „ნუ შოუყენეფ მა ნაფოტას, თვარა გადმეიქანჯა თლათ და არ ივარგეფს“ (შდრ. ქავთ.II მოქანჯული).

გადუზვა გაძღომა, გაბერვა ჭამისაგან. „ — რატო აღარ ჭამე გუშინ ეგი? — ხორცი იყო, იმითი გევიდუზე და რაღას ვჭამდი...“

გადუზული გამაძღარი, ჭამისაგან გაბერილი. „ამას რათ უნდა მეტი საჭმელი, გადუზულია“.

გაზუნზვლა მთლიანად, ერთიანად დასველება. „შესულა ღამე, გოუსსნია კრანი, გაფსებულა თლა პალატი, გაწუმპულა ქვეშაგებელი, გაზუნზლულა თლა ყორფელი“ (ქეგლ კუთხ. ქართლ.; გრ. ბერ. ჯავახ. გაზუნზლული).

გაზუნზღლული დასველებული, გაწუწული. „პეტერე წევიმუშავე და გაზუნზღლული არ ვარ ოფლით?!“

გათანგალებული გახურებული, მეტისმეტად ცხელი. „ამას სიცხე აქ გონია, გათანგალებულია“ (შდრ. ძოწ. გათარანებული).

გაიხედავს ფრჩხილებში მოკვდება. „ძულათე დაღოღიალოფს, მაიც მალე გეიხედავს ფჩხილებში“.

გაკაკალავება გაშლა, ერთრიგად გაწყობა, გაფენა. „გააკაკილე თხილი, თვარა შეხურდება და დალპება“. (შდრ. ქღ. გაკაკალება).

გაკარანებული ძალიან გამხდარი. „გაკარანებულია, სული აღარ უდგანა“.

გაკერკეჭება გამაგრება. „პური დამჩენია ზეით და არ გაკერკეჭებულა?!“ (შდრ. ძოწ. გაკირკაჭებული).

გაკვირტვა ბუმბულგაცლილი ქათმის გასუფთავება ბუსუსებისაგან და მცირე ამონაზარდებისაგან. „მეიტანე ქათამი და გაკვირტე აწი“.

გაკნასვა გასინჯვა, გემოს გაგება, გაღეჭვა. „ათასში ერჯენ თუ გაკნასავ ხორცს სოფელში, სადაა ხორცი. დიდ საქონელს ვერ დაკლავ ერთი ინჯრიზა. ქათამს თუ წააწკილავ თავს იგია და იგი...“ „ამდონ საქონელს ვზდი და წლიდან წლამდე ერ კენჭ ხორცს ვერ გავკნასავ, საქმეა ახლა ეგი?!“ (შდრ. ვ. ბერ. კნასვა, ქავთ. III საკნასავი).

გაკოპიტება სწორად, სუფთად გათლა ხისა, მორის კარგად გამოყვანა. „პეტერე გავართვათ აქანე ნაფოტე და მერე სახში გავაკოპიტოთ“ (შდრ. ქეგლ შავად გათლა, გაჩეჩ. უხეშად გათლა, შარაშ. გამოკოპიტება, შავად გაკეთება).

გალანდვა თვალისცემა. „იმისთანა კაცი რო შექხვთება, თვალი რო უპრის, უნა მოასტრო და ლაჯებში ამეისვა ხელი, თვარა გაგლანდავს“.

გალანჯვა გამურვა, ცეცხლზე დადგმული ჭურჭლის გაშავება. „არ დაადო, არა მაი ტაფა ცეცხზე, თვარა გალანჯავს თელათ“ (ძოწ. გალანჯავს, ვ.ბერ. ლანჯვა., წერ. დალანჯვა, ალავ. ლეჩხ. გალანჯვრა).

გალა ჩაი უფერული, ღია ფერის, ბაცი ჩაი. „გალა ჩაი უნდა დავლიო მე“ (შდრ. შარაშ. გალა ღვინო, ჩაი).

გალახვა დასუსტება, გახდომა. „იქნება ფერ-ხორცი მოუვიდეს-მეთქინ და ირბენს, ირბენს ახლა და გეილახება...“

გალეშუმება ბევრი, უთავბოლო და უაზრო ლაპარაკი, ტყუილ-მართლის ერთად თქმა. „ა, გაალეშუმა ახლა ამან ენა, რაი დასაჯერებელია მაის ლაპარიკი...“

გალიღვნა დაკლული ქათმისთვის ბუმბულის მოშორება, „მდუღარეში ჩააგდე და გალიღვნე ხელათ და მერე ქე გაპუტავ კარქათ“.

გალორდვა ხის ფოთლებად და ტოტებად წასვლა. „არაფლით არ მეიბა ამ ფსხალმა, ისე გეილორდა თლათ“ (შდრ. ქავთ. II გალორდვილი; წერ. გამოლორდვა, ლორდი; შარაშ. ალერდული ბალახი; ძოწ. ალერდი; საბა ალერდი).

გალურსვა ხმის გაკმენდა, უეცრად გაჩუმება, დადუმება. „მითქვია შენზა ჩემიანების ძვირი-თქვა? — უთხარი. გეილურსა, ვერაფელი ვერ თქვა“ (ვ. ბერ. ლურსვა; შდრ. შარაშ. ლურსვა თვალებისა, ჟღ. ლურსვა ყურებისა).

გამერდიმებული გაცრილი ფქვილი. „ეგი ქფილი გამერდიმებულია? — კი“.

გამირე კერიაზე სიგრძივ გადებული მსხვილი შეშა, რომელზედაც კეცების გასახურებელ შეშას აწყობენ. „გამირე თვარ ექნა კაი, ხელათ ჩაცივა კეცები“. „ბიჯო, საგამირე მომეცი ერთი კაი შეშა, აარჩიე“ (შდრ. ქეგლ, გაჩეჩ., შარაშ., ალავ., რაჭ. დიალ. გრ ბერ. ჯავახ., საბა).

გამოსაცუარება გაფლანგვა, დახარჯვა. „შენ მაგას გამოასაცუარეფ ახლა ხელათ“.

გამოგვერდვა გაძღომა, ჯამისაგან გვერდების ამოვსება. „გამევიგვერდე ძაან“. „იმისანე გამეიგვერდა ჩვენი თხაი დღეს რომე...“ „სანაამდი ძაან არ გამეიგვერდებოდა საქონელი, უნდა გებალახებია საწელკავიე მანაამდი. გაჭივრებული ვიყაით“. „ქე გამევიგვერდე, ბიძია, კარქათ და აწი რავარც გინდა, ისე ქენით“. „პეტერე უნდა დეიხეფსო, თვარა გამოგვერდვის დროი სადაა“ (ქართლ. ლექსიკ.. რაჭ. დიალ. ამოიგვერდება).

გამოგვინძღული დიდი და წინ წამოწეული მუცელი. „რავა გამოუგვინძღავს მუცელი და დეიარება ზეით-ქვეით... აწი თვეში დგანა და ვერ დეეტევა ერ სალაგას?!“ (ალავ. ლეჩხ. გვინძღი, ვ. ბერ. გონძღო, წერ. გვინძღი).

გამოდარანებული გამონგრეული ადგილი, გამონგრევით შექმნილი დიდი სიცარიელე. „ჩამევეი წროულს და გამოდარანებული არ დამხვთა კუხნის სარძიკეული?!“ (საბა დარანი; ალავ. ოკრიბ. დარანი; შარაშ. დარნე, დარნა; გრ. ბერ. ჯავახ. დარანი; წერ. თარანი; ა. მარტ. ჯავახ. დარანი).

გამოთავება ყვავილობის დამთავრება.

გამოკვალათიანება საქმის დაგეგმვა, წინასწარ განჭვრეტა. „ჩემი საქმე მევიმგვანე მე, გამევიკვალათიანე“. „ჩვენ რო გამოვაკვალათიანეთ ჩვენი საქმე, მერე გამეიდარა“ (ქავთ. დაკვალათიანება).

გამოკიტინება თითით ცხვირის ან ყურის გამოჩხრეკა. „ყურები გამეიკიტინე, ყურები!“

გამოკონვა გამოკვრა, გამოხვევა, გამონასკვა. „რო დეგვეკარქებოდა რამე, თაესაფრის ან ფართუკის ბოლოს გამევიფსკვნიდით და ვიტყოით: ეშმაკო, თუ ხარ გარაფარებული, შენი თავი აგერ მაქ გამოკონილი...“

გამოლაფათინებული მეტისმეტად გამხდარი, სიგამხდრისაგან გვერდებშევარდნილი (იტყვიან საქონელზე, უფრო მეტად ღორზე). „ე, ი გამოლაფათინებული ღორია მისი...“ (ქავთ. II).

გამომიყვანა თავში ყვაჭიჭე გამაბრუა, შემაწუხა ზედმეტი ლაპარაკით, თავი მომაბეზრა. „გაჩუმდი, ბიჯო, გაჩუმდი, არ გამომიყვანა თავში ყვაჭიჭე?!“

გამომწლეული ძალიან გამხდარი. „აფერს არ ჰამს და ქეა გამომწლეული“ (გაჩეჩ., ქავთ. I., ღლ.).

გამონთება დასაშინებლად გამოკიდება. „რო გამევენთე, გეიქცა გამწარებული“.

გამონოყვა გამოჟონვა, წყლის გამოსვლა. „აქანე წყალი მონოყავს სულ“. „ნახე, გო, წყალი ხო არ მოდის იქინე, არ გამონოყოს იქნება“ (ვ. ბერ., ყღ., რაჭ. დიალ.).

გამოპანწალებული ძალიან მშიერი, მუცელგამოცარიელებული, შიმშილისგან მუცელშევარდნილი. „უბედური ჯიშის საქონელია, ყველაამდი ბალახში რო ჩასვა, პირს არ დააკარეფს რამეს და საღამოს გამოპანწალებული მოვა სახში“. „დილიდან არაფელი მიჭამია და გამოპანწალებული მაქ მუცელი“. „გამოპანწალებული ვარ მუცელში, ორი დღეია ლუკმა არ ჩამსვლია პირში, ფეხზე ძულათე ვდგანვარ“ (ქავთ. გადაპინწილებული).

გამოპლეკვილი ცარიელი. „რაცხა ორი კაპიკი გაქ, მიაფშუკავ რაცხაში და ქე დარჩები მერე გამოპლეკვილი“.

გამოპორწოლიკება 1. გაჭიანურება, საქმის გახანგრძლივება. „კარ უნდა გამოაპორწოლიკო საქმე, უნდა მოათავო და მორჩა“. 2. სიტყვაზე გამოდევნება, საუბარში აყოლა და გაგრძელება. „გამეეპორწოლიკე ახლა იქინე — გამარჯობა, გაგიმარჯოს... ე, იგი მეზარება“ (შდრ. ვ. ბერ. პოწოლიკი, გამოპოწოლიკება; წერ. პოლორწიკი).

გამოპწკვნა გამოგლეჯა. „ამ ბალახს გამოვპწკვი აგერ და იქნება ქე ვნახო... — კაი დაანებე თავი, იმისანა დროს წეეყრები რომე...“ „ფული ვასესხე და ერი წლის მერე ძულათე გამოვპწკვენი ხელიდან“.

გამოჟანჟღალება ჭურჭლის განძრევით გამორეცხვა, წყლის ხანგრძლივად გამოვლება, გამოჯანჯღარება. „ჩაი და ამეიტანე პეტერე თუჯიეა იქინე, წყალი გამოაჟანჟღალე, გო, თვარა არ ივარგებს ისე“ (ყღ. გურ.).

გამოჟვარჟვალება ტოლ-ტოლის ერთიანად გამოსვლა (მაგ. ქათ-

მების). „გამოუტეხია, გამოუქვარქვალებია ჭუჭულები“. „რაფერ მიყვარს ქათმები რო გამოქვარქვალდებიენ ეზოში, იმის ყურებას არ ჯობია რამე“.

გამორუტუნებული გამოსულელებული, გამოშტერებული, გულმავიწყი (იტყვიან სკლეროზით დაავადებულ მოხუცზე) „გამორუტუნებული ვარ, მავიწყუტება ყორფელი“ (ვ. ბერ. რიტინი, გამორიტინება).

გამოსახიერებული ძალიან გამხდარი, გაყვითლებული. „რას გავს ე ბაღანე, გამოსახიერებულია თლათ“.

გამოსულია შარაზე იტყვიან სირცხვილდაკარგულ, უნამუსო ადამიანზე.. „ახლანდელი გოგოები გამოსულია შარაზე, არაფელის არ ცხვენიათ“.

გამოსურბელებული გამხდარი და ლასლასით მოსიარულე არსება. „სული რო აღარ უდგანა, იმას უძახით გამოსურბელებულს“.

გამოტირება რძისა ლეღვის უმწიფარი ნაყოფიდან რძის გამოსვლა. „ჯერე არ ვარგა ეგი ლეღვი, რო მოწიკვე, ხო ხედავ რძეი გამოტირდა“.

გამოქიაქება გალანძღვა, უშვერი სიტყვებით მოხსენიება, გათათხვა. „ხიდან ჩამოარდნილა და შაშიკოს გაროურჩენია მაი; მორე დღეს გამოდგება და გამოაქიაქებს, შე დაფსებულო, შე მიფშუკულოო... — ხო, გო, ხო...“

გამოღარანებული აქა-იქ გამონგრეული, გამოთხრილი. „რაფერ გამოღარანებულია ეი სალპობი, ძაან დროს ქე გატარეფთ აქანე ზამთარში!“ „საძირკველი გამოღარანებული ქონდა მიდღემჩი, ძაღლები შედიოდა შითე“.

გამოღვლეფილი გამოთხრილი, გამონგრეული. „ხო ხედავ რაფერ გამოღვლეფილია მაი სალპობი, ღორს და ძაღლს ვერ დააკავეფ მაქანე...“

გამოყერყეტებული უჭკუო, სულელი, გამოლენჩებული. „რას გაგიკეთეფს მაი გამოყერყეტებული?!“ „კაის რას იტყვის მაი გამოყერყეტებული?!“ (შდრ. ვ. ბერ. ყერყეტი).

გამოყვაებული გამხდარი, დასუსტებული. „თვარ მიეძალე, კარ ჭამს... დეიარება სოფელ-სოფელ გამოყვაებული...“ „იქინე რაი ქონდათ უკეთესი საჭმელი, რო ჩამოით გამოყვაებული?!“ „ერთი გამოყვაებული ბაღანე ყავენ და გარაყოლილია ყველე იმაზე“.

გამოყვანა თხილისა თხილის მოვლა (გარჩევა, გაშრობა-გახმობა — ყველაფერ ამას შეიცავს ეს სახელი)

გამოშხოლვა მცენარის ტოტებისათვის უხეშად ხელის გამოსმა. „თხილი ძაან არ უნდა გამოშხოლო, თვარა კვრეხილეები ჩამოცივა და მორე წელს აღარ მეიბამს თხილი“ (შდრ. ქავთ. I დაშხოლვა; ალავ. ლეჩხ. შხოლვა; ვ. ბერ. შხოლარი).

გამოჩაირება შერცხვენა, საქვეყნოდ თავის მოშრა. „ამ პეტერა საქმიზა რავა უნდა გამოჩაირდე კაცი ქვეყანაზე, სირცხვილი არა?!“

გამოჩაირებული გამოჩინებული, შესამჩნევ ადგილას მყოფი. „ე სახლი გამოჩაირებულია და რო გატეხოს ვინმემ, ქე დეინახავს ყველე. ამ ქვეით მოფარებულშია და არც ქე ვარგა“. „ — ბზეში არ დადგა, გო, არა! — მაი კარა, ბზეშია გამოჩაირებული...“ (შდრ. ჯაჯან. გამოჩაირდა).

გამოწენწილი წელში წვრილი, წელში გამოყვანილი. „კაი წელში გამოწენწილი გოგო იყო“. „დუღარეში ჩავყრიდით კაი-კაი [აბრეშუმის] პარკებს, წელში გამოწენწილ პარკებს, კაი-კაი უნდა ეგვერჩია“.

გამოწვალვა 1. ერთად დახვავებული საგნებიდან რაიმეს გამოტანა, გამოცალკევება. „გამოვწვალავ მას ბურდუდან...“ 2. ძნელადშესასრულებელი საქმის ბოლოსდაბოლოს გაკეთება. „ძულათე გამოვწვალე ეგი საქმე“. „ძულა-გაჭირვებით გამოვწვალე ი ფული, არ შობოდა არაფლიზა“.

გამოჭიოტება ავდრის შემდეგ მზის ღრუბლებიდან ოდნავი გამოსვლა. „გამეიჭიოტა პეტერე, იქნება ქე გარეიდაროს აწი, სულ რავა იწუმეფს!“ „ბზეი რო გამოაჭიოტებს პეტერას რაცხას, იგი საავდროა“. „მარტის დღეია, გამოაჭიოტებს პეტერას ბზეი, მარა ქე დეიმალება ისევლე“ (შდრ. ალავ. ლეჩხ. იჭიოტა; ჟღ. გურ. ჭიატი).

გამოჭრუება გამოყრუება, ყურთასმენის წაღება. „არ გამომაჭრუა ამ ოჯახდასაქცევმა?!. რას აკეთეფს ნეტაი, რო უჭაკუნეფს თელი დღეი?“ „გამოჭრუებული მაქ ყურები მაის ლაპარიკით...“

გამოხამება სახმარად გამზადება, მაგ, ახალი ჭურჭლის სპეციალურად გამორეცხვა. „მომეცი ახლა ფული, ვიყიდი ბარაღმე ამ კალისტრეფს და გამოვახამეფ კიდომაც“.

გამოხანდაკება გამოსუფთავება, გაწმენდა. „ბურდუები იყო თლათ და გამოახანდაკა საქონელმა“.

გამოხანხალებული კარგად გამორეცხილი, გამოსუფთავებული. „ამ სახადმა არ გამოახანხალა თლა ე ქვაბი?!. კაი არა!...“

გამოხარხანცებული გამონგრეული, ჩამოშლილი, ჩამონგრეული. „გამოხარხანცებულია ბუხარი, დეინგრა თლათ...“

გამოხინდიკებული გამოცარიელებული, დაცარიელებული. „ხორცი არა არსად, გამოხინდიკებულია მაღაზიები“.

გამოჯოგჯოგება || გამოჯოკჯოკება გამორეკვა, გამოდენა ცხოველებისა. „სამწყესურში დავდენიდი დილას ცხვრეფს, თხეფს და რო შეიქნებოდა... რო ჩევიდოდა ბზეი, გამოჯოგჯოგებდი და ჩამოვდენიდი“.

გამფრინვალე ტურა ჯადოქარი. „უბედური გამფრინვალე ტურაა, გო, რაი მოკლავს მაგას, ორასწლიანია“.

გამწარებული გადატ.: ძალიან, ძლიერ (გამოხატავს მოქმედების სიმძაფრეს). „წახანე რო მეიტანე წყალი, კარ დამილევია, არ დამამიწყდა?! მწყუროდა გამწარებული“. **გამწარებულ გავარდა,** ძალიან სწრაფად გაიქცა. „გავარდა გამწარებული, მარა რას მიუსტრებდა“.

გამწტალება 1. გზის ტალახიანი მონაკვეთისათვის გვერდის აცლა ძშრალზე შემოვლით. „პეტერე გევიმწტალოთ ეგერ და მერე კაი გზაი იქნება“ (ი. ქავთ. || (გამწდალება). 2. ირონ. გადატ.: დიდხანს იცოცხლა (ე. ი. შორიდან შემოუარა). „90 წელი გაამწტალა“.

განადარიება შორს წასულად დაგულება. „რო გაგინადარიებს, მოქპარავს ყორფელს, იმისანა უბედურობა რამეა“. „გევინადარიოთ ახლა მაგი და ვილაპარიკოთ მერე“. „რო გევინადარიე გუშხამ მაი, ქე წამევიღე ვაშლები. მიტო გარახიმა ი ჭიშკარი“ (ქავთ. || გაიდარიებს; შდრ. ვ. ბერ. ნადარ. დანადარება თვალის მოკვრა).

განარვა გაბზარვა. „გუშხამ ვრეცხავდი და გარამივარდა. ე მაშვინ გეინარა ეგი, მერე ქე გატყტა მალე. რაღაი ვქნა ახლა მე?!“ (შდრ. ყღ. გურ. განარვა ნავის მიერ გარღვეული წყალი; შარაშ.).

განაფაქება განიავება ქონებისა; განადგურება. „გაანაფაქეს ქვეყანა, დეევით ყუყზე“.

განაფაქებული განადგურებული. „მაგის ღორებიდან განაფაქებულია თელი ეზო“.

განგებისათ განგებ. „მე განგებისათ აღარ ვჭამ, თვარა ესუქდები აგერ“.

განედლება (გაგანედლებს) გასუქება, ფერზე მოყვანა, მოსულიერება. „მოგიმატეფს სისხს და ხორცს“. „ჭადი ჭამე, ჭადი, გაგანედ-

ლეფს პეტერას, გამხმარი რო ხარ", (შდრ. როსტ. განედლევაი* — მცენარის გახარება. გადატ. ნუ გაიხარებ).

გაპამპლავაყებული გაამაყებული, გადიდგულებული. „ქეა გაპამპლავაყებული პეტერე, შევაბერდი ქვეყანასა გონია".

გაპენტვა სწრაფად თქმა რაიმესი. „გაპენტა ტყულები". „ჯორის კვინტებივით გაპენტა ტყულები..."

გაპიტკინება გაბერვა. „რო ჩაყრი აბრეშუმი პარკს დუღარეში, გაპიტკინდება" (შდრ. შარაშ. გაპიტკინებული ძალიან გასუქებული).

გაპიყინებული მნიშვნელობით იგივეა, რაც გაბაყაყება — ძალზე გამაძღარი, მსუქანი. „გაპიყინებულია გოჭივით მუცელზე" (ი. ქავთ. I (გაპეყილი).

გაპიწკინებული ძალზე გავსებული, პირთამდე სავსე. „ოცი ლიტრა რო ჩეგესხა ასე ვერ გააპიწკინებდი, მეტი ჩაასხი ალბათ".

გაპურწკვნა კანის გაცლა. „გაპურწკვნა უნდა ლეღვს, ნუ ჭამ ისე, ათასი ბუზარეა მინაჯდომი ზეთე".

გაპუწკული ჩუმად და მორიდებულად მყოფი. „გაპუწკულია დედოფალივით, არ იღეფს ხმას" (შარაშ. ჩაპუწკვა).

გაპჭყვნა თვალისა თვალის ძლივძლივობით გახელა. „ვერ გავპჭყვენი თვალი, ისე მეძინებოდა დილას".

გაჟალტმვა ეკალ-ბარდისა და მაღალი ბალახის გაცელვა, გაჭრა. შდრ.: ჟალტამი. „თუ არ გავჟალტმეთ ერთი ეგი თხილები, აქანე ვეღარ ჩამოხვალ კრეფაზე".

გაჟვიპინებული გასივებული. „შიერი კ'არა, გაჟვიპინებულია სულ მუცელზე".

გაჟღვართული მიწაზე გართხმული, უგონოდ დავარდნილი. „კივილი გევიგონე, მივარდი და ვხედავ, გაჟღვართულია ნატაშე ძირს, შენ ტერს, რაც იქინე ვნახე".

გამოჟღოლვა ხელის გამოსმით ფოთლების ან ბალახის მოგლეჯა. „მანგალი ქე დამჩა სახში და ისე გამოჟღოლე ხელით ბალახი".

გარაკოკეე თამაშია ერთგვარი.

გარბის გამწარებული იხ. გამწარებული — ძალიან დიდი სიჩქარით მიდის, სწრაფად გარბის. „ერთი მანქანა იყო, გარბოდა გამწარებული".

გარდვალს ვერ შვება თვითნებურად ვერ იქცევა, უკითხავად არაფერს აკეთებს. „მამის გარდვალს ვერ შობა!"

გარკაბა ქვრივი კაცის სამგლოვიარო ჩასაცმელი, ერთგვარი მოსაცმელი. „რო დაქვრივდებოდა, გარკაბას ჩეიცუმდა ერხანს კაცი“. „შარვალი და ბლუზა ხო ეცვა კაცს, იმაზე მეინცუმდა მერე გარკაბას, ხალათივით იყო შეკერილი შავი მატერიიდან“.

გასაბრიყვებელი ერთგვარი თამაში სიტყვებით. ერთი ეტყვის მეორეს: რასაც მე ვიტყვი, იმას დაუმატე, დააყოლე: „მე ქონ...“ მეორე ეთანხმება და იმეორებს პირველის ნათქვამ სიტყვებს თანდართული სიტყვით: „სახლი — მე ქონსახლი; ხეი — მე ქონხეი; ქორი — მე ქონქორი...“ მეორე უკვე გაბრიყვებულია, რადგან პირველმა ათქმევინა ორაზროვანი ფრაზა (იხ. ქონქორი). ამგვარი თამაში სხვა სიტყვებზეც შეიძლება აიგოს (მაგ., „წე“ დართვით და ა. შ.).

გასაიაებული სუსტი, გარბილებული არაყი. „ეგი რაღათ ვარგა, გასაიაებულია თელათ“ (შდრ.: ქავთ. I სოინარი, როსტ. საია არაყ. მენთ. საია).

გასანახვიერი მომზადებული შეჭამანდის (ფხალი, ნედლი ლობიო და მისთ.) მცირე ნაწილი გასასინჯად აღებული. „მომე პეტერე გასანახვიერათ მაი [ფხალი] გავსინჯავ რავალია“. „წროულს არ დამირჩა სულა არა, გასანახვიერათ არ მაქ“ (შარაშ. გასანახავი).

გასანხალებული გასუფთავებული; მოსწორებული. „ახლა ვიყაი ზეით მე. გასანსალებულია გზაი“. „ა, ბიჯო მოსანსალებულია ქვაი აგერ [გზაზე]“ (ჯუონ., შარაშ. მეტად გალესილი; გრ. ბერ. ჯავახ. (პირამდე სავსე); პ. გაჩეჩ. ძლიერ გასუქებული პირუტყვი).

გასარხალება ფეხების ერთმანეთზე გასმა, ფეხების მოძრაობა. „ნუ ასარსალეფ, გო, მა ფეხეფს, გაჩეი ერწამა!“ (შდრ.: გაჩეჩ. გასარსალდება).

გასაქარებელი გასაქრობი (ქეგლ), მოსასპობი, სასიკვდილე. „თავსაფარი დემეკარქა / თავზე დასაფარებელი; / ჩემი ქმარი სა წევიდა, / დროზე გასაქარებელი!“

გასითვა ნაკერის უკუღმა მხარეების გაშლა, თითებით გადასწორება. „ა, გასითე ე ნაკერი ახლა!“

გასისინებული ძალზე გასუქებული. „რა ენაღვლება კარლოიას, ხვეტავს წისქვილს და ქე ყავს ღორები გასისინებული“.

გასოინარებული განებივრებული, ნებაზე მიშვებული. „ქე ყავს მარუსას ჩვენ ეზოში ქათმები გასოინარებული, რა ენაღვლება“ (შდრ.: საბა სოინარი „სტვირნი შეწყობით შეწებულნი“; შარაშ. სოინარი მუსიკალური დასაკრავი).

გასხმარტალება ენისა ბევრი ლაპარაკი, უსაქმური ლაპარაკი. „მოი, გო, აგერ, მომეხმარე რო გაასხმარტალე ენა“. (შდრ. ძოწ. აფართხალება, ასავსავება).

გატანა 1. მოვლა-პატრონობა. „არ გამიტანს მაი მე, აქიდან ვატყოფ“. 2. რჩენა (გადატ. მნიშვნ.) „იმას გააქ ბაღანე და მე ვეღარ გევიტან?!“

გატინტალებული გაშიშვლებული. „ჩეიცვი, გო, რამე, რო დახვალ გატინტალებული. გაცივდები, ბიძია, და შეგიდგება ფილტვების ანთება“.

გატიპტიპებული პირთამდე გავსებული, გალიცლიცებული. „ჩასულა ჭურში წყალი და რო მოვხადე, გატიპტიპებული დამხვთა“. (ქავთ. I, გრ. ბერ. ჯავახ.).

გატოკება ხის მორის გასუფთავება ტოტებისაგან, გასხვლა. „ამას ახლა გავატოკეფ და გევიტან იქით“. „ეი ვერ გაატოკე, ბებია?! მემეცი, მე გავატოკეფ“ (ს. ულ.).

გატრუება ზედმეტად დათრობა. „ერთი რუმკა დამალევია... — მერე ერთი გეყო და გაგატრუა? რეიზა გაგატრუა მერე?!“

გატყაპალება ბევრი ლაპარაკი, ენის წაგდება. „გოუტყაპალებია ენა და არ აკეთეფს აფერს“. „გაატყაპალა ამ ბაღანამ ენა, არ წამწვა ყურები?!“

გატყაპარებული ენაგრძელი, ბევრი ლაპარაკის მოყვარული. „უბედური ენისა, კაცო, ენა აქ გატყაპარებული“. „ნემეტანი ენიანია, გატყაპარებული, ბევრი ლაპარიკი უყვარს“.

გაფანჩალება 1.ფართოდ გაღება კარებისა. „გააფანჩალა ახლა კარები! ხო ხედავ ბაღანეა აგერ ტიტველი?!“

გაფანჩალებული ფართოდ დამჯდარი. „თელი დღეი გაფანჩალებულია და კაპიკის საფასურს არ აკეთეფს!“

გაფინდურება გახმობა, გამოშრობა. „რაფერ გაფინდურებულა ე ფიცარი ასე უცეფ“.

გაფიჩინება ძალიან გახმობა. „გაფიჩინებულია ე ლობიე თლათ, აწი ქე გამეიფშვნება კარქათ ეგი“ (მ.ალავ. (გაფიჩინებული — გამოშშრალი)).

გაფიჩორებული (|| წაფიჩორებული) დიდი და განზე გაზიდული ყურები. „ამ ბაღანას რაფერ გაფიჩორებული აქ ე ყურები... რამიხელა ყურები ჭონია!“

გაფონა ფონით გასვლა. „ფონი უნდა მონახო, ჩქერში ვერ გახვალ, ე, იგია გაფონა. ვაკესავეთა და გაფართოებულია წყალი“. (ქეგლ გაფონება).

გაფორიაქება განიავება, უმიზნოდ, უანგარიშოდ დახარჯვა ქონებისა, ფულისა. „ოჯახის ქალათ არ ივარგეფ, ერ წუჩი გააფორიაქეფ ყორფელს, დაქეი მერე და იყაი!“ (გაჩეჩ., ქავთ. II).

გაფოფიალება (მთვარისა) გავსება მთვარისა. „გაფოფიალებაამდი არაფელი უჭირს კონსერვის გაკეთებას; მერე არ ვარგა, რო გაფოფიალდება თვარე“. „ბაბე შემომითვლიდა, გაფოფიალებაამდი მოკრიფე ვაშლი, მერე არ ვარგაო...“

გაფოცქორებული ხე, რომელსაც აქა-იქ აქვს ფოთლები, თითქმის გამხმარი მცენარე. „სული აღარ უდგანა, გაფოცქორებულია ეგი ბოლი, ვერა აქ კარქათ საქმე, გახმება ალბათ“.

გაფოცხორებული უფოთლო მცენარე, ტოტი. იხ. **გაფოცქორებული.** „რაფერ გაფოცხორებულია ე ბოლი, ხმება ალბათ“.

გაქანქალებული 1. ძალიან თეთრი, გაქათქათებული. „სარეცხი გამომივიდა, ბერა, იმისანე, რომე გაქანქალებული იყო თლათ. ხან ქე გამომდის ასე და ხან არა. არ ვიცი, რაია“. 2. „გაქანქალებული შვადღეა, რავა წეისვლება ახლა მოსაკრეფათ“.

გაქარაფება გამოკაფვა, გამოხშირვა, გამეჩხერება. „მოჭერი მაი და გაქარაფთება პეტერას“.

გაქარება 1. გაქრობა; „შენ გაქარდი საცხა, შენ!“ (ეტყვიან ბავშვს მოფერებისას ან მსუბუქად დატუქსვისას; „მაგენი გაქარდა საცხა, მაგენი!“ (შდრ. ქართ. გაქრი). 2. ნაყოფის გაფუჭება, გაქრობა. „გაქარდა თხილი და იგია, ამისანა ამიდი კარ ვარგა. თხილი კარა, რა გოუძლეფს ამას!“

გაქიმვა გაჭიმვა. გადატ. ირონ.: ზედმეტის მოსურვება, შეუფერებლისადმი ლტოლვა. „არიქა, ახლა რო გაქიმო კისერი ახალგაზდასავით და იმუშაო ბებერმა... ერთი როკონიე თავი გაქ და რას იკლავ თავს?!“

გაქინქილებული ძალიან თხლად, საზაფხულოდ ჩაცმული. „ჩეიცვი. გო, რამე, გაქინქილებული რო დახვალ“. „რო ქცივა, ვერ ჩეინცუმ მერე, რო დახვალ გაქინქილებული?!“ (შდრ. წერ. ქირქალი გრილი, თავისუფალი).

გაქუჩქუჩებული გაფურჩქვნილი, მწვანით შემოსილი. „რა ეზო

ქონიათ, გაქუჩქუჩებული!“ (შდრ. ქართლ. ლექსიკ. გაქუჩქუჩებული — კარგად გაღვივებული (პური).

გაღმიკედრიდან გაღმიდან, გაღმა მხრიდან, მეორე ნაპირიდან. „გაღმიკედრიდან იძახოდა, კვერ გევიგონე...“

გაღრაკული გამხდარი, ბეჭებში მოხრილი კაცი. „დავითიე მიდღემჩი გაღრაკული იყო, ღრაკი იმიტო დაათქვა ხალხმა“.

გაღრობა გახდომა, ძვალტყავად ქცევა. „ხვადაგს რაცხა ავატყოფობა შოუშთა, ისე გაღრა, რომე ძვალი და კანათ გარეიქცა“. ლოცვა: „ყველსა მივაკიდეფ ღობეზე / ღრებოდა, ჭკნებოდა; / ისე ღრებოდა, ისე ჭკნებოდა / შენი ავი თვალით შემხედვარე“ (ი. ჭყონ. (დაღრობა — დაჭკნობა).

გაყიფსინებული ძალიან გაცივებული, გაყინული. „გაყიფსინებული მაქ ფეხები, ამელამ თუ გავაწიე დიდი უნდა“. (ს. ჟღ. გაყიფსინებული — მჭადი რომ გაცივდება და გამაგრდება, იმაზე იტყვიან).

გაყრა თავისა გაფენა, დაყრა. „ჯოუყრიან თავს თხილს, რო გაშრეს, თვარა დალპება“.

გაყურსუნებული 1. გაჩუმებული, დადუმებული. „არ იღებს ხმას, გაყურსუნებულია“. 2. ჩასაფრებული, ჩუმად მომლოდინე. „კატაა გაყურსუნებული, სულს ითქვამს ჩუმა-ჩუმათე, გამოძვრება თაგვი, დეიჭირავს უცფათე“ (ქეგლ გაყურსული. შდრ. ალავ. ლეჩხ. წაყურსუნება — წაყრუება).

გაშენება თხილის, ვენახის, ხეხილის გამოჭრა, გამოსხლვა.

გაშვალვა თოვლისა დნობის დაწყება, გაწყლიანება თოვლისა. „თოული თვარ გეიშვალა, ისე რაფერ ჩამოვა სახლი სახურავიდან, უნდა გეიშვალოს, ბზემ დახედოს“ (ქავთ. I შვალვა, შარაშ. შვანვა, დაშვანვა).

გაშპანვა თოვლისა იხ. გაშვალვა.

გაშტიალება გახურება. „კაია ჟეშტის ფეჩი, პეტერა ცეცხს შეაკიზინეფ შითე და ხელათ გაშტიალდება“ (გაჩეჩ.).

გაშტიალებული გახურებული, გაცხელებული, გავარვარებული. „ე კეცი დაწვავს ჭადს აპა რა იზამს, გაშტიალებულია უბედურათ“ (გაჩეჩ.).

გაჩლითვა გაპრა, გაპობა. „რო გააპოფ, მერე გაჩლითავ შეშას, რომ აღარ მოცილდება ერთიმეორეს, გაჩლითავ“. „ჩამოჩლითე მა შეშა“.

გაჩოლყვა (დაჩოლყვა) ძალზე გაძღომა (იტყვიან ქათამზე ან ინდაურზე, როცა იმდენს ჭამენ, რომ ჩიჩახვი და კისერი გაებერებათ). „გეიჩოლყა, მეტი აღარ ეტევა კისერში“. „ძაან დეიჩოლყუნ ქათმები, ორ დღეს აღარ მეითხოვენ საჭმელს“.

გაჩოჩორიკება ცხენის ჩორთით წაყვანა. „სარშან ქე გაარჭიანა და წროულს ვეღარც გააჩოჩორიკა“ (ანდაზა.)

გაჩხიკინებული 1. გამაგრებული, გამხმარი. „ე ჭადი გაჩხიკინებულია, აღარც ქე ივარგებს აწი საჭმელათ; რო კრა ურიას, მოაჭრისტიანებს“. 2. ძალიან გამხდარი, გაძვალტყავებული. „არ ჭამს აფერს და ქეა გაჩხიკინებული“ (გაჩეჩ. გაჩხინკული — მეტისმეტად გამხდარი).

გაცანცლვა ჩუმად გაპარვა, სხვათათვის შეუმჩნეველად წასვლა. „რო უთხარი ეგი, გეიცანცლა“.

გაციცინება გავსება. „გაციცინდა ცაი ღურბლით, არ გაწუმდეს!.“ (ქავთ. I პირთამდე ავსება).

გაცუდალება გაფუჭება, უნაყოფობა. „აგეძროს ყურსაკიდე (იხ.) არ შეილება თხილიზა, შეილება თლა გაცუდალდეს თხილი“. (შდრ. ქეგლ გაცუდება)

გაძიძგინებული გავსებული, გატენილი. დატვირთული. „წახანე აი გაძიძგინებული ურემი რაღმე ჩეენტვრა გზაში“. „ეი გაძიძგინებული კალათე რო აწია, რავა შეილება, წელი ტკიოდა გუშხამ“.

გაწალდვა გზისა სწორი გზის ჩვენება მოქმედებაში, კარგი რჩევის მიცემა, დარიგება. „მოსულიყო ჩემთან, გოუწალდავდი გზას“. „შე რა გიჭირს დაია, გაწალდული გაქ გზაი!.“. „მაისანე შვილი რათ მინდა, საქმეს რო ვერ გამიწალდავს!“ (ქართლ. ლექსიკ. გაწალდავს საქმეს — გააკეთებს, მოაწყობს, გაჩარხავს).

გაწევა (გავაწიე) გაძლება. „ამ ზამთარს ქე გავაწიე რავარცხა იყო და აწი რავაღა მოვკვეტები!“.

გაწიება გახმობისაგან მეტისმეტი გამაგრება. „ხო ხედავ რაფერ ბილი ხეია, მერე იცის გაწიება, ლუსპანს ვერ გოუყრი შითე“. „ყრუალე სეი რო გაწივდება, კინასავეთ გარეიქცევა, ნემეტანი მაგარი დგება, ნედლობაზე არ ვარგა თვარა...“ (შარაშ. გაწივება — მეტისმეტად გახმობა. მაგ., ჭადი); ქართლ. ლექსიკ. გაწიებული — გამხდარი.)

გაწკაპარტებული 1. გაჭიმული. „ხვადაგს რო დაკლავენ, ტყავს გააწკაპარტებენ ჯოხებით, მიაჭედეფს ეგერ კედელზე და გაახმოფს

ისე". „საქონლის ტყავს გააწკიპარტებს და გაშრება ისე... კუთხეეფში ჯოხს მიუყენებენ და გააწკიპარტებენ ტყავს" (ალავ. ოკრიბ. ტყავის გადაჭიმვა გასახმობად წკიპარტებზე; ვ. ბერ.) 2. დიდ მანძილზე გაფენილი. „ეი ნეფსა თხილი კაი ძალი ქქონია; — რაია ეგი, გაწკიპარტებულია და..."

გაწკაპვა ერთმანეთის მიყოლებით, გვერდი-გვერდ დაწყობა რაიმესი. „ი ფიცრები, ბიჯო, ერ სახს ააშენეფს, იმდონია, რო გაეწკაპე!" (ქავთ.I).

გაწოდინება გაზმორება. „რო გააწოდინეფს კაცი და აგერ ვეღანვარ მე, გარმოა ჩემზე სიზარმაცე. ვეტყვი რომე, ნუ მაწოდინეფ აქანე, შენი სიზარმაცე შენ ქონდესო!"

გაწონწოლებული წვრილი და გრძელი. „ეი ხეი გარაჭერი კიდო, ეგერ როა გაწონწოლებული, სახში ქე ვერ ევიტან, მარა მიაგდე იქინე".

გაწრიოპებული ძალიან გამხდარი, ტანსუსტი ქალი. „სული აღარ უდგანა, გაწრიოპებულია, კვტრის სულივით დეიარება" (ქეგლ, ჰყონ. გაწრიოკებული, გრ. ბერ. ჯავახ. გაწრიპული).

გაწყალება გადამწიფება ნაყოფისა, წყლად ქცევა. „აღარ ვარგა ე შანქლიავე, გაწყალდა თლათ".

გაჭექვა გატენა; მჭიდროდ ჩასმა, გამაგრება რაიმესი ჩატენის გზით (მაგ,. სოლით ხის ნაპობისა). „პალო მიარტყი და გეიჭექება. რო გავაკეთეფ რამეს, ხეს ვთლი, კალაპოტშია ჩადებული, ლარტყის რო ვთვლით. ჩადებულია ხეი შითე. ისე ვერ გათლი ლარტყის, გარაბრუნდება ხელათ, მერე იქინე პალოს უსოფთ იმას, არ გეინძრეს ხეი. გეიჭექება იგი და არ გარაბრუნდება ხეი" (ქართლ. ლექსიკ. გაჭექავს, გრ. ბერ. ჯავახ. გაჭიქვა).

გაჭილყვაებული ძალიან გამხდარი, გაძვალტყავებული. „არაფლათ არ ვარგა ჯერე ე ქათმები, გაჭილყვაებული არიენ, დაკლავ და ძვალი და კანია ცარიელი".

გაჭიჭკნილი გატენილი, მთლიანად სავსე. „გაჭიჭკნილი აქ თხილს გული, ე, შედის აწი სიმწიფეში".

გაჭკუნვა 1. ერთ ადგილზე იძულებით დაყოვნება. „გააჭკუნიეს წელწადნახევარი ჯარში". 2. დიდი ხნის გავლა, დიდი დროის გატარება. „უბედური ქურდი იყო, მისი დღეია იპარავდა ყორფელს, მარა ქე გაჭკუნა 87 წელიწადი".

გაჭრუება გაყრუება, ყურთასმენის წაღება. „არ გამიჭრუა ყურები ამ ბაღანამ?! ჩეიგდე ბიჯო ენა!...“

გახახვა გაპრა, გაკვეთა. „არ გამიხახია ჯერე ქათამი“.

გახეთქვა იცის მეტისმეტად ბევრია, უამრავია, აურაცხელია. „ყანაში იცის გახეთქვა ბამბამაყვალამ“.

გახელება (ახელებს) ენის მიტან-მოტანა, დაბეზღება, ნათქვამის სხვაგან გამეორება. „რა უბედური ქალია, მიტან-მოტანიეა, თუ რამე გეიგონა, ხელათ გაახელებს“. „მიტან-მოტანიეა უბედურობა, რო გაახელებს ერთიმორეს“.

გახვანტალებული გასუფთავებული, ბალახისაგან გაკრეფილი ადგილი. „სარშან არ გაწმინდა თხილები? სადაც დავამბამდი ძროხას თხილი ძირში, ჩევიდოდი და გახვანტალებული დამხვთებოდა“.

გაჯაოხებული გახიდული, გაჩხერილი. „რა უბედურათ გაჯაოხდა ე მანქანა ახლა შუა გზაში“ (ქავთ. I გაჯავახება).

გაჯგვლეტა გახვრეტა. „აგერ გაჯგვლიტე და ამ ბაწარს ამოუყრი შითე“.

გაჯღარკული მეტისმეტად გამხდარი., გაძვალტყავებული. „ერთი გაჯღარკული გოგო ყავს, მეტი აფერი“.

გეგენია // გაგანია დიდი, უზარმაზარი. „იგი ფერმაში მუშაოფს, სამი ძროხები ყავს, გეგენია“. „დავამთოთ ახლა გაგანია ცეცხლი“ (ვ. ბერ. დიდი, ძლიერი; შდრ. გაჩეჩ. გეგენება ძლიერი ცეცხლი, ჟღ გეგენია სიცხე — მზის მეტისმეტი დაცხუნება,).

გენთი მნიშვნელობა განუმარტებელია. „გენთივით ღვინოა“ (მიუთითებენ მის სიმაგრეზე და კარგ თვისებებზე. იგულისხმება „მაგარი ღვინოა, მაგარი, ნატური, უწინ რო იცოდენ იმისანა“).

გეხუტუნე ალერსიანი მიმართვა, ტოლფასია „გენაცვალე“-სი. „შენ გეხუტუნე მე, კაი გოგოა ეგი, კაი, შავთმიანე გოგო“.

გვასამანიე მოხერხებული, ცქვიტი, ყველაფრის გამკეთებელი. „მეეწონებოდა აპა რა იზამდა, კაი გვასამანიე გოგო იყო“ (შდრ. შარაშ. გვასამანია — მიხვედრილი კაცი).

გვეწენწილე ხვლიკი. „იგი გველი კარ იყო, გვეწენწილე იყო, ნუ გეშინია!“

გვერდწითელე ფსხალი მსხლის ერთ-ერთი ჯიში.

გვიმბრალე გვიმრა. „ვაი დედაია, რა ამბავი გვიმბრალე ამოსულა“.

გვინძღი დიდი ღიპი, უშნოდ გადმოგდებული მუცელი. „მაი გვინძღიანი, მაი, ეგი რავა გაბედა!“ (ვ. ბერ. გონძღო, წერ., ალავ. ლეჩხ.).

გვიზი დიდი ღიპი. „დათაიე გვიზიანი, / ჰადი უყვარს ნიგვზიანი, / მიადგება ბეკსო, / ეხვერწება ღმერთსო: / ღმერთო, გვიზი მომაშორე, შამოგწირავ ვერძსო!“ (გაჩეჩ.).

გვიჯაბახე შიგნეულობა. „გამოღებული აქ თლა გვიჯაბახე“ (შდრ. საბა გუჯაბი — ქათამთ სატენი საზავებლად; ქავთ. I გვიჯაბი, შარაშ. გუჯაბახი, ვ. ბერ., რაჭ. გუჯაბი).

გზანწვრილე ბილიკი. „ქეა რაცხა გზანწვრილე იქინე ტყეში“. (ძოწ. წერ. გზაწვრილი).

გზასვიერი ჭკვიანი, აზრიანი, გონიერი ადამიანი. „მაი რო გზასვიერი ადამიანი იყოს, რაი მიჭირს მერე“. „ნემეტანი გზასვიერია მაინც, რაი უჭირს მის პატრონს?!“

გიგინი დიდი ალით დანთებული ცეცხლი; გიზგიზი. „კაია ზამთარში, გარეთ ყივნაა, შენ ქე ხარ სახში და გიგინოფს დიდი ცეცხლი!“ „მაგრა დავსოლდით, მარა შეშა ბზათ ქვონდა კარავში, დავაგიგინეთ დიდი ცეცხლი და გავშრით ხელათ“.

გლანჯვა წყლის სმა დიდი ყლუპებით. „რო იგლანჯები მა ღვინოს, პეტერ-პეტერე დალიე, თვარა ქე დაგათროფს“ (შდრ. ვ. ბერ.).

გლიანი სრიალი, სლიპინი (წვიმისგან დასველებული გათლილი ხისა). „ნუ თლი მაგას, წევე არ გლიანობს მა ოხერი, დაგორდება და ჩავა ეგერ ღელეში, რაი ამეიტანს მერე“ (ძოწ. გლინავს).

გოგორე 1. ბორბალი. გადატ. მანქანის ბორბალი. „დაფჩუტულა გოგორე“ (ქეგლ გოგორა). 2. პატარა სათამაშო ურემი. „ბაღანას გოუკეთე პეტერე გოგორე, დაჟდება ზეთე, ირთობს თავს“.

გოგოსთავე საწნახელში ყურძნის ჩასატენი სპეციალურად გათლილი თავკომბალა ხე. „კაია ახლა გოგოსთავე რო ქვონდეს, იმით ჩეიტენებოდა ე ყურძენი უფრო კარქათ“ (ჯაჯან. II).

გომფაშიე ბევრის მჭამელი, გაუმაძღარი. „კაი გომფაშიეები არიენ მაგენი, ბევერი ჭამა იციენ“ (ჯაჯან. II).

გორიცე პატარა გოდორი. „გორიცეები ქონდა კარნელის დაღობილი და იმითინ ავკიდე ცხენს ჭვირთი. დაქვხთა ჭიშკართან და, ეგი, ბიჯო, ცალავსო, ჩაკრა გორიცაში ხელი, ბევრი არ იყოსო“ (ქღ.)

გოჩანთიე პატარა, დაბალი და მსუქანი კაცი. „შე გოჩანთია, შენ!“

გოჯილა სიმინდის ნაჭურჩენისაგან აშენებული სათამაშო სახლი. „ნემეტანი დიდი თოული მევიდა წროულს, ვერ დავთოლე სახლი ქალმა და ქე ჩამეინგრა ოჯახი გოჯილასავეთ“ (ჯაჯან., გაჩეჩ., ქავთ. II, რაჭ. დიალ., ალავ. ლეჩხ.).

გოჯიჯე სხეულის ჰუჰყი, ჰუჰყისაგან ჩაშავებული ადგილი. „დეიბანე აწი, გოჯიჯე გაგიჩთა ფეხებზე“ (გაჩეჩ., ვ. ბერ., ალავ. ლეჩხ., რაჭ. დიალ.).

გრუშამო გარშემო, ირგვლივ. „აქანე საოტკიას დადეფ, გრუშამო შამოაწყოფ ჭიქეფს“.

გულებე საყანე ადგილი, ოდნავ ჩავარდნილი შუაგულში, განაკიდას უფრო შემაღლებული, ქარი არ უდგება, ტენს უფრო ინარჩუნებს. „ეზოის ბოლოზე მქონდა გულებაში კაი თხილი, მარა წროულს არაფელი არა, გარავაბრუნეფ კინწელას, არ აბია...“ „ამ გულებაში ბევრია თხილი“ (შარაშ. გულობაი.)

გულვანი ავი გულის ადამიანი; კაცი, რომელიც უცებ ბრაზდება; ანჩხლი. „ისე გულვანი კია პეტერავოთ, მარა რავარი მეოჯახე გოგოა, იცი?!“ „ეგი ვარესია კიდო, რო დააკირკაჟებს თვალეფს, უბედური გულვანია“. „მამე მყავდა მე, უბედური გულვანე იყო, მარა ერ წუჩი, მერე გაროუარდა გული“.

გულვარდი კარგი ადგილი. ცენტრი. „მაი მოსახლე ტყეში იდგა, იმასან შედარებით აი გულვარდია“.

გულზე გარამწყავება შეწუხება (ცუდი ამბის გაგებისას). „მეგონა მაგან იყიდა ეგი წიგნი და გარავამწყავდი გულზე“.

გულზე მოწევა წყენა, რაიმეს განცდა. „მეგეწია გულზე შენ ეგი ამბავი? მე არ მომწევია, იმიზა რომე კაცი გარარჩა და სახლი არ დამწვარა თლათ და ისე ქე ჩააქრეს მალე ცეცხლი“.

გულზე შემოხთენილი დადარდიანებული. დამწუხრებული, შეწუხებული. „რაღამც ბიჭი აღარა ავათ, მაგას ეჩივი? წუხელ გულზე შემოხთენილი ვიყაი“.

გული უფერდდება გული უწუხს.

გულის აყინცილება გულისრევის შეგრძნება („ასე გეგონება, გული მერევაო“). „ამიყინცილებს გულს, ბევერი ხილი რო ვჭამო“.

გულის შოვნა გულის მოგება. „ვერ ვიშონე მაის გული!“ „სა-

რშან შეშები დოუტოვე ბევერი, მარა მაინც ვერ ვიშონე მაის გული!“ „რას არ უკეთეფ და მაინც ვერ ვიშონე მაის გული!“

გულის აციცრცილება გულის არევის ოდნავი შეგრძნება. „რავარც ბევერს ჭამ ხილს, უზომოთ, აგიცირცილებს გულს“.

გულის აწრიალება გულის შეწუხება შიმშილისაგან. „გონია ამ ფსხალმა თლათ ამიწრიალა გული. — ხო, მეც ამიწრიალა გული, ხილი რო ვჭამე“.

გულის დარცობა ოდნავ დანაყრება, შიმშილის მოკვლა. „წყურულს ვერ გოუძლეფ, თვარა შიმშილი არაფელია. თხილის კეკალი რო გატეხო და იგი შეჭამო, იმით დეირცოფ გულს“. „ერთი ლუკმა უნდა ჩეიდვა პირში, გულს რო დეირცავ, მერე არაფელი გიჭირს“.

გულის მოჭუანვა გულის მოკვლა, გულის დააწყვეტა. „რადიო მოგიჭუანავს გულს, ავდარიაო იტყვის“.

გულის ძიგძიგი გულისცემის აჩქარება. „გული მიძიგძიგობს უბედურათ, ვატყოფ, წნევამ ამიწია“.

გულსაყარე მსხლის ჯიში, აქვს ძალიან ტკბილი ნაყოფი. „ერთი გულსაყარე ფსხალი ქვონდა, არაფელი ჯობდა იმის ჭამას, მარა ნემეტანი ტკპილი იყო და გულს აგირევდა მერე, რო ჭამდი ბევერს“.

გულუღმო საინი ღრმა თეფში. „ეგი საინი რათ მინდა, გულუღმო საინი მემე“.

გულღამიტიანი გულღრძო, გულგამყოლი. „რა უბედური გულღამიტიანი ყოფილხარ შენ, მასე რავა შეილება!“ (შარაშ. გულღამუტიანი).

გულში ამოჭრა დათქმა, გადაწყვეტა. „ეგი ამეიჭერი დღეს გულში და ქეც გავაკეთე“. „სამასტავლებლო უნდოდა დეემთავრებია, გულში ქონდა ამოჭრილი, მარა მერე საბუღალტროზე შეივიდა“.

გუმბროჯე ბალახეული. „გუმბროჯე საჭმელათ რავა ვარგა?!“

გუნებიერეთ საქმის საგულდაგულოდ კეთება, „ერთგულათ რო მიუდგები საქმეს“. „ბლინები დილას გავაკეთოთ, ავდგები, კარქათ, გუნებიერეთ მივდგები და გავაკეთეფ“ (ძოწ.).

გურგუზალე შავი, ძალიან მუქი. „შავი გურგუზალე ღურბელი წამევიდა იმისანე რომე, თუ მოასტრებდი სახში, არ მეგონა“ (ვ. ბერ. გურგუზანი).

გურული თხილი თხილის ერთ-ერთი ჯიში. აქვს სქელი კანი და პატარა გული.

გუშხამ ცოტა ხნის წინათ. „ნაფთი გათავდა? გუშხამ არ მევიტანე?!“ (ქღ.).

გძელვიროობიე თამაშია ერთგვარი (გრ. ბერ. ჯავახ.).

დ

დაათვლევინა კბილები ყველაფერი გააგებინა, შეატყობინა, შეამჩნევინა (ზერელე შეხედვით ვერ შეამჩნევ, მაგრამ დაკვირვების მერე დაინახავ). „დოულაგებელი ვიყაი და მომიყვანა აქანე სტუმარი და არ დაათვლოვია კპილები?!“

დაანაწა მზიან ამინდში ცას თხელი, მაგრამ საავდრო ღრუბელი გადაეკრა (იხ. დანაწებული მზე). „დაანაწა რაცხა და შეილება ქე გაავდეს“. „საწუმარი ღურბელი არა, ისეა თხელი ღურბელი გარაკრული ცაზე. ბზეი ვეღარ იხედება და ეგია დაანაწაო, რო ვიტყვით“.

დაბანჩულობს პატარა ბავშვის ან მოხუცის სიარულზე იტყვიან. „ერი წლის გახდა დათა და ქე დაბანჩულობს“ (წერ. ბაჩუნი, რაჭ. დიალ. დაფუნჩალობს, ფუნჩალი).

დაბანცალობს მთვრალი კაცის სიარული. „მთვრალივით დაბანცალობს“ (ვ.ბერ. ბანცალი, შდრ. როსტ. ინგილ. ბაცბაც).

დაბარძღული დაბალი და მსუქანი ტანისა. „ერთი დაბარძღული გოგო ყავს“ (ვ. ბერ. ბარძღი, ბარძღუში; ქღ. დაბარცხული).

დაბარჩხალებული სუფთა და მსხვილ-მსხვილი მარცვლები ერთად დაყრილი (ნ. ბარჩხალიე).

დაბგალვა სწრაფად დაწვა. „ისე უცფათ დეიბგალა სახლი, რომე ვენახიდან ვერ მოუსწიათ ამოსვლა“.

დაბენტერობს მოსულელო ადამიანის უაზრო სიარულზე იტყვიან. „მაისას რას გეიგეფ, ე, ისე დაბენტერობს თელი დღეებია“.

დაბზღრუკული ასაკთან შედარებით პატარა ტანის ბავშვი, მოზარდი. „მა დაბზღრუკულმა რაღა იცის ამ საქმის?!“ (შდრ. ვ. ბერ. ფსხრიკი, დაფსხრიკული).

დადუზვა ნაყოფის ძლიერ მსხმოიარობა, დახუნძლვა.

დაბლარცუნობს /დაბლარტუნობს უშნოდ სიარული.მოძრაობის ცენტრდარღვეული ადამიანის სიარული. „მაი ბიჭი ავათა, გონია, ისე დაბლარცუნოფს...“ (შდრ. შარაშ. ბლაცუნი, როსტ. ინგილ. ბრაცუნ).

დაბონძღვილი წვერმოშვებულ კაცზე იტყვიან. „რაფერ დაბონძღვილი დადის, ვერ გეიპარსავს წვერს?!“

დაბრუშებული დაბუჟებული. „დაბრუშებული მაქ ფეხი, ვერ დევიარები“ (გაჩეჩ. უბრუშდება, რაჭ. დიალ. აბრუშებს).

დაბუზუნებული 1.შესივებული, გასივებული. „რაფერ დაბუზუნებული აქ ი კლავი, მაგას კაი არ უნდა ჰირდეს!.. 2. სიმწიფემდე მისული ნაყოფი. „ლეღვი დაბუზუნებულია, მალე დამწიფდება აწი“.

დაბურძუკობს უსაქმოდ დაეხეტება. „სადაა ახლა ჩემი ბაღნები, ტყულე დაბურძუკობენ იქინე, თხილს მაინც მომაკრეფიებდა აგერ“ (შდრ. გაჩეჩ. ბარძუკი).

დაბუნტურობს უჭკუო ადამიანის უაზრო, უგერგილო სიარული. შდრ. ბუნტურიე — შტერი, სულელი ადამიანი.

დაბღუზურობს ტყეში ხმაურით სიარული (არის მეტსახელი, ანუ საგინებელი ბღუზურიე). „ტყეში დაბღუზურობდენ მიდღემჩი და ბღუზურიები დავათქვით საგინებლათ“ (შდრ. როსტ. ინგილ. ბღლარზუნ).

დაგაჯეყებს გულზე გულს მოგიმსუყებს. „ნიგოზს ვერ ჭამ ბევრს, დაგაჯეყეფს გულზე“.

დაგვანგვალობს მსუქანი, კოხტა, პატარა ტანის ქალის სიარულზე იტყვიან (გადატ. ჩიტებზეც. „ჩიტები დაგვანგვალობენ მიწაზე, თოულს რო ელოდებიან, მაშვინ მაინც“) (ალავ. ლეჩხ. გვანგვალი, ვ. ბერ. ქვანქვალი).

დაგიტოვია ალაგე და მიპორტყიალოფ ღობეზე არასწორი ქმედება (საქმის კეთების სწორი გზისთვის ვერ მიგიგნია და უჭკუობის გამო რთული აგირჩევია). „რო არ იცი, ქე გეიგონე სხვისი... დაგიტოვია ალაგე და მიპორტყიალობ ღობეზე...“

დაგლიჯინობს ხმაურით დადის. „შენ გააჩერეფ მაგას, ასე დაგლიჯინოფს სულ“ (გაჩეჩ., რაჭ. დიალ. გლაჯაგლუჯი, ვ. ბერ, გლაჯუნი, ჟღ. გლიჯინი).

დაგნისვა თიხამიწით ჭურის დახურვა. „მასე არ დატოვო მა ჭური, დაგნისე კარქათ, თვარა წყალი ჩავა“ (გაჩეჩ. დაგნესვა, რაჭ. დიალ. დაგნისავს, ქავთ. II დაგნესვა).

დაგრილული გაცივებული, შეცივებული. „დაგრილული ხარ და მიტო განცხიკვებს“.

დადგომა (თხილისა) პერიოდი, როცა მცენარე ზრდას ამთავრებს და ყოველწლიურად დაახლოებით ერთნაირ მოსავალს იძლევა.

დადუზული ძლიერ მსხმოიარე ხე, ნაყოფით დატვირთული მცენარე, დახუნძლული. „ხო ხედავ რაფერ დადუზულა ე ხეები. ამას ახლა თვარ შოუყენე ბარჯგები, ყველას დეემტროვა ბოლები“.

დადღაჩვა თვალების ფართოდ გაღება. „ბუსაევეთ დოუდღაჩია თვალები“.

დავილი დავა, ჩხუბი. „მასე იცი დავილი შენ მიდღემჩი, ვერ ვისტავლე ჰკუა, რავა მეკედი აქანე!“

დაზაფვრა შეშინება, შეშფოთება. „დევიზაფრე, მოქვტი კაცი!“... „პეტერე ფინჩხა გარაცთა ბაღანას და არ დევიზაფრეთ!“ (შდრ. ქეგლ ზაფრა ეცემა).

დაზოზიალობს ნელა დადის, დაზოზინებს (რაჭ. დიალ.).

დაზორგოლება დახვავება. სქლად დაყრა. „დაზორგოლება არ ვარგა თხილის, შეხურდება და დალპება“ (ქავთ.I დაზურგულება).

დაზრუგვა დატვირთვა. „მევიდა მაყვალიამ და დაზრუგა [მანქანა] რამე-რამეებით და წეიღო, წევიდა“ (ნ. როსტ. დაზრუგვა).

დაზუნზღულა სველი, თავიდან ფეხებამდე დასველებული, გაწუწული. „პური მომქონდა, დემესტრო წუმა, დევიზუნზღლე თლათ. მისი პურიანათ“. „ახლა თხილეფში რაფერ გახვალ, ნაწუმარია, დაზუნზღულია ყორფელი“ (ძოწ. დაზუნზღული, ჯაჯან. I დაზიზნული).

დაზუნტული დასველებული, დასვრილი (წვიმისა და ტალახისაგან). „შეშა არ მაქ, შეშა, ცეცხლი რო დავანთო... შეშა ქე მაქ, მარა დაზუნტულია წუმიდან ყორფელი“.

დათეთრება კანის გაცლა საჩურჩხელე თხილისათვის. „თხილს რო დაამტროვ, ჩაყრი სოდიან წყალში და კანი მისით გაძრობა, დათეთდება. თვარ დაათეთრე თხილი, ისე რათ ვარგა საჩურჩხელეთ“.

დათორხალება სიმწიფისაგან დარბილება. „თვარ ჭამეთ ე კარალოკი, აღარ ივარგეპს, დათორხალდა თლათ“.

დათუთქვა მეტად დაწვა. „დეიწვა და დეითუთქა მაის მომგონი!“ „ა, დევითუთქე ხელი აგერ!“ (საბა თუთქი, ალავ. ლეჩხ. თუთქვა, გრ. ბერ. მთუთქარი, ქავთ. მოხ. თუთქარი).

დათხიპვა დასვრა, დათხუპნა. „ნუ გოუფუქეფ, ბებია, მა სტოლს მამაშენს, რო დეითხიპა თლათ, ხო უყურეფ...“

დაიბარძღება მეტად მსუქანი ადამიანის სიარული. „ძულა დეიბარძღება მაი და რო წეიყვანო იქინე, რას გაგიკეთეფს“. „ძულე დეიბარძღება, ძულე დაათრევს თავს“. შდრ. დაბარძღულ. (შდრ. ქავთ. I დაბენძღილი; ვ. ბერ. ბარძღი, ბარძღუში — დაბალი ტანის კაცი).

დაიბრუცება ელამი ადამიანის სიარული (ოდნავ გვერდშექცევით სიარული).

დაიბღუნკება ავადმყოფობისაგან მოხრილი ადამიანის სიარული. „რაფერ დეიბღუნკება, ალბათ ტკივა რამე“.

დაიკუნკება წელში მოხრილად სიარული (მოხუცებულობით ან ავადმყოფობით).

დაიკუნძება მოხრილად, მიპარვით სიარული, როცა უნდა, რომ შესამჩნევი არ იყოს. „გევიხედე და ეგერ არ დეიკუნძება?!“

დაიპარება ჩუმ-ჩუმად, შეუმჩნეველად, სიარული. „დეიპარებიენ ძაღლები ვენახში, ვერ მოვუხერხე ვერაფელი“.

დაიტუზება ჩუმად, სხვათათვის შეუმჩნეველად დადის. „გო, რო დეიტუზები მაქანე, მოი აგერ!“ „დეიტუზება ჩუმა-ჩუმათე, წევს კისერს, იბზირება, არ შემამჩნიოს ვინმემო“ (საბა ამოტუზვა, გაჩეჩ. მოიტუზება, გრ. ბერ. ჯავახ. ამოტუზვა).

დაიფახვება კოჭლის სიარულზე იტყვიან. „ფეხტკივანზე ვიტყვით ჩვენ, დეიფახვებაო“.

დაიშტიმება თავმომწონედ, გაჭიმული დადის. „მაღალი კაცია, სუქანი და დეიშტიმება!“

დაიძლურწება ჩუმად, ხმისამოუღებლივ დადის. „მაი მისი დღეია დეიძლურწებოდა სულ, სა წევიდოდა, ვერ გეიგებდი“ (გაჩეჩ. დეიძურწება, შარაშ. ძურწვა, გამოძურწვა, ვ. ბერ. ძურწვა, გრ. ბერ. მოძურწვა).

დაიწენწება იტყვიან მაღალი კაცის ამპარტავნულ სიარულზე. „დეიწენწება რაცხა უშნოთ. არაფლის გამკეთებელი არა მაგი“.

დაიხლახება თეძოებში ამოვარდნილი ადამიანის სიარული. „თეძოებში როა დანგრეული და ფეხები აქ მოქცეული, ძულე გაჰივრებით დეიხლახება“. „რავა დეიხლახება იაგავათ“. „ფეხებტკივანე დეიხლახება“.

დაიჯგიმება „კაცი დეიჯგიმება, მუცელს წინ წაწევს, თავი მაღლა აქ აწეული, წელშია პეტერე გარახრილი უკან“.

დაკა-დაკა ჩხუბი, აურზაური, აყალმაყალი. „სხოკან ვარესია, ერთი დაკა-დაკაა ყოლდგან“.

დაკაპტუებული დატყეევებული, დამწყვდეული. „დაკაპტუებულია ქათმები თელი დღეი“. „ასე ხართ აქანე თელი დღეები დაკაპტუებული ხო? რაფერ ძლეფთ?!“ (გაჩეჩ. დაკაკაპტოვებს, ვ. ბერ. დაკაპტოება, ძოწ. დეიკაპტოეფს, რაჭ. დიალ. დაკაპტოვებული).

დაკაჟრავს ფართოდ ახელს თვალებს, თვალებს ქაჩავს. „ქარლოიას რო მოუა გული და დაკაჟრავს თვალეფს, ვერ გოუჩერდები ახლოს“.

დაკაჟრული ფართოდ გახელილი თვალები, სიბრაზისაგან დაქაჩული, გადმოკარკლული თვალები. „უბედური გულვანია, მასე დაკაჟრული აქ თვალები მიდღემჩი“.

დაკარჭვლა თხილის მარცვლის ბუდიდან ხელით გამოცალკავება, გარჩევა ნედლი თხილისა. „ამდონ თხილს რაი დაკარჭლავს?!“ გაჩეჩ. დაკაჭლავს, ალავ. ოკრიბ. დაკაჭვრა, ჟღ. კარჯალა).

დაკეთება ხილის საარყედ მომზადება. „დავაკეთეფ ახლა ამას, ჩავყრი ჭურში და ზაფხულზე გამოვხადოთ ოტკა“.

დაკვაჭული (მოკვაჭული) წვივებში მოხრილი ფეხები (ცუდი ფეხები). „დოუკვაჭია ფეხები და კაი გონია მისი თავი“ (შდრ. გრ. ბერ. ჯავახ. დაკვლანჭვა, დაკვანჭვა — დაგრეხვა, დანასკვა).

დაკინკული დახუნძლული, უხვად მსხმოიარე. „ერთ ბოლს აბია აგერ თხილი, ტრაპიზონას, ისე აბია, რომე დაკინკულია თლათ“.

დაკირკაჟება თვალების დაქაჩვა სიბრაზისას. „ეგი ვარესია კიდო, რო დააკირკაჟებს თვალებს მაამისივით, უბედური გულვანა“.

დაკომიჭებული კოპებიანი. ალაგ-ალაგ გამაგრებული. „რას მიარტყი ე თავი, დაკომიჭებული რო გაქ?“

დაკონწიალებული ჩამოკიდებული, დაკიდებული. „ყინწა ლეღვს ყირწი აქ გძელი და დაკონწიალებულია, მიტო უძახით ყინწას“.

დაკორწიანობს ქანაობით სიარული. „დაკორწიანობო, ვიტყვით, რო დეიარება გვერძე-გვერძე ქანაობს“.

დაკოჭიტალობს კოჭლობით დადის.

დაკრულული მცენარის დაავადებისაგან მოჭმუჭნული ფოთოლი. „სამჯენ მოვრწყეი წროულს ვენახი, გარავყეი თან, მარა მაინც დაკრუღული აქ ფორთოლი“.

დაკუნწვლა მწვანილეულის წვრილად დაჭრა. (შდრ. დაკუწვა). „ქინძის, ოხრახუშის მოკლე-მოკლეზე უნდოდა დაკუნწვლა და ჩაყრა ისე, მარა მე არ მეცალა და დიდვრან-დიდვრანზე ჩავჭერი და ჩავყარე შითე“. „ისე ჩავყარე საკმაზი, არ დამიკუნწლია“ (ქეგლ დაკუწვა; საბა დაკუწვა—წვლილად დაჭრა).

დაკუსული მარტოდმარტო დარჩენილი და საცოდავად მზირალი (შდრ. კუსავს თვალებს). „საწყალი დედამისი, დაკუსულა იქინე მარტვე“ (ქეგლ გადმოკარკლული თვალები).

დაკურკუშალება სითხეში ფქვილის პატარ-პატარა გუნდებად შეკვრა. „ცივში უნდა გახსნა ქფილი, ცხელში რო ჩაყაროო დაკურკუშალდება იმწუჩი“ (ქავთ. I, შარაშ. მოკურკუშება).

დაკუჭება ძალიან დამწიფება, სიმწიფისაგან ფერის შეცვლა, გამუქება (იცის მსხლის ზოგმა ჯიშმა). „მაი ფსხალი არ ვარგა არაფრათ, დაკუჭებაამდი დალპა“ (გ. შარაშ. დამკვიეებული).

დალაბზული დაჯღანული, უშნო პირისახის მქონე. „ერთი დალაბზული ბაღანე ყავს და შეჩერებიან იმას“ (შდრ. ალავ. ოკრიბ. ლაბზი, ლაბზიანი).

დალაყუნობს მუხლებში მოხრით სიარული.

დალიგნვა დასვრა, დათითხვნა, დათხუპვნა. „რა ამბავია, რო დასვრილხარ და დალიგნილხარ თლათ“ (ქარელ. ლეჟსიკ. ამოულიგნავს).

დალიგნილი დასვრილი. „ერ წუჩი რავარც გოუშოფ ამ ბაღანას გარეთ, დალიგნილი მოვა მორე წუჩი“ (ქავთ. II გალიგნილი).

დამაგისება რაიმესათვის თავის ადგილის მიჩენა, დალაგება. „დავამაგისეფ ახლა ამას და ახლავე მოვალ“. „ღვინოები დავამაგისოთ ახლა და მეტი საქმე აღარა“. „ჯერე დავამაგისოთ ყორფელი, საკმაზები დავაბზადოთ და მერე გავაკეთოთ საჭმელი“ (ქავთ. I მოსამაგისება).

დამატვლა თხილის ავადმყოფობა (ნაყოფს უჩნდება მატლი).

დამაჭრებული დადუღებული ღვინო (მაჭრობაგამოვლილი ღვინო). „რო დადუღდება ღვინო, ჰაა და ჰა, ამთავრეფს დუღილს, დამაჭრებულია იგი“.

დამდგარი თხილი ზრდასრული და მოსავლიანი თხილის ხე.

დამკვლისუფალი მთქმელი ვერ განმარტავს. „მოწყენილი როა ადამიანი, გლახა ხასიაძე, იმაზე ვიტყვით“. „რავა დამკვლისუფალივით ხარ თელი დღეები, რაი მოგივიდა“.

დამორვა ხის ძელის ტოლ ნაწილებად, მორებად დაჭრა (დ. ჩუბ. ძოწ. დამორავს, ყღ.).

დამურმალება 1. დატრიალება. „დამურმალდა ქარი ყანაში“. 2. საქმიანობა, სწრაფად კეთება, დატრიალება. „ვინ დამურმალდა ჩემ ეზოში?! მე ჩემი ქმარი ნეშოს არ მატეხიებდა, თვითონ აკეთებდა ყორფელს“ (შდრ. რაჭ. დიალ. დამურმალობს, ვ. ბერ. მურმალი).

დამშვენება მოტირალისთვის სატირალში გამყოლად წაყოლა.

„მარტო ხვარ მიტანტალდებოი სატირალში, ამიტო მეზობლებს წევიყვანდით დასამშვენებლათ“.

დამწვარ ნახშირს ვერ იშონი მაგისგან ძენწია, ხელმოჭერილი. „მაგი იმისანეა, დამწვარ ნახშირს ვერ იშონი მაგისგან, უბედური წირეა“.

დამწრიახება დაგრეხვა. „ღვლეჭს დავამწრიახებდით და უკეთებდით კანდრათ“.

დამჯგალება დაჯახება, დატაკება, მიტაკება. „გამეიქცა ზეიდან, დემენჯგალა, რაღმე წამაქცია“ (გაჩეჩ.).

დანა რო(მ) ჩააჭირო კისერში, ხმას არ ამოიღებს უთქმელი, მომთმენი. „ჩემი ბაღანეა ენაუთქმელი, დანე რო ჩააჭირო კისერში, ხმას არ ამეიღეფს“.

დანა კბილს არ უხსნის ცუდ გუნებაზეა. „მამაჩემი ისეა, რომე დანა კბილს არ უხსნის, ვერ ველაპარიკებით“ (შარაშ., გრ. ბერ. ჯავახ.).

დანა რო დაარტყა, სისხლი არ გამოუვა ძალიან ცუდ გუნებაზეა, დარდობს. „დამანებე თავი, დანა რო დამარტყა სისხლი არ გამომივა, მაის ლაპარიკი მეგონება?!“

დანაფინცქვალება წვრილ-წვრილად დაჭრა, დანაკუწება. „ფსხვილათ დაპობილ შეშას აქ ხვავი, თვარა რო დააფინცქვალეფ, რათ ვარგა?!“

დანაღვლება 1. სიტყვის წარმოთქმა გაგრძელებული ინტონაციით. „თვარ დაანაღვლა მეგრელმა, იგი რაი მეგრელია. მაითი ვიცნოფთ ჩვენ მეგრელს“. 2. ყივილისას ხმის უსიამოდ გაგრძელება. „ყვიჩილე რო გეიზდება და დეიწყებს დაყივლებას, თუ დეიწყო დანაღვლება, არ ვარგა, დავკლავთ იმას ჩვენ. თვარ დეეწმიდა, არ ვარგა მერე. დაწმენდილი ხმაი უნდა ქონდეს კაი, კრიალ-კრიალი უნდა გაქონდეს ხმას“.

დანაძული ძალზე მსხმოიარე ხეხილის ხე, ნაყოფით დახუნძლული ხე, რომელსაც ტოტები სიმძიმისაგან დახრილი აქვს. „შე რაფერ აბია, დანაძულია თლათ“ (ჯაჯან. II დაძანძული).

დანაწებული მზე ახლად ამოსული, თხელ ღრუბელგადაკრული მზე, თვალით შეუმჩნეველი ღრუბლით დაბინდული მზე (შდრ. დაანაწა). „გლახა მზეი არა ეგი, დანაწებული მზეი არაა. და იქნება გამეიდაროს დღეს“.

დანიქიტებული მშიერი, დამშეული. „სულ რო მეითხოვს საშმელს და ვერ ძღება“. „დანიქიტებულია კოჭორიეს შვილები, მიდღემჩი ვერ გააძღეფ საშმლით“ (შდრ. კახ. დაქიმითებული).

დანოტვა ოდნავ დასველება, დანესტიანება, დატენიანება. „მარილი მქონდა შენახული ეგერ და დოუნოტია“ (შდრ. ქეგლ დანოტივებული).

დანცმა საჩურჩხელე თხილის ძაფზე აცმა. „ამეღამ დავანცუმ ი თხილს, დათეთრებული ქე მაქ“.

დაპარპალება თვალის დახამხამება. „შუშის თვალს რაფერ დააპარპალეფ, საპარპალო ამოღებულია და...“ (შდრ. შარაშ. პამპალი ქანაობა).

დაპილწვა (მოპილწვა) დასვრა, დაჭუჭყიანება, დათითხვნა, დაბინძურება. „დეიპილწა ყორფელი!...“ „დაპილწეს ყორფელი ამ გლახებმა აგენმა“. „მოპილწენ თლა ყორფელი ამ ქათმებმა, მოქვტი, გო, აღარ ვარ!“

დაპილწული დასვრილი, დათითხნილი. „ამ კვატიების გადამკიდე დაპილწულია თელი ეზო, უნა გარავაშენო, სხვა საშველი არა...“

დაპირადება თესვამდე მიწის მოხვნა. „ამ კვირეში უნდა დავაპირადოთ, თვარა მერე გვიან იქნება“ (შდრ. ვ. ბერ. პირადი).

დაპორტყიალობს ფორთხვით სიარული. „ბაღანე რო ოთხზე დადის, იმაზე ვიტყვით, დაპორტყიალობსო“(შდრ. ვ. ბერ. პორტყვა).

დაპორწიალობენ „ბიჭი და გოგოს ერთათ სიარულზე იტყვიან, დაპორწიალობენ ერთათო“ (ვ. ბერ. პორწიალი).

დაპრაკუნობს/დაპაკუნობს ხმის გამოცემით სიარული.

დაპრაწვა სიბრაზისაგან სახის შეცვლა. „უბედური გულვანეა, რო დეიპრაწება, ტერს!“ (შდრ. ქეგლ, ჯაჯან. I გამოპრაწვა თვალისა).

დაპრიწვა დახევა. „გამოართვი ე გაზეთი ამ ბაღანას, დაპრიწა თლათ, ჯერ კარ წოუკითხია ვინმეს“.

დაპუწკნა კანის გაცლა (საჩურჩხელე თხილისათვის, ლეღვისათვის...) „დაპუწკნე და ისე ჰამე მა ლეღვი“. „თხილი ჯერე უნდა დაპუწკნო და მერე დაანცუმ საჩურჩხელეთ, თვარ დაპუწკნე, ისე რათ ვარგა“.

დაჟენტილი წყლით (წვიმით) გაჟღენთილი ნედლი ხე. „იმას [ხეს] რავა ამოათრევ ახლა, დაჟენტილია. ქორო იყო, ორი იმ სიმძიმეა ახლა იგი“. „დაჟენტილია თლათ, არ ეკიდება ცეცხლი“ (ქავთ. IIგაჟენტვა, ძოწ. იჟენტება; შდრ. უთურგ. თუშ. ჟანტი, სველი).

დაჟინჟღლვა დაჟეჟვა, მოსრესვა. „გოუშვი, ბიჯო, ე ქათამი, გოუშვი. დოუჟინჟღლა ბარკლები თლათ!“.

დართვა (დოურთავ) დარტყმა. „ჩამევიდეს ერთი ჩემ ეზოში. დოურთავ თავში კეტს...“

დარდანელი გადატ. ძირითადი, მთავარი გზა, აუცილებლად გასავლელი. „მოუდათ თურმე ჩხუბი: —სად მიხვალ, სარაპიონა დვალიშვილოო! დარდანელში ვარ აქანე, არ გინდა გამორება აწიო?!“

დარეკვა დაბერტყვა (თხილისა, ნიგვზისა...) „რო ვეღარ შევიძელი მოკრეფა. დავრეკე თხილი და ისე ვხიკავდი“ (რაჭ. დიალ. რეკავს).

დარუშნული დიდი და გადმობრუნებული ტუჩები. „არაფლათ არ ვარგა მა ქალი, რაცხა დარუშნული ტუჩები, გლახა, კოჭიტალე“.

დარჭიანობს სირბილით სიარული, ჩქარი სვლა. „დარჭიანობს ცხენივით, რო შეაჟდე, ქუთეიში ჩაგიყვანს“.

დასავება 1. დაღლა; „პეტერე აღმარჩი რო ევიარ, ისე დავსავდები, რო, აჰ, ამიკანკალდება გული“. 2. დასუსტება; „ორ ძიძას შუა შვილი მოკვტაო. ერთმა არ აჭამა საშმელი. მორე აჭუმსო, მორემ — რო ვაჭამო მაინც არ დამიმადლეფს პირველიო, დასავდა ბაღანე და მოკვტა“.

დასანსალება დალაგება, დასუფთავება. „რა კაი ბოფშები არიენ, თვარისიე ასანსალებს ყორფელს“.

დასასტიკება სწორად დაკეცვა. გასწორება. „ჩიხოლი და პრასტინა დავკეცე, დავასასტიკე ისე, რომე ახალი გარეცხილი და დაუთოებული გეგონება“.

დასირსვნა წვრილად დაჭრა. „წვრილათ რო დაჭრი თლათ, წმინდათ, ე, იგია დასირსვნა“. „— ე ნიორი ყველე უქნა? — ხო, ხო, დარეცხე და დასირსნე წვრილათ“.

დასკვამა შენახვა, დამალვა, გადამალვა. „ისე დასკვამავს, რომე ვერ მიაგნეფს ვერაკაცი“. „იმიხელობაზე ჩემი ბიჭი სკვამავდა ფულს, მაი არაფლათ არ ვარგა“.

დასოსინაროობს არხეინად, უდარდელად დადის. „რა ენაღვლება, დასოსინაროფს ნელა-ნელა და ქეა“.

დასხმა დაბადება, გაჩენა. „კიდო დასხვამდა ე კატა ცინტლებს ახლა...“

დატაკებული მუდმივ წინააღმდეგობაში მყოფები. „მასე დატაკებული არიენ მაგენი მიდღემჩი, არც ერთი არ ვარგა“.

დატანტალებს ფეხშიშველა დადის. „რო დატანტალობ ფეხშველე ცხელ მიწაზე, დეიხაშმები“.

დატატყუნობს წყალში ან ტალახში ხმაურით დადის. „შენი სტუმრები რა შობიენ? — რა იზამენ, ქე დატატყუნობენ ი ტალახში, ვალინკები ქე აქვენ და...“

დატინტრიშება დიდი რაოდენობის სითხის დაღვრა. „დავატინტრიშე წყალი და ატალახტა იქოურობა“ (გაჩეჩ. დატენტეშება, რაჭ. დიალ. ატენტეშებს).

დატკბობა დასვენება, დამშვიდება. „ტანი დოუტკბა ახლა მაგას, რო დეიბანა და მიტო ძინავს ასე“.

დატკბილვა გაშრობის შემდეგ ჩურჩხელის ან ჩირის გათეთრება, სიტკბოს გარეთ გამოსვლა, „კაი ჩურჩხელამ დატკპილვა იცის მერე“. „მაი ობი კარა, ბებია, დატკპილულია ჩურჩხელე, კაია, კაი“.

დატოტყიალობს 1. უსაქმოდ და უთავბოლოდ დადის (ვ. ბერ. ტოტყვა); 2. ბავშვის სიარული, ხელის კიდებითა და ბორძიკით. „დატოტყიალობს ბაღანე და პეტერა ხანში ქე გეიარს ფეხზე“. 3. ძლივს, გაჭირვებით სიარული. „ძულათე დავტოტყიალობ და არწივოულში ასვლის თავი მაქ მე, იმ აღმარჩი?!“

დატრიტვა დახევა. „ჩემი თავსაფარი არ დეიტრიტა თლათ!“

დატრიშინობს ზევით-ქვევით უწესო, უსაქმო სიარული. „სა დატრიშინოფ, სა დეიარები?!“

დატრიცინობს ცელქ, გაუჩერებელ გოგოზე იტყვიან. „ასე დატრიცინოფს თელი დღეი, არც საქმე უნდა, არც წაკითხვა...“

დატუზვა (დეიტუზება) ჩუმ-ჩუმად დადის, სხვათათვის შეუმჩნევლად. „გო, რო დეიტუზები მაქანე, მოი აგერ“. „დეიტუზება ჩუმა-ჩუმათე, წევს კისერს, იბზირება, არ შემამჩნიოს ვინმემო“.

დაუქმება გაფუჭება. „დააუქმა მაშინა და დავრჩით ყვლიპათ!“ „იმდონი უჩხიკინა იმ წისქვილს, სანაამდი არ დააუქმა თლათ...“

დაფალანცებული დანგრეული, დამტვრეული (ღობეშენგრეული). „ახლა აგერ გამოვა ღორი, რაი მოუშლის, დაფალანცებულია ყორფელი“.

დაფამფალობს მოხუცებულობით დასუსტებული ადამიანის სიარული. „მოხუცებულია და აღარ შოუძლია, ძულა დაფამფალობს“.

დაფანდალობს დასუსტებული ადამიანის ფეხარეული სიარული. „ა, ახლა წამოდგა ლოგინიდან და ძულა დაფანდალოფს, დასუსტებულია ნემეტანი...“ (გაჩეჩ., შდრ. გრ. ბერ. ჯავახ. ფანდალი).

დაფანტურობს გაღეღილად, მსუბუქად ჩაცმული სიარული. „შე რო დაფანტუროფ ასე, რაია, ჩეიცვი!“

დაფანცხებული დაგლეჯილი, ძველი, დახეული. „რაღათ გინდა ე დაფანცხებული გოდორი, ადგილს ცელთავს ტყულა, გარააგდე.!“ (ალავ. ლეჩხ. დაფანცხებული, რაჭ. დიალ. დაფანციახება.)

დაფარცახებული ფარღალაღა, ცუდად ნაშენები ან დანგრევის პირას მისული შენობა. „რაღათ ვარგა ჩვენი ნალიე აწი, დაფარცახებულია თლათ“. „მაგენს უწინ სახლი სა ჭონდა, დაფარცახებული იყო, ძაღლები შამოდიოდა სალპობში“ (ქავთ. I).

დაფაცურობს მოხუცის საქმიანი სიარული. „მოხუცებულია, მარა კიდო დაფაცურობს პეტერ-პეტერას“.

დაფემფერობს დალასლასებს, ძლივს დადის. „ამ ბაღანას გოუშვია თმები და დაფემფერობს ტილიანი ქათამივით“.

დაფერდალობს გვერდულად დადის. „ცალი ფეხი ტკივა და დაფერდალობს იგი“.

დაფერფეტობს ძლივს დადის სისუსტისაგან. „ძალითე დაფერფეტობს“ (ვ. ბერ. ფორფოტი, შარაშ. ფარფატი).

დაფეხუცობს კოჭლობით დადის (შდრ. ფეხუცელე. ფეხუცე — კოჭლი.

დაფლარტუნობს ღია, უქუსლო ფეხსაცმლით სიარულისას გამოცემული ხმა. „ჩოუცვია იმიხელა ფეხსაცმელები და დაფლარტუნობდა“ (ქეგლ ფრატუნი, ფლატუნი).

დაფოფიალობს დასუსტებული ადამიანის სიარული. „მოხუცდა, მარა ქე დაფოფიალობს კიდო პეტერას, სიარული შოუძლია და მეტი არა“ (რაჭ. დიალ., გაჩეჩ. ფოფიალი.)

დაფოფიალობს გრძელ სამოსში ჩაცმულის სიარული. „გო, რას დაფოფიალობ მა კაბით, დეისვარა ხო ხედავ თლათ“.

დაფრანგვა დეფორმირება, გაღუნვა; რკინის იარაღის დაბლაგვება. „დეიფრანგა, ბიჯო, ნაჯახი, ვუძახი, მარა აბა, ეყურება?! ურტყა, ურტყა ბოლს და გააფუჭა კინა“ (ქეგლ, შარაშ., ალავ. დაფრანგული, რაჭ. დიალ. დაიფრანგება).

დაფსებული დაქცეული, განადგურებული, გაღარიბებული. „ძაღლი სამჭედურიდან რას გეიტანს?! — მაგ დაფსებულიდან რა ხეირს ნახავ?!“ (შარაშ., რაჭ. დიალ.).

დაფურთხაშება დახევა, დაგლეჯა. „შე რავა დოუფურთხაშებია

ყორფელი თაგვებს, ასეა, დითხანს რო მიატოვ სახს“. (შარაშ., ჟღ. დაბურდღაშება).

დაფშვიტინობს უსაქმურად (სტვენა-სტვენით) დადის. „დაფშვიტინობს ზეით-ქვეით და არ აკეთეფს რამეს“.

დაფშუკული 1. ჩამქრალი, მინელებული ცეცხლი. „ისე დაფშუკულა ე ცეცხლი, რომე სპიჩკით დასანთები გაგვიხთა ხელახლავე“. 2. გაღარიბებული, გაღატაკებული ოჯახი. „თლა დაფშუკულია მა უპატრონო, რო იტყვიან: არც გობი მაქ, არც საცერი, არც მაქ რამე გასაცერი“.

დაფჩუტული დაფუშული, დაჩუტული, ჩაშვებული. „დაფჩუტულა გოგორე“.

დაფხაკურობს ხმაურით, ფხაკუნით სიარული. „თაგვი თელი ღამე დაფხაკურობდა წუხელ თავანზე, არ დამაძინა!“

დაფხუწურობს ტყეში ჩქარი და ხმაურიანი სიარული. „ტყეში არ დაფხუწურობდი მიდღემჩი?!“

დაქარვა ნერვის გაცივება. „დევიქარე უბედურათ, ველარ დევიარები“.

დაქაჯურობს შეშლილივით, გიჟივით სირბილი. „საცხა გარაწკუნდება თუჯიე, მივა იქინე... გადაროულივით დაქაჯუროფს, სახში კარ ჩერდება იგი“.

დაქელთილი დიდი სიცხისაგან უზომოდ შეწუხებული, დასიცხული. „წაი, ბებია, წყალი მომიტანე და დამალევიე, დაქელთილი ვარ უბედურათ...“

დაქოფარება პატარ-პატარა ნაწილებად დაშლა, დამსხვრევა, დაქუცმაცება. „მე და ავთანდილას გარაგვიგორდაა ერჯენ ჩაფი, — წყალი მოვქონდა, ბუთქა ღელეში ლიპეზე და დაქოფარდა თლათ“.

დაქოფილება ნახშირად დასაწვავი შეშის ნაჭრების (წაბლის ხის) ერთმანეთზე დაწყობა მწყობრად უკეთ დაწვის მიზნით (დაბეღლვა); ჩალის დაწყობა. „ნაყანებში დავაქოფილებდით ჩალას, მოკონილი ჩალას, ზეით მოუჯირებდით პეტერას, წუმა რო არ ჩევიდეს შითე“.

დაქოქება ჩამოცურება, ჩამოსრიალება „ე, ახლა არ დაქოქთება აქანე მანქანა“.

დაღილვა სიმინდის ტაროს მარცვალ-მარცვალ გარჩევა. „კარქა რო დეგვეფშვნა სიმიდე, ტაროს ერ ზოლს ამოუღებდით დანეს წვე-

რით. ე, იგია დაღილვა. ერთი ქე ღილავდა, მორე ქე ფშვნიდა. ნემეტანი ბევერი ქვონდა საფშვენი“ (შდრ. შარაშ. ჩაღილვა ვიწროდ ჩაჭრა ფიცრის ან ჯოხის).

დაღიჯნა 1. ცუდად მოჭრა, ცუდად დაჭრა; „ე მარგატელი არ ჭრის და დაღიჯნა ყორფელი“ (შდრ. ჯაჯან. II). 2. ხის ზედაპირის აჩიჩქნვა. „ვერ მოჭრა ამან ხო ხედავ, დაღიჯნა თლათ, გახმება ახლა ეგი; არ იცის მოჭრა და...“

დაღლაბურცობს მოშვებულად, ულამაზოდ დადის.

დაღლეწვა დამტვრევა, დაგლეჯა, დალეწვა. „შექნენ ძაღლებმა ჩხუბი და დაღლიწეს თელი ყანა“. „ამ საწელკავია ძაღლებმა შექნეს ჩხუბი, მარა რა ჩხუბი, დაღლიწეს თელი ყანა“.

დაღნიაშება დაქუცმაცება, დაფხვნა, გაფუჭება. „ჭადი დოუმტროვია ყველე, არ დოუღნიაშებია ყველე?!“ (შდრ. ჟღ. გაღნიაშება; ქავთ. მოხ. ღნიოში).

დაღონწიალობს უსაქმურად დადის (შრდ. ძოწ.).

დაღოტიალობს უსაქმური კაცის ტყუილუბრალო სიარული. „სოფელ-სოფელ დაღოტიალობს, იქნება მოსახმარებელი აქ ვინმეს რამე. მეგეხმარები და საშმელი მაჭამეო“.

დაღოღიალობს 1. სისუსტისაგან ან მოხუცებულობისგან ძლივ-ძლივობით სიარული. „ძულათე დაღოღიალობს... მაიც მალე გეიხედავს ფჩხილებში“. 2. კარდაკარ მეზობლებში ხშირი უსაქმო სიარული. „დაღოღიალოფს სოფელ-სოფელ და თხოულოფს ყორფელს“ (ვ.ბერ. ღოღიალი; ალავ. ლეჩხ. ღიალი).

დაყვანცალობს რწევით დადის. „დაყვანცალობს ზეით-ქვეით თვრალი კაცივით“.

დაყვანთალობს რხევით დადის. „გლახა სიარულია, ფეხები ტკივა და დაყვანთალობს“. ირონ.: „სა დაყვანთალოფ თელი დღეი შენ?“ „დაჯეი, გო, დაჯეი, რო დაყვანთალოფ თელი დღეი“.

დაყლაცუნობს რწევით, მოშვებულად დადის. „პეტრიე ენახე, მოყლაცუნობდა საპჭოდან“.

დაყუათება შიმშილის მოკვლა, დანაყრება, დაკმაყოფილება, სულის მობრუნება. „დანიჭიტებული იყვენ საშმელზე ქათმები და რო ვაჭამე შავი პური, ისე დააყუათა როშე... აღარ წუწკურობენ ახლა... ქე ვაჭუმდი ცომს, მარა არაფელი არ უქნა...“ (ქართლ. ლექსიკ. აყუათებს).

დაყუნწული ძალზე მსხმოიარე, ნაყოფით დახუნძლული ხე. „მოი, ბიჯო, მომაკრეფიე ე ბოლი. — მაი მოკრეფილია. — მოკრეფილია, კარა დაყუნწულია თლათ“ (თხილის ტოტი); (შდრ. ქეგლ, ჰყონ., შარაშ., დაყურსული).

დაყურული ნაყოფის სიმძიმისაგან ძირს დახრილი ტოტები. იხ დაყუნწული. „ხო ხედავ რაფერ დაყურული აქ ამ ვაშს ბოლები, ბარჯგი თვარ შოუყენე, დაატუტება ყველე“.

დაშიშხართება, დააშიშხართა მოვარდნა, დატუქსვა, დასჯა, დაშინება და ისევ წასვლა, გაქცევა — ამ პროცესს ასახავს ეს სიტყვა. „არ დაგვაშიშხართა ამ კაცმა?!“ (შდრ. შარაშ. დაშიშხათება, შიშხათი, გაჩეჩ. შეშიშხართება).

დაშლიგინობს ხმაურით სწრაფი სიარული. „ავდექი ალიონზე გუშხამ და მოშლიგინობდა ომარიე ზეიდან“. „შლიგი-შლიგინი გაქონდა რაცხას ტყეში, გევიხედე, ბიჯო, და გლები არ იყო?!“ (რაჭ. დიალ. ჩაიშლიგინებს, ვ. ბერ. შლიგინი).

დაშპორება ბევრი სითხის დაქცევა, დაღვრა. „თლათ ნუ დააშპორეფ მა წყალს“. „ნუ აშპორეფ მა წყალს, გამეილევა“.

დაშტიალობს // დაშტუალობს ჩქარა, სწრაფად, ლაღად დადის. „ქე დაშტიალობს ჩვენ გაკეთებულ გზაზე...“ „დაშტუალობს ომარიე, რო გეიქცევა, ვერ მეეწევი“.

დაშტუქურობს ჩქარა დადის. „დაშტუქურობს, ჩქარა დეიარება“.

დაშხაფული 1. თავზარდაცემული. „დაშხაფული ვართ ყველე ამ ამბის მერე, რაი უბედურობა მოგვივიდა ეი, ქალო!.“ 2. ავადმყოფობისაგან დაცვენილი, ყველას ერთდროულად დაავადება. „გევეით ერმალოსან, დაშხაფული იყო ისპანკიდან ყველე, თუ გარარჩებოდა რომელვე, არ ვიცოით“ (შდრ. შარაშ. გამოშხაფვა, წუევლა).

დაჩემებულად დუღილი სწრაფი და შეუჩერებელი დუღილი. „ასე დაჩემებულათ დუღს ეგი რა ხანია, თუ არ გინდა, გამორთეი“.

დაჩენჩერობს უაზროდ დადის. „დაჩენჩერობს ტილიანი ქათამივით“.

დაჩლარტუნობს მოკლეფეხებიანი ადამიანის სიარული.

დაჩეჩქვა დამსხვრევა, დანაყვა. „ სეფა ქონდენო გაკეთებული მეზობლის ეზოში. ამევიდენ და დაგლიჯენ ყორფელი, ლიმონათის ბოთლები დაჩეჩქვენო...“ (შდრ. ქეგლ დაჩეჩქვა).

დაჩიალვა ხილის წვრილად დაჭრა ჩირის გასაკეთებლად. „რამდონი ვაშლი დაგიჩილია?!“ (რაჭ. დიალ. ჩილავს).

დაჩინჩრიკებული დასაწყლებული, ცუდად ჩაცმული და შინაგანად დამცირებული ადამიანი, დაღარიბებული კაცი. „სოფელი აფუჭებს კაცს, სულ მუშაობა, დახეულ ტანისამოსში სიარული... რო ჩეიცვა კაი, რათ გინდა! ქე ხარ დაჩინჩრიკებული!“

დაჩიჩვა თვალის ქვედა უპის ხელით ქვევით ჩამოწევა, ირონიული, ნიშნის მომგები ჟესტი. „თუ შეგიწუტა წყალი, დაჩიჩე მერე თვალები და იყავი!“

დაცანცალობს ცუნცულით სიარული. „გევიხედე და ეგერ არ დაცანცალობს მელე?!“

დაწარმალებული დაოსებული, გასავათებული, დასუსტებული და შიმშილისაგან შეწუხებული. „დილას უნდა ჭამო საქმელი, თვარა ასე დაწარმალებული რა საქმეს გააკეთეფ შენ?!“ (შარაშ. გაწარმალებული).

დაწებეთობს ზლაზვნით, გადაპრანჭული სიარული. იხ. წებეთო, წებეთიე. „რო დეიარება, წელს ანძრევს ქალი, იმაზე ვიტყვით დაწებეთობსო“.

დაწიაწებული დახეული, დაფლეთილი. „რო მევეი, დაწიაწებული დამხვთა ყორფელი“ (შდრ. ჯაჯან. I წიაწ, შარაშ. წიაწი, ქართლ. ლექსიკ. წეწავს).

დაწირპლვა შესაწვავი წაბლისთვის კანის მცირე ნაწილის მოჭრა, რათა შეწვისას ნაცარში არ გასკდეს. „დავწირპლავ ახლა ამ წაბს და შევწვათ მერე, ნემეტანი კაია“.

დაწკაპუნობს ხმაურით, წკაპუნით დადის. „თხაი რო დეიარება, კოშევს წკაპი-წკუპი გააქ. პოლზე რო შამოვა, მაშვინ გეიგეფ უფრო“.

დაწოწინაროობს წელში გამართული, რწევით და თავაწეული დადის.

დაწუნკალობს სოფელ-სოფელ სიარულს დაჩვეულ ძაღლზე იტყვიან. „პეტრიეს ძაღლი დაწუნკალობს შარა-შარა, იქნება წეეყაროს საქმელს“.

დაწუნწუვა დასველება, გაწუწვა. „სიცხეში ვიცოით ბაღნებმა დაწუნწუვა ერთიმორესი“.

დაწუნწული მეტად დასველებული. „ამისანა ამიდში სა წახვალ, დაწუნწულულია ნეშოები, თხილს ვერ მოკრიფავ და...“

დაჭახალება დარტყმა. „დამიჭახალე კვერცხი!“ (ვ. ბერ. მაჭახელება).

დაჭირხნული // დაჭირხნილი 1. დაძაბული. „მაცალე ახლა, დამაყენეთ, დაჭირხნული ვარ უბედურათ“. „უბედურათ დაჭირხნული ვარ და გული არ მომასვლოვიო!“ 2. დამუხტული, ენერგიით აღსავსე. „ისე დაჭირხნილი ვარ, ქვეყნის საქმეს გავაკეთეფ!“

დაჭიტვა დაგმანვა, ამოქოლვა, ხვრელის ამოვსება. „უნდა დაჭიტო კარქათ, თვარა ზამთარში შენ გაჩერდები აქანე?“ „აქანე დავტოვე კატლეტები ტაფაზე, კატა ვერ შამოვა-თქვა, დაჭიტული მქონდა ყორფელი და არ შამოსულა?!“ „იე კედლები თვარ დავჭიტეთ კარქათ, ძაან დროს გავატარეფთ ზამთარში!“

დაჭკუნვა ფეხების დათბობა ცხელი წყლით. „ჩაყარე ფეხები ტაშტიაში და დეიჭკუნე“.

დაჭრილი თხილი მატლიანი, ნაჭუჭგახვრეტილი თხილი. „თხილი არ ვარგა წროულს, ყველე ისეა დაჭრილი“.

დახახანება თრევით წაღება. „იმიხელა მუცელი აქ ჩვენ ღორს, მიწაზე დაახახანებს“.

დახედვა დაძებნა. „დახედე, ბებია, ბატარია, დახედე. დაახედიე გო, დაახედიე, ორვეს გვაბარებენ მაის დაკარქვას“ (საბა დახედვა).

დახეფსება მცირედის ჭამა, გულის დაკმაყოფილება. „საშმელი დეიხეფსე პეტერე ახლა შენ“ (ი. ჭყონ. დახემსება, ჟღ. ხეფსი).

დახვანვა კბილების გამოჩენით სიცილი. „რო დაგიხვანია მა კბილები, დამუწე პირი“ (ჟღ. დახვანვა).

დახვარბალება ერთად დაყრა, დახვავება. „დახვარბალებულია თხილი იქინე, ეიღე და ჭამე“.

დახვაცული „რო გეიცინეფ, გარეთ მოცივა კბილები და იგია დახვაცული“ (შდრ. ქავთ. II კბილებდახაცული).

დახინცლვა რაიმეზე ბევრი ნივთის ჩამოკიდება. „კლემენტიეს ფსხალი ქვონდა, უნდა დაგვეკიდებია იმაზე საშმელი, დავხინცლავდით, დავკიდებდით ყველე იქინე, ბოლებზე“. „კლემენტიეს ფსხალი იყო ერთი სამწყესურში. იგი ქვონდა მიჩენილი საშმელის დასაკიდებლათ, დავხინცლავდით, დავკიდებდით ყველე იქინე“.

დახლანჯვა დაკრუნჩხვა ტკივილისაგან. „რო დახლანჯავდა თურმე, დახლანჯავდა (ტკივილი, ჭვალები), დააფჩენდა პირს“.

დახლანჯული გახრილი, გაღუნული, დაგრეხილი. „ე დახლანჯული რკინა რო მომიტანა აქანე, რათ მინდა?!“

დახლეწა დახევა, დაგლეჯა. „შპალიერი ქე ავაკარი, მარა სიცხემ მოაჭირა ლამფის კედელზე და დახწა თლათ, რათ გინდა რო გააკრა?!“

დახლეწილი დახეული, დაგლეჯილი. „გევიხედე, გო, და ამ ფეხსაცმელებით თამაშობდენ ბულთის, მივეი და გამოვართვი, ახლა დახლეწილი იქნებოდა“.

დახოხინება დასვენება, მცირე ხნით შეყოვნება მუშაობისას, სიარულისას. „ე, ბაბა, დავახოხინოთ პეტერე ხარები, ჩვენც ჩამოვჯდეთ და მერე მივცსოთ მუშაობა ისთეველე“ (ვ. ბერ., რაჭ. დიალ.).

დახუპაწება დახევა, დაწეწვა, წვრილად დაჭუცმაცება. „ნაპწკვენ-ნაპწკვენად დადღლეზვა“. „როლანდიეს ღორი დოუხუპაწებია დათეს გუშინ“.

დახურხანცება დახვრა (თაგვებისაგან, თხებისაგან). „ერ წელიწაც რო არ მოხვიდე აქანე, დაახურხანცებს თაგვები ყორფელს, ისე რო ვერ შამოხვალ სახში“

დახჭანვა დაჯღანვა, კბილების გამოჩენით სიცილი. „დოუხჭანია კბილები მა სვანს, ჩოუდვია პაპიროსი პირში და უპლაკუნეფს“.

დაჯლაგვება დაბლაგვება იარაღისა, დაჩლუნგება. „ნუ ურტყამ, ბებია, მაგას ნუ, თვარა დაჯლაგვდება ნაჯახი. ნუ ამჯლაგვებ, ნუ!.. (საბა დაჯლუგება).

დაჯობინება ახალი წლის დილას, თოფის სროლამდე პირში ერთი ლუკმის ჩადება. „თუ დოუჯობინებელს თოფის სროლამ მოგასწრო, შარვალი გამეგეხევა უკან“. „თუ ჭინჭირაქამ დაგაჯობინა, ხვავს ვერ მეიკიდეფ ოჯახში“.

დაჯღარკული დახეული, ძველი, უვარგისი ფეხსაცმელი. „ქალაბანი რო დაგჯება, დეიჯღარკება“. „ვიტყვით გლახა ფეხსაცმელია, დაჯღარკულიაო“.

დაჯღონკვა || დაჯღვანკვა ნედლი ხის გამრუდება, დაგრეხვა გახმობისაგან. „ეი ხეები ყველა გახმება იქინე, დეიჯღონკება სიცხეში, სიგრილეში უნა ჩამოვათრიოთ“. „რო გათალო ეგი, დეიჯღვანკება სუყველე“.

დგვლემა, დგვლემს კვნეტა, ჭამა. „საქონელი რავა ჩეიშობა ვენახში, ერთიანათ არ დადგვლემს ლერწებს?!“ (ძოწ.).

დგვლემი გადატ. დიდი ტანის ქალი, წარმოსადეგი და ჯანმრთელი გარეგნობისა. „რა ქალი იყო იცი?!. დგვლემი, დგვლემი. მაამისი

და დეამისი კატასავეთ არიენ, ეგი ვის გამეეგავნა?!“ (ჩიქ. დგვლემი ღონიერი, შეძლებული ადამიანი).

დგომ-დგომე სვენებ-სვენებით, ნელ-ნელა, შეჩერებებით. „ეშინია, ასე დგომ-დგომე დეიარება“. „ჩამეიყვანე უკნობიე მა მანჭანა და დააყენე იქინე; იქინე რო იყვეს, რავა ვერ ამეიყვან, რაცხანაირად დგომ-დგომე ამეიყვან“.

დედალი მაყვალი უეკლო წვრილფოთლებიანი მაყვლის ბარდი.

დედალობიე სინდიოფალა. „დედალობიე მემეჩვია რაცხა ჯანდაბათ, გარამიკრიფა ჭუჭულები, ერთი აღარ შემარჩინა წამლათ“ (ალავ., ჩიქ.).

დედამანია პირდაპირი მნიშვნელობა გაურკვეველია. 1. „დაქდება და იწყევლება დედამანიასავეთ თელი დღეი, აფერს არ აკეთეფს მეტს“. 2. დედამანიასავეთ ინახავს ყორფელს, რასაც კი მოკიდეფს ხელს“ (შდრ. ყღ.).

დედომიწას არღოვს ყველაფრის მცოდნეა, ყველაფრის ჩამდენია. „არ იცის კარა, დედომიწას არღოვს!“

დევინებიე დავიყოლიე, დავითანხმე. „დევინებიე, რავარც იქნა“. „მარტში მინდა მე წასვლა, უთხარი და დევინებიე, რავარც იქნა“.

დიდვრანი დიდები, მსხვილები. „დიდვრანი ვაშლები ამეირჩიე და წეიღე, ი წვრიკეკალე ქე დატუე“.

დიდი კანი აბრეშუმის ჭიის ზრდის პროცესის დასასრული. „მეოთხე კანში ამთავრებს კანის მოცვლას. მერე დეიზდება. დიდ კანს უძახით იმას, დიდ კანში ამევიდა აბრეშუმიო“ (ვ. ბერ., ძოწ.).

დიდკეკალე მსხვილნაყოფიანი ვაშლის ჯიში.

დიდკეკალე სხმარტლი ნამყენი, მსხვილნაყოფიანი სხმარტლი.

დიდო ძროხის მოსახმობი (ქავთ. I დეედო; ვ. ბერ. დიიდეშვი, მენთეშ. დიდო, დიიდო).

დილღვამი მდიდარი, მტერმოყვრიანი ოჯახი. „ორი მოხუცებული დარჩა და შრომობენ, თავს აკლავენ ყორფელს, კაი დილღვამი ოჯახი რო იქნება, ისე“ (ვ. ბერ., ქავთ. II).

დობირო დაბალი, ვაკე ადგილი. „კაია დობირო ადგილი, პოლიესი როა ეგერ, იმისანე, კარქათ იკრიფება თხილი“ (გაჩეჩ., ყღ., შდრ. შარაშ.).

დოდო ნეზვი, დედალი (ღორი, კატა, თხა, ცხვარი). „დოდო ღორი ქვყავდა ერთი, ათ გოჟს და რვა გოჟს შობოდა სულ, ნაკლებს

არ შობოდა“. „დოდო კატა, დოდოცხვარი, დოდო თხაი — სხვაი არა“.

დოდო მთავარი, ძირითადი. „ამ სტოლბებზე დოდო დენი მივა, იქიდან მაქ მე გარმოყვანილი“.

დოდო ჰია სოლიტერი, დიდი ჰია. „დოდო ჰია სიკვდილაამდი ყავს ადამიანს, რო მოკვტება კაცი, მაშვინ კვტება იგიც“. „დოდო ჰია მაძღარი უნდა იყვეს სულ“. „ისე მომშივდა, რომე დოდო ჰია ამიწრიალდა მუცელში“ (შარაშ., რაჭ. დიალ. დედოჰია).

დოი ბატების მოსახმობი ძახილი „დოი-დოი!“ (ქეგლ, გრ. ბერ. ჯავახ.).

დოისი ბატების გასარეკი შეძახილი. „დოისი, დოისი! წადიო, გავდენით, ფეხეფში რო შამოგესევა“(ვ. ბერ. დოისი).

დომფალიე მეტსახელი მსუქანი ქალისა ან ბავშვისა (ქეგლ ქიზიყ., ვ. ბერ., როსტ. ინგილ.).

დონდოლიე მსუქანი და კარგად მოყვანილი ქალი. „ბეჟანიამ ითხუა ქალი, კაი დონდოლიე გოგო“ (შდრ. ძოწ. დონდორა).

დონი ოდენა, ხელა. „თლა ჩატე ვიყაი, ნეშოის დონი...“

დორჩხოლიე დიდი, სქელი, მსუქანი. „ეგი რო დავკლათ ახლა, იგი ჯობია. იმ დორჩხოლიე ყვიჩილებს გოუშოფ ჯერე“.

დორჩხულე საშუალი ზომის მორჩილი დოქი (3-4 ლიტრიანი). „რაღა დორჩხულეა, მუჯი მოტრიალდება ყელში“ (ჯაჯან. II).

დოუცადი ის, რაც არ გაცუდდება, არ გამტყუნდება. „ჭიაყელას რო ნახავ ამოსრულს, რო არ გაავდეს სამ დღეში, არ იქნება, ეგი დოუცადია თლათ“ (შდრ. ქეგლ დაუცადი).

დოღლი კარგი, საქმიანი, ენერგიული. „დოღლი ბიჭია, თოულმა დოუნგრია სახლი, მარა მევიდა, მორე ააშენა. რომელი მანქანა გინდა რო არ გამეიცვალა!“

დუდგამელექეთი ბევრი ხალხი; უცებ წარმოქმნილი ხალხის სიმრავლე, ბრბო. „გასკტა დუდგამელექეთი! იმდონი ხალხი სა გაჩთა იმწუჩი“ (შდრ. შარაშ. დუდგა უწესრიგოდ თავმოყრილი ხალხი; ქართლ. ლექსიკ. დუდგუ, დუდგურობს — გუგუნებს, ხმაურობს ხალხი... შდრ. ქეგლ მილეთი).

დუღს და გარადუღს ძალიან მდიდარია, კარგად ცხოვრობს. „იმისანა კარქათ ცხოვრობს, დუღს და გარადუღს...“

დღლაზვა (დადღლაზული) „ქორო ნემეტანს იცინის ადამიანი,

გადღლაზულია". „რავა იდღლაზები, გო, უშნოთ, შნოი მაინც ქქონდეს" (შდრ. გაჩეჩ., წერ.).

დღლოზინი მაღალი ხმით ლაპარაკი. „შე, არ დოუძახა მაამის და არ გააღვინძა, წევე მე არ ვდღლოზინობდე?!"

ე

ეგინჩარი ჯიუტი, გაუგონარი, თავაშვებული. „ეგინჩარი ხარ, ბაბუა, ეგინჩარი, კაცისას არ ყურობ რამეს და..." (შარაშ.).

ეიში ხარის გასარეკი შეძახილი (გაჩეჩ., ალავ. ოკრიბ.,ქავთ. I იშია,რაჯ. დიალ. ეიში, გრ. ბერ. ჯავახ. გაიში).

ეკოკნება გული წყდება, გული ეთანაღრება. „შენ გეკოკნება, ხო, გული?! ამ შემოდგომაზე ვიყიდოთ ოცი ძირი და ვაგრგოთ!"

ეკუმპულება ეჩხუბება, ესიტყვება, „გლახა ენას ეპბობა, ებძვის, ებღურება". „რავა ეკუმპულები, გო, მაგას შენ, გაჩუმდი!" (ქავთ. III ეკომპლავება).

ეკუჩუნდურება ცუდად განწყობილია, შინაგანად ეწინააღმდეგება, ესაყვედურება „მოჯღუნული და გლახა ხასიაძეა სულ, არ გეიცინეფს ერთს". „რავა სულ გული მოგდის და მეკუჩუნდურები, რაია რა დეგემართა, კაცო!" (ალავ. ოკრიბ. გაკუჩუნდერება).

ელეპუზე ზარმაცი, უქნარა. „მაი ელეპუზეები რას გააკეთებდენ იქინე". „დიდი ელეპუზეა მაი, აფერს არ აკეთებს".

ელეფშუტე უდარდელი, უნაღვლო, არაფრისმკეთებელი. „აფერს რო არ აკეთეფს, აფერი არ ენჯავრება, დეიარება იქით-აქით. არ ენაღვლება რამე". „პეტერე ელეფშუტეა მაი გოგო, დეიარება ზეით-ქვეით" (ვ. ბერ. ელეშუტე).

ემჯგალება ეჯახება, ეტაკება. „ვინ ემჯგალება ახლა მაგას, რათ უნდა შვაში საქედი".

ენას გოუფენს კარგად, სასიამოვნოდ ელაპარაკება, ყველაფერზე თანხმდება. „გოუფენს ენას მაშვინ, არიქა ყოლდგან წაგყობიო; აგრძნობიოს პეტერე, ახლა რო არ ცალია..."

ენაწატყაული მეტყველი და ბევრი ლაპარაკის მოყვარული (ქალი). „ვაი, მაგი ენაწატყაული, მაგი. მაგას რაი დეეჯერება, ბეჩა. რო გელაპარიკება, ნახევარი ტყულია". „მა ენაწატყაული მაი, მაგას რავა დეეჯერება რამე!"

ენის წაგლეჯა ბევრჯერ ერთისა და იმავეს განმეორება. „რატო ბულღავ მაგას, გაგიწყრებიენ მაგიზა, რო გითხარი, ბებია, ენა წამაგჯა და შენ არ გეყურება“.

ენტვლის ელტვის, ესწრაფვის. „ამდონი ხალხი თუ ენტვლის ამას, მაშვინ დიდი მანქანა გამოუშვან, არ აჯობებს?!“

ერენჭიკა ჩიტის დასაჭერი მახე. „ერენჭიკასავეთა შედგმული ერთიმორეზე, ჰაი, გარმოცვინდეს და ჰაი, არა!.. (საბა ილინჭა, გაჩეჩ. ინჭკა, წერ. ირანჭკა, რაჭ. დიალ. სირენჭკა, ჟღ. ირენჭკა, ალავ. ლენჯიკა).

ერექელე დაუკვირვებლად მოლაპარაკე. „მაგას რაი დეეჯერება, მა ერექელე მაი!“ (ძოწ. არაქელა, გაჩეჩ. არაქველა).

ერთი ნაფცქვი ძალიან მცირე. „ერთი ნაფცქვი მოუმატე მარილი კიდო, ბევერი არ მოგივიდეს“.

ერთი პარტია ნაწილი, კიდევ ერთი ნაწილი. „ქვეითა ერთი პარტია ჩია თხილია და მეილია, მეტი აღარა“. „ერთი პარტია ხალხი იქით წევიდა“.

ერთი ტანისა კარგი აღნაგობის, „არც მაღალი, არც დაბალი“. „ბებურიას ყავდა ჩამოყვანილი ორი ბიჭი, ღონიერი ბიჭები, კაი ბიჭები ისე, ერთი ტანის ბიჭები...“

ერთი შეწვი, მორე შეცხე ერთნაირები არიან, რაც ალხანაა, ის ჩალხანაა. „რავალი რაიაო რო კითხავენ, — ერთი შეწვი, მორე შეცხე“. „იგი ხო უბედური გულვანეა და არც ეგი უქნია ღმერთს, ერთი შეწვი, მორე შეცხე“.

ერთი ჯოხით იდენება ყველა ერთნაირად ექცევიან ყველას —კარგსაც და ავსაც. „ერთი ჯოხით იდენება მაინც ყველე...“ „ერთი ჯოხით კვერ გადენი ყველას, მასე არ შეილება...“

ერიგზობა ერთხელ, ერთ ჯერზე. „კიდო აღარა მეტი... ერი გზობაზე რო შეუპამო, მორე გზობაზე აღარ გინდა?!“ „წამევიდა ერიგზობა ბაზარში, წამოი ვიყიდოთ კამიდორიო, იძახის“.

ერ(თ)ი ფინჩხა ძალიან პატარა. „ერი ფინჩხა ყველი აღარ დარჩა სახში, ისე გამევილიე“.

ერ(თ)ი ფინცქვი პატარა, მცირე. „ერი ფინცქვი პური არ მაქ სახში...“

ერი წუმა უცებ მოვარდნილი და გადასული წუმა. „ე წამევიდა ერი წუმა, მარა შეაფარეფ ეგერ თავს და გადეიარს მერე“.

ექალიფთრება 1. ემლიქვნელება, სიტყვით ეფერება, სასიამოვნოს ეუბნება. „პირში ქე მექილიფთრება და ზურგს უკან მიწას თხრის“. 2. მოფერება, გაფრთხილება. „მეიყვანე ახლა იგენი და ექილიფთრე თელი ზაფხული, ხელს წამოგიკრავს რამეზე თუ?“

ეშმაკს ტყავს აძრობს ძალიან ეშმაკია, არასანდოა. „მაგი იმისანა იყო, ეშმაკს ტყავს აძრობდა“.

ვ

ვარამპუე მოქეიფე, უსაქმური კაცი. „მა ვარამპუე, მაი!“

ვარდავარ სულ უფრო და უფრო ცუდად, უარესად. „ვარდავარ მივა საქმე თლათ“ (მ. ალავ.).

ველოოგი გეოლოგი. „აგერ მადენი ამოჩთა... უნდა დეიბულღოს იგიო, ველოოგებმა გასინჯა“.

ვენახე ბალახის სახეობა.

ვირთაგანი 1. მეტისმეტად ძნელი, რთული, გაუსაძლისი. „აქანე ვირთაგანი შრომაა, ვირთაგანი!“ 2. გამოუსწორებელი ჯიუტი. „ძაღთაგანის გამოზდა ქე შეილება, მარა ვირთაგანის — არა!“

ვისიაა! ძაღლის გასაგდები, შესაშინებელი შეძახილი. „გეიპარე ძაღლო! ვისია! ვისია!“

ვოროსპო დიდი აურზაური, არეულობა, აყალმაყალი. „ვოროსპო ამბავი შეიქნება ახლა მაგაზე...“

ვოროსპო ხნის დიდი ხნის. „ვოროსპო ხნის იყო...“

ვოტიე ეშმაკობა საეშმაკო რამე. „ერთ იმერულ ვოტიას გოუკეთეფ ახლა იმას და დამჩება მერე შარაზე“. „ძაან ვოტიელე მოუწყვე.“

ვპატიულოფ ვიცავ, ვმფარველობ. „მა ხეს ძულათე ვპატიულოფ, რო არ გადაჭამოს საქონელმა“.

ზ

ზაზუნი ცემა, დარტყმა, გალახვა. „ურტყენ... რეიზა უზაზუნეფ წელზე-მეთქინ. ურტყენ ძროხას, დავარდა თლათ და მოკვტა“.

ზეითრელე || ზერელე ზევით. „პეტერე ზეითრელე ამეიწიე და

იქინე მოთხარე“.

ზოწი კარგი აღნაგობის მქონე, ჩამოსხმული; სწორი. „ვერაა თლა ზოწი“.

ზუმპა ძალიან მძიმე. „კაი ზუმპა კალათებია, კაი ზუმპა ჭვირთია“.

ზუნზრუხელე დიდი ტანის ქალი. „დიდი ზუნზრუხელე ქალი იყო, აზავერივით“.

ზღვარამი ძალიან ძლიერი წვიმა. „მე ვიფიქრე გარეიღებს-მეთქინ, მარა წუხელ წინ ღამით რო იყო ზღვარამი!“

თ

თავადგმ(ულ)ი მაღალი ურემი. „თავადგმული ურემი გამევიდოდა გაღმართიდან, დავჭვირთავდით იმას და რო დაღამდებოდა, დილას ვიქნებოით ქუთეიში“. „თავადგმი ურემი რო მევიდოდა ჩვენთან სოფელში, ბაღნები გამევეფინებოით ორღობეში, თუ გინდა, მანქანა მოსულიყვეს“. „თავადგმი ურემით მიდი-მოდიოდენ, ვისაც შეეძლო და ვინც დიდარე იყო, იმას ყავდა იგი. გაღმართელებს ყავდა“.

თავარი კეკალი დიდი ზომის ნაყოფი (ძოწ.).

თავარი სული „ბაღანეზა ვიცოით თქმაი: „თავარი სული არ დარჩესო“ და რო ავაყენებდით წაქცეულს, ვიტყოით: „სულო თან აყევი, სულო თან აყევი-თქვა!...“ „თავარი სული ამოუდაო, ვიტყვით, რო მოკვტება“.

თავგამწევი დაუმორჩილებელი, თავნება. „ძაან თავგამწევი ბაღანეა, თვითან თვარ ჩახვდა ჭკუაში, მაგას ვერაფელს ვერ მოუხერხეფ შენ“ (შდრ. ქეგლ).

თავგასხვლეპილი მელოტი. „თავგასხვლეპილი კაცია, დიდი რაცხა, ძერეყუე, ქალი ჯობია იმას“.

თავით რო ნიორი უნაყო, მაინც არ... ვინმესთვის თავდაუზოგავად შრომა, უზომო პატივისცემა, მაგრამ დაუფასებელი. „თავით რო ნიორი უნაყო, მაინც არ უყვარხარ სიედრს...“ (შდრ. თ. საბოკ. თავით მარილის დანაყვა).

თავისთვინე მხოლოდ საკუთარ თავზე მოფიქრალი კაცი, თავის თავის მიმხედავი, ეგოისტი. „ნემეტანი თავისთვინეა, თვარ დალია ჩაი დილას, ისე არ გამოა გარეთ. რო იწვებოდეს სახლი“.

თავის მოგოზლება თავის დაფასება, დაუმსახურებლად თავის

მოწონება. „უნდა, მარა თავს იგოზლებს...“ (შდრ. ვ. ბერ. გოზლა).

თავის მომძიმება დადარდიანება, დასევდიანება. „ეგება იმას არ ენყავრება, მარა მაინც მევიმძიმებდი თავს...“

თავის შექცევა გართობა, თამაში. „მაი თელი დღეი იწვეს მასე, კარტი ქე აქ და თავს შეიქცევს“.

თავის შეხვევა შორიდან მოვლა, ტკბილი ლაპარაკი, დაყოლიება, საქმის შენკენ შემობრუნება. „რო ემბობოდი შენ რაცხას, მასე კარ უნდა გექნა, აქიდან შოუხვიე თავი ნელ-ნელა, აქიდან შედეზე...“ (შდრ. ქავთ. შეუხვევს თავს, თ. სახოკ. თავის შეხვევა).

თავმიწევნილი თითო წლით ერთმანეთზე უმცროსი ბავშვები. „ბევრი ბოფშები რო ყავს ადამიანს, თავმიწევნილი ბოფშები, თითო წლით როა განსხვაება, გარაპარცული თავები, და თავშაუკეებივითა იგიენი“ (შდრ. შარაშ. თავმონაწიერი).

თავმომწე მომდევნო დედმამიშვილი (შდრ. თავმიწევნილი). „ლალოიას დაი ყავს თავმომწე“.

თავნი მეთაური საქმეში, გამორჩეული საქმის კეთებისას. „მედიატორე არჩეული იყო უბანში, კაი თავნი კაცი. რავარც ახლა იციენ ქორწილებში, თავნი კაცის ეირჩევენ, ე, ისე თავნი კაცი იყო“ (ჯაჯან. I, შდრ. ძოწ.).

თავჟინჟღილე ბალახის სახეობა, აქვს ყვითელი ფერის ყვავილი.

თავშაუკა პატარა ჩიტი, რომელსაც თავზე შავი ბუმბული აქვს. „თავშაუკას ბარტყუებივითა ჩაწყობილი“. „ბევრი ბოფშები რო ყავს ადამიანს, გარაპარცული თავები, ჟანარიენ საჰმელი ჭამაზე, რო შეხედავ ადამიანი, იმას ქვია თავშაუკეებივითა ბოფშებიო“ (შდრ. ჟღ. თავშავა).

თავქედი ამაყი, ზედმეტად თავდაჯერებული. „თავქედი ადამიანია, ყველას რო უნდა აჯობოს, მარა არაფელი შვილი არა, არ აგდებს ვინმე რამეთ“ (გაჩეჩ., ძოწ.).

თავქედობა ამაყობა, თავის გამოჩენის მცდელობა. „მაყვალიამ ითავქედა, ვითამ მულიშვილს მე უარო და დაყავდა იქით-აქით“.

თათაქუჩე ჰირვეული კაცი, რომელსაც ზედმეტი მზრუნველობა და მოფერება სჭირდება. „დიდი თათაქუჩე და ღინტა-ღინტე კაცია მაგი“.

თამადა ტოლუმბაშის მოადგილე, რომელსაც თავად ირჩევს. „ტოლუბაში და თამადა, / ორვე კარში გავარდა“ (გაჩეჩ.).

თანაქე მცირე ზომის ჭურჭელი (თუნუქისა). „თხილებში თუ წამოხვიდე, თანაქე წამეიძღვანე“.

თაუშათ ნელ-ნელა, დაკვირვებით. „საქმეს უნდა მიყვე თაუშათ, თვარა ერთი მიწოლით რას ეიღეფ“ (გაჩერ. თაუშად; შდრ. ქართლ. ლექსიკ. თაუშად, ქავთ. III თაუში).

თეთქლიავე ქლიავის ჯიში.

თეთქვა უცებ და მწარედ დარტყმა. „თეთქვე ახლა მაგას და გაახერე!“ (შდრ. ჟღ. სთუთქვა).

თვალდაფსებული ბრმა. „შე თვალდაფსებულო (თვალდასაფსებო), ველარ ხედავ მაგერ რო აგდია, თუ აღარ იცი, რაია ფოცხი“. (ქეგლ თვალდავსილი)

თვალი არ უჩანა საქმეს გაკეთებული არ ჩანს, არ ეტყობა; ბევრს შრომობ, მაგრამ შედეგი არ ჩანს; „ასე იცის იქიბაქუა საქმემ, აკეთეფ, აკეთეფ და თვალი არ უჩანა გაკეთებულს“.

თვალპქყიალე თვალების აქრელება და თავბრუსხვევა შიმშილისაგან. „მომშივდა და თვალპქყიალე ამივარდა“ (ჩიქ., ალავ. თვალბქყიალა).

თვარე მთვარის ათვლის სისტემა, რომელსაც ძველებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. „რო წახვალ თფილიში, სამი დღეი უნდა დარჩე, დღეი გაცთა და თვარე გაცთა“. „დღეი არ აკლღია და თვარე [მოსავალს] და აწი ქე მეიკრიფება, აპა რას იზამს...“ „დღე და თვარეზე დეიბადება კაცი და იცოცხლეფს დითხანს, ისე სხვაი არაფელი არა თავის მოვლა და რამე“. „ცხრა თვარეზე რო დეიბადება ბაღანე, იგი არ გეიზდება არაფლიზა, ჩვიდმეტ თვარეზე არ ვარგა კიდო...“

თვისათ ყოფნა კარგ ურთიერთობაში ყოფნა, ახლობლურად, თბილი განწყობით. „გერია მარა, თვისათ არიენ ეგენი“; „კაი თვისათ არიენ“.

თვისიერი კარგი ხასიათებისა და თვისებების მქონე, ჭკვიანი. თვინიერი. „თვისიერი ბაღანეა, ნემეტანი კაი“. „სიძე შემხვთა ნემეტანი თვისიერი“.

თილი ქვა ადვილად დასამუშავებელი ქვა (შდრ. ქეგლ, გაჩერ. ძოწ. თირი, ქავთ. I თილი).

თირისტარი თითისტარი. „მერეთ დავასტავდით ი მატყლის, მოატოლებდით იმ ძაფის ორფად, ორ თირისტარს გავამსებდით“ (გა-

ჩეჩ., ძოწ. თიისტარი, რაჭ. დიალ. თისტარი).

თოლაბურთე თოვლის გუნდა. „თოული რო მევიდოდა, თოლაბურთას ვთამაშობდით ბოფშები, გვიხაროდა ნემეტანი“ (შდრ. შარაშ. თოლაბულთაი).

თქიშინი დიდი ჰავლითა და ხმაურით წყლის დინება. „მართლა კარქათ გაწუმდაო, რო ვიტყვით, ისე იყო და ჩემ ღარზე სულ თქიშინ-თქიშინით მევიდოდა წყალი, ერწუჩი გეიფსო ბაკი“. „უთქიშინებია წყალი ფელამუშიზა და თლა ქფილის გემო ქონდა. რო გააკეთო ფელამუში, წყალი არ უქნა ბევერი“ (ვ. ბერ., რაჭ. დიალ. ათქიშინებს; შდრ. ქავთ. II ათქუშურებს).

თხაწალე გამხდარი თხა. „ერთი თხაწალე ქვყავს და იმაზე ვართ შეჩერებული ამდონი ხალხი“.

თხაწალიე მოუსვენარი, ცელქი გოგო. „დიდი თხაწალიე ბაღანეა“.

თხიპე ქათმის ავადმყოფობა. „თხიპე გოუჩთა და დემეხოცა ჰუჰულები“ (ვ. ბერ., გაჩეჩ.).

თხის ღმერთი ამგვარი ღმერთ-კერპი ქართულ წარმართულ პანთეონში დადასტურებული არაა (შესაძლოა იგი შემოსული იყოს მეზობელი ხალხების რელიგიებიდან) „ტყულათე, უზაფთოდ რო იქყანება რაცხაზე, იმაზე ვიტყვით, თხის ღმერთივით იქყანებაო“. „რავა იქყანები თხის ღმერთივით!“

ი

იაგავი უცნაური, საკვირველი, საოცარი. „იაგავი კაცია, ვერ გოუგეფ ვერაფელს“. „იაგავი სახელი ქვიოდა ჩვენ ხარს რაცხა, აღარ მახსოფს“. „რაფერ იაგავათ იქცევი რაცხა, რაია ეგი“.

იალა ქუჩი! იტყვიან სწრაფად გაქცეულზე, გამქრალზე. „დააქდება ცხენს და იალა ქუჩი!“ (შდრ. ვ. ბერ. იალლაა!).

იალღიში არასწორი. „ხელსტორათ უნდა ჩამოჭრა შპალიერს, თვარა მოქცემს მერე იქინე იალღიშს“.

იბძგალება იმანჭება სიცილისას, უშნოდ იცინის. „დიდი უშნო რამეა. იბძგალება რაცხას უშნოთ...“ „რას იბძგალები, ბიძია, ბორჯომის კარტოფილივით“ (შდრ. ქავთ. II ბძგალვა).

იზაფრება ზედმეტი გრძნობის, სიყვარულის გამომჟღავნება. „რა-

ფერ უყვარსკენ მაშინა და რაფერ იზაფრებიენ მაშინიზა ბიჭები...“

იკვაჭება კოტრიალობს. „წამეიკვაჭა მოლაზე ლეკვი, რაი ენაღვლება, თამაშოფს“.

ილეღვება იგრიხება, აქეთ-იქეთ იხრება. „ილეღვება რაცხა უშნოთ, რათ ვარგა მაის გოგო“.

ილინცური ირიბი. „ქალაბნები შევიკერე, ილინცური, წკიპო...“

ილიფანცქურად უცნაურად, ეშმაკურად. „ილიფანცქურათ გააკეთა ე საქმე, დიდი ეშმაკი ვინმეა...“

ინცქიტი არც ისე გემრიელი საჭმელი. „...რაცხა ისე ინცქიტი გემო აქ“.

იპრუნწკება უკადრისობით არ გელაპარაკება; იპრანჭება. „რა ქნა იმ დღეს დეგელაპარიკა? აპა რაი იყო, რო იპრუნწკებოდა გუშხამ ე გლახა?!“

იქვიპებს ნელ-ნელა და დიდხანს იწვიმებს. „რაღამც შოუბრუნდა ახლა წუმა, იქვიპებს კიდო სამი დღეი“.

ირაო 1. გაშლილი ადგილი. „აქანე, ამ ირაოზე ქათამს რავა შემარჩენს ქორი?!“ 2. სივრცეში ფრინველის ნელი ტრიალი ფრენისას. „ირაოს აკეთეფს ქორი“ (ქეგლ, შარაშ. ირაობა).

ირიწკა ნაღრძობის ლოცვაში გამოყენებული სიტყვა. „ძვალმა ირიწკა, / ბილმა შეიტყო, / ქორანი გაფრინდა, / ნარღობი მორჩა“.

ისე პური მარტო პური, ცარიელი პური, ჩანართის გარეშე. „ერთი ისე პური გამომიცხვე, ხო იცი რაფერ მიყვარს“.

იტრუნჩება უმიზეზოდ იბუსხება, იბუტება. „რო იტრუნჩები რაცხას. ამეიღე ხმა!“

იღრომებს ნელა გაიზრდება. „რამდონ ხანს იღრომა ამ ვაშმა, მარა ქე გეიზარდა მაინც“.

იშვადღებს შუადღისას მცირე ხნით წვიმის გადაღება. „რო არ იშვადღოს ახლა წუმამ, ისე არ იქნება“.

იშონა თავი თავი დაიხსნა, თავი გაითავისუფლა. „ახლა იმან რაღამც იშონა თავი, რავაღა მეგეკარება აწი“.

იჩუჟება საწვიმრად მომზადებული მოღრუბლული და ნისლიანი ამინდი. „ასე იჩუჟება თელი დღეი და დაცხებს მერე წუმას უბედურათ“ (შდრ. ვ. ბერ., ყღ. ჩუჟვაა ცეცხლის ცუდად მოკიდება).

იძგიტება დიდი ტანის, მაგრამ უჭკუო და თავზე დიდი წარმოდგენის მქონე კაცის გაჭიმულად სიარული ან ქმედება. „იძგიტება

ისე რაცხას და არ უქნია ღმერთს!“

იწკიპურტა გადახტა. „მოდი ერთი იწკიპურტე აქანე, რა ამბავი ფსხალი ყრია, ხო ხედავ და ახიკე“.

იჭიბაჭუე პატარა-პატარა, წვრილ-წვრილი, წვრილმანი; უმნიშვნელო ნივთები ან საგნები. „რამდონი იჭიბაჭუეა აქანე ხო ხედავ, დოულაგებელია და ყორფელი აოხრებულია“. „ასე იცის, იჭიბაჭუა რაცხას იყიდის და მეიტანს სახში, ამაზე გადის თელი ფული“. „ამისანა იჭიბაჭუა ხალხს ვინ უყურეფს, დიდ კაცებს ვერ ეუნებიან ვეფერს, თვარა...“ „ასე იცის იჭიბაჭუა საქმემ, აკეთეფ, აკეთეფ და თვალი არ უჩანა საქმეს“ (ვ. ბერ. იჭიბაჭია, აჭი-ბაჭია).

იხანებს წვიმის მცირე ხნით შეწყვეტა. „რო იხანეფს პეტერას, მივადგეთ მერე საქმეს“.

იხლარწება იმანჭება, იგრიხება. „რავა იხლარწები, ბიჯო, უშნოთ რაცხა...“

იხუა იწუინა, იუცხოვა. „თუ იხუა, ეგდოს იქინე“ (შდრ. ქეგლ იხუებს).

ჯ

კადავოხე დიდი ტანისა და ავი ხასიათის ქალი. „ტერის ოჯახში შევიდა მაი კადავოხე!“

კაი დღეს მოგალანდებს ირონ. ცუდ დღეს დაგაყრის, ცუდ დღეში ჩაგაგდებს. „შენ ქმარს უთხარი მასე და კაი დღეს მოგალანდებს!“

კაი მაინძელია იტყვიან კარგად გამაძღარ კაცზე, ბავშვზე. „ა, კაი მაინძელია ახლა ეგი!.. კარქათ ჭამა“.

კაი ძალი საკმაოდ ბევრი. „ჩამოსრული რო იყო მამაშენი, კაი ძალი თხილი გავატანე მაშვინ“. „კაი ძალი ნეფსა თხილი ქქონია შენ. — რაია ეგი, გაწკიპარტებულია და...“

კაი წუმა დიდი წვიმა. „ეგი რა წუმაა, ერთი კაი წუმა უნდა მევიდეს, მიწა რო დაალბოს, თვარა გარახმა ყორფელი“.

კაიხელვანი საკმაოდ დიდი. „კაიხელვანი არიენ აწი ი ტყუპები“.

კაკვინარე ხუჭუჭი, ხვეული თმა, ბეწვი. „ბაღანას იმისანა კაი თმაი აქ, კაკვინარე“. „თვალები მოუჩანა მარტვე, თვარა. კაკვინარე თმაი აქ თლათ იმ თხას თურმე...“ (შდრ. შარაშ. კაკვინა, კაკვილი).

კაკუტი ღორის უღელი, რათა ღორი ღობეში არ გაძვრეს. „იმი-

სანე დაკვაშული ფეხები აქ, რომე კაკუტიანი ღთრი გაძრობა...“

კაკუშობა ძლივძლივობით, კოჭლობით სიარული. „წამოკაკუშდებოდა იქინე და ღორს დამიბამდა მანდამაინც მისავალში...“

კალხებიანი მაღალ ფეხებზე მდგარი, გადატ. ამპარტავანი. „სოფლელი გოგო უნდა მეიყვანოს, ქალაქელი კალხებიანი რათ უნდა...“

კამარა არყის წვრილი დინება (ძოწ.).

კანდრი რცხილის ან წაბლის დაგრეხილი მსხვილი ღერო, რომლითაც ურემს ამაგრებენ უღელზე. „მინდა რამე ვთქვა, მარა ველარ ვაბამ თავს, კანდრივით მიმაწუტება სიტყვა“ (შნშ. კანდრი, როცა ხმელი და დაულბობელია, უცებ წყდება. ამაზეა აგებული შედარება) (ჯაჯან. II, გაჩეჩ., ვ. ბერ., ძოწ., ქავთ. I კანდრიკი, კანდრივი, წერ. კანდრიბი).

კანი ნაჭუჭი. „ჩვენთან თხელკანიანი თხილი იცის“.

კანკალი, აკანკალება აჩქარება, ათრთოლება. „გულის კანკალი მაქ ატეხილი, რა ვიცი რატო. წნევა მექნება აწეული“.

კანკულე მაღალი კაცის მეტსახელი. „ვანოიე კანკულე“.

კანტი მაღალი, სწორი ტანის, წარმოსადეგი გარეგნობისა. „ისე კაი კანტი ქალი ქეა“.

კაპარწახე ცუდი ქცევისა და ხასიათის ქალი. „შე რა მითხრა, მა კაპარწახამ, მაგან!“ (შარაშ.).

კაპუეტი ავ და შეუხედავ ქალზე იტყვიან. „შავ ქალზე იტყვიან, უბედური გამოხედვა რო აქ, ცხვირი წაბზეკილი, ა, შექჭამს... უბედური რამეა, თხოვა კარა მისი, შეგაშინებს, რო შეხედავ... იბზირება კაპუეტი ქორივითო, ვიცით“. „კაი კაპუეტი ხარ შენც!“ (შდრ. შარაშ., ალავ., ჯაჯან., გაჩეჩ.).

კარანა სიტყვა განუმარტებელია. მიუთითებს შესადარებელი ობიექტის სიგამხდრეზე. „კარანასავეთა გამხმარი“.

კარანჩხე პატარა კალათი. „სამწუესურში დიდვრანი გოგოებიც დეიარებოდენ. კარანჩხეები წამოდებული კლავზე, საქსოვები ქონდათ აგენს, ქსოვდენ გოგოები იქინე“ (შარაშ. კარანჩხაი; მარტ. იმნ. კახ. კალანჩხა).

კარიყურეში ახლოს. „წადი ექიმთან, აგერ ქყავს კარიყურეში“ (რაჭ. დიალ. კარიყურში).

კარკალი დედლის თავისებური კაკანი. „მოფსებულმა დედალმა

იცის კარკალი, ვიტყვით, ე აწი კვერცხს მეიწყებსო".

კარჩხალი კლდიანი, დაქანებული ადგილი. „რო ახვალ ქვათეთვრანის აღმართში, გეივაკეფ პეტერას და... ე, იქინე კარჩხალში გარავარდნილა, სული არ დაყოლია ძირს..." „ლეჩხუმისკენ რო წახვალ, იმისანე კარჩხალებია, რომე ერთი ქვაი რო გარმოვარდეს, ცოცხალი ვერ გაასწრეფ..." (შარაშ.).

კარჭალე გარჩეული, ბუდეშემოცლილი თხილი. „ეგერ ყრია კარჭალე თხილი და იგი ჭამე, ბებია..." (შდრ. ქეგლ გურ.).

კასალი ქვა სალი ქვა, სალი კლდე, ქვიანი ადგილი. „აქანე თხილიც არ ივარგეფს, კასალი ქვაია..." (ქეგლ ლეჩხ. კასილი; გაჩეჩ., ძოწ. კასალი მაგარი ხე).

კატაპრასე მინდვრის პრასი (შარაშ.).

კაცი კაცს რო იცნობს, იმ დროს გამთენიისხანს ან მოსაღამოვებულში. „კაცი კაცს რო იცნობს, ე, იმ დროს ავდგეთ".

კაცისთავე მსხვილნაყოფიანი მსხლის ჯიში. „კაცისთავე დიდვრანი ფსხალია, დიდვრანი, დიდი იზდება ბუღა ვაშლივით, გვრალია, არც გძელია. არც დამკუბება არ იცის იმან, ისეა კაი საჭმელი". „მარიობისთვე რო დეილევა, მერე ვიწყებდით კაცისთავეს ჭამას" (ალავ. ოკრიბ.,ალავ. ლეჩხ., ძოწ., რაჭ. დიალ.ლექსიკ.).

კახოურე გარეული მხალი.

კბილა ტოლი, ერთი ასაკისა. „სერგოიე არი ჩემი ძმაის კბილა" (ძოწ.).

კედარო გვერდი, მხარე. „სით კედაროს ქტკივა?" (გაჩეჩ. კედარობა; ძოწ. კედრობა, ი. ჭყონ., ჟღ., გრ. ბერ. ჯავახ.).

კეკალი ერთი, ცალი. „კეკალი ლეღვი არ ყოფილა წროულს" (გაჩეჩ., ჯაჯან. I ქვ. იმერ. რისამე მარცვალი).

კეკეჩე || კეკაჩელე ჯიუტი. „უბედური კეკაჩელე კაცი იყო, სიტყვაში ვერ მოუგებდი".

კელენჯარე მაგარი ჯიშის ვაშლი. „ვაკეთე ძირდასაფსები ი კელენჯარე ვაშლი კამპოტათ, მორენაირი გემეკეთებია!" „სარშან ადრე დამწიფთა ეგეც და ეგეც და წროულს თლა კელენჯერეა (შდრ. ქეგლ, ვ. ბერ. კელენჯუხი, კელენჯერი, რაჭ. დიალ. — ჯიუტი, მაგარი, მიუდგომელი, კერპი ადამიანი).

კენჭი ნაჭერი, ნაწილი (ხორცის ნაჭერი). „ხუთი კენჭი ხორცი ვჭამე ახლა". „ერთი კენჭი ხორცი გარმომიღე, მეტი არ მინდა".

კესელე ქვაი სალი ქვა. „ეი რო ჩააგდეე აქანე, ამას წამოკრავს

მანქანა, უბედური კესელე ქვაია“(შდრ. გაჩეჩ. კასალი — მაგარი ხე).

კეჩხო ხრამი, მეტად დაქანებული ადგილი. „კეჩხო ქვაოდა გოგიელე პარეხეს სახქვეშ ადგილს, ხრამი იყო, ხრიანწო, თხას ვაბალახებდი იქინე...“

კეჰეჭი სიტყვა განუმარტებელია. გადატ. მნიშვნ.: ჯანმრთელი, გამძლე, მაგარი. „სოფელში სუქან-სუქანი ხალხი არა, მაგიორათ კეჰეჭივით მაგარია“ (ვ. ბერ. კაჭაჭა).

კვალია-კვალია ბავშვის თამაში. გულზე თითების წინ გადაადგილებით ეუბნებიან: „კვალია, კვალია...“ და მერე შეუღიტინებენ გულმკერდში ან კისერში.

კვარკვალიტე მრგვალად გამაგრებული კანქვეშა ადგილი. „ძუძუში უნახავს პეტერე კვარკვალიტე და კარ მისულა ექიმთან... ახლა ნიგვზის ხელა გამხთარა“.

კვანჭალი კოტრიალი. „ამ გაგანია დღეს დილიდან საღამოომდი წამოკვაჭულია გრილოში და კვანჭალობს, რაცხას მეიწევს შემოდეგზე, შევხედავ...“ „ძაღლი და კატა ვერ უნდა შევიდეს ბოსტანში შელობილი უნდა იქნეს ისე; ჩემ ბოსტანში ვნახე კატა, კვანჭალობდა შითე, გამევეკიდე რომე, კუდით ქვაი ვასროლიე...“ „წყაროზე წევეი დღეს და ვხედავ, წყაროის თავზე არ კვანჭალობენ მელიეს ლეკვები? ორი იყო, დოუძახე პეტრიას, გამეიქცა თოფით, მარა რას მოუსტრებდა, გეიქცენ იმინუჩი“ (ჯაჯან. II ქვ. იმერ.).

კვარკვალიე მრგვალი, დამრგვალებული. „არაფელი არ დამიხარჯავს, კვარკვალიე ასი მეენთი მოგეცით მე და რავარც გინდათ, ისე დამიბრუნეთ“.

კვარაკუნჩხე ქართული ყოჩივარდა. „მაი კვარაკუნჩხე.სა ნახე, ბებია?“ (ა. მაყაშვ. ქვ. იმერ., გურ.).

კვა(ნ)წარახი შეუკაზმავი, დადუღებული ტყემლის წვენი. „უკვანწარახო ლობიე რავა იჭმება?!“ (ძოწ., ყლ.).

კვაწაბი ტყემლის შეკაზმული წვენი. „ჩვე რო ვაკეთეფთ ტყემლი წვენს, კვაწაპსაც უძახით და ტყემლი წვენსაც“. „ციცით თქმაი, კაი საკვაწაპე ტყემალიაო“.

კვაჭვა ნებიერად წამოწოლა, გორაობა. „იკვაჭება თელი დღეი და ქეა“ (შარაშ. წამოკვაჭვა).

კვერკვილო სახლის კედლის ფიცრებისაგან შექმნილი გარეთა კუთხე. „— სადაა ახლა ერთი ჯოხი, რო მოუდგინო ამას გვერდები!.. — კვერკვილოზეა მიყუდებული ეგერ, კვერკვილოზე... — მიასტავლა

ცოლთან მოჩხუბარ შვილს მოხუცმა მამამ".

კვერცხის მოწყება კვერცხის დების დაწყება ქათმისა- გან. „კვერცხს მეიწყეფს ე დედალი აწი. ბუდე თვარ მოუბზადეთ, ბურდუში დეიწყეფს საცხა დებას და დაგვიკარ-ქავს" (გაჩეჩ., შარაშ.).

კვინჯღი ნუჟრი, კორძი. „უბედური დასაჭერია კვინჯღიანი ხეი..." (ქეგლ კვინძი, შდრ. ჟღ. კვექღო).

კვიშიჭე წვრილნაყოფიანი მსხლის ჯიში, იკრიფება დეკემბერში.

კვრეხილე თხილის ახალგაზრდა სანაყოფო გამონაზარდი (მისგან ვითარდება ნაყოფი). „ჩვე რო ვკრიფავთ თხილის, მაშვინ იწყეფს მუშაობას, მორე წლის მოსავალს იწყეფს; კრეფის დროს ქე აქ ჩამოკიდებული ეგერ-აგერ ყურსაკიდე, კვრეხილეეფს უძახით იმას, თეთრი კვრეხილე" (ქეგლ ლეჩხ. კვრიხილი, ვ. ბერ. ხვირკილა, კვირხილე, ალავ. კვრიხილი, ჟღ. კვირხლი).

კვრიხი ჩალა ოდნავ შემშკნარი ჩალა. „თხაი ჰამს კარქათ კვრიხი ჩალას". „კვრიხია ჯერე, კვრიხი".

კვტარი სახლი ქვის სახლი („ცოცხალი" ხის სახლის საპირისპიროდ. მისი დაშლა და შემდგომ მასალად გამოყენება შეუძლებელია). „ჩვენთან ქვის სახლი არ ვარგა, კვტარი სახლია, ვერ დაშლი და ვერაფელი, ხის სახლი ცოცხალია, რაი ჯობია იმას, საცხა გინდა, გარეიტან..."

კიკაბო ძნელად ასასვლელი დამრეცი ადგილი. „ამ კიკაბოში, ბიჯო, რამ ამოგიყვანათ, გადეირიეთ? რო იტყვიენ, ფთის ჩიტი ფთას შეაკვტაო, მართალია!" (ჟღ., შდრ. შარაშ. კიამპო).

კიკია თხის მოსახმობი ძახილი.

კილი ნაკლი, წუნი; უარყოფითი ადამიანის ბუნებაში. „ვერაკაცს ვერ ნახავ შენ იმისთანას, კილი რო არ ოუღო, ქე დარჩები გოუთხვარი" (საბა; ძოწ.).

კილონკა ცელოფანი. „კილონკა უბედური ცივია".

კინა ცული, ნაჯახი. „ნემეტანი კაი გამოდგა ე კინა, ამას რავა შეველევი, ჩემი მარჯვენე ხელია" (შარაშ. კინაი).

კინწა ლელვი დიდყუნწებიანი ლელვის ჯიში.

კინწლავი ჩხუბი, კინკლაობა. „ნუ კინწლაობთ, ბაღნებო!" (ჯაჯან. II, რაჭ. დიალ.).

კინწოლე ხეხილის პატარა, ნაყოფით დატვირთული ტოტი. „კარალოკი კინწოლეებათ წამევიღეთ, მანქანაში ჩავაწყვეთ" (საბა კონ-

წოლი, ალავ. კუნწულა, გაჩეჩ. წერ. კინწალი).

კინჭიხი თავის ქალის უმაღლესი წერტილი. „კინჭიხში დამაჭირა სიცხემ“ (შდრ. ქეგლ კინჭუხი, კენწერო).

კიპაროზე გადატ. მაგარი. „უბედური კიპაროზე ხეია, პეტერა ნაფოტას ვერ ჩამოაგდებიეფ“.

კიპინი კივილი „ანასტასიე რო მოკვტა, ანასტასიე, მე და ანიკო ვადექით თავზე. გამეევით გარეთ და გავაბით კიპინი. დაბარებული მჭონდა ანასტასიედან, შენ უნდა შემიცხადოვო“.

კიპიჭონიე (კაბიჭონიე) ტოტის მოსაწევი მოხრილთავიანი გრძელი ჯოხი. „ე, მაქანეა კიპიჭონიე და მემე ერთი ხელში, ამ ლეღვის ბოლს მევიწევ, შე, რა კაი წიფე ლეღვია...“

კიპორჭალე 1. იგივეა, რაც კიპიჭონიე. „კიპორჭალე რო ქონდეს, ქე მოკრიფავ რამეს [ლეღვს] და ისე რას იზამს“. 2. მეტსახელი გამხდარი კაცისა. „ჩვენ შევარქვით კაცს ვანოიე კიპორჭალე. პეტერე ხმელი კაცია“.

კირკაჟელე მაგარი. „ე კირკაჟელე ყველი ვერ ჭამა ბაღნებმა და...“ (ქართლ. ლექსიკ. კირკაჟი, რაც ძნელად იხარშება, უხარშელა; ძოწ. გაკირკაჟებული).

კირკიტიმალი / კირტიმალი ხელის შეშლა, წვალება. „ნუ უკირკიტიმალეფ მა ბაღანას, დაანებე თავი“ (შდრ. ვ. ბერ. კირტიმალი, ქავთ. I კირკიტი).

კირკლები ირონ. პატარ-პატარა ბავშვები. „ეგერ თხილები მაქ გვერძე, წავა ახლა მაი და მისი კირკლები და მოკრიფავენ იმას, თუ არ მიხედე არ შეილება“ (გაჩეჩ., შარაშ.).

კიტინი გამოჩხრეკა, თითით ჩხრეკა. „ნუ იკიტინებ, გო, ცხვირში ხელს“ (შდრ. შარაშ. შეკიტინება).

კიფერი ფსხალი მსხლის ჯიში.

კიღმე კინაღამ, ლამის. „ეული ხეზე და კიღმე გარმოარდი“ (გაჩეჩ., კეღამ, კიღამ; რაჭ. დიალ. კიღამე, კიღამ)

კიწაობა კინკლაობა, ბავშვთა ცელქობა, ჭიდაობა. „წაით იქით, წაით, ნუ კიწაოფთ აქანე!“ (ჯაჯან. I. კიწავი, გაჩეჩ. კიწი-კოწი, ალავ. კიწმანი).

კლიტეში საქმის მიგდება (მიყვანა) ბოლო წუთამდე საქმის არ გაკეთება (რაიმე რომ მოხდეს სათადარიგო დრო აღარ რჩება, იმდენად მიაგდო საქმე). „კლიტეში რო მივიდა საქმე, მაშვინ უგანა“. „კლიტეში არ უნდა ჩააგდო საქმე“. „საქმეს კლიტეში რო ჩააგდებ,

მერე რაღა უნდა ქნა".

კოდიე ხის ჭურჭელი. „კოდიაში ჩამძვრალიყო თაგვები, კატა ვერ მიუდგა. გოუჩენია შვილები შითე, რვაი ცალი იყო, დავწყვიტე. ზეით ვერ ამოხოხთენ უცეფ და... " (საბა, გაჩეჩ.).

კოკოცე დაქანებული ხრამი ადგილი, ციცაბო. „რაღა იმ კოკოცაში ვაშენო სახლი, აგერ ავაშენეფ და დავწობი შითე ამ ორ დღეს".

კომიჭე პატარა კოპი. „აგერ კომიჭე მაქ, გუშხამ რო მივარტყი თავი..." (ვ. ბერ.).

კონჩხო ოდნავ შემაღლებული ადგილი, ბორცვაკი. „პეტერე წათხარე ეი კონჩხო აქანე".

კონცხორე მაღალი ბორცვი. „ქალი გეტყვის: რაი მინდა იმ კონცხორაზე, ველარ ვიშონე ერთი პუტიოკა და ველარ წევედი ზღვაზეო?" (შდრ. საბა კონცხი).

კონჭოხი, კონჭოხელე გამხდარი, მაგრამ ჯანმრთელი ორგანიზმისა, გამძლე, ჭარმაგი. „კაი კონჭოხი კაცია..." „ძაან კონჭოხელე ქალი ქე იყო მაშვინაც".

კოპარი სიტყვის მნიშვნელობა უცნობია. „კოპარივით ულაპავს". „ადამიანი რო დაჟდება მარტვე, არ უყურეფს ვინმეს, დოუღეჭავათ ულაპავს კოპარივით".

კორინობს კადრულობს. „ერთ გარაკრულ სიტყვას არ კორინოფს". „ყორფლაამდი კაი კაცია, მარა ნემეტანი ყაილაა, ფჩხილის დონს არ კორინოფს რამეს" (შდრ. შარაშ. შეკორინება, არ შეიკორინა — არაფრად ჩააგდო, არც შეიმჩნია).

კორწიანი ქანაობა. „სიკორწიანას გევიმბამდით დიდ ხეზე და ვკორწიანობდით" (ქეგლ იმერ. გურ. კორწიალი, შარაშ., ვ. ბერ. კორწიან/ე-ი — რწიანა საქანელა, ჯაჯან. II კვინწიალი, ალავ. ლეჩხ. კურწიანი).

კოტორი ფულის მხარჯველი, მფლანგველი, ფლანგვის შედეგად გაღარიბებული. „კაი კოტორი ხარ შენც, მასე თუ ქენი, მიდღემჩი არ გექნება ფული".

კოღონე არსება; ირონ. ადამიანი. „ორი კოღონე ვიყაით და რათ მინდოდა ამხელა სახლი" (შდრ. შარაშ. კაღონაი — პატარა, საცოდავი).

კოშტოლო კეფის ზედა ნაწილი, თავის უმაღლესი ნაწილი. „ძმარი კაია წნევიზა, ნევრებიზა; კოშტოლოზე რო დეისხამ, წავა აქით-

იქითე, კისერზე ჩავა, გულზე გარეგებლობა".

კოჩიალე რყევა, აქეთ-იქით მოძრაობა. „ეი რატო კოჩიალობს?"

კოხტა გულიხა ადვილად ფეთქებადი ხასიათისა. „კოხტა გულის გოგო იყო, ყორფელზე მოუდიოდა გული".

კუბზურიე პატარა, ვიწრო, მომცრო. „გაჩუმდი თვარა, ფარილათ დაქხვთება მა შენი კუბზურიე სახლი..." „ერთი კუბზურიე სახლი მაქ და ქარი გაიგამოდის შითე".

კუთუნი კვნესა, ოხვრა. „გეიგონა კუთუნი, მიშველე, ბებია, მიშველეო და უსულგულოთ წამოვარდნილა ბაღანე..." (ჟღ., შდრ. ვ. ბერ. კუთვა, კუთუნი, კრუხის კრიახი, ჭრიახი).

კულუმბურე ავი, ბრაზიანი, კაპასი. „უბედური კულუმბურეა ფაციე, მაი რძალს რავა შეეგუება" (შდრ. ჟღ. კულუმბურივითაა, შარაშ. წაკულუმბურება).

კუმატე ფეხის თითის ძირის გამოლპობა, დაწყლულება. „კუმატე, ცვარში რო გეიარ, იმან იცის" (ქავთ. I კიმატი, ვ. ბერ., ჟღ. კიმატაი, კუმატეი).

კუმპალე ავსიტყვა, ცუდი ენის პატრონი. „კუმპალეა უბედურობა, წუნკალი ენა აქ". „უბედურობა კუმპალე რამეა, შევატყვე, აპა რაი ვქენი, რავარც დეილაპარიკა, შევატყვე".

კუნკვა მოხრა, მოკუზვა. გადატ. ზარმაცობს, ავადმყოფობას იგონებს. „იკუნკება წელში, არიქა არ გამაკეთებიონ რამეო".

კუნკურაზე / კუნკურახე ბნელი, უმთვარო ღამე. „შავი კუნკურაზე ღამეა" (შდრ. ჯაჯან. I. კუკუნახი, ი. ჭყონ. კუნკურაზი — ნამდვილი, წმინდა, ვ. ბერ., რაჭ. დიალ. კუკუნახი, ქავთ. I კუკუნაბედი ღამე).

კუნცხურიე წელში მოხრილი და სიბერისაგან დალეულ-დაჩიავებული ადამიანი. „სამასი წლის კუნცხურიას კითხეს, რა არი ცხოვრებაო და რაი თქვა, იცი: წინა კარში შევეი და უკანა კარში გამევეიო..." (ჟღ.).

კურცხვლა თვალებიდან ცრემლის დენა. „ისევე დოუწყო თვალებმა კურცხვლა, ეკურცხლება ისევლე" (შდრ. ქეგლ, ჟღ. კურცხალი).

კურწუმელე ეკალას ფოთოლი. „ძირმაგარეზა კურწუმელეს ნეშოა კაი, ქორო გამოსვლას იწყეფს, მაშინ უნდა დეიდვა იგი". „კურწუმელას უძახით ნეშოს, ისე ეკალე უნდა მოუკრიფოო, ვიტყვით, სა-

ჰმელიზა რო გვინდა, მაშვინ“ (ჯაჯან. I).

კუტა / კუტალია მიმართვის ფორმა (ირონ.). „გაჩეი, კუტა, გაჩეი!“ (შდრ. ვ. ბერ., გაჩეჩ., ყღ.).

კუპე გადამწიფებული მსხალი, კანქვეშ სიშავემორეული; „კუპე ფსხალი — ღორისა“ (ანდაზა); „მოლეული იყო ფსხალი, დევინახე ორი კუპე ფსხალი შერჩენოდა წვეროში. წამძლია სულმა და ევეი ზეთე, კიღმე გარმოარდი, მარა მაინც მოვწიკვე“ (ყღ. კუპე, ღვინჯე; შარაშ. კვიპე, მკვიპე, მკუპე; ქავთ. II უურპე, I დაყლურპებული).

ლ

ლაზი შავი ფერზე მიანიშნებს. „რაი ჰამს იმ პურს, შავია ლაზივით“ (ძოწ. წებოვანი ტალახი).

ლაინი შავ ფერის აღმნიშვნელი. „გაყივნული ხორცი რო ჩავყარე თუჯიაში, ლაინივით გარეიქცა (ე. ი. გაშავდა)“ (საბა ნარმა შეღებილი; შდრ. ძოწ. შეღებილი ლურჯი ქსოვილი).

ლამფო სქელი, ღრმა ტალახი. „ქეა კაი გზაი, არაფელი უჭირს, მარა ერთ ალაგასაა დიდი ლამფო, იქინე ურმის და ცხენის გასვლა... ჯვარი გიწერია!.. რო ჩავარდე კაცი შითე, ვერ ამოხვალ ზეით“. „აქანე ამ ლამფოში მანქანა რავა გამოვა, უნდა გაშრეს, ვაცალოთ“ (როსტ. ინგილ. ლამფურ — გაუვალი ტალახი).

ლანდი პატარა, მცირედი, შეუმჩნეველი. „ერთი ლანდია...“

ლანთხი 1. სუსტი აღნაგობისა, კაფანდარა, გამხდარი. „ეგი ლანთხი ბაღნებია“. „ლანთხი სუქანი არა, სუსტია ისე...“ 2. ჯერ უმწიფარი ნაყოფი. „ჟუინტი ლობიე ჯერე ლანთხია, კეკალი არაფელი მეენძევა შითე და რათ ვარგა, ბეჩა“.

ლანჩა კალათის დასაწნავი მასალა. „წაბლის ლანჩა და თხილის ტკეჩი — ამითინ იღობება გოდორი და გიდელე“ (ქეგლ. იმერ. ლაჩი, რაჭ. დიალ.).

ლარის გატანა სწორად გავლება ხაზისა, რათა მუშაობისას სისწორე არ დაიკარგოს. „სასაძირკვლე ან სასარტყლე ხეს დავლარავთ, სტორათ რო გამეიყვანო ხეი, იმიზა. მერე დევიწყეფთ გათლას, მივყობით ლარს. რო გავალთ ბოლოში ვიტყვით, ლარი გევიტანეო“

(გაჩეჩ. ლარი; გრ. ბერ. ჯავახ. ლარის დარტყმა).

ლარტყი წყლის მწვანე ხავსი. „ამაში ლარტყი გაჩენილა და გამორეცხე ერთი...“ (შდრ. ქეგლ, გაჩეჩ. ყლარტი, რაჭ. დიალ. ლართხი).

ლარძაყინი გადატ. ბანი სიმღერაში. „ახალწელიწაც დევიწუებდით სიმღერას, მე კრინს ვამბობდი, ექვთიმე ლარძაყინს მემბობოდა, არაფელი ჯობდა ჩვენ ყურებას...“ „შე, რაფერ ისმის ლარძაყინი...“

ლაფში დიდი ტუჩი. „გრიგოლს ცხენი უყიდია, / უნდა იყოს ბაშელი, / მუხლში წყალი ჩადგომია, უძიგძიგობს ლაფშები“ (საბა, ვ. ბერ. ლაში, გაჩეჩ., რაჭ. დიალ.).

ლაქსარი ბევრი ლაპარაკი, ლაყბობა, მოლაყბეობა. „გაწიე ნაჯახი იქით, ნუღა ლაქსაროფ“ (ვ. ბერ. გალაქსარება — ენის გატლეკა).

ლაღმოსობილი არადათავიანებული. „ბათფანში რო ჩავყრით სიმიდას, ფქვილს ან რაცხას, გაროუსოფთ ხელს პირზე და მოასტორეფთ, ე იმას უძახით ლაღომოსობილს“ (გაჩეჩ., რაჭ. დიალ. ლაღემოსმული, მ. ალავ. ლაღამოსული, შდრ. ვ. ბერ. ლაღა).

ლაჭყორი სარტყელსა და სახურავს შორის დარჩენილი ცარიელი ადგილის ამოსავსები სიგრძივი ლამფა. „იქინე არსადარა არ გოუკეთოთ ლაჭყორები, თვარა თაგვები დეიმუდრება თავანზე და კატა ვერ მიუდგება დასაჭირავათ“.

ლეგენდარე ზარმაცი, უსაქმური კაცი. „მა გლახა ლეგენდარე, მაი!“ (ვ. ბერ. ლეგერდანი, შარაშ. ლაღანდარი).

ლევაში ლავაში. „ამითინ, რო გეიარ საპჭოში, ლევაში უყიდეო, არ გარამახთოვია ფული...“

ლეპრი ხორცის ხარშვისას წყალზე მოყენებული ქაფი. „ლეპრს რო მეიყენეფს, უნდა მოართვა, თვარა უგემური გამოვა ხარჩო“ (ვ. ბერ. ლოპერაი).

ლეფერჩანე ფართო, დიდი, განიერი. „ეგერა კაი ლეფერჩანე ლარტყი, იი დადევი, მაი წვრილი რათ ვარგა, ბეჩა!“ „მანახე რამიხელა ტაბლეტებია [წამლის აბი]? — კაი დიდი ლეფერჩანეა“ (ქეგლ, წერ. ლეფერთინა; ვ. ბერ. ლეფორჩანი, ლეფერთხო, შარაშ. ლეფერჩი — პატარა ნაფლეთი).

ლექვერიე დიდტუჩებიანი, შეუხედავი კაცი. „ვაჟაია გლახას ქვაი ამოუგდია აქიდან, მაი ლექვერიე, მაი!“

ლეღვის ცოდვა გამონაყარი, რომელიც კანზე ლეღვის მკვახე ნაყოფის რძისაგან ჩნდება. „გოუპურწკნავ ლეღვს რავარც ჭამ, პეტე-

რე ბაქე თუა, ლელვის ცოდვას გაგიჩენს ტუჩებზე“ (შარაშ.)

ლეშუმი ბევრი ლაპარაკი არც თუ ისე საინტერესო თემაზე, ტყუილ-მართალი. შდრ. გაალეშუმა ენა. „დიდი ლეშუმის თავი აქ, რო დეიწყეფს ლაპარიკს, ველარ ათავებს“.

ლეჩხუმელი ვაშლი ვაშლის ჯიში.

ლიბერი ბაცი ფერისა, მკრთალი. „თეთრი არა, ისე ლიბერია“ (ძოწ., შარაშ., რაჭ. დიალ..)

ლილონჭრელე ლილოჭრელი. „დეევეცი, ლილონჭრელე იყო და შემხვთა უქმური“ (ქეგლ, შარაშ., ვ. ბერ., რაჭ. დიალ. რილოჭრილი, გაჩეჩ. რილო).

ლინცრათ ირიბად. „ლინცრათ ჩამოთხარე მაი ბეკი, ახლა, შენ, თვარა ქე ჩამეინგრევა მერე“ (შდრ. ვ. ბერ. ლინციო, ნირციო, ჯაჯან. ილინცრათ, ილინცურად).

ლიპე შიშველი კლდე მდინარის ნაპირას, ღელეში. „დამისთა ფეხი ლიპეზე, დეევეცი, ძულათე ავდექი ზეით. ამყვა უქმური და შემილოცეს, თვარა მომკლავდა წელის ტკივილი“ (გაჩეჩ. ლიპი).

ლიპური ქვიანი, სალ-კლდიანი ადგილი. „საწყალმა ექვთიმემ იცოდა თქმაი: ლიპურია, ბიძია, ეი ადგილი, ლიპურიო. ლომით ვერ ჩაასოფ ერ გოჯაზე სარს“. „ლიპურზე ნეფსა თხილი ხაროფს კარქათ. უყვარს ქვიანი ადგილი იმას. ერთი თუ მეიდგა ძირი, მეტი არ უნდა, ნემეტანი კარქათ ხაროფს“.

ლიშვი ღია ნაცრისფერი. „ერთი ლიშვი ფერის ვაცი ქვყავდა, გოუძღობოდა თხეფს საბალახოზე, საღამოს, მოუძღობოდა ისევე და მეიყვანდა“.

ლოგინად წოლა (წენა) ახლად მომშობიარებული ქალი, რომელიც ჯერ არ გამომჯობინებულა. „მაცაიე რავა იქნებოდა მაქანე, ლოგინად წენა, მორე ბიჭი ეყოლა“.

ლოკორტინეს ხოჭო ლოკოკინას ნიჟარა. „ლოკორტინას ხოჭო აქ, შითეა შემძვრალი“.

ლოსტოქო დიდი გაუვალი ტალახი, დაბალ ადგილში ჩაგუბებული წყალი; „უწუმია წუხელ, გზაზე ლოსტოქოა იმიხელა რომე...“ (შდრ. ვ. ბერ. ლესთექი, ლოსთოფო).

ლურწკი დორბლი. „ორსულმა ქალმა არ უნდა ჭამოს თაფლი, თვარა ბაღანე გამოვა ლურწკიანი“.

ლუტე უმწიფარი. „ლუტეა, ბაბუა, მაი თხილი ჯერე, ლუტე, არ

იშმება“. „ლუტე სიმიდი რათ ვარგა, ნაკორტალე იქნება ცარიელი“. „მაი ლუტე ლობიები რათ ვარგა, გო!“ (შდრ. ვ. ბერ. ლუტუ ლოთქოშო ახლად ამოყრილი).

ლუყურტე მსუყე, ზედმეტად ცხიმიანი საჭმელი. „ლუყურტე რაია და, გულს რო მოგისუყეფს, გლახა ხასიაძე დადგები“ (შდრ. გრ. ბერ. ჯავახ. ლუყურტი — არასასიამოვნო, უგემური).

მ

მაგარი ძალიან დიდი. „უწინ მაგარი თოული იცოდა, ახლა არ მოდის იმდონი თოული“.

მაგიორათ სამაგიეროდ.

მაიხლობაზე მაგის ასაკში, მაგის ხნისა.

მაკარიას ბაწარი მაგარი, უწყვეტი თოკი. „ცოცხიზა მაგარი კედი უნდა, მაკარია უნდა იყვეს“. „დააბი ხპოი მაკარიას ბაწრით და ქყავდეს, მოკვეტება შიმშილით!“ (შდრ. ძოწ. მაკარიას ძაფივით წვრილი და წმინდა; გაჩეჩ. ძაფი).

მალადური მხეცი, ოთხფეხი, მღრღნელი. „ათასი მალადურია, რავა დააყენებს თხილს, რამდენი ჩამოვარდება, შეჭამს“. „მელიეს ლეკვის ხავილი რავარც გეიგონეს ძაღლებმა, იმწუხი ატეხეს ყეფა, მიხვდენ რომე მალადურია იგი“.

მალიახორი ნათვალების ლოცვაში გამოყენებული სიტყვა. „ალიახორი, მალიახორი / გამჩენო შენ დოუფსე თვალი და ყური, / ვინაც ავი თვალით შეხედა“.

მალიფანცქურად ეშმაკურად, მოხერხებულად, დაფარულად. „ხო ხედავ, რაფერ მალიფანცქურათაა გაკეთებული ეგი, თაგვი კარა, კაცი ვერ შეამჩნევს“.

მამალი მაყვალე დიდეკლებიანი, გრძელტოტებიანი მაყვლის ბარდი. შდრ. დედალი მაყვალე. „მამალი მაყვალე იცის აქანე უბედურობა“.

მამალე ძლიერი ნებისყოფისა, მტკიცე ხასიათისა, მამაცი. „მამალე კაცი იყო მამაჩემი, ცოლი ვერ წოუდოდა წინ, რო შამევიდოდა სახში, ჩვენ ბაღნები ფეხზე ავდგებოით“.

მამაწიად ძვირად, მამასისხლად. „ყორფელს ყიდის მამაწიად, მაი რო არ გაყიდოს, კარ შოულია“. „მამაწიად მომყიდის და მანეთი მი-

ვსცე ერ კილო კარტოფილში?!“ (ძოწ.).

მანგალი ნამგალი. „მე მანგალი მაქ და იმითინ ვჭრი ბალახეფს“. „თუ არ გაქ ცელი, პეტერე მანგალი ნახე, წოუპტყელე თავი და გამოამბი ჯოხზე და თლა კაია“ (ქეგლ ძვ.).

მანჭვალი ჯაჭვის ქვედა, მოღუნული ნაწილი, რომელზედაც ქვაბი ეკიდება. „მანჭვალი ქე არ უვარგა ამ ჯაჭვს და ისე რათ გინდა“ (შდრ. ქეგლ მანჭვალი, საბა მანჭუალი, გრ. ბერ. მანჭვი, ვ. ბერ., რაჭ. დიალ. მანჭო, გაჩეჩ. პანჭვი, ქავთ. I მანჭვი).

მარაკუნიე ხალხის წარმოდგენით კუდიანი, რომელიც დადის ადამიანის სამოსახლოს ახლოს და ღამით კედელზე აკაკუნებს. ძილის წინ ბავშვებს აშინებდნენ. „დეიძინე, თვარა მოვა აგერ მარაკუნიე!“ — თან კედელზე აკაკუნებდნენ.

მარსალიკონე 1. მარჯვე, ჭკვიანი, მოსაზრებული ბავშვი. „უბედური მარსალიკონე ბაღანეა, ყორიფელი იცის“. 2. კარგი, საუკეთესო. „აპა სადა, ბებია?! უკაცისხელოთ არ დეიკარქება რამე და... მერე რა კაი ხერხი იყო, დიდი მარსალიკონი რამე იყო, ნემეტანი კაი იყო...“ (შდრ. საბა ბასალიკონი — მჭევრი, რიტორი; შარაშ. ბესალიკონი, ალავ. ლეჩხ. ბასალიკონი).

მარღი ეშმაკი, მლიქვნელი. „მარღი — შენთან როა ახლოს, გიჩვენებს, ვითამ კაი უნდა, მარა რო ციგნოფს ისე“. „მაის მამა უბედური მარღი კაცი იყო, ვერ ენდობოდი“.

მატატე მფლანგველი, მხარჯველი, გამნიავებელი. „ნემეტანი კაი გოგოა, მატატე არა, ჰოჰობინეა“.

მატაური ბავშვის ავადმყოფობა, რომელიც ახრჩობს. „მატაური უბედურობა ავანტყოფობაა, თვალეფს გარააპრაწიებს ბაღანას და ახჩობს“. „თოთო ბაღანას რო მოუარს მატაური პირველათ, დეიჭირავენ შავ კატას, მეიყვანებენ, დეიკავებენ ხელში და გოუჭრიენ ტუნჩის, ბაღანას დააფჩენიებენ პირს და ჩოუსხამენ მის სისხს პირში. მერე არ უზამს მატაური ვითამო. ზოგიერთს მართლა გაროუარა, ზოგიერთს უქნა კარა, თლა მოკლა მერე. მამალე მატაურე თუა, არ ეშველება არაფერი. მამალე მატაურე მესამე ქნაზე მოკლავს“. „მატაური ორნაირია: მამალი და დედალი. მამალმა შეილება მოკლას ბაღანე, დედალი არ მოკლავს, დითხანს გოუწიოს შეილება“ (გრ. ბერ. ჯავახ., შდრ. შარაშ.).

მაღალი ვახშმობა გვიანი ვახშმობა. „მაღალი ვახშმობა მევიდა

აწი, ვახშამი ვეღარ ვჭამეთ“ (შდრ. შარაშ. მაღალი სადილობა).

მაღალ ფეხებზე დადის ამპარტავანია, ამაყია. „მაღალ ფეხებზე დეიარება, მიწაზე აღარ აფურთხებს, რაცხა გონია მისი თავი პლატონიე გლახიშვილს“.

მაყურჭალე (მაყურჭათ) მარყუჟი, ნასკვი. „შე რაფერი მაყურჭალე გოუკეთებია?!“ „მაყურჭათ ჩააბი მაი ბაწარი, თვარა ვერ გამოხსნი, რო დაქჭირდება“.

მაცადინი გამრჯე, მცდელი; რაიმეს მოსურნე ადამიანი. „უბედური მაცადინე ბიჭი დადგა“. „შენ, ბიძია, დაჭხვთა ყორფელი მოწყობილი და ახლა იმის მაცადინი ხარ, რაფერ გეერთო, აბა ერთი უმამოთ იყო, რაფერი ბიჭი იქნები, ნახავ მერე...“ „რაი წაგღლიტოს და რაი წაგართვას, იმის მაცადინია“ (შდრ. ქართლ. ლექს. მაცადური).

მაწიერად ბლომად. „პეტერე მაწიერათ გარმომიღე მაი ლობიე“.

მახუსტაშვილი ვიღაც, უცხო, გაურკვეველი ვინაობისა. „ვიცხა მახუსტაშვილი რავა დაგინდობს, შე კაცო!“

მაჯაგი ძლიერი, ღონიერი, ჯანმრთელი, გამძლე, ამტანი. „ბულთვის თამაში იცოდენ — ცოლიანი და უცოლო. უცოლოები უფრო მაჯაგი ბიჭები იყვენ“. „კაი მაჯაგი ბაღანეა“ (ვ. ბერ., ქავთ. I, ალავ. ოკრიბ., გაჩეჩ..)

მაჯის ყანცალობა მაჯის ოდნავი, ნელ-ნელა ფეთქვა, სუსტი პულსი (შდრ. ყანცალი, დაყანცალობს — ძლივს დადის).

მეამინე ანგელოზი დაკავშირებულია ხალხის რწმენასთან. გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობებით: 1. „მეამინე ანგელოზი ყველა ადამიანს დაყობა და იგი ღეში სამჯენ იტყვის „ამინო“. თუ მოხვდა იმას დაწყევლა და იმან გითხრა „ამინო“, ახთება იგი. ამიტო არ უნდა დეიწყეველო ხშირათ“. „მეამინე ანგელოზივით ემოწშება ყოლიფერს“. 2. „მეამინე ანგელოზივით ჩამომიჟდება“, „დამქდარხარ მეამინე ანგელოზივით, მიყურეფ და არ აკეთეფ აფერს“. „სახში თუ ხარ, სახლის კარაპინაზე ჩამოჟდება მეამინე ანგელოზი, მარა შენ კი ვერ უყურეფ. იი კარ ქცილდება, დაგყობა ყოლდგან“ (პ. გაჩეჩ., ქავთ. I. ვისთანაც აღსარება უნდა თქვან: მეამინე რო ჩამეივლის..; შდრ. მენთეწ. ამინი — სული, რომელსაც ნატვრის ასრულება შეუძლია ან წყევლისა...).

მეექვანცრიტა გაეარშიყა, თავი მოაწონა. „მეექვანცრიტა გოგო და ბიჭი ერთიმეორეს და ქე წამეიყვანა სახში“.

მეეჭ კრუხის მოსახმობის ძახილი.

მეზარება მძულს, მეზიზღება. „ორსულობაზე შემძულდა პატრიჯანი და მის მერე მეზარება უბედურათ“.

მეთოლიე თეთრი ყვავილია ერთგვარი. მარიამობისთვიდან იწყებს ამოსვლას. „თუ ამევიდა ადრე მეთოლიე, თოული იქნება იმ წელიწაც ადრე და დიდი, მიტო უძახით მეთოლიას“.

მეინძევა არის. „აქანე არსათ არ მეინძევა ჭიქა, მომიტანეო რო იძახი, რაი მოგიტანო“. „არ მეინძევა არსა“ (შდრ.: შარაშ. მოძებნა; პოვნა).

მეკვერცხიე 1. კვერცხისმდებელი ქათამი. „ეი კაი მეკვერცხიე ქათამია, წროულს სული მევითქვი, საძებარი აღარ მაქ კვერცხი“. 2. კვერცხისმშამელი ძაღლი. „უბედური მეკვერცხიეა, მაის გაჩერება რავა შეილება სახში, თელი კვერცხები ამომიშამა წროულს...“ (ქეგლ).

მეკვინტიე წიხლის მკვრელი ცხოველი (ცხენი, ვირი, ჯორი და მისთ.). „უბედური მეკვინტიე ცხენია, ე საჯილდაო, ქალი კარა, კაცი ვერ ეკარება მაგას“.

მელექეთი დიდი, უზარმაზარი; ბევრი (შდრ.: დუდგამელექეთი). „შვილი თფილიში ყავდა, იქინე სახლი ააშენა, დიდი მელექეთი“.

მელეღვიე ჩიტია ერთგვარი, ლეღვობაზე (სექტ.-ოქტ.) მოფრინდება იმერეთში.

მეტი რაი (ქვონდა) ბევრი (გვქონდა), უამრავი (იყო).

მექილიე ერთგვარი ბუზი. „ქილს აყრის მექილიე, მეტს კ'არაფელს აკეთეფს, რო მიჟდება ხორცზე, მიაყრის ქილს“.

მექირდავები გადაკრული სიტყვებით ცუდი განწყობის გამოხატვა ლაპარაკისას. „შენ ნუ მექირდავები მე... მასე იცი შენ სულ“. (შდრ. ქეგლ ქირდავს — აუგს ამბობს ვისამეს შესახებ, ძრახავს, დასცინის, კილავს).

მეშარავე ჩამომვლელი კაცი, გზად (შარაზე), მიმავალი, გამვლელი. „რამდენი მეშარავე ჩამეიარს, ოტკა თვარ გამოუტანე, რავა შეილება?!“

მეცარი წინასწარმეტყველი „უბედური მეცარია, ყორფელს მიხვთება წინასწარე“ (ჯაჯან. I., ძოწ.).

მეძვირე ნაკლებმსხმოიარე ხეხილის ხე.

მეწლე ხეხილი, რომელიც წელგამოშვებით ისხამს ნაყოფს (ქეგლ, ძოწ. შარაშ.)

მეჭო კრუხი ქათამი, მოკრუხებული დედალი. „ნინა, ეგება მეჭო ქყავს, ჩემა არ მეიკრუხა იმ სატურიამ და კვერცხები მიფუშტება“. „კაი მეჭუჭულე იყო, ისე გამოზარდა ი მადლიანმა მეჭომ ჭუჭულები, რომე კაი დედა ვერ მოხედავს“ (შდრ. ვ. ბერ., ჟღ.).

მეხარება მიხარია. „მამა გამიშვი კლაში-თქვა, მე მეხარებოდა სტავლა, მინდოდა“.

მეხსიერი (მესხიერი) ჰკვიანი, მოსაზრებული, გონიერი. „კაი მეხსიერი ქალი ითხუა“.

მზემ გარააჭახრაკა თვალები მცხუნვარე, მწველი, შუადღის მზეა. „ა, წევიდეთ აწი, მზემ გარააჭახრაკა თვალები, აწი რას იმუშაეფ“.

მიგინიჭებია ტვინი ტვინიც დაგიხლია, თავში ქვა გიხლია (პასუხისმგებლობის აცილების გამომხატველი ფრაზა). „წაი და მიგინიჭებია ტვინი“.

მიგუზგუზებული ბევრი (ჯარად ამოსულ ხეებზე იტყვიან). „მიგუზგუზებულია ტყეში წაბლის ხეები“.

მიდღემჩი სულ, მუდამ, თავის დღეში (ქეგლ, გაჩეჩ., რაჭ. დიალ., ძოწ.).

მივაკინტილე საქმე მივიყვანე დამთავრებამდე. „ე საქმე ქე მივაკინტილე და აწი აღარ ვჩივი“.

მივარდნილია ძილად სულ ეძინება, გამუდმებით უნდა ძილი. „შე, კიდო არ ეძინება?!. მივარდნილია ძინათ, დასუსტებულია საწყალი“.

მივცხოთ მუშაობა კარგად, დაძაბულად ვიმუშაოთ.

მიზიზინებული დახუნძლული, კარგად მსხმოიარე, ნაყოფით დატვირთული. „რა კაი ყანები აქ ყველას?! მიზიზინებულია თლათ!“

მიიპურება მიყუჩდება, დალაგდება, დაწყნარდება. „მეიცა პეტერა ხანს, მერე ამეიტანე; ხალხი მიიპურება პეტერას, გარეთ სიარულს მეეშობა“.

მიკაცრიელება საქმისა საქმის ნაწილობრივ მაინც მოთავება (შდრ.: ვ. ბერ. მილაგ-მოლაგება, საქმის მიხედვა). „ეგი საქმე მივაკაცრიელოთ და წაი მერე...“

მიკინტილობს 1. რაკრაკით მიდის წყალი (მაგ., ღელეში) „ლიპურია აქანე და შე, რაფერ კარჭა მიკინტილობს წყალი“. 2. მარტოდმარტო მიდის. „მიკინტილობს გზაზე ბაღანე“.

მილოხრილი უშნოდ, უწესრიგოდ მიყრილი. „ე შეშა ასე მილოხრილი რაფერ ვარგა, ქე ვეღარ გეიარ აქანე და...“ (შდრ. ქართლ. ლექსიკ. მილეხ-მოლეხავს — ძირს დასცემს, მილეწ-მოლეწავს).

მიმანგლა ხანგრძლივი დასვენების შემდეგ ფიზიკური მუშაობის დაწყებისას პირველად შეიგრძნობა მკლავის ტკივილი. ამაზე იტყვიან: „მიმანგლა ახლა, უმუშევარი ვიყაი და ასე იცის“.

მიმკვლელება (მიმკვლელებული) მიჩვევა, ლტოლვა, მისწრაფება ვინმესადმი. „იმას უფრო უყვარს იგი ბებიე და იმიტოა იქინე მიმკვლელებული“(წერ. ჩამკვლევნებული, ქავთ. I, გაჩეჩ. ჩამკვლელება).

მიმჯგალება II **მინჯგალება** მიჯახება, ხმაურით დატაკება, დაჯახება. „ჯერე რავა დავაჯენო ამას მანქანაზე, გაარბენიებს და ქე მიანჯგალეფს საცხაო, მაამისმა თქვა“. „ნელა მიხურე მა კარი, რო მიამჯგალე“.

მინაბდული ძალზე მსხმოიარე ხე. „შარშან გოუკვირდათ, რაფერ აბია ამ ვაშლეფს, რაფერ მინაბდულიაო“ (შარაშ. დანაბდული).

მისუნკალ-მოსუნკალება მივლა-მოვლა. „მოვასუნკალ-მივასუნკალე ღორები პეტერა ხანს ეზოში და მერე ქე გაროუშვი გარაღმა“.

მიტან-მოტანიე მაბეზღარა, ჭორიკანა; ადამიანი, რომელიც გაგონილს ან ვინმეს ნათქვამს სხვას მიუტანს; „რა უბედური ქალია, მიტან-მოტანიეა, თუ რამე გეიგონა, ხელათ გაახელებს“.

მიფშუკული 1. ჩამქრალი, მინავლებული ცეცხლი. „ეი ცეცხლი ქე მიფშუკულა და შენ რას აკეთეფ აქანე, გო, ვერ მიხედე?!“ (შდრ. შარაშ. ფშუკვა). 2. ღარიბი, ღატაკი, არაფრისმქონე. „ჯერე ბიჭის ოჯახს ნახულობდენ, მერე წამევიდოდენ და გოგოსაც ნახავდენ და გოგოის ოჯახსაც ნახავდენ. ვაი, შენი ჭირიმე, მიფშუკული ჯობია რო შექხვეება თუ კაი?!“

მიქიზინებული ცეცხლთან მიფიცხებული, მობუზულად, მოკუნტულად მიმჯდარი. „ი ერჯენ თევოდოტესან მივეი, წუმიანი დღეი იყო, დოუმთია პარწკილეს ცეცხლი და იყო ზეთე მიქიზინებული გაჰირვებით“.

მიღირღილობს წყლის თავისუფლად და სწრაფად გასვლა მილში, ღარზე და სხვ. „დედა, რა კაია ე შლანგი, არ მიღირღილოფს წყალი გამწარებული?!“

მიყურძირება წაყრუება, საქმის მივიწყება. „საქმეს რო მიაყურძირეფ, ის საქმე მერე გაფუჭებულია“ (ქავთ. მოხ. მიყურისძირება).

მიყუნწული ძალზე მსხმოიარე, დახუნძლული, ნაყოფით და-

ტვირთული. „შე, რაფერ მიყუნწულია ეგი ბოლი!“

მიშონა ყელი შეუფერებელი დროის შერჩევა, მომენტის გამოყენება მოწინააღმდეგის მიერ. „ყოფა მიტირა იმ დედაბერმა, მიშონა ყელი!“

მიშხაფული მძიმე სენით ჩაწოლილი ავადმყოფები. „ავათ როა სუყველე ოჯახში, ასე ვიცით თქმაი“ (დაშხაფული); „უწინ ისპანკა იყო. ჩამეიარდა ავანტყოფობა, სუყველე მიშხაფული იყო, ყველას ჭირდა, დიდს და პეტერას“. „ავანტყოფებივითა დაშხაფული ხალხი“.

მიჩხაკვა ფიჩხისა და წვრილი შეშის მიწყობა ღობეზე (ან ღობის ძირში) გზის გადაკეტვის მიზნით (შდრ. ჩხაკვები); „ძაან შორე არ გადაყაროო მა ბოლები, ჰუჰულები მივა ბოსტანში და მივაჩხაკვავ ღობეზე“ (ალავ. ამოჩხაკვა).

მიწაზე აღარ აფურთხებს ამაყია, ამპარტავანია, ცხვირი მაღლა მიაქვს. „მიწაზე აღარ აფურთხებს, ქვეყნის უკეთესი გონია თავი“.

მიწაში რაა, ის იცის ყოვლისმცოდნეა, ჰკვიანია (ოდნავ ეშმაკიც). „გერსლიანია, გოგო, გერსლიანი, მიწაში რაია, იმას გეტყვის, იმისანა ქალია“.

მიჭაკჭაკებული ერთიმეორის გვერდით განლაგებული, მიჯრით მიწყობილი. „ე მიჭაკჭაკებული სახლები რო მოჩანა ეგერ, ე, იგია დაკიბულე“.

მიჭვარტლა ფულის უაზროდ დახარჯა, გაფლანგვა (ირონ.). „მასე მანეთიანი შენც ქე ქონდა დღეს, მარა მიაჭვარტლე რაცხაზე“. „ქე მაინც გეყიდა რამე, მიაჭვარტლე ამდონი ფული ტყულათე“.

მიხვარხვალებული (თხილი) ერთად მიყრილი, დახვავებული. „თხილის ძირში იცის თხილმა მიხვარხვალება“.

მიხინხლული კარგად მსხმოიარე ხე. „მიხინხლულია თხილი შტოზე“ (შდრ. ქეგლ მიხირხლული, მიხურხლული).

მიჯალახვეტებული მინგრეულ-მონგრეული, არეულ-დარეული, დანაგვიანებული. „რა ამბავია, ე კუხნა მიჯალახვეტებული როა!.“.

მობარძღალებული მოვსებული, კვერცხის დასადებად მომზადებული დედალი. „შეხედე რაფერ მობარძღალებულია ე დედალი და რატო არ მეიწყო აქნააძდი?“

მობაშტაება ჩვილის მოღლა, გართობა ძილის წინ. „ბაღანას რო ამეიყვან, მოაბაშტაეფ პეტერას და ჩააწვენ მერე“ (შარაშ. ბაშტაობა, შდრ. რაჭ. დიალ. აბაშტავებს, ფლანგავს).

მობეჟვა ცემა, დარტყმა, გალახვა. „იმისანა მოვბეჟავ ახლა იმ

თხას, თუ დევინახე, ქვები ქე მაქ ეგერ".

მობიცება მიწის ზედაპირის მოშრობა, გახმობა. „ი ტალახი ზეით მეიბიცებდა თავს და ქვეით მაინც ტალახი იქნება". „ერთი დღის ბზეი არ ეყოფა, ტალახი ზეით მეიბიცეფს თავს და ქვეით მაინც ტალახი იქნება".

მობღუნკული მოღუნული, მოხრილი. „მაქანე გარაჭერი მა მობღუნკულში ეგი ბოლი" (ქეგლ, საბა მობღუნძვა, შარაშ. ბღუნკი, ქავთ.II, ალავ. ლეჩხ., გრ. ბერ. ჯავახ.).

მობძგვევა მოყრა, მოფრქვევა. „ნაკილს შევიტან იქინე და მოაბძგოვ თლათ" (შდრ. შარაშ. ბგოვა).

მოდგვლეფა დიდი ლუკმის მოკბეჩა. „[ყველს] ბაღანე მოუფთხილდება თუ რაი, მოდგვლიფა, შეჭამა" (შდრ. ვ. ბერ. მოდგვლეფილი).

მოდგინვა 1. გვერდებში ცემა. „მოგიდგინავ გვერდეფს ერთი და ჩამომჩები იმას!" 2. გასაპუტი ქათმის ცხელ წყალში ამოვლება ან ჯაგარგაცლილ დაკლულ ღორზე ცხელი წყლის გადავლება. „რო მოდგინავ, გამაგდება, გაპიტკინდება ხორცი, მოუდგინავი რათ ვარგა" (ვ. ბერ.).

მოდუზა მაგრად, ჯოხით ცემა. „ვინცხვრე გული კი, ისე მოვდუზე [თხა], რომე ფეხზე ვეღარ იდგა".

მოდღლეზილი 1. მაღალ და ზორბა ტანის ადამიანზე იტყვიან. „დიდი მოდღლეზილი ვეშაპი რამეა მაის სიძე". 2. მოხეული, მოგლეჯილი. „რაფერ მოდღლეზილია ე შპალიერები, თლა გამოსაცვალია". (რაჭ. დიალ. მოდღლიზავს).

მოდღურული პირმოსვრილი, დათითხნილი, მოთხუპნული. „მოდღურულა ე ბაღანე, პირს ვერ დაბან?!" (შარაშ.).

მოზეპვა ძლიერი ცემა (ცხოველისა). „თხაი მოვზეპე უბედურათ" (შდრ. ვ. ბერ. ზეპვა ძალზე გაძღომა).

მოთიანებული დიდ ფართობზე მოყრილი, მოფენილი. „პოლიას თელ სახში აქ მოთიანებული თხილი".

მოთუშვა მორბილება (ცეცხლზე მოწვა). „ტკეჩის ასაღებათ წაბლის სტორ ბოლს ცეცხზე მოვწვავთ, მოვთუშავთ, მერე მუხზე მოვღუნავთ და თხელ-თხელ ტკეჩებს ავართუმთ". „თხილის ბოლი აქით გარმოვწიოთ, აქით მოვთუშოთ" (ძოწ., შდრ. გაჩეჩ.).

მოთხრიშინოფს (თხრიშინი) დიდი ნაკადით მოდის (წყალი). „კიდო კაი, თლათ რო არ მოთხრიშინოფს წყალი [სახურავიდან],

ეგერ-აგერ ჩამოსვლას ვინ ჩივა“ (შდრ. შარაშ. თხრობინი).

მოკანჭული ოდნავ მოძმარებული ღვინო. „პეტერე ქეა მოკანჭული ე ღვინო, მარა მაინც წავა“ (ვ. ბერ.).

მოკვალათიანება 1. საქმის შენს ნებაზე გაკეთება, მოწყობა. „ჩვენი საქმე ჩვენ მეკვალათიანოთ“. 2. მომზადება. „წალდზე მაქ ტარი დასაგები. გამოკვალათიანებული მაქ ტარი. პეტრიე თუა სახში, დავაგებიეფ“ (ი. ქავთ. II).

მოკიკება ზურგზე მოჯდომა, ზურგზე მოკიდება. „ჭინკობისთვეში რო გამოხვალ გარეთ, ჭინკე თურმე ამოა მაშინ ზღვიდან, დეიარება, ვის რა შეხვთება, რა იცი. მერე გეტყვის ჭინკე ან მიკიკე, ან გიკიკეფო. შენ თუ მეეკიკე, იქნება ქე წაგიყვანოს და ზღვაში ჩაგიყვნოს, შენ რო მეიკიკეფ თურმე, ქვასავთა, ვერ წიკავ ვერაფლიზა“ (გაჩეჩ.)

მოკრიჭვა შაქარში ჩადებული ხილის გამაგრება. „სამურაბე ლეღვი შაქარში უნდა ჩააწყო, მეიკრიჭება იგი და მერე კაი მურაბა გამოვა. ისე რათ ვარგა, დეიშლება ყველე, რო მოხარჩავ“.

მოკრუწვა მოღუშვა, ცუდ განწყობაზე ყოფნა. „რო მივეი, ქე მეიკრუწენ და დავანებე მერე თავი, აღარც მივსულვარ იგენთან“.

მოკრუწული 1. მოღუშული. „უბედური მოკრუწული სახე აქ [ამ ქალს], ზეთ ეტყობა, ავი იქნება“. 2. მოღრუბლული, საავდრო ღრუბლებით სავსე ცა. „ძაან მოკრუწულია ცაი, უწუმრად რავა გარეიარს ეგი“.

მოკუბზურებული 1. ვიწრო, პატარა. „მოკუბზურებულია, პეტერე, ერი ფინჩხა რაცხა“. 2. შევიწროვებული. „ქაია რო მივადგით ე სახლ ი, მევინძერით პეტერე, თვარა მოკუბზურებული ვიყაით გაჭირვებულათ“.

მოკუნკვა წელში მოღუნვა, მოხრა. „ასი წლის იყო თებროლე. რაც მახსოფს მე, მოკუნკული იყო სულ წელში, თავი მიქონდა მიწაზე“ (ვ. ბერ., შარაშ.; ქავთ. მოხ. იკუნკება).

მოკუნცხული წელში მოხრილი მოხუცებული. (ნ. კუნცხურიე) „რაფერ მოკუნცხულია საწყალი. (გაჩეჩ., ჟღ. წაკუნცხვა).

მოკუნძვა, კუნძვა ზარმაცობა, უქმადყოფნა. „იკუნძება აქანე და არ აკეთეფს აფერს, მა ციგანი, მაი!“ „რას იკუნძები, ბიჯო, თელი დღეი აქანე, ვერ ადგები და ვერ მიადგები რამეს?!“

მოკუჭუნება ზურგზე მოკიდება. „მეიკუჭუნე, ბიჯო, ეგი და წეიყვანე სახში“. (ჟღ. კუჭუნება).

მოლა მინდორი, კოინდარი, ბალახი. „გუშხამ ვბანდი და ჩამიგდო წყალში საპონი. მოლე იყო იქინე და ვერ დადვა?!“ „ამისანა სიცხეში კაია მოლაზე წამოწოლა, მარა დითხანს არ ვარგა“ (ქეგლ მოლი).

მოლაბზული დიდტუჩებიანი და დიდსახიანი ადამიანი. „დიდი მოლაბზული რამეა მა ოხერი. რაფერ უძლებს მაის ბზერას მაის ცოლი“.

მოლაფშული დიდტუჩებიანი. „მოლაფშული ბაღანე ყავსყენ ერთი და იმაზეა სამი ოჯახი შეჩერებული“.

მოლეპრვა ხორცის ნახარშზე ქაფის მორთმევა. „თვარ მოლეპრე, რათ ვარგა ისე?!“ (ვ. ბერ. ლოპერაი).

მოლორდვა მცენარის უნაყოფოდ გაზრდა, ფოთლებისა და ამონაყარის გამრავლება. „თლა მოლორდილია თელი ყანა, ვერ გეიარ შითე. ყვავილია თლა, გარაბარდღალებული, ერთი კიტრი არ აბია სამე, რო მოწიკვო“.

მოლუყება გულისა მომსუყება გულისა ზედმეტად ცხიმიანი საჭმლის მიღების შემდეგ. „ე ხორცი რო ვჭამე, მომილუყა გული უბედურათ“ (ვ. ბერ. ლაყვა).

მოლუყურტება გულის მომამსუყებელი საჭმელი, მსუყე, ცხიმიანი. „ნიგოზიანი გლახაა, მოგილუყურტეფს გულს, პამიდორიანი საჭამადი კაია, ცოცხალი საჭმელია“ (შდრ. ლუყურტი).

მომბამი ხე ზრდასრული ხე. „ამის მოჭრა რავა შეილება, მომბამი ხეია“ (შდრ. ძოწ. მომბიარე).

მომგვანება საქმისა საქმის შენს ნებაზე, შენებურად გაკეთება. „მე ჩემი საქმე ქე მევიმგვანე კარქათ და აწი აღარ ვჩივი“ (ძოწ.).

მომთავრა თავზე აღება, ზედაპირიდან აკრეფა (თხილის, სიმინდისა და ა. შ.), „თხილს რო გაჩეჩქვავ, მომთავრა უნდა მერე“. „კაი ახლა, დაანებე თავი და მომთავრე, რაცა (= რაც არის) გამოჩეჩქვილი თხილი“.

მომწრიახება გადაგრეხა, დაგრეხა. „ღვლეჩი ასე კეთება: წყავის ბოლი იყვეს, გინდა თხილის ბოლი იყვეს, აგენს მოჭრი და მოამწრიახეფ... გააკეთებ უღელზე“.

მონანცროვი (მონცროული) მოკრეფის შემდეგ მოგროვილი თხილი (ნ. ნცროვა). „ე იმ ველროში რაც ყრია, დღეს მონანცროვი თხილია“ „აგერ ვყრი მონცროულ თხილს“ (ჯაჯან. I მომცროვა).

მონძევა მოიძებნება, არის (უპირატესად არ ნაწილაკთან: არ მეინძევა). „სა დეიკარჭა ი წალდი, ვეძებ თელი დღეია და არსადარა არ მეინძევა“. „ვის რაი უნდა კითხო, არაკაცი არ მეინძევა“.

მონძრევა თავისუფლად მიხრა-მოხრა, დიდ ფართობში თავისუფლად ცხოვრება. „კაია რო მივადგით ე სახლი, მევინძერით პეტერე, თვარა მოკუბზურებული ვიყაით“.

მონჯიღვა კრუნჩხვის დაწყება ეპილეფსიური მოვლენის დროს. „მატაური ტერისას, მონჯიღვა იცის ბაღანეს“ (ქეგლ ქვ. იმერ. მონჯიხავს).

მოომ ხარის მოსახმობი (რაჭ. დიალ. მოუ!).

მოპოპვა მოკერვა, მოლამბვა, ცუდად შეკერვა (აქვს ირონიული გაგება: კარგად შეკერვაზე არ იტყვიან „მოპოპაო“). „გოუხევიათ პროსტინა, გოურეცხე, მოუპოპე და დოუგე ისეულე“.

მოპოპიალება რაიმეს საუცფათოდ, დროებით გაკეთება. „ღობე მოვაპოპიალე“. „საკონლის სანწყროვი მოაპოპიალე რაცხა“.

მობრუჭკნა თავისა ჭრილობის თავის მომაგრება, მოხმობა. „მორჩენას რო დეიწყეფს ნატკენი, მეიპრუჭკნის თავს“ (შდრ. ძოწ. მოპუჭნა — ცომის თავის მოკვრა).

მოჟალტმა ბალახისა და სხვა სარეველას მოჭრა, მიწის გასუფთავება (შდრ. ჟალტამი). „თხილები მიტო დავრგეი, რომე უფრო მოვჟალტმავ, ცარიელი მიწა ვერ მოვჟალტმე“.

მოჟნობა დაჭკნობა, გახმობა; „ქარ-სიცხე რათ ვარგა, ნეშოეფს მოუჟნოფს ლეღვს“.

მოჟღნობა ჯურში შენახული საარყე ხილისათვის სიმჟავის მიცემა. „ამას ახლა რო ჩავყრი, მოჟღნება, დაბჟავდება და მერე ივარგეფს საოტკეთ“.

მორება (უარს) მოვლა. „დაკუნტულ მაამთილს რაფერ უარა ხუთ წელწაც, გასაკვირი საქმეა პირტაპირ“.

მორნება დაავადება, სნეულება. (შეწყენილის (იხ.) ლოცვაში გამოყენებული სიტყვა). „ესესიეს ხიდზეა დედა-შვილი მოდიოდა, დედამ დეეცა, შვილმა რეჩხვა, შვილო, ნუ გეშინია მორნებისა, წახდენისა, არა ვიყავი ნებასა. ლოცვა ჩემია და ძალა ღვთისა“ (შდრ. ჰავთ. II მორინებული, ძოწ. მორნებული, შარაშ. მორება).

მორუჯული ჭონდა თავი დაქადნებული იყო, დამუქრებული იყო, გაბრაზებულ გულზე გადაწყვეტილი ჰქონდა. „შალიკოს მორუ-

ჯული ქონდა თავი, ხარს არ გავატანო და რაფერ გაატანა?!" „თავი მაქ წარუჯული, აწი არ ვიზამ..." (შარაშ. თავის (თმის) შერუჯვა).

მოსახურხნი მოსახრავი, მოსაღრღნელი. „თაგვს უყვარს მოსახურხნი რამე; ჭადს და პურს მოხურხნის კიდეს" (შდრ. მარტირ. ჯავახ. მოხოხნის).

მოტენვა მიწის მოტკეპნა, მიწური იატაკის დატკეპნა. „გლახა მიწა იყო, იფჩხვნება და ცივა, ქე მოვტენე, მარა, მაინც ცივა".

მოტკბობა დიდი წვიმის შემდეგ ამინდის დაწყნარება. „გარეიღებს დიდი წუმა, აპა რაი იქნება, მოტკბება, ჩაწტება; გარეიღოს იქნება მერე".

მოტლეზილი ცუდად მოზელილი პური. „მე ქე ვიცხოფ ჩემზა ჭაც და მაგენმა ჭამოს ვინცხეის მოტლეზილი" (შარაშ. მოტლეზნილი, ტლეზნა).

მოტოლება ორ ტოლად (ორფად) ძაფის ამოხვევა. „დავასტავდით მატყლის... მოატოლებდით იმ ძაფს ორფად... ორ თირისტარს გავამსებდით და ი ორ თირისტარს მოატოლებდით ისე ორფად. მერე დავძახავდით" (შარაშ. მოტოლვა ძაფისა; შდრ. ქავთ. მოხ. დატოლებული).

მოტუმპულება (მოატუმპულა) წყალწყალა წვნიანის სახელდახელოდ გაკეთება. „მოატუმპულა რაცხა წვენი და იმით გარეიხადა ქორწილი".

მოუბამი ხე უნაყოფო ხე. „მოუბამ ხეს რავა გავაჩერებდით ეზოში?!"

მოფამფალებული მორყეული, მონძრეული. „მოფამფალებული კარ ქონია ი კპილი, ისე ქონია დაჩირქებული".

მოფანცრუკებული სახელდახელოდ მოღობილი, ზერელედ, აგდებულად გაკეთებული. „სახლი კარა, რაცხა მოფანცრუკებული ქონია..."

მოფარცხუნება მცირედით დაკვრა. სუსტი დარტყმა ხის ტოტზე (ნაყოფვის ჩამორეკვის მიზნით). „იმას არ ვეხვერწები, რო ჰიჭოთ დარეკეო?! ეგერ-აგერ მოუფარცხუნებს ჯოხს და..."

მოფიცქინებული ერთად მოგროვილნი და ცნობისმოყვარეობით მომზირალნი. „დილას რაფერ არიენ ქათმები აქით მოფიცქინებული სინაზე, როიც მივალ მე, მოყურადებული არიენ".

მოფოთიალება მოძებნა, დაძებნა, მონახვა. „მოვაფოთიალე, ენ-

დროს ძირი, ქე მაქ ეზოში და მივეცი".

მოფსებული ქათამი კვერცხის დებისთვის გამზადებული დედალი. „მოფსებული ქათამივით კარკალობს, გათხოვა უნდა აწი მაგას. ასეა გოგო, რო მეიზდება" (შდრ. ჟღ. გურ. მოფსება).

მოფუხრუკებული სახელდახელოდ აშენებული პატარა სადგომი. „ძმები რო გევიყავით, მე გევედი პეტერა მოფუხრუკებულ ქოხროში და იქინე გავატარე ორი წელიწადი, პეტერე ბაღნებით, სამი ბაღანე მყავდა მაშვინ".

მოფცქიალებული მოზრდილი, წამოჩიტული. „ახლა ჩამოურონიებიათ ჰუჰულები, კაი-კაი მოფცქიალებული ჰუჰულები იყო და ვერ ბევიგე, კოპინოურში ამოსულიყო".

მოქაქანება უეცრად წამოსული წვიმა, მოულოდნელად მოვარდნილი ქარ-წვიმა. „მეიქაქანა ახლა და ხვალე ქე გარეიღოს იქნება, ასე იცის". „უბედური წუმა იყო, მეიქაქანა და გარეიღო".

მოქაჩურებული რბილი ღვინო, წყლიანი (რომელსაც ფერი კარგი აქვს). „ფერი-ფერსათელი, / გემო-გეგუთელი, / ცოტას მეიქაჩურებს" (ფერი კარგი აქვს, გემო — ნაკლები, ზედმეტად რბილია).

მოქიაქება ფართოდ გაღება. „გოუგდე მა კარები, გოუგდე, რო მოაქიაქე".

მოქინჩვა მოწიწკვნა თმისა, თმებით მოზიდვა. „— რეიზა ტირიხარ, გო? — დათაიამ მომქინჩა!" (ვ. ბერ.).

მოქნა 1. ფრჩხილის მოჭრა. „ორშაფათს და ოთხშაფათს არ ვარგა ფჩხილის მოქნა". 2. გადაბელვა (ხისა). „გაზაფხულზე ვიცით მოქნა ეკლის ხეის, უმფრო ამეიყრის".

მოქუჩქუჩება ცოტ-ცოტა საქმიანობა. „დედაშენი აცოცხლოს ღმერთმა დითხანს, თვარა მარტო კაცი ცოდვაა. ქალი ქე მეიქუჩქუჩებს რაცხას და კაცს გოუჭირდება".

მოღანჭალებული სუსტად მყოფი, დაუძლურებული. „— რავა ხარ, ბებია? — ქე ვარ მოღანჭალებული..." (შდრ. ვ. ბერ. ღანჭალი).

მოღაღვინებული მოღუნული. „ღომის დიდი ჩამური ქონდა გაკეთებული, მერე იმის სარაკუნებელი მოღაღვინებული ხეი იყო კიდო... ხოდა იმას ჩაარტყამდა და იფშვნებოდა ღომი" (შარაშ. შდრ. ვ. ბერ., ალავ. ოკრიბ. ღანღვილი).

მოღიაღებული 1. მოღიავებული, დიდზე გახსნილი (კარები...) „ბიჭო, მიაფარე იქინე რამე, ისე მოღიაღებული როა". 2. საკინძეგახ-

სნილი. „მაი გული შეიკარი, მაი გული, რო დახვალ მოღიაღებული“ (ქეგლ, ძოწ., ქავთ. I).

მოღირჯვნა უსწორმასწოროდ მოკბეჩა ხილისა. „მოღირჯნე მაი ვაშლი და ჰამე ისე, რათ გინდა დანე“ (შდრ. წერ. ღიჯნა).

მოღმეჩა მოკბეჩა, დიდი ლუკმების მოკბეჩა. „ე მასე მოღმიჩე მა ვაშლი და უმფრო შეგერგება“.

მოყანება გამოფიტვა მიწისა. „ყანას რო დარგავ წროულს, გაისად ნაკლებია იგი მიწა, მოყანდება. სად უყი და სად იგი!“

მოყანყალება მორყევა, განძრევა. „რაი მოაყანყალებს ამ ბარჯგებს, ამხელა როძგაპოა“.

მოყანყალებული მორყეული, არამყარად მდგარი. „რაცხა იქნება მოყანყალებული და იგი რაკუნობს ალბათ“.

მოყურადებული ყურადღებით მომლოდინე. „როიც მივალ, მოყურადებული არიენ ბაღნები“ (შდრ. ქეგლ მოყურადე).

მოშმეთვა მოთრიმლვა, დარბილება. „მეიშმითება ფეხსაცმელი და მერე აღარ მოკეპეკავს ფეხს“.

მოჩეჩქვა ცემა, გალახვა. „ამას მოვჩეჩქვავ ერთს!“

მოჩოთი მოზრდილი, დიდი (გადატ. ბავშვი). „კაი მოჩოთია აწი მაი, არაფელი უჭირს მარტვე თუ წავა პურიზა“ (შდრ. გაჩეჩ. მოზრდილი წიწილა).

მოჩუჟული ხანგრძლივი წვიმების შედეგად უდროოდ მომჭკნარი ნაყოფი. „რათ ვარგა წროუნდელი თხილი, მოჩუჟულია, გაფუჭებულია თლათ. მოსპო ამდონმა წუმებმა“.

მოჩუხტული ცუდად შეკერილი, ცუდად გაკეთებული. „რაფერ გლახათა შეკერილი, მოჩუხტულია თლათ“ (ძოწ. მოჩოხტამს).

მოჩუხტურება რაიმეს ცუდად, ნაკლით გაკეთება, ცუდად კერვა. „გლახას რო გააკეთეფ რამეს — მოაჩუხტურეფ“. „მოაჩუხტურეფს რაცხას და კაი გონია იმას“ (ძოწ. მოჩოხტილი).

მოცელთვა ადგილის დაკავება, მოცდენა. „ბინას არ გიცელთავთ მე; აგერ ვწენვარ ლეჟანკაზე და დილას ავდგები უცფათე“. (ძოწ. მოცელთილი)

მოცისიერება ცაზე ღრუბლების გადაკრეფა გამოდარების წინ. „უნდა მოცისიერდეს და მერე გარეიდარეფს“.

მოციცინება ცის ოდნავი მოწმენდა, ღრუბლების გაცრეცა. „ე, მეიციცინა პეტერე და იქნება ამიდი გამევიდეს დღეს“.

მოცხუნკული მოხრილი, ღრმა მოხუცებულობისაგან მოკუზული კაცი / ქალი (მეტსახელი ცხუნკურიე). „მოხუცებული მოცხუნკულია, აპა რაი... ყორფელი ქე ჰირს“.

მოძუძგურება კარს მოდგომა (საშმლისთვის, სათხოვრად...) „რამდონი ქათამი მოძუძგურდება აქანე, იმდონს ვინ აჭუმს“.

მოძუძგურებული კარს მომდგარი (საშმლისთვის, მათხოვრად...) „უბედური უჯიშო საქონელია მა საწელკავიე, თელი დღეი მოძუძგურებულია ჰიშკარზე, რაცხა მაჭამოსო!“ (შდრ. გრ. ბერ. ჯავახ. მოძუძგვა).

მოძღვანიება 1. მოყოლება, მოტნევა, დატნევა, ჩარჩენა. „რო დავკეტე კარები. მემეძღვანია თითი შითე, მტკიოდა, ვკიოდი თელი ღამე“ 2. თან წაღება რაიმესი. „მაქანე ხარ და წამეიძღვანიე თანაქე ბარემას“.

მოწდა მიწის ნაწვიმარი ზედაპირი ოდნავ მოშრა. „ჯერე ვერ გახვალ, მაი მოწდა, შრალი კარა გზაი, ჩავარდები ტალახში. პეტერე მეიცადე და მოშრება კარქათ, თუ იდარა“.

მოწევა რაიმეს დაშავება, საფრთხეში ჩავარდნა, ფათერაკი. „ბაღანას უყურე, რამე არ მეიწიოს“. „რო რამე მეიწიოს მა ბაღანამ, დამაბარებენ მე; არ შემილია მაგის დაცილი მე“ (ქეგლ მოსწევს, ქავთ. III მოეწევა).

მოწევაზეა ცდილობს რაიმეს გამორჩენას, სარგებლობა ნახოს. „მაი სუქთება აქანე, მოწევაზეა, რაი ენაღლება“.

მოწიკვა 1. მოწყვეტა. „ნუ მოწიკვავ, ბებია, მა თხილს, გული არა აქ ჯერე, უნა გარაყარო ტყულე მერე“. „მოწიკვე თხილი და ჭამე“. „აქანე ხეხილს რო მოწეკვ ხეზე, გული მიგივა, მაინც“ (ქღ. მოწეკვა, შარაშ. წეკვა). 2. მოზიდვა, მოტანა. „თელი ზამთარის შეშა პეტრიამ ვირით მოწიკა“. (ჯაჯან. I ამოწიკვა).

მოწიპწიპება მიკვრა, მიწებება. „შე რაფერ მეეწიპწიპა წურბელე, კვერ მოვაცილე!“ (შდრ. შარაშ. მოჭიპჭიპება).

მოწიპწიპებული მოწებებული, მიტმასნილი. „ასე მოწიპწიპებული ყავს ი ბაღანე, სხვას კარ ეკარება“.

მოჭარბვა თავისა თავის მოკვრა, თავის გადახვევა. „გოდორს და გიდელს რო დავღობავთ, სუროით მოუჭარბავთ თავს“.

მოჭიჭოვება (უჭიჭოვებ) დაზოგვა, მოფრთხილება. „თუ არ მოუჭიჭოვეფ რამეს, თუ გაშალე ხელები, რაი იქნება ისე...“ (ქღ. მოჭიჭავება).

მოჭკნობა 1. ჩირად გამზადებული ხილის გაშრობა. „რო მოჭკნება, მერე კიდო უნდა ერთი სამი დღეი ჩილას, ისე არ ივარგეფს, კარქათ უნდა გაშრეს, თვარა დაობდება“. 2. ავდრის შემდეგ მიწის ზედაპირის მოშრობა. „გუშინ მოჭკნა პეტერაოთ გზაი, დღეს რო კაი ამიდი ყოფილიყო, მეტი კარ უნდოდა“.

მოჭყვანკული ოდნავ მოძმარებული. „პკეს რო მეიკიდეფს ღვინო, მოჭყვანკულია მერე იგი, დამწვარი ვენახის ლერწის ფერფლს თუ ჩაყრი შიგნით, ქე გოუა პეტერე ჭყვანკი, მარა რო იყო, იმისთანე რავა გახთება მერე იგი?!“ (შდრ. ქავთ. II მოჭვანგული, მოჭვანკული)

მოხალვა სიცხისაგან ნაყოფის მოწვა (შდრ. ქეგლ — ცეცხლზე მოწვა). „წროულს თხილი არა, მეიხალა და ჩამოცვინდა“.

მოხალული ნაადრევად გაფუჭებული ნაყოფი. „წიფე კარა იგი, მოხალული ისე ჩამოცვინდა, მოუსწრო გლახა ამიდმა“.

მოხალტული ფხალი მოხალული, კეცზე გაცხელებული. „რა კაი იყო ზამთრიპირში, ფხალს რო მოვხალტავდით კეციაზე და ვჭამდით“.

მოხიკვა მობოვვა, აკრეფა. „ტყემალი თვარ მოვხიკე მალე, მერე კარ ივარგეფს“ (გაჩეჩ. ახიკვა, შარაშ. ხეკა, ახეკა, ჟღ. მოხეკა).

მოხოტება ჭამის მადაზე მოსვლა. „ეგერა დოქში ღვინო, მიდი, დალიე, მოგახიოტებს პეტერას“.

მოხორიალება ბევრი ხალხის ერთბაშად ხმაურით მოსვლა, მოგროვება. „რო მოხორიალდენ, მევიდენ... იმისანა ბიჭი ყოფილა, რა ჯობია მის შეხედვას“. „ასი კაცი მაინც მოყვა ჩვენ სიძეს, მოხორიალდენ მაყრები, თელი საპაიპოვო წამოყოლია“. „მოხორიალდა ბევერი ხალხი“.

მოხრენგილი მინგრეულ-მონგრეული, აუღაგებელი, არეული. „ვაი, ვაი, რაფერ მიხრენგილია ყორფელი“. „რა უბედურათ მიხრენგილია ყორფელი“ (ჟღ. მოხრონგილი).

მოხსტა გზისა 1. გზის გადაღობვა, გადაკეტვა. „გზაი აქ მოხსტული“. „აი ღობე რო ასე დარჩეს აქანე, ხო მემეხსტა გზაი, სიდან ჩევიდე წყაროზე?!“. 2. სხვა გზა არა აქვს, გამოუვალ მდგომარეობაშია. „ხო მეეხსტა გზაი, რაღას შობა აწი?! წევიდეს და ილაპარიკოს კიდო...“

მოხჩობა (მეიხჩობა) მცენარის გახმობის დაწყება სარეველა ბალახის სიმრავლისაგან. „ეგი თვარ მოთოხნე, მეიხჩება თლათ და გახმება“.

მოხურხნა მოღრღნა. „რავა დატოვე ჰადი სტოლზე წუხელ... თაგვს არ მოუხურხნია?!“

მოჯეშკვა (ბალახისა) (შდრ. მოჟალტმვა) თოხით მიჭრა-მოჭრა ბალახისა. „ერჯენ მაინც უნდა მოჯეშკო ბალახი, თვარა ვეღარ ჩახვალ მერე ეზოში“.

მოჯირგალება მოთელვა, გადათელვა. „ძროხა ჩამოსულა ეზოში და მოუჯირგალებია თელი ყანა“.

მოჯღუნული მოქუფრული, სულ ცუდ გუნებაზე მყოფი, მოღუშული. „მოჯღუნულია და გლახა ხასიაძეა სულ, არ გეიცინეფს ერთი“ (გაჩეჩ.).

მურკი გადანაჭერი, კეცერა მხლის გაზაფხულზე ამონაყარი. „რო მოვჭრით ფხალს, ამეიყრის გაზაფხულზე მურკს“ (გაჩეჩ.).

მურმალი მუყაითი, სწრაფი, კარგი მუშაობა, ყველაფრის მარჯვედ და კარგად გაკეთება. „მაგენის ოჯახში ორი კაცი მურმალობს და ქე ექნება, ბიძია, აბა!“ „რავალი მურმალობდა ი ქალი!“ (ვ. ბერ.).

მუღარალათ ყველაფრით უზრუნველყოფილად, მდიდრულად. „ხალხი არი სოფელში მუღარალათ, მეხარბება, კაცო“. „თხილის ბოლები ამეიტანე ნელ-ნელა და ზაფხულში სულ მუღარალათ იქნები შეშით“ (ქავთ. II; ქართლ. ლექს. მუღარალი).

მუცელში გალახვა კუჭის ოდნავ აშლილობა. „დალიე კიდო მაი წყალი და გაგლახავს მუცელში, შეკრული თუ ხარ“.

მუცლის ალხი კუჭაშლილობა. „მეეიწამლე იქინე, მუცლის ალხი მქონდა“. „მუცლის ალხი იცის მა წყალმა“.

მუწუწი მონდომებული, გამრჯე, კარგი მოსაქმე. „მუწუწია უბედურობა საქმის, კაი იქნება მაი მერე [ბავშვი]“ (ძოწ., გაჩეჩ.).

მუხურო ოთხფერდა სახურავის ცალკეული წახნაგების შესაყარი ზოლი ზღუდის ლარძაყინის ჩაყოლებით, კუთხე. „სახურავი რო ეიღო ერთ მხარეს, მუხუროები უნდა დეინგრეს, ხო იცი, რა გლახა გასაკეთებელია მერე იგი“ (ქეგლ, ვ. ბერ., ალავ., ყღ.).

მღვდელი ზიარებას ვერ მოგასწრებს სწრაფად მოგკლავ (მუქარა). „რო კრავ ხელს, ღვდელი ზიარებას ვერ მოგასტრეფს!“

მღვრელავი ბოროტი, პირში კარგის მთქმელი და ზურგს უკან ორმოს მთხრელი. „დიდი მღვრელავი ვინმე იყო გიორგიე...“ (გაჩეჩ. მღალავი).

მწარე სანამყენე ხე, სპეციალურად შერჩეული ნაკლები ჯიშისა

ან ველური. მასზე დაემყნება კარგი ჯიშის ხეხილი. „წარე ბალი ტყეებში როა, ტკპილი ბალი სადა იქინე“. 2. „წარე თუ არა ძირი, ისე არ გეიხარეფს, წარეზე უნდა დააპტყნა“.

მწტალი მშრალი ადგილი, სადაც ტალახი არაა. „მწტალზე გამევეით და ჩამევიხოხინეთ პეტერე, ამასობაში საღამომაც მოატანა“ (ძოწ., ალავ. ოკრიბ.).

მწყერი დეიჭიროს ნაყანებში გაბრაზება მალე გადაუვლის, მისი გაბრაზება არ მაღელვებს. „თუ მოუდა გული, ასე უთხარი, ბიძია, წყერი დეიჭირე ნაყანებში-თქვა“.

მჭამელი სიმსივნე, კიბო. „მჭამელი გოუჩთა და იმან მოკლა“.

ნ

ნაბოლე გამოხდისას ბოლოს გამოსული არაყი. „ნაბოლე ოტკაა მაი და სასობათაა კაი“.

ნაბული ღრუბლიანი, საწვიმრად მომზადებული ამინდი. „ნაბული ამიდია, შეილება ასე იქნეს ეგი თელი დღეი, არც ქე გაწუმდეს იქნება“.

ნადარაჯი უძილო. „გამიჭირდა ნადარაჯი“. „თვალები მეწვის ნადარაჯი“.

ნადიდკანები მეოთხე-კანგამოცვლილი აბრეშუმი, რომელიც პარკის ასახვევად ემზადება.

ნაი წყალი (ბავშვის ენით); პატარა ბავშვს წყლის მოსათხოვად ასწავლიან: „ნაი, ნაი გინდა?“ (შდრ. „ნა“-კავკასიურ ენებში ნიშნავს წყალს).

ნაკენჩხალი ნეკერჩხალი „მოვჭრიდით თელის ხეს, ანდა ნაკენჩხალი იქნებოდა; მოვთუშავდით იმას ცეცხზე...“

ნაკინტალე ნაბოლარა. „რვაი შვილი გავზარდე, ჩემო ბატონო, და ამ მოხუცებულობაში ნაკინტალე ომარიეს ამარე დავრჩი“.

ნაკლებია არ ვარგა. „ფეჩი დაამთო სოფელში ნაკლებია, საქონელი ქყავს, გარეთ უნდა გამოხვიდე, გაცივდები იქინე“.

ნაკორტალე სიმინდის ნაჭუჩი. „ნაკორტალეებია მაქანე და იგი შეყარე ცეცხში“. „არ ვარგა წროუნდელი სიმიდე, ცარიელი ნაკორტალეა“. „ითამაშე, ბებია, მაგერ, ააშენე ნაკორტალეს გოჯილე“

(ქეგლ, ძოწ., წერ., ჟღ.).

ნამოთვარე კვერცხი ლაყე კვერცხი. „ნამოთვარე კვერცხის ნაჭამ ძაღლივით დაგიტყლარწია თვალები“ (ვ. ბერ., ჟღ.).

ნამხროული მიწის სამუშაოების დროს (თოხნა, ბარვა) მუშაობის ჰეთოდი: რამდენიმე კაცი (ჩვეულებრივ, 10-15) სიმინდის ყანაში (მარგვლისას ან თესვისას) ბოლოდან გაემწკრივებიან ყანის თავისაკენ ერთმანეთისაგან თითო მეტრის მოშორებით, დიაგონალურად; ერთი მცირე მანძილზე ატანილ სვრელს (2-3მ.) მისცემს მეორეს, მეორე — მესამეს და ა. შ. შემდეგ პირველი ისევ ქვევით დაბრუნდება. ნამხროული ნადის მოწვევისას იცოდნენ, თან ახლდა სიმღერა და ხშირად ხმების მიხედვითაც ეწყობოდნენ. „ნამხროულათ მივყვეთ ახლა ამ სვრელს და ნემეტანი კაია მუშაობაში, უფრო მალე გავათაეფთ“ (ქავთ. მოხ. ნამხრევი, ნამხრეული).

ნანებრი დასვენებული, დიდი ხნის უმუშევარი. „თელი ზამთრის ნანებრი ვარ ახლა მე და ამ გაზაფხულზე მუშაობის დაწყება ქე გამიჭირდება, აპა რა იზამს“ (ალავ., ლეჩა., ქავთ. მოხ. ნანებერა).

ნაორთხალი ოთხად გაპობილი ხის მორის მეოთხედი ნაწილი. „ფეჩიზა რცხილე კაია, მარა ნაორთხალი უნდა იყვეს“ (ქეგლ, საბა, ძოწ., გაჩეჩ., რაჭ. დიალ., როსტ. ინგილ.).

ნაორკანები მეორედ კანმოცვლილი აბრეშუმი. „აბრეშუმი ერ კანს პირველს მეიცვლის, მერე, მორეს მეიცვლის — ნაორკანები, მესამეს მეიცვლის — ნაწარბკანები, მეოთხე კანს მეიცვლის — ნადიდკანები. მეოთხე კანში ამთავრებს კანის მოცვლას“.

ნაპატივები კარგად მოვლილი. „შალიკიას ქე ყავს ნაპატივები ხარები“.

ნაპუწკანე ნაფცქვენი, კანი (ლეღვის, წაბლის...). „მაი ნაპუწკანეები რო დაყარე მაქანე, ვინ მოხვეტოს ახლა მაი“.

ნაპწკვენი მცირე, პატარა, მოკლე, ცოტაოდენი. „ერი ნაპწკვენი ძაფი რო მქონდეს რაი მიპირს მერე, მივაქსოვდი ამას პეტერას, დეიდღლიზა თლათ“ (შდრ. ქავთ. II. ნაპწა-ნაპწა).

ნართისნართი — შორეული ნათესავი. „ქვანთახობას მევიდოდა ბევერი სტუმარი, მამიდეშვილები და კიდო იქით, ნართის-ნართი, კვერ იცნობდი, მერე უნდა გეგეცნო“ (შარაშ.).

ნასიქარი მის საქმეს (= ანაბრე მის საქმეს) არ დავეძებ, ჯანდაბას. „არ იქნება და... ნასიქარი მის საქმეს!“

ნასიცხარი სიცხისაგან გაფუჭებული, დასიცხული. „წროულს ხეხილიც და ყორფელი ნასიცხარი გაფუჭებულია“ (ქეგლ, ძოწ.).

ნატრიკალე ნაბიჭვარი, ბუში. „ვიცხეის ნატრიკალე ბაღანე მოათრია და იმას უსუფრე ახლა!“ (ვ. ბერ., რაჭ. დიალ.).

ნაფინჩხვალე ნაფჩხვენი, მცირედი ნარჩენი. „ყველი აღარ იყო, ნაფინჩხვალეები მივიტანე მარტო“ (ქეგლ ნაფინჩხი, ჯაჯან., გაჩეჩ. ნაფინცქვალი).

ნაფოხიალები 1. უშნოდ, ზერელედ ნაკეთები რამ. „თელი ცხოვრება ასე გაატარა სამსონამ, სულ ნაფოხიალები ქონდა ყორფელი“. 2. ნაწვალები, წვალებით გაკეთებული. „ჩემი ნაფოხიალები მაგას უნდა დარჩეს?!“

ნაფცუკე გაცვეთილი, დაძველებული და დაპატარავებული ტანსაცმელი. „ქე მაქ ერთი ნაფცუკე პალტო და წელს გევიტან თავს“.

ნაფცქვი პატარა, ნამცეცა. „ერთი ნაფცქვი ქალია, მარა ცეცხლია ყორფელში“ (შდრ. ქავთ. II.).

ნაღადრული ცხელ ღადარში (ნაცარში) გამომცხვარი ჰადი. „ჰადი ვიცით კეცის, აფიცხებული და ნაღადრული“.

ნაშამოდექები გვიანი შემოდგომა (ნოემბერი). „ნაშამოდექეფს ქე მექნება ფული“.

ნაცრიძალი ნაცარგარეული წყალი. „ნაცრიძალი რაია და... დუღარეში ჩაყრი გაცრილ ნაცარს, ტუტას. აადუღებდენ იმას და მერე ჩაყრიდენ პარკს შითე, გამოხარჩავდენ მაგრათ, გარმოყრიდენ მერე და ირღოოდა იგი, ძაფი ამოდიოდა“(შდრ. შარაშ., როსტ. ინგილ. ნაცარ-წყალი).

ნაწარბკანები მესამედ კანგამოცვლილი აბრეშუმი (იხ. ნაორკანები) (შდრ. ვ. ბერ. წარბისკანი).

ნაწეკვე ნაფლეთი, ნაკუწი. „ღრუბლის ერთი ნაწეკვე რო გაჩთეს სამე, გაარბენიებს მაშინას, წუმაში ვერ ევიყვანო. სადა, ბიჯო. წუმა“ (ჯაჯან.).

ნაწირვები „დროს, ასე 12 საათიდან 2-3 საათამდე ნაწირვებს ვეტყოით. უწინ იყო ეგი ასე, ახლა აღარც წირვაა და აღარც ნაწირვებს უმბობთ“.

ნაჭამობებს ჭამის შემდეგ. „ნაჭამობებს ხილობაო, არის გვარიშვილობაო“.

ნაჭუენტურე უვარგისი, წვრილი (ხილი). „ამისანე ნაჭუენტურე

ვაშლი მანეთ-ნახევრათ იყიდება მაღაზიაში, რო არ ქონდეს ვაშლი შენ ოუთავდები ამის ყიდვას?!"

ნაჯიგა ფქვილის ანაცერი, ქატო (ჟღ.). „ქათმებიზა მინდა ე ნაჯიგე და არ გარაყაროო".

ნაჯიგე უყრია თავში არაფერი არ იცის, ჭკუა არა აქვს. „მაგას შეეკითხებოდა კაცი რამეს? რა იცის მაგან, ნაჯიგე უყრია თავში".

ნებიერად ნელ-ნელა, დაკვირვებით, აუჩქარებლად. „ნებიერათ უნდა მიყვე საქმეს, როცხა არ შეგილია, მარა გული ოხერია" (გრ. ბერ. ჯავახ. ნებივრად).

ნეი, ნეი ღორის მოსახმობი.

ნეკი, ვენახის გასხვლის დროს 2-3 კვირტზე გადაჭრილი ლერწი, სანაყოფე. „ორი ნეკი უნდა დოუტოვო ვენახს, მეტს ვერ ეიტანს" (ვ. ბერ., ძოწ., გაჩეჩ., წერ.).

ნელის ამოღება 1. მოსპობა, ამოგდება, დაღუპვა. „დეემართა ავანტყოფობა და თელი ოჯახი ნელათ ამეიღო". 2. დაყვედრება, თან გადაყოლება. „რაცხა ორი კვირე ვიყაი იმასან და ამომიღო ნელი" (შდრ. ვ. ბერ. ნელი).

ნემესნიკი დიდი კაცი (გადატ. ირონ.) „მოაწყვე სახლი კარქა თვარა, ნუ გეშინია, არ შემოგივიდეს ნემესნიკები!"

ნემსში მახათს გამოელის მცირესაგან დიდი სარგებლის მოლოდინი, ანგარებიანი ადამიანი. „უბედური ეშმაკი იყო მაი. ნეფსში მახათს გამეელის. არაფლიზა არ წამოგიწყოფს ხელს".

ნეფსა თხილი თხილის ერთ-ერთი ჯიში.

ნიორწყალი გადაესხა სამუდამოდ დაიკარგა. „აქანე დავდეი გუშხამ, მარა წეიღეს საცხა ამ ბაღნებმა, მორჩა, ნიორწყალი გარეესხა, შენ ნახავ აწი იმას?!" (შდრ. ვ. ბერ. განიორწყლება — განადგურება, გაცამტვერება).

ნიტერნატი ინტერნატი. „დივანმა თქუა, უნდა მოვაწყო ნიტერნატ'ნიო.".

ნიქიტიანი იმავე მნიშვნელობის, რაც დაქიმითება (ქეგლ) — დიდი ხნის უპმელობა. „რავა ნიქიტიანი ბაღანასავეთ თხოულოფ საპმელს" (შდრ. ქავთ. მოხ. დაქიმიტება).

ნიღური // ნუღური თოხის წვერი. „სახადელე თვარ გაქ, ჰური მაშვინ თოხის ნიღურითაც ქე მეიხთება". „ვერ შობი შენ, ვერა, ნუღურით დაკარი თოხი. ნუღურით". „ნუღურით დაკარი რო უკაკუ-

ნეფ ნელ-ნელა“ (საბა ნიღრი, ქეგლ, გრ. ბერ. ჯავახ. ჟღ.).

ნიშანი პირველი ნაყოფი. „ეგი ჯერე არა მომბამი, ნიშანი წროულს გამეიღო“.

ნოთიე შუბლზე თეთრნიშნიანი ძროხა (გაჩეჩ., შარაშ., ჭყონ., ჟღ.).

ნუგე ხისაგან გამოთლილი საწყაო, ვედროსებური. იყენებდნენ ძროხის საწველად, ფქვილის ჩასაყრელად და სხვა. „ქფილი ჩვენ მიდღემჩი ტომარში არ ჩაგვიყრია, იქაე ქვონდა წისქვილი და ან ვედროით მოქვონდა ან ნუგეით“ (შდრ. ჯაჯან. I ნოგა, ქავთ. II, გაჩეჩ., ძოწ.).

ნცროვა მოსავლის აღების შემდეგ ნარჩენების შეგროვება. „რო მოათაეფ თხილის კრეფას, მერე ნცროვა უნდა დეიწყო...“ (ქეგლ მცვრევა).

ო

ოთისბირათ ძალან ძვირად. „ოთისბირათ ყიდის“ (ქავთ. I ოზუზბირი, გრ. ბერ. ჯავახ. ოთუზბირი).

ოთონთო სქელი, დიდი ტალახი. „რა უბედური ოთონთო ტალახია, ვერ გეიარ კაცი“ (ქეგლ გურ.).

ოკონკოლიე შიში. „მე რო ჩავალ, ოკონკოლიე აქ შემდგარი“.

ოკონკოლიე აქ შემდგარი შეშინებულია.

ოლკობოლკო უსწორმასწორო, ოღროჩოღრო. „თუ კაი მიწა არ დაყარე, ეი სოხანო ოლკობოლკო დარჩება და ვერ გეიარ ზეთე“ (ქეგლ, ქავთ. I ოკრობოკრო).

ონიო მხარე; ზნე. „კარქა ქე ავლესე ხერხი, მარა მაინც არ ივარგა, მალე იცვალა ონიო“.

ორღო ჭურის სარქველი ხისა.

ორმოსავალე ლეღვის ჯიში (შდრ. ქეგლ — ორმოსავლიანი საერთოდ).

ოროლე ნ. კენჭობია.

ორპოტიკე ორთავა, ორად გაყოფილი (იარაღი ძაფის ამოსაღებად). „ძაფის დასახოვი ჯოხი — ორპოტიკე ჯოხი იყო. ქვეშ ორპოტიკე ქონდა და ზეით სტორი იყო, კაი სტორი თავი ქონდა და ამაზე დადებდი (ამიხელა) ჯოხს, კარ დააჭედებდი იმას რო გეიფსებოდა, გავკრავდით [ჯოხს, ზევიდან დადებულს]“.

ორღობე გადატ. უბედურება (ორღობეს გადატანით ეძახიან კუ-

ბოზე შემდგარ ოთხ კაცს შორის დარჩენილ ადგილს, იმავე კუბოს). იციან წყევლა: „არ გაჩერდა და... ჯანდაბაში და ორღობეში წასულა მისი თავი!...“

ოსურაჯე ბალახის სახეობა. აქვს გრძელი ღერო, გვხვდება ტყე̆ში. „სიკურწიანე ვიცოით სამწყესურში. ოსურაჯას უძახით, ბაწარივით არი იგი... ხოდა ბაწარი თვარ გვექნებოდა, ჩავაბამდით იმას, დავაჟდებოით და გავკურწიანდებოით“.

ოტროკონიე არეული, შეუწყობელი ხმები მრავალხმიანი სიმღერისას. „მეგრული სიმღერები კაია, კაცო, ტკბილი ხმაია, ჩვენი ოტროკონიე სიმღერები კარა“. „რატო უყვარსკენ ე ძველი სიმღერები, რაფერ მძულს ე ოტროკონიე“.

ოტურე ქლიავი ქლიავის ერთ-ერთი ჯიში (შდრ. ქ. ძოწ. ოტორა ქლიავი).

ოუთავდები დააკმაყოფილებ; არ ეყოფა. „საშმლით ვერ ოუთავდები მაგენს“ (შდრ. გ. შარაშ. ათავება — გაწვდომა, გაყოფა, საკმარისობა; ქეგლ. ათავდება — ბოლომდე გავა; გამოილევა, შესრულდება).

ოფლიხ მოხოცვა სირცხვილის აშორება „ქე ყავდა კაი ქმარი და იგი ხოცავდა ოფლს, აწი ნახოს აბა ტერ-მოყვრის გაძღოლა რავალია“.

ოფსილო ჰურის რეცხვისას ძირში ჩარჩენილი წყლის ამოსაღები იარაღი (ჯოხის თავზე ამაგრებენ 1 მეტრი სიგრძის კანაფის ძენძს). 1. „ოფსილოსაეთ აქ თმაი“; 2. „გამიფუშტა ოფსილო, გასაკეთებელია ახლა მაი, თვარა რაღაით ამევიღო წყალი; მევიდა ჰურების რეცხვა და იგია“.

ოქში ქათმის გასარეკი შეძახილი.

ოღრაში ორპირი, გაუტანელი კაცი. „დიდი ოღრაში იყო ნესტორიე, ოხერზე ოხერი“.

ოყოჯირო (იგივე რაც კვერკვილო, იხ.) სახლის კედლის ფიცრებით შექმნილი გარე კუთხე. „საგველიე ჯოხები მზათ მაქ სულ, ოყოჯიროში მაქ ეგერ მიყუდებული“.

ოყრალუე, ანაგვრიელე ბალახის სახეობა, აქვს თეთრი, ყვითელკულა (გვირილასებური) ყვავილი. „ოყრალუედან ვაკეთებდით ცოცხს. რო დავხვეტავდით იმითინ პოლს, წყილი არ მეეკარებოდა იმ ღამეს. სული აქ უბედურობა, გაგაბრუებს კაცს“ (შდრ. პ. გაჩეჩ.

ოყრალუა; ვ. ბერ. ოყრალუა — მყრალა-მყრალა, მცენარე).

ოჩხუჟო ბლის ხის ტყავისაგან დამზადებული ჭურის სარეცხი იარაღი. „მაი ბალის ტყავი კაია ახლა ოჩხუჟოიზა“.

ოწვეთო სახურავიდან ჩამომდინარე წვიმის წვეთი. „ოწვეთოა იმისანე, რომე არ დამაძინა თელი ღამე, რაი მოუხერხო ახლა. ამას აღარ ვიცი“ (პ. ჯაჯან. I, ადგილი, სადაც სახლის სახურავიდან წვეთები ეცემა).

ოჭვათო სახლის საძირკველთან სიგრძეზე გაკეთებული თხრილი, რომელშიც სახურავიდან ჩამომდინარე წვიმის წყალი ჩადის (შდრ. მეგრ. ჭვათუნს წვეთას: ო-ჭვათ-ო „სა-წვეთარი“). „ღამე მოსულა თვრალი, დილას გამევიხედეთ გარეთ და ქე ვნახეთ ოჭვათოში ჩაგდებული“. „შოუყენე, ბიჭო ოჭვათოში, სარეცხათ მაინც ვიხმარ მა წყალს, ტყულე იკარქება მაინც“ (ს. ჟღ.).

ოხლახე უშნოდ მაღალი, აწოწილი ადამიანი (შდრ. ქეგლ ოყლაყი, ოყრაყი).

ოხრონწი დიდი, უზარმაზარი. „წინ გეიხედე, წინ, რამიხელა ოხრონწი [მანქანა] მოდის, არ დეეჯახო“ (პ. გაჩეჩ. ოხლორწი).

ოჯახის ალაფი ოჯახის მოწყობილობა (ავეჯი და მისთ.) „ოჯახის ალაფი ყორფელი მოუტანეს გზვითათ. ჯაჭუიდან დაწყებული ყორფელი“ (შდრ. საბა ალაფი).

პ

პალამი თოული დიდი თოვლი. „ოზდაოთხში პალამი თოული მევიდა იმხელა, რომ მეზობლებს ერთმანეთში მისვლა-მოსვლიზა ხვრელები გაქვყავდა თოულში“ (შდრ. ქეგლ. საბა პალამ — მძლავრი და დიდი ასპგტი).

პანწკურიე დიდბეწვებიანი ცხოველი. „ერთი ლეკვი მეეთრა საცხეიდან, პანწკურიე იყო თლათ, თვალებში ქონდა თლათ ბანალი ჩასრული, რაფერ იხედებოდა თვალეფში, მიკვირდა“.

პარა ალი. „პეტერე პარა რო მინდა, მაშვინ კერასინკას ვანთეფ, ხაპაპურის გამოსაცხობათ ნემეტანი კაია“.

პარწკილე ხმელი, წვრილი წკნელი, ფიჩხი. „პარწკილეს ცეცხლი რავა გაგათფოფს, აპრიალდება ერთი და ქე ჩაჭრება ისევლე“.

პელენწუკე წელწვრილი, გამხდარი და ბევრის ვერაფრის გამკეთებელი. „ამისანე პელენწუკე იქნება რძალიც, რას გაგიკეთეფს შენ“.

პებელე თხის ავადმყოფობა. „გაგიჩთა პებელე!“; „შენ თხას გოუჩთა პებელე თუ კაია“.

პეჟო ქაფი. „ხელთეთრას უძახოით. ნეშოს მოკრიფავდი, გეისობდი ხელზე და პეჟოიანი იყო“.

პეტერავოთ ცოტათი, მცირედით.

პეტერეს მეტი თითქმის. „ჩამევიდა მანქანა პეტერეს მეტი ჩვენ შესასოვაამდი, მარა მაინც ვერ ევიდა იმ ზეით“.

პეტეტვრანი პატარები. „ამ პეტეტვრანი ხელებით რაი უნდა გააკეთოს“ (შდრ. ვ. ბერ. პეტეტინა, პატატინა — ძალიან პატარა).

პეწეწვანი პატარა, მცირე ზომის. „კაი, წეიღეთ, კაი, დიდვრანი ვაშლები, ე პეწეწვანი რათ გინდათ“ (შდრ. ვ. ბერ. პეტეტინა, პატატინა — ძალიან პატარა).

პეწეწვატი პატარ-პატარა, მცირე-მცირე.

პეჭეჭუტი (ბაღანე, ხელები) პატარა. „ჯორფეხნაკრაფში მივიდოდი ღამე. დევინახე, ჩემ წინ მივა ერთი პეჭეჭუტე ბაღანე, მივეწევი-თქვა, ჩქარა წეევი, მარა თვალსა და ხელს შვა გაქრა საცხა. ასე იცის მოლანდება იქინე რაცხა-რაცხეებმა“.

პინწკი სულ მცირე, პატარა. „სარშან ივანობისთვის მერე, ჯინჭველე პინწკი არ დამინახია“.

პირიდან სიტყვის გამორთმევა სიტყვის შეწყვეტინება, ლაპარაკის გაწყვეტა, ჩარევა უადგილო ადგილას.

პირნაბრუნები ადგილი, სადაც მზე არ ადგება, მზისგან პირმიქცეული. „აქანე მერე მოვკრიფოთ თხილი, პირნაბრუნები ადგილია და მალე არ წიფდება თხილი“.

პირნასტრი არასწორად გადაპრილი ნაჭერი. „მატერიას რო იყიდი, დაჭრაამდი უნდა გაასტორო იგი, პირნასტრი არ იქნეს“.

პირნაქნარი წაბლი, რომელსაც ბუჭი (ბუდე) გახსნილი აქვს (შდრ. პ. გაჩეჩ.).

პირტკივილე სტომატიტი. „პირტკივილე რო მაქ მე, ოტკას ვიბლოფ შითე“.

პირში შენცმა სიტყვის წართმევა, ლაპარაკის შეწყვეტინება, ჩართვა. „მაცალე ლაპარიკი, რო შემენცვი პირში!“ „შემემცვა ახლა პირში! მაცალე ლაპარიკი“ (შდრ. თ. სახოკ. პირში მივარდნა).

პორწიალი იხ. დაპორწიალებენ.

პორშუვი 1. კატის კლანჭი. „კატა ვერ მეიკიდებს პორშუვს, იმი-

სანე გზაია, ჩავკიბავ პეტერას და მოვალ აგერ“ (შდრ. პ. გაჩეჩ. პორჭუნის — კაწრავს). 2. სიმინდის დამატებითი ფესვები, რომელსაც მცენარე მიწის ზევით გამოიღებს. „მოროდზე მიწას აღარ შემოვაყრით სიმიდს. მერე პორჭუვები აქ დაწყებული, იმით უნდა გეიმაგროს ტანი. მიწა რო შემოაყაროო ვერ ამეიღეფს პორჭუვებს ზეით დითხანს და არ ივარგებს“.

პოტიალი ტორღიალი (უაზრო სიარული). „რო პოტიალოფ, გო, ამ ხეებზე თხასავეთ, გოგო ხარ შენ და არ გცხვენია?!“

პოტიკი (პოტიკობს) ცოდვილობს, წვალობს საქმის გასაკეთებლად. „რა შობი კაცო, სულ რო პოტიკოფ რა ამბავია, არ დაადგა საშველი შენი საქმის მოლეევას“.

პოჭვა უშნოდ, უხეიროდ კეთება, ერთმანეთზე მიწებება რაიმეებისა. კერვა. „რაცხას პოჭავს უშნოთ, თვარა კაის კაერ გააკეთეფს რამეს“. „მასე იპოჭება მაი მიდღემჩი“.

პოჭოკი „კაცის პოჭოკი არ იყო სამე“ — ე. ი. არავინ არ იყო.

პრაწვა, პრაწავს თვალებს ქაჩავს. „პრაწავს რაცხა უშნოთ თვალებს“.

პროტი ხერხი. „ეი რაცხა ძველი პროტი არი, მარა ჩვენ ხანდეხანდე ვიყენეფთ“.

პრუტუნი სულელური, დაუკვირვებელი ლაპარაკი. „პრუტუნობს წალმა-უკუღმა“ (ს. ჟღ.).

პურის დაბრუნება რიტუალი, რომელიც ტარდება ყანაში ელიობას. „ელიობას იცოდენ პურის დაბრუნება ყანაში ძველებურათ, წეიღებდენ პურს, წეიღებდენ ერ ბოთ ღვინოს, დააბრუნებდენ წალმა: წმიდაო გიორგი ღვთისაო, ელიობაო დღესაო, ელვა და ჭეხვას ნუ გარააროონიებ ჩვენ ყანაშიო. შამოაბრუნებდენ იმას და დააბრუნებდენ წალმა და შეჭამდენ და წამევიდოდენ“.

პურჭყი თხილის ნაყოფის კრებული, ერთი შეკვრა, ერთი თავი. „სამი წლის იბამს თხილი, ნიშანს გამეიბამს. ორი-სამი პურჭყს გამეიბამს თითო ძირი“.

პუყურიე მოშტერო ადამიანი, მხოლოდ შეკითხვებზე რომ შეუძლია მოკლე პასუხების გაცემა; ისეთი, რომელიც ყოველთვის თითქოს გაბუტულია. „ლალოიე პუყურიე რაცხას დეიბეუტურებს, იმას, ბიჯო, რავა დოუგდეფს კაცი ყურს“.

პუჭვა კერვა (ირონ.). „ეი რაღას გააკეთეფს დღეს, დეიწყო პუჭ-

ვა და...“; „რა შობი, რას, ამ დილაზე რო იპუპები, საქმე არ გაქ მეტი?“ „დაჟდება და პუპავს დილიდან საღამოომდი რაცხას, მეტი არაფელი არ გამოდის მისი ხელიდან“. იხ. პოპვა.

პწიალე მწერია ერთგვარი. მოწითალო ფერის, მოგრძო ტანისა, მორიელივით კუდით იკბინება. „უბედური პკენა იცის პწიალამ, გიპწკენს იმისანას რომე...“

პწიალი თვალებისა აქით-იქით მზერა, თვალების ტრიალი. „პწიალებს თვალეფს, ჩქარ-ჩქარა იხედება“. „გადეირია ე კაცი, რავა აპწიალეფს თვალეფს?!“

პწკენიე მზე მცხუნვარე, მწველი მზე. „რაფერ პწკენიე ბზეია, გაავღება ხელათ“.

ჟ

ჟალტამი ბალახეულობა, ეკალი და სარეველა მცენარეები.

ჟამობის — გადატ. ძველი დროის, დიდი ხნის. „მე ჟამობის ვარ, ბებია, და ყორფელი ვიცი“.

ჟაჟა-ჟუჟი ცემა. „რაც მაგას ჟაჟა-ჟუჟი აქ, მაინც ვერ ისწავლა ჰკუა“.

ჟაჟუნი ცემა-ტყეპა, დარტყმა. „ნათელიე და იგი უჟაჟუნებდა გუშინ ერთიმეორეს“. „უჟაჟუნეფს გვერდეეფში სულ და მოკვტება [ხარი], აპა რას იზამს“.

ჟენტი შეშა ნედლი შეშა. „ჟენტი შეშაა, არ ეკიდება ცეცხლი“.

ჟვერი ნედლი წვრილი წნელი (თხილის, წყავის, მუხის და ა. შ.) „ან წყავის ჟვერი იქნებოდა, ან თხილის ჟვერი, ასე ცხილეს ჟვერიც, მუხის ჟვერი თუ იქნებოდა, თლა მაგარი იყო. დავამწრიახებდით იმას და უკეთებდით კანდრათ“.

ჟინჟღილი ჩირაღდანი. „ჟინჟღილით მევიდოდა“. „ჟინჟღილივითა სახეზე“ — ე. ი. კარგად, ჯანმრთელად გამოიყურება.

ჟიჟვი წვიმის წვეთი; გამონაჟონი წვიმა. „ისე დავბურავ ჭიჭოთ სახს, რომ ჟიჟვი წუმა არ ჩამოვა შითე“; „იმისანე კაი დახურულია, რო ჟიჟვი არ ჩამოდის შით“. „ისე გავაკეთე ე კრანი, ჟიჟვი არ მიდივა“.

ჟურჟი საარყე ქვაბში ჩაყრილ სახადში გარკვეული პროპორციით ჩამატებული წყალი. „თხლეს უნდა ნემეტანი ბევრი ჟური. რაც თვი-

თონა, ერთი იმდონი უნდა დოუმატო კიდო, თვარა წაარწყევს ქვაბი".

რ

რა ამბავია რა არის. „რა ამბავია, რო ეიტანე მაი გიდელე აპლიონის წვერში („აპლიონის" კონტექსტია).

რა ამბავი ბევრი, უამრავი. „ვაი, დედაია, რა ამბავი გვიმბრალე ამოსულა!" „შე რა ამბავი ძინთი ქონია ამას?!". „რა ამბავი ხილი მოგიტანია!"

რავალი როგორი, როგორ.

რა ვუთხრა რა ვუყო. „წყალი რო მოდივა იმას, რაი უთხრათ?"

რაჭობამდი სანამდე. „ნახე რაჭობამდია ჩახერხილი?"

რაღამც რადგან, რადგანაც.

რაცხაფერობა რაღაცნაირად, როგორღაც. „რაცხაფერობა არ იჩხუბოთ, ბებია!" (პ. გაჩეჩ. რაცხაფერათ).

რახი ერთნახადი არაყი.

რაჯგუნი ჯახუნი. „ურაჯგუნებს ქარი კარებს, დოუგდე მა კარები, ბიჯო" (შდრ. ი. ქავთ. III. არაჯგუნებს — მაგრად, ხეთქებით ანძრევს, არახუნებს).

რეველი როგორი. „წრეს ყველაზე უწინ იკითხავდენ, რეველი წრე ყავს, თუა კაი წრეი..." (ს. ყღ.).

რეთი რამდენი (← რამდონეთი). „დედმამი'შვილი რეთი ხართ?" (ს. ყღ. გურ. რეთი — რამდენი).

რეკეტე გამოყენებულია ფრაზაში „გამომიყვანა თავში რეკეტე", ზედმეტად შემაწუხა, თავი მომაბეზრა. „კ'არ გაჩუმდება ე ბაღანე, თავში მაქ გამოყვანილი რეკეტე. „თავში გამომიყვანა რეკეტე, იმდონს ლაპარიკობს ე საჯანაფიე".

რეჩხვა „შეწუენილის ლოცვაში გამოყენებული სიტყვა (მუცლის მოშლის საშიშროებისას შეულოცავენ ადამიანს ან საქონლის საჭმელს და მას აჭმევენ). „... ესესიეს ხიდზე დედა-შვილი მოდიოდა, დედამ დეეცა, შვილმა რეჩხვა, შვილო ნუ გეშინია მორნებისა, წახდენისა არა ვიყავი ნებასა".

რთული ყაჩაღი. „ბეერი მაქ ქონება?!. მე შენ გეტყვი, რთულები არ დემეცეს!" (შდრ. ს. მგალობლი'შვილი, რჩ. მოთხ., თბ,. 1963.,

ლექსიკონი).

რიბირაბო „არც ღამეა და არც დღეი". გამთენიისხანი. „ასე, რიბირაბოზე ავდგეთ".

რიგვინიე დიდი, მსხვილი (გარიგვინებული); „ამ ხელა რიგვინიე თავი რო გაქ, ტყუილა დაათრევ ბიძია?.. ნაჯიგე გიყრია შითე?.".

რო დაეტაკოს, მთას გაიტანს იმხელაა ე. ი. დიდია, ბევრი შეუძლია.

რო დეეტაკოს, ხეს მოგლიჯავს ე. ი. ძლიერია, ღონიერია.

როკონიე მარტოდმარტო. „ერთი როკონიე თავი გაქ და რეიზა იკლავ მუშაობით თავს".

რო კრა [თავში] ურიას, მოაქრისტიანებს ძალიან მაგარია (ისე, რომ თვით ძნელად მოსაქცევი ურიაც კი მოგაძახებს. „ქრისტიანი ვარ, ვადაი, ქრისტიანი"). „ე ჰადი გაჩხიკინებულია, აღარც ქე ვარგა საჸმელათ. რო კრა ურიას, მოაქრისტიანეფს".

როფვა ჩარტყმა, ჩაცხება (უფრო მძიმე საგნის დარტყმა). „გეიწიე თუ არა, გროფავ თავში".

როფია ხის გეჯა, სავსე წყლით. მასში მოთავსებულია მილი, რომელშიც გადის არაყი და გრილდება.

როცხა როდესაც, როცა. „როცხა არ შეგილია, უნა გაჩერდე".

როძგაპო 1. დიდი, უხეში, მძიმე, კვანძებიანი ხე. „რაი- მოაყანყალებს ამ ბარჯგს, ამიხელა როძგაპოა". 2. გადატ. დიდი ტანის კაცი, უშნოდ მაღალი. „დიდი როძგაპიე რამე იყო ივლიანე ქიმუცაძე".

რუდუმი გაუვალი, ხშირი ტყე. „რამიხელა რუდუმი ტყეია, დათვი დეიდეფს ბინას". „ორმოცდაათი წლის მერე აქანე რუდუმი იქნება". „რუდუმი ტყეია, მელიე კარა, დათვი გაჩთება აწი მაქანე".

რუმკა არყის პატარა ჭიქა.

რძე ლეღვის თეთრი წვენი.

რძია-რძიე ბალახი. მოწყვეტისას გამოდის რძისმაგვარი თეთრი სითხე.. „რძია-რძიე ბალახია, რძე მოდის. რო მოწყვიტო ნამდვილი რძეისნაირი მოდის".

რწმული ყურის გამონაღვენთი სითხე. „ყურში ჩავარდნილი ბუზარე არა საშიში. ჩაკლავ ოტკიანი ბამბით და მერე იმას რწმული გამეიტანს (ი. ქავთ. I, მ. ჩიქ. რწბოლი — ჩირქი მუწუკიდან; ჭრილობიდან გამონადენი სითხე).

რწყილის გატყავება მეტისმეტად ეშმაკია. „იმისთანა ეშმაკია,

რწყილს ატყავებს". „იმისანაა, რომე რწყილს ტყავს აძრობს", (ე. ი. მეტად მოხერხებული, გაქნილი კაცია.

რჯულის კალონზე კარგად, სრულიად, ამომწურავად. „რჯულის კალონზე დევიბანე".

ს

საადრიო არტამი ატმის საადრეო ჯიში (გაჩეჩ., რაჭ. დიალ.).

საბერკაცო ძილი ხშირი და ხანმოკლე ძილი მთელი დღე-ღამის განმავლობაში. „დედე იტყოდა: ე, საბერკაცო ძილი დეეწყო მამაშენს, აღარ შოუძლია, მოკვტება აწი!"

საგვიანო არტამი ატმის ჯიში.

საგინებელი მეტსახელი, თიკუნი, ადამიანის დამახასიათებელი თვისების გამომკვეთი სახელი. „დვალიშვილეფში საგინებელი თვარ თქვი, ისე ვერ გეიგეფ ვინა, ბევრია ნემეტანი დვალიშვილი".

სადგისი რო კრა თვალში, ცრემლის ვერ გადმოაგდებიებ უგულოა, არაფერს არ განიცდის.

საიანცაკო უცნაური, მოულოდნელი ამბავი. „საიანცაკო ამბავი შემხვთა, არ მეგონა თუ შემხვთებოდა, იმისთანე".

საიანცაკოთ გამოსაცდელად, შესამოწმებლად, დასარწმუნებლად. „საიანცაკოთ დეითვალე ერთი, მოპარული რო არ იყვეს, არ შეილება".

საკვირკვობისთვო ფსხალი მსხლის ჯიში, შემოდის ივლისში. „ერი ძირი საკვირკვობისთვო ფსხალი ქე მაქ ეგერ, მარა არ ვარგა ჯერე საშმელათ" (გაჩეჩ. საკვირკვობო).

საკრეფიე ხილის საკრეფად დამზადებული სპეციალური ხელსაწყო. აქვს დაკბილული ზედა კიდეები. ქვედა მხარეზე მიკერებულია ტომსიკა. აგებენ საკმაოდ გრძელ (3-4 მ. სიგრძის) ტარს, უფრო რცხილისას, რადგან საკრეფია არ დამძიმდეს. ხის ტოტზე დამჯდარი კაცი ამ იარაღით შორეულ ტოტზეც ადვილად კრეფს ხილს. „მაქანე იქნება საკრეფიე და მემე" (გაჩეჩ., ძოწ., წერ.).

სალაგინე, სალაგი ადგილი. „მაქანე სამ სალაგინე მაქ გაწყობილი საპონები". „მისამართი აგერა, ამ და ამ სალაგსო" (ს. ჟღ. სალაკა/ე-ი; უთურგ. თუშ. ალაგ).

სალავათი საყვედური. „სალავათი იგია, რომე, ღმერთო, რა მი-

ქენი ეგიო... და ნუ სალავათოფო, ღმერთს ნუ აწყენიებო, ვიცით თქმაი“ (ქეგლ, ქავთ.II, ვ, ბერ. ლოცვა-კურთხევა).

სალავათობს საყვედურობს. „სულ სალავათობს მაი“.

სალოცველო შესალოცი, შესაწირავი. „ეგი მამალი სალოცველოთ მინდა“.

სალოყლოყო სალაპარაკო საშუალება. „ჩოუგდე სალოყლოყო მა საჯანაფიას! [რადიოს]“. „გამორთეი მა რადიო, ჩოუგდე სალოყლოყო, მომკლა მაის ხმამ, გამიჭრუა ყურები!“

სალპობი ძირდადგმული სახლის საძირკველს ქვეშა ადგილი. „სალპობია გამოდღლეზილი, ძაღლები გავა-გამუა შითე“. „სალპობია იგი, საძირკველს ქვეშ, ძირდადგმული როა“.

სალურწკე (ირონ.) ჰალსტუხი. „ჩამოუკიდია სალურწკე და ნემესნიკი გონია თავი“.

სამაგი ოდენა, სამყოფი. „ერთი ტომარეს სამაგი ქფილი ქე გავცერით ამ ლაპარიკში“ (ძოწ.).

სამაკინე მაკეობას მიღწეული უშობელი, ღორი, თხა და მისთ. „სამაკინე უშობელი შემიშამა შარშან აგერ ა, კარი-ყურეში, ყორიაში“ (ქეგლ, ძოწ. სამაკინარი).

სამოყვრო გზა ძალიან შორი. „იქინე რაი გავა, ერთი სამოყვრო გზაია“.

სამოხელა პარკიდან ძაფის ამოსაღები ხელსაწყო (საბა, პ. გაჩეჩ., ვ. ბერ., ა. ღლ.). გადატ. მნიშვნ.: „გლახა, უგვანო, აფერი რო არ შოუძლია“. „დიდი სამოხელე რამეა მაი“. „ელსაბედე სამოხელე, რო არაფლათ არ ვარგა“.

სამცახლო საღორე. „სამცახლოში მყავს ღორი შემწყტოული“. „ჩემი ღორი ეზოს გარაღმა არ გარადის, სამცახლოში მყავს ეგერ ჩამწყტოული“.

სამწუურალოთ წუურვილის მოსაკლავად. „სამწუურალოთ ვსვამთ ჩვენ ღვინოს, ისე!“

სანათი გასანათებელი საშუალება. „არ ამიბეღიალო ახლა აქანე სანათი“.

სანაპტუენო სანამუენე მცენარე. „სანაპტუენო ვაშლი... კვირტის ვიშონით და რანეირი ვაშლი გინდა, იმნაირი დეიპტუნება“.

სანახელავო ძნელი მოსავლელი, ხელში გასატარებელი. „ასე უბედური სანახელავოა თხილი, უნდა წოურეკო ახლა, ცხრაჯელ უნ-

და გამეივლო თითო კეკალი ხელში“ (ალავ. ლეჩხ. სანახელო).

სანახელაოთ გლახა მთლად გლახა, უვარგისი. „მა სანახელაოთ გლახა, მაი!“

სანეფო ვაშლი აქვს ოვალური, მოგრძო ფორმის საშუალო ზომის ვარდისფერი ნაყოფი. „იტყვიენ, ნეფეს მიერთმოვა, იმისანა ვაშლია. ნამეტანი კაი შესახედავია, გემოც საუცხოო აქ“ (გაჩეჩ., ჟღ.).

სანთხიე სათხებო. გადატ. არეული, ანგრეული, დაულაგებელი ბინა. „სანთხიეს გავს ე სახლი“. „დათაიე რო მოვა, სანთხიას დეემგვანება ჩვენი სახლი“.

სანსალიე ხეი სწორი, ტოტებგასხეპილი ხე. „გარაჭრილ ხეზე მივაკრავთ ღვლეჩით სანსალია ხეს. დავკიდეფ ზეთე ჩალას, იმხელაზე რომე საქონელმა არ შოუსტვეს. ე იგია ანწალე“.

სანცროვი მოსავლის აღების შემდეგი საქმე. ხელახლა შემოვლა და ნარჩენების შეგროვება. „სა მცალია ახლა მაგიზა, სანცროვი მაქ თხილი“.

საპწიალე საწნახელში ჭაჭის გამოსაწურავი მოწყობილობის ბერკეტი, რომლითაც ზემოდან აწვებიან ჭაჭას.

სარაყუდე უშნოდ აწოწილი, დიდი ტანის, მეტისმეტად მაღალი (ირონ.). „ვისი სიკვტილისაა ე ძაღლი, რამხელა სარაყუდეა“. „ამან რო მეიყვანა ერთი სარაყუდე, აფერი არ ეყურება; ააყუდე — დააყუდე, საანწალე: ჩალა დეეტევა 300 კონა, რო დაკიდო ზეთე“. „სახილე [ვაზა] მაქ ეგერ, მარა სარაყუდეა, ქე ვერ დადგამ სტოლზე და...“ (ქავთ. II, ქავთ. მოხ.).

სარახე ქვაბი არყის გამოსახდელი ქვაბი (გაჩეჩ. სარეხე).

სარკეტობიე დიდი ჩხუბი, წინააღმდეგობა, აყალ-მაყალი. „სარკეტობიე ქონდა მაგას და მაის ქმარს, ჩხუბობდენ უბედურათ“.

სარშან ქე გაარჭიანებდა და წროულს ვეღარც ქე გააჩოჩრიკებს [ცხენს] ადრე აკეთებდა და ახლა ვეღარ აკეთებს საქმეს, გაფუჭდა, უკან-უკან წავიდა.

სასადილო კალათი ყანაში მუშა კაცისთვის ოჯახის წევრებს პატარა კალათით მიჰქონდათ სადილი. ამიტომ ეძახიან „არც დიდ, არც პეტერე, მორჩილ“ კალათს. უნდა ჩაეტიოს ქოთნით ლობიო და 5-6 მჭადი. ღვინიან დოქს ხელში დაიჭერდა წამღები. ქოთანს ირგვლივ შემოეწყობოდა ჭადები, ზევითაც დაადებდნენ ერთს, რომ ლობიო თბილად შენახულიყო. ყველაფერ ამას წაბლის ან შქერის ნეშოებში

გაახვევდნენ. „ერთი სასადილო კალათი დამიღობე, თუ კაცი ხარ“. „სასადილო კალათი მომიტანე გო, სასადილო“.

ხასობათ წასასმელად. „ნაბოლე ოტკა სასობათაა კაი“.

ხასუქიე საახალწლოდ დასაკლავი, გასასუქებელი ქათმების დასამწყვდევი ძარი. „სასუქიე მოვღობე“. (ჟღ.)

ხასხუმიოდ სამომავლოდ. „თაგვები ინახავენ თხილს სასხუმიოთ“.

ხატურიე წყეელისმაგვარი მიმართვა ფრინველისადმი. „ვერ მევიშორე ე სატურიე დღეს, შე რაფერ შემოდის სახში?!“

საფერი ყურძნის ჯიში (საფერავი) (ძოწ., ქავთ. II).

საფოხლო ნაკელის გადასატანი გოდორი. „სადაა, ბოშო, ჩვენი საფოხლო, პეტრიას თვარ წოუღია!“

საქმის ხელიდან წახვლა საქმის გაფუჭება, ჩაფლავება. „წევიდა საქმე ხელიდან“ (შდრ. სახოკ.).

საქრული ქარსაცავი ხე, ხეების ზოლი. „ე, ამისანა ხეები უნდა დავრგოთ საქრულათ, ალის ხეები ორ-ორ მეტრში დარგული ეყოფა“.

საღადრიე ყავრისაგან დამზადებული ღადრის ასაღები ჩოგანი. „მიუწიე ბებია, ხელი, საღადრიეა მაგერ და მომეცი“. „საღადრიასავეთ აქ თავი“ (გაბრტყელებული) (ჟღ.).

საღამოდრიელე საღამოხანი, ადრე საღამო. „დაბნელებაამდი ერთი სამი საათი იქნება“. „საღამოდრიელე გევიდეთ იქინე, ახლა არ მცალია“. „საღამოდრიელე ქე ვიყაი ეზოში, მარა მაი ღორი წუხანდელი ნამყოფია“ (შდრ. გაჩეჩ. საღამორელე).

საღარე მაჩვი. „საღარასავეთ აქ შუბლი“. გადატ. შუბლზე ზოლად თეთრნიშანჩაყოლებული ცხოველი. „საღარე თმაი რო აქ თეთრი, ზოლად წინ... საღარე ნაფსია, სახში არ დევიყენებდით არც კატას, არც ძაღს“ (ჳყონ., უთურგ.).

საყაჭური „ბოფში რო დეიბადებოდა, თოთო ბაღანე, საყაჭური დაყობა ბაღანას პირში. საყაჭური თეთრია და ლუკმის გარაყლაპვას უშლის, გამოთეთრებული აქ პირი. ყაჭის უსობენ შითე ქალები. — საყაჭური აქ ბაღანას და ყაჭი მემე პეტერეო; — მიცემდა დედე“.

საყვითლავე მსხალი, ყვითლად მწიფდება აგვისტოში. „ვასასის საყვითლავე რო დაგვაპყნოვია, ე იგი იქნება კაი. მარიობისთვეში შამოვა და მაშვინ შენ ქე ხარ აქანე“.

საშვალიე ერთ მხარზე გადებული ტვირთის შესამსუბუქებელი ჯოხი, ბერკეტი. მას გაიდებენ მეორე მხარზე და ტვირთს ქვეშ ამოუ-

დებენ. ხელით ოდნავი დაწოლაც კი ჯოხზე, ტვირთს ამსუბუქებს. „რაი წაგაღებიეფს მა სიმძიმეს, საშვალიე მეიხმარე“.

საცხეიდან საიდანღაც.

საწელკავიე წყევლისდარი მიმართვა საქონლისადმი. „დაგაძღა გელი ზრუგზე. შე საწელკავია, შე!“

საწკვერტები საულვაშე. „ბაბე არაფელს არ აკეთებდა მეტს, გეიკეთებდა ღამე საწკვერტეფს და დილას წევიდოდა დუქნებზე; მე ქე ვმუშაობდი“.

საჭიშმახურო თავისთავად უბრალო, მაგრამ დიდი შრომის დასახარჯავი საქმე. „რა უბედურათ მეზარება ამისანე საჭიშმახურო საქმის მიდგომა, აღარ დაადგება საშველი გათაებას“.

სახადელი მომცრო ბარისებურად გათლილი ფიცარი, რომლითაც თიხას აცლიან ქვევრის სახურავს. „ძირს ნუ დააგდებ სახადელას, ააყუდე მაგერ ხეზე, თვარა დალპება“.

სახადი 1. არყის გამოსახდელი (ჭაჭა, ხილი, ანწლი და მისთ.) „სარშანწინდელია აი სახადი, ივარგეფს ახლა მაგი, სული თვარ ამოუდა“. 2. გადამდები ავადმყოფობა. „უწინ იყო სახადი, ახლა საღადა“ (ქეგლ).

სახადი ჭური არყის გამოსახდელის ჩასაყრელი ჭური. „ერთი სამოცფუთიანი სახადი ჭური მაქ, ადრე ღვინოს ვასხამდი შით, მარა ახლა სადა იმაში ჩასასხამი ღვინო, სახადიზა მაქ“.

სახადზე აგყობი ე. ი. ყველაფერს გავაკეთებ შენთვის, შეუძლებელს შევძლებ. „მაი კარა, შე კაცო, თუ გინდა, სახადზე აგყობი“.

სახარჯო ჭური ქვევრი, რომელშიც ყოველდღიურად სახარჯო ღვინოა ჩასხმული. „სახარჯო ჭურში ვასხამდით წყლიან ღვინოს და ყოველდღე ვხარჯულობდით იმას“.

სახეტყვეპერიე ფართოსახიანი, დიდშუბლა, ულამაზო ქალი. „არაფელი უჭირს, მარა სახეტყვეპერიეა რაცხა, მიუზიდველი სახე აქ“.

სახის დაჯერება შინაგანი ბუნებისათვის შესაფერისი გარეგნობა, შესახედაობა, სახე. „სახე უჯერებს ადამიანს, კაი შემცნობი ადამიანი არ შეცთება ბევრში, ადამიანს სახეზე იცნობს რაი ყრია შითე“.

სახლოური შინ გაზრდილი, ნაყიდის საპირისპირო ტერმინი. „ჩემი სახლოური დედალია, ქე ვიცი მაის ხასიათი მე, კაი მეჭუჭულეა“.

სახჩობელე ბია კომშის ჯიში.

სიგელე საგინებელი, სალანძღავი სახელი, მეტსახელი. „მეზო-

ბელზე შეილება ქე მოგივიდეს გული, მარა სიგელე კარ უნდა დოუძახო. თვალში შეხედვა არ უნდა შექცხვეს მერე".

სიგრძის სიმტყელეს მოგცემ დამუქრებისას ეტყვიან. ე. ი. იმდენს გირტყამ, რაც სიგრძე გაქვს, იმოდენა სიბრტყეს გაგიხდი. „გარმოაბრუნე ახლა ეგი და სიგრძის სიმტყელე მიეცი. შეხედე რას ბედავს?!"

სიკორწიანე საქანელა. „სიკორწიანას გევიმბამდით ხეზე. ვკორწიანობდით, ბრეველი ვიყაით მაშვინ ბოფშები" (ვ. ბერ., ალავ. ლეჩხ.).

სილობიე თამაში. „რაია სილობიე და... დავჟდებით გზაზე და ქე რო კაი ხიშხაშელე სილაა, გავაკვეხებდით შითე ჯოხს და — აბა სადა, თქვი სადა, აპა. თუ დაკრავდა ხელს იი და ამოჩთებოდა ი ჯოხი იქინე, მაშვინ ეგი იყო მოგებული. რომელი კედრით იყო ი ჯოხი, იმას არ შევახედებდით. იმას ვინც მიაგნებდა, მოგებული იყო იი".

სიპჟუინე სიმსუქნე, ქონი. „მიტო ვაჩუმ ამდონს ქათმებს, რო დაკლავ, იქნება პეტერე სიპჟუინე ექნეს". „რაფერ გამხმარია მარუსიე, ძვალი და კანია მარტო, არაფელი სიპჟუინე არ აქ".

სირსალი გაუჩერებელი მოძრაობა (აქ ფეხების ერთიმეორეზე გასმა). „გაჩეი, გო, ნუ ასირსალეფ მა ფეხეფს!"

სირცხვილის მოხდა შერცხვენის თავიდან აცილება, შერცხვენისაგან დაცვა, დაფარვა, სირცხვილის თავიდან აცილება. „ამევიდა მაის გოგო, მანანე და მისი ქმარი მევიდა, ქფილი არ მაქო და ახლა მომხადე სირცხვილიო".

სირცხვილის მოხოცვა იგივეა რაც სირცხვილი მოხდა.

სისს ცხენის გასაჩერებელი, მოსახმობი ძახილი.

სისხარი წუმა ძლიერი, გადაუღებელი წვიმა. „თელი დღეი სისხარი წუმა იყო. გაროუღებელი, თავს ვერ შეიფარებდი ვერსათ".

სიღამღამე ძალა, გამძლეობა, სიმაგრე. „სიღამღამე აღარ აქ". „აღირღიტებულია სიმიდე, სიღამღამე აღარ აქ. ერთი რო დოუბეროს ქარმა, დააფენს ძირს თლათ" (ვ. ბერ. ღიმღამი).

სიცხარობა გვალვა. „ნემეტანი სიცხარობაა წროულს, სულს ველარ ვშონილოფ, ვიხჩვები თელი ზაფხული".

სკანჩვა ტაცება, ხელის უცებ ჩავლება. „ჩვენ სასიძოს რო სკანჩეს ხელი და დეიჭირეს, კარაფელს აფუჭებდა მაშვინ იგი იქინე, მარა ჩამეიარა მილიციონმა და აქანე რას შობიო..." (წერ. გასკანჩვა).

სკვამვა შენახვა, საგულდაგულოდ დამალვა. „ფულს აგერ სკვამავდა და აბანოზე არ წევიდა ერთი, ფეხები რო ტკიოდა“.

სკინტე წიწილების ავადმყოფობაა (განავალი უკანვე ახმება). (შდრ. ვ. ბერ. სკუტურაე იმავე მნიშვნელობით).

სკურიეთი ღრმა ხევი. „ი უბედურ სკურიეთში რო ჩახვალ, ზეით ამოსვლა აღარ გინდა მერე?!“

სნაკვი სიტყვას ვერ განმარტავენ (უნდა იგულისხმებოდეს შნაკვი, შანკვი (მ. ალავ.) მახასა და ზანდურის საკრეფი იარაღი). „რა უბედური ხმაი აქ ამ დასწყევლილს, სნაკვივით მოხვთება ყურში“ (შდრ. გაჩეჩ. გულში სნაკვათ მაქ).

სოვდაგარი გადატ. ჭკვიანი, ბრძენი, საქმის კარგად მკეთებელი, დაკვირვებული. „ერთი მაგიც გამომივდა დიდი სოვდაგარი ახლა, არ გააჩივრა საქმე!“

სოსიალე სრიალა. „იმისანა თავსაფარი მინდა, რო არ ისრიალოს თავზე. აქანე რაც ვიყიდე, ყველა სოსიალეა“.

სოსიალი სრიალი. „ნელა, ნელა, არ გარმოსოსიალდეს, ფეხი არ მოქტეხოს“ (ვ. ბერ.).

სოუ ჯიში, ჯილაგი, წარმომავლობა. „რა სოუს ხალხია ახლა ეგენი, აქანე რო მევიდენ?“ „რო არ ვიყაი მისი სოუს, იმიტო აღარ დემელაპარიკა მერე“.

სოლოიე დიდი ტანის, მსხვილი. „ერთი უმფრო სოლოიეა“ (ქეგლ გურ., ძოწ.).

სოხანო მიწის იატაკი. „უწინ ძირდადგმულ სახში სოხანოზე ვცხოვრობდით, სა იყო პოლი“.

სრიალი თოვლის ზვავი. „სრიალი რო წამოუდა გირგოლიას, მაქანე არ იყო რო დოუნგრია სახლი?!“

სრულტანე „ჯაი ზომის ქალია, არც სუქანია და არც გამხთარია“. „ჯაი სრულტანე ქალია“.

სსხა ძაღლის მისასიანებელი შეძახილი.

სტველი რთველი, მოსავლის აღების დრო. „ჩვენებს ახლა აქ სტველი“. „სა მცალია, ბებია, მაგიზა, ჩვენი სტველი ახლაა“ (ქავთ. მოხ.).

სტიკვა უცებ, მოულოდნელად და მსუბუქად თავში წამორტყმა. „რო გააჭირეფს ბაღანე საქმეს, სტიკვე თავში“. „ვსტიკვე თავში და ტირის“.

სული ორთქლი. „შეხედე ქვაბს თუ ადის სული, ნადუღება და გამორთეი“.

სული მეწვალება ძალიან მიჭირს უდროობით, დაძაბული და მოუცლელი ვარ. „მაის საქმელებიზა მცალია ახლა მე, სული მეწვალება!“

სული მექანება მიჭირს, გაჭირვებული ვარ. „მაი კარა, დამანებე თავი, სული მექანება ხო უყურეფ, რაფერ გაჭირვებული დროია“.

სულის მოთქმა დაქმაყოფილება, დანაყრება შიმშილის შემდეგ. „არ მეითქვენ საწყლებმა სული?!“ (ხარებმა, ბალახის ჭამის შემდეგ); „არ მევითქვი სული, ჭადი რო ვჭამე?! პური რათ მინდა მე...“ (შდრ. სახოკ. მდგომარეობის გაუმჯობესება).

სულის ღაფვა ძალზე დაღლა. „თვეში ერჯენ შემხვეთება მე საქონელის გადენა და სულს ვღაფავ სახში მოსვლაამდი“.

სულის შოვნა (სული ვიშონე) „სული ვიშონე პეტერე“ — ნიავი რომ დაჭროლავს დიდ სიცხეში, მაშინ იტყვიან.

სულმა მოთხოვა მოენატრა, მოუნდა. „შენი ნახვა მომინდა, რაცხა სულმა მომთხუა, გონია ვკვტები, ბიჯო!“

სულიჭირვება გაჭირვება, მოუცლელობა. „ახლა წემებანია შენი ავანტყოფობაც, ამ სულიჭირვების დროს“.

სულს ვიკანავ ვზოგავ. „სულს ვიკანავ და რაცხა ორი კაპეიკია, ისე მაქ მოგროვებული“.

სულცინცე სულწასული, სულსწრაფი. „ვაი, შე უბედურო, რავა ვერ ითფენ ვერაფელს, რაფერი სულცინცე ხარ, ყორფელი ერთათ გინდა რო შეჭამო“ (ალავ., ვ. ბერ., ჩიქ. სუცინცი).

სუმა ქონება. „ვისაც პეტერე კაი სუმა ქონდა, იგი უმფრო გარაჯაჭარებებდა და ისე მეიტანდა იგეც“.

სუმიერი შეძლებული ოჯახი. „ზოი, ვისაც ქონდა, კაი სუმიერი იყო, რაცხას ქე მიუტანდა ერ თავს...“

სურსულე კანის ავადმყოფობა, ტუჩზე გამონაყარი. „მაი დასუნულ კარა, სურსულეა, სურსულეს ვეტყვით ჩვენ“.

სურსუტი, სურსუტელე სულწასული, სულსწრაფი. „რაფერი სურსუტელე ხარ, შე საწყალო, სულწასრული ხარ, ვერ ითფენ რამეს“.

სხმარტალიე 1. მოძრავი, დაუდგრომელი, ცელქი. „ეი რა კაი სხმარტალიე ბაღანეაო, ვასასიმ თქვა“. 2. ენამჭევრი, მოლაპარაკე. „უბედური სხმარტალიე ენა აქ, იმისანას იტყვის ე პეტერე ბაღანე, გაგიკვირდება“ (შდრ. ქავთ. I. სხმარტალი).

სხოკან სხვაგან.

სხოკნიდან სხვა მხრიდან. „სხოკნიდან მოსულა მაი კაცი, ბევერი რამე არც ქე იცის ჩვენი მაგან“.

სხომიხ სხვა დროს. „მერე ვეტყვი, სხომის“. „მაგას სხომის თუ მევიგონეფ, თვარა ახლა ვერა“ (ვ. ბერ., ქავთ. I, ყღ., რაჭ. დიალ.).

ტ

ტალი სხეულზე (ხელებზე) სიბერისაგან გაჩენილი შავი ლაქა. „ა, რაფერ ტალები გამიჩთა, კარ მქონდა ეგენი“.

ტანტალიე შიშველი (იხ. გატინტალებული). „თხილი რავა დეირგვება, ბიჯო, აქანე, ტანტალიე ქვაია“.

ტან-ფეხი ტანსაცმელი, ჩასაცმელი, სამოსი. „ბევერი ტან-ფეხი აქ ამ გოგოს. ტანსაცმელზე ვიცით ჩვენ თქმაი“. „ამდონი ტან-ფეხი რა ამბავია, იცვლის ყოველდღე“.

ტანძიმე დიდი ტანის, მსუქანი, სრული აღნაგობისა. „ტანძიმე ქალია და ვერ დეიარება, ფეხები ტკივა“.

ტაპლაკვერე მოუქნელი. „გლახა რო იქნება, სუქანე და ვეფერს რო ვერ აკეთეფს“. „კაი გოგო იყო ი უმცროსი: უმფროსი ტაპლაკვერე იყო“.

ტარტყლი წყლის ლორწო. სიძველისაგან გასქელებული წყალი. „დაძველდებოდა წყალი, ხატისნაბანი წყალი, მოგვიტანდა დედე, ავანტყოფობიზა გვასუმდა ტარტყლიან წყალს“ (ჯაჯან.).

ტატაპე ბარის საფხეკი (ხისა). „ნაწუმარზე რო ბარავ მიწას, ტატაპე თვარ გექნა, მეედება მიწა ბარს თლათ. უნდა გაფხიკო მარმალე“ (ვ. ბერ., ქავთ.II).

ტატლიბი ხალხი ვერ განმარტავს. „ძაან ტკპილი რო იქნება რამე“. „კაბისტონი (ვენახის ჯიში) ქონდა მირგული კოპიტებზე, თეთრია, წვრილი კუმპლები ქონდა, იმისანა ტკპილი იყო, ტატლიბივით“ (შდრ. ჭყონ., თათლიბი, ვ. ბერ., თათლიბაზი).

ტატყუნი დიდ, თხელ ტალახში ხმაურით სიარული. „შენი სტუმრები რა შობიენ? — რა იზამენ, ქე დატატყუნობენ ი ტალახში და ქე არიენ... ვალინკები ქე აქვენ და...“ „ნუ დატატყუნოფ, ბებია, მაქანე ნუ, დეისვრები!“ (ალავ.).

ტახვაცები ირონ. (ტახი+ვაცები?) უცხო საქმელი, ნუგბარი, ნაირ-ნაირი საქმელი. „რაია საქმელი? რაია და ტახვაცები!“

ტახტახე ტყის მხალი.

ტახუნი თხილის კბილებით მტვრევისას გამოცემული ხმა. „რა ენაღვლება, დაჟდება თხილი ძირში და უტახუნეფს თელი დღეი თხილს, არ აკეთეფს აფერს“ (ვ. ბერ.).

ტიგურე მოშავო ფერის ხარი (ან სახელი ხარის).

ტინტრიში უსაქმური სიარული. „მე ასე თუ ვიტინტრიშე ზეით-ქვეით, რაღ გამოვა“.

ტიხინი (ტიხი-ტიხინი) თავისებური ხმაური (მაგ., მარილებიანი ავადმყოფის კიდურის მოძრაობის დროს გამოცემული). „ტიხი-ტიხინი გააქ მუხლეებს, მარილებით ვარ გატენილი“.

ტკპილი კარგი ჯიშის ხეხილი; კარგი ჯიშის ხეხილის სანამყენე. „ტყეში წარე ბალია, ტკპილი ბალი სადა იქინე“. „ტკპილი ტკპილზე რო დააპყნა არ გეიხარეფს“.

ტკვარცალი ქალიშვილების ხმამაღალი სიცილი, კისკისი. „რამი-ხელა ტკვარცალი იცის ამ გოგომ, კარ ერიდება ვინმეს“.

ტლუკი (ტლუკი-ტლუკი) კარგი მოყვანილი, ძლიერი, ათლეტუ-რი აღნაგობის მამაკაცი. „ტლუკი-ტლუკი ბიჭები, ღონიერი ბიჭები უყავს გოგიელას, რა უჭირს მაგას, ათი დღის საქმეს ორ დღეში გააკე-თეფს“ (ძოწ, ტლაკა).

ტობი ნესტი. „კვირიკობისთვე უბედური ტობიანია. არაფლიზა არ გაშრება რამე. ჰუჰყიანი თუ შემოქჩა რამე, დატობავს და არ გამოვა არაფლიზა“. „ქარი არ იცის კვირკობისთვეში, ტობიანია მი-ტო. აპა, ქარი თუ იქნა და გააშრო, ტობიანი კარ იქნება“. „ახლა ტობავს ყორფელს“.

ტომრვა გატენა, ძალით ჴმევა. „ნუ ტომრავ, გო, მა ბაღანას, დაანებე თავი“.

ტოღორიე მოზრდილი წიწილი, ზრდასრული ქათამი. „კაი დიდი ტოღორიე ქათამი იყიდე, ფული არ დეერიდო“ (ძოწ. შარაშ.).

ტრაშანიე ბევრი ლაპარაკის მოყვარული, მოლაყბე. „გრძელი ენა რო აქ და წაღმა-უკუღმა ილაპარიკებს სულ, იმაზე უმბობთ, ტრაშა-ნიეაო“. „მაი უბედური ტრაშანიეა, მა ოხერი, მაი“.

ტრაპიზონე თხილის ჯიში.

ტრიკი თიაქარი. „ჰუჰყიურობს ტრიკივით“.

ტრიშინი ჩქარი სიარული. „დატრიშინოფს თელი დღეი აღმა-

დალმა“ (ვ.ბერ., ალავ. ოკრიბ. ტრიშინა).

ტრიცი მოუსვენარი გოგო. „გოგო-ბაღანე ქორო სახში არ ჩერდება და დეიარება იქით-აქით ყოლდგან, მივაძახებთ „ტრიც-ტრიც!“

ტრიხინი კუნტრუში. „დედამის ვერ შემოავლო პეტერე ეკვტერი რამე, ატრიხინოს აბა საქონელი მის გულზე“ (ვ. ბერ., რაჭ. დიალ.).

ტუა ცური, ჯიქანი. „მაგას კაი მეწველი ძროხა ყავს, შე, რამიხელა ტუა აქ“.

ტუკური ხელის ჩაყოფა და ფათური (სითხეში); ხელის ჩაყოფით მოძებნა. „უტუკურე ხელი, მარა ვერ ამევიღე ბჟავე, აღარა მეტი ხალამში“.

ტუმპულიე ბევრი სითხე (კერძი, რომელშიც ცოტა ხორცია და ბევრი წვენი). „ე ტუმპულიე წვენი აღარ გათავდა?“ (შდრ. ქავთ. II. ტუმპე, ტუმპო, პატარა გუბე).

ტურა ჯადოქარი. „როკაპი ტურების უმფროსია თლათ“.

ტურაქვანქვალე ავი თვალის მქონე, ეშმაკ ადამიანზე იტყვიან. „მართლა ტურა-ქვანქვალიეა მაი, სად დეინძუება ვერ გეიგებს კაცი“.

ტურაქვინქვილე იგივეა რაც ტურა-ქვანქვალე. „დიდი ტურაქვინქვილეა მაი, ორასწლიანია“.

ტურის კივილი არ გოუგონია ჯერ ჯერ პატარაა, ამიტომ ყველაფერს უჯერებს მშობელს. „ტურის კივილი არ გოუგონია ჯერე, გიჯერებს“; „ტურის კივილს რო გეიგონეფს, მერე არ გაიკეთებს არაფელს“.

ტუვამპალი სითხის მოძრაობისგან გამოცემული ხმაური. „ტუვამპალობს ღვინო მუცელში“ (რაჭ. დიალ.).

ტუვეპიე ძველი, გაფუჭებული, ლაყე კვერცხი. „ამისგანაც ქე ვიყიდი კვერცხს, მარა გლახა რო ექნეს, ტუვეპიე?!“ (ვ. ბერ.).

ტუვიაში გამოუვანა ზუსტად გამოიყვანა, ზუსტად გააკეთა. „სახლის აშენების დროს ხშირათ ვხმაროფთ შვეულს. ტუვიისა ი შვეული. ვამბობთ, ტუვიაში გამეიყვანა სახლი; ან სხვა რამეს რო გააკეთეფს სწორათ, მაშვინაც ვიტუვით ასე“.

ტუის თხილე თხილის ჯიში.

ტუუპად დარგვა რამდენიმე ნერგის ერთად დარგვა.

უ

უბედური, უბედურება გარდა იმ მნიშვნელობისა, რაც სიტყვას სალიტერატურო ენაში აქვს (ცუდი ბედის მქონე — ქეგლ), ქვემო იმერულში მოეპოვება მეორე მნიშვნელობაც: განსაზღვრებასთან ერთად აქვს ამ წევრით გამოხატული თვისების გამამკვეთრებელი მნიშვნელობა (დაახლოებით უდრის „ძალიან“). „უბედური მიტან-მოტანიეა, თუ რამე გეიგონა, ხელათ გაახელებს“; „მაგი იმისანაა, დამწვარ ნახშირს ვერ იშონი მაგისგან, უბედური წირია“; „უბედურება ცეტი იყო ბაღნობაზე... უბედური ფხიზელი ძინი იცოდა“; „რა უბედური ბურია“.

უბის შვილი ღვიძლი შვილი, ნამდვილი შვილი. „შენი უბის შვილია და ქე უნდა გაატანო, აპა რაია“.

უგანა უღალატა საქმეში. „კილტეში რო მიაგდო საქმე, მაშვინ უგანა“. „ახლა მიგანე, ხო?!“; „მაშვინ მიგანა, როცხა გეჭიროდა“.

უგარის გაჩენა (გამიჩთა უგარი) ძალიან დაცხა, მეტად დიდი სიცხე ჩამოწვა. „შარვალი თვარ გევიძრე ახლა, გამიჩთა უგარი თლათ, წივები გამიშტიალდა“.

უგლახათე უბრალოდ, პატარა რამეზე. „კაი ლენტები ყოფილა, უგლახათე არ წუტება“.

უგლინებს უელმებს (თვალს), ელამად აჩენს. „ამოუსვია თვალეფში რაცხა [ფანქარი, კოსმეტიკა], უგლინებს თვალებს, ბრუციანი გეგონება“.

უგნოფ ვამბობ. „უველა არ მახსობს და ნაწილს უგნოფ“; „მიტო უგნოფ მე ნუ სვამ ღვინოს-თქვა. მე მეცოდება, ვფიქრობვარ დოუწვავს წელებს-თქვა“ (ძოწ., წერ.).

უდაბური ძალიან ბნელი (ღამე). „უდაბური ღამე არა და არაფელი უჩირთ იგენს, ქე მოვლიენ სახში“. „აუ, რა უდაბური ღამეა, თვალში თითს ვერ მიიტანს კაცი“.

უზარო დიდი, გამყინავი (კივილი). „შეიქნა ეი ქვეით უზარო კივილი; გაზი აფეთქებიათ თურმე. ბუთქა გაზმა და გაჩთა ცეცხლი თურმე“.

უზაფთოდ უგერგილოდ, უშინოდ, მოუხერხებლად. „ტყულათე, უზაფთოდ რო იქუანება რაცხაზე, იმაზე ვიტყვით თხის ღმერთივით იქუანებაო“ (ქავთ. I, გაჩეჩ., შდრ. გრ. ბერ. ჯავახ. ზავთი).

უთარაკინებს ბევრ შეშას უკეთებს ცეცხლს. „მაი შეშას რო უთარაკინეფ, რა ამბავია, დეიწვა ტყულათე“.

უთინთილო ძალიან ჩვილი, ახალშობილი. „რავა უთინთილო ბაღანასავეთ ხარ, კარჭათ მოკიდე ხელი!“

უკალონებს აუხდენს, შეუსრულებს. „არ უნდა დეიწყეევლო, არ გიკალონოს ღმერთმა...“ „ბრიყვი ხარ, ბებია, ჯერე შენ და ამას არ გიკალონებს ღმერთი“.

უკაცრავი-პასუხია ამ ტერმინის ქვეშ გულისხმობენ ოდიოზურ სიტყვებს. საუბარში ნაგულისხმევს ცვლიან ამითი (ქეგლ).

უმისოთ გარეშე. „ერთიმორეს უმისოთ არსად არ დეიარებიან“.

უმკიბანტორი ინკუბატორი. „აპა, უბრალო კაცი კი ვერ გამეიყვანდა აბრეშუმს. ქონდა იმას უმკიბანტორი, იმისანე, რომე ნელნელათე გამევიდოდა აბრეშუმი, გამეიჩეკებოდა“.

უნაირო უცნაური, არაჩვეულებრივი. „სიცხე იყო უნაირო დღეს“; „უნაირო ადამიანია რაცხა“ (ძოწ., გაჩეჩ., ალავ. ლეჩხ.).

უნდილათ ჩამოცვენა უდროოდ, დაუმწიფებლად ჩამოყრა ნაყოფისა. „ასე უნდილათ ჩამოცვინდა, ერთი კეკალი არ მომიწყვეტია“ (შდრ. ქეგლ უნთილი).

უპათ კივილი დიდი ხმით, მთელი ხმით კივილი. „შეშინებია გოგოს და კიოდა უპათ“ (ჯაჯან. უპია).

უპლაკუნებს (პაპიროსს) ხმაურით ეწევა პაპიროსს. „ასე უპლაკუნეფს პაპიროს, არაფლის გამკეთებელი არა“.

ურა ცხენი (ურა კვიცი) გაუხედნავი ცხენი (ქეგლ)

ურდუმი ღრმა ბნელი ღელე. „უბედური ურდუმი ღელეა, მეზარება ნემეტანი მაქანე ჩასვლა, შენახვთომი იცის“.

ურიგმარიგოთ უმიზეზოდ; არაზუსტად, უანგარიშოდ. „ურიგმარიგოთ რო უპკენს ძაღლი კაცს, იგი ან გახელებულია ან უჯიშო, იმას არ გოუშოფთ, ბებია!“ „არ გასჭრა ახლა შენ მაი ურიგმარიგოთ, რო დამოკტეს, მეტი რო არ გვაქ ხო იცი“.

ურცხობლობა, ურცხობლა უცხოდ მიჩნევა. „შენ გიურცხობლა, ახლა ამან და მიტო ატირდა, ქეც შეეშინდა“.

ურწმულო გველი. „იცის ურწმულომ ეზოში ჩამოსვლა, მარა ქათამი თუ ქყავს, ნუ გეშინია“ (ძოწ., ვ. ბერ., ყღ.).

ურწყვი შავი მთლიანად, უნიშნოდ შავი.

უსტა სმენადაკარგულ კაცს ეძახიან, ძნელად რომ გააგონებენ, ისეთს: „ჰეი, უსტა!“

უსულგულოთ გამოუფხიზლებლად, უცებ. „არ ვარგა უცფათ რო გამოაღვიძეფ კაცს, უსულგულოთ წამოარდება და ცოდვაა“.

უტახუნებს კბილით თხილის ხმაურით გატეხვა. „შე ამ გოგოს რავა დაჟდა და უტახუნებს თხილს, კარ აკეთეფს რამეს“.

უტიე მოერიდე, მოეშვი (მიტიე — მომერიდე). „უტიე გო ამ ხარს. უტიე, რო მოა, ხო ხედავ გირჩოლის“; „ა, ახლა მიტიეთ, თვარა გადევირიე!“

უტკუჩა უცებ დალია, ერთი ამოსუნთქვით. „უტკუჩა ერთი ჭიქა ღვინო“.

უტუხი თამამი, ურცხვი, ყველაფრის მთქმელი. „იგენმა შერცხვა. ვერ გაამხილა ერთიმორე რო ყვარებიათ. თქვენ, ახლანდელი... არ ცხვენია, უტუხია, კაცო. იტყვის კარა!... იტყვის და პეტერას? ქე არ ცხვენია და...“

უფეხო ბუხარი ბუხარი, რომელსაც გვერდები მთლიანად კედლისა აქვს და მისი პირი ამ კედლებს ეყრდნობა (შდრ. ფეხიანი ბუხარი).

უფლარწუნებს ურტყამს, ძლიერად, მაგრამ არასწორად. „რაფერ უფლარწუნებ, შე გლახა, მა ნაჯახს, უპირტაპირე და ისე მეიქნიე“.

უღრძნობელი დიდად, ძალიან. „რო მეარა კლაში, უღრძნობელი ნასტავლი გამევიდოი“.

უყო დაუთესავი მიწა, ჯერ გამოუყენებელი, ყამირი (ვ. ბერ., ძოწ., ყღ.).

უძგუფეს თავი ჩააგდეს, შეაგდეს. „უძგუფს თავი ციხეში“; „უძგუფეს თავი მიწაში“, მალე დამარხეს.

უძრახავს გაამტყუნებს. „რო წაგართვას მელიციამ მაი აჰრელებული მაშინა, რავა, უძრახავს ვინმე?“

უღიმღამო მოუხერხებელი, მოუქნელი. „უღიმღამოა, დიდი გლახა ვინმეა“.

უწამაკო უმარილო და უსაკმაზო შეჭამანდი, უგემური საჭმელი. „ამისანე უწამაკო არ მინახავს რამე, რაფერ უნდა ჭამოს ეგი კაცმა“ (გაჩეჩ., ვ. ბერ.).

უწლევანი არასრულწოვანი. „ორ წელიწაც არ დეეწერენ ჯვარი დედეზა, უწლევანი ყოფილიყო“.

უწყალწმიდო უვარგისი, ამაგის დაუფასებელი, დაუმადლებელი ადამიანი. „მაი გლახა, მაი უწყალწმიდო, აფერი არ იცის მაგან“; „წყალი და ღვინო ქე უნდა გაარჩიო კაცმა, თლა უწყალწმიდო კარ უნდა იყო. ავიც უნდა იყო და კაიც“.

უჰიჰმახურეფს ძლივს აკეთებს. „მასე უჰიჰმახურეფს თელი დღეი, ვეღარც დაამთავრა?!“

უხაბრო 1. მოშტერო, უაზრო ადამიანი. „ე ჩვენი პატარძალი რაცხა უხაბროა, დაბურბუტობს ჭირიანი ქათამივით“; „უხაბროებია მაგენი ყველე, დედიან-შვილიანად...“ (ძოწ.) 2. უგონოდ, უაზროდ. „რო გევიგონე შეყვირება ძინში, მე ვიფიქრე დეიქცა ყორფელი-თქვა და წამოვხტი ზეით უხაბროთ“.

უხელე მოვუარე. „გაზარდა წუმამ პამიდორი, გეილორდა თლათ. აწი მეიბამდა, მარა ვერ უხელე“.

უხინტრა უეშმაკა. „უბედური კაციშვილია, რამე რო არ გიხინტროს არ შეილება“.

უხინჩო უნაკლო, უზადო. „ყორიფელს აკეთებდა საწყალი მამე. ისე დაგვზარდა, ისე ვიყაით, აი უხინჩო შვილები, რომ არც მუუშიებია ჩვენთვინ და არც მოუწყურებია“ (შდრ. ქეგლ უხინჯო).

უჯიკიანა ხელი ჰკრა. „ი ბაღანამ უჯიკიანა ხელი და გარააგდო“. (ქავთ. I. უჯიკავებს).

უჯუქუნებს ჰკრავს (უჯუქუნებს ჯოხს, უჯუქუნებს ხბო ცურს, გოჭი დედა ღორს...) (რაჟ. დიალ.უჯიქვინებს).

ფ

ფანცხრუკე 1. წნელით დაღობილი (ფარღალალა), დროებითი სადგომი. „ერთი პეტერე ფანცხრუკე ქონდა თევედოტეს, იქინე გაატარა თელი სიცოცხლე, მარა ქე იყო კაჟივით“. 2. ცუდად დაღობილი გოდორი, კალათი და მისთ. „ე ფანცხრუკე ვისია, მომაშორე აქიდან!“

ფარდი მოღობილი საზიდი, რომელსაც ურემზე დგამდნენ. „ფარდი ვიცოით. დაღობვა ფარდის. ჩავყრიდით სიმიდას შითე, ჩალით გარავაკრავდით იმას, რო არ დაგვბნეოდა გზაზე და წამევიღებდით და მევიტანდით ბეღელში“ (ვ. ბერ., ქავთ.I, გაჩეჩ., ჯაჯან.I, ძოწ., უღ.).

ფარილი ფერფლი. „გაჩუმდი თუ არა, ფარილათ დაქხვთება მა შენი კუბზურიე სახლი“.

ფარშივი ბოროტად მლიქვნელი.

ფეხთა ადგილი ოდნავ ფერდი, დავაკება ადგილი. „ფეხთა ად-

გილში თხილიც კაია და ყანაც, მუშაობაში ფეხს მაინც მეიკიდეფ კაცი“. „ფეხთა ადგილი გვაქ, ნემეტანი არ გაგვიჭირდება, რო გარეიღებს წუმას, მივადგებით და ქე ვხიკავთ თხილს“.

ფეხიანი ბუხარი ბუხრის პირი ეყრდნობა მხოლოდ ბოძებს. მას არა აქვს ერთიანი გვერდითი კედელი. შდრ. უფეხო ბუხარი.

ფეხის ბინა დროებითი ბინა. „ბებიამისან და ბიძამისანა იგი ფეხის ბინათ, მერე ქე წამოვა შაფათ-კვირეს სახში“.

ფეხის მოტეხვა ერთ ადგილზე დიდხანს გაჩერება, დაყოვნება. „მანდამაინც იქინე მეიტეხა ფეხი“ (ე. ი. იქ დაყოვნდა, სადაც არ შეიძლებოდა, დააგვიანა).

ფთა მთა „ფთის ზონებში ვცხოვრობდით ჩვენ“.

ფია, ფია! ძაღლის გასარეკი, შესაშინებელი. „გეიპარე, ძაღლო, ფია, ფია, ფია!“

ფიზაკი სარგებლობა, ხეირი, კარგი საქმე. „არაფელში არ გამოდგა მაი, არც სტავლოფს, არც მუშაოფს, ვერაფელში ვერ მეიკიდა ფიზაკი“; „ტყუილა დაბურძუკობს ზეით-ქვეთ, რა ფიზაკს მეიკიდებს მაი“.

ფილი ქონი (ღორის ხორცის მოხარშვის შემდეგ ქვაბში დარჩენილი ნახარშის თავზე მორთმეული ცხიმი). საწერელის ლოცვა: „კვერცხისა ცილი, ენდროსა ძირი, ქვაბის ჯანგარე, ღორისა ფილი, ვაი, რაი ვთქვი თავისა პირი“.

ფინდურე იტყვიან მჩატეზე, მსუბუქზე. „ფინდურასავით იქნება გამხდარი ახლა“.

ფირფიქე „ფირფიქას უძახით ქათმის ფენთხებში რო აქ წითელი. იმას არ ვჭამთ ჩვენ, უნდა გარააგდო იგი. თუ რამე ავანტყოფობა აქ ქათამს, იქინე გოუჩთება პირველათ“; (ვ.ბერ., ძოწ., ქავთ., შარაშ. ფილტვი).

ფიჩახელე დიდი სატეობის ჰურჩელი. „რამხელა ფიჩახელაში ჩოესხამს ჩაი, რაი დაალევიებს ამას“. „ამიხელა ფიჩახელე რო დაგიდგამს, დალევა არ უნდა მაგას?!“

ფიჩინა მნიშვნელობა დაუდგენელია, იტყვიან კარგად გამოშრალზე. „კაი ბზეი რო იქნება შემოდგომაზე, ჩილს გოუყრი ეუშტზე და სამ დღეში ფიჩინასავეთ გარეიქცევა“.

ფიჩორე დამოუკიდებლად სიტყვას მთქმელი ვერ განმარტავს. „ფიჩორასავეთ აქ ყურები“;. „გაფიჩორებული აქ ყურები“.

ფიცქინი (მოფიცქინობს) სწრაფად ჩამოცვენა ნაყოფისა ხიდან. „გოუდა აწი ჩია თხილს ვადა. ერთ ჰოკს დაარტყამ და მოფიცქინობს ძირს“.

ფოლოცი ემოციურობა, ემოციების მოძალება, ზედმეტად მგრძნობიარობა, განმცდელი. „ნუ ფოლოცოფ, ნუ, გაჩუმდი“; „ნემეტანი ფოლოცია, ა, გეგონება რაცხა“.

ფომფოთ მსუბუქად, ოდნავ. „ჯოხია ფომფოთ შეკვახებული ნახვრეტში, ისე რომ ბაწარი დეიკავოს და მეტი არა“.

ფორიალი გრძელ კაბაში ჩაცმული ქალის სიარული. „ამან მომკლა ამ ფორიალამ. არაფლიზა არ ინცუმს მის კაბას. ჩეინცუმს ამ გძე-გძელს და ფორიალობს“ (ძოწ.).

ფორიაქე გამნიავებელი, უმიზნოდ მხარჯველი. „კაი დიდი ფორიაქე ხარ შენ. ორ კაპიკს რავარც ჩეიგდეფ ხელში, გეიფერთხები, ქათამი რო იფოფრება აგერ, მერე ადგება, გაშლის ფხრებს, შამოკრავს იქით-აქით, აფერი აღარ შერჩება მერე. ისე ხარ შენც“ (გაჩეჩ. გაფორიაქება).

ფოფრვა 1. იტყვიან ქათმის მიერ მშრალ სილაში ტანის ბანაზე. „რო იფოფრები ქათამივით, ხო ხედავ რო ამეიგანგლე თლა მა სილაში“. 2. სატირალში მისული ქალების შეცხადება თმების გაშლითა და ღაწვების ხოკვით. „იფოფრება მოტირალი ქალივით, ჩხავა ყოველდღე“ (შარაშ. ფოფვრა — თმების გაწეწა).

ფოშოროტე უჭკუო და ქონების გამნიავებელი ადამიანი. „რაფერი ფოშოროტეა მაი, ასე თუ დარჩა კარ ივარგეფს ცხოვრებაში“.

ფოხი გამძლეობა, უნარი, შესაძლებლობა. „დიდი ხნის ფოხი არ აქ ამ ამიდს, მალე გაავდდება ისევლე“ (ძოწ.).

ფრანგე შდრ. ქეგლ. ფრანგულა, ყურძნის ჯიში.

ფრაწუნი დიდი ხმის გამომცემი ცემა ჩაქუჩისა და სხვა. „გოუსკტა ხალხს თავი, თელი სოფელი ყუროფს რო უფრაწუნებთ ამას“.

ფრიანტელე მსუბუქი. „ფრიანტელე თლათ, მამალი ინდოურის წონა არ იქნება“; „რაფერ გაფრიანტებულია აი ხეი, უღელი ხარი ვერ დაძრავდა, ახლა ერთი კაცი წიკავს“.

ფრჩხილის დონი ძალიან მცირე, ძალიან ცოტა. „ფრჩხილის დონს არ კორინოფს რამეს“ (ქეგლ).

ფსხილაძის თხილი წვრილი ნემსა თხილი — თხილის ერთ-ერთი ჯიში.

ფუთური „ბუდის მოსაწყობათ ქათამი რო დეიწყეფს მუშაობას, იმას ვეტყვით ფუთურს“.

ფუთქვა უეცრად და მოსხლეტით დარტყმა. „ეი ტარიელე შამოკრავს ავთოიას... მორე წამუა, ეიღეფს ჯოხს და ფუთქავს ტარიელას. ჩხუბობენ უბედურათ“.

ფუნთხლი წვრილი წვიმა. „ფუნთხლია ეგი, ასე იქნება დღეს, არ გაწუმდება“; „ფუნთხლი რო იქნება, იგია გლახა, ატალახებს გზას“ (ვ. ბერ. ძოწ. ყღ.).

ფუნთხურიე საოჯახო საქმეში მოუხერხებელი ქალი. „ოლიელე ფუნთხურიეს შვილი რათ მინდოდა რძლათ!“

ფუნცხალი ჩოჩქოლი ხალხისა. „რო დათვრა ხალხი შეიქნა პეტერე ფუნცხალი“ (გაჩეჩ. ფუნცხალობა).

ფურფუტალე || **ჩურჩუტალე** გარეგნულად საღი, მაგრამ უგუნო ნაყოფი (თხილი). „ფურფუტალე როა ე თხილი კარ ვჩივი, ორ მეენთათ მაინც გეიყიდება, გამყიდველი ყველას ვერ ნახავს და...“ (ქეგლ, ქავთ. ი.).

ფურცხული აჩქარებული, დაუკვირვებელი კეთება საქმისა. „კარქა რაფერ დაწერდა, ჩქარა მუშაობდა, ფურცხულობდა რაცხას“.

ფურცხულ-ფურცხულით ფაცხა-ფუცხით. „გაანათეფ მაგას და ტურები ფურცხულ-ფურცხულით გარეიქცევიან ქვეით“.

ფუსუსალე ძალიან წვრილი, თითქმის უჩინარი, პატარა, თვალით ძლივსხილული. „ქახალდის ყუთით მეეტანა თებზი. ნემეტანი კაია, ძვლები აქ ძაან ფუსუსალე ძვლები, მარა კაია მაინც, მარა თლათ კარ აქ, კუდისკენ აქ უჩინარე ფუსუსალე ძვლები“.

ფუყიელე „დალაპარიკება რო არ იცის და რამე, იგია ფუყიელე“; „ეი რამ მოაწონა ჩემ ძმას ე ფუყიელე ეგიო, გადეირია მული“.

ფუცუცი პატარა ზომისა, ნამცეცი. „მე მინით ვარ დაჭრილი და ახლაც ქე მაქ იგენი; ერჯერ პირს ვიპარცავდი და აქანე ამევიდა ერთი ფუცუცი, პეტერე“.

ფუხე მუწუკი, დაწყლულებული ადგილი. „რაცხა ფუხეები გოუჩთა ჩემი მურმანიეს ბაღანას, მერე ბუსკუნეები გოუჩთა ფეხზე პეწეწვანები, ვერც ჩეიცვა გძელი შავრალი, მეხახუნება ფეხზეო“.

ფშვიტინი სტვენა. „ნუ ფშვიტინოფ, ბიჯო, ნუ ფშვიტინოფ!“ (ყღ.).

ფშუკუნი ხმამაღალი ბერვა სულისა. „ნუ უფშუკუნებ, დაანებე თავი. ნაკორტალე იმისთანე ოხერია, დეიწვება და ალი არ მეეკიდე-

ბა“.

ფჩუტალე უგულო ნაყოფი.

ფჩქოლი ახალამონაყარი ნამყენისა. „მა ფჩქოლებს ახლა თვარ შემოაკარით ჩხონკლეები, ქე გარაჭამს საქონელი“(შდრ. ჟღ. ჩქოლა).

ფხოკორე ხრიოკი, დამრეცი ადგილი. „რათ ვარგა, ბიჯო, მაი ფხოკორე საკუროროტოთ, კაცს სული ამოხდება სიცხიდან, ხეის ნატამალი არა სამე“ (გაჩეჩ. ფხეკო; ჭყონ., ჩიქ. ფხეკი; ქართლ. ლექსიკ. ფხაკე).

ქ

ქადაგობს ბევრს ლაპარაკობს. „ასე ქადაგობს თელი დღეი, საქმეს კარ აკეთეფს აფერს“.

ქათმისქონე ტყის ფხალი (გაჩეჩ., ძოწ.).

ქაიბორა მაღალი, გაშლილი, ქარიანი ადგილი. „ამ ქაიბორაზე რავა შეილება დასახლება, წაგიღებს ზამთარში ქარი“. „იმ ქაიბორაზე რაი აჩერებს იმ კაცს, ვერ გარეესახლება სამე?“ „რო წამოჭეი ამ ქაიბორაზე, კაი მოგივდოდა?! გაცივდებოდი, აპა რაი დეგემართებოდა“.

ქალაღაიე თხელი, სიფრიფანა ქსოვილი. „ეგი ქალაღაიეა, სითფო არ აქ და რათ გინდა, რო დევიხურო თავზე, ქე არ მომათფოფს და...“ (ქეგლ; მარტ. იმნ.).

ქამონიე ბალახის სახეობა, აქვს ყვითელი ყვავილი.

ქანდრი დიდი ფრჩხილი. „რა ამბავია, რო გაგიშვია ამხელა ქანდრები“. „რამხელა ქანდრები მქონია ფეხზე, მომეცი მარგატელი უნდა მევიქნა“ (შდრ.: ქავთ. I ქარდები, გაჩეჩ. ქარდი, შარაშ. დაქარული, ძოწ. გაქარდული).

ქანქალო მნიშვნელობა უცნობია (შედარებაში მიუთითებს თეთრ ფერზე). „რა კაი სარეცხი გამომივიდა დღეს, თეთრია ქანქალასავეთ“ (შდრ.: ქავთ.II დაქანქალება).

ქანქალო შვადღე შუადღის სიცხის ზენიტი. „ახლა რავაღა წახვალ ქლიავის მოსაკრეფათ, ქანქალო შვადღეა“.

ქანქვა სწრაფად, დიდი ლუკმებით ჭამა. „რო დაჟდება სუფრაზე, არ ერიდება არაკაცს, რაზეც მიუწვევს ხელს, შესჭამს ყორფელს, იქანქება ღორივით“; „რო დაადგება, ორ პურს ისე გარაქანქავს, უკან არ მეიხედავს“ (ვ. ბერ., ჟღ.).

ქარშოშინე ნიავი, პატარა ქარი. „ე, ამევიდა პეტერე ქარშოშინე, იქნება გამეიდაროს. ეგია კაი, აპა, რო ამოვარდება ქარი და დაგლიჯავს ყორფელს იგია კაი?!“ (ქეგლ, გაჩეჩ., ძოწ.).

ქაფურე მეტსახელი, საგინებელი. „გიორგიე ქაფურე“.

ქაქანება // ქანქალიე — მომეტებული სიცხე ან სიცივე; „ქაქანება სიცხეა, რავა წახვალ ახლა“ „ქანქალიე სიცხეა“.

ქაქანია დიდი, უზარმაზარი. „იმხელა ქაქანია ბინა მაქ, რაი გვიჭირს, ვერ დევეტევით შითე თუ?“

ქაჭარო მაგარი სიცხე. „რაი გაჩერეფთ მა ქაჭაროში, გრილში გამოით აქით“.

ქელავს სიცხისაგან შეწუხებული არსების ღრმა, მძიმე სუნთქვა, ქოშინი. „ქელავს ძაღლი სიცხეში“ (გაჩეჩ., რაჭ. დიალ.).

ქელენჯო თეძო. „შენ იყავი, რო მეგექცა ქელენჯო აქანე ამოსვლით!“

ქელთა სიცხე დიდი სიცხე, ძალიან ცხელი ამინდი. „ამ ქელთა სიცხეში რამ ამოგიყვანა იმხელა აღმარჩი“. (ქეგლ ლეჩხ., შარაშ. ქერეთო, ალავ.).

ქეფცელე ქაცვი, პატარა წამონაზარდი, ანაქერცლი. „სიმიდე იყო გარატეხილი, მე ვიფიქრე მოაცილეფ თქვა და ქეფცელე ქონია დაკონწიალებული დიდი, გამოვწიე და გარამიჭრა ხელი“.

ქვავაშლა ვაშლის ჯიში, აქვს საშუალო ზომის, წითელი ფერის მაგარი ნაყოფი. ზოგჯერ მას ახალციხურსაც უწოდებენ. „ქვავაშლე იმიტოა კაი, რო დითხანს ძლეფს შენახული, აღდომაამდი გადის, ნემეტანი კაი საჸმელია ზამთარში, თებერვალ-მარტში, რო შეჸკნება მაშვინ, თან დატკპება. მოკრეფის დროს საჸმელათ არ ვარგა, ნემეტანი მაგარია და ბჟავე“.

ქვანთახობა დღესასწაული სოფ. სულორში, ტარდება აღდგომიდან მეთხუთმეტე დღეს. „ორშაფათია ქვანთახობა. უქმე კარა ე ქვანთახობა. მამაჩემი შამოგვაბლობდა სამთელს; წეიღებდა მერე ამ სამთელს და ქვანთახობის ეკლესიაზე შეწირავდა. ქვანთახობა სულორში ვიცოით ჩვენ მარტო. ამ ქვანთახობას სტუმარი უნდა მოსულიყო ძველი და ახალი მოჸვრები ყველე, ბევრი სტუმარი მევიდოდა. ღამე რჩებოდენ, სამ დღეს უნდა ექეიფა სტუმარს ..“

ქვანქვალი უხმაუროდ, ჩუმად სიარული. „გევიხედე გაღმა და აგერ მელიე არ მიქვანქალოფს, თოფი ქე არ მქონდა, თვარა ხელათ

გავაგორებდი მიწაზე“ (შდრ. ვ. ბერ.).

ქვას აციებს დიდი ჭურდია. „ქურდი იყო იმისანე, ქვას აციებდა“ — „ქვას რო შეხედავდა, აციებდა, წამიღებსო ფიქრობდა, იმიტო ვამბობთ ასე“ (შდრ. სახოკ.).

ქვაწონია ხოჭოს სახეობა, მოგრძო ფორმისა, რომელსაც საკმაოდ დიდი საცეცები აქვს. „ქვაწონიასავეთ გოუშვია ულაშები — დიდი ულაშები რო ექნება კაცს, იმაზე ვამბობთ“.

ქვეითრელე ქვევით, ქვემოთკენ. „საქონელი ქე ბალახობს იქითაქითე, გადადენიდი, ნაკარეებია ქვეითრელე ისე“; „ე, ისე ქვეითრელე დაგვჩა თხილი მოსაკრეფი და მოათაეფთ ბარემას“.

ქვერელე ქვევით. „ჩამეიწიე პეტერე ქვერელე და იქინე ნახავ ხეზე დაკიდებულს“ (ჳყონ.).

ქვეყანა ძალზე ბევრი, აუარებელი. „ფსხალია ჩამოყრილი ქვეყანა, ჩამოი, გო, და ახიკე“.

ქვეყნის დუღილი საერთო გლოვა. „თელი ქვეყანა დუღდა იმის ცოდვით“.

ქვიჯალიე დაბალი და სქელი ადამიანი. „ქსენიე იმისანე სიგელეებს დაგიძახებდა, მართალი რო იყო. მე ქვიჯალიას მიძახოდა“.

ქვიჯას ვახტებოდი მოხერხებული და ძლიერი ვიყავი. მთელი ამ ფრაზის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ იმგვარად გადახტომა, როგორც მთქმელის პირობა გულისხმობს, შეუძლებელია. პირობა ასეთია: უნდა ჩაიმუხლო და ხელები ფეხის ცერებზე მოიკიდო; სწორედ ასე უნდა გადაახტე ქვიჯას. აქ ჩანს თითქოს მთქმელის უპირატესობა, მე ამასაც კი ვაკეთებდი და შენ ეს არ შეგიძლიაო. „შენხელა რო ვიყაი, ქვიჯას ვახტებოი“.

ქიზირი, ქიზირობს კანკალი, სიცივისაგან ცახცახი. „გამომიძახეს და სამი დღეი იქინე ვიქიზირე, იმ სიცივეში“. „ჩეიცვი, ბიჯო, ჩეიცვი რო ქიზიროფ, არ ქცივა, კუტა?!“ (შდრ.: შარაშ. ქიზება, ჯაჯან. I. ქიზინი).

ქილი ბუზის კვერცხი. „რო დაგიტოვია ე ხორცი თავგარამძვრალი, ქე მოუყრია ქილი ბუზარას და რაღათ ვარგა ეგი“.

ქილიფთრობა, ექილიფთრება რაიმე სასიამოვნოს თქმა პირში, მლიქვნელობა, ფერება. „პირში ქე მექილიფთრება და ზურგს უკან მიწას თხრის“; „მეიყვანე ახლა იგენი და ექილიფთრე თელი ზაფხული, ხელს წამოკიგრავს რამეზე თუ?“

ქიმე ყვავილიდან პარკობაში გადასული, ზრდადაწყებული ლობიო. „ე, არ დოუწყია ამ ლობიას ქიმეები?!“... „ყვავილში რო გამოვა, პეტერე გრძელი პარკი რო დოურჩება, ე იგია ქიმე“.

ქიმვა, იქიმება ლობიოს ყვავილიდან პარკადქცევის პროცესია. „იქიმება ე ლობიე და იგი მორე [ჯიში] რო მაქ დათესილი, იგი ქე გარაწვა სიცხემ“, „სხვაი ლობიე არ ყვავა ჯერე, და ეგი ქეც აყვავილდა და ქეც იქიმება“.

ქირჩიმალი ძლივძლივობით აწევა. „ქორო ვერ წიკულოფს ბაღანე და წევს მაინც, ე, იგია ქირჩიმალი“; „ბებია, რო აქირჩიმალეფ ამხელა უროს, მოქწყვიტავს წელს“ (ვ. ბერ.).

ქისაყში ჩაყობა ბოლომდე, ძირისძირამდე ჩაყოლა, ჩაძიება. „დამანებე ახლა თავი, რო ჩამყაი ქისაყში, მეტი აღარ ვიცი“ (შარაშ. ქისიმისი ჩაყოლა).

ქიფჩოტი გინებაში გამოყენებული სიტყვა.

ქიშტვა წიწკვნა, დაწიწკვნა. „ქათამს ქიშტავდა და ისე ჰამდა“ (გაჩეჩ.).

ქიჩაობა მოწევა, შენსკენ წევა, მოჰიდება (ექაჩება). „პაიჯობს სტუმარს, ექიჩაება, მოი, შენი ჰირიმეო. რას ექიჩაება, ვერ დაანებეფს თავს, ვითამ ქე უნდა ასე ძაან, პირსაფერობე ეუნება“. „ნუ ექიჩაები, გო, მა სკამს!“ (შდრ.: შარაშ., ქავთ. I. ქიჩმაჩი; ვ. ბერ. ქიჩავი).

ქლისინი ხეხვა. „უქლისინებდა ქვაბს თელი საათი“.

ქოთაო ცხენის ავადმყოფობა (შდრ. ძოწ.).

ქონქი მნიშვნელობა უცნობია, გამოიყენება შედარებაში. „ერჯენ კახელმა კაცმა მითხრა, ჩვენ ვაშს ორმოში ვინახავთო. მეც შევინახე ორმოში, მარა ორ თვეში ქონქივით გახდა, ჩვენთან, იმერეთში, სხვანეირი შენახვა უნდა ხილს“ (შდრ. ქავთ. დაქონქილი).

ქონქორი ცხენის ფუნა.

ქონქოროშად კარგად, ჯანსაღად. „რო ადგა და რო ჩეიცვა, რაფერ კარქათა, ქონქოროშათ“.

ქორების მარიობა „თავს იყრიენ ქორები მაშვინ და ფრინავენ, ირაოს აკეთებენ. ორ კვირესა ასე მარიობის მერე. წუალს არ დალევენ მაშვინ“; „ე, დეიწყო ქორების მარიობა“ (შდრ. ქეგლ. ჩიტმარიობა).

ქორეკალე ასკილი. „ეგი ქორეკალეა, კაია მაი“.

ქორიანჩხელე ავზე ავი ქალი, ტანით პატარა და ჩხუბის დროს

შემტევი. „უბედური ქორიანჩხელეა, თელი ქუჩა აწიოკებული ყავს“, „ქალიშვილობაში უბედური ქორიანჩხელე იყო“ (შდრ. ქავთ. II კორიანჩხელე).

ქორო გამოიყენება წინავითარების გამომხატველ წინადადებაში. „შენ არ აფრიალებდი ზეით, ქორო მამაშენი ეძებდა რაცხას?! სა წეიღე მერე?!“ „ქორო შენ გიყვარს, იმისანე საჭმელია“; „ქორო იქინე იყო, ე, იგია მისი რძალი“.

ქოსარტყვილე მატყუარა, ქოსატყუილა. „მა ქოსარტყვილე, მაი, მაგას რავა დეეჯერება რამე“ (შდრ. შარაშ. ქოსატყუილა).

ქოფარი მნიშვნელობა უცნობია, გამოიყენება შედარებაში, დაიშალა, დაქუცმაცდა. „კვახი რო მოვწიკვე ადრე, დალპა, ქოფარივით შეიქნა“.

ქოქიალი დაღმართში ჯდომით ჩამოსრიალება. „რატო დაქოქიალოფ, ბიჯო, რატო? — ასე არიენ, ასე ქოქიალობენ სულ“.

ქოჩი ხბოს მოსახმობი ძახილი (შდრ. ვ. ბერ.: ქეეჩო!).

ქოციორა ძაღლის სახელი.

ქრისტეს სისხლი ბალახის სახეობა. აქვს პატარა, ოთხფურცლიანი ყვითელი ყვავილი. მონაწყვეტიდან იყონება მოწითალო (მუქი ყვითელი) ფერის სითხე (მაყაშვ. ქრისტესისხლა).

ქუნთულე კვახისა გოგრის რბილი გული. „მაი ქუნთელე ამეიღე, არ ვარგა მაი“ (შდრ.: შარაშ. ქურთელაი, ქურთენე).

ქურჩენე სიმინდის ტაროს ფუჩეჩი. „ზამთარში წუღაში ვიფენდით ქურჩენას, ფეხს თფილათ ინახავს“ (ქეგლ, ძოწ., შარაშ., წერ., ყღ.).

ქუსლა თავი სწრაფად გაიქცა, უცებ მოწყდა ადგილიდან. „ქორო გეიქცევა კაცი, ე იმაზე ვიცით თქმაი, ქუსლა თავიო“. „რო გამევიდა და რო ქუსლა თავი, გავარდა გამწარებული“.

ქუფუცუნე ეშმაკი, აფერისტი, ცრუ კაცი. „უბედური ქუფუცუნე რამეა, მარღი ეშმაკია, პირში გელაპარაკება და ზრუგს უკან მიწას თხრის“.

ქუჩეჩი II **ჩურჩენე** თხილის გამხმარი ბუდეები. „დაჟეი რაცხაზე და ისე ამოარჩიე, ამეღამ უნდა ავარჩიოთ ეგი, ამისანე ქუჩეჩე, ჩენჩქი და მერე წოურეკავ“.

ღ

ღაზუელე 1. ეშმაკი, ბოროტი, უნდო კაცი. „ჰიჰიკია ღაზუელას,

გო, კარაამდი არ ენდობა კაცი“. 2. მეტსახელი (ჩუმჩუმელა კაცისა); „ბიჭიკიე ღაზუელე — უბედური ღაზუელე რამე იყო ბიჭიკიე და დათქვენ ასე“ (ქეგლ, საბა, ღაზო, შარაშ. ღაზვი; ჩიქ. გულღაზოიანი).

ღანიობელე მნიშვნელობა უცნობია, გამოიყენება შედარებაში „ღანიობელასავეთ გარაქცეულა“, ძალიან გამხდარია. „ღანიობელას დამგვანებია“; „გამოყვავებულია ბაღანე, ღანიობელასავეთა“; „შეხედე რა უთხრა ამ ღანიობელამ, ამან!“ „ღანიობელე — გადატ. სუსტი, გამხთარი, გაყვითლებული.

ღარადო ხვრელი. „რო მოალ მე თფილიში, სარძიკველ ქვეშ ღარადოს ვტოვ, კატა რო შამევიდეს სახში თაგვის დასაჭერათ იმიზა“.

ღარტაპო შამბიანი, ეკალ-ბარდიანი ღელე, ხრამი. „სტორათ უნდა გამოუშვა ხეი, თვარა თუ გარავარდა ამ ღარტაპოში, დეეშვიდობე მერე, ვერ ამეიტანს ეშმაკი“ (ქეგლ რაჭ., ვ. ბერ. რაჭ.).

ღარღალი ყელისმიერი ბგერებით ლაპარაკი, ყელში ლაპარაკი. (ქეგლ, ვ. ბერ., გაჩეჩ., ძოწ.)

ღარღალი დედლის სიმღერა. „ხანდახანდე იცის მოფსებულმა დედალმა ღარღალი“ (შარაშ.).

ღარღალე მეტსახელი-საგინებელი, ხმამაღლა, ყელს ზევით მოლაპარაკე ადამიანს ეძახიან.

ღაღანიე თბილი, სასიამოვნო. „რა კაი ღაღანიე ბზეია“.

ღაჯადურობა ჩხუბი, აყალმაყალი. „მაგისანას რო ეტყვი ქმარს, ქე შეიქნება მერე ღაჯადურობა“; „ცოლ-ქმარი ასე ღაჯადურობს სულ, რო არ ჩხუბობდეს, იმისანა ცოლ-ქმარი არ მინახავს მე“ (შდრ. ქავთ. ი. ღაჯური).

ღდინში ჩადგომა გასაქანის არ მიცემა. „ღდინში ჩამიდგა მარა მაინც დოუძვერი ხელიდან“ (შდრ. ქეგლ, ვ. ბერ., გაჩეჩ.).

ღებჩო ნაპრალი. „იმიხელა ღებჩოა დატოლი ამ კედელში, ქე ვერ გაათფოფ ამ სახს და... მიაჭედე რაცხა“.

ღენჭეპური ნიგვზის ნაჭუჭი. „აუ, რათ ვარგა შენი დარჩეული [ნიგოზი], ღენჭეპურეა თლათ შითე“ (ქეგლ, შარაშ., გაჩეჩ., ჟღ.).

ღერწე ღერძი. „ღერწე გოუტყდა, ღერწე ურემს“ (შდრ. გაჩეჩ., ძოწ. ღერძა).

ღვანღვალი გიდელზე გამობმული მოხრილი ჯოხი, რომლითაც კიდებენ გიდელს ხის ტოტზე. „ღვანღვალოსავეთა“ იტყვიან მოხრილ

მოხუცზე. „გიდელს ცეცხლი ეკიდა და ღვანღვალი იცინოდაო“ (ანდაზა) (ქეგლ, ვ. ბერ., შარაშ., ყღ.).

ღვარღვაში სადა ნაჭრის ლაპლაპი, ფერთა ცვალებადობა (მაგ., ხავერდი, ატლასი). „რო ღვარღვაშობს ეგი, იმიზაა კაი ნაჭერი, თვარა ისე კარ ივარგეფს“; „კაბა აცვია იმისანე, ღვარღვაშობს სულ“; „აღვარღვაშებულია, კაი ღვარღვაშელე კაბა აცვია“ (შდრ. შარაშ. ღვარღვაშაი, ჩაღვარღვაშებული — გრძელი ტანსაცმელი (განიერი)).

ღვინის ნაყლანწავი აღარა ღვინის ხშირი სმისგან დასუსტებულია. „ავათა, ღვინის ნაყლანწავი აღარა...“

ღვინის გარაბრუნება „გამოფხიზლებას რო დეიწყებს, ე. არც თვრალია და არც ხიზელი. გაროუბრუნდა ღვინო ახლა, გამეიხიზლებს აწიო, ვიტყვით“; „ღვინო რო გაროუბრუნდება ჩემ ძამიას, ცხვინკება ოუტყდება მაშვინ“.

ღიზინი მოთხოვნა, გამოდევნა სიტყვაზე, გამომწვევი ჩხუბი. „ახლა რო დოუწყო ჩემ ძმას ღიზინი ჩემი ვალი მემე-მეთქინ, არ ივარგეფს, წევე ქე მყავს ვინმე მომვლელი, მოხუცებულობაში გამიხსენებს მერე...“ „რას მეღიზინება, რაი უნდა...“

ღინტაღინტე ცუდ მჭამელს, უმადოს, ჭირვეულ ბავშვს ეძახიან. „ეი, გო, ღინტაღინტე როა, არ ვიცი მე?!“ „მა ღინტაღინტა ბაღანას ვერ მოუვლი მე...“

ღირკალე ვენახის ნასხლავი ლერწი. „ახლა თვარ მოხიკე ღირკალე, ქე დაჭხვთება თესვაზე, რაღას იზამ მერე?“ „ე ღირკალე თვარ ავხიკეთ ახლა, თოხს ვერ გაანძრევ ვენახში მერე, რათ ვარგა“; „ბზეი რო დაბნელდებოდა, მაშვინ მარტო ვენახის ღირკალას მეეკიდეებოდა ცეცხლი. მეტს არაფელს. ვიბზადებდით ამიზა“.

ღიღილო ქათმის ბიბილო. „ე, გარაკეცილი ღიღილო რო აქ, იგია ჩემი“ (ვ. ბერ. ღირღილო).

ღლაპურწი (დაღლაბურწობს) უსაქმოდ, მოთენთილად, ქანაობით სიარული. „რას დაღლაპურწოფ, ბიჭო, თელი დღეები ტყულათე“; „არ გამუა მაის ხელიდან კაპიკის საფასო რამე, თელი დღეი დაღლაპურწობს უშნოთ და ქია ასე“.

ღლოფინი ღორის მიერ თავისებური ხმის გამოცემა გოჭის ჭყვირილის გაგონებაზე. „გოჭს რო გოუწვალებენ, ღლოფინი იცის დოდო ღორმა“.

ღმერთის გაჩენილი იღბლიანი, კარგი ბედისა. „თამარე ღმერთის გაჩენილია, იმას ეტოლები შენ?!“

ღორისპაკუნტელე ბალახის სახეობა (ა. მაყაშვ. პირწმინდა, ლეჩხ.).

ღორკვახე ცუდი ჯიშის კვახი, საჭმელად უვარგისი. „კაი მეგონა ე კვახი, დავთესე, ამევიდა, მეიბა და არ ვარგა არაფლათ, ღორკვახეა თლათ“ (ქეგლ, ძოწ. ღორაკვახა).

ღორტუნჩიე ძუნწი. „ღორტუნჩიე წირე კაცია“; „დიდი ღორტუნჩიე კაცია მაგი, ნამდვილი ვაჭარია“.

ღრაკი მეტსახელი. „დავითიე ღრაკი“.

ღრანჩე მეტსახელი, საგინებელი.

ღრენჭო (ღრიჭო) ხვრელი. „დამვიწყებია რეიკის მოუედვა კედელზე და ღრენჭოში ქარი არ შამოდის თლათ?“ „რავარც გახმა ე ლამფები, თლათ დაღრენჭოვდა“.

ღრიცინი, ღრიცინობს 1. ნელა მბრუნავ წისქვილზე იტყვიან, წყალი რომ არ ყოფნის. „ჩვენთან წყალი რო არ ყოფნიდა წისქვილს და სულ ღრიცინობდა, ერ ფუთს არ დაქფავდა დღეში“. 2. ნელა, გაბმული, მონოტონური ლაპარაკი. „ასეთ კაცზე იტყვიან: „ღრიცინობს გლახა წისქვილივით, რაი გოუძლებს მაგას“.

ღრომობა მძიმე ავადმყოფობა (იღრომა — იავადმყოფა, დაავადმყოფდა). „პირველათ კაი წამოწყება ქონდა [ნერგს], მარა მერე რაცხა შეწუხთა, იღრომა, იღრომა და ახლა ქე ხედავ რავარცხაა“.

ღრუნჩალიე ჩუმი, ულაპარაკო, სიტყვაძვირი. „ქე არ იტყვის რამეს, ღრუნჩალიეა და...“

ღუნწაპე ძუნწი. „ვაი, რა ღუნწაპე ხარ, ბიძია, რაი!“ (ქეგლ, ვ. ბერ., გაჩეჩ., ძოწ., გრ. ბერ. ჯავახ. ღუნწი).

ღუნჭალე ვაშლის ნარჩენი. „ისე შეჭამა, ბიჯო, ღუნჭალე აღარ დატუა“.

ღურჭუმალე ჩაღრმავებული ადგილი, მოზრდილი ხვრელი. „ქვაი ჩავყაროთ ამ ღურჭუმალაში, თვარა ფეხი ჩოუვარდება საქონელს შითე და მოტყუტება ფეხი“.

ღუტუ გოჭის მოსახმობი ძახილი (ვ. ბერ., ძოწ.).

ღუჭუნი ბავშვის ღუღუნი. „ხუთი-ექვსი თვის ბაღანამ იცის ღუჭუნი“.

ღჯანვა უშნოდ სიცილი. „რას იღჯანები, ბიჯო, შენ?!“

ყაზითად უთხრა პირფერობით სასიამოვნოდ უთხრა. „მაი ყაზითად უთხრა, მართლა კარ გოუკეთეფს, რო დაჭირდეს...“ (ქეგლ ყასიდად).

ყაილა ზედმეტად ამაყი, თავნება, მოჩხუბარი. „ყორფლაამდი კაი კაცია, მარა ნემეტანი ყაილაა, ფჩხილის დონს არ კორინოფს რამეს“. „თითონაც უშნო ყაილაა რაცხა მაი...“ (შდრ.: გაჩეჩ., ქავთ. I., ვ. ბერ. ჩხუბი; მოჩხუბარი).

ყაილაზეა ჩხუბის საბაბს ეძებს. „რას ჩივა ახლა იგი, ყაილაზეა, ჩხუბი უნდა და!“

ყალიჩავა მეტსახელი გრძელკისრიანი და არაპროპორციული ტანის მქონე კაცისა. „აბა, ბიჯო, ყალიჩავა, / შენ ჭურებში წყალი ჩავა“; „ყალიჩავას უძახოით მაგას, დიდი კისერი აქ და იმიზა“.

ყანყალე რწევით მოსიარულე მაღალი კაცის მეტსახელია. „ვანოიე ყანყალე“.

ყაპყაპი ჩახლეჩილი ხმით ყვირილი. „წუხელ ვერ გეიგონე? მელიეს ლეკვი თელი ღამე ყაპყაპობდა ეგერ ტყეში“.

ყარა პირვანდელი მდგომარეობა. „ნაჯახი პეტერას ეირია, მარა მის ყარაზე დადგება მალე“.

ყასარა (მანეთი) „ყასარა მაანთი ღირს ეგი?!“

ყაჭაყაჭანი ხმაური, ყვირილი, გაურკვეველი ხმები. „რაფერ ყაჭაყაჭანია ეგერ, ეგონება ვიცხას, უზარო ჩხუბიაო“ (ვ. ბერ. ყიჩინი, ქავთ. II).

ყელი-ყელში გადადება იანვარ-თებერვლის შესაყარზე იტყვიან. ამ დროს ხშირად დიდი თოვლი იცის და ამაზე ითქმის. „იანვარ-თებერვალი ყელი ყელში რო გარადებს, სამი დღის შეშა და წყალი სახში უნდა ქონდეს მობზადებული“.

ყელსული ოთახი ფიცრული ოთახი. „მერე რა სახლია, ბიჯო, უკან ყელსული ოთახები აქ სულ!.“.

ყვითელი ტყემალი ტყემლის ჯიში.

ყვინთარიე მეტსახელი ადამიანისა, რომელიც თითქოს თვლემის მდგომარეობაშია. „შალიკიე ყვინთარიეს საქონელი შესულა ყანაში და დოუქცევივარ თლათ“.

ყვინთილი ყვინთვა. „აღარ მოწყინდა ამ ბაღანას ამდონი ყვინთილი წყალში?! აღარ გამოდიხარ ამ ვანიდან, ბიძია!“

ყვიბი ღრუბლიანი, ნისლიანი ჩამობურული ამინდი. „ამისანე ყვიპია, რო სპობს პამიდორს, არაფლიზა არა ეი კაი"; „გლახა ყვიპიანი ამიდია, ხასიაც აფუქებს ამისთანე ამიდი" (შარაშ. ალავ. ლეჩხ.).

ყვირაბე საერთოდ დიდი ზომისა და მოცულობის ჭურჭელი. „ე, გეიცალა ე ყვირაბე ახლა და რაცხა გინდა ჩაასხი შითე"; „რამიხელა ყვირაბეა ე ჭური, რა ამოაფსებს ამას"; „დიდი ჭური მაქ ყვირაბე, რაღათ მინდა აწი, უნდა მივატოვო, ღვინოს ვეღარ ვაკეთეფ აწი და... ჩეინტროვა აწი და ჩავა წყალი..." (საბა ყვიბარო, გაჩერ. ყვირაპი).

ყვლიპავს თვალებს დაყინებით და უაზრო თვალებით მზერა. „რამდონი ვუძახე და აგერ ჟდანა, ყვლიპავს თვალეფს" (წერ. გამოყვლიპინება თვალებისა, შარაშ. თვალდაყლიპული).

ყვლიბათ დარჩენა ხელცარიელად, ცარიელ-ტარიელი დარჩენა, გაწბილებული ყოფნა. „ბიჭი თვარ ეყოლა, ქე მოტაცებენ იმ გოგოს და დარჩება ყვლიპათ".

ყვლიბინიე გამომეტყველებაში თვალები რომ გამოიყოფა წინა პლანზე უშნოდ. „სა ნახა, ამისანე ყვლიპინიე რო მეიყვანა, მაგას რავა შემოუშობდა კაცი სახში".

ყიათში არ მომწონს თვალში არ მომდის. „ეგი ასე არ მომწონს მე რაცხა ყიათში..."

ყინტორა „წყაროს ყინული" (საბა); გადატ. ძალიან ცივი. „ეგერ დოქში მაქ წყალი, ცივია ყინტორასავეთ, შეი და გამეიტანე". (საბა; შარაშ. ყინტარო).

ყინწიხთავობა ზოზინობა, უგერგილოდ საქმის კეთება. „მე დავკრავ ფეხს და ქე წავალ პირველ აგვისტოს, თქვენ დარჩით აქანე და იყინწისთავეთ რამდენიც გინდათ".

ყირწი ყუნწი. „გასაყიდათ თუ გინდა ბალი, ყირწი უნდა შეაყოლო, წონაშიც ქე მეიმატეფს და ისეც არ წახთება".

ყიფსინა მნიშვნელობა უცნობია, გამოიყენება შედარებაში: ძალიან ცივი. „ყიფსინასავეთ მაქ გარაქცეული ფეხები, ამეღამ თუ გავაწიე, დიდი უნდა".

ყლონჭი კისერი. „ტარიელას ტაკებოდა ყლონჭში, რაღმე მეეკლა, ჩხუბი უქნიათ" (ქავთ. I, შარაშ., ძოწ. ყრონტი, ჯაჯან I, მოყლონჭვა).

ყლუჭუნი ხმაური (მუცლისა). „მუცელი მიყლუჭუნოფს უბედურათ, მარა ლობიე არ მომწამლავდა და..." (შდრ.: ქართლ. ლექსიკ. აყლეჭინებს).

უორფელი უველაფერი.

უორყინტე უელი; ხორხი. „მოი, ბიჯო, მოი, გამიგჯა ყორყინტე ამდონი უვირილით“. „არა კაი ჯერე ფსხალი, მარა გეისოლეფ ყორყინტას“ (ძოწ., გაჩეჩ.).

უოჭპანი ხმამაღალი, გაურკვეველი ლაპარაკი რამდენიმე კაცისა, განსაკუთრებით ბავშვებისა. „რავა ყოჭპანობენ ურიეს ბაღნებივით“; „რა ამბავი უოჭპანია ხო ხედავ თხილეფში, თხილის სტველი ახლაა ჩვენთან, ჩვენი სტველი ეგია“.

უოჭყოჭი ხმაური, აურზაური, აყალმაყალი. „ერთი დავილი და ერთი ამბავია იმ ზეით... რა ამბავი უოჭყოჭია, თუ იცი!...“

ურუალე (თხილის ხე) უნაყოფო თხილის ხე.

ურუალე ხეი ლაფანი. „არაფლათ რო არ ვარგა ურუალე ხეი, არც სამასალეთ, არც საქონელი ჭამს მაგას. თოხის ტარათ ვიცით გაჭირვების დროს დაგება, მარა არც იმათ ვარგა; ისე ლამაზი ქეა, გეგონება რო შეხედავ, რაცხა“ (ჯაჯან. I),

ურუობა გაუნათლებლობა, შეუგნებლობა. „ქალი მეეწონებოდენ, წრეს დეიწუნებდენ, თუ გლახა იყო წრეი და დაანებებდენ თავს, გლახა წრეი უავსო. ასე იყო მაშვინ და ურუობა იყო თუ რაი იყო, აი არ ვიცი!“ (ქავთ. II, რაჭ. დიალ., ქართლ. ლექსიკ.).

უუპარი პატარა, მომცრო ჭური. „პეტერა უუპარში მქონდა გარაღებული ღვინო, წყალს ვასხამდი ზეით, მარა მაინც დაძმარებულა, ვერ გოუძლო ამ სიცხეს“ (ჯაჯან. II, ყღ. გურ.).

უურდაფსებული სმენადაკარგული. „მაგი ვერაფელს ვერ გონილოფს, უურდაფსებულია“ (ქეგლ უური დაევსება).

უურდაფშუკული იგივეა, რაც უურდაფსებული — სმენადაკარგული.

უურის წაწვა ბევრი ლაპარაკისაგან უურის გამოჭედვა, შეწუხება. „გაატყაპალა ამ ბაღანამ ენა, არ წამწვა უურები?!“ (შდრ. სახოკ. უურების წაღება).

უურსაკიდე თხილის უვავილი, გამოიღებს იანვარ-თებერვალში. „აგედროს უურსაკიდე არ შეილება თხილიზა. შეილება თლა გაცუდალდეს თხილი...“

უურსონიკი დიდი კაცი, ნასწავლი. „მეეწყობი უმაღლეში თვარა, გამოხვალ ახლა უურსონიკი“; „არ გამოხვალ, ნუ გეშინია, უურსონიკი!.“.

ყურყული კუშტად მზერა. „აყურყულებს თვალებს"; „რავა აყურყულეფ თვალებს გულმოსული ძაღლივით".

ყურყული „ყ" ბგერის გამომცემი ან მისი მაგვარი ხმაური. „საჰმელი რო ვჭამე, ერ საათს მერე დამიწყო მუცელმა ყურყული" (ქეგლ ყურყური).

ყურყუმალე ბნელი, ძალიან შავი. „უბედური ყურყუმალე ღამე იყო!" „ერთი ყურყუმალე ძაღლი ყავდა, ბუზარეს გაფრენა არ გამეპარებოდა" (ქეგლ, ქღ. გურ., ქავთ. მოხ.).

ყურში მოკიდება ხელისა საქმისათვის ადვილად წარმოდგენა რაიმე საქმისა, გაუაზრებელი გაიოლება წინასწარ. „შენ ყურში კი ნუ კიდეფ მა საქმეს ხელს!" „ეგენი რავა ყურში კიდებენ საქმეს ხელს!"

ყუყზე დახვლა უკიდურესობამდე გაჭირვება. „აღარაფელი აღარ გვაქ, დასული ვართ ყუყზე, აღარ უნდა გეიგო?!" (გაჩეჩ., ძოწ. ყუყზე დააყენებს, რაჭ. დიალ. ყუყზე მივა).

ყუყზე საქმის დაყენება საქმის დასასრულს მიახლოება. „მივაყენეთ საქმე ყუყზე, ერთი ჰეი, და ქე ევიტანთ ამ სვრელს დაღამებაამდი" (შარაშ. ყუყზე მიყენება).

შ

შაგრუმალი შავგვრემანი. „შაგრუმალი კაცია მაამისი და თლა გავს ე ბაღანე იმას" (ძოწ., რაჭ. დიალ. შავგვრიმალი).

შავბალე ბლის ჯიში.

შავი ადესე ყურძნის ჯიში.

შავი ალადასტური ყურძნის ჯიში.

შავლელვე ლელვის ჯიში.

შავი ტყემალი ტყემლის ჯიში.

შავი ფსხალი მსხლის ჯიში (ძოწ., ალავ. ოკრიბ., ალავ., რაჭ. დიალ. შავსხალა).

შავი ჩხაველი ყურძნის ჯიში (შარაშ. ჩხაველი).

შავი ბუველე არ მომითხაროს ეზოში ვერაფერი დამაკლოს. „გული მოუდა ჩემზე თვარა... შავი ბუველე არ მომითხაროს ეზოში. მაგის ჯავრი მაქ?!"

შამოჟდება ხრიკიან თავზე წუერი ისევ დაგჭირდები. „არ მიკეთეფ ხო, შამოჟდება ხრიკიან თავზე წუერი“.

შანგილე გამოიყენება შედარებაში, აღნიშნავს შავ ფერს. „რო გაშავებულა შანგილასავეთ, ვერ წეიყვანა ი ბაღანე?!“ აგრეთვე: „გაშანგილებულია ნუგუზალესავეთ“ (შდრ. ვ. ბერ. შანგული — გრძელი რქებიანი ხოჭო, არის შავი და თეთრი).

შანქლიავე შავი ქლიავი (შავქლიავა). „შანქლიავეა ეგერ და საკრეფიეთ მოკრიფე, სადაც წიფე იყვეს“ (ყღ. გურ.).

შარაზე დარჩენა ხელცარიელი, უსახლკაროდ დატოვება, გაცრუებულად დარჩენა. „იმისანა რამეს გოუკეთეფ, რომე დარჩება შარაზე!“

შაქარი მოუცივა პირში კარგი ხასიათისაა, სასიამოვნო მოსაუბრეა, თბილი ბუნებისაა. „კაი ქალია მაი კაი, შაქარი მოუცივა პირში“ (შდრ. სახოკ. შაქარი ამოდის პირიდან).

შეაზნოულა ავნო. გამოყენებულია ნათვალების ლოცვაში. „ალიახორი, მალიახორი, გამჩენო, შენ დოუფსე თვალი და ყური, ვინაც ავი თვალით შეხედა, შეხელდა, შეაზნოულა ამ ადამიანს“ (შდრ.: ქეგლ შეაზნევებს; გაჩეჩ.; ჟღ> გურ. შეაგირზინოულა).

შებანიება (შემებანია) შეცილება, შეზიარება; უდროოდ შეყრა. „ა, შემებანია ახლა, ვაკეთებდი კარქათ, რაღა ახლა შემებანია ე საჯანაფიე“; „რაღა მანდამაინც ახლა შემებანია მაი“ (ქავთ. აბაინება).

შებუნობა შეწოვა, გაჟღენთვა. „დააყარე ახლა მაგას [კამპოტს] შაქარი და გააჩერე პეტერა ხანს, უნდა შეიბუნოს შაქარი, მერე იქნება კაი“; „დააყარი ბევერ მარილს, შეიბუნობს მარილს ხორცი და შეინახება დითხანს“.

შეგვერგვა დახვევა. „შეგვერგვე ე ქვეშაგებელი და გეიტანე იქით“.

შედგომა დამართვა. „გო, ჩეიცვი, რაცხა, ჩეიცვი, თვარა შეგიდგება რაცხა უბედურობა“; „ისე დეიარება ე ბაღანე, ფილტვების ანთება შოუდგება“.

შედეზვა საქმისა საქმისათვის თადარიგის დაჭერა, წინასწარი მუშაობის ჩატარება; საქმის შენს სასარგებლოდ წაყვანა. „მაგას აწი ქე გავაკეთეფ, აპა რა იქნება, რაღამც ასე შეიდეზა საქმე“; „იქიდან მოუარე, აქიდან შოუხვიე, ნელ-ნელათე შედეზე საქმე“.

შევახშება მთვარისა მთვარე რომ მაღალი ვახშმობის დროს

(11 სთ-ზე) ამოვა, იმაზე იტყვიან: „თვარემ შეივახშმაო“; „თვარის ამოსვლას რო დოუცადოთ, გვიან იქნება, ახლა თვარე შევახშმებულია“.

შეთავხელება საქმისა საქმის გაკეთება, მოლევა (ნ. შეკაცრიელება). „შევათავხელე საქმე“ (ქეგლ, შარაშ. მოცლა, დროის შოვნა).

შეთალაკინება ბევრი შეშის ერთად შერთვა ცეცხლში. „რა ამბავია, ამდონ შეშას რო უთალაკინეფ ცეცხში, აღარ გინდა აქანე გაჩერება?!“ „ვაპოფ შეშას, უთალაკინეფ, არ ადგია საშველი, კედელ-ყურე არ გათფა“; „უთალაკინეფ შეშას და ვერ თფები მაინც. ზრუგში ქე ქცივა, წინ წიები გეწვება, რათ ვარგა, კაცო!“

შეთურთლული იტყვიან ნაკვერცხალზე შემწვარ სიმინდის ტაროზე, როცა სიდამწვრე მოეკიდება, მაგრამ კარგად შემწვარი ჯერ კიდევ არაა. „დიდი ცეცხლი არ უნდა, თვარა შეითურთლება და შემწვარი კარ იქნება“.

შეკაცრიელება ხალხისა შემცირება, შეთხელება, შეხალვათება. „მაინძლები აგერ დაჟდებიან თლათ, მერე რო შეკაცლიერდება ხალხი, მერე ქე დაჟდებიენ იქინე სტოლზე ფართეთ“.

შეკაცრიელება საქმისა საქმის სანახევროდ გაკეთება. „შევაკაცრიელე საქმე, აწი არ მიჭირს რამე“.

შეკეთება შეზავება წინაწვერისა და არყისა. „უნდა შეაკეთო ე ოტკა, თვარა ძაან მაგარია“.

შეკვირისტავებული თითისტარს იმდენი რომ დაეხვევა დართული ძაფი, რომ იგი დამძიმდება და კვირისტავი აღარ დაჭირდება. ამაზე იტყვიან თითისტარი „უკვე შეკვირისტავებულიაო“.

შეკუნკვა ჩუმად, სხვათათვის უჩუმრად დამალვა; მოხრილად სიარული. „ამან კარ უთხრა არაფელი, შეიკუნკა სახში“.

შეკუჩუნდურება გაწყრომა, განაწყენება, უცებ გაბრაზება. „მასე შეკუჩუნდურდა მაი გუშხამ და ქე მობრუნდა მერე“.

შემთქვირება ოდნავ შემწიფება. „არც წიფეა და არც კუხე, შემთქვირებულია ისე“; „აწი კაი საჭმელია, შემთქვირდა ქლიავი“; „პეტერე რო შემთქვირდება, მერე კაია შანქლიავე“ (ჯაჯან. I).

შემთქვირებული დამწიფებული, დარბილებული, დამტკბარი ხილი. „ჯერე შანქლიავე არა წიფე, აი რათ ვარგა. პეტერე შემთქვირებული თუ არა, ისე წატეა“ (შდრ. გაჩეჩ. ამთქვირებული).

შემცნობი ადამიანი შემტყობი; ადამიანი, რომელიც ამოცნობის

ნიჭითაა დაჯილდოვებული. „სახე უჯერებს ადამიანს, კაი შემცნობი ადამიანი არ შეცთება ბევრში, ადამიანს სახეზე იცნობს, რაი ყრია შითე“ (შდრ.ქეგლ).

შემჭივნე თანაგრძნობის გამწვევი. „ჩემი შემჭივნე რო იქნება მეზობელი, იგი მიყვარს მეც, თვარა ოხერი და მამაძაღლი რათ მინდა“ (შდრ. შარაშ. გულშემჭივრნე).

შემხავება ოდნავ შეჭკნობა, ხმობაში გადასვლა. „რაფერ დაარჩევ თხილს, თუ არ შემხავდა პეტერე“.

შემჩხვალი ხეს მოჭრიან და დატოვებენ ორ-სამ თვეს. თავისი წვენი გამოუშრება, კანიც ოდნავ შემოულპება. ასეთ ხეზე იტყვიან „შემხჩვალია ხეიო“.

შემხავებული ოდნავ შემპალი. „შემხავებული ე ხაბურზაკი, ნამეტანი წიფობისგანა ასე“ (შდრ. ქეგლ შემხავრებული).

შენახვდომი ავადმყოფობა, რომელიც მეტწილად წყლიდან (ღელიდან) ამოჰყვება ადამიანს (გრძნობს საერთო სისუსტეს, მისცემს სიცხეს და ა. შ.). ლოცვა: „შენახვდომო დედიანო, შენახვდომო მამიანო...“ „ღელეში იცის შენახვდომი. რო ჩავალ ღელეში მეშინია. უნა ჩავაფურთხო წყალში და უნდა ვთქვა: „წყალო შენი ნათრული ვარ, ნათლიღებას ნათრული ვარ... არ შემხვთე წყალო, არ შემხვთე სამაამდი ვიტყვი“ (შდრ. ქავთ. II მონაყოლი).

შენ დაბერდი სასაცინოთ — ეტყვიან ბავშვს, როცა რამეზე გულიანად გააცინებს სხვას, ე. ი. ისეთ ღრმა მოხუცობამდე მიაღწიე, რომ სასაცილო გახდე. „შენ დაბერდი სასაცინოთ! რაფერ მაცინა ამ ბაღანამ!“

შენდომება ერთმანეთზე მისაკერებელი ნაჭრებიდან, ერთი როცა მეტი სიგრძისაა, მაშინ ამ უკანასკნელს მიკერების დროს თავისუფლად გაუშვებენ, ხოლო მეორეს, მოკლეს, გაუმავენ. ასე რომ, სიგრძით ისინი ბოლოს ერთი გახდებიან. ამას ეძახიან მიკერებისას შენდომებას. „ეგი შეანდომე, შეანდომე, თვარა მერე გძელი დარჩება და შემოკეცვაზე გაგარწვალეფს“.

შენი სიზარმაცე შენ ქონდეს ეტყვიან, როცა ვინმე გაიზმორება. „რო გააწოდინეფს კაცი და აგერ ვუდანვარ მე, გარმოა ჩემზე სიზარმაცე. ვეტყვი რომე, ნუ მაწოდინეფ აქანე, შენი სიზარმაცე შენ ქონდესო“.

შეოდოშებული სიმინდი, რომელიც სიხმელეს დაიწუებს; არც

ნედლი, არც ხმელი. „რო შეოდოშდებოდა სიმიდე, ვინ აცლიდა თლა გახმობას, მოვტეხავდით, გავახმობდით ბზეზე და დავქფავდით. რო მოგვაკტებოდა მარიობისთვეში სიმიდე, მაშინ ვიცოით შეოდოშებული სიმიდეს მოტეხვა“.

შეპრიტინებული შერეკილი, სულელი. „დიდი შეპრიტინებული ვინცხაა ე ჩვენი ახალი რძალი, დევიღუპეთ, რაი გვეშველება მაის ხელში“ (ქეგლ, ჰყონ. შეპრენტილი, რაჭ. დიალ. შეპინტრიკებული).

შებუწკუნება შებრაწვა, ოდნავ შეწვა; „შეინახე ე ხორცი, შეაპუწკუნე მერე და ჭამე, რო იცი, რაი ვჭამოო“.

შეფერთხილი გამხდარი. „რაფერ შეფერთხილია, ნემეტანი ნერვიულოფს“.

შეფიზიკება შეზიზღება. „ამ საჭმელზე არ მიმიდის რაცხა გული, მეფიზიკება უბედურათ“.

შექფილვა ფქვილის შეზელა საფელამუშე მაჭრისათვის. „ე, შექფილე აწი ფელამუში და მერე დავასხათ საინებზე“.

შეღარღილება მელიისა და სხვა მტაცებლების მოსაგერიებლად, შესაშინებლად შეძახილი. „სა, მურია, სა, მურია... არიქა, არიქა, არიქა!.. — ასე შოუღარღილეფთ და გეიქცევა, იბრუნეფს პირს“.

შეყვინჭილება მაგრად შეკვრა. „შოუყვინჭილებია ამ კვირკობისთვეში გალსტუკი და იხჩობა კაცი“.

შეშლილი სახე შეცვლილი, არაჯანმრთელი გარეგნობა, სისუსტისაგან სახეარეული. „მარუსას რაცხა სახე შეშლილი აქ. ავათა, მაი ავათ. ძალითე დაფერფეტობს“.

შეჩითვა გარშემოკვრა რაიმესი; გაწყობა. „კაი ფიცრებია, ეყოფა კარა. ეი შეჩითავს თელ სახს“.

შეჩქვეფებული შეშინებული, შიშმეპარული. „კაი შეჩქვეფებულია ახლა მაი, რო გარმოარდა ხიდან, მარა ვერ ამხელს, იქნება დაშინდეს და აღარ შევიდეს აწი“ (ჯაჯან. II შეჩქვეფება).

შეცანცალება ოდნავ მოცილება, აცილება. „მა ბოლზე შეგიცანცალდება ერთი ხელი და... მორჩა, ჩამოარდები ძირს“.

შეწკვენტილი ზემოთ აპრეხილი. „შხლაკვა იმისანა სირმებით იყო გაკეთებული, მერე უკანაც და წინაც შეწკვენტილი იყო“.

შეწუენილი მუცლის მოშლის საშიშროებისას შეწუენილის ლოცვას შეულოცავენ ადამიანის ან საქონლის საჭმელს. შემდეგ მას აჭმევენ შესალოცს იმ რწმენით, რომ მუცელი აღარ მოეშლება (შდრ.

ქეგლ შეწყენილი გურ. ოდნავ მუცელატკივებული ორსული).

შეჰენჭვა ოდნავ დასველება, დანამვა (მაგ., ოფლის მოდენისას). „არ შექჰენჭა პეტერავოთ, ბიჯო, ოფლი არ მოგდინდა?!“ (შარაშ.).

შეჰენჭილი სველი, სითხის შემცველი; ჰაჰა, რომელიც არაა კარგად გამოწურული და ღვინის წვენი ბევრი აქვს შერჩენილი. „ჰაჰა პეტერე შეჰენჭილი თუ იქნა, მეტი არ უნდა ჟურათ“.

შეჰინჭილებული ოდნავ ნასვამი. „კაი შეჰინჭილებული იყო, ჩვენთან რო მევიდა, დაამატა პეტერე [ღვინო] და ქე დათვრა“.

შეხიჩინება ღიტინი. „ნემეტანი გლახა ხასიაძეა, დანა პირს არ უღებს, შოუხიჩინე პეტერე, იქნება გეიცინოს“ (შდრ. გრ. ბერ. ხიჩხიჩ).

შეხლეწვა შენგრევა, შეტეხვა. „უბედური ძროხა ყავს ელენიას, შეხლიწა ბოსტნის ღობე და შევიდა შითე“.

შეხურება თხილის დაობება (გამოუშრობლობისაგან). „თვარ გოუკაკილე თხილს, შეხურდება და დალპება“ (შდრ. ქეგლ).

შეჯგლეთანი რაიმეზე ერთად ბევრი ხალხის მისვლა, შეყრა; არევ-დარევა, შეხლა-შემოხლა. „ესეცა ხალხი, არი ერთი შეჯგლეთანი“. (შდრ. წერ. ჟგლეთა, ჯგლეთა, ქავთ. ჯგლერთა).

შეჯგროვდა შეგროვდა, თავი მოიყარა. „სუფნიკის ქვეშ შეჯგროვდა ჯინჭველები ფინჩხები რო ეყარა იმიტო“; „კივილი რო გევიგონეთ, იმ წუჩი შეჯგროვდა ხალხი“.

შვაამლობა შუამავლობა.

შვიდობით შენი ზიარი კვატიე დაემშვიდობე საქმეს, მორჩა, გათავდა. „თუ გარაგიცთა პეტერა მა ხრამში ფეხი, შვიდობით მერე შენი ზიარი კვატიე“.

შვიდოულის აღება შიმშილობა („არ ამაღებია შვიდოული ამ კაცმა?!“ ე. ი. მაშიმშილა).

შიგნითური გოუკეთა ჰიდაობისას ერთ-ერთი ილეთია. გადატ. უეშმაკა. „იმისანე შიგნითური გოუკეთა, ვერც მიხვთა“.

შითე შიგნით. „დამუწე, ბიძია, პირი თვარა ბუზარე ჩაგივარდება შითე“.

შიშ! ხარის სიარულის შესანელებელი და გვერდზე გადახვევისათვის შეძახილი.

შიშქანქალაშია შიშში, საფრთხის მოლოდინშია. „დეეჩემა, არ მოკლავს მარა, ხო იქნება შიშქანქალაში სულ. სულ უნდა იქნეს შიშქანქალაში“.

შოუსტვენდი შევწვდი. „ვერ შოუსტვენდი, გო, მე და გარაკიდე ეგი“.

შრალი პური მარტო, უყველო პური („ისე პური“), ყველჩაურთველი პური. „შრალ პურს გამოვაცხობ ერთ ორ ცალს და ქე მეყოფა საღამოს“ (ქეგლ).

შტერი მიწა უნაყოფო ან ძალზე გამოფიტული მიწა. „საანოულოთ კაი მიწას შევარჩევდით, გუმბრალე და თხმელარე არ ვარგოდა, შტერი მიწა იცის, წყავნარს, წყავის მიწას შევარჩევდით“.

შტო'ში შესრული მოზარდი. „ამას ახლა ყოველ წუჩი შია, შტო'შია შესრული და იმიზა“.

შუბლის ძარღვის შეყრა მოუმუხვნა შუბლისა, წყენის გამოხატვა. „სანაამდი შუბლის ძარღვი შეიყრებოდეს, მანაამდე გზას უჩვენეფ შვილს და მერე ქე იქნები სიამტკბილობით, ჩხუბი და წყენა აღარ გექნებათ“ (შდრ. ქეგლ, სახოკ. შუბლის შეკვრა).

შხვეფი მომსხო წვეთებიანი კარგი წვიმა. მევიდა შხვეფი. უნდა გევიქცეთ აწი სახში“.

შხლაკვა პატარძლის თავმოსართავი. „ჩემ დას ქე ქონდა შხლაკვა, ისე იაგავი რაცხა კაი იყო. იმისანა სირმებით გაკეთებული. უკანაც და მერე უკან შეწკვენტილი იყო... და ოქროსებურები სულ შემოძეწკვილი. მაღალი არ იყო. გაშლილი აქით-იქითე პეტერე და ამ წინ და უკან პეწეწვატი ქუდებივით ქონდა“.

ჩ

ჩაბაკული ცუდად ჩაცმული. „შენსავეთ ვართ ჩვენც ჩაბაკული, კაი რო ჩეიცვა, რათ გინდა, ქე დეისვრება და დეიხევა ამ ტყეში ისთევლე“; „რაფერ ჩაბაკული ხარ, რა ამბავია აგი, რაც გიშონია, ყორფელი ჩაგიცვამს“. (შდრ. ქავთ. III დაბაკვული).

ჩაბარძღვა ფართედ ჩაჯდომა. „მა გლახა, ჩეიბარძღა ჩემ მაშინაში!“

ჩაბაძუებული ცუდად ჩაცმული. „მასე ჩაბაძუებული დეიარება მაი მისი დღეი და მოსტრება, ტყეშია მაი სულ, და კაი რო ჩეიცვას, რათ უნდა“ (ძოწ. ჩაბაძოებული).

ჩაბოყვნა (ბოყვნა) დიდ-დიდი ლუკმებით მადიანი ჭამა. „ამეიღო თუჯიაში მაკარონი და ჩაბოყნა ეგერ...“

ჩაბუდვნა ჩათბუნება. „ჩეიბუდნე, ბებია, საბანში კარქათ თვარა, ხო ხედავ, რა უბედური სიცივეა“.

ჩაგითუა ნიშნის მოგებითი მიმართვა: ხომ ჩაგეშალა გეგმები. „რაღა შობი აწი, ჩაგითუა ხო ხედავ!“ (შდრ. ჩაგივარდა კოზი ნაცარში).

ჩაზუპზუპებული სქლად მოდუღებული წვნიანი. „ე ხარჩო ჩაზუპზუპებულია, რაი ჭამს ამას“ (შდრ. შარაშ. ჩაზუბზუბებული, ვ. ბერ., უღ. გურ. ზუბზუბა).

ჩათხრიშინება დიდი ჭავლით წყლის, სითხის გადმოღვრა. „ჩავათხრიშინე ე ოტკა [ძაბრში] და რაღმე არ დემექცა თლათ?!“

ჩაკირწყვლა ახლად დაბარულზე რომ დააწვიმებს, მიწა გამაგრდება, „ჩაკირწყულაო“ იტყვიან.

ჩაკოპიტება გულში ჩარჩენა, დამახსოვრება. „ეგი იყო და ეგი... ჩეიკოპიტა გულში და მერე დემემდურა“.

ჩალა დეეტევა სამასი კონა, რო დაკიდო ზეთე — ე. ი. ძალიან მაღალია (ირონ.). „ამან რო მეიყვანა ერთი სარაყუდე, აფერი არ ეყურება. ააყუდე — დააყუდე, საანწვალე: ჩალა დეეტევა სამასი კონა, რო დაკიდო ზეთე“.

ჩამაგისება კერძის (ხორცის, ქათმის) მოსახარშავად მომზადება. „ამ ქათამს ჩავამაგისეფ და მერე გავრეცხავ შენ ჩასაცმელს“.

ჩამკლოვა (გამკლოვა) თოვლში კვალის გავლება. „მორე დღეს ჩოუმკლოვიენ და ჩასულარიენ“.

ჩამოდგმული ბაღანე ჩუმად, ღამით მოგდებული ბავშვი. „იუსტინას ჩაჩაპეთ ჩამოუდგენ ბაღანე, გაზარდა მერე იმან შვილათ. უშვილო კაცი იყო და იმიტო ჩამოუდგენ“.

ჩამოიარა ხილმა ჩამოიყარა; მოილია. „ისე ჩამეიარა ამ ფსხალმა, რო არ მისარგებლია კეკალი“. „ჩამეიარა ფსხალმა, არაფელი აღარა ზეთე“.

ჩამომწპარი ძალიან გამხდარი, უშნო აღნაგობის ადამიანი. „მასე ჩამომწპარი ქეა მაი, რაც თავი მახსოფს“.

ჩამოტყლარწული თვალები ქვედა ქუთუთოჩამოწეულ თვალზე იტყვიან. „რაცხა იაგავია, ჩამოტყლარწული თვალები... კაი ქე გონია თავი...“

ჩამოქუცული 1. უპეებჩამოწეული თვალები. „გლახა თვალები აქ, ჩამოქუცული თვალები“. 2. გადატ. მნიშვნ. იხმარება ფრაზაში:

„ჩამოქუცული აქ თვალები“ — ე. ი. მოწყენილია, დაჩიავებულია, დასაწყლებულია. „ირემი ვნახე საღორიეს ტყეში და იდგა ისე, ჩამეეჭუცა თვალები და ქე იყო დაჩინჩრიკებული“.

ჩამოყუპლული ჩამოშავებული, ჩამობურული ღამე. შავი ღრუბლებით დაფარული ცა. „არ წუმს და არაფელი, ბურია. ამფერ ღამეს უძახით ჩამოყუპლულს“.

ჩამოჩინჩრიკებული გარეგნულად (ჩაცმულობით) და შინაგანად დაჩიავებული, საწყალი შესახედაობისა. „მასე ჩამოჩინჩრიკებულია, მა საწყალი, მაი...“

ჩამოჩლურჩვა ფელამუშის ჩამოწევა ჩურჩხელაზე. „ფელამუში კარქათ უნდა გააკეთო, თვარა ჩამეიჩლურჩება ჩურჩხელე და კარ ივარგეფს...“

ჩანჩხალიე (წყალი) დიდი ნაკადით, სწრაფად მომავალი წყაროს წყალი. „ეზოში მაქ, კაცო, აგერ ჩანჩხალიე წყალი. ამას იფიქრებდი აქანე წყალი იქნებოდა?!“

ჩანცახვა პარკის გასაკეთებლად შემზადებული ჰიებისათვის ცახების — ხის ხმელი ტოტების დადება. „გუმბრე უნდა მოგეკრა და ცხილე. ჩამევიტანდით, დავაგროებდით, დავახმობდით იმას და მერე წამავალი აბრეშუმს ჩანცახავდა დედე“ (ქეგლ ჩაცახვა).

ჩაო ადგილი 1. ქარისა და მზისაგან მიფარებული ადგილი, საყანე. „პოლიეს ადგილი ჩაო ადგილია და იქინე თხილიც იმიტო ვარგა“. 2. დაბალი, ჩავარდნილი ადგილი. „ბეევრი სახლებია აშენებული იმ ჩაოში, ფინური სახლები“.

ჩაპანწულებული უშნოდ ჩამოგრძელებული, ძალიან გრძელი. „კოშებაამდი რო ურტყამს პალტო, იმაზე იტყვიენ ჩაპანწულებულიაო“.

ჩაპიტება უშნოდ, უხერხულად, უკითხავად ჩარჩა საქმეში ან ადგილში. „რო არ გაგდეფს ვინმე რამეთ და ჩეეპიტები“; „ვინ კითხავდა მაგას, რო ჩემეპიტა იქინე“.

ჩაპოლვა მაგარი არაყი შეჯანჯღარებისაგან ჯაჭვით დაიფარება, ამას ეძახიან „ჩაპოლვას“.

ჩაჟვაპვა დალპობა, ჩალპობა (წაქცეული ყანისა). „ახლა დააწუმს წაქცეულ სიმიდას და ჩაჟვაპავს იქინე“.

ჩახობა კბილის (ჩამასო კბილი) გადაკიდება, ჩაჯინება. „რაღა მე ჩამასო კბილი, სხვაი ველარ ნახა?!“

ჩატე ჭკუის უდარდელი, ზერელე, არაღრმა პიროვნება. „ჩატე ჭკუის რო არ ვიყვე, გადევირეოი ამდონხანია“.

ჩაქელეხება ხის გასხლული ტოტების ერთ ადგილას ჩაყრა. „მობელე მაი და ჩააქელეხე მაქანე, იყვეს“.

ჩაქნითვა მეტისმეტი მოხარშვისას ხორცის ჩაშლა. „ჩეიქნითა ქათამი“.

ჩაქუცება ჩაწევა, ჩაზელვა (კარგად მოხარშვისას ქათმის ბარკალზე ხორცის ქვემოთ ჩაწევა და ძვლის გამოჩენა). „ბარკალე რო ე ისე ჩეიქუცება ქვეით, ე მაშვინაა მოხარჩული ხორცი“.

ჩაღაღადურება სიმღერის კარგად, კარგ ტონზე დამთავრება. „რაფერ ჩააღაღადურა სიმღერა?! რა კარქათ იმღერის!“

ჩაღუნღულებული ჩამთბარი, თბილად ჩაცმული. „რა კაი ჟემპრია, ქეა ამ ზამთარში ჩაღუნღულებული“ (ქავთ. II).

ჩაყვიელე ღრმა ჭურჭელი. „მეიტანე, ბიჯო, მა ჩაყვიელე“.

ჩაჩათლახებული ცუდად ჩაცმული. „რაია ასე ჩაჩათლახებული რო დეიარები, არ გაქ ჩასანცმელი? მითხარი და გიყიდი...“

ჩაჩანი დაბალი ტანის ბავშვზე იტყვიან. „აი, შე ჩაჩანო შენ!.. — მეტყოდა პოლკარტე ბიძიე, პეტერე ბიჭი რო ვიყაი“.

ჩაჩანჩურებული ცუდად ჩაცმული. „ჩაჩანჩურებული ვარ ამ ზამთარში, ცხრანაირი მაცვია“.

ჩაჩაპე ყავარი, ახალშობილი ბავშვის დასაკრავად. „ბაღანე რო დეიბადება, ჩაჩაპაზე დააწვენენ და გარააკრავენ რამეს“... „აკვანში არ შეილება ერ კვირეს ბაღანე, ჩაჩაპაზე აკრავენ, ჩაჩაპაზე რო არ დააკრა არ შეილება“ (შდრ. ალავ. ჩიჩაბი).

ჩაჩიქვა ახლად ამოყრილი ტოტების ჩაჭრა. „ტყის თხილია მაი, ბიჯო, და ჩაჩიქვე, თვარა გეიზდება უბედურათ“ (შდრ. დაჩიქვა).

ჩაჩხიკვნა გამომშრალ მიწაში ძლივს ჩათესვა. „უბედური გამოგვალული იყო წროულს მიწა, ძულათე ჩავჩხიკნე სიმიდე“.

ჩაძოღვნა ცივი საჭმლის უგემურად ჭამა. „საღამოიზა ქეა ორი ხაჭაპური და ჩაძოღნეთ იგი“.

ჩაჭიტინება ცალი თვალით ჩახედვა. „ჩეიჭიტინე, ბიჭო, მა დოქში ქურჩენას თავსახური არ იქნეს შითე ჩავარდნილი“.

ჩახეფსება მცირედის ჭამა, გულის დაკმაყოფილება. „საჭმელი ჩეიხეფსე პეტერე ახლა შენ“ (ქეგლ, ჭყონ., ჟღ., რაჭ. დიალ. დახემსება).

ჩახვარხვალებული მარცვლებად ჩაყრილი. „შე რაფერ ჩახვარხვალებულია ე თხილი“.

ჩახუხუნებული ჩამთბარი, თბილად მოკალათებული. „უბედურათ წუმდა გუშინ და ჩვენ ქე ვიყაით ჩახუხუნებული სახში. არც წუმა ჩამოდის და არც არაფელი“ (ქავთ. II).

ჩემ მახსონში ჩემს მახსოვრობაში, ჩემს მეხსიერებაში. „ჩემ მახსონში ამისანე კოხი არ ყოფილა, დედლის კვერცხებივით მოციოდა“.

ჩემ ჭირს მიწაზე არ აქცევს მიფრთხილდება (ირონ.). „მაი კარა, ჩემ ჭირს მიწაზე არ აქცევს ჩემი რძალი“ (შდრ. სახოკ. ჩემ ჭირს არ აგდებს ძირს).

ჩენჩი თხილის ან ლობიოს გამორჩევის შემდეგ დარჩენილი ნარჩევი. „ე ჩენჩი სა წევიღო?“ (ქეგლ, ვ. ბერ.).

ჩეჩმანი ფეხისადგილი, ტუალეტი. „ჩეჩმაში რო შეხვალ და მღერიხარ, გაიგონია, ბიჯო, ეგი?!“ (ქეგლ, ვ. ბერ. ჩეჩმა).

ჩია თხილი თხილის ჯიში.

ჩილა ჩირი. „ვაშლის ჩილა გავაკეთე ამ ზაფხულში ბევერი“ (ძოწ., რაკ. დიალ.).

ჩინთვა უეცრად დარტყმა, მირტყმა. „ჭკუით იყავი თვარა, რო ქჩინთავ მა თავში, ცხრა ყირას გაქნოვიეფ!“

ჩინჩახური / მოჩინჩახურება თავში ან ბეჭებში მსუბუქი ჩარტყმა. „მოუჩინჩახურე ერთი მაგას თავში, მოა ჭკუაზე“; „რა ამბავია, რო უჩინჩახურეფ შენც მაგას, დაანებე თავი“ (შდრ. ალავ. ჩინჩახური — აყალმაყალი, ჩხუბი).

ჩიტის თვალს გამეიყვანს კარგი ხელოსანია, კარგად, სუფთად აკეთებს. „იმისანე კაი ხელი აქ, ჩიტის თვალს გამეიყვანს“.

ჩიტლეღვი ლეღვის ჯიში (ქეგლ, შარაშ, ქავთ. III).

ჩიქორთული არასწორად, ცუდად ლაპარაკი. „ჩიქორთული რუსული ვიცი“ (ქღ. გურ.).

ჩიჩაყველე დაბალი და სქელი არსება. „პეტერე, დაბალკოჭებიან ქათმებზე ვიცი მე, ჩიჩაყველეაო“; „დვალი შვილებს უძახოით ჩვენ ჩიჩაყველეფს“; „იგი არ იღებს ხმას, ი ჩიჩაყველე, იგი!“

ჩიჩიბრინწი „ბაღნობაზე ვიცოდით ამის თქმა: გოჯილას რო ავაშენებდით, თუ დეინგრეოდა ერთიმორეს ვეტყოით: „ჩიჩი-ბრინწი! მოგართუმენ აწი“ (თან თვალის ქვედა უპეებს თითებით ქვევით ჩამოიწევდნენ).

ჩიჩქინი წყლის ხმაურიანი დინება. „რა კარქათ მოჩიჩქინობს წყალი, რო არ გწყუროდეს, დალევა მოგინდება მაინც“.

ჩიხვა მოწყვეტით, მკვეთრად დარტყმა ნაჯახისა. „ხერხი მეიტანე, ხერხი, თვარა ასე ჩიხვაჩიხვით დღეს ვერ მოჭრი მაგას“; „ჩიხვე და დააგდე ძირს“; „ჩიხვა და წააგდებია თავი“.

ჩიხტურში გატარება დატუქსვა, დასჯა, წაჩხუბება. „მაგან ჩიხტურში გაარონია მისი ბიჭი, რავა ათხოვიეფს ცოლს“.

ჩრიტინი შტერული ლაპარაკი. „რაცხას ჩრიტინობს მაი, თვითან არ იცის, მაგას დეეჯერება რამე?!“ (ქეგლ, წერ., რაჭ. დიალ., ძოწ. ჩრუტუნი).

ჩუმალიე ჩუმჩუმელა, ეშმაკი. „უბედური ჩუმალიე ეშმაკია, აგერ რო დამარხო, ეგერ გამოვა“ (ქეგლ, რაჭ. დიალ. ჩუმალა).

ჩუმი ხმა; ჩუმი არ გაცა, ხმა არ გასცა, არ დაელაპარაკა. „იგი არ იღებს ჩუმს, ი ჩიჩაყველე იგი!“„ერთი უთხრა და მერე დაანება თავი, ჩუმი არ გაცა“; „ჩუმი არ გაცე აწი მაგას, მა გლახას მაგას!“ (შდრ. გრ. იმნ. უჩუმრა, გაჩეჩ. ჩუმათანა).

ჩუჟი წუმა (ჩუჟიელე წუმა) „არც წუმაა, არც დარი“; „მაი ასე იჩუჟეფს ერ თვეს“; „იჩუჟოს შეილება, მაგას რო უყურო... მოღუბლულია სულ, ბურია სულ, ამწუჩი გამეიდარეფს, ამწუჩი წუმაა ისევლე, იჩუჟება სულ“ (შდრ. ჭყონ., ყღ. ჩუჟვა, იჩუჟება — როცა ცეცხლი არ ეკიდება კარგად შეშას).

ჩუქჩუქი დაუფიქრებელი ლაპარაკი. „საწყალი, ქე რაი უჩუქჩუქებია მაი“.

ჩხაველე ყურძნის ჯიში (ჩხავერი) (ქეგლ, შარაშ., ყღ.).

ჩხაკვები ფიჩხი, წვრილ-წვრილი შეშა, გამხმარი ტოტები. „რაც იყო აქანე ჩხაკვები, სუყველე წევიღე“ (შდრ. ალავ. ამოჩხაკვა).

ჩხიკინიე გამხდარი, დასუსტებული, გაძვალტყავებული. „რაფერი გამხდარია მაი, ნემეტანი ჩხიკინიეა“ (შდრ. ბ. წერ. ჩხიკი, ჩხინკი — წვრილად გათლილი ჩხირი).

ჩხმატარე ახალი, დამაჭრებაში შესული ღვინო; ოდნავ სიმაგრეშეპარული ღვინო. „ტკბილი რო ადუღდება და გაჩხმატარდება, მერეა კაი“; „ჩხმატარეა კაი მაჭარი, ენაზე რო გიპწკენს, იგია კაი, ისე არ ვარგა“; „დალიე, გო, დალიე ღვინო, იმისანე ჩხმატარიეა, კაია“ (ქეგლ. საბა ჩხმატი — მაჭარი).

ჩხონკლები გამხმარი წვრილი ტოტები. „ე ჩხონკლები ყოველ-

თვინ უნდა მოაცილო თხილს, ხელს არ შეგიშლის კრეფაში და თხილიზაც კაია"; „ახალი თვარე ჩხონკლეფში არ უნდა დეინახო, თვარა ტილები დეგესევა" (გაჩეჩ. ჩხონკი).

ჩხოტიო მეტისმეტად დაქანებული, დამრეცი. „ხო ჩხოტიოა [სახურავი]? — თლა გადაბანი არა, მარა, რა ვიცი. თუ ჩამევიდა თოული კაია" (ქეგლ ჩხოტიო გურ.).

ჩხუტიე მჩხვლეტავი. „ე მამალე ეკალე უბედური ჩხუტიეა" (ქეგლ ჩხუტავს; ვ. ბერ. ჩხუტვა — წვრილის რასმე შესობა; შდრ. როსტ. ჩხუტ — წვერწათლილი ჯოხი მიწაში ჩასობილი).

ც

ცალვა (ცალავს) საპალნის ერთი ცალი მძიმეა მეორესთან შედარებით.

ცალი ხელი კიდება მოუცლელობა. „თხილობაზე შენ დაგიჟდე და გელაპარაკო ზღაპრები კარა, ცალი ხელი კიდება მაქ, ჰამიზა ვერ ვიცლი, ხვარ გადეირიე!" (შარაშ. ცალხელკიდება).

ცანცალი განძრევა, მოძრაობა. „ირღოვა პარკები, რა კაი შესახედავია თუ იცი, ცანცალობენ აბრეშუმის პარკები შითე" (შდრ. ჭყონ. ცანცარი — ქნევა).

ცარე მიწა გამოფიტული, უნაყოფო მიწა. „აქით ცარე მიწაა, არც ყურძენი ვარგა და არც სიმიდე მოდის"; „არ მოდის მოსავალი იმაზე, უვარგისია, ცარეა" (შდრ.: ძოწ. ცირე, წერ. მცირე).

ცარელე უნაყოფო ხეხილის ხე. „ცარელე გამოდგა მაი, მოსაჭერია".

ცას გამოკერება „დითხანს რო იცოცხლეფს ადამიანი, ვიტყვით: არ გამეეკერა ცასო?!" (ქავთ. I. ცას გამოეკვრება, სახოკ. ცას გაკვრა).

ცერული წუმა ირიბად დაშვებული მსხვილწვეთებიანი წვიმა. „მეგონა სახში მივასტრებდით და არ დაცხო ცერული წუმა?!"

ცეტი ცელქი. „უბედურობა ცეტი იყო ბაღნობაზე" (შდრ. ქეგლ ცეტი — ჩქარი, თავქარიანი).

ცეცხლია ყველაფერში ყველა საქმეს საუკეთესოდ და სწრაფად აკეთებს. „მაგას იმისანე ცოლი ყავს, ცეცხლია ყორიფელში!"

ცვარი გადატ. სულ მცირე, პატარა, ცოტაოდენი. „ერთი ცვარი რო წემეძინებია წუხელ, რა მიჭირდა..." „ერთი ცვარი ღვინო რო

იყოს, კაია“ (გრ. ბერ. ჯავახ. ცვარა — ძალიან მცირე, ძალიან პატარა (ერცვარა)).

ცოაცელე მკვეთრი, თვალში მოსახვედრი ფერი. „უბედური ციაცელეა ე თავსაფარი, უნდა ამოვღებო, თვარა ქე ვერ დეიხურავ და რათ მინდა“.

ციბულიე კატა, ცინდალი (მოფერებით). „ე, რაფერ ყავს დედამის შემძარი ზრუგზე პეტერე ციბულიე“.

ცივ ქვაზე დაასახლებს იტყვიან კარგი ოჯახის ქალზე. „მაი იმისანა კაი გოგოა, ნეტაი იმას, ვინცხა მაგას ითხოვს — ცივ ქვაზე დაასახლეფს კაცს!“

ცინცალაზე 1. საზღვარზე, არამდგრად ადგილზე დადგმულზე იტყვიან. „რავა შეგიდგამს ე რადიო ცინცალაზე, არ გარმოარდება, ბიძია, ეგი ასე?“ 2. სულიერი წონასწორობის დაკარგვაზე იტყვიან. „მიტიე ახლა, ცინცალაზე ვარ; არ გადამრიო!“ (შდრ. ვ. ბერ. ქინქალა).

ცინცალე მოწმენდილი, უღრუბლო ცა. „ბზეიც რო არ იქნეს, ზეიდან, ცინცალე რო ქონდეს, მიწა უცფათ გაშრება ახლა“.

ცინცილიე „ერთი ჯიშის ტყისფხალეა, კაი გემო აქ“.

ციპაიე ცინდალი (შდრ. ქავთ. I ციფ-ციფ).

ცირციმელე//ცერციმელე ქლიავის ჯიში.

ცის ათოხვნა ცაზე ღრუბლების აჭრა გამოდარებისას. „ეითოხნა ცაი, იქნება გამეიდაროს აწი“.

ცის ძირს ჩამოსვლა დიდი, ძლიერი და განუწყვეტელი წვიმა. „მაი ვის ეგონა, ასე თუ ჩამევიდოდა ცაი ძირს“ (შდრ.: სახოკ. ცის ჩამოქცევა).

ციცეე თვალის კაკალი. „რო მოქხვთენოდა ეი ნაპობე თვალში, ხო წამოგიდებდა თვალის ციციას“.

ცოდვილი წვალება. „ბევერი ცოდვილი ქე უნდა, მარა ისე არ ივარგეფს“.

ცოლკოური ყურძნის ჯიში (ქეგლ, ძოწ. ცოლიკაური, გაჩეჩ.).

ცორიალი ტივტივი წყალში. „ე, ეგერ ცორიალობს ტაშტში შენი სათამაშო...“

ცოცხალი სახლი ასე უწოდებენ ხის სახლს, რადგან იგი დარღვევის შემდეგაც გამოსადეგია მასალად. შეიძლება დაშლა, გადატანა, მისით ახლის აშენება (შდრ.: ქვის ანუ „მკვდარი სახლი“). „მაი კაი ფასათ გეიყიდება, ცოცხალი სახლია“.

ცოცხალი სიცივე გამომაცოცხლებელი, სასიამოვნო სიგრილე. „ბებია, ძაან სიცივეა გარეთ? — ქეა სიცივე, მარა ცოცხალი სიცივეა“.

ცოცხობე ბალახის სახეობა. აქვს წვრილ-წვრილი ყვითელი ყვავილები (ქეგლ ცოცხანა).

ცუდალიე უნაყოფო ხე. „ეს შკართან როა, კარაა კაი მომბამი. ხეი, ცუდალიეა იგი“.

ცუცქურიე პატარა ტანის ქალი. „საცხა მეგრელი გოგო უნახია, პეტერე ცუცქურიე და წამეიყვანა. იბძვიენ ახლა უბედურათ“.

ცხენის წურბელე მოყავისფრო წვრილი და გრძელი წურბელა. „კოდის წყალს ხშირათ უნდა ამორეცხვა, თვარა ცხენის წურბელამ იცის გაჩენა“.

ცხილა რცხილა (როსტ. ცხილაი, ძოწ. ცხევლა).

ძ

ძალითე ძლივს, ძლივძლივობით. „ავათა მაგი, ძალითე დაფერფეტობს“.

ძარღვი (ხისა) ხის მთავარი ნაწილი, რომლის გადაჭრის შემდეგ ხე იქცევა. „წინა ძარღვი მოუჭერი ხეს და მერე წეიქცევა“.

ძაფი ალესვისას ცულის პირის მთელ სიგრძეზე წარმოქმნილი ზოლი. „ნახე ძაფი თუ გოუჩთა, მერე კაი ალესილია“.

ძაღებწუნობით შეჭამა უგემურად, უმადოდ, თითქმის ძალით. „დილაზე გოუცხელე საჭმელი და ძაღებწუნობით შეჭამა“.

ძაღთაგანი გამოსწორებადი, საპირისპირო ვირთაგანისა, რომელიც არ გამოსწორდება. „ძაღთაგანი თუ დეიბადა, იი შეილება ქე გამოსტორდეს, ვირთაგანი თუ დეიბადა, ისე ვირი იქნება სულ“.

ძაღლადძაღლე ცუდი ხასიათისა, მყვირალა, ბრაზიანი ადამიანი. „შეილება იმისანე ვინმე შეჭხვთეს, ძაღლადძაღლე იქნეს და კარ დაგაყენოს“.

ძაღლი სამშედურიდან რახ გეიტანს წასაღებს, გამოსარჩენს ვერაფერს ნახავს, არაფრისმქონეა. „გამოუგდე კარი, გამოუგდე! — გამოუგდე თვარა, რაი გაქ, ძაღლი სამშედურიდან რას გეიტანს!“

ძგეტიელე დიდი ტანის, ხეპრე და დიდი წარმოდგენის მქონე თავზე — ასეთი ადამიანია ძგეტიელე. „ი მესამე ძმაი, ძგეტიელე, მაამის ყავს წაყოლილი“.

ძგლამბვა სულმოუთქმელად, სწრაფად და ბევრის დალევა. „მაგენი, ორი ნატეხი ჭადი თუ ექნათ, სუფრაზე მეტი კარ უნდათ, ძგლამბავენ და ძგლამბავენ ღვინოს“ (შდრ. ვ. ბერ. ძგვამბა).

ძგუფვა (ეძგუფა თავი) გადავარდნა, ჩავარდნა. „თლა ღელეში მიყავდა მანქანა; ეძგუფა იქნება იქინე თავი, ვიწრო გზაი იყო....“ „ჰიშკარი ყოფილა გაკეთებული, წასულა დვალიშვილები, უძგუფია ჰიშკარი სილორში“; „ჩამოყარე მაგენი აქანე, უძგუფე თავი“ (შდრ.: ვ. ბერ. ძგუფვა).

ძერეყუე დიდი ტანის, მაღალი, მაგრამ უჭკუო კაცი. „მაღალია ძერეყუე და შტერი“; „თავგასხვლეპილი კაციაა, დიდი რაცხა ძერეყუე, ქალი ჯობია იმას“.

ძეხულე ძელებისაგან აშენებული საცხოვრებელი სახლი (ძეხულე>ძელხულე>ძელის ხულა). „მა საწყალმა მისი ახალგაზდობა ძეხულაში გაატარა, მერე ქე ეიშენა სახლი, მარა სიკვტილმაც მოუწია“.

ძვალმოტეხილი წყალი ნელთბილი წყალი. „თლა ცივი წყალით რავა დეიბან თავს, გაცივდები, ძვალმოტეხილი მაინც უნდა იყვეს წყალი“ (შარაშ.).

ძველ-ახალი აგვისტო-სექტემბერზე იტყვიან, როცა ძველი მოსავალი უკვე ილევა და ახალი ის-ის არის ახლა იწევა. „ამ კაცს რამე რო დეემართოს ახლა, რაი მეშველება, ამ ძველ-ახალის დროს“.

ძიანკოლე ძალიან მწარე. „ჩემ ეზოში კიტრი მიდღემჩი არ ყოფილა წარე, წროულს ძიანკოლეა თლათ, წარეა უბედურათ“ (გაჩეჩ. ძინკოლა).

ძიმე ჰკუის სერიოზული, დაკვირვებული ადამიანი. „ძიმე ჰკუის ადამიანს, რო შეხედავ, იმაზეც ქე შეატყოფს კაცი“.

ძინაგუდა ძილისგუდა (ქეგლ), მწერი, რომელსაც სქელი, მოგრძო ყავისფერი პარკი აქვს გაკეთებული და თვითონ შიგაა მოქცეული. „ძინაგუდეს პარკი ისე მაგრათაა ხეზე მიკრული, დანით თუ ააცლი. ძინაგუდას თოთო, ტირია ბაღანას შოუდებდით თავქვეშ, იქნება დეიძინოსო. იმისანა სქელი კანი აქ, ქალაბანივითაა. ბაღანას რო შოუდებდით კარ გვეშინოდა გამოვაო?!“ „ძინაგუდასავეთ აგდია თელი დღეი“ (გაჩეჩ., ღლ.).

ძინთი ხის წებო (ხშირად გამოდის ქლიავის ხეზე). „შე, რა ამბავი ძინთი ქონია ამას?!“ (ქეგლ).

ძინწარე ბალახის ერთი სახეობა, იყენებენ წამლისათვის. არის ნათვალევის შელოცვისათვის დამზადებული წამლის ერთ-ერთი შე-

მადგენელი ბალახი. გადატანით მნიშვნელობით ხმარობენ ძალიან მწარის აღსანიშნავად. „რო ვიტყვით ძინწარესავეთაო, იგი ნამეტანი წარეა“ (ქეგლ, გაჩერ. ძიმწარე).

ძირდადგმული სახლი ერთსართულიანი დაბალი სახლი. „ძირდადგმული სახლი ქონდა და დიდი კარაპინე ქონდა გარასავალი“.

ძირი დასავლეთი. „დოუბდგვინა ძირისკენ, / გეიქეცი შინისკენ“.

ძირიხ მოდგმა გახარება მცენარისა. „ერთი თუ მეიდგა ძირი ნეფსა თხილმა, მეტი კარ უნდა, კარქათ ხაროფს“.

ძირტურიანე ძირგასახმობი, ძირგამხმარი. „ამ ძირტურიანს წროულსაც ქი არ აბია, რო არ დაადგა საშველი მაგის გახმობას?! მოვქრი და ის იქნება“.

ძიღვნა უსწორმასწოროდ ჭრა, ცუდად ჭრა (ბლაგვი მაკრატლით, იარაღით). „ეგი მარგატელი თლა დაჯლაგვდა, ძიღნის ყორფელს“.

ძლაგე მომჟავო გემოს ნაყოფი. „უბედური ძლაგეა, ქე ვერ ჭამ და რათ გინდა!“ (ვ. ბერ. ძელგი, შარაშ. მძლაგვე).

ძლურწე ბალახის სახეობა.

ძომბეხი დიდი, მსუქანი და სიბერეში შესული ქალი. „ამიხელა ძომბეხელეა, რაღა დროის მაის სიყვარულზე სიმღერაა“.

ძრაული ხის დიდი მორი, დიდი შეშა, რომელიც ნელა იწვის ცეცხლში. „ძრაული უნდა მაგას ერთი ახლა, ძრაულის შედება და კაი ცეცხლი იქნება“ (ქეგლ, ალავ. ოკრიბ. ძრავლი).

ძროხისელე ერთ-ერთი სარეველა ბალახი, იგივე ძროხისენა. „წვრილი, გრძელი ძროხის ენასავეთ ფოთლები აქ, მიტო უძახით ასე“.

ძულა-გაჰირვებით ძლივძლივობით. „ძულა-გაჰირვებით გამოვწვალე ი საქმე, არ შობოდა არაფლიზა“.

ძულათე ძლივს. „ცოდოა, გო, იმან ძულათე მეიბა [თხილი] და კიდო შენ მოწიკვე?!“ „ძულათე მახსოფს ახლა, ათი წლის ვიქნებოი“ (ჰყონ. ძულათაი).

ძულე ძლივს.

ძურმეხი მარადმწვანე მცენარე, იყენებენ ზამთარში საქონლის საკვებად. „ჩალა თუ მიმაკტა, ძურმეხს მევიტან და ის იქნება, საქონლიზა იგი უფრო კაია“ (ეღ. გურ. ზურმეხი).

ძღინკი დაძონძილი, დახეული, ძველი ნაჭერი. „მაისანე ძღინკები ქვეყნის მაქ ეგერ“.

წააყენე არგე, უშველე. „ღმერთო, ლოცვა ჩემი წააყენე (საქონელია თუ ადამიანია) ღმერთო, ლოცვა ჩემია, ბრძანება ღვთისა“.

წაბანიება საქმეებისა ერთმანეთზე დართვა, დამატება; საქმის საქმეზე წამატება. „ასეა, თხილობაზე უბედურათ ვიღალები, ახლა სახლი შენება წემებანია კიდო და ნემეტანი დევიღალე;. „ახლა წემებანია შენი ავანტყოფობაც, ამ სულიჭირვების დროს“ (შდრ.: გაჩეჩ. წაბინიავება).

წაბიცვა მიწის ზედაპირის მოშრობა, მომაგრება. „საბუხრე მიწა მევიტანე, ერთი კვირე მქონდა დაყრილი სახთან, წაბიცვია თავი იმისანა, რომე ბარი ვეღარ დავაკარე ზეთე“ (ქეგლ წაბიცეება).

წაბლაყუნება უაზრო, უჭკუო კაცის უშნო სიარული. „იმ კაცს ხელი კი არ ჩამოართვა, გამოართვა ტომარე და წაბლაყუნდა ისე“ (შდრ.: გაჩეჩ. ბლაყუნი).

წაბღუნკვა წელში მოხრა. „ვერ წევიბღუნკე, ორვე ხელით რო მოვხიკო“.

წაგაძაღლავ თავს წაგაჯრი თავს. „აქანე არ მოხვიდე, თვარა წაგაძაღლავ თავს!“ „შვლიჯა ნაჯახი და წააძაღლა თავი“.

წაგნისვა წაგლესვა, თავის გადაგლესვა. „ამას ახლა ჰურში ჩავყრი, მარა არ წავგნისავ“.

წადვალვა წახრა. „არც ქორწილი გარეიხადო და არც ტირილი, წადვალე თავი და იმუშავე ყოველდღეო, ვინ სულელი იზამს ამას“; „წადვალე კისერი ამ სიცხეში და უბაყუნე ოყიანი თოხი, რავალი ვაშკაცი ხარ, მითხარი ერთი!“

წათიფნვა წაჯრა, წათლა. „ნაჯახის ტარი მოხვთა რაცხას უკან და ზე წევითიფნე ხელი“.

წაკვიწიწება დაშავება, რაიმე საფრთხის ან ავადმყოფობის შეხვედრა. „გარაშანშხალებულია ბეჩა, ერი არ წაკვიწიწებია რამე... რაი წაგიხდა ჩემი თვალით შენ-მეთქინ?“

წაკუნი მსუბუქი დარტყმა. „რავა უწაკუნებენ სულ ერთიმორეს ე ბაღნები, დაეწყვიტავ ახლა აგენს!“

წამავალი აბრეშუმი პარკის გასაკეთებლად შემზადებული აბრეშუმის ჯია. „წამავალი აბრეშუმს ჩანცახავ. რო მიდის აბრეშუმი ცახზე, პარკს აკეთეფს“.

წამიწება მიწის მიყრა, მიწით დაფარვა. „ამას ახლა ჽურში ჩაჷყრი, მარა არ წავგნისავ. პეტერე ქე წაამიწე, აპა თლა ღიას დატოვ?“

წამოგანძული დაუდევრად, ნებივრად წამოწოლილი. „გააკეთე. ბიჯო, რაცხა, რო წამოგანძულხარ თელი დღეი“.

წამოკუჭვა წამოგდება, დავსება (თვალისა). „ჯგუშა ჯოხი ბაღანამ და წამოუკუჭა თვალი“.

წამოლავანდება უცებ, მოულოდნელად მოქნევა (ხელისა). უცებ გამოჩენა. „რო წამოგილავანდეფ ახლა!“ „ერთი წამეელავანდა ქორი და კიღმე წეიღო“.

წამოსისვება წამოზრდა (თმის, ბალახის). „ერთი თვეა თმაი რო შევიჭერი და წამეისისვა პეტერე“; „დადგა მარიობისთვე და წამეისისვა ბალახი, კვირკვობისთვეში ხმება“.

წამწიფება ოდნავ დამწიფებული. „წამწიფდა აწი ქლიავი, ქე ჷამ...“

წანქლიავე ქლიავის ჯიში.

წანძუება (წეინძუა) ჩუმად, სხვათათვის შეუმჩნეველად გაპარვა. „სა წეინძუა ახლა მაი?!“

წაპრიალებული ახლად ამოწვერილი ბოსტნეულის (პრასის, ხახვის, ქინძის და მისთ.) ნათესი. „ამევიდა ჩემი წვანილი, წაპრიალებულია“.

წაპუკუნებული წინ წამოწეული სახე (ცხვირ-პირი). „რაფერ წაპუკუნებული ცხვირ-პირი აქვენ [ზანგებს]“.

წაპწკილვა წაპრა თავისა (წიწილისათვის, მოზარდი ცხოველ-ფრინველისათვის). „სტუმარი რო მევიდეს, რაი უნდა მოუტანო აღარ ვიცი. ჽუჽულს თუ წააპწკილავ თავს. ზაფხულში სხვაი რაია დასაკლავი?!“

წარე ნერგი, რომელზედაც უნდა დაიმყნას. „დაპყნა მინდა ი კაი ვაშლის, მარა წარე არ მაქ“.

წარეკვა (წოურეკავს) განიავება მარცვლეულისა, თხილისა... „რო დაფშვნი, მერე უნდა წოურეკო სიმიდას, ისე კვერ წეიღეფ წისკვილში“ (ძოწ., გაჩეჩ.).

წარეკილი თხილი გარჩეული, განიავებული და სუფთა თხილი. „წარეკილი თხილი უნდა შეინახო, წოურეკავს რავა შეინახავ აბა“.

წარმო ნათელი ღამე. „თლა ლუკუმი ღამე არალი, წარმოა ისე, მარა თვარიანი არა, უმთვარო ღამეა, ჯერე არაა ძაან დაღამებული“.

„არაფელი უჰირს ჯერე, წარმო ღამეა, გზას ქე გეიგნეფს და მოა სახში...“

წატე მომწარო-მომჟავო გემოსი. „პეტერე შემთქვირებული თუ არა შანქლიავე. ისე წატეა, არ იჭმება ჯერე“; „წატეა ე ფელამუში, შაქარი უნდა გვექნა კიდო“; „უბედური ძმარია, ბეერი არ უქნა, მოწატავს თლათ“ (შდრ.: შარაშ. მწატე).

წაფსხლა ენის სწრაფად და გაბმით ლაპარაკი. „შეხედე რაფერ წაფსხლა ამ ქალმა [დიქტორმა] ენა“.

წაღმა-უკუღმა უაზროდ. „ბჟუტურობს წაღმა-უკუღმა, ვერ გოუგეფ რამეს“.

წაყვინთება ჩაძინება, წაძინება, თვლემა. „აგედროს წაყვინთება ვიცოი მე“; „წაყვინთება მინდოდა პეტერე, უბედურად დევიღალე რაცხა“.

წაყვინჭილებული ყელში წაჭერილი. „რო წაგიყვინჭილებია მაი სალურწკე ამ კვირკობისთვეში, არ მოქკლავს, ბიძია?!“

წაყლონჭილი მაგრად წაჭერილი. „თხაი მყავდა გარამბული აგერ ეზოიბოლოზე, წაყლინჭვია ბაწარი კისერში და ქე არ მეზარალა ამხელა თხაი?!“ (ქავთ. I, რაჭ. დიალ. წაყრონჭვა).

წაწეწკვა წვრილად დაჭუცმაცება (კბილებით). „ა, ეგი ფსხალი, ნემეტანი სუფთაა, წაწეწკე ძაან, დაწეწკე და კარ გაწყენს“.

წაწკანი კვნესა. „თელი ღამე ვწაწკანობდი, ძულე გამოვაწიე დილაამდი“.

წახემსება ადრე დილით მსუბუქად ჭამა. „თუ არ წეიხემსე დილაზე პეტერე, ეშმაკი გაგლანდავს გზაში“.

წებეთია „წებეთიას უფხო ადამიანს უძახით, მაღალი ქეა, მარა უფხოა, მოშტერო, ამისანას ვეტყვით წებეთიას“. დასტურდება შედარებაში. „წებეთიასავეთ დადის“ — ზოზინით, რწევით დადის.

წევე ქვეწყობილ წინადადებაში გამოყენებული კავშირი (ქმნის თავისებურ კონსტრუქციას). „ორი კვირე უნდა კიდო თხილის კრეფას, წევე კაი ამიდია“; „გარეთ რაი უნდა ახლა, წევე წუმა არა“.

წელაღველე გამხდარი და წელწვრილი. „წელში წვრილია, პეტერე მაღალი და იღვედება წელში“; „მა წელაღველე მაი, არ აკეთეფს აფერს“ (ვ. ბერ., ქავთ. I წელაღვერა).

წელკავი საქონლის ავადმყოფობა. წყევლაში ხმარობენ. „წელკავი დააძლა ზრუგზე!“ (ძოწ., ყღ.).

წენწი მაღალი, წვრილი, სწორი ტანისა და წელში გამოყვანილი კაცი. „ექვთიმე მაღალი, წენწი კაცი იყო, რო გამეეწყობოდა ჩოხა-ახალოხში, არაფელი ჯობდა მის შეხედვას".

წვეთი სულ მცირე, მცირეოდენი, ცოტა. „ერთი წვეთი არ მიძინია წუხელ".

წვერო ჩურჩხელას წვეტი. „ჩურჩხელა კარქათ თუ გააკეთე, დიდი წვეროები უნდა ქონდეს".

წვინატელე მწარე სიტყვის მქონე ქალიშვილი. „კაი წვინატელე ხარ! ვის ოჯახშიც შეხვალ, ვაი, იმ ოჯახს!" (შდრ.: ვ. ბერ. წვინტალი.)

წვინატი (შდრ. წვინატელე) — ძალზე ავი ქალი.

წვირე ჰუჴუი. „ავქოთთი, კაცო, წვირით. თელი თვეა ტანი არ დამიბანია ამ უწყლოობის გარამკიდე" (ქეგლ მწვირე, რაჭ. დიალ. წვირი).

წვრიმალი ფხალი მინდვრის მხალი. „წვრიმალი ფხალი, ქინძი თუ არ გეერია, ისე რათ ვარგა".

წვრიკეკალე სხმარტლი სხმარტლის ჯიში.

წვრიკეკალე ფსხალი მსხლის ჯიში.

წვრილფსხალი მსხლის სახეობა.

წია-წია წიწილების მოსახმობი (გაჩეჩ., შარაშ., რაჭ. დიალ.).

წიაქი უსიამო ხმით სიმღერა (გადატ.) „ნუ წიაქობ, გოგო, ჩეიგდე ენა". (შდრ.: ქეგლ, ვ. ბერ., შარაშ.)

წია-წიად წაღება დახევა, დაგლეჯა. „პეტერე გახეული ყოფილა და წია-წიათ წეიღო თლათ ე ჩიხოლი" (შდრ. ჯაჯან., შარაშ. წიაწი, წიაწება, დაწიაწება — დაფლეთა, ნაწილებად ქცევა; ალავ. წია-წია — ცოტ-ცოტა, პატარ-პატარა).

წივი წვივი. „წივები მტკივა ნასიარულები".

წითელი გულაბი ანუ შემოდგომის გულაბი, გულაბის სახეობა.

წითელი ვაშლი ვაშლის სახეობა.

წითელი თხილი თხილის ჯიში.

წითელი ტყემალი ტყემლის სახეობა.

წიკვა ზიდვა (აწევა), ტარება. „ვერ წიკავ მაგას შენ, ვერა..." „რაფერ გაფრიანტებულია აი ხეი, უღელი ხარი ვერ დაძრავდა, ახლა ერთი კაცი წიკავს" (გაჩეჩ., ძოწ., ყღ., ჩიქ., რაჭ. დიალ.).

წინა კარში შევეი და უკანა კარში გამევეი წუთისოფელი მალე გავლიე. „კუნცხურიამ სამას წელწაც იცოცხლა. რო შეეკითხა

ღმერთი საიქიოში, ხო გაცოცხლე დითხან, ხო ხარ ყმაყოფილიო, კუნცხურიამ უთხრა, რაი დითხან იყო, წინა კარში შევი და უკანა კარში გამევეიო".

წინაწვერე პირველად გამოსული არაყი (გაჩეჩ., ძოწ.).

წინწკიპურაზე ნაპირზე, კიდეზე. „შემოწიე პეტერე ე ლოგინი აქით, წინწკიპურაზე როა, ვერ ხედავ?"; „გააჩოჩე იქით ე საინი და არ გარმოვარდება, წინწკიპურაზეა" (შარაშ.).

წინწიხი თხელი ტალახი (ცხოველებისაგან ნაჩიჩქნი სველი ადგილი). „წინწიხი დგანა ყოლდგან"; „აქანე რაფერ ამუა მანქანა, აქანე წინწიხია ჯერე".

წინწლაქი ჰირვეული, უზნეო. „უბედური წინწლაქი ბაღანეა, ვერაფელს ვერ გაახერხებ მაგასან".

წიპარუე || **პიწარუე** ბალახის სახეობა (ქეგლ, მაყაშვ. წიპარკა).

წირი ძუნწი. „მაგი იმისანაა, დამწვარ ცეცხს (ან ნახშირს) ვერ იშონი მაგისგან, უბედური წირეა"; „უბედური წირეა, ყორფელს ფულათ აქცევს, არ იმეტებს არაფელს".

წიწვიე || **ჰუჰუა** ბალახის სახეობა.

წიწილა დიდი ლარძაყინის დასახმარი, შუა ადგილიდან მასზე მიმაგრებული მომცრო ძელი.

წიწმარიტე ერთწლიანი სარეველა ბალახი ჯვაროსანთა ოჯახისა. ხმარობენ მხლად (ქეგლ წიწმატურა).

წიწმატელე იგივე წვინატი. მწარესიტყვა ქალიშვილი (შდრ.: ძოწ. წიწმარიტოფს).

წლის მოზიარე ერთ წელში დაბადებულნი. „ჩემი წლის მოზიარე იყო პოლკარტე, ჯარში ერთათ ვიყაით" (შდრ. შარაშ., რაჭ. დიალ. ერთ კბილა).

წმიდანიანი გრძელსამოსიანი არსება. „რავა წმიდანიანივით დაფოფიალობ, გო, ან ჩეიცვი ან დაწეი!"

წოდინი ზმორება. „ზარმაცელე კაცი აწოდინეფს ხშირათ და გვეზარება იგი უბედურათ, უსაქმურია და მიტო". (ვ. ბერ., როსტ. გაწოდინევაი).

წოიო წვრილი და მაღალი კაცი. „დიდი წოიო კაცია მისი ქმარი".

წონწოლიე მაღალი და წვრილი. „მოჭერი-თქვა, უთხარი, ქვეით ე იგი წონწოლიე ფსხალი რომა, დამწვრილდა და აღარც ქე ვარგა".

წოუდგომელი ადამიანი, რომელიც არავის არაფერში არ დაეხმარება, არ გამოადგება. „წოუდგომელია ე გოგო თლათ“.

წროულს წელს. „წროულს ნემეტანი გამიჰირდა, გაისათ რავა ვიზამ ასე!“ (ქეგლ, გაჩეჩ., ძოწ., წერ. ყღ.

წურუქე წაქა. „ბიჯო, დედაშენი ძაღს აჰუმს რძეს და შენ წურუქას გიტოეფს მარტო?“ (ყღ.).

წურუქიე მცირე მეწველი ძროხა (რომლის ნაწველიდან მცირე წურუქი (იხ.) — წაქა რჩება). „ერთი წურუქიე ძროხა ყავს და გარაყოლილია იმაზე, ან მეიცილოს, ან რაცხა უქნას“.

წურწკული წვეთ-წვეთად, ხმაურით წყლის დენა, მცირე კამარით წყლის დინება. „შეაწუხა, გო, გული ამ წყლის წურწკულმა, მოკეტე ერთი“; „არ გამიჰვირა ამ კრანმა საქმე, წურწკულობს სულ. იქნება გააკეთო, შე კაცო, რაია ეგი?!“

წუწკური შიმშილისაგან მოუსვენრობა, ფორიაქი, წუხილი. „ვაჰუმდი ცომს ქათმებს, მარა მაინც წუწკურობდენ. რო ვაჰამე შავი პური, დააყუათა და აღარ წუწუკურობენ...“ „შია ყოველწუჩი და წუწკუროფს...“

წყათე მარილწყალი. „თვარ ჩავდეით ე ყველი ახლა მალე წყათეში, წახდება, ალორტყიანდება“ (ქეგლ, წერ.),

წყალწუნიე ცუდი, წყლიანი ღვინო, რომელსაც წყალი ერევა. იტყვიან აგრეთვე ქათმის კერძზე, რომელსაც ძალიან ბევრი და თხელი წვენი აქვს. „ე წყალწუნიე რაი გააკეთა?!“

წყერფეხე ბალახის სახეობა (ქეგლ მწყერფეხა, გაჩეჩ., ძოწ. წყერიფეხა).

წყესიხ ცეცხლი ნედლი შეშისაგან დანთებული მიბჟუტული ცეცხლი. „იბჟუტება წყესის ცეცხლივით“.

წყრომა საყვედური. „დეპეშას რო გოუგზავნი, წყრომას მიცემენ უფროსები ჯარში“ (ქეგლ).

წყურული წყურვილი. „მარილიანი ვჭამე რაცხა და წყურულმა მომკლა!“

ჭ

ჭაგარე წითელთმიანი. „დედამის გავს?...აპა! ბებიამის გავს ი გოგო, ჭაგარეა, წითელთავე ჭაგარე“.

ჰადაჰადე თხილის სანაყოფე. „გაისათ კარქათ უნდა მეიბას ამ თხილმა, შეხედე, რამდონი ჰადაჰადეები აქ“.

ჰაკათ არიხ საქმე ცუდად, არასახარბიელოდაა საქმე. „ჰაკათა საქმე!“ „რაფერ ჰაკათა, იცი, საქმე?!“

ჰამბარი ბრბო, გროვა, უსაქმურ ხალხთა სიმრავლე. „შენ არ გარგია არაფელზე, მეიყვანე ჰამბარი და აჰამე!“ „ქე იცოდა ჩამოსვლა მარუსამ, მარა ჰამბრები ყავს ახლა სარჩენი“ (საბა ჰამბარი — მწყემსთ კარავი).

ჰაჰანაქება პაპანაქება, დიდი სიცხე. „უბედური ჰაჰანაქება იქნება დღეს, უბედური სიცხე“. „ჰაჰანაქება სიცხეა“ (ვ. ბერ., გრ. ბერ. ჯავახ.).

ჰერიე მჯრელი. „ნემეტანი ჰერიე დანა კარ ვარგა კუხნაში, უნდა გეშინოდეს სულ, ხელი არ მომჭრას-თქვა“.

ჰერივითაა გამხმარი ძალზე გამხმარია. **ჰერზე ნამყოფივითაა გამხმარი** — შუაცეცხლის ზემოთ დირე-სარტყელზე ჩააწყობდნენ წვრილ-წვრილ ჯოხებს, რაზედაც მერე გააფენდნენ გასახმობად ღომს, სიმინდს, ხორცს. ამ ჯოხებს ერქვა **ჰერი**. ყველაზე უფრო თვით იგი ხმებოდა. ამაში მდგომარეობს ფრაზის აზრი.

ჰერეხივით ყრია ძალიან ბევრი ყრია. „ხალხი ჰერეხივით ეყარა ზღვაზე“ (ვ. ბერ., გაჩეჩ., გრ. ბერ. ჯავახ.).

ჰეჰკვა დარტყმა. „რა ვიცი, კაცო, როიც მჰეჰკავს ნაჯახს თავში. ბიჯო, ცოლი მოკლა და მე დამინდობს?!“

ჰეჰუურე ბუზის სახეობა, რომელიც საქონელს ეტანება. „ჰეჰუურეებია, იპკინება უბედურათ, გაავდება; „ეგი რო იპკინება, ჰეჰუურეები, შეილება გაწუმდეს“.

ჰვარჰვალიე ჭრელი. „ამ ხნის ქალზე რავა შეილება ამისანა კაბის ჩაცმა. ნამეტანი ჰვარჰვალიეა“; „მოუტანა მარუსას გოგომ საკაბე, საკაისკაოდ, მარა რათ ვარგა, ჰვარჰვალიეა თლათ“ „ყველე ჰვარჰვალიე არ გამევიდა ე ქათმები? რა ამბავია ეი?!“ (ქეგლ, შარაშ.)

ჰვირთიანი სავსე (კოკა, ცარიელის საპირისპიროდ. „ეი ჰვირთიანია, ვერ წიკავ, ვერა!“

ჰიბოხალე უშნოდ, არამდგრადად ნაშენი. „ერთი ჰიბოხალე სახლი კონდა იმას, რაფერ უძლებდა ქარს, გადარევას ვიყაით“.

ჰიკვი პატარა, უმწიფარი ტარო. „დამბიდარო, დიმბიდარო, / თავჟდომარეს დიდი ტარო, / ჩვენი ხარი და ურემით / სახში უნდა

მიუტანოთ, /სხვა მუშებს და გაჰივრებულს / დამპალი და ჰიკვი ტარო“ (რაჭ. დიალ.ჰიჰკვი — პატარა, წვრილი).

ჰილო ხახვის ბოლქვი. „რო კითხო, ერთი ხახვის ჰილო არ მაქო, გეტყვის...“ (ქეგლ ჰილი; გაჩეჩ., ჯაჯან., რაჭ. დიალ.).

ჰინჰყვა ირონ. რეცხვა, უშნოდ, სახელდახელოდ გარეცხვა. „რას ჰინჰყავ შენ მაქანე“; „მეიცი, პეტერას ამოვჰინჰყავ აქანე სარეცხს და წამუალ მერე“.

ჰინჰყოანი ჭაობიანი, სველი ნიადაგი (წდრ. ძოწ.)

ჰოოტი ოდნავი გამოხედვა მზისა ღრუბლებიდან ავდრის შემდეგ. „პეტერე ჰიოტს რავარც დევინახავ, იმწუჩი მგონია გამეიდარეფს“ (ვ. ბერ., ალავ. ლეჩხ., გაჩეჩ., ჟღ., რაჭ. დიალ.).

ჰიტა ბავშვთან თამაშისას სახეზე ხელს მიიფარებენ, მერე ოდნავ გამოიხედავენ და „ჰიტას“ იტყვიან (ვ. ბერ., რაჭ. დიალ., გრ. ვერ. ჯავახ.).

ჰიტალე ღრიჭოში, ჰუჰრუტანაში შემომავალი სინათლე; „დამვიწყებია რეიკის მოჰედვა კედელზე და ღრენჭოში ჰიტალე არ შემოსულა თლათ?!“ (გაჩეჩ., ძოწ., ქავთ. I, რაჭ. დიალ. ჰიჰიტალა, ვ. ბერ. ჰიჰიპალა, ქეგლ ჰიჰიტანა).

ჰიჰმაყარე წვრილ-წვრილი. „ყაი-ყაი ვაშლები ქე ავარჩიოთ და ე ჰიჰმაყარეები ქე გარავყაროთ“ (ჯაჯან. II. ჰიჰმაყარასავეთ ასხია ხეს).

ჰიჰო(თ) მომჭირნეობით, მომჭირნე, მომჭირნეობა; კარგად. „პეტერე ჰიჰოთ უნდა მივყვე, თვარა გამეილია სიმიდე აწი“; „დიდი ჰიჰო ქალია, მაისანე მორთავს ოჯახს!“ „მოჰიჰება მაგან არ იცის და არაფელი, ფორიაქეა, მაი ვერ მორთავს ოჯახობას!“ „ჰიჰოთ დავხურავ სახს, ჟიჟვი არ ჩამუა შითე“ (გაჩეჩ., ქავთ. II ჰეჰო; ვ. ბერ. ჰიჰავება, შარაშ. ჰიჰო).

ჰკუით ჰკვიანად, გონიერად. „ჰკუით იყავი, თვარა...“ „არაფელი მეიწიოთ, ბეჩა, ჰკუით წაით, ჰკუით და მალე მოით, თვარა შემეშინება“.

ჰოლოკობა ჯოხის სროლა. „მაი წასვლაამდი თვარ მოკრიფე, ჰოლოკობს ბაღნები და სტეკლოს დაგიმტროვენ“ (ქავთ. II).

ჰორიკანობა ჰორაობა, მითქმა-მოთქმა. „სადა თინა-მეთქინ: სამტრედიასაო; — სადა, ქმარს მოცილდა თუ ისე ჰორიკანოფს ხალხიო; — მოცილდა ქმარსო...“

ჰორკვა (ჰორგვა) დარტყმა, მსუბუქად ჩაკაკუნება. „ჰორგავ —

პეტერას და თხრიშავ — ძაან რო დაარტყამ, იგია"; „ჰორგავ ბაღანეზა ვიცით, პეტერე ჰორგე, ბიჯო, ძაან არ დაარტყა, მოკვტება, ბეჩა, ეტკინება ნემეტანი..." „რო გჰორკავ ამ ლინეიკას თავში, ცრემლეფს გარმოგაყროვიეფ თვალებიდან"; „ე, მაგას ქე ვეტყვი მაამის, რო გატეხა ი სანტროველე და ჰორგავს ერთს თავში".

ჰორტოლე / ჰონტოლე სიმრავლე პატარა ბავშვებისა. „აჰორტოლებული ყავს ბაღნები"; „ყოჰმანობენ ურიეს ჰორტოლებივით" (გაჩეჩ. ებრაელების ბავშვებს ეძახდნენ; ქაეთ. I. ჰონტორა; შდრ. ალავ. ჰონტო — მოზრდილი წიწილი).

ჰორჰოლი გაუგებარი ლაპარაკი, არეულ-დარეული, გაურჩეველი საუბრები. „ჰორჰოლოფს ხალხი და უყურე ახლა იმას, ქე ვერ გებულოფ რამეს და..."

ჰოღინი ხმაური, ყვირილი, ჰაჰყანი, ხმამაღალი ლაპარაკი (უმიზეზო და უმიზნო); ხმამაღალი არეული სიმღერა. „ხო, კაი, ვიზამ და ნუ ჰოღინობთ ახლა"; „იშონიენ ორ ჭიქა ღვინოს და დეიწყებენ ჰოღინს, არაფლის გამკეთებელი არ არიენ მა ზარმაცები".

ჰოჰვი ფეხის წინა ნაწილი თითებითურთ. „ჰოჰვებში მიჭირეფს ე ფეხსაცმელი"; „კვალი ვნახე, ფეხის ჰოჰვები აჩთა თლათ"; „ჰოჰვებს რო ამოშორდები ქსოვის დროს, მერე მოყვანილია უკვე წინდე".

ჰოჰობინე მომჭირნე, ეკონომიური. „ნემეტანი კაი გოგოა, მატატე არაა, ჰოჰობინეა, მშრომელია დედამისივით, ნეტე იმას, ვის ოჯახშიც შევა".

ჰრელი ბასრი. „სადა ჰრელი მაკრატელი"; „ჩემი ჰრელი დანე მომიტანე".

ჰუა კარგი, ელვარე ფერი აქვს (ვ. ბერ., შარაშ. ჰვივა).

ჰუული (მიჰუულობს) ხმა, რომელსაც გამოსცემს გასროლილი ტყვია, ქვა, ჯოხი. „ჰუულ-ჰუულით გარამიარა ქვამ თავზე, რო მომხთენოდა იგი, ხო გამაცხებიებდა სულს".

ჰუჰუნი წვრილი, ჩამჯდარი თვალებით გამოხედვა. „აჰუჰუნეფს თვალეფს".

ჰუჰურიე პატარა, წვრილი. „ჰუჰურიე თვალები" — წვრილი თვალები. „პეტერე ბაღანე იყო, ჰუჰურიე თვალები ჭონდა. ოთხი ცალი კვერცხი გავატანე, ენდრო კიდო".

ჰუანი ჭონი, სიყვითლე; სიმსუქნე. „რათ ვარგა ე ქათამი ჯერე, ჰუანი არ აქ და რამე" (შდრ.: ქეგლ, შარაშ.).

ჰუვანკი ბრჭყალები. ფრჩხილები; გადატ. ხელები; „მისი ჰუვანკით ნაშონ ფულს რო დახარჯავს, მერე აღარ წავა მაისანა ადგილას“.

ჰუურტე წყურვილის ავადმყოფობა, დიაბეტი. „ჰუურტე ხვარ გაქ გაჩენილი, რო იგლანჯები ამდონ წყალს“ (გაჩეჩ., ძოწ.).

ჰუურტული დაბალ ხმაზე, გაბმულად და გაუგებრად ლაპარაკი. „ე ბაღანები რუსულათ ჰუურტულობენ სულ“.

ხ

ხაბარი ჰკუა, გონება, მოხერხება. „მა უხაბრო, მაი. არ აქვენ ხაბარი და...“ (ძოწ.).

ხავარტი გამხდარი, გაძვალტყავებული. „ხავარტი საქონელია“.

ხანტრაბუცე გოგრის, კვახის თესლი. „— ხანტრაბუცე შემიწვი, რა. — ხვარ გადირიე, თესლიზა მინდა იგი“; „მოი, ჰამე ხანტრაბუცი, ხან ჰამე და ხან გაბუცდი! (გაჩერდი)“ (ალავ. ოკრიბ., ვ. ბერ. ხატრაბუცა).

ხაჟორე ჭრელი. „ფხრები ჭრელი აქ. იგენი ყოფილიყო ხაჟორეები, ხაჟო-ხაჟო ჰუჰულები“ (შდრ.: ქეგლ).

ხარალე (ბეოლის) თუთის ტოტებისაგან აცილილი კანი, რომლითაც ვენახის ყლორტებს აკრავენ ჰიგოზე. „ხარალეთ უნდა აახვიო ვენახის ლერწი, კაია იგი...“

ხარიკუდე ბალახის სახეობა (ქეგლ).

ხარის ფაში აქ იტყვიან გაუძღომელ კაცზე. „მაგას რაი გააძღებს, ხარის ფაში აქ...“

ხატინაბანი წყალი ნაკურთხი წყალი. „ხატინაბან წყალს ინახავდა ღედე და ავათ რო გავხდებოით, იმას გვასუმდა“.

ხაფსი ხავსი. „ხაფსი აქ მოდებული ყორფელს“.

ხაფსი // ხაფსილე ნიგვზის ლებნებს შორის მოთავსებული თხელი ფენა. „ოტკაში უნდა ჩაყაროო ხაფსილე და კაი ფერს მიცემს“.

ხაშხაშელე სუფთა. „დავუდებოით გზაზე და ქე რო კაი ხაშხაშელე სილაა, ვთამაშობდით იქინე...“

ხახალიკე მხიარული, მომცინარი ქალი. „ქე იყო იგი კაი ხახალიკე ქალი. მისი შვილი კარ გავს იმას“ (შდრ.: შარაშ. ხახალიკი, მოხაბალიკება).

ხელგამკრავი ქურდი. „ერთი ხელგამკრავი მეზობელი ქვყავდა, იმის შიშით დოუკეტელს და დოუჰედელს ვერაფელს ვტუებდი ზამთარში რამეს, აქანე რო წამეყიდოი“ (შდრ.: შარაშ. ხელწამკრავი).

ხელების შტატვა ლაპარაკისას, ჩხუბისას ხელების მოხმარება, ხელებით მკვეთრი ჟესტიკულაცია. „ვიცხას ელაპარიკება ეგერ, ხელეფს უშტატავს და მე კიღამ დამაჯახა მანქანა“.

ხელერთპირად მთლიანად, პირწმინდად. „ამ თხილეფს ახლა ავჭრი ხელერთპირათ, აღარ იქნება მოსაკრეფი მერე, დევისვენეფ“ (ქავთ. II, შარაშ.).

ხელზე ყავს ყველა შვილები ყველა ცოცხალია, ყველა შეუნარჩუნდა. „რვაი შვილი ყავს ამ ქალს, ხელზე ყავს ყველე“.

ხელთეთრე ერთ-ერთი მცენარე, მაღალი ბალახია. „ხელთეთრეა, ქაფი აქ საპონივით, რო მოწიკვავ, გეისობდი ხელზე და პეყოიანი იყო“.

ხელი მუშაობა. „ბევრი იქნება თუ პეტერე მოსავალი, ხელი იმდონი უნდა მაინც“.

ხელი აქ ღვინოს გამორეცხვადაკლებულ ჭურში ჩასხმულ ღვინოს ხშირად თავისებური არასასიამოვნო გემო დაჰკრავს. იმაზე იტყვიან „ჭურს მიუცია ხელიო“ (ვ. ბერ., ჟღ. გურ.). არსებობს ასეთი ხუმრობით თქმა: „კაცო, ჩემ ღვინოს წროულს პეტერე ხელი გამოყვა და რაის ბრალია, ვერ გევიგე. — რეცხვაზე ოფლი ჩაგყობოდა შითე და იმის ბრალი იქნება. — არა, კაცო, არ ჩამვარდნია ოფლი შიგნით. — რო არ ჩაგვარდნია, ე, იმიტო აქ, ბიძია, ხელი, გოურეცხავი დაგიტოვებია ჭური და აპა რაი იქნებოდა!“

ხელის წამოკვრა რაიმეზე დახმარების გაწევა. „რაფერ გამიჭირდა მაშვინ და ხელი არ წამომიკრა არაფლიზა“.

ხელის წამოწყობა მოხმარება, მიშველება, ხელის შეწყობა გაჭირვების ჟამს. „უბედური უშმაკი იყო მაი. ნეფსში მახათს გამეელის. არაფლიზა არ წამოგიწყოფს ხელს“.

ხელის ჭკუით მოძებნა ხელის შეგრძნებით, ხელით მოძებნა. „მე, ბებია, თვალი ვეღარ მივარგა, ხელის ჭკუით ვნახულოფ თხილს“; „სანათი რათ უნდა ბებიაშენს, ხელის ჭკუით მონახავს“ (შდრ.: შარაშ. ხელის ცნობაი).

ხელმაკვარანცხი ხელმარცხიანი. „ხელმაკვარანცხია ზოგიერთი, ხშირათ უტყდება ყოლიფერი“.

ხელმომწყვეთ მთლიანად, სრულიად. „ჩია თხილი უბედური გამოსაყვანია, შარშან პეტერე დააკდა გააშრობა და ხელმომწყვეთ დალპა“.

ხელსტორი თანაბარი სიდიდისა, მოზრდილი მარცვლები (თხილი). „შარშან კაი თხილი იყო, ხელსტორი, წროულს რათ ვარგა“.

ხელში მოყოლა ქონება, ფული, შესაძლებლობა. „რა ნამცხვრები იცის მაყვალიამ... ხელში მოყოლაა საქმე და ყველე ქე გააკეთეფს“; „ხელში მოყოლა თუ იქნა, ყველე ქე გააკეთეფს“.

ხენწიფეს მიერთმევა ძალიან კარგია. „ხენწიფეს მიერთმევა, იმისანა კაი საცივია“.

ხელს ნუ გაიცხავს „რაცხას რო კიდეფს ხელს და ახდენს ბაღანე, ეტყვიენ, გაჩეი ნუ გიცხავს ხელს-თქვა“.

ხელსწორად კარგად, სწორად. „ხელსტორათა გაჭრილი მატერია“. „ხელსტორათ უნდა ჩამოჭრა შპალიერს, თვარა მოქცემს მერე იქინე იაღლიშს“.

ხერგი დახვავებული ხე-ტყე. „ჩემ ეზოში ვერ ჩამეიხედავდი, იმდონი ხერგი ეყარა“ (შდრ.: ძოწ., ალავ. ოკრიბ.).

ხეფსიანი ლაპარაკი კარგი საუბარი, სასიამოვნო მეტყველება, ენაწყლიანი. „რაფერ კაი ხეფსიანი ლაპარაკი იცის, თუ იცი მაგან!“

ხვალდარიე ჭიამაია. „მაგას ხვალდარიას უძახით, ხვალე თუ დარი იქნება, გაფრინდი-თქვა, უნდა უთხრა“ (შარაშ.).

ხვანვა კბილების გამოჩენით სიცილი. „რავა იხვანები უშნოთ, შე უდღეურო!“

ხვარამანცე დიდი ტევადობის ჭურჭელი. „ე გოდორი დიდი ხვარამანცე რამეა, ბუთი გიდელე ჩავა შითე“.

ხვართქილე ბალახის სახეობა. აქვს ყვითელი ყვავილი (ქეგლ. ძოწ., შარაშ.).

ხვარხვალი ჩქარა დუღილი წყლისა. „არ უნდა მეტი აწევა ცეცხს, ხო ხედავ რაფერ ხვარხვალობს“ (ვ. ბერ.).

ხვაშხვაში ჩხრიალი. „გამხმარია თხილი, ხელში ხვაშხვაშობს“. „ხმელი რო იყვეს ე სიმიდე, ხელში იხვაშხვაშებს“.

ხვაცები დიდი ეშვის კბილები. „დამეწე ბიძია პირი, რო გამოგიყრია მა ხვაცები!“

ხვინჭა ხრჭიალით გავიდა. „დავკარი ლუსპანს კალოშიანი ფეხი, ხვინჭა და არ ამევიდა აგერ?!“

ხვინჯილიე მოზრდილი, შესუქებული წიწილა. „კაი ხვინჯილიე პუპულია“.

ხვლიპინი ხმაურით სმა. „რო უხვლიპინეფ მა ჩაის ძაღლივით, ჩუმათ დალიე, მარტო კარ ხარ აქანე“.

ხვრიტალე ნახვრეტი, პუპრუტანა. „აგენში ხვარ იქნება ჩასრული ჯინქველეები, აგენში, ხვრიტალეებში“ (შდრ.: ქეგლ ხვრეტილი, ვ. ბერ. ხვირტიმალი, გაჩეჩ. ხვრეტილე).

ხიმანდრობა ეშმაკობა. „მაგენი ახლა ხიმანდრობენ რაცხას მაქანე, ტოვენ შვაში ადგილს, მერე უნდათ იგი მიწა გეინაწილონ თვითან, მარა არ გამოუვათ მაი, არა“.

ხინტრი სიმინდის ტარო, რომელსაც ჯერ მცირე მარცვლები აქვს, ახლა იწყებს განვითარებას, უმწიფარი სიმინდი. „ასე ვიტყოით: ჯერე არა სიმიდე პყინტი, ხინტრია ჯერე“ (შარაშ. ხრტილი).

ხინჩიანი ნაკლიანი, ზადიანი, მახინჯი. „არ ვყოფილვართ ხინჩიანი რვაე შვილი, მამას არც მუუშიებია ჩვენთვინ, არ მოუწყურებია, ისე დაგვზარდა“ (ქავთ.I, გაჩეჩ. ხინჩი, ძოწ. ახინჩეფს, ქავთ. მოხ.).

ხინცოლე / ხინცოლიე ასხმულა. „შარშან მომცა ერი სამი ხინცოლიე ხახვი, დავკიდე და არ დალპება მილიონათ“ (ქეგლ გურ. ხინცელი).

ხიო ხარის უკან დასახევი შეძახილი (მენთ., გრ. ბერ. ჯავახ. ხიი).

ხიშხაშელე / ხაშხაშელე მშრალი და სუფთა სილა. „რაია სილობიე და... დავედებოით გზაზე და ქე რო კაი ხიშხაშელე სილაა აგერ, გავაკვეხებდით შითე ჯოხს და: — აბა სადა, თქვი სადა, აპა...“ (გაჩეჩ. ხიშხაში — შავი, ქვანარევი მიწა).

ხიჩი-ხიჩი შეღიტინებისას ეუბნებიან ბავშვს (გაჩეჩ.).

ხიწვი ახალი, მწვანე ლობიოს ბეწვი. „ხიწვიანეფს ნუ მოკრიფავ ლობიას, კაი-კაი მოკრიფე“.

ხლარწიელე ვერტმფრენს ეძახიან. „ხლარწიელე დეიარება ხანდახანდე აქით, ძაან დაბალზე, ღორებს ითვლიენ ტყეშიო, პეტრიამ თქვა“.

ხლუპუნი ხმაურით სმა. „გავაფსეფ ახლა მე ქვაბს და დალიეთ, ყველამ მოუხლუპუნეთ ამ დილაზე“ (გემრიელად დალევა, შესმა). (საბა. ხლუპი-ხლაპი — უჩქარესად შესმა).

ხოკი ღორის და ქათმის ჭირი (გაჩეჩ., ძოწ.).

ხოლოხი თევზის საჭერი ბადე. „მამაჩემს ხოლოხი ბადე ქონდა და იმითინ იჭერდა თებზის სილორში“ (ქეგლ ხოლიხი).

ხორხი ოდნავი შეღმართი. „თუ არ შევასტორეთ პეტერე ე გზაი, გოუჭირდება ამ ხორხში მანქანას ამოსვლა“.

ხრიანწო 1. ძალზე დაქანებული, ფეხმოუკიდებელი ადგილი, ხრამი. „ვენედიქტეს ერთი ხრიანწო ადგილი აქ, ფეხს ვერ მეიკიდეფ, მიაკვეტა ზეთ, მარა რაი მოუა შით“. „უბედური ხრიანწოა ჩვენი ტყეი, ფეხს ვერ მეიკიდეფ შითე, რო გარავარდე ვერ მოგიძევს ვინმე“.

ხრიწი მოხუცის ხველა. „მასე ახრიწებს თელი ღღეი“.

ხრილი. 1. თავნაყარი სიმინდის ბუტკოს მტვერი. „რო გაანძრევ სიმიდას, მოცივა ხრილი“ (წერ.). 2. ხის ტოტებზე შერჩენილი თოვლი. „ე, ბებია, ხრილი ცივა და კაი ამიდი იქნება“; „ხრილმა დეიწყო ცვენა და კაი ამიდი იქნება“; „ხრილი თუ დარჩა ხეებზე დითხანს, ისევლე მოვა დიდი თოლი“ (ქეგლ).

ხრონგი უშნოდ დიდი რამ. „ამიხელა ხრონგი რათ მინდა სახში, მოაკილე აქიდან, თუ კაცი ხარ“ (გაჩეჩ., შარაშ. ხრენგი, ვ. ბერ. ხრიგი, ქავთ. II ახრონგილი).

ხრუკი თხის ავადმყოფობა, თმის გაცვენა იცის.

ხუე სიმინდის ავადმყოფობა; ტაროს ადგილას უჩნდება შავი მტვრით გავსებული ბუშტულა. „ბღერის წამალში ვიცოით ხუეს გარევა. უნდოდა კიდო უმარილო ღორის ქონი, კრილი და პეტერე გორგინდი. მისტრება იყო ბღერიზა“ (ძოწ.).

ხუმბლე ხურმა. „ე, ზეით ხუმბლასან იძახის ვინცხა“ (ქეგლ, ქავთ., გაჩეჩ. ხუმლა).

ხურდა-ხურდა ხალხი სხვადასხვა ასაკის ბავშვების ერთობა. „რა ქენი, პოლია, მეილიე თხილის კრეფა! — რაფერ მევილევდი, ეი ხურდა-ხურდა ხალხი ვერ მევიცილე და... ვემსახურები მაგენს“.

ხურხნა მოხვრა, ღრღნა, ხვრა. „თაგვს უყვარს მოსახურხნი რამე; ჰადს და პურს მოხურხნის კიდეს. შაქარი არ უყვარს, გოუტკპობს პირს და დაანებებს თავს“ (შარაშ. ხურხნა — მაგარი საშველის მტვრევით ჭამა).

ჯაბუნაკის ჭამა მსუბუქად დასჯის ერთ-ერთი ფორმა. რაიმეს რომ დააშავებდა ბავში, დასჯის მიზნით ბიჭები ჯაბუნაკს გამოუსვამდნენ პირში. არის თქმა: „ჯაბუნაკი არ გიჭამია ჯერე შენ და მიტო ხარ თავაშობილი“ — ე. ი. ჯერ არ დასჯილხარ დანაშაულისთვის.

ჯაკელი დიდხბოიანი ძროხა. „ხუთი ძროხებია, ჯაკლებია, სამი დიდვრანი ღორებია, ოზდაერთი გოჭები გაყიდა ახლა“ (ქეგლ. ვ. ბერ.).

ჯაკუნტალე „ნეფსი ფსხვილი და უწვერო“; „ერთი ჯაკუნტალე ნეფსია აქანე, მისი არაფელი არ მინდა“.

ჯალამბარი საკაცე, გამოიყენება წყევლაში. „მოგიტანე, აპალია, ჯალამბრით!“ (საბა ჯალამბარი დიდ ქვის მაღლა ასატანი, ჟღ. გურ.).

ჯანჯუხა ჩურჩხელი. „ჩურჩხელას ჩვენ ჯანჯუხას უძახით“.

ჯაღულე ბლაგვი. „ერთი ჯაღულე დანე ქონდა თებროლეს, გათლიდა იმით ვაშს, მერე დაკეპავდა წვრი-წვრილათ, ხოდა ჭამდა ისე, კპილი არ ქონდა“ (ვ. ბერ. ჯაღინა, ჟღ. ჯაღინა/ე-ი).

ჯაჭვი არყის ზედაპირზე წარმოქმნილი რგოლები, რომელიც არყის სიმაგრის მაჩვენებელია. „კაი ჯაჭვი აქ ამ ოტკას, მეტი მაგარი არ გინდა“ (ძოწ., წერ.).

ჯგვლეტა ჩხვლეტა. „უჯგვლიტა რაცხა და დაფუშა გოგორე“ (ქავთ. II, შარაშ. ჯგუტვა).

ჯგუშვა შესობა, შერჭობა. „მეიტანა ვინცხამ გუდა და წიკავს და წიკავს ღვინოს, ამოცალა ჭურები. უჯგუშე ლუსპანი და გადინდა ღვინო გუდას, ვეღარ წეიღო მერე; რო არ გვექნა ასე, საშველი არ იყო“; „ჯგუშა ჯოხი ბაღანამ და წამოუკუჭა თვალი“ (ვ. ბერ. ჯგუშვა).

ჯენჯი 1. ხმელი ტოტებისა და გამხმარი ეკალ-ბარდის გროვა. „რამდონი ჯენჯი ყრია აქანე, უნდა დავწვა“. 2. დიდი თმა. „გოუჯენჯია თავი“; „პეტერე მეიპარცე, რათ გინდა იმხელა ჯენჯს რო უშოფ“ (საბა. თავის ნაპარსი თმა; ვ. ბერ. ძენძი, ჩენჩი, ნაგავი).

ჯიბლიბო ადამიანის თვალის ავადმყოფობა. „ჯიბლიბო მაქ და მომკლა თვალის ტკივილმა“.

ჯიკვინი (უჯიკვინებს) კრავს, ურტყამს. „დიდი ძროხაა მაკეთ, უჯიკვინებს ე ხპოი და მოაგდებიებსო, გამომატანა ე ხპოი“ (ვ. ბერ., შარაშ.).

ჯილდაო ცხენის ავადმყოფობა (დაცინვით უჯიშო ცხენზეც იტყვიან) „კაი, ჩემ თხას გოუჩითეს პეპელე, მარა შენ ცხენსაც გოუჩითეს ჯილდაო“.

ჯიმადე მამიდის ან დეიდის ქმარი. „ჩემი დეიდეს და მამიდეს ქმარი ჯიმადეა ჩემი, ბიძიას არ დოუძახებდით არაფრით, ბიძიე მამა-ჩემის ძმაია“ (ვ. ბერ., ქღ. გურ. ჯუმადია).

ჯინიზა სპეციალურად. „ჯინიზა დამიმბამდა ღორს იქინე, წყაროი პირ̌ი“ (ქეგლ ჯინაზე).

ჯიჩი ქათმის მოსახმობი ძახილი (საბა ჯეჯუ, ვ. ბერ. ჯიჭ., გაჩეჩ. ჯიჯ., რაჭ. დიალ. ჯიჩ).

ჯიხვინიე მსხვილი. „წროულს ნემეტანი კაია ჩია თხილი. ხო ხედავ, რაფერი ჯიხვინიე კაკლებია აქ“.

ჯიჯგვება გამაგრება. „ბურკები რო გარაყლაპო, გიჯიჯგვებს, იმას კუჭი კარ მეინელეფს“.

ჯიჯილაყე ბალახის სახეობა. იყენებენ საჭმელად, აკეთებენ ფხალს. „ჯიჯილაყე რავა არ ვიცი, შე კაცო, მაგითინ ვარ გაზდილი“ (ქეგლ ჯიჯლაყე, გაჩეჩ. ჯიჯილაყარე, ძოწ. ჯიჯილაყა, ქღ. გურ. ჯიჯლაყა).

ჯლოყინი ბოყინი. „მაჯლოყინეფს ამ დილაზე რა უბედურათ, რაია ნეტაი“ (ქეგლ).

ჯორიაქობა ხალხის სიმრავლე, თავმოყრილი ხალხის ხმაური, თავყრილობა, სიცილ-ხარხარი. „პეტრიასან ასეა სულ ჯორიაქობა, ქვეყანა მიდის და მოდის“; „გეიჯორიაქეს დამსვენებლებმა და წევიდენ“;. „ერთი კვირე მოვლიენ სოფელში, იჯორიაქებენ და წავლიენ მერე“.

ჯორიფეხე ბალახი.

ჯორკიდებული ბევრი რამ, უამრავი. „არ მოუტანია შვილეფს არაფელი, ახლა უნა მიუტანო იქით ჯორკიდებული“.

ჯურდუმელე პატარა ტანის მსუქანი, ლამაზი ქალი. „ოი, შე ჯურდუმელა, შენ!“ „ჯურდუმელას მიძახოდა მე პოლიკარტე, შე ჯურდუმ̌ელა, შენო!“ „კაი ქალია, ჯურდუმელეა, თვარა ისე პატიოსანი ქალია, ყორფლის გაკეთება ეხერხება. არც ავია და არც აფერი“.

ჯღადო 1. ხვადი კატა. „კატები დადის აქანე ბევერი, ჯღადოები. მევიდა ერ საღამოს ჯღადო კატა, წეიკიდენ და შეიქნა ერთი ამბავი“; „ჯღადოსავეთ დოუქაჩია თვალები“; „ზოგიერთ კაცს დაპრაწული აქ თვალები, დაწითლებული, ფართე-ფართე თვალები აქ. იმაზე ვიტყვით, ჯღადოსავეთ აქ თვალები დაქაჩულიო“. 2. კატის ავადმყოფობა (ქავთ., ღლ., გაჩეჩ.).

სალექსიკონი მასალა შედარებულია შემდეგ ლექსიკონებთან და გამოყენებულია შემდეგი შემოკლებები:

1. ალავიძე მ., ლეჩხუმური ლექსიკონი, კრებ: ქართველურ ენათა ლექსიკა I, თბ., 1938 (ალავ.)
2. ალავიძე მ., ოკრიბული ლექსიკონი, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, ქუთაისი, 1950-1951 (ალავ. ოკრიბ.)
3. ალავიძე მ., მასალები ლეჩხუმური ლექსიკონისათვის, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, ქუთაისი, 1955 (ალავ. ლეჩხ.).
4. ბერიძე გრ., ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1981 (ბერ. ჟავახ.)
5. ბერიძე ვ., სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, თბ., 1986 (ვ. ბერ.)
6. ბეროზაშვილი თ., მესხიშვილი ლ., ნოზაძე ლ., ქართლური დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1981 (ქართლ. ლექსიკ.)
7. გაჩეჩილაძე პ., იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976 (გაჩეჩ.)
8. კობახიძე ალ., რაჭული დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1987 (რაჭ. დიალ.)
9. მარტიროსოვი არ., ქართული ენის ჯავახური დიალექტი, ჯავახური დიალექტის ტექსტებზე დართული ლექსიკონი, თბ., 1984 (მარტირ. ჯავახ.)
10. მარტიროსოვი არ., იმნაიშვილი გრ., ქართული ენის კახური დიალექტი: კახური დიალექტის ტექსტებზე დართული ლექსიკონი, თბ., 1956 (მარტ. იმნ. კახ.)
11. მაყაშვილი ა., ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961 (მაყაშ.)
12. მენთეშაშვილი სტ., ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943 (მენთეშ.)
13. როსტიაშვილი ნ., ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978 (როსტ. ინგილ.)
14. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I-II, თბ., 1991-1993 (საბა)

15. ქავთარაძე ი., მასალები იმერული ლექსიკონისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. III, თბ.,1963 (ქავთ. I)
16. ქავთარაძე ი., მასალები იმერული ლექსიკონისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. IV, თბ.,1974 (ქავთ. II)
17. ქავთარაძე ი., იმერული ლექსიკონი, მასალები, იქე, ტ. XXV, თბ., 1986 (ქავთ. III)
18. ქავთარაძე ი., ქართული ენის მოხეური დიალექტი: მოხეური ლექსიკონი, თბ., 1985 (ქავთ. მოხ.)
19. ჩიქოვანი მ., ლეჩხუმური ლექსიკონი, ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, I, თბ., 1941 (ჩიქ.)
20. შარაშიძე გ., გურული ლექსიკონი, კრებ: ქართველურ ენათა ლექსიკა I, თბ., 1938 (შარაშ.)
21. ძოწენიძე ქ., ზემოიმერული ლექსიკონი, თბ. 1974 (ძოწ.)
22. წერეთელი ბ., ზემოიმერული ლექსიკონი, კრებ: ქართველურ ენათა ლექსიკა I, თბ., 1938 (წერ.)
23. სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ. 1970 (სახოკ.)
24. უთურგაიძე თ., თუშური კილო:თუშური დიალექტის ტექსტებზე დართული ლექსიკონი, თბ., 1960 (უთურგ.)
25. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. I-VIII, თბ 1950-1964 (ქეგლ)
26. ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984 (ღლ.)
27. ჭყონია ი., სიტვის კონა, სპბ., 1910 (ჭყონ.)
28. ჯაჯანიძე პ., მასალები იმერული ლექსიკონისათვის, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IX, ქუთაისი, 1949 (ჯაჯან. I)
29. ჯაჯანიძე პ., მასალები იმერული ლექსიკონისათვის, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, ქუთაისი, 1950-1951 (ჯაჯან. II)
30. ჟღენტი ს., გურული კილო: გურული ლექსიკონი, თბ., 1936, (ჟღ.)

წინასიტყვაობა 4
ხმოვანთკომპლექსების მორფონოლოგიური ანალიზი
ქვემოიმერულის მიხედვით 7
ზმნის უღლების პარადიგმები ქვემოიმერულის ვანურ თქმაში 43
სახელის ბრუნების პარადიგმები ქვემოიმერულის ვანურ
თქმაში 71
ო პრეფიქსიანი ზანიზმები ქვემოიმერულში (მცენარეთა
სახელწოდებები) 77
.ო პრეფიქსიანი ზანიზმები ქვემოიმერულში (მეღვინეობასთან
დაკავშირებული ლექსიკა) 83
კომპენსაციის ერთი შემთხვევისათვის ქვემოიმერულში 88
ერთი მივიწყებული ქართული სიტყვის შესახებ: ახმი 95
ერთი სიტყვის მნიშვნელობისათვის აკაკი წერეთლის დრამატული
პოემიდან „პატარა კახი“ — დამკლისუფლობა 102
ქვემოიმერულის ვანური თქმის შედარებებში დაცული ზოგიერთი
ლექსიკური ერთეულის შესახებ 107
რელიგიურ ცნებათა შემცველი შედარებები და
ფრაზეოლოგიზმები ხალხურ მეტყველებაში 126
წევე კავშირიანი ერთი თავისებური სახის წინადადებისათვის
ქვემოიმერულში 137

წინავითარების გამომხატველი რთული მოდალური კონსტრუქცია ქვემოიმერულში 148
მეხილეობის ლექსიკა ქვემოიმერულში ერთი სოფლის მეტყველების მიხედვით 155
ხეხილი და მასთან დაკავშირებული ლექსიკა 163
ქვემოიმერულის ტექსტები 174
ლოცვები, ხალხური ლექსები 237
ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები და ყურმოკრული საუბრები 256
ფრაზეოლოგია 288
მასალები სახელის მრავლობითობის გამოხატვისათვის ზმნაში 295
მასალები სტატიკურ ზმნათა ფორმათწარმოებისათვის 298
მასალები ონომასტიკისა და ტოპონიმიკისათვის 299
ქვემოიმერულის სალექსიკონო მასალა 305
სალექსიკონი მასალა შედარებულია შემდეგ ლექსიკონებთან და გამოყენებულია შემდეგი შემოკლებები 476